ვასილ ჩანტლაძე

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ
დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტთათვის

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1972

33 M 2
336 (ბ)
ჩ 213

ნაშრომში გადმოცემულია კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსების ძირითადი კატეგორიების არსისა და როლის მარქსისტულ-ლენინური თეორია და ამ კატეგორიებზე ბურჟუაზიულ შეხედულებათა კრიტიკა.

წიგნი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ეკონომიური ფაკულტეტების სტუდენტთათვის.

მესამე

ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები

I. ფინანსური კატეგორიების ადგილი კ. მარქსის ეკონომიკურ სისტემაში

მარქსის ფინანსური მოძღვრება მისი ეკონომიკური მოძღვრების ნაწილია. ფინანსური კატეგორიები ეკონომიკური კატეგორიების გაშლილ ფორმას წარმოადგენენ, ამიტომ ისინი სათანადო ადგილზე არიან განხილული მარქსის საერთო ეკონომიკურ კატეგორიათა სისტემაში. მარქსის საკვლევაძიებო გეგმა, რომელიც შეიცავს ეკონომიკურ კატეგორიათა თანამიმდევრულ დალაგებას, მესამე ნაწილში ითვალისწინებს ფინანსურ კატეგორიებს.[1]

ის გარემოება, რომ მარქსმა ფინანსური კატეგორიები თავისი გეგმის მესამე ნაწილში მოაქცია, აიხსნება მისი მეთოდოლოგიის თავისებურებით, რომლის მიხედვით ყოველ კატეგორიას კვლევა-ძიებისა და გადმოცემის პროცესში თავისი ზუსტად განსაზღვრული ადგილი უჭირავს.

კვლევა-ძიებისა და გადმოცემის წესს მარქსი ერთიმეორისაგან მხოლოდ ფორმალურად განასხვავებს. გამოკვლევა იწყება კონკრეტულის ანალიზით. იგი მოითხოვს მასალის წინასწარ გაცნობას და მისი შინაგანი განვითარების ფორმათა გამორკვევას. ამისათვის საჭიროა კონკრეტულის დაშლა მარტივ შემადგენელ ელემენტებად. რთული წარმოებრივი ურთიერთობის დაყვანა მარტივ წარმოებრივ ურთიერთობამდე, გამოვლინებიდან შეპრა საგნის სიღრმეში. მხოლოდ ამის შემდგომ არის შესაძლებელი ნამდვილი მოძრაობის გადმოცემა სათანადო წესით და აქედან იწყება ზეასვლა არსიდან გამოვლინებაზე, საგნის სიღრმიდან ზედაპირზე, მარტივ წარმოებრივ ურ-

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953 წ., გვ. 293; ვ. ჩანტლაძე. ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები, 1966, გვ. 17.

თიერთობიდან რთულ წარმოებრივ ურთიერთობაზე, მაშასადამე, მარტივი კატეგორიებიდან რთულ კატეგორიებზე. მაგრამ აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ზეასვლა კონკრეტულის წარმოშობის პროცესი არ არის. ის „მხოლოდ წესია, რომლითაც აზროვნება კონკრეტულს შეითვისებს, კვლავ წარმოქმნის მას გონებრივად, როგორც კონკრეტულს“.[1]

მარტივი კატეგორია მიღებულია აბსტრაქციის გზით და ის უმარტივესი წარმოებითი ურთიერთობის თეორიულ გამოხატულებას წარმოადგენს. კონკრეტული არის მრავალ განსაზღვრათა გაერთიანება, მრავალ სახეობათა ერთიანობა, რომელიც მიიღება სინთეზირების საშუალებით, მასთან კონკრეტული აზროვნებაში გვეევლინება როგორც შედეგი, და არა როგორც ამოსავალი პუნქტი, თუმცა იგი სინამდვილეში „ამოსავალი პუნქტია, და, მაშასადამე, ჭვრეტისა და წარმოდგენის ამოსავალი პუნქტი“ (კ. მარქსი). კონკრეტული წარმოადგენს რთული წარმოებრივი ურთიერთობის თეორიულ გამოხატულებას.

„კაპიტალის“ პირველ წიგნში მარქსი იკვლევს კაპიტალისტური წარმოების პროცესს, როგორც უშუალო წარმოების პროცესს წმინდა სახით, ხელშემშლელ მეორეხარისხოვან გარემოებათა გარეშე. აქ იგი არ იხილავს ამ თავისთავად აღებული კაპიტალისტური პროცესისათვის უცხო გარემოებათა ყველა მეორად ზეგავლენას.

„კაპიტალი“ მდიდარია თავისი შინაარსით, ის არ ამოიწურება „უშუალო წარმოების პროცესით“ და განიცდის ზემოაღნიშნულ გარემოებათა მეორად ზეგავლენას, პირველ ყოვლისა—მიმოქცევის პროცესის ზეგავლენას. მარქსი ადის აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე და მეორე წიგნში იხილავს კაპიტალის მიმოქცევის პროცესს. მაგრამ აქ იგი უკვე იხილავს მას ერთგვარ მთლიანობაში და წარმოგვიდგენს როგორც წარმოებისა და მიმოქცევის პროცესის ერთიანობას. თუმცა აქ კიდევ არა ჩანს კაპიტალის მოძრაობის პროცესიდან აღმოცენებული კონკრეტული ფორმები, რომლებითაც ისინი ამოდიან საზოგადოების ზედაპირზე. ამიტომ, კაპიტალის ნამდვილი მოძრაობის გადმოცემის მიზნით მარქსი მესამე წიგნში იხილავს იმ განსახიერებებს, რომლებიც თანდათან უახლოვდებიან ამ ფორმას. ესენია ზედმეტი ღირებულების გარდაქმნილი სახეები: მოგება, სარგებელი, მიწის რენტა, რომელნიც ერთი და იმავე ზედმეტი ღირებულების ნაწილებია, მაგრამ სხვადასხვა პირთა ხელში გადადიან და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახეებს ღებულობენ.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 282.

ამ განხილვის შემდეგ ეს განსახიერებანი დიდად უახლოვდებიან საზოგადოების ზედაპირს, თუმცა ჯერ კიდევ მაინც არ არიან მასზე მთლად ამოსული. მეორადი ზემოქმედების უცხო გარემოებას წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფო, რომელსაც ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში ევალება კაპიტალისტური წარმოების წესის გარეგანი პირობები შეინარჩუნოს. გაბატონებულ კლასთა ინტერესის თვალსაზრისით, მას ევალება საზოგადოებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედება, განაწილების პროცესში ცვლილებების შეტანა და სხვ. აქ კაპიტალის მოძრაობის კონკრეტული ფორმები შეივსება განაწილების ურთიერთობაში სახელმწიფოს ზემოქმედების შედეგად მიღებული ცვლილებებით, კერძოდ კი იმ ცვლილებებით, რომლებსაც ბიუჯეტური სისტემა იწვევს კაპიტალისტური საზოგადოების ნაციონალური შემოსავლის განაწილებაში. ბიუჯეტური სისტემის საგადასახადო და სხვა საშემოსავლო წყაროების გამონახვისა და ამ სახსრების გარკვეული დანიშნულებით გამოყენების შედეგად მას შეაქვს ცვლილებები უშუალოდ ბურჟუაზიულ სისტემაზე დამყარებულ განაწილების ურთიერთობაში. ასე მაგალითად, ზედმეტი ღირებულების გარდაქმნილ ფორმათა ურთიერთობაში გადასახადს, თუმცა მხოლოდ მეორეხარისხოვან პუნქტებში, მაგრამ მაინც შეაქვს ცვლილებები ხელფასის დაბეგვრით და ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა გარდაქმნილი ფორმებიდან გადასახადების ხელფასზე გადაკისრებით. ამგვარად, გადასახადი ღებულობს გარდაქმნილი ზედმეტი ღირებულების განსაკუთრებული ფორმის კერძო სახეს, რაც კაპიტალიზმის პირობებში ხდება გადანაწილებით და, ამგვარად, მეორადი ექსპლოატაციის ურთიერთობათა ფორმად გვევლინება.

გადასახადებს, მფარველობით ბაჟებს, ფინანსურ სისტემას შეუძლია გავლენა მოახდინოს მეურნეობაზე საერთოდ ან მისი რომელიმე დარგის გაფართოებასა თუ შეკვეცაზე, მისთვის მიმართულების მიცემაზე და სხვ.

ფინანსებს შეუძლია პროგრესული როლი შეასრულოს, თუ იგი ხელს შეუწყობს ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარებას და. პირიქით, რეგრესულ ფაქტორადაც იქცეს, თუ შეაფერხებს მწარმოებლურ ძალთა განვითარებას, განამტკიცებს წარმოების ძველ ფორმას ან გამოიწვევს ქვეყნის მწარმოებლური ძალებისა და ნაციონალური შემოსავლის განიავებას.

ამით აიხსნება, რომ მარქსს ფინანსური კატეგორიები მოცემული აქვს განსახილველად თავისი საკვლევაძიებო გეგმის სათანადო ადგილზე, სახელდობრ,—მოგების, სარგებლისა და რენტის კატეგორიების გადმოცემის შემდეგ.

სახელმწიფო ფინანსების ძირითადი კატეგორიებია: სახელმწიფო ხარჯები, გადასახადები, სახელმწიფო კრედიტი, სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავალი და ბიუჯეტი.

ერთი შეხედვით, თითქოს უფრო სწორი იქნება სახელმწიფო ფინანსების კატეგორიების გადმოცემა დავიწყოთ რეალური და კონკრეტული წინაპირობიდან — ბიუჯეტიდან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების ყველა ურთიერთობის მდიდარ ერთობლიობას. მაგრამ უფრო ახლო განხილვა გვარწმუნებს, რომ ეს გზა მცდარია. ბიუჯეტი ქაოსური წარმოდგენაა მთელის შესახებ, თუ ჩვენ არ ვიცნობთ იმ ელემენტებს, რომლებისაგანაც იგი შედგება, თუ მხედველობის გარეშე ვტოვებთ სახელმწიფო შემოსავალს: სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავალს, სახელმწიფო კრედიტს, გადასახადებს. სახელმწიფო საწარმოთა შემოსავლის კატეგორიის გაგება შეუძლებელია სახელმწიფო კრედიტის კატეგორიის ცოდნის გარეშე, მაგრამ სახელმწიფო კრედიტი გაუგებარია გადასახადების გარეშე. რაც შეეხება გადასახადებსა და საერთოდ სახელმწიფო შემოსავალს, მათი გაგება მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ხარჯების შესწავლას. ამიტომ ბიუჯეტიდან დაწყება მხოლოდ უაზრო აბსტრაქცია იქნება, რადგან ამ შემთხვევაში კვლავ დაგვჭირდება ანალიზი მარტივი ცნებების მისაღებად.

სწორი არ არის ფინანსური კატეგორიების იმგვარი გადმოცემა, როგორიც მიღებულია ბურჟუაზიულ ფინანსურ მეცნიერებაში. ზოგიერთ ფინანსისტს სახელმწიფო ხარჯების კატეგორია სულ არ შეაქვს ფინანსური მეცნიერების შესწავლის სფეროში (მაგალითად, ლერუა ბოლიე, იანჟული, ოზეროვი[1]), სახელმწიფო შემოსავლის კატეგორიებს კი ფინანსური შრომების ავტორები გადმოგვცემენ ისეთი დალაგებით, რა როლსაც ასრულებდნენ ისინი ისტორიულად სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმაციებში. ისინი ჯერ გადმოგვცემენ ეგრეთ წოდებული (მათი ტერმინოლოგიით) კერძო უფლებრივი ხასიათის წყაროებს (დომენები, რკინიგზები და სხვ.), შემდეგ—საჯარო უფლებრივი ხასიათის წყაროებს (ფოსტა-ტელეგრაფი, მონეტების მოჭრა, მისაგებლები და სხვ.), ხოლო შემდეგ—გადასახადებს.

ასეთია ფინანსური კატეგორიების დალაგება მეტ-ნაკლები ვარიაციით ბურჟუაზიულ ფინანსისტთა შრომებში. მაგალითად, ვალტერ ლოტცი ფინანსურ კატეგორიებს გადმოგვცემს შემდეგი თანმიმ-

---

[1] Paul Leroy-Beaulieu, Traité de la science des finances. Paris, 1888; Янжул И. И., Основные начала финансовой науки, С. П., 1890; Озеров И. Х., Основы финансовой науки, М., 1909-1910.

დეერობით: ბიუჯეტი, საჯარო ხარჯები, გადასახადები და სხვ.: ბელა ფოლდესი — ბიუჯეტი, სახელმწიფო ხარჯები, სახელმწიფო საწარმონი და ქონებანი, მისაგებლები, გადასახადები, სახელმწიფო კრედიტი; გასტონ-ჟეზი — ბიუჯეტი, სახელმწიფო ხარჯები, სახელმწიფო კრედიტი, დომენები, მოსაკრებლები, გადასახადები[1]; ლერუა ბოლიე—დომენები, გადასახადები, ბიუჯეტი, საჯარო კრედიტი; კ. რაუ—სახელმწიფო ხარჯები, დომენები, მისაგებლები, გადასახადები, სახელმწიფო ვალი; ი. ოზეროვი—დომენები, ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზები, სამონეტო საქმე, გადასახადები, ბაჟები, აქციზები, ბიუჯეტი, ადგილობრივი ფინანსები, სახელმწიფო კრედიტი;[2] დასასრულ, ფინდლეი შირასი—სახელმწიფო ხარჯები, გადასახადები, დომენები, ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზები, სახელმწიფო კრედიტი, ბიუჯეტი[3].

მარქსი აღნიშნავს, რომ რენტა, როგორც მიწის შემოსავალი, ისტორიულად წინ უსწრებს კაპიტალს, მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მიწათმოქმედებას კაპიტალი იმორჩილებს და თვით რენტაც კაპიტალისტური ხდება. რენტას ვერ გავიგებთ კაპიტალის გარეშე, კაპიტალს კი გავიგებთ რენტის გარეშე. ამიტომ მარქსი ჯერ კაპიტალს გადმოგვცემს და შემდეგ—რენტას. იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფო შემოსავლის კატეგორიების თანამიმდევრობის შესახებაც.

კაპიტალიზმის პირობებში გადასახადი უფრო ზოგადი და მარტივი კატეგორიაა, ვიდრე, ვთქვათ, დომენების, რკინიგზის შემოსავალი, მისაგებელი, სახელმწიფო კრედიტი. კაპიტალიზმამდე სახელმწიფო შემოსავლის მთავარ წყაროს დომენების შემოსავალი წარმოადგენდა, მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში ის სახელმწიფოსათვის დამატებით შემოსავლად იქცევა, გადასახადი კი — შემოსავლის ძირითად ფორმად. მარქსი წერს, რომ თანამედროვე ფისკალური სისტემის ბრუნვის ღერძს „აუცილებელ საარსებო საშუალებათა დაბეგვრა (მაშასადამე, მათი გაძვირება) შეადგენს.[4] ამავე დროს საბიუჯეტო შემოსავლის სხვადასხვა წყარო კაპიტალიზმის პირობებში გადასახადის ხასიათს

---

[1] W. Lotz, Finanzwissenschaft, 1929, Tübingen; B. Földes, Finanzwissenschaft, 1927, Jena; G. Jèze, Traitédc la science des finances, Paris, 1925.

[2] Leroy Beaulieu, Traité de la science des finances, Paris, 1888; K. Rau, Grundsätze der Finanzwissenschaft 1956—60; И. Озеров, Основы финансовой науки, вып. I, 1909; Вып. II, 1910;

[3] Findlay shirras, The science of public finance, London, 1925.

[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 948.

ღებულობს. სახელმწიფო საწარმოს შეუძლია ისარგებლოს მონოპოლიური უფლებით და მაღალი ფასები დააწესოს; მაშინ სხვაობა თავისუფალ საკონკურენციო ფასსა და სახელმწიფო მონოპოლიურ ფასს შორის გადაიქცევა გადასახადად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფო საწარმო თვითღირებულებაზე დაბალ ფასებს აწესებს; მისი შემოსავალი საგადასახადო ხასიათისაა, ვინაიდან სახელმწიფო ამ დანაკლისს ფარავს ბიუჯეტური წყაროებით: გადასახადებით და სახელმწიფო სესხებით. ასევე, საზღაურს აღმატებული ან მასზე დაბალი მისაგებელიც გადასახადის ხასიათს ღებულობს.

ქაღალდის ფულის გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების მთელი ჯამი გადასახადად იქცევა. იგივე შეეხება სახელმწიფო სესხებსაც. სახელმწიფო სესხის სარგებლისა და თვით თავნის გადახდაც საბოლოო ანგარიშით გადასახადებით წარმოებს. „...სახელმწიფო ვალი სახელმწიფო შემოსავალს ემყარება და ამ შემოსავალმა წლიური პროცენტები და სხვა გადასახდელი უნდა დაფაროს, ამიტომ თანამედროვე საგადასახადო სისტემა ნაციონალურ სესხთა სისტემის აუცილებელ დამატებად იქცა. სესხი საშუალებას აძლევს მთავრობას ისე დაფაროს საგანგებო ხარჯები, რომ გადასახადგადამხდელმა ეს არ იგრძნოს მაშინვე, მაგრამ იგივე სესხი საბოლოოდ მაინც გადასახადების გადიდებას მოითხოვს"[1]. ამიტომ შემოსავლის ეს კატეგორიები გადასახადთან შედარებით უფრო კონკრეტულია და ისინი მის შემდგომ უნდა იქნენ გადმოცემულნი. გადასახადებს შევიცნობთ შემოსავლის ამ კატეგორიების გარეშე, მაგრამ მათ ვერ გავიგებთ გადასახადების გარეშე.

რაც შეეხება „სახელმწიფო ხარჯების" კატეგორიას, მისი გადმოცემა წინ უნდა უსწრებდეს „გადასახადების" კატეგორიას, ვინაიდან გადასახადის მიმართულება და დანიშნულება აიხსნება სახელმწიფო მოთხოვნილებათა არსებობით — სახელმწიფო აპარატის, არმიის, არამწარმოებელი კლასების და სხვ. არსებობით. ეს მკაფიოდ დასტურდება კ. მარქსის შემდეგი სიტყვებით: „გადასახადი არის ბიუროკრატიის, არმიის, ხუცებისა და სასახლის, ერთი სიტყვით, აღმასრულებელი ხელისუფლების მთელი აპარატის საარსებო წყარო. ძლიერი მთავრობა და მაღალი გადასახადები იდენტური ცნებებია"[2].

როგორც ვნახეთ, მარქსი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" სამზადის ნაშრომში სახელმწიფო ფინანსების კატეგორიებს შეე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 948.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, 1963, გვ. 375.

დეგი თანამიმდევრობით განიხილავს: „სახელმწიფო (სახელმწიფო და ბურჟუაზიული საზოგადოება) — გადასახადი, ანუ „არამწარმოებელი“ კლასების არსებობა. სახელმწიფო ვალი“ [1]. როგორც ვხედავთ, მარქსის აზრით, გადასახადი გაპირობებულია „არამწარმოებელი“ კლასების არსებობით. თავის საკვლევაძიებო გეგმაში იგივე კატეგორიები მარქსმა დაალაგა შემდეგი თანამიმდევრობით: „ბურჟუაზიული საზოგადოების კონცენტრირება სახელმწიფოს ფორმით. თავის თავისადმი მიმართებაში განხილული“. „არამწარმოებელი კლასები“, გადასახადები, სახელმწიფო ვალი, სახელმწიფო კრედიტი“ [2].

ამნაირად, კატეგორია „არამწარმოებელი“ კლასები წინ უსწრებს გადასახადებს. სახელმწიფო აპარატის, „არამწარმოებელი“ კლასების არსებობით გამოწვეული სახელმწიფო ხარჯების კატეგორია უფრო მარტივია, ვიდრე სახელმწიფო შემოსავლის კატეგორია. ამიტომ მისი გადმოცემა წინ უნდა უსწრებდეს გადასახადის კატეგორიის გადმოცემას.

II. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსების არსი. ფინანსური მეცნიერების საგანი

ფინანსური მეცნიერება შეისწავლის ფინანსურ ურთიერთობებს, რომლებიც მატერიალურ რესურსებშია განივთებული და ამ უკანასკნელთა სახითაა წარმოდგენილი. ფინანსური ურთიერთობანი წარმოებრივი ურთიერთობანია, მათი ნაწილია, მათი სპეციფიკური სახეობაა. წარმოებრივი ურთიერთობანი ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში არსებობენ, ფინანსური ურთიერთობანი კი— არა. სხვანაირად, წარმოებრივ ურთიერთობათა გარკვეული ნაწილი ადამიანთა საზოგადოების განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ საფეხურზე იქცა ფინანსურ ურთიერთობად—ადამიანთა იმგვარ კავშირად და ურთიერთობად, რომელიც ფულადი ურთიერთობის შექმნისა და საზოგადოების სახელმწიფოებრივ და სხვა ორგანიზაციულ ფორმებში ჩამოყალიბების შემდეგ დამყარდა.

პირველყოფილი თემური წარმოების წესის პირობებში წარმოებრივი ურთიერთობანი ფინანსურ ურთიერთობამდე არ ასულა, მათ ფინანსური ურთიერთობის ხასიათი არ მიუღიათ. ეს იმიტომ, რომ ამ წარმოების წესის პირობებში არ არსებობდა საქონლურ-ფულადი

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 293.
[2] იქვე.

მეურნეობა, კერძო საკუთრება, საზოგადოების კლასებად დაყოფა, სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი ძალაუფლებით აღჭურვილი სხვადასხვა ორგანიზაციები და მათი ფუნქციებით გაპირობებული ამოცანების განსახორციელებლად მატერიალური რესურსების მოპოვება და გამოყენება. წარმოებრივ ურთიერთობათა ნაწილი ფინანსური ურთიერთობის ხასიათს ღებულობს მონათმფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა პირობებში.

სიტყვა „ფინანსები", როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, წარმოშობილია შუასაუკუნეების ლათინური სიტყვიდან „finatio" ან „financia", რაც ნიშნავდა ფულის სავალდებულო გადახდას, შემდეგ—საერთოდ ფულად თანხას. მე-16 საუკუნიდან საფრანგეთში ამ ტერმინით „finances" აღინიშნებოდა სახელმწიფო სახსრების მდგომარეობა.

მარქსი და ლენინი ტერმინს „ფინანსები" ხმარობენ ამ სიტყვის ვიწრო და ფართო მნიშვნელობით. ვიწრო მნიშვნელობით „ფინანსებში" ნაგულისხმევია სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები. ფართო მნიშვნელობით—როგორც სახელმწიფო, ასევე ინდივიდუალურ თუ კორპორაციულ კაპიტალისტურ საწარმოთა ფულადი სახსრები[1]. ფინანსური მეცნიერება შეისწავლის ფინანსებს ვიწრო მნიშვნელობით, ძირითადად — სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებს, მათში განივთებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ფინანსურ ურთიერთობას ორი მხარე აქვს. ერთი გამოსახულია იმ მატერიალურ სახსრებში, რომელთაც სახელმწიფო ითვისებს სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის შემოსავლის სახით და იმ სახალხომეურნეობრივ ცვლილებებში, რასაც ეს მითვისება იწვევს ნაციონალური შემოსავლის განაწილებასა და გადანაწილებაში. ურთიერთობათა მეორე მხარე გამოსახულია სახელმწიფოს მიერ მატერიალური სახსრების გარკვეული დანიშნულებით გამოყენებასა და ამ სახსრებისათვის გარკვეული მიმართულების მიცემაში, ე. ი. სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის გასავლით გათვალისწინებულ ხარჯებში. ურთიერთობათა ეს მეორე მხარეც პოულობს თავის გამოსახულებას ქვეყნის სახალხომე-

---

[1] იხ. ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე. ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები, 1966, გვ. 26—31: ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, შესავალი, იხ. ფინანსები და კრედიტი ვ. ი. ლენინის შრომებში: ქრესტომათია, შედგენილი ავტორთა კოლექტივის მიერ პროფ. ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ი ს ხელმძღვანელობით.

ურნეობრივ ცვლილებებსა და ნაციონალური შემოსავლის განაწილება-გადანაწილებაში.

კაპიტალისტური სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად სახეობას წარმოადგენს გადასახადი. იგი, პირველ ყოვლისა, არის მატერიალური სახსრები, საზოგადოებრივი სიმდიდრის წილი, რომელიც სახელმწიფოს, როგორც გაბატონებული კლასის აპარატის, გარკვეულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორია ექსპლოატატორული სახელმწიფოს მმართველობის ფორმა და, აგრეთვე, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ როგორ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს—როგორც გაბატონებული კლასის პირდაპირი დაფინანსების საშუალება, თუ არაპირდაპირად, — როგორც გაბატონებული კლასისათვის საექსპლოატაციო პირობათა შექმნისა და უზრუნველყოფის საშუალება.

სახელმწიფო შემოსავალთა სხვა კატეგორიებიც ძირითადად გადასახადურ ხასიათს ღებულობს და გადასახადამდე დაიყვანება. ამიტომ კაპიტალისტური სახელმწიფოებრივი ფინანსების დარგში გადასახადი შემოსავლის ძირითად კატეგორიას წარმოადგენს.

კაპიტალისტური საზოგადოების სიმდიდრე საქონლურ-ფულადი ხასიათისაა, რა ხასიათისაა სიმდიდრის ის ნაწილი, რომელიც გადასახადის ფორმას ღებულობს?

გადასახადი თავის ნატურალურ ფორმაში საქონელი არ არის. იგი ისეთი ნივთია, რომელიც ადამიანის შრომის პროდუქტს და, მაშასადამე, ღირებულებას წარმოადგენს და საზოგადოებრივი სახმარი ღირებულებაა; ამასთანავე იგი აკმაყოფილებს არა მწარმოებლის ან მესაკუთრის მოთხოვნილებებს, არამედ სხვის მოთხოვნილებებს. მაშასადამე, ეს პროდუქტი მესაკუთრეებს იცვლის—გადამხდელის საკუთრებიდან გადამხდევინებლის საკუთრებაში გადადის, მაგრამ საქონელი მაინც არ არის, ვინაიდან იგი, როგორც გადასახადი, გადამხდევინებლის ხელში არ გადადის გაცვლის გზით. „პროდუქტი რომ საქონლად იქცეს, იგი გაცვლის საშუალებით უნდა გადავიდეს იმის ხელში, ვისაც ის სახმარი ღირებულების სახით ემსახურება"[1]. გადასახადად შესაძლებელია გადაიქცეს ნივთი, რომელიც უკვე იყო საქონელი, მაგრამ მისი გადასახადად აღების შემდეგ ის საქონლის მიმოქცევის სფეროდან გამოდის და საქონლურ ხასიათს კარგავს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში გადასახადი ფულადი ხასიათისაა. ამ საზოგადოებაში ფული აღწევს სრულ თავის გაშლას და ყოველგვარი ურთიერთობა ფულში გამოისახება. გადასახადები მიეკუთ-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 57.

ვნება გადასახდელთა იმ ჯგუფს, რომელიც პირდაპირ საქონლის მიმოქცევიდან არ გამომდინარეობს. კ. მარქსი წერს: „ისინი (თითოეულ ქვეყანაში დამყარებული გადასახადის განსაზღვრული საყოველთაო ვადები — ვ. ჩ.) აწესრიგებენ იმ გადასახდელებსაც, რომელნიც არ გამომდინარეობენ პირდაპირ საქონელმიმოქცევიდან, როგორც, მაგალითად, გადასახადი, რენტა და ა. შ.“[1]. ფული მოემსახურება იმგვარ გადასახდელებსაც, რომელნიც პირდაპირ საქონლის მიმოქცევიდან არ გამომდინარეობენ, და აგრეთვე — გადასახადების გადახდევინებასაც.

კრედიტის განვითარებამ გააფართოვა ფულის ფუნქცია როგორც გადახდის საშუალებისა. ფულმა მოიპოვა არსებობის საკუთარი ფორმა და განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საქონლის მიმოქცევის სფეროს ფარგლებიდან გამოვიდა. ფული გადაიქცა ხელშეკრულებათა ვალდებულებების საყოველთაო საქონლად. „რენტა, გადასახადი და ა. შ. ნატურით გადასახდელიდან ფულად გადასახდელად გადაიქცა“[2]. ნატურალური გადასახადის ფულად გადასახადად გადაქცევა გადასახადს საქონლის განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებს, რამდენადაც ფული საქონლის მიმოქცევის სფეროს ფარგლებიდან გამოსვლით ვალდებულებათა საყოველთაო საქონლად იქცევა.

ფული შეიძლება მიღებულ იქნეს სესხის აღებით, საქონელზე ფასების წამატებით, გადასახადების გადახდევინებით, პირდაპირი ძარცვა-გლეჯითაც. ყველა ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი მასშტაბით ახალი ღირებულება არ იქმნება, ხდება მხოლოდ შექმნილის გადანაწილება, მაშასადამე, ფული მოემსახურება არა ახალი ღირებულების შექმნას, არამედ შექმნილის გადანაწილებას თავისებურ ფორმაში.

საგადასახადო ურთიერთობას წინ უსწრებს წარმოებისა და განაწილების ურთიერთობა. გადასახადი ღირებულებას არ ქმნის, იგი გადაანაწილებს უკვე წარმოებულსა და განაწილებულ ღირებულებას. გადასახადის აღებით სახელმწიფო ახალ საზოგადოებრივ სიმდიდრეს კი არ ქმნის, არამედ ითვისებს უკვე შექმნილი საზოგადოებრივი სიმდიდრის წილს. გადასახადი კაპიტალისტური წარმოების პროცესისათვის იმანენტური ფორმა არ არის; მაგრამ ის გაპირობებულია კაპიტალისტური სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობით.

მატერიალური დოვლათის გადანაწილება შესაძლებელია გაცვლის საშუალებით და მის გარეშეც. კ. მარქსის აზრით, გაცვლა უკვე არის

---

1 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 181.

2 იქვე, გვ. 180.

გადანაწილება, ანუ განაწილებულის ხელახალი განაწილება. „გაცვლა ხელახლა ანაწილებს უკვე განაწილებულს ცალკეული მოთხოვნილების მიხედვით“[1].

მეორენაირი გადანაწილება არის განაწილებულის ხელახალი განაწილება გაბატონებული კლასის მოთხოვნილებათა შესაბამისად, რაც გაპირობებულია ბურჟუაზიული საზოგადოების სახელმწიფოებრივ ფორმაში კონცენტრირებით. პირველ შემთხვევაში ხელახალი განაწილება ხდება შეთანხმების საფუძველზე, მეორე შემთხვევაში წესდება ცალმხრივად, კანონმდებლობის გზით. ურთიერთობათა ამ სახეობას მიეკუთვნება ფასების ნომინალური დარიცხვა ძალდატანებითი ორგანიზაციული ფორმით. ამასვე მიეკუთვნება სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავალი, ფისკალური მონოპოლია.

ამგვარად, გადანაწილების ეს მეორე სახეობა ამა თუ იმ სახით გაცვლასთან არის დაკავშირებული. ასეთია ზემოხსენებული ფასების ნომინალური დარიცხვა, სახელმწიფოებრივ საწარმოთა და ქონებათა შემოსავალი და არაპირდაპირი გადასახადები და მათი ფაქტიურ გადამხდელებამდე დაყვანა. ამ შემთხვევაში ფასების ნომინალური დარიცხვა, სახელმწიფოებრივ საწარმოთა და ქონებათაგან შემოსავლის მიღება გაცვლას უკავშირდება; არაპირდაპირი გადასახადებიც ასევე გაცვლის პროცესს დაერთვის და მისი საშუალებით ხორციელდება.

იგივე ითქმის სახელმწიფო კრედიტის შესახებ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები მიმოიქცევა შინა და მსოფლიო ბაზარზე და მისი ფასი, ისევე როგორც ფულის ფასი, დამოკიდებულია ყოველ მოცემულ მომენტში მიწოდება-მოთხოვნის შეფარდებისაგან, ფულის ნაკლებობისა ან სიჭარბისაგან და ყველა ესენი თავის მხრივ—მრავალი რთული ეკონომიკური გარემოებისაგან.

ამ ვითარებაში იქმნება გაცვლით გაპირობებული განაწილება და განაწილებით გაპირობებული გაცვლა.

ფული თავისთავად ჯერ კიდევ ფინანსები არ არის ისევე, როგორც ფული თავისთავად კაპიტალი არ არის. ფული კაპიტალად იქცევა მაშინ, როცა ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს. აუცილებელი და ზედმეტი ღირებულების გამოვლინებათა ფორმების ერთი წილის სახელმწიფო კრედიტად და გადასახადად გადაქცევა ფულს სახელმწიფოებრივ ფინანსებად აქცევს. სახელმწიფოს მიერ გადასახადებითა და სახელმწიფოებრივ შემოსავალთა სხვა სახეობებით მიღებული

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 264.

ფულის გარკვეული დანიშნულებით გამოყენება ფულს ფინანსებად აქცევს.

ამგვარად, ბიუჯეტის საშუალებით ფულადი სახსრების განაწილება-გადანაწილება არის ფინანსური ურთიერთობა, რომელიც გამოხატავს განაწილებით გაპირობებულ გაცვლას, ფულის გადახდის ფუნქციის გამოყენებას.

არასახელმწიფოებრივი ფინანსების მიმართ არ შეიძლება იყოს ორი აზრი იმაზე, რომ ის წარმოებრივ ურთიერთობათა სფეროს ეკუთვნის, ეკონომიკის ნაწილს შეადგენს. არავინ შეეცდება იმის მტკიცებას, რომ ცალკეულ კაპიტალისტურ საწარმოთა ფინანსები ან ფინანსური კაპიტალი, დივიდენდები, აქციები, ფულადი ბაზარი და სხვ. არ წარმოადგენენ წარმოებრივ ურთიერთობებს, რომ ისინი ეკონომიკის სფეროს გარეშე მდებარეობენ.

თვით სახელმწიფოებრივი ფინანსები, ბიუჯეტური სახსრებიც კი, წარმოებრივ ურთიერთობებს წარმოადგენენ და ეკონომიკის ნაწილს შეადგენენ. მართალია, ეს ფინანსები სახელმწიფოებრივია, ე. ი. დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, როგორც ზედნაშენურ, არაეკონომიკურ მოვლენასთან, მაგრამ ამ დაკავშირებით იგი ეკონომიკის სფეროდან არ გამოდის, მაშასადამე, ისევ ეკონომიკის ელემენტად რჩება. ფინანსები აქ სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს შეადგენს. მასშია მოცემული სახელმწიფოს ეკონომიკურად გამოსახული არსებობა. სახელმწიფო მატერიალური მხრით, როგორც კ. მარქსი ამბობს, „მუშათა კლასისათვის არსებობს უშუალოდ მხოლოდ გადასახადების ფორმით". „სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს გადასახადები შეადგენს" [1]. გადასახადები ნაციონალური შემოსავლის ნაწილია. ამასთანავე აღსანიშნავია მარქსის აზრი, რომ აზიაში ნატურალური ფორმა მიწის რენტისა „სახელმწიფო გადასახადის მთავარ ელემენტს შეადგენს" [2]. თუ გადასახადის მთავარი ელემენტი რენტაა, მაშინ გადასახადიც იმავე ბუნებისაა, როგორისაც რენტა, ე. ი. გადასახადიც ეკონომიკური კატეგორიაა.

გადასახადი, ხარკი, ათისთავი (სამეათედო) და სხვ. წარმოადგენენ ფინანსების ძირითად ელემენტებს; ესენი კი, კ. მარქსის აზრით, საზოგადოებრივი წარმოების წილს შეადგენენ, ე. ი. მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობას გამოხატავენ. მაშასადამე, ფინანსები ვლინდება ეკონომიკურ ურთიერთობად, ეკონომიკის ნაწილად.

გადასახადი გადაუხდელი შრომის ნაწილია. ამის შესახებ ფ. ენ-

---

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. 4, 1955, стр. 308.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954. გვ. 181.

გელსი წერს: „...გადაუხდელი შრომის ანგარიშით ცხოვრობს ყველა არამშრომელი წევრი საზოგადოებისა. მისგან ხდება გადახდევინება სახელმწიფო და კომუნალური გადასახადებისა, რომლებიც კაპიტალისტთა კლასს ეკისრება, მიწათმფლობელთა მიწის რენტისა და სხვ.“[1]. „ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, მისი რომელი ნაწილიც არ უნდა ავიღოთ — კაპიტალისტის მოგება, მიწის რენტა, გადასახადი და სხვ. — არის გ ა დ ა უ ხ დ ე ლ ი შ რ ო მ ა“[2]. როგორც ვიცით, გადაუხდელი შრომა ეკონომიკური ურთიერთობაა, მაშასადამე, მისი ნაწილი — გადასახადიც ეკონომიკური ურთიერთობა იქნება.

ვ. ლენინი წერს: „ყოველი საზოგადოებრივი წყობილება წარმოიშობა მხოლოდ განსაზღვრული კლასის ფინანსური დახმარებით. ზედმეტია გავიხსენოთ ის მრავალი ასეული მილიონი მანეთი, რადაც დაჯდა „თავისუფალი კაპიტალიზმის წარმოშობა“[3]. განსაზღვრული კლასის ფინანსური დახმარება გამოხატავს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მდგომარეობას და ურთიერთდამოკიდებულებას წარმოებასა და განაწილებაში. ის განმანაწილებლობითი ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს, განსაზღვრული კლასის ფინანსურ დახმარებას, ქვეყნის მეურნეობისა და კულტურის ამა თუ იმ ზომით და მიმართულებით განვითარებას, საერთოდ, კარგი თუ ცუდი ფინანსური სისტემა ბაზისის ელემენტია. ზედნაშენი სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკაა და არა ფინანსები.

ამგვარად, ფინანსები თავისთავად, როგორც მატერიალური სახსრები, აგრეთვე წყაროს თვალსაზრისით — როგორც გადაუხდელი შრომის, როგორც ნაციონალური შემოსავლისა და ნაციონალური სიმდიდრის ნაწილი ანუ მატერიალური საზოგადოებრივი ურთიერთობა — ეკონომიკური ურთიერთობაა.

საყურადღებოა აგრეთვე საკითხი, რომ ყველა მატერიალური სახსარი არ წარმოადგენს ფინანსებს. სახელმწიფოებრივი ფინანსები ყალიბდება განაწილება-გადანაწილების პროცესში. ძალიან განაწილება ხდება არა წმინდა გაცვლის გზით, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკური ჩარევის საშუალებით, გარეშე ეკონომიკური გზით. იქნებ სწორედ იმის გამო, რომ მატერიალური სახსრები ფინანსებად გარეშე ეკონომიკური გზით ყალიბდება, ისინი აღარ წარმოადგენენ წარმოებრივ ურთიერთობას, ეკონომიკურ ურთიერთობას.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 16, 1960, стр. 243.

[2] იქვე. გვ. 216.

[3] ვ. ი. ლენინი, კოოპერაციის შესახებ. თხზ., ტ. 33, 1953, გვ. 554.

როგორც ვიცით, პროდუქტთა განაწილების ფორმები წარმოებრივ ურთიერთობათა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ეკონომიკური ურთიერთობის სფეროს მიეკუთვნება იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა მეთოდით წარმოებს ეს განაწილება — ეკონომიკური თუ გარეშე ეკონომიკური გზით, აგრეთვე იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რას ეხება ის—განაწილებას თუ განაწილებულის ხელახლად განაწილებას.

გარეშე ეკონომიკური ექსპლოატაციის მეთოდები გამოიყენება არა მარტო გადანაწილების, არამედ პირველადი განაწილების დროსაც, მასთან არა მარტო განაწილების, არამედ წარმოების პროცესშიც.

ცნობილია, რომ მონათმფლობელურ წყობაში გარეშე ეკონომიკური იძულება გამოიყენებოდა თვით წარმოების პროცესში. მონებს ფიზიკური ძალდატანების გზით აიძულებდნენ ემუშავათ. ფეოდალიზმი ემყარებოდა მებატონისაგან გლეხის პირად დამოკიდებულებას.

ვ. ი. ლენინი წერს: მემამულეს რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შეძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა[1]. საჭიროა, მაშასადამე, „გარეშე ეკონომიკური იძულება". არა მარტო კაპიტალიზმამდელ, არამედ თვით კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ფორმაციაშიც გამოიყენება გარეშე ეკონომიკური იძულების ხერხები წარმოებისა და განაწილების პროცესში. იძულების ხერხები გამოიყენებოდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების დროს და გამოიყენება კაპიტალიზმის მონოპოლისტურ სტადიაშიც. აქ გარეშე ეკონომიკური იძულების მეთოდები გადახლართულია ეკონომიკურ იძულებასთან. ეს ხერხები კიდევ უფრო მეტად გამოიყენება იქ, სადაც სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალი ბატონობს, სადაც პირდაპირი ძალადობის მეთოდებით აწესებენ შრომის კაბალურ პირობებს.

ამგვარად, ის გარემოება, რომ სახელმწიფოებრივი ფინანსების ჩამოყალიბებაში გამოყენებულია გარეშე ეკონომიკური იძულება, არ ართმევს ფინანსებს წარმოებრივ ურთიერთობათა ხასიათს და არ გამოჰყავს იგი ეკონომიკის სფეროდან. როგორც ვნახეთ, მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში არა მარტო დამატებითი ექსპლოატაცია, არამედ ძირითადი ექსპლოატაციაც გაპირობებულია გარეშე ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით. მაშასადამე, იქ წარმოებრივ ურთიერთობათა არა მარტო ნაწილს ახასიათებს გარეშე

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტ. 3, გვ. 208.

ეკონომიკური იძულების გამოყენება, არამედ მთლიანად ამ ფორმაციის მთელ წარმოებრივ ურთიერთობებს.

სახელმწიფოს ჩარევა მეურნეობრივ საქმიანობაში ეკონომიკურ ურთიერთობას ეკონომიკურ ხასიათს არ უკარგავს. ფულის მოჭრა სახელმწიფოს, ე. ი. ზედნაშენის საქმეა. ქაღალდის ფულს სახელმწიფო უშვებს. ქაღალდის სიმბოლო ფულის ნიშნისათვის დამახასიათებელ ობიექტურად საზოგადოებრივ მნიშვნელობას „იძულებითი კურსის მეოხებით იძენს"[1]. აქ სახელმწიფოებრივი იძულება ელინდება როგორც ეკონომიკური ურთიერთობა.

სახელმწიფო გადასახადებს იღებს ქაღალდის ფულისა და საკრედიტო ბილეთების საშუალებით. ქაღალდის ფულის ინფლაციის შემთხვევაში გაუფასურების ჯამი საემისიო გადასახადად იქცევა.

საფაბრიკო კანონმდებლობით, სახელმწიფო ზემოქმედებს შრომის პირობებსა და სამუშაო ხელფასზე, მაგრამ უკანასკნელი რჩება მაინც ეკონომიკურ კატეგორიად. სახელმწიფოს უკუზეგავლენა ბაზარზე წარმოებრივ ურთიერთობებს ზედნაშენად არ აქცევს.

საშუალებანი, რომლითაც ზედნაშენი უკუზეგავლენას ახდენს ბაზისზე, შეიძლება იყოს მატერიალური, როგორც, მაგალითად, ფინანსები, კერძოდ, გადასახადები, სახელმწიფოებრივი ხარჯები და სხვ., და შეიძლება იყოს არამატერიალურიც, როგორც, მაგალითად, კანონები, იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმები. მაგრამ რა საშუალებითაც არ უნდა მოახდინოს უკუზეგავლენა ზედნაშენმა ბაზისზე, ეკონომიკა დარჩება მაინც ეკონომიკად. შესაძლებელია ეს ზეგავლენა იმდენად ძლიერი იყოს, რომ ეკონომიკამ სახე შეიცვალოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ის იქნება ეკონომიკა, სახეშეცვლილი ეკონომიკა.

გამოსაღები და ბეგარა რომ ეკონომიკური ურთიერთობაა, ამის შესახებ კ. მარქსს პირდაპირ აქვს ნათქვამი. იგი წერს: „...ეს სრულიად მარტივი კატეგორია (ლაპარაკია ფულზე — ვ. ჩ.) მთელი თავისი ინტენსივობით ისტორიულად გვევლინება მხოლოდ საზოგადოების უაღრესად განვითარებულ მდგომარეობაში. იგი სრულიადაც არაა შეპრილი ყველა ეკონომიკურ ურთიერთობაში; მაგალითად, რომის იმპერიაში, მისი უაღრესი განვითარების პერიოდში, საფუძველს წარმოადგენდა ისევ გამოსაღები ნატურით და ბ ე გ ა რ ა ნ ა ტ უ რ ი თ"[2] (ხაზგასმა ჩვენია — ვ. ჩ.).

ამგვარად, მარქსის აზრით, გამოსაღები და ბეგარა არის ეკონო-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 167.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 285; იხ. რუს. გამოც., 1954 წ., გვ. 216.

მიკური ურთიერთობა. მას, როგორც, ვხედავთ, ეკონომიკური ურთიერთობის მაგალითად დასახელებული აქვს გამოსაღები და ბეგარა.

აქ შესაძლებელია საკითხი დაისვას ამგვარად: როგორ შეიძლება გამოიყენებოდეს ფინანსები — როგორც ზემოქმედების საშუალება წარმოების განვითარებაზე, თუ ის თვითონ არის ეკონომიკის ელემენტი?

წარმოების განვითარებაზე რომ ფინანსები უკუზეგავლენას ახდენენ, სრულიად ბუნებრივია.

ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ როდესაც პროდუქტებით ვაჭრობა გამოეყოფა წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი საბოლოო რიგში წარმოებით არის გაპირობებული, პროდუქტებით ვაჭრობა საკუთარი კანონებით იწყებს მოძრაობას. იგი უკუზეგავლენას ახდენს წარმოების მოძრაობაზე. როდესაც საქონლით ვაჭრობას გამოეყოფა ფულით ვაჭრობა, იგი საკუთარ მოძრაობას იწყებს და განსაკუთრებულ კანონებს მისდევს. „თუ ამას იმასაც დავურთავთ, რომ ფულით ვაჭრობა თავის შემდგომ განვითარებაში ფართოვდება ფასიანი ქაღალდების ვაჭრობამდე და რომ ეს ფასიანი ქაღალდები არა მარტო სახელმწიფო ქაღალდებია, არამედ მას კიდევ უერთდება მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა აქციები და, ამგვარად, ფულით ვაჭრობა ხელთ იგდებს პირდაპირ ბატონობას წარმოების ნაწილზე, რომელიც საერთოდ და მთლიანად ბატონობს მასზე, მაშინ ფულით ვაჭრობის უკუქმედება წარმოებაზე კიდევ უფრო ძლიერი და როული ხდება“ [1].

ამგვარად, ის გარემოება, რომ ფინანსები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უკუზემოქმედების საშუალებად, არ ნიშნავს იმას, რომ ის ზედნაშენად იქცევა.

თუ სახელმწიფოებრივ ფინანსებს განვიხილავთ სახსრების მიზანდასახულობის მიხედვითაც, ასეთი განხილვა გვიჩვენებს სახელმწიფოებრივ შემოსავალთა მიმართულებას, იმას, თუ რაში ხარჯავს სახელმწიფო აკუმულირებულ სახსრებს. სახელმწიფოებრივი ხარჯების აუცილებლობა ერთგვარად აპირობებს სახელმწიფოს შემოსავალთა მიღების აუცილებლობას.

სახელმწიფოებრივი ხარჯები არ ნიშნავს სახსრების გამოყენებას ნივთთა სახმარი ღირებულების თვალსაზრისით, რაც ხორციელდება უშუალო ურთიერთობაში ადამიანსა და ნივთს შორის; სახელმწიფოებრივი ხარჯები გამოხატავს გადანაწილებითს ურთიერთობას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა და კლასებს შორის, რაც გაბატონებუ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 37. 1965, стр. 416.

ლი კლასის ორგანიზაციისა და ამ განაწილებით გაპირობებული გაცვლის საშუალებით ხორციელდება. სახელმწიფოებრივი ხარჯები აპირობებს და კიდევაც ემყარება სახელმწიფოს შემოსავალს. მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივი ხარჯები თვითონ ხდება შემოსავალი სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და კლასებისათვის. კაპიტალისტური სახელმწიფოებრივი ხარჯები ძირითადად შემოსავალად იქცევა ისეთი პირებისათვის, რომლებიც არ მონაწილეობენ მატერიალური წარმოების პროცესში. ეს პირები საზოგადოებრივი წარმოების წილს ვერ შეიხვედრებდნენ გადანაწილებითი ურთიერთობების განხორციელების გარეშე.

სახელმწიფოებრივი ხარჯები გამოიყენება მმართველობის აპარატის შესანახად, სამხედრო ღონისძიებებისათვის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებისათვის, გაბატონებულ კლასთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაფინანსებისა და სახელმწიფოებრივ საწარმოთა და ქონებათა დაფინანსებისათვის.

მმართველობის აპარატისა და სამხედრო ღონისძიებათა დაფინანსების ხარჯები არის გადანაწილებითი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივი აპარატის არსებობასა და მისი საშუალებით გაბატონებულ კლასთა ინტერესების დაცვას საშინაო და საგარეო ურთიერთობაში. აქ ფინანსები ეკონომიკურად მოემსახურება თვით სახელმწიფოს როგორც ზედნაშენს, რომელიც თავის მხრივ პოლიტიკურად მოემსახურება საზოგადოებას. პოლიტიკური ხელისუფლება, როგორც ფ. ენგელსი ამბობს, ეკონომიკურად უღონო არ არის. „ძალადობაც (ე. ი. სახელმწიფო ხელისუფლება) ეკონომიკური ძალაა“[1]. პოლიტიკა, ვ. ი. ლენინის დახასიათებით, ეკონომიკის პირდაპირი და უშუალო გამოხატულებაა.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები, რომლებიც მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობას გამოხატავენ, ეკონომიკურად მოემსახურება გაბატონებულ იდეებსა და მის შესაბამის დაწესებულებებს, რომლებიც ზემოხსენებული სახეობის ხარჯებთან ერთად იცავენ და ამტკიცებენ ბაზისს.

ხარჯთა მეორე კატეგორია — სახელმწიფოებრივ საწარმოთა და ქონებათა დაფინანსების ხარჯები და გაბატონებულ კლასთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაფინანსების ხარჯები—თავის გარკვეულ ნაწილში ეკონომიკურად მოემსახურება წარმოებას, განსაკუთრებით მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, როდესაც, როგორც ვ. ი. ლენინი წერს, „...თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ ეხლართე-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 37, 1965, стр. 420.

ბიან ერთმანეთს ერთ მთელად კერძო და სახელმწიფო მონოპოლიები ფინანსური კაპიტალის ეპოქაში, თუ ერთნიც და მეორენიც როგორ არიან ნამდვილად მხოლოდ ცალკეული რგოლები იმპერიალისტური ბრძოლისა უმსხვილეს მონოპოლისტებს შორის მსოფლიოს გაყოფისათვის"[1].

ამგვარად, სახელმწიფოებრივი ფინანსები, როგორც ხარჯთა ერთიანობა, ორი ნაწილისაგან შედგება: ერთი ეკონომიკურად უშუალოდ მოემსახურება ზედნაშენურ მოვლენებს, მეორე — იქცევა წარმოების აუცილებელ ეკონომიკურ პირობად, რაც ხორციელდება სახელმწიფოს საშუალებით. სახელმწიფოებრივი ფინანსები, როგორც სახელმწიფოს შემოსავალთა ერთიანობა, შეადგენს ნაციონალური შემოსავლისა და სიმდიდრის ნაწილს, რომელიც მას სახელმწიფოს საშუალებით გამოეყოფა და სახელმწიფოებრივ ხარჯებად იქცევა. ამდენად სახელმწიფოს შემოსავალი ბაზისის ელემენტს წარმოადგენს.

სახელმწიფოებრივი ფინანსები, როგორც სახელმწიფოებრივ ხარჯთა და შემოსავალთა ერთიანობა, შეადგენენ სპეციფიკურ წარმოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც განივთებული არიან მატერიალურ სახსრებში ფულადი ფორმით. ეს მატერიალური სახსრები გამოყოფილია ბაზისის დანარჩენი ნაწილისაგან სახელმწიფოს საშუალებით და მისივე საშუალებით დაკავშირებულია წარმოებასთან, ზედნაშენურ ყველა სახეობასთან და ისეთ საზოგადოებრივ მოვლენებთანაც, რომლებიც არ ეკუთვნიან არც ბაზისს და არც ზედნაშენს. სახელმწიფოებრივი ფინანსები არის ნაციონალური შემოსავლისა და სიმდიდრის ნაწილი, რომელიც ეკონომიკურად მოემსახურება პირდაპირად სახელმწიფოს და მისი საშუალებით საზოგადოებას.

ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში ფინანსები, როგორც ბაზისის ნაწილი, წარმოადგენს კლასთა დაპირისპირების ეკონომიკურ საფუძველს. კაპიტალისტური სახელმწიფოს ფინანსები საზოგადოებრივ მოვლენათა ზედაპირზე ვლინდება როგორც ურთიერთობა სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის. მოვლენათა სიღრმისეული განხილვა გვარწმუნებს, რომ ამ საზოგადოებაში სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის ურთიერთობა შეადგენს გაბატონებული კლასის ორგანიზაციისა და დაჩაგრული კლასების დაპირისპირებას. ფინანსური ურთიერთობა აქ ძირითადად ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დაჩაგრული კლასების შემოსავალთა და ქონებათა ანგარიშით სახს-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, ტ. 22, 1951, გვ. 315

რების შეგროვებაში, რამდენადაც გადასახადები ამ კლასებს უშუალოდ შეეწერება ან რამდენადაც გაბატონებული კლასები ასერხებენ თავიანთი გადასახადების ნაწილის მათზე გადაკისრებას. მეორე მხრივ, ეს ურთიერთობა მოცემულია გაბატონებული კლასის ორგანიზაციის, სახელმწიფოს, მისი იდეოლოგიური ფორმებისა და შესაბამისი დაწესებულებების მატერიალურ უზრუნველყოფაში და აგრეთვე გაბატონებულ კლასთა ბატონობის საერთო პირობებისა და საერთო კლასობრივი ინტერესების მატერიალურ უზრუნველყოფაში.

ამგვარად, ანტაგონისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ფინანსური ურთიერთობა არის დამატებითი ექსპლოატაციის ურთიერთობა — რამდენადაც გადასახადები მუშების ხელფასს შეეწერება ან მას გადმოეკისრება სხვა კლასების მიერ. ამდენად, ფინანსური ექსპლოატაცია მიეკუთვნება დამატებით ექსპლოატაციას. მაგრამ ვინაიდან დამატებითი ექსპლოატაცია არ ამოიწურება ფინანსური ექსპლოატაციით, ამიტომ უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ფინანსური ექსპლოატაცია არის ერთ-ერთი სახე დამატებითი ექსპლოატაციისა.

აღსანიშნავია ამასთანავე სახელმწიფოებრივი ფინანსების ხაზით ფინანსური ექსპლოატაციისათვის დამახასიათებელი თავისებურება. ექსპლოატაციის სხვა სახეობების დროს ცალკეულ მუშებს ან გლეხებს ექსპლოატაციას უწევენ ცალკეული ან ჯგუფებად გაერთიანებული კაპიტალისტები. ფინანსური ექსპლოატაციის დროს კი პროლეტართა და გლეხთა კლასებს ექსპლოატაციას უწევს სახელმწიფოებრივად ორგანიზებული კაპიტალისტთა კლასი.

ფინანსური მეცნიერების კურსის საგნის დახასიათება მოითხოვს, რომ ფულად სახსრებში განივთებული ფინანსური ურთიერთობებისაგან განვასხვაოთ ფინანსური ორგანიზაცია, ფინანსური პოლიტიკა, ფინანსური სამართალი, ფინანსური თეორიები, რომლებიც მიეკუთვნებიან ზედნაშენს და ასახავენ ბაზისს, როგორც თავის შინაარსს.

ამგვარად, ფინანსური მეცნიერების საგანი მიეკუთვნება ბაზისს, რამდენადაც ის სწავლობს ფინანსურ ურთიერთობებს როგორც მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, როგორც წარმოებრივი ურთიერთობის სპეციფიკურ სახეობას, სხვანაირად — განაწილებით წარმოებრივ ურთიერთობას, მეორად წარმოებრივ ურთიერთობას ანუ ეკონომიკური ურთიერთობების სპეციფიკურ სახეობას. ფინანსური მეცნიერების საგანი მიეკუთვნება ზედნაშენსაც, რამდენადაც ის სწავლობს ფინანსურ ორგანიზაციას, ფინანსურ პოლიტიკას, ფინანსურ კანონმდებლობას, ბიუჯეტის შედგენისა და აღსრუ-

ლების ნორმებსა და ფინანსური თეორიების განვითარების ისტორიას.

ზემოხსენებულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ნათელია ფინანსური მეცნიერების ამოცანები. მეცნიერება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსების შესახებ შეისწავლის ფინანსურ ურთიერთობას, როგორც სპეციფიკურ ეკონომიკურ ურთიერთობას, რაც გულისხმობს ფულადი ფორმის მეორად წარმოებრივ ურთიერთობას, გადანაწილებითს ურთიერთობას გაცვლით გაპირობებულ განაწილებისა და განაწილებით გაპირობებული გაცვლის ურთიერთობას. ეს ურთიერთობანი ასახულია ბურჟუაზიული სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკურ საფუძველსა და იმ მატერიალურ საშუალებებში, რომლებითაც ბურჟუაზიული სახელმწიფო გაბატონებულ კლასს მოემსახურება და ამ მიზნით ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესების დაჩქარებასა ან შეფერხებაზე.

კაპიტალიზმის პირობებში სახელმწიფო ფინანსები გამოყენებულია მჩაგვრელი მმართველობის აპარატის შენახვის, გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ნაციონალური ბაზრის დაცვის, მსოფლიო გადანაწილების, ახალი ბაზრების მოპოვების ან შენარჩუნების, ამ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის განმტკიცების, მონოპოლიური მოგების მიღება-შენარჩუნებისა და საერთოდ კაპიტალიზმის არსებობის გახანგრძლივებისათვის. ამდენად, კაპიტალისტური სახელმწიფოს ფინანსები, როგორც ბიუჯეტის გასავალი, გამოხატავს მშრომელი მასების ექსპლოატაციის, მისი გაფართოების, შენარჩუნებისა და გახანგრძლივების ურთიერთობას.

კაპიტალისტური სახელმწიფოს ფინანსები, როგორც ბიუჯეტის შემოსავალი, გამოხატავს დამატებითი ექსპლოატაციის ერთ-ერთ ფორმას, რამდენადაც გადასახადებით იბეგრება ხელფასი, აგრეთვე— ძირითადი ექსპლოატაციის გადანაწილებითს ფორმასაც, რამდენადაც სახელმწიფო ითვისებს ზედმეტი ღირებულების ნაწილს და რა ზომითაც გაბატონებული კლასები ვერ ახერხებენ მშრომელებზე მის გადაკისრებას.

სახელმწიფო შემოსავალი მიიღება ნაციონალური შემოსავლიდან. რამდენადაც ის შეადგენს v-ს წილს — დამატებითი ექსპლოატაციის ერთ-ერთი ფორმის გამომხატველია, რამდენადაც ის შეადგენს m-ის წილს, რის სხვებზე გადაკისრებასაც გაბატონებული კლასები ვერ ახერხებენ, გამოხატავს ძირითადი ექსპლოატაციის გადანაწილებითს ურთიერთობას.

კაპიტალიზმის პირობებში გადასახადები აიღება ნაციონალური

სიმდიდრიდანაც (მაგალითად, წვრილმწარმოებელთა გლეხების. ხელოსნების ქონების ექსპროპრიაცია გადასახადებით და სხვ.).

ამგვარად, კაპიტალისტური სახელმწიფოს ფინანსები, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი, წარმოადგენს არა უბრალოდ დამატებითი ექსპლოატაციის ერთ-ერთი ფორმის შერწყმას ძირითადი ექსპლოატაციის გადანაწილებითს ფორმასთან, არამედ ამ ექსპლოატაციის ახალ თვისებაში აყვანასაც. რამდენადაც ექსპლოატაციის ამ გადაჯვარედინებული ფორმების გამოყენებით მიღებული სახსრები იხარჯება ექსპლოატაციის პირობების გასამტკიცებლად, გასაძლიერებლად და გასახანგრძლივებლად, ფინანსური ურთიერთობა გამოხატავს სპეციფიკურ წარმოებრივ ურთიერთობას.

ფინანსური მეცნიერება შეისწავლის სპეციფიკურ წარმოებრივ ურთიერთობებს მწარმოებლურ ძალებთან და ზედნაშენურ მოვლენებთან ურთიერთმოქმედებაში.

III. ფინანსური მეცნიერების ამოცანები

ფინანსური მეცნიერების ამოცანაა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსების არსის ამოცნობა, ხილული, გარეგნული მოვლენების შინაგანზე დაყვანა, „მოვლენათა ზედაპირზე გამოჩენილი მოძრაობის შინაგან ნამდვილ მოძრაობაზე დაყვანა“[1].

ფინანსურმა მეცნიერებამ უნდა გახსნას შინაგანი ურთიერთკავშირი ფულადი სახსრების სხვადასხვაგვარ განმანაწილებლობითს მოძრაობაში, ამოიცნოს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსების სოციალური ბუნება. ვინაიდან ეს საზოგადოება კლასთა ბრძოლის საზოგადოებაა, ამიტომ მეცნიერებამ, როგორც ლენინი ამბობს, უნდა მოგვცეს ბრძოლის ჭეშმარიტი ლოზუნგი, ეს ბრძოლა ობიექტურად წარმოგვიდგინოს, როგორც მწარმოებლურ ძალთა განსაზღვრული სისტემის პროდუქტი, უნდა ამოიცნოს ამ ბრძოლის აუცილებლობის, მისი შინაარსის, მსვლელობისა და განვითარების პირობები. ამისათვის საჭიროა ბრძოლის თითოეული ფორმის დაწვრილებითი შესწავლა, მისი ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლის გარკვევა; საჭიროა მოვლენათა შესწავლა მათ თვითმოძრაობაში. მეცნიერული ანალიზით მიღწეულ უნდა იქნეს სინამდვილის, როგორც დაპირისპირებათა მთლიანობის შემეცნება. მეცნიერებამ უნდა განასხვაოს საგნის არსი მისი გამოვლინებისაგან, უნდა დადგეს არსის თვალსაზრისზე და საგანთა გარეგნულობაში დაფარული არსი ეძიოს. „ყოვე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნ. I, 1959, გვ. 396.

ლი მეცნიერება კი ზედმეტი იქნებოდა. თუ გამოვლინების ფორმა და საგანთა არსი უშუალოდ ერთმანეთს დაემთხვეოდნენ"[1], — ამბობს მარქსი. იდეალები რომ უბრალო სურვილებად არ დარჩეს, მარქსს ისინი ფაქტებამდე დაჰყავს. როგორც ლენინი ამბობს, მარქსიზმი „თეორიულად ეთიკურ თვალსაზრისს უმორჩილებს „მიზეზობრიობის პრინციპს", ხოლო პრაქტიკულად, — ის კლასობრივ ბრძოლამდე დაჰყავს"[2].

ფინანსური მეცნიერების ამოცანას შეადგენს გაარკვიოს ფინანსების როლი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა ურთიერთდამოკიდებულებაში და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები წარმოგვიდგინოს როგორც კლასობრივი ჩაგვრის იარაღი.

ფინანსურმა მეცნიერებამ უნდა გაარკვიოს ის გადანაწილებითი პროცესები, რომლებიც ზედმეტი ღირებულების ნაწილს სახელმწიფოებრივ ფინანსებად აქცევენ, აგრეთვე ის გადანაწილებითი პროცესები, რომლებიც აუცილებელი ღირებულების ნაწილს სახელმწიფო ფინანსებად აქცევენ; მან უნდა გაარკვიოს ფინანსების როლი გადახდილი შრომის გადაუხდელად გარდაქმნაში და წვრილმწარმოებელთა ქონების ექსპროპრიაციაში.

ფინანსურმა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს კაპიტალისტურ და კაპიტალისტურამდელ კლასობრივ-ანტაგონისტური სახელმწიფოების ფინანსების წარმოშობა და განვითარება, უნდა გაარკვიოს ფინანსების ბუნება წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმებისაგან დამოკიდებულებაში, ფინანსების როლი წარმოების პროდუქტების განაწილებაში, მონოპოლისტთათვის მაღალი მოგების მიღებასა და სახელმწიფო შემოსავალთა გადიდებაში.

ფინანსური მეცნიერების ამოცანაა სახელმწიფო შემოსავალთა ფორმების ანალიზი, სახელმწიფო შემოსავალთა მიღება განაწილება-გადანაწილების, განაწილებით გაპირობებული გაცვლისა და თვით გაცვლის გზით; იმ გავლენის შესწავლა, რომელსაც სახელმწიფო ფინანსები ახდენს, როგორც ბიუჯეტური შემოსავალი და გასავალი ქვეყნის მეურნეობრივ, პოლიტიკურ და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე.

ფინანსურმა მეცნიერებამ უნდა ამოიცნოს სახელმწიფო ფინანსების, როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლის შინაარსი; უნდა შეისწავლოს სახელმწიფო ფინანსების როლი

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი ტ. III, ნ. 2, 1959, გვ. 445.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი, თხზ., ტ. 1, 1941, გვ. 507.

ბურჟუაზიული საზოგადოების სახელმწიფოს გარეთ გასვლაში, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ურთიერთობა საზღვარგარეთულ სახელმწიფოებთან.

ფინანსური მეცნიერების ამოცანაა აგრეთვე: 1) შეისწავლოს ფინანსური ურთიერთობა მწარმოებლურ ძალებსა და ზედნაშენურ მოვლენებთან ურთიერთმოქმედებაში, 2) ისეთ მოვლენებთან ურთიერთმოქმედებაშიც, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც ბაზისს და არც ზედნაშენს და უშუალოდ არიან დაკავშირებული წარმოებასთან (აზროვნება, ენა), 3) ისეთ მოვლენებთან ურთიერთმოქმედებაში, რომლებიც წარმოებასთან დაკავშირებული არიან ბაზისის საშუალებით (კლასთა ბრძოლა, პოლიტიკა, სამართალი, რელიგია, ხელოვნება და სხვ.) და 4) ისეთ მოვლენებთან ურთიერთმოქმედებაშიც, რომლებიც ერთსა და იმავე დროს არიან დაკავშირებული წარმოებასთან, ბაზისთან და ზედნაშენთანაც (ერი და სხვ.).

ვ. ი. ლენინის აზრით, მეცნიერება ვერ დაკმაყოფილდება მხოლოდ აღწერით, აუცილებელია ისეთ მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზი, რომელნიც ისე ყალიბდებიან, რომ ადამიანთა ცნობიერებაში არ გაუელვათ; აუცილებელია გამოყენებულ იქნეს განმეორებითობის ზოგადმეცნიერული კრიტერიუმი. მისი აზრით, საზოგადოებრივი ურთიერთობის დაყვანამ წარმოებრივ ურთიერთობაზე, ხოლო ამ უკანასკნელის აყვანამ მწარმოებლურ ძალთა სიმაღლეზე შესაძლებელი გახადა კანონზომიერების აღმოჩენა. მეცნიერებამ უნდა აღმოაჩინოს და შეისწავლოს მოვლენათა ცვლილებისა და განვითარების კანონები.

IV. კაპიტალისტური სახელმწიფო ფინანსების საგნის ბურჟუაზიულ განსაზღვრათა კრიტიკა

1. მერკანტილიზმი

ფინანსურ მეცნიერებას, როგორც თავისთავად მეცნიერებას, დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მისი თავისთავადი არსებობის, შესწავლის საგნის გარკვევის, მეცნიერული ჩამოყალიბების საკითხი დაისვა კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. კაპიტალიზმამდელ საზოგადოებრივ ფორმაციებში ეკონომიკური აზრი იმ დონემდე არ განვითარებულა, რომ მას დაეყენებინა საკითხი თავისთავადი ფინანსური მეცნიერების ჩამოყალიბებისა და მისი საგნისა და ამოცანების პრობლემა ცალკე მსჯელობის საკითხად გაეხადა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფინანსური ურთიერთობა არსებობს მხოლოდ კაპიტალისტური წარ-

მოების წესის პირობებში და იგი უცნობი იყო მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებრივი ფორმაციებისათვის: არც იმას ნიშნავს, რომ იმ დროის მოაზროვნეთა შემეცნების გარეშე დარჩა ფინანსური ურთიერთობა. ასეთი გარემოება აიხსნება იმით, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში ფინანსური ურთიერთობები უფრო განვითარებულ და დასრულებულ ფორმებში ჩამოყალიბდნენ, რამაც გააადვილა და უფრო სრულყოფილი გახადა მათი შესწავლა.

ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიაში პირველი ნაბიჯი კაპიტალისტური საზოგადოების, რაც უკვე ჩამოყალიბებულია ევროპაში XVI საუკუნისათვის, მოვლენათა შესასწავლად გადადგა მერკანტილიზმმა, რომელიც გამოხატავდა კაპიტალიზმის დასაწყისი პერიოდის იდეოლოგიას. ამ დროისათვის კაპიტალი ბატონობდა ვაჭრობისა და კრედიტის სფეროში. რაც შეეხება წარმოების სფეროს, აქ იგი მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა მანუფაქტურების მოსაწყობად. მერკანტილიზმი თავდაპირველად განვითარდა ინგლისში, შემდეგ საფრანგეთში, იტალიასა და სხვ. ქვეყნებში.

მერკანტილიზმის წარმოშობა გამოიწვია ფეოდალიზმის დაშლამ და სახელმწიფოს ცენტრალიზაციის ზრდამ, რასაც თან დაერთო ამერიკიდან ოქრო-ვერცხლის შემოზიდვა.

უჩვეულოდ გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები. ამ დროისათვის აუცილებელი შეიქნა შინა ბაზრის გაერთიანება და დაცვა, ცენტრალიზაციის გაძლიერება, ხალხების ერად ჩამოყალიბება. ამ ნიადაგზე წარმოებდა ბრძოლა ცენტრალურ მთავრობასა და სამეურნეო პოლიტიკურ ერთეულებს შორის. ამასთანავე აუცილებელი გახდა საგარეო ვაჭრობისათვის ხელის შეწყობა, რაც იწვევდა შეჯახებებს სხვა სახელმწიფოებთან; აუცილებელი იყო საგარეო ვაჭრობაში უპირატესობის მიღწევა. ყოველივე ამის განხორციელება მოითხოვდა მუდმივი ჯარის გადიდებას, მაღალ შეიარაღებასა და ომისათვის მზადყოფნას.

მე-17 საუკუნისათვის შეიცვალა სამხედრო ტექნიკა, რამაც ომი ბევრად უფრო ძვირი გახადა. ამიტომ გამარჯვებაში ის მეფე იქნებოდა დარწმუნებული, ვისაც მეტი ფული ჰქონდა და არა ის, ვისაც უფრო მამაცი ჯარი ჰყავდა. ამ ნიადაგზე მერკანტილისტებმა ყურადღება მიაქციეს სახელმწიფო ხარჯების საკითხს.

ამ მიმართულების ფინანსისტებიდან აღსანიშნავი არიან დიომიდე-კარაფა (მე-15 საუკუნის მეორე ნახევარი), ნიკოლო მაკიაველი (1469-1527), თომას მენი (1571—1641), ბოდენი (1530—1591). მათ შემდეგ აღსანიშნავი არიან აგრეთვე გერმანული კამერალისტიკის ადრინ-

დელი წარმომადგენლები, რომლებიც მოღვაწეობდნენ მე-17 საუკუნეში და ეყრდნობოდნენ მერკანტილისტურ შეხედულებებს. ამ მხრივ აღსანიშნავი არიან ფ. ლ. ფონ სეკენდორფი (1626—1692) და სამუილ ფონ პუფენდორფი (1632—1694), მეორე ხანის კამერალისტებიდან—იუსტი და ზონენფელსი.

უნდა მოვიხსენიოთ ფიზიოკრატებამდელი ეკონომისტებიც, როგორიც იყვნენ: უილიამ პეტი (1623—1687), ჯონ ლოკი (1632—1704), პიერ ბუაგილბერი (1646—1714), სებასტიან ვობანი (1633—1707), დავით იუმი (1711—1776), ჯემს სტიუარტი (1712—1780), მონტესკიე (1689—1755).

2. ფიზიოკრატები (ფრანგული ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომია)

მე-18 საუკ. საფრანგეთში ფიზიოკრატების ყურადღება მიიპყრო მთავრობის ფინანსურმა სიძნელეებმა და აქედან გამომდინარე დავამ გადასახადებით დაბეგვრის შესახებ. ფიზიოკრატების ფინანსური სისტემა დამყარებულია იმ შეხედულებაზე, რომ სიმდიდრის ერთადერთი წყარო არის სოფლის მეურნეობა და არა ვაჭრობა ან მრეწველობა. ამიტომ სახელმწიფო შემოსავლის წყაროდაც მიჩნეულ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობა.

სახელმწიფო შემოსავალი უნდა მიიღებოდეს საადგილმამულო გადასახადის საშუალებით. ტიურგო შეეცადა პრაქტიკაშიც გაეტარებინა ეს შეხედულება. ფიზიოკრატებმა გადასახადების საკითხი შედარებით უფრო ღრმად შეისწავლეს.

მათ ხელი შეუწყვეს ჩამოყალიბებულიყო თავისთავადი მეცნიერული ეკონომიკური სისტემა, რომელიც შეიცავდა ეკონომიკურ თეორიას, ეკონომიკურ პოლიტიკას, ფინანსების თეორიისა და ფინანსური პოლიტიკის საწყისებს.

ფიზიოკრატებმა განავითარეს და ჩამოაყალიბეს ექსპლოატაციის თეორიის შინაარსი. მაგრამ რადგან ისინი ემყარებოდნენ საფრანგეთის განუვითარებელ ეკონომიკას, ამიტომ დარჩნენ ფეოდალურ შეხედულებათა ტყვეობაში და მიწათმფლობელობასა და სამიწათმოქმედო შრომას თვლიდნენ მთელი საზოგადოებრივი წყობის განმსაზღვრელ ძალად.

ფ რ ა ნ ს უ ა კ ე ნ ე (1694—1774) თავის შრომაში[1] ძირითადად

---

[1] F. Quesnay, Fermier, 1756; მისივე, Grains, 1757; მისივე, Tableau économique, 1758.

გადასახადების სიმძიმით ხსნიდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის ჩამოქვეითებას. ვინაიდან სოფლის მეურნეობა მას მიაჩნდა სახალხო მეურნეობის ერთადერთ მწარმოებლურ დარგად, ამიტომ იბრძოდა ყველა დაბრკოლების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიდნენ კაპიტალის შესვლას სოფლის მეურნეობაში; იგი იბრძოდა მაღალი გადასახადების, გასაზიდი ბაჟებისა და სხვ. წინააღმდეგ. კენემ პირველმა დააკავშირა ორგანულად სახელმწიფო ფინანსები მთელ სამეურნეო პროცესთან.

მ ი რ ა ბ ო მ (1715—1789) ჩამოაყალიბა ძირითადი დებულებები ფიზიოკრატთა შეხედულებისა გადასახადების შესახებ[1].

3. ინგლისური კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია

ა. ს მ ი ტ ი (1723—1790)—მანუფაქტურული პერიოდის განმაზოგადებელი ეკონომისტი და დ. რ ი კ ა რ დ ო (1778—1823)—მოცემული სკოლის დამამთავრებელი ეკონომისტი, თავიანთ შრომებში არ ხმარობდნენ ტერმინებს „ფინანსები“, „ფინანსური მეურნეობა“, „ფინანსური მეცნიერება“. მათ არც დაუყენებიათ საკითხი ფინანსური მეცნიერების, როგორც თავისთავადი დისციპლინის არსებობის, მისი პოლიტიკური ეკონომიიდან გამოყოფის შესახებ; მიუხედავად ამისა, გარკვეული სამსახური მიუძღვით ფინანსური საკითხებისა და საერთოდ ფინანსების შესწავლა-განვითარებაში. სმიტმა თავისი შრომის — „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“[2]—მეხუთე წიგნი უძღვნა ფინანსებს. რიკარდომ თავისი შრომის — „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“[3] — მესამედი მიუძღვნა ფინანსების შესწავლას.

ისინი ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფო შემოსავალი მიიღება სახალხო სიმდიდრიდან, რომლის წყაროა მიწა, შრომა და კაპიტალი და არა მხოლოდ ვაჭრობა, როგორც ფიქრობდნენ მერკანტილისტები, ან მხოლოდ მიწათმოქმედება, როგორც ფიქრობდნენ ფიზიოკრატები.

---

[1] N. M i r a b e a u, Maximes generales du gouvernement économique d'un royaume agricole, 1763.

[2] A d a m S m i t h, Inquiry into the Nature and causes of the Wealth of Nations, vol. I, II, 1776.

[3] D a v i d R i c a r d o, The Principles of Political Economy and Taxation, 1819.

სმიტისა და რიკარდოს მოძღვრებიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ ფინანსური კატეგორიები ეკონომიკური კატეგორიებია. ამ საფუძველზე ფინანსური დისციპლინა წარმოადგენს პოლიტიკური ეკონომიის ნაწილს, ეკონომიკურ დისციპლინას.

სმიტის შრომის მიხედვით, ფინანსების საგანში შეტანილია სახელმწიფო ხარჯები და სახელმწიფო შემოსავალი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სმიტის მეხუთე წიგნი მის წინა წიგნებზე უფრო სუსტია. მარქსის შენიშვნით, ყველაფერი, რაც დაწერილი აქვს სმიტს გადასახადებზე, გადმოწერილია ფიზიოკრატებისგან.

არც რიკარდოს დაუყენებია პოლიტიკური ეკონომიიდან ფინანსური დისციპლინის გამოყოფის საკითხი. მაგრამ ამ მხრივ ის მაინც უფრო შორს წავიდა, ვიდრე სმიტი. რიკარდო ერთგვარად ხაზს უსვამს ფინანსების სპეციფიკას, რაც ჩანს მისი შრომის სათაურიდანვე. რიკარდო ხედავს, რომ საერთო სათაური „პოლიტიკური ეკონომია" საკმარისი არ არის, რომ ის ყოველმხრივად არ გამოხატავს იმას, რაც მის წიგნშია გადმოცემული. ამიტომ რიკარდომ სათაურშივე აღნიშნა ეს სპეციფიკა და თავის შრომას უწოდა „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები".

ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ ფინანსური მეცნიერების საგანი არის სახალხო სიმდიდრის იმ ნაწილის მიზეზებისა და ბუნების შესწავლა, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაში გადადის და საერთო სახელმწიფოებრივი ხარჯების დასაფარავად გამოიყენება.

4. ვულგარიზატორი ეკონომისტები

ვულგარიზატორები მოვლენათა შემეცნებას ცვლიან მათი გარეგნულობის აღწერით. ისინი საკითხს განიხილავენ არა იმის მიხედვით, რა არის სწორი და არასწორი, არამედ იმის მიხედვით, თუ რა არის სასარგებლო და არასასარგებლო კაპიტალისტისათვის. ამიტომ ვულგარიზატორები კაპიტალისტურ სინამდვილეს ალამაზებენ და ეწევიან მაამებლურ აპოლოგეტიკას.

ვულგარული ფინანსისტები ბურჟუაზიულ სახელმწიფოს სახავენ როგორც ზეკლასობრივ ორგანიზაციას. ისინი სახელმწიფო ფინანსებს ახასიათებენ არა როგორც დამატებითი ექსპლოატაციის ურთიერთობას, არამედ როგორც საერთო-სახალხო მოთხოვნილებებისათვის აუცილებელ სახსართა მობილიზაციას. ვულგარიზატორების ერთ ნაწილს სრულიად არ შეაქვს ფინანსური მეცნიერების საგანში სა-

ხელმწიფო ხარჯების საკითხი, რადგან სახელმწიფო ხარჯები მეტად რელიეფურად ამჟღავნებენ კაპიტალისტური სახელმწიფო ფინანსების კლასობრივ ხასიათს. სახელმწიფო ხარჯების ანალიზი გვიჩვენებს, თუ ვის სასარგებლოდ, რომელი კლასის ინტერესებისათვის იხარჯება ხალხის ჯიბიდან ამოკრეფილი სახსრები.

ადრინდელი ვულგარიზატორებიდან შესაძლებელია დავასახელოთ ჯ ო ნ ს ტ ი უ ა რ ტ მ ი ლ ი. იგი თავისი შრომის — „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების"[1] ჰეხუთე წიგნის ნახევარს უთმობს ფინანსების თეორიას. სმიტისაგან განსხვავებით, იგი ფინანსური მეცნიერების საგანს შემოფარგლავს მხოლოდ სახელმწიფო შემოსავლის განხილვით; ამასთანავე სმიტის სახელმწიფო მომსახურების საფასურის თეორიას უპირისპირებს დაბეგვრაში მსხვერპლთა თანასწორობის თეორიას.

ვულგარიზატორი ჟ. ბ. სე (1767—1832) მოითხოვდა სახელმწიფოს ფუნქციების შეკვეცას, სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების შემცირებას. ყველაზე უკეთესი გადასახადი არის უმცირესი გადასახადიო[2] — წერდა ის.

მისივე მსგავსად, ფინანსურ მეცნიერებას პოლიტიკურ ეკონომიაში განიხილავენ გერმანელი ვულგარიზატორი ფინანსისტებიც: ბერგიუსი[3], ლოტცი[4] და სხვ. მათი აზრით, ფინანსური მეცნიერების შესწავლის საგანი, სახელმწიფო ფინანსური სახსრები, განიხილება როგორც ნივთები, დოვლათები და არა როგორც წარმოებრივი ურთიერთობანი.

სე ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგია. ის სახელმწიფოს ფინანსებს განიხილავს თავისი რეალიზაციის თეორიის თვალსაზრისით. მისი აზრით, გადასახადი ზრდის საქონლის ღირებულებას, ამდენად ამცირებს მის მოხმარებას და საბოლოოდ — მასზე მოთხოვნას მომხმარებელთა მხრივ.

ინგლისში მე-19 საუკუნის მიწურულამდე, თუ პატერსონს არ მივიღებთ მხედველობაში, ფინანსური მეცნიერება პოლიტიკურ ეკონომიაში განიხილებოდა. ეს ტრადიცია დაარღვია კ. ფ. ბასტებლმა, რომელმაც 1892 წელს გამოსცა შრომა „საჯარო ფინანსები"[5].

აშშ-ში მე-19 საუკუნეში ფინანსური მეცნიერება განიხილებოდა როგორც პოლიტიკური ეკონომიის დამატება.

---

[1] J. St. Mill, Principles of Political Economy. 1848.
[2] J. B. Say, Traité d'économie politique, 1876, t. III.
[3] Bergius, Grundsätze der Finanzwissenschaft, 2. Aufl. 1871.
[4] W. Lotz, Finanzwissenschaft, Tübingen, 1929-1931.
[5] C. F. Bastable, Public Finance, 1892, L.

ფინანსების ვულგარიზაციის თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელია ფრანგი ფინანსისტი პ ო ლ ლ ე რ უ ა-ბ ო ლ ი ე. რომელსაც თავისი ფინანსური შეხედულებები გამოთქმული აქვს ფინანსური მეცნიერების კურსში [1]. იგი სახელმწიფო ხარჯების საკითხს არ თვლის ფინანსური მეცნიერების შესწავლის საგნად; ასევე არ მიიჩნევს მის საგნად ფინანსური ორგანიზაციის საკითხებსაც. ლერუა-ბოლიეს აზრით, ფინანსური მეცნიერება უნდა შეისწავლიდეს მხოლოდ სახელმწიფო შემოსავალს. მისი განმარტებით, „ფინანსური მეცნიერება არის უბრალოდ მეცნიერება სახელმწიფო შემოსავლებისა და საქმეში მათი გამოყენების შესახებ" [2].

ისტორიული სკოლა

პოლიტიკური ეკონომიის ისტორიული სკოლა არ ცნობს არავითარ ეკონომიკურ კანონებს და მხოლოდ აღწერს ისტორიულ პროცესს. ამგვარად, ამ სკოლის მიხედვით, პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება, ქრება. ამ სკოლის დამფუძნებელმა რ ო შ ე რ მ ა (1817—1894) ფინანსურ მეცნიერებას მიუძღვნა თავისი პოლიტიკური ეკონომიის მესამე ნაწილი ფინანსური მეცნიერების სისტემის სახელწოდებით [3]. ამ შრომაში სისტემატურადაა გადმოცემული ფინანსური საკითხები ისტორიული სკოლის თვალსაზრისით. აქ არ არის მოცემული თეორიული საფუძვლები მოვლენათა განზოგადებისა და შემეცნებისათვის. ფინანსური მეცნიერება, როგორც მეცნიერება, გამქრალია პოლიტიკურ ეკონომიასთან ერთად. მისი თვალსაზრისით, ფინანსური მეცნიერება შეისწავლის არა სიმდიდრეს (სიმდიდრის ნაწილს), არამედ სახელმწიფო მეურნეობას, ანუ ფინანსურ მეურნეობას. ისტორიული სკოლის მიხედვით, პოლიტიკური ეკონომია სწავლობს სახალხო მეურნეობას, ფინანსური მეცნიერება — სახელმწიფო მეურნეობას.

კ ნ ი ს ი ს (1821—1898) გაგებით, ფინანსური მეცნიერება სწავლობს არა საერთოდ სახელმწიფოს ფინანსურ მეურნეობას, არამედ მოცემული სახელმწიფოს ფინანსურ მეურნეობას. ის მოითხოვს ადამიანთა მეურნეობრივი საქმიანობის შესწავლას [4], რაც, მისი აზრით,

---

[1] Paul L e r o y - B e a u l i e u. Traité de la science des finances Tome premier, des rewenus publics, Paris, 1877, p. 3.

[2] იქვე, გვ. 3.

[3] R o s c h e r, System der Finanzwissenschaft, 1886.

[4] K a r l K n i e s, Die politische Ökonomie vom geschichtlichen Standpunkte, zweites Heft, 1883, S. 67.

გულისხმობს ადამიანთა მოქმედებებისა და მიზნების შესწავლას ისტორიულ-კონკრეტული და არა აბსტრაქტული შემეცნების თვალსაზრისით. როშერი საერთოდ ავითარებდა რეაქციულ ვულგარულ შეხედულებებს ფინანსების დარგში.

მრავალი გერმანელი ფინანსისტი იდგა მთლიანად ისტორიული სკოლის თვალსაზრისზე ან ამა თუ იმ ზომით იზიარებდა მას.

კარლ ჰაინრიხ რაუ (1792—1870). მარქსი და ენგელსი რაუს უწოდებდნენ „სწავლულ“ გერმანელ ეკონომისტს [1], გერმანელ სეის [2]; მას ისინი აკუთვნებდნენ ეკონომისტთა იმ ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ როშერი, მოლი, ჰილდენბრანდი და სხვ. მარქსი და ენგელსი რაუს თვლიდნენ კამერალისტად, სხვადასხვა ცნობების უბრალო შემგროვებელ კოლექციონერად, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ კრიტიკულ უნარს.

რაუს შეხედულებები წარმოადგენდა ვულგარული, ისტორიული სკოლის ეკონომისტთა შეხედულებების ერთგვარ ნარევს.

რაუმ პოლიტიკური ეკონომია გაყო სამ ნაწილად და მესამე ნაწილს უწოდა ფინანსური მეცნიერების საფუძვლები [3]. მართალია, რაუმდეც იყო ცდა პოლიტიკური ეკონომიიდან ფინანსური მეცნიერების გამოყოფისა, მაგრამ, ამ საკითხმა უფრო დამთავრებული სახე მიიღო რაუსა და შემდგომთა შრომებში. ამის შემდეგ ჯერ გერმანულ და შემდეგ სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ფინანსურ მეცნიერებას აღიარებენ თავისთავადურ დისციპლინად. ეს გარემოება უკვე საგანგებოდ აყენებდა საკითხს მისი საგნის გარკვევის შესახებ.

რაუმ ფინანსური მეცნიერების საგნად დასახა სამთავრობო მეურნეობა (Regierungswirtschaft), ანუ სახელმწიფო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მატერიალური ფასეულობებით. ის წერს: „სამთავრობო მეურნეობის უკეთ მოწყობის ანუ სახელმწიფო მოთხოვნილებათა მატერიალური ფასეულობებით უმჯობესად დაკმაყოფილების წესების შემსწავლელ მეცნიერებას ეწოდება ფინანსური მეცნიერება და იგი შეადგენს პოლიტიკური ეკონომიის ნაწილს. მას ხშირად უწოდებდნენ აგრეთვე კამერალურ მეცნიერებას სიტყვის ვიწრო აზრით, ვინაიდან დასაწყისში კამერალურ საქმეებში ანუ კამერალურ საქმიანობაში მხოლოდ ფინანსებს გულისხმობდნენ“ [4].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 31, 1963, стр. 482.

[2] იქვე, т. 30, 1963, стр. 127.

[3] K. Rau, Grundsätze der Finanzwissenschaft, Leipzig und Heidelberg, 1859.

[4] K. Rau, Grundsätze der Finanzwissenschaft, 1859, S. 5.

რაუ ფინანსურ მეცნიერებას თვლის პრაქტიკულ მეცნიერებად და აყენებს ეკონომიკური პოლიტიკის გვერდით. იგი შეისწავლის სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა მატერიალური სახსრებით უზრუნველყოფის ხერხების გამოძებნას. რაუ უკან სწევს ამ მეცნიერებას სმიტთან და რიკარდოსთან შედარებით, რომლებიც ფინანსებს განიხილავდნენ საერთო თეორიულ ასპექტში როგორც ეკონომიკურ მოვლენებს. რაუ სარგებლობს ისტორიული სკოლის შეხედულებებით და ფინანსებს განიხილავს როგორც სამთავრობო მეურნეობას, როგორც სახელმწიფო მეურნეობის ნაწილს. რაუს მიხედვით, ფინანსები წარმოდგენილია როგორც ნივთები, მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ.

6. კათედერ-სოციალიზმი

ა) ახალი ისტორიული სკოლა. 1872 წელს ჩამოყალიბდა „სოციალური პოლიტიკის კავშირი". იგი წარმოადგენდა კათედერ-სოციალიზმის ორგანოს. კათედერ-სოციალიზმი მოითხოვდა ზოგიერთი უმნიშვნელო ღონისძიების გატარებას მუშათა სასარგებლოდ, მათი თვალის ასახვევად. მის ერთ-ერთ ბირთვს წარმოადგენდა ახალი ისტორიული სკოლა, რომლის მამამთავარი იყო შმოლერი (1838 — 1917).

ახალი ისტორიული სკოლა ქადაგებდა ვულგარულ ისტორიზმს, ებრძოდა თეორიას და წინ აყენებდა ემპირიზმს.

შმოლერი პოლიტიკურ ეკონომიას უწოდებს მეცნიერებას, რომელიც აღწერს სახალხომეურნეობრივ მოვლენებს[1]. შმოლერის აზრით, ფინანსური მეცნიერება შეისწავლის ფინანსურ მეურნეობას, როგორც სახალხო მეურნეობის ნაწილს. ამ მიმართულებამ მეცნიერებას დაუსახა ეთიკური ხასიათის ამოცანები. ეკონომიკურმა მეცნიერებამ უნდა შეაფასოს მეურნეობრივი მოქმედება, დასახოს იდეალები, დააწესოს წარმოებისა და განაწილების სამართლიანი ნორმები და ის სახელმწიფოს ჩარევის გზით განახორციელოს. მეცნიერებამ ფინანსების დარგში უნდა დააწესოს დაბეგვრის სამართლიანი ნორმები და სახელმწიფომ უნდა იბრძოლოს მის განსახორციელებლად. ნამდვილად ფინანსური მეცნიერების ამოცანას სრულიადაც არ შეადგენს ზნეობრივი ნორმების დაწესება, იდეალების დასახვა. მეცნიერების

---

[1] Густав Шмоллер, Народное хозяйство, наука о народном хозяйстве и ее методы, М., 1902, стр. 7, 12.

ამოცანას შეადგენს სინამდვილის შესწავლა მის წინააღმდეგობრივ განვითარებაში.

ბ) სახელმწიფო სოციალიზმი ყოველ გასახელმწიფოებრივობას და ყოველ სახელმწიფო საწარმოს აცხადებდა სოციალისტურად. ამგვარი სოციალიზმის კრიტიკა მოცემული აქვს მარქსს ნაშრომში „შენიშვნები ად. ვაგნერის წიგნზე“ და ენგელსს — „ანტი-დიურინგში“. ეს მიმართულება ძირითადად ემყარებოდა ისტორიული სკოლის შეხედულებებს. მისი რეაქციული თეორია ასაბუთებდა საზოგადოებრივი მეცნიერების ზეკლასობრიობას, ბურჟუაზიის მისწრაფებას — ეპოვა გამოსავალი. ეს იყო თეორია სოციალური რეფორმისა მშრომელთა მოსატყუებლად და მათი გონების დასაბნელებლად. ამ მიმართულებას ეკუთვნოდნენ ლორენც ფონ შტეინი, ადოლფ ვაგნერი, ბასტებლი და სხვ.

ლორენც ფონ შტეინი (1815—1890) კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხედავს კლასობრივ ბრძოლას და მშრომელთა კლასის გამარჯვება აშინებს. მას შესაძლებლად მიაჩნია კაპიტალისტური უკუღმართობის გამოსწორება მონარქიული სახელმწიფოს საშუალებით.

ლორენც ფონ შტეინს ფინანსური მეცნიერების თავისთავადურობა ეჭვს გარეშე მიაჩნია და მას თვლის სახელმწიფო მეცნიერებათა ერთ-ერთ ნაწილად[1]. მისი გაგებით, ფინანსური მეცნიერება სწავლობს სახელმწიფო მეურნეობას. ლორენც ფონ შტეინმა ფინანსური მეცნიერების საგანი გააფართოვა მოკავშირე და ფედერალურ სახელმწიფოთა ფინანსებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსების შესწავლით. მან ჩამოაყალიბა აგრეთვე ადმინისტრაციულ-ფინანსური სამართლის საფუძვლები.

ად. ვაგნერი (1835—1917) სახელმწიფოს აღიარებს ისეთ ძალად, რომელსაც შეუძლია ფართოდ გაატაროს სოციალური პოლიტიკა, დაბეგვრის გზით მოახდინოს ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება. იგი ემხრობა სახელმწიფო მონოპოლიური საწარმოების მოწყობას. მისი აზრით, ისტორია გვიმტკიცებს, რომ სახელმწიფო-მეურნეობრივი საქმიანობა ფართოვდება. სახელმწიფოს ჩარევა მეურნეობრივ საქმიანობაში გამართლებულია ექსპლოატატორთა ბატონობისათვის ხელისშეწყობის მიზნით.

ად. ვაგნერი ფინანსურ მეცნიერებას ცნობს პოლიტიკური ეკონომიის პრაქტიკულ ნაწილად, რაც სწორი არ არის (ეს უკვე აღნიშ-

---

[1] Lorenz von Stein, Lehrbuch der Finanzwissenschaft, L. 1877, S. 1—23.

ნული იყო რაუსთან დაკავშირებით), ნამდვილად ფინანსურ დისციპ-ლინას თვითონ აქვს თავისი თეორიული და პრაქტიკული ნაწილი.

ად. ვაგნერი წერს: „ფინანსური მეცნიერება მატერიალურად, ანუ თავისი შინაარსით, პოლიტიკური ეკონომიის ნაწილია, ფორმალურად—სახელმწიფოებრივ მეცნიერებათა ნაწილი"[1]. მისი აზრით, ფინანსური მეცნიერება გვასწავლის, თუ როგორ უნდა მოიპოვოს და გამოიყენოს ნივთიერი საშუალებანი, რაც მას სჭირდება თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, როგორც იძულებითი საზოგადოებრივი მეურნეობის ან სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბებული ხალხის გაერთიანებული მეურნეობის უმაღლესი ფორმა. ფინანსური მეცნიერება ამიტომ არის საზოგადოებრივი მეურნეობის ამ სპეციალურად იძულებითი საზოგადოებრივი მეურნეობის მოძღვრება და მთელ თავის კვლევა-ძიებას წარმართავს იქ, სადაც არის ფინანსური მეურნეობის პირდაპირი ამოცანები, სახელმწიფოსათვის ნივთიერი დოვლათის მოპოვება და გამოყენება; ამიტომ იგი წინდაწინვე საჭიროებს პოლიტიკური ეკონომიის ამ მნიშვნელოვანი ნაწილის ცოდნას[2].

ამგვარად, ად. ვაგნერი ვერ გასცილდა იმ შეხედულებას, რომელიც ფინანსური მეცნიერების საგნად სახავს მეურნეობას, კერძოდ სახელმწიფო მეურნეობას, რაც წარმოადგენს ადამიანის სამეურნეო საქმიანობათა ერთობლიობას და გამოიხატება სახელმწიფოსათვის საჭირო მატერიალური დოვლათის მოპოვებასა და გამოყენებაში. მატერიალურ დოვლათთა მოპოვება-გამოყენება მას არ ესმის როგორც ადამიანთა ურთიერთობა, წარმოებითი ურთიერთობა. ეს ვაგნერს შესაძლებლობას აძლევს მიჩქმალოს ბურჟუაზიული სახელმწიფო ფინანსების კლასობრივი ექსპლოატაციური ბუნება. ად. ვაგნერის მოძღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ყოველ სახელმწიფოს შეუძლია ყველა კლასის ინტერესების დაცვის მიზნით გამოიყენოს ფინანსური სისტემა.

7. „საზღვრითი სარგებლიანობის" თეორიები

ა) ავსტრიული სკოლა. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ეს ვულგარული მიმდინარეობა წარმოიშვა მარქსიზმთან ბრძოლის მიზნით. მას სურს დაამტკიცოს, რომ საზოგადოებრივი

---

[1] A. Wagner, Lehr- und Handbuch der politischen Ökonomie, vierte Hauptabteilung. Finanzwissenschaft, Erst. T. L., 1883, S. 16.

[2] იქვე გვ. 16—17.

განვითარება ყოველთვის სტიქიური პროცესია. მაშასადამე, გეგმიანობა ცნობიერად წარმართვის თვალსაზრისით შეუძლებელია. კაპიტალისტური წყობის ეკონომიკური კატეგორიების ძირები იზოლირებული ადამიანის, როგორც მეურნე-სუბიექტის, ფსიქოლოგიაშია. ამიტომ ისინი მუდმივი კატეგორიებია და ყველა საზოგადოებრივ ფორმაციას ახასიათებს. ყოველივე ამით ავსტრიული სკოლა ცდილობს მიჩქმალოს კაპიტალისტური უკუღმართობანი და ეს წყობა შეალამაზოს.

ავსტრიული სკოლის ფუძემდებელი კარლ მენგერი[1] (1840-1921) მეცნიერების საგნის გარკვევის საკითხში ერთმანეთისაგან არჩევს ინდივიდუალურს, ანუ კონკრეტულს და ზოგადს, ანუ გენერალურ მოვლენებს. ინდივიდუალურ, ანუ კონკრეტულ მოვლენებს შეისწავლის, მისი აზრით, სახალხო მეურნეობის ისტორია და სტატისტიკა, ხოლო ზოგად, ანუ გენერალურ მოვლენებს, რამდენადაც ისინი ტიპიური ხასიათისაა, შეისწავლის თეორიული ეკონომიკა.

კარლ მენგერის აზრით, მეცნიერებათა ამ ორი ჯგუფის გარდა, არსებობს კიდევ მესამე ჯგუფი — ეგრეთ წოდებული პრაქტიკული მეცნიერებანი, ანუ ხელოვნებათმცოდნეობანი (Kunstlehren).

თუ მეცნიერებათა ორი ჯგუფი შეისწავლის არსებულ მოვლენებს ისტორიული და თეორიული თვალსაზრისით, ხელოვნებათმცოდნეობანი ანუ პრაქტიკული მეცნიერებანი შეისწავლიან მას, რაც უნდა იყოს. ისინი აწესებენ იმ საფუძვლებს, რომლებითაც უფრო მიზანშეწონილად შეიძლება განსაზღვრული სახის მისწრაფებათა მიღწევა. კ. მენგერის აზრით, პოლიტიკური ეკონომიის სფეროში ასეთი მეცნიერებებია ეკონომიური პოლიტიკა და ფინანსური მეცნიერება.

ამგვარად, მენგერი ფინანსურ მეცნიერებას თვლის ხელოვნებათმცოდნეობად. ის თავისი მეცნიერებათა კლასიფიკაციით პოლიტიკური ეკონომიიდან აძევებს წარმოებრივ ურთიერთობებს, ანუ მის ნამდვილ საგანს და ვინაიდან მეცნიერება უსაგნოდ არ არსებობს, ამიტომ ცდილობს ნამდვილი პოლიტიკური ეკონომია გაანადგუროს, როგორც ასეთი. მენგერი ეკონომიკის განმსაზღვრელ მომენტებად აყენებს ადამიანთა მოთხოვნილებას და მატერიალურ დოვლათთა განსაზღვრულობას.

კ. მენგერის კლასიფიკაცია მეტაფიზიკურია, იგი ერთმანეთს აშორებს თეორიულს და პრაქტიკულს, ლოგიკურსა და ისტორიულს. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, საგნის განსაზღვრაში უნდა შევიდეს პრაქ-

---

[1] K. Menger. Untersuchungen über die Methode der Sozialwissenschaften und der politischen Ökonomie insbesondere. Leipzig, 1883.

ტიკის მომენტები. „ადამიანის მთელი პრაქტიკა უნდა შევიდეს საგნის სრულ „განსაზღვრაში", როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმიც და როგორც პრაქტიკული განმსაზღვრელიც საგნის კავშირისა იმასთან, რაც ადამიანს სჭირდება"[1]. მარქსი წერს, რომ ადამიანის მოქმედება უნდა გვესმოდეს როგორც „პრაქტიკულ-კრიტიკული" მოქმედება.

პრაქტიკა აყენებს სინამდვილის შესწავლის საჭიროებას. ის იძლევა შესამეცნებელ საგანს, მის საფუძველზე ხდება საგნის ჩამოყალიბება, მისი არსებითი ნიშნების განსაზღვრა. ცოდნა პრაქტიკის პროცესში ვითარდება, ცოდნის სისწორე პრაქტიკაში მოწმდება და სხვ. ცხადია, პრაქტიკა უნდა შევიდეს საგნის განსაზღვრაში. როგორც ლენინი ასაბუთებს, თეორია არის ზოგადი სახით აღებული პრაქტიკა[2]. ამავე საფუძველზე ცოდნის ლოგიკური ბუნება ასახავს სინამდვილის განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. ამიტომ ლოგიკური იწყება იმითვე, რითაც იწყება ისტორია.

ავსტრიული სკოლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ვულგარიზატორმა ემილ ზაკსმა ჩაატარა ცდა „საზღვრითი სარგებლიანობის" თეორიის საფუძველზე შეექმნა საერთო ფინანსური თეორია, რაც მან განახორციელა თავის ნაშრომში: „თეორიული სახელმწიფო მეურნეობის საფუძვლები"[3]. ზაკსი არ ეთანხმება კ. მენგერს იმაში, რომ ფინანსური მეცნიერება ხელოვნებათმცოდნეობაა. მისი აზრით, ფინანსური მეცნიერება ისეთივე თეორიული მეცნიერებაა, როგორიც პოლიტიკური ეკონომია. მათ მეთოდიც ერთი აქვთ, ამიტომ ფინანსური მეცნიერებაც „საზღვრითი სარგებლიანობის" კანონებს შეისწავლის.

ზაკსის აზრით, სახელმწიფო მოთხოვნილებებს სხვადასხვა შეფასება ეძლევა სუბიექტის მატერიალური შესაძლებლობის მიხედვით. სხვადასხვა შეფასებათა ეს ერთობლიობა ქმნის იმ საერთო საშუალოს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო შემოსავალსა და ხარჯებს. ამიტომ გადასახადების აბსოლუტურ ჯამს განვსაზღვრავთ, მაგრამ გადასახადების შედარებითი თანხა შეფარდებულია გადამხდელთა განკარგულებაში მყოფ სიმდიდრის საზღვრით სარგებლიანობასთან. ზაკსის ეს ცდა მარცხით დამთავრდა. მთელი მისი მსჯელობა სქოლასტიკური გამოდგა. თვით ბურჟუაზიულ ფინანსისტთა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ერთხელ კიდევ პროფკავშირებზე, თხზ., ტ. 32, გვ. 102—103.

[2] В. И. Л е н и н, Философские тетради, 1936, стр. 183—184, 210.

[3] E. S a x, Grundlegung der theoretischen Staatswirtschaf t, Wien, 1887.

აზრითაც კი, რომელნიც ფინანსური მეცნიერების საგნად აცხადებენ საჯარო უფლებრივ კავშირებს, ეს შეხედულება არ მართლდება, ვინაიდან საჯარო უფლებრივი კავშირები (სახელმწიფო, ადგილობრივი ორგანოები და სხვ.) ნებაყოფლობითი ორგანიზაციები უნდა ყოფილიყვნენ. ზაკსი თავის დასკვნებს საფუძვლად უდებს ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს. საჯარო უფლებრივი ორგანიზაციები ხომ იძულებითი ორგანიზაციებია და არა ნებაყოფლობითი. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ეს საჯარო უფლებრივი კავშირები (სახელმწიფო და სხვ.) კლასობრივი ჩაგვრის ორგანიზაციებია, მაშინ მთლად ეცლება საფუძველი სახელმწიფო შემოსავალთა მიღებასა და გამოყენებაში სუბიექტურ შეფასებათა საერთო საშუალოს და ინდივიდუუმის მოთხოვნილებათა გათვალისწინებას.

„საზღვრითი სარგებლიანობის“ თეორიის ავსტრიული სკოლის საფუძველზე ფინანსური მეცნიერების ჩამოყალიბება სცადა აგრეთვე ვენის უნივერსიტეტის პრივატდოცენტმა **რობერტ მეიერმა.** მისი შრომა[1] შედგება სამი განყოფილებისაგან: პირველი მიეძღვნა სამართლიანი დაბეგვრის პრინციპის შესახებ მოძღვრების განვითარებას, მეორე—კერძო მეურნეობაზე გადასახადების მოქმედებას, მესამე—დაბეგვრაში სამართლიანობის პრინციპებს. მეიერმა აწარმოვა უნაყოფო, არამეცნიერული ცდა გადასახადების გადაკისრების დასაბუთებისა საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის საფუძველზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით მეცნიერების ამოცანას შეადგენს არა ზნეობრივი ნორმების გამომუშავება, არამედ სინამდვილის იმგვარად შესწავლა, რომ „მოვლენათა ზედაპირზე გამოჩენილი მოძრაობა შინაგან ნამდვილ მოძრაობაზე დაიყვანოს“[2]. ამ გზით მეცნიერებას შეუძლია კანონების აღმოჩენა, შესწავლა და მათი გამოყენებით გარკვეული ზემოქმდების მოხდენა მოვლენათა მსვლელობაზე. მოვლენის ამგვარი დიალექტიკური შინაარსი არსებითად განსხვავდება აპრიორულად აღებული ეთიკური მიდგომისაგან — „რა უნდა იყოს“.

ბ) ინგლისური სკოლა. „საზღვრითი სარგებლიანობის“ თეორიის ინგლისური სკოლის მამამთავარია კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი ალფრედ მარშალი (1842—1924), რომელიც ეკლექტიკურად აერთიანებს ძველსა და ახალს — სენიორის, მენგერის, რიკარდოსა და სხვ. შეხედულებებს. მან ხელი შეუწყო ფსიქო-

---

[1] Dr. R. Meyer, Die Prinzipien der gerechten Besteuerung in der neueren Finanzwissenschaft, Berlin, 1884.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნ. 1, 1959, გვ. 396.

ლოგიური მიმართულების განვითარებას. პოლიტიკურ ეკონომიაში განამტკიცა ისეთი კატეგორიები, როგორიცაა „სიამოვნება“ და „ტანჯვა“. მუშის ხელფასი და კაპიტალისტის მოგებაც სიამოვნების კანონებით განისაზღვრება.

მარშალმა ამ მეცნიერებას პოლიტიკური ეკონომიის ნაცვლად დაარქვა ეკონომიკა. მის მთავარ შრომას ეწოდება „ეკონომიკის საფუძვლები“ [1].

მარშალმა უარყო ეკონომიკაში კაუზალური მეთოდის გამოყენება და მის ნაცვლად შემოიღო ფუნქციონალური მეთოდი, რასაც, რა თქმა უნდა, ეკონომიკური საკითხების გადაჭრა თვისობრიობის მხრივ არ შეუძლია.

ფინანსურ საკითხებს მარშალი თავისი თეორიის მიხედვით განიხილავს მხოლოდ ნაწილობრივად [2]. ფინანსური მეცნიერების საგნის გაგებაში ის ახალს არაფერს არ გვაძლევს და უკვე განხილულ ვულგარიზატორთა შეხედულებებზე დგას.

ჯ ო ნ ნ ე ვ ი ლ კ ე ი ნ ს ი მეცნიერებათა დაჯგუფების საკითხში ავითარებს კ. მენგერის შეხედულებას. ის ამბობს, რომ პოლიტიკური ეკონომიის თეორიის პრაქტიკულ პრობლემებთან ურთიერთობის საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და ძნელია. ის საკითხს აყენებს ამგვარად: რა შეადგენს მის საგანს: იდეალი თუ სინამდვილე? მასში რა უნდა გავარჩიოთ — დადებითი მეცნიერება, რომელიც განსაკუთრებით იკვლევს ერთფეროვნებას, თუ ხელოვნება, რომელსაც თავის ამოცანად დასახული აქვს წესების გამომუშავება პრაქტიკული საქმიანობისათვის?

ჯონ ნევილ კეინსის აზრით, ჩვეულებრივად არჩევენ ორგვარ განსხვავებას, მაგრამ სინამდვილეში განსხვავება სამგვარია: პირველი— მეურნეობრივ მოვლენათა ჭეშმარიტი წესრიგის გამოკვლევა მისი არსებობის და თანმიმდევრობის ნამდვილ ან წარმოსახვითს პირობებში. მეორე—ეკონომიკური იდეალების გამოკვლევა და ისეთი კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა შემოწმებით შესაძლებელია ეკონომიკური პირობებისა და ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება, მესამე — ეკონომიკური წესების გამონახვა, ე. ი. განკარგულებათა გამომუშავება, რომელთა დაცვით შესაძლებელია მოცემული მიზნების რაც შეიძლება წარმატებით განხორციელება. ის წერს: „იმის გარკვევა, თუ როგორ ნაწილდება საგადასახადო ტვირთი, არის თავისთავად დადებითი გამო-

---

[1] A. Marchall, Principles of Economics, vol, London, 1907.

[2] იქვე, თავი X, XII.

კვლევა: ასეთია პრობლემა დაბეგვრის სხვადასხვა სახეების გავლენისა საქონელთა შედარებით ფასეულობაზე. ეს არის ფაქტიური ხასიათის გამოკვლევა. როდესაც გადავდივართ მეორე კატეგორიის პრობლემებზე, ჩვენ ერთმანეთისაგან ვასხვავებთ დაბეგვრის იდეალის განსაზღვრას დაბეგვრის წესთა დადგენისაგან ამ სიტყვის უფრო ვიწრო და სასტიკი აზრით. ერთია — დავაყენოთ კითხვა, ვისწრაფვოდეთ თუ არა დაბეგვრის თანასწორობისაკენ და რატომ; მეორეა — გამოვიკვლიოთ რანაირი წესებით — მაგალითად, პროგრესული დაბეგვრის სისტემის გამოყენებით თუ პირდაპირი და არაპირდაპირი დაბეგვრის გონიერი შეხამებით — იქნეს მიღწეული რაც შეიძლება მეტი დაახლოება ასეთ თანასწორობასთან"[1].

ამგვარად, ჯონ ნევილ კეინსის მიხედვით, პირველი გამოკვლევა შეეხება დადებით მეცნიერებას, მეორე — ნორმატიულ ანუ რეგულატიურ მეცნიერებას, ხოლო მესამე—არა მეცნიერებას, არამედ ხელოვნებას.

ამგვარად, ჯონ ნევილ კეინსი გვაძლევს მეცნიერებათა ისეთსავე დაჯგუფებას, როგორსაც კ. მენგერი, მაგრამ მისგან განსხვავდება იმ მხრივ, რომ თუ მენგერი ფინანსურ მეცნიერებას მთლიანად თვლის ხელოვნებათმცოდნეობად, ჯონ ნევილ კეინსი თვით ფინანსური მეცნიერების საგანს ანაწილებს გამოკვლევათა სამ ჯგუფად: ფაქტიური ხასიათის კვლევა, იდეალების განსაზღვრა და ხერხების დაწესება იდეალების მისაღწევად. ჯონ ნევილ კეინსის შეხედულება მეცნიერების წარმოშობისა და კლასიფიკაციის საკითხში ისევე იდეალისტურია, როგორც კ. მენგერისა. ის კრიტიკა, რომელიც მოცემული გვაქვს მენგერის შეხედულებათა გარჩევასთან დაკავშირებით, შეეხება მასაც.

ბ) ამერიკულმა სკოლამ, რომლის მეთაურად ითვლება დ. ბ. კლარკი, „საზღვრითი სარგებლიანობის" თეორიაში შეიტანა ზოგიერთი ცვლილება. ის აყენებს ეკონომიკაში წონასწორობის თეორიას და შრომისა და კაპიტალის საზღვრითი სარგებლიანობის თეორიას. ეს მას სჭირდება კაპიტალისტთა მიერ პროლეტარიატზე შეტევის დასაბუთებისათვის.

კლარკი ფინანსური მეცნიერებისა და მისი საგნის გაგების საკითხში მარშალისა და ჯონ ნევილ კეინსის შეხედულებებს იზიარებს.

ავსტრიული სკოლის ფორმულირებაში უფრო გარკვეულად შეიტანა შესწორებები რ. ე. სელიგმანმა. მისი და საერთოდ ამერიკული

---

[1] Джон Невиль Кейнс. Предмет и метод политической экономии, М., 1899. Перевод с английского А. Вуковского, стр. 24—26.

სკოლის აზრით, მოგება წარმოიქმნება ძირითადად ტექნიკური გაუმჯობესებით.

ფინანსურ ინტერესებს სელიგმანი განიხილავს თავის თეორიულ მოსაზრებათა საფუძველზე მხოლოდ ნაწილობრივად. მარშალის მსგავსად, სელიგმანი ფინანსური საკითხებისა და ფინანსური მეცნიერების საგნის გაშუქებაში ხან კლასიკოსებს ემყარება, ხან ძველ ვულგარიზატორებს, უფრო ხშირად — ამ უკანასკნელთ, სახელდობრ, ისტორიულისა და კათედერ-სოციალიზმის წარმომადგენლებს [1].

8. კოლექტიურ მოთხოვნილებათა თეორია

მონოპოლისტური კაპიტალიზმის შინაგან და გარეგან წინააღმდეგობათა გამწვავება, მისი ისტორიული განწირულება ბურჟუაზიულ მეცნიერებას აიძულებს სინამდვილე მიჩქმალოს და მოცემული საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობა შეალამაზოს. ამ პერიოდის ბურჟუაზიული მეცნიერები მიზნად ისახავენ მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლასაც. ისინი ემყარებიან მანამდე არსებულ სხვადასხვა ბურჟუაზიულ მიმდინარეობებს, იყენებენ მათ მოსაზრებებს განახლებულ ფორმებში ან უბრალოდ იმეორებენ ძველს, ან კიდევ აყალიბებენ ნაძალადევ ახალ შეხედულებებს, რომლებიც წარმოადგენენ კაპიტალიზმის დამცველთა ძველი და ახალი თეორიების ნარევს.

ვულგარული მიმდინარეობის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს კოლექტიურ მოთხოვნილებათა თეორია [2], რომელიც ფინანსური მეცნიერების საგნად აცხადებს კოლექტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესწავლას. ბურჟუაზიული ფინანსური მეცნიერება ფინანსების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად ასახელებს სახელმწიფოს მიერ სახსრების შეგროვების აუცილებლობას კოლექტიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ცალკეულ ინდივიდს არ შეუძლია და ამიტომ, მათი აზრით, იქმნება სახელმწიფო.

ამგვარ შეხედულებას ემყარებიან ფინანსების დარგში იტალიელი ფრანჩესკო ნიტი, გერმანელი კ. ეებერგი, რუსი ი. ოზეროვი და სხვ. მათი თეორია კაპიტალისტური სახელმწიფოს კლასობრივსა და ექს-

---

[1] Edwin R. Seligman. Studies in Public Finance. 1925; The Shifting and Incidence of Taxation, 1894.

[2] ეს თეორია წამოყენებულია მონოპოლისტურამდელ კაპიტალიზმში, მაგრამ მან მონოპოლისტური კაპიტალიზმის დასაწყისში ფართო გავრცელება მოიპოვა— ვ. ჩ.

პლოატაციურ ბუნებას და სახელმწიფოსა და მისი ადგილობრივი ორგანოების წარმოშობასა და არსებობას ხსნის კოლექტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობით.

ნიტი წერს: „ფინანსური მეცნიერება იკვლევს, თუ სახელმწიფო და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები რა ხერხებით მოიპოვებენ მათი არსებობისა და საქმიანობისათვის აუცილებელ მატერიალურ საშუალებებს და როგორ ხარჯავენ მათ, ე. ი. სწავლობს თვით სახელმწიფოსა და დაბალი ან შუალედური კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი ორგანოების, მაგალითად, თემების, ოლქების, დეპარტამენტების, საგრაფოებისა და სხვ. ეკონომიკურ საქმიანობას“[1] (ხაზგასმა ჩვენია — ვ. ჩ.).

ასეთსავე შეხედულებას გამოთქვამს ეებერგი: „...მატერიალური და არამატერიალური თვისების მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ხორციელ, სულიერ და ზნეობრივ ძალთა შემდგომი განვითარება, აგრეთვე უმაღლეს სასიცოცხლო მიზანთა განხორციელება შეუძლებელია კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ს ორგანიზებული დახმარების გარეშე, სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის გარეშე, რომლებიც ბატონობენ ტერიტორიასა და მის მცხოვრებლებზე და თავის მხრივ ბადებენ ახალ საზოგადოებრივ ან კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ (კურსივი ყველგან ჩვენია — ვ. ჩ.) მოთხოვნილებებს“[2].

იმავე თვალსაზრისზე დგას ი. ოზეროვი: „ზოგიერთ მოთხოვნილებას ჩვენ ვიკმაყოფილებთ ერთპიროვნული ძალით, ზოგიერთს — სხვა პირებთან ერთად, რისთვისაც ისტორიამ გამოიმუშავა ადამიანთა კავშირები (სახელმწიფო, თემი და სხვ.). ინდივიდუალური ხასიათის მრავალი მოთხოვნილება თანამედროვე ხანაში გადადის იმ მოთხოვნილებათა რიგში, რომელსაც აკმაყოფილებენ კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი გ ზ ი თ... კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი მოთხოვნილებანი დღესდღეობით მოითხოვენ უზარმაზარ თანხებს“[3] (კურსივი ჩვენია — ვ. ჩ.).

მეცნიერული კომუნიზმის კლასიკოსების მტკიცებით, ბურჟუაზიული და მანამდე არსებული სახელმწიფოები და მათი ორგანოები წარმოადგენენ კოლექტიურობის სუროგატებს, მოჩვენებით კოლექტიურობებს.

მარქსი ნამდვილ კოლექტიურობას განასხვავებდა მოჩვენებითი

---

[1] Ф. Нитти, Основные начала финансовоiй науки, М., 1904, стр. 1.

[2] K. Ph. Eheberg, Finanzwissenschaft, L. 1909, S. 3.

[3] Проф. И. К. Озеров, Основы финансовой науки, вып. I, 1909, стр. 5. კოლექტიურ მოთხოვნილებათა შესახებ იხ. აგრეთვე Carl Menger, Grundsätze der Volkswirtschaftslehre, I, 1923, S. 7—9.

კოლექტიურობისაგან. ნამდვილი კოლექტიურობის დროს ინდივიდს აქვს პირადი თავისუფლება და ყველა საშუალება თავის უნარიანობათა ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამ პირად თავისუფლებას ინდივიდები აღწევენ თავიანთი ასოციაციების საშუალებით.

ნამდვილ კოლექტიურობაში ინდივიდები მონაწილეობენ როგორც ინდივიდები და არა როგორც კლასის წევრები. მარქსის აზრით, ნამდვილი კოლექტიურობა არის რევოლუციურ პროლეტართა კოლექტიურობა.

მოჩვენებით კოლექტიურობაში ინდივიდს პირადი თავისუფლება არა აქვს; ასეთი თავისუფლება აქვთ მხოლოდ გაბატონებული კლასის ინდივიდებს. მოჩვენებითი კოლექტიურობა არის ერთი კლასის გაერთიანება მეორის წინააღმდეგ. ამიტომ დაჩაგრული კლასისათვის იგი არ არის კოლექტიურობა, პირიქით, ბორკილია[1].

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბურჟუაზიული სახელმწიფო წარმოადგენს სწორედ ასეთი სახის კოლექტიურობას, კოლექტიურობის სუროგატს. სახელმწიფო, როგორც კოლექტიურობის სუროგატი, გაბატონებული კლასის ორგანიზაციაა დაჩაგრული კლასის საექსპლოატაციოდ.

ამგვარად, ფინანსური მეცნიერების საგნის გაგებაში კოლექტიური მოთხოვნილების თეორია არამეცნიერულ, ყალბ საფუძველზე დგას. ის, რასაც ეს თეორია კოლექტიურ მოთხოვნილებას უწოდებს, არის ანტაგონისტურ საზოგადოებაში გაბატონებული კლასის მოთხოვნილებანი და სხვა არაფერი.

9. სოციალური მიმართულება

მე-20 ს. დასაწყისში გერმანიაში გავრცელდა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ახალი მიმდინარეობა სოციალური მიმართულების სახელწოდებით. სხვანაირად მას უწოდებენ აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიის სოციალურ-ორგანულ სკოლას. მისი მთავარი წარმომადგენლები არიან ა. ამონი, რ. შტოლცმანი, კ. დილი, ო. შპანი და სხვ. ისინი დარწმუნდნენ, რომ მანამდე არსებულმა სხვადასხვა ბურჟუაზიულმა ვულგარულმა სკოლებმა და მიმდინარეობებმა ვერ შესძლეს მარქსიზმ-ლენინიზმის გაქარწყლება, კაპიტალისტური სისტემის გამართლება და ჯეროვანი დაცვა. კაპიტალიზმის დასაცავად ამ მიმართულებამ გადაწყვიტა ახალი თეორიის შემუშავება. მან უარყო,

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3. 1955, стр. 75.

ერთი მხრივ, ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისა და პირველი ხანის ვულგარიზატორთა ნატურალისტური ობიექტივიზმი და, მეორე მხრივ, ავსტრიის სკოლის ნატურალისტური სუბიექტივიზმი.

სოციალურმა მიმართულებამ ყურადღების ცენტრში დააყენა ინდივიდის ყოფაქცევის სოციალური დაპირისპირება; პოლიტიკური ეკონომიის საგნად გამოაცხადა არა მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მხარე, არამედ მისი სოციალური ფორმა, რაც ადამიანთა შორის სოციალური ურთიერთობით გამოიხატება.

ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლის ამონის აზრით, „თეორიულ სოციალურ მეცნიერებათა ობიექტი არის სოციალური ურთიერთობანი ან მით გაპირობებული კანონზომიერებანი და წესიერებანი"[1].

ის მოქმედებას განიხილავს ან როგორც ცალკეული ინდივიდების ფსიქიკური განცდებითა და მოტივებით გაპირობებულ ქმედებას, ან როგორც მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო აუცილებელ დოვლათთა მოპოვებისაკენ მიმართულ ქმედობას. ამონის აზრით, დღემდე მეცნიერებაში ბატონობდა ეს ორი თვალსაზრისი — ფსიქოლოგიური და ბუნებრივ-ტექნიკური[2]. ამ მიმართულების აზრით შესწავლილ უნდა იქნეს არა საერთოდ მეურნეობა, მისი ნივთობრივ-მატერიალური მხარე — დოვლათთა მოპოვება და გამოყენება, არამედ მეურნეობის სოციალური მხარე, სოციალური ურთიერთობანი. მეურნეობის სოციალური მხარე მას ესმის იდეალისტურად. ამონმა სოციალური ურთიერთობა დაცალა ყოველგვარი მატერიალური შინაარსისაგან. მეურნეობის სოციალური ფორმა მან მოსწყვიტა წარმოების პრინციპს. ამგვარად, პოლიტიკური ეკონომიის საგნად დასახა ადამიანთა სოციალური ურთიერთობანი, რომლებიც მოწყვეტილია საფუძველს, ე. ი. წარმოების საზოგადოებრივ პროცესს, რაც არსებითად და მეცნიერულად სწორი არ არის. ნამდვილად პოლიტიკური ეკონომია სწავლობს არა მატერიალური შინაარსისაგან, მატერიალური წარმოების პროცესისაგან მოწყვეტილ ურთიერთობებს, არამედ ადამიანთა ურთიერთობებს, რომლებიც ნივთებთან არიან დაკავშირებული და ნივთების სახით წარმოდგებიან.

პოლიტიკური ეკონომია სწავლობს ადამიანთა ურთიერთობებს როგორც ეკონომიკურ, საზოგადოებრივ წარმოებითს ურთიერთო-

---

[1] A. Amonn, Objekt und Grundbegriffe der theoretischen Nationalökonomie, 1927, S. 178.

[2] იქვე, გვ. 164.

ბებს; ენგელსმა სოციალური მიმართულების მოვლინებამდე ბევრად ადრე განმარტა პოლიტიკური ეკონომიის საგანი ისე მოხდენილად, რომ გააქარწყლა კლასიკური სკოლისა და ვულგარული ეკონომისტების ყალბი გაგება პოლიტიკური ეკონომიის საგნის საკითხში, აგრეთვე დაიცვა ამ საკითხის სწორი გაგება ყველა სხვაგვარი მოსალოდნელი ყალბი გაგებიდანაც, რომელთა ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს სოციალური მიმართულება. ენგელსი წერს: „პოლიტიკურ ეკონომიას საქმე აქვს ადამიანთა შორის ურთიერთობებთან, საბოლოო რიგში კლასებს შორის ურთიერთობებთან: ეს ურთიერთობანი ყოველთვის დაკავშირებული არიან ნივთებთან და ვლინდებიან როგორც ნივთები"[1].

ფინანსური მეცნიერების საგანს ა. ამონი განმარტავს ჩვეულებრივ ვულგარულ ფინანსისტთა იმ ჯგუფის მიხედვით, რომელიც მოცემული დისციპლინის ობიექტად ფინანსურ მეურნეობას სახავს, იმ განსხვავებით, რომ ადამიანის მეურნეობრივ მოქმედებაში სოციალურ ურთიერთობებს ხედავს.

ა. ამონი წერს: „ფინანსური მეცნიერება არის მოძღვრება საჯარო საზოგადოებათა მეურნეობის სახეობისა და ფორმის შესახებ, მაშასადამე, საჯარო საზოგადოებრივი მეურნეობის, ანუ ფინანსური მეურნეობის შესახებ, რაც მისი როგორც საჯარო მეურნეობის, ხასიათიდან გამომდინარეობს"[2].

ამგვარად, ამონის აზრით, ფინანსური მეურნეობა არის საჯარო საზოგადოებრივი მეურნეობა, სხვანაირად, მეურნეობის ფინანსურ ხასიათს მეურნეობის საჯაროობა აპირობებს. ეს შეხედულება არაფრით არ განირჩევა მანამდე არსებულ სხვადასხვა ჯურის ვულგარიზატორ ფინანსისტთა შეხედულებისაგან ფინანსური მეცნიერების საგნის საკითხში.

ამავე მიმართულებას ეკუთვნის გერჰარდ კოლმი, რომელმაც ამ თვალსაზრისით გაარჩია სახელმწიფო ხარჯების საკითხი[3].

რუსეთში ამ თვალსაზრისს ფინანსური მეცნიერების დარგში გამოხატავდა ვ. ტვერდოხლებოვი. იგი წერდა, რომ ფინანსური მეცნიერება განვითარების გარდამავალ სტადიაშია: გაბატონებულ სოციალურ-ეთიკურ მიმართულებას ცვლის ახალი მიმდინარეობა,

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 13, 1959. стр. 493.

[2] A. Amonn, Grundsätze der Finanzwissenschaft. Erster (allgemeiner) Teil, Bern, 1947, S. 18.

[3] Gerhard Colm, Volkswirtschaftliche Theorie der Staatsausgaben, Tübingen, 1927.

რომელსაც სურს გადაამუშაოს ამ მეცნიერების შინაარსი. „ახალი მიმართულების არსებითი ნიშნები, რომელსაც შესაძლებელია ვუწოდოთ სოციოლოგიური, მდგომარეობს შემდეგში: ის სასტიკად ბიჯნავს ერთმანეთისაგან პოლიტიკისა და მეცნიერების დარგს და მეცნიერების ამოცანად სახავს სინამდვილის კანონების, ფინანსური მოვლენების გამოკვლევას. უკანასკნელი წარმოადგენს სოციალურ მოვლენათა სახეს საერთოდ: მაშასადამე, ფინანსური მეცნიერება ხდება სოციოლოგიის ნაწილად ან, უფრო ზუსტად, ერთ-ერთ სოციალურ მეცნიერებად და უნდა მიიღოს უკანასკნელის ყველა მეთოდი“[1].

ფინანსური მეცნიერების საგნის გაგების საკითხში ტვერდოხლებოვი ემყარებოდა ამონისა და მენგერის შეხედულებებს, ფინანსისტთა ეს ჯგუფი მოითხოვდა ფინანსური მეცნიერების განთავისუფლებას პოლიტიკისაგან.

10. ფინანსური ტექნიკა როგორც ფინანსური მეცნიერების საგანი

ვულგარულმა მიმდინარეობებმა მრავალი სხვადასხვაგვარი მოსაზრება გამოთქვეს ფინანსური მეცნიერებისა და კერძოდ მისი საგნის შესახებ. კაპიტალისტური სახელმწიფოს კლასობრივი ბუნების, მისი ფინანსების ექსპლოატაციური შინაარსის დაფარვის მიზნით ისინი ფინანსური მეცნიერების საგნად სახავენ არა ფინანსების არსის, ფინანსურ ურთიერთობათა კანონზომიერების შესწავლას, არამედ ფინანსური სისტემის გარეგნულ სახეთა განხილვას. მათ სიმძიმის ცენტრი გადატანილი აქვთ ფინანსური ტექნიკის შესწავლაზე. ასეთი შეხედულება ცნობილი იყო მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის დროსაც, მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერდა თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში კიდევ უფრო გავულგარებული სახით.

ამ მიმართულების წარმომადგენლების — გერმანელი და ავსტრიელი ფინანსისტების ვილჰელმ ფოკის, ი. ნეიმანის, კ. ტიშკას, ბელა ფოლდესის და სხვ. — აზრით, ფინანსური მეცნიერება არის მოძღვრება სახელმწიფოსა და დანარჩენი საჯარო კავშირების მეურნეობის შესახებ. მათი მეტნაკლებად ზუსტი განმარტებით, მოძღვრება სახელმწიფო მეურნეობის შესახებ შეისწავლის იმ კანონებისა და წესების ერთობლიობას, რომლებიც ეხება ამ საჯარო მეურნეობრივი

---

[1] В. Твердохлебов, Задачи финансовой науки (Жур. „Божий мир“), № 7,9, 1903.

კავშირების ამოცანების განსახორციელებლად საჭირო აუცილებელი სახსრების მოპოვებასა და გამოყენებას[1].

ფ. სნოუდენი ფინანსური მეცნიერების დანიშნულებას იმაში ხედავს, რომ თითოეული მოქალაქე ცოტად თუ ბევრად უნდა ერკვეოდეს ფულის აკრეფისა და ხარჯვის ხერხებში და სახელმწიფოებრივი ანგარიშსწორების მეთოდებში. ფინანსური მეცნიერების საგნის ამგვარივე გაგება აქვთ მოცემული ინგლისელ და ამერიკელ ეკონომისტებს რ. მიტჩელს, ლ. ლუტცსა და სხვ[2].

მონოპოლისტური კაპიტალიზმის ვულგარიზატორი ფინანსისტების ნაწილი იმეორებს მონოპოლისტურამდელი ვულგარიზატორების განმარტებებს ფინანსური მეცნიერების საგნის გაგების საკითხში. ასე, ზაგალითად, რუსი ფინანსისტი აკადემიკოსი იანჟული წერდა: „ფინანსური მეცნიერების საგანია სახელმწიფოს მატერიალურ მოთხოვნილებათა საუკეთესო დაკმაყოფილების ხერხების გამოკვლევა“. „ფინანსებში, სიტყვის ტექნიკური მნიშვნელობით. იგულისხმება განსაკუთრებით სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელ მატერიალურ საშუალებათა ერთობლიობა“[3].

ამგვარად, იანჟული ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში წერდა, რომ ფინანსური მეცნიერება სწავლობს სახელმწიფო მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხერხებს.

11. „სრული დასაქმების“ თეორია

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში ხდება წინააღმდეგობათა მძლავრი გამწვავება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს, მეტროპოლიასა და კოლონიებს და თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. კრიზისი იწვევს ქრონიკულ უმუშევრობას, საწარმოთა დაუტვირთაობას. კაპიტალისტური სისტემის დამცველები ეძიებენ გამოსავალს.

იმპერიალიზმის იდეოლოგი ჯონ მეინარდ კეინსი (1883-1946) შეეცადა გარდაექმნა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია

---

[1] Carl Tyszka, Grundzüge der Finanzwissenschaft, Jena, 1923, S. 1; Wilh. Vocke, Grundzüge der Finanzwissenschaft, Leipzig, 1894, S. 7; Bela Földes. Finanzwissenschaft, Jena, 1927, S. 31.

[2] B. Michell, Public Finance, London, 1935; H. L. Lutz, Public Finance, N. Y. 1947.

[3] И. И. Янжул, Основные начала финансовой науки, С. Пб., 1890, стр. 11, 12.

მისი თანადროული პირობების შესაბამისად. იგი გავრცელდა და მიიღო ოფიციალური აღიარება ინგლისში, აშშ-ში, კანადაში და სხვ. მას გაუჩნდა მრავალი მიმდევარი. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში (1930-იანი წლები) განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობისა და უმუშევრობის საკითხები.

ჯონ მეინარდ კეინსი თავის შრომაში „დასაქმების, სარგებლისა და ფულის საერთო თეორია"[1] კრიზისებისა და უმუშევრობის მიზეზებს ხსნის ფსიქოლოგიური მომენტებით. მან წამოაყენა „სრული დასაქმების", უმუშევრობისა და კრიზისების მოსპობის თეორია. მისი აზრით, ეს შესაძლებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გზით. ამისათვის საჭირო არის მეურნეობის ზოგიერთი დარგის გასახელმწიფოებრიობა, კერძო კაპიტალდაბანდებების სახელმწიფოებრივი რეგულირება და ფინანსური წახალისება, ბიუჯეტური ასიგნება, სუბსიდიები, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ნაწილის გასახელმწიფოებრიობა, სახელმწიფო ინვესტიციები, საგადასახადო დაბეგვრა, ბიუჯეტური დეფიციტი და სხვ.

ცხადია, გარკვეულ ფარგლებში სახელმწიფოს შეუძლია ფინანსური ბერკეტების გამოყენებით ცვლილებები შეიტანოს ნაციონალური შემოსავლის განაწილებასა და გადანაწილებაში, გააფართოოს შინაგანი და საგარეო ბაზრები, გაზარდოს შინაგანი გადამხდელუნარიანი მოთხოვნა, რამდენადმე გაზარდოს აბსოლუტური მოთხოვნა შრომაზე წარმოებაში, უმთავრესად არაწარმოებრივ სფეროში, გაზარდოს სახელმწიფო აპარატი. მაგრამ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლია გააუქმოს კაპიტალისტური დაგროვების კანონი, არ შეუძლია მოსპოს კრიზისებისა და უმუშევრობის წარმოშობის მიზეზები.

იცვლება კაპიტალის ორგანული შემადგენლობა, იზრდება კაპიტალის მუდმივი ნაწილი ცვალებადთან შედარებით და შედარებით მცირდება შრომაზე მოთხოვნა, იზრდება უმუშევრობა. ამგვარად, უმუშევრობის ზრდა პირდაპირ დამოკიდებულებაშია მუდმივი კაპიტალის ზრდასთან. სახელმწიფოს კეინსური ჩარევა ეკონომიკაში აძლიერებს იმ ფაქტორებს, რომლებიც ზრდიან მუდმივ კაპიტალს, მაშასადამე, უმუშევრობასაც. საგადასახადო დაბეგვრა და ინფლაცია, ფულის მსყიდველობითი ძალის შემცირება ამცირებს რეალურ ხელფასს, აუარესებს მშრომელთა მდგომარეობას, აძლიერებს წვრილ-

---

[1] Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, Пер. с англ; М., 1949, стр. 83-88, 256, 264, 359, 360 და სხვ.

ბურჟუაზიული ფენების პროლეტარიზაციას და, მაშასადამე, ზრდის უმუშევრობას.

კეინსს აუცილებლობად მიაჩნია იმპერიალისტური ომები და მათ დასაფინანსებლად დიდი ბიუჯეტური სახსრების გაღება. მისი აზრით, დიდ სამხედრო ხარჯებს საერთოდ პარაზიტული მოხმარების გადიდებასთან ერთად შეუძლიათ გამოიწვიონ სამომხმარებლო მოთხოვნის გაფართოება და, მაშასადამე, კრიზისების თავიდან აცილება. კეინსის შეხედულება ამ საკითხშიც მცდარია, რადგან სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირება გამოწვეულია მშრომელთა საცხოვრებელი დონის დაწევით. კეინსის მიერ წამოყენებული ღონისძიებანი კიდევ უფრო ამცირებენ მშრომელთა საცხოვრებელ დონეს, საბოლოოდ, მაშასადამე, ამცირებენ სამომხმარებლო მოთხოვნასაც. ამიტომ ისინი კრიზისებსა და უმუშევრობას ვერ მოსპობენ.

კეინსმა განავითარა გადასახადების ანტიკრიზისული თეორია, რომელსაც იზიარებენ ჰარისი და გროვსი. ამ თეორიის მიმდევრები გადასახადს განსაზღვრავენ როგორც აღწარმოების პროცესის მარეგულირებელ საშუალებას. მათი აზრით, ბურჟუაზიული სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკით ახორციელებს მეურნეობრივ ფუნქციებს. გადასახადების ანტიკრიზისულმა როლმა, მათი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს ინდივიდუალურ ინიციატივას.

რასაკვირველია, გადასახადები კაპიტალიზმს ვერ იხსნის კრიზისებისაგან, რაც მოცემული სისტემისათვის იმანენტურია. ეს თეორია მოემსახურება მონოპოლიის ინტერესებს, იგი თვალს უხვევს მშრომელებს, ცდილობს პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს გაბატონებული კლასი და ბურჟუაზიული სახელმწიფო იმის გამო, რომ მის სისტემაში არსებობს კრიზისები და უმუშევრობა.

თანამედროვე ბევრი ბურჟუაზიული ფინანსისტი ფინანსური მეცნიერების ამოცანად სახავს იმგვარ ღონისძიებათა შემუშავებას, რომლებიც სახელმწიფო ფინანსებს გადააქცევს კაპიტალისტური ეკონომიკის „რეგულირების", „დაგეგმვის" საშუალებად. ამ თვალსაზრისით სახელმწიფო ბიუჯეტს შეუძლია დასძლიოს კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი და იგი იხსნას დაღუპვისაგან. ამ შემთხვევაში ისინი (მაგალითად, ლავუფენბურგერი და სხვ.) ემყარებიან სახელმწიფო ფინანსების განმანაწილებლობითს ფუნქციას; იმედოვნებენ სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით აწარმოონ კაპიტალისტური ეკონომიკის რეგულირება და სახალხო მეურნეობას გეგმიანი ხასიათი მისცენ, რაც სინამდვილეში შეუძლებელია. კაპიტალისტურ სახელმწიფო ფინანსებს, როგორც ამ საზოგადოებრივი წყობის ეკონომიკის ნა-

წილს, ისევე არაგეგმური ხასიათი აქვს, როგორიც მის ეკონომიკას. ამიტომ ბიუჯეტს არ ძალუძს კაპიტალიზმის გეგმიანი რეგულირება.

ამერიკელი ეკონომისტი ჰ ა ნ ს ე ნ ი კეინსის თეორიაზე დამყარებით ასაბუთებს კაპიტალისტური მეურნეობის „რეგულირების“ აუცილებლობას ფინანსების საშუალებით. მისი აზრით, კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება შეუძლებელია მარტო სტიქიური ძალებით. სახელმწიფოს შეუძლია დიდი შეკვეთების დაფინანსება ბიუჯეტით და, მაშასადამე, მუშათა სრული დასაქმების უზრუნველყოფა. ამგვარად, ჰანსენის აზრით, სახელმწიფო ფინანსები, კერძოდ, ისეთი სახელმწიფო ხარჯები, როგორიცაა დასაქმების, ეკონომიკის მილიტარიზაციის, შეიარაღების ზრდისა და სხვა მისდაგვარი, მარეგულირებელი საშუალებაა. ჰანსენი ავითარებს სახელმწიფო მომსახურების თეორიას. თავის შრომებში[1] მას გადასახადი განმარტებული აქვს როგორც სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურების იძულებითი ფასი. მისი აზრით, ამ კატეგორიის მომსახურებათა რიცხვს ეკუთვნის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მართლმსაჯულების ორგანოების, სოციალურ-კულტურული ორგანიზაციების, კავშირგაბმულობის, დაზღვევის ორგანოებისა და სხვ. მომსახურებანი.

კირიუხინი და ეიდელნანტი მომსახურების თეორიის შემქმნელად ასახელებენ ჰანსენს და ლუცს. ნამდვილად ამ ფინანსისტთა შეხედულება არც ახალია და არც სწორი.

ჰანსენამდე იგი მრავალჯერ იყო წამოყენებული ფინანსურ ლიტერატურაში. ასეთ შეხედულებას გამოთქვამდა, მაგალითად, ძველი ეულგარიზატორი ფოკი და სხვ. განსხვავება ის არის, რომ ახალი ეულგარიზატორები უფრო უხეშად და პირდაპირ გამოდიან კაპიტალის ინტერესების დასაცავად.

ეს შეხედულებები სწორი არ არის. კაპიტალისტური სახელმწიფო მშრომელ კლასს არავითარ მომსახურებას არ უწევს და რასაც უწევს, ისიც მშრომელთა წინააღმდეგაა მიმართული.

კ ე ი ნ ს ი ა ნ ე ლ ე ბ ი ს ა ზ რ ი თ, ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი ა რ ი ს ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი ს, პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი ს ა დ ა ტ ე ქ ნ ი კ ი ს გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა, ა გ რ ე თ ვ ე გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა ი მ გ ა ვ ლ ე ნ ი ს ა, რ ო მ ე ლ ს ა ც ა ხ დ ე ნ ს ე კ ო ნ ო მ ი კ ა ზ ე მ თ ა ვ რ ო ბ ი ს დ ა წ ე ს ებ უ ლ ებ ებ ი ს მ ი ე რ ფ უ ლ ა დ ი ფ ო ნ დ ებ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ა დ ა დ ა ხ ა რ ჯ ვ ა, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ვ ა ლ ი ს რ ე გ უ ლ ი რ ე-

---

[1] Hansen A., Economic Policy and Full Employment, New York, 1947; მისივე, Business cycles and National income, New York, 1951.

ბა, — ასე განმარტავენ მას ვ. შულცი და ს. ჰარისი[1].

კეინსიანელების ერთი ჯგუფი ფინანსური მეცნიერების საგნად ცნობს ფინანსურ პოლიტიკას. ესენი არიან კ. ბოულდინგი[2], პ. ჰალერი[3]. გ. ჰაბერლერი[4] და სხვ.

12. ნეოლიბერალიზმი

რაც უფრო ღრმავდება კაპიტალიზმის კრიზისი, მით უფრო მეტად ეძებს ბურჟუაზიული უკონომიკური მეცნიერება ახალ საშუალებებს კაპიტალიზმის გადასარჩენად და თხზავს ამის შესაბამის თეორიებს; ერთ-ერთია ნეოლიბერალიზმის თეორია, რომელიც ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის 30-იან წლებში. იგი ფართოდ გავრცელდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით — დასავლეთ გერმანიაში.

ნეოლიბერალიზმის თეორიას უწოდებენ „თავისუფალი მეწარმეობის" თეორიას, სხვანაირად, „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის თეორიას". მის წარმომადგენლებად გვევლინებიან: აშშ-ში—კ. ლონგი, ს. ჰარისი, გ. ჰაზლიტი და სხვ.; ინგლისში — რობინსონი და სხვ.; საფრანგეთში — არონი, ლავერნი, მარჟოლინი და სხვ.; დასავლეთ გერმანიაში —ოიკენი, ბემი, ფ. კ. მაიერი, ვ. რეპკე, ა. რიუსტოვი და სხვ.

ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თავისუფალი კონკურენციის პირობებში კაპიტალისტური საკუთრება არ არის მშრომელთა ექსპლოატაციის საშუალება.

ნეოლიბერალები არ უარყოფენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას. კაპიტალიზმის მანკიერი მხარეების მოსასპობად მოითხოვენ „საბაზრო მეურნეობის" საფუძველზე სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას, ამგვარად, იცავენ მონოპოლიებს და კეინსურ პოლიტიკას. ამტკიცებენ, რომ Leisez faire.... პრინციპი ავტომატურად ვერ განხორციელდება[5]. ამიტომ რეგულირებისათვის საჭირო არის ფინანსური სისტემის გამოყენება, მონოპოლიების დაფინანსება გადასახადური და კრედიტული სისტემის გზით,

---

[1] Американские государственные финансы, № 10, 1954. стр. 1.

[2] K. E. Boulding, Principles of Economic Policy, New York, 1954.

[3] P. Haller, Finanzpolitik, 1957.

[4] G. Haberler, Prosperity and Depression, 1941.

[5] W. Eucken, Grundsätze der Wirtschaftspolitik, Tübingen, 1952, S. 291.

გადასახადური შეღავათების მინიჭება, არაპირდაპირი გადასახადებისაგან განთავისუფლება და სხვ[1].

ფინანსური მეცნიერების საგნის საკითხში ნეოლიბერალიზმის შეხედულებები ეკლექტიკური ხასიათისაა. ისინი აერთიანებენ სეის, ისტორიული სკოლისა და კეინსიანელების შეხედულებებს. ნეოლიბერალიზმის წარმომადგენელთა გამოკვლევებში არ არის მოცემული წარმოებრივ ურთიერთობათა თეორიული ანალიზი. ისინი საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებას უარყოფენ და კმაყოფილდებიან მოვლენების ზედაპირული აღწერით.

18. „ეკონომიკური ზრდის" თეორია

ბურჟუაზიულმა ეკონომიკურმა თეორიამ კრიტიკა და შესწორება დაუწყო ჯონ მეინარდ კეინსის თეორიას, რომელმაც ვერ იხსნა კაპიტალიზმი კრიზისებისა და უმუშევრობისაგან და ამასთანავე შეეცადა ახალი თეორიების შეთხზვას. ერთ-ერთ ასეთ მიმდინარეობას ქმნიან „ეკონომიკური ზრდის" თეორიები, რომლებიც განვითარდნენ განსაკუთრებით XX ს. 50-იანი წლების შემდეგ. ამ თეორიების მიხედვით სოციალიზმთან ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტემპის და არა სრული დასაქმების პრობლემას.

ე. დ ო მ ა რ ი ასაბუთებს, რომ სრული დასაქმება კაპიტალიზმის პირობებში არასდროს არ განხორციელდება. სოციალიზმთან შეჯიბრების პირობებში თანამედროვე კაპიტალიზმისათვის ძირითადია ზრდის პრობლემა[2].

რ. ფ. ჰ ა რ ო დ ი[3] კაპიტალის დაგროვებას ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და განაწილების გარეშე განიხილავს. ამგვარად, ეს ეკონომისტები გვერდს უვლიან ეკონომიკურ კატეგორიათა კლასობრივი შინაარსის გახსნას.

„ეკონომიკური ზრდის" თეორიის სხვა სახეობას წარმოადგენს უ. რ ო ს ტ ო უ ს[4] თეორია, რომელიც თავისი მახვილით მიმართულია მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ. იგი, როგორც ვულგარული ეკო-

---

[1] ამ მიმართულებასთან დაკავშირებით იხ.: გ. ჭ ა ნ უ ყ ვ ა ძ ე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 1, 2, 3, 1962, 1964, 1967.

[2] E. D o m a r, Essays in the Theory of Economic Growth, N. Y. 1957, p. 18.

[3] Р. Ф. Х а р р о д, К теории экономической динамики, Изд. «Иностр. литература» 1959, стр. 57, 156.

[4] W. W. R o s t o w, The Stages of Economic Growth, 1960, p. 4.

ნომისტი, ეკონომიკის განვითარებაში ხედავს მხოლოდ გარეგნულ მხარეებს.

ამ თეორიების წარმომადგენელთა აზრით, კაპიტალისტური ეკონომიკა ისეთი ტემპებით უნდა იზრდებოდეს, რომ მთლიანად მოიხმარებოდეს დაგროვების არსებული რესურსები, შესაძლებელი იყოს ეფექტურობის სრული რეალიზაცია და მიწოდებისა და მოთხოვნის ტოლობა. ეს თეორია ემყარება აღწარმოების აბსტრაქტულ იდეალურ პირობებს, რაც კაპიტალისტურ სინამდვილეში არ ხდება.

„ეკონომიკური ზრდის" თეორიების მიხედვით, ეს ტოლობა მიწოდება-მოთხოვნას შორის, შესაძლებელია მიღწეულ იქნეს სახელმწიფოს რეგულირების საშუალებით. აქ ისინი კეინსურ მეთოდებს ემხრობიან. სახელმწიფოს რეგულირების ეფექტურ საშუალებად მიაჩნიათ სახელმწიფო ფინანსები. ფინანსების მნიშვნელობისა და ფინანსური მეცნიერების საგნის და ამოცანების გაგებაში ისინი არაფრით არ განსხვავდებიან კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდის ეულგარიზატორებისაგან.

14. „ტექნოლოგიური" თეორიები

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავებამ კიდევ უფრო მეტი კრიზისი შექმნა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში, რომელიც ცდილობს ძველი თეორიების გადასინჯვას, მათი ახალი პირობებისადმი შეგუებას, შესწორებას ან პირდაპირ ახალი თეორიების შემუშავებას.

ამ მრავალ ახალ მიმართულებებსა და მიმდინარეობებში ერთ-ერთს წარმოადგენს ტექნოლოგიური მიმდინარეობა.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტექნიკაში მოხდა დიდი ძვრები: პირველი, გადატრიალება ენერგეტიკაში, შინაატომური ენერგიის გამოყენება; მეორე — სინთეტიკური მასალების შექმნა, ისეთი სახის მასალების დამზადება, რომლებიც თავიანთ თვისებებით ბუნებრივს აღემატება, განვითარდა ქიმიის ახალი დარგები; მესამე, — ავტომატიზაცია, რაც იწვევს მთელი წარმოებრივი პროცესის გარდაქმნას. ამასთანავე მოხდა მეურნეობის მილიტარიზაცია. ყოველივე ამან წარმოშვა მრეწველობის ახალი დარგები, მათ შორის ელექტრული, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს კაპიტალიზმის მეურნეობაზე.

„ტექნოლოგიური" თეორიების წარმომადგენლები ცდილობენ დაასაბუთონ, რომ მეცნიერული აღმოჩენები და ტექნიკური გადატ-

რიალებანი ცვლიან კაპიტალიზმის არსს და სპობენ კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობებს.

ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჟ ა ნ ფ უ რ ა ს ტ ი ე ცდილობს შექმნას ახალი პოლიტიკური ეკონომია, რომლის კატეგორიები ტექნიკიდან გამომდინარეობენ. ის აქამდე არსებული პოლიტიკური ეკონომიის ყველა თეორიას აყალიბებს შემდეგ ჯგუფებად: 1. ღირებულების თეორია, რომელიც. მისი აზრით. შექმნეს რიკარდომ და მარქსმა, განავითარეს ბემ ბავერკმა და მენგერმა, 2. წონასწორობის თეორია, რომელიც ჩამოაყალიბეს პარეტომ და ვალრასმა და განავითარეს ვიკსელმა, მიზესმა, ჰიკსელმა და სხვ. 3. „დასაქმების" თეორია, რომელიც შექმნა ჯონ მეინარდ კეინსმა და 4. „ეკონომიკური ზრდის" თეორია, რომელიც შეიმუშავეს დომარმა, ჰაროდმა და სხვ.

ფურასტიეს აზრით, ყველა ამ თეორიას შექმნილი აქვს სინამდვილისაგან მოწყვეტილი აბსტრაქტული მოდელები და ამიტომ მათ არ შეუძლიათ ახსნან თანამედროვე კაპიტალიზმის მოვლენები. კაპიტალიზმის ეკონომიკური კანონები უნდა ვეძებოთ ტექნიკურ პროგრესში. მისი აზრით, ღირებულება არავის არ უნახავს და არც გაუზომია, მხოლოდ ფასია ხილვადი და განზომილებადი, ამიტომ არც ზედმეტი ღირებულების საკითხი არსებობს[1].

ფურასტიე და ლალეფი წერენ: „ყოველგვარი ცივილიზაციის გადამწყვეტი ფაქტორია არა იურიდიული და პოლიტიკური ფაქტორები, არა საკუთრების რეჟიმი, არა „წარმოებრივი ურთიერთობანი.... არამედ წარმოების ტექნიკა"[2].

მონსაროვი თავის შრომაში „ეკონომიკური თეორია, მეცნიერება და წარმოება"[3] აყენებს ოთხწევროვან ფორმულას: მეცნიერება, მიწა, კაპიტალი, შრომა.[4]

ამ თეორიის წარმომადგენლები პოლიტიკური ეკონომიის საგნად თვლიან არა წარმოებრივ ურთიერთობას, არამედ წარმოების ტექნიკურ მხარეს. ფურასტიეს აზრით, ხელფასი იზრდება ტექნიკური პროგრესის გამო; მონსაროვის სიტყვებით, მუშის ხელფასი იზრდება მეცნიერული პროგრესის გამო.

---

[1] J. F o u r a s t i é. Le grand éspoir du XX-e siècle, Paris, 1958, „Annales", № 1, 1949, p. 56, 59.

[2] J. F o u r a s t i e et A L a l o u f, Révolution à l'ouest, Paris, p. 9 1957,

[3]. B. M o n s a r o f f, Economics, Science and Production, N. Y., 1958.

[4] იქვე, გვ. 19—20.

ასეთივე შეხედულებები აქვთ: დიბოლდს[1], გუდმენს[2], ბიტორფს[3], ეინციგს[4], სრიტჩს[5], სილკს[6], შტენბერგს[7] და სხვ.

ეს მიმდინარეობა ჭარბი წარმოების კრიზისების მოსასპობად უარყოფს კეინსურ რეცეპტს, კაპიტალდაბანდებათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდის გამოყენებას. ამ თეორიების მიმდევართა აზრით, თუ კრიზისი მაინც წარმოიშობა, სახელმწიფომ უნდა შეამციროს გადასახადები იმ მეწარმეებზე, რომლებიც ახალ ტექნიკას იყენებენ, მეცნიერულ და ტექნიკურ პროცესს ანჭარებენ, რაც გააფართოებს კაპიტალის დაგროვებას და მოსპობს კრიზისებს.

ეს უკანასკნელნიც არ უარყოფენ მთლიანად სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში და ამ მიზნისათვის სახელმწიფო ფინანსების გამოყენებას.

ეს თეორიები წარმოადგენენ ბურჟუაზიული აპოლოგეტიკის ახალ ფორმას, რომელთა მიხედვით პოლიტიკური ეკონომია და ფინანსური მეცნიერება სწავლობენ მწარმოებლურ ძალებს და არა წარმოებრივ ურთიერთობებს, რაც თავისთავად მცდარი შეხედულებაა.

15. „მმართველთა რევოლუციის" ბურჟუაზიული თეორია

ამ თეორიის მიხედვით უკვე მოხდა წარმოების „მმართველობის ძირეული დემოკრატიზაცია", რაც იმით გამოიხატა, რომ ეკონომიკის ხელმძღვანელობა მსხვილი კაპიტალისტების ნაცვლად დაეკალა მმართველებს, ანუ მენეჯერებს, რომლებიც, კაპიტალისტებისაგან განსხვავებით, ხალხის ინტერესებს იცავენ.

ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ა. ბერლი თავის შრომაში „კაპიტალისტური რევოლუცია XX ს". წერს: „ქრება თვით კაპიტალისტი. ის მნიშვნელოვანი ზომით უკვე გავიდა სცენიდან"[8].

---

[1] J. Diebold, Automation. The Advent of the Automatic Factory, N. Y., 1952.

[2] L. Goodman, Man and Automation, London, 1957, p. 217.

[3] W. Bittorf, Automation. Die zweite industrielle Revolution. Darmstadt, 1956, S. 135.

[4] P. Einzig, The Economic Concequences of Automation, London, 1957, p. 29.

[5] W. Sritsch, Die Wirtschaftsdynamik unserer Zeit, Stuttgart, 1959, S. 17.

[6] L. Silk, The Research Revolution. N. Y., 1960, p. 13--14.

[7] F. Sternberg, Die militärische und industrielle Revolution, Berlin-Frankfurt, 1957, S. 202.

[8] A. Berle. The 20-th Century Capitalist Revolution, N. Y., 1954, p. 59.

ასეთ თეორიას ავითარებენ პ. დრუკერი, ტორსტეინ ვებლენი, ჯეიმს ბერნჰემი და სხვ. ბერნჰემი ამბობს, რომ კაპიტალიზმმა დიდი ხანია ამოწურა თავისი მამოძრავებელი სტიმულები და შეიქმნა ახალი საზოგადოებრივი წყობა — „მრეწველ მმართველთა საზოგადოება". ფ. ალენის აზრით, უფრო სწორი იქნება თანამედროვე აშშ სისტემას ვუწოდოთ მენეჯერალიზმი, ვიდრე კაპიტალიზმი [1].

ამ მიმართულების ბურჟუაზიული ეკონომისტები „მენეჯმენტს" განიხილავენ როგორც წარმოების მნიშვნელოვან ფაქტორს კაპიტალის, შრომის და სხვ. ანალოგიურად. ასე მაგალითად, ფ. ჰარბისონი და ჩ. მაიერსი მმართველობას წარმოების „პრინციპულ" ფაქტორად აღიარებენ, რომელიც შრომის მწარმოებლურობას საზღვრავს [2].

ეს ბურჟუაზიული ეკონომისტები კაპიტალიზმის გარდაქმნის ეკონომიკურ საფუძველს ხედავენ ფინანსურ დაწესებულებათა ზრდაში, რაც კორპორაციებს „საზოგადოებრივ ინსტიტუტებად" გარდაქმნის.

ბერლის აზრით, წარმოება კერძო კაპიტალისტურ ხასიათს კარგავს და მოგება მთელი ხალხის კუთვნილებად იქცევა იმის გამო, რომ იზრდება წვრილ აქციონერთა რიცხვი, მათი საკუთრების განკარგვა თავს იყრის ფინანსური დაწესებულებების ხელში, როგორიც არის სწრაფად მზარდი სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, ინვესტიციის ტრესტები და სხვა ფინანსური დაწესებულებანი, რომლებიც მართავენ აქციებს კლიენტების მინდობილობით [3] და სხვ.

აპოლოგეტი პ. დრუკერი კიდევ უფრო შორს მიდის. ის ამბობს, რომ ამერიკული ეკონომიკის „დემოკრატიზაციას" ასაბუთებს საპენსიო ფონდების საქმიანობა, რომელთა ხელმძღვანელებად გამოდიან არა მესაკუთრენი ან თუნდაც მმართველნი, არამედ ნდობით აღჭურვილი პირები „proxysistem"-ის (მინდობილობითი მმართველობის სისტემა) საშუალებით.

დრუკერის გაანგარიშებით, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ათასეული კომპანიებიდან 75% ამგვარი ხასიათისაა. მათ კერძო მესაკუთრენი ან მმართველები არ ხელმძღვანელობენ.

ახალი ფინანსური ინსტიტუტების (ინვესტიციის ტრესტების, საპენსიო ფონდების, სადაზღვევო კომპანიების) დიდ უმრავლესობას

---

[1] F. Allen, The big change, America Transforms Itself, 1900-1950, N. Y., 1952, p. 237.

[2] Fr. Harbison and Ch. Myers, Management in the Industrial Analyses, N. Y., 1959, p. 21.

[3] A. Berle, Power Without Property, p. 68.

განაგებენ ნდობით აღჭურვილი მეურვენი. ამ ფინანსურ ინსტიტუტებს უჭირავთ ამერიკის აქციების ერთი მესამედი.[1]

ეს მიმდინარეობა მეტისმეტად აფართოებს ფინანსური მეცნიერების საგანს; მისი შესწავლის ობიექტად აცხადებს კერძო მეწარმეთა და კორპორაციების ფინანსებს და სახელმწიფო ფინანსებს. იგი ფინანსური მეცნიერების ამოცანად სახავს იმის შესწავლას, თუ ფინანსური ინსტიტუტების ამგვარი გაფართოება როგორ მოიცავს მთელ სახალხო მეურნეობას და როგორ შეცვლის მმართველობის ამგვარი გარდაქმნა კაპიტალიზმის ბუნებას.

დრუკერი და ამ თეორიების მიმდევარნი საკითხს განიხილავენ მცდარად, საკუთრების ურთიერთობისაგან მოწყვეტილად. ნამდვილად ხომ ყველა ეს ფინანსური ინსტიტუტი მონოპოლიების კონტროლს ექვემდებარება!? თანამედროვე კორპორაცია, რა ფორმითაც არ უნდა წარმოდგეს იგი, ფინანსური ოლიგარქიის გამდიდრების საშუალებაა. ფინანსებს ცვლილებები შეაქვს მხოლოდ განაწილების ურთიერთობაში და არ შეუძლია თვით წარმოების წესის შეცვლა. კაპიტალიზმის პირობებში მმართველობის შეცვლას კვლავ კაპიტალისტური ხასიათი აქვს. მოცემული მიმდინარეობის შეხედულება ფინანსური მეცნიერების საგანსა და ამოცანებზე გაპირობებულია ამგვარი ბურჟუაზიული აპოლოგეტიკით.

16. „სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების“ თეორია

ბურჟუაზიული ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მიმდინარეობა ჯონ გოლბრეითის მეთაურობით უარყოფს კეინსის ძირითად დებულებებს — „სრული დასაქმების“ მიღწევას ინფლაციის, გაფართოებული გადასახადური დაბეგვრისა და დაბალი პროცენტის საშუალებით; უარყოფს ნეოკეინსელთა ზრდის თეორიასაც, რომელიც ლამობს ორი სისტემის შეჯიბრებაში კაპიტალიზმის პოზიციების გამაგრებას მისი წარმოების ზრდის ტემპების გადიდებით, რაც სახელმწიფოს ზემოქმედებით უნდა განხორციელდეს. ის უარყოფს ამერიკის ეკონომიკის ზრდის ტემპების აჩქარებას.

ჯონ გოლბრეითი თავის შრომაში „სიუხვის საზოგადოება“[2] გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აშშ სრულებით არ სჭირდება ეკონომიკური ზრდის ტემპების აჩქარება. აშშ-ის „სიუხვის საზოგადოებას“

---

[1] P. Drucker. America's Next Twenty Years. N. Y., 1957, p. 35.
[2] J. Galbraith. The Affluent Society. London, 1958.

შეუძლია უზრუნველყოს „სოციალური წონასწორობა და ეკონომიკური სტაბილურობა"; მისთვის საშიში არ არის მასობრივი უმუშევრობა, არ სჭირდება სახელმწიფოებრივი რეგულირება დაგროვების გასადიდებლად და ამით სრული დასაქმების მიღწევა.

გოლბრეითი მოითხოვს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების გადიდებას, — სახელმწიფო ხარჯების გადიდებას მეცნიერების განვითარების, საავადმყოფოების, გზების, სკოლების, მეცნიერული კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვ. მშენებლობისათვის. იგი ამ სახის ხარჯებით ფიქრობს შინ ბაზრის გაფართოებას.

შლეზინგერი წერს, რომ აშშ „სურვილის შემთხვევაში შეუძლია ააჩქაროს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები. მაგრამ რა მიზნისათვის უნდა გამოიყენოს დამატებითი წარმოებრივი სიმძლავრეები? ცხადია, თუ მოთხოვნა არ არის, იგი ხელს არ შეუწყობს მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდას..." [1]. ამიტომ მისი აზრით, უმჯობესია აშშ-ში სხვაგვარად გამოიყენონ თავისი რესურსები.

გოლბრეითიზმი გამოხატავს კაპიტალიზმის უპერსპექტივობას — ომით გადაჭრას საკითხი. ამიტომ კაპიტალიზმის პოზიციების განსამტკიცებლად ის მოითხოვს სახელმწიფო სოციალური ხარჯების გადიდებას, რაც იქ განუხორციელებელია, ვინაიდან ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ანტიმონოპოლისტური ფრონტის შექმნით.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომისტთა თეორიების თანახმად, ფინანსური მეცნიერება უნდა სწავლობდეს არა მოვლენათა განვითარების კანონზომიერებას, არამედ იმ საშუალებებსა და ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა გადაარჩინონ ან გაახანგრძლივონ კაპიტალიზმი. ამისათვის საჭიროა მეცნიერებამ მიჩქმალოს სინამდვილე, კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, შეასწოროს და შეალამაზოს მისი სუსტი და უარყოფითი მხარეები. მათი აზრით, ფინანსური მეცნიერების საგანი ძირითადად ეხება ფინანსების ორგანიზაციის საკითხებს, სახელმწიფო შემოსავალთა აკრეფისა და სახელმწიფო სახსართა დახარჯვის წესების შესწავლას. ამით აიხსნება, რომ მათი აპოლოგეტიკა და ემპირიზმი გაცილებით უარეს დღეშია, ვიდრე ადრინდელი ვულგარიზატორებისა.

---

[1] J. Schlesinger, The Political Economy of National Security, N Y., 1960, p. 177.

თავი პირველი

კაპიტალისტური სახელმწიფო ფინანსების ისტორიული განვითარება

I. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები მონოპოლისტურამდელი სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში

1. ფინანსების როლი თავდაპირველ დაგროვებაში

XV—XVI საუკუნეები წარმოადგენენ გარდატეხის ხანას დასავლეთ ევროპის ხალხთა ცხოვრების ისტორიაში. ამ დროს აღმოაჩინეს ახალი ქვეყანა—ამერიკა და ახალი გზა ძველი ქვეყნის—ინდოეთისაკენ. ამ დროს შემზადდა პირობები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს კაპიტალისტურ წარმოებას. ამისთვის მიმართავდნენ დაპყრობებს, ძარცვა-გლეჯას, მწარმოებლებსა და წარმოების საშუალებებს შორის ძალდატანებით გათიშვას. ამ პირობებმა შექმნეს, ერთი მხრივ, წარმოების საშუალებათა მესაკუთრე კლასი — კაპიტალისტები და, მეორე მხრივ, წარმოების საშუალებებს ძალდატანებით მოწყვეტილი ადამიანთა მასები — „ფრინველივით თავისუფალი“ პროლეტარიატი.

მსოფლიოს მოევლინა წარმოებრივ ურთიერთობათა ახალი სისტემა, ახალი ძალა, რომელმაც ყველაფერი კაპიტალის ბატონობას დაუმორჩილა. მან სულ მოკლე დროში დაშალა ათასეული წლების მანძილზე მრავალ ქარტეხილს გამოვლილი ინდოელთა ძველისძველი მეურნეობრივი ორგანიზაცია — კომუნისტური სასოფლო თემი.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისათვის ბურჟუაზიამ გამოიყენა სახელმწიფო ძალაუფლება, ძალდატანება და აქედან გამომდინარე სხვადასხვა მეთოდები სოფლად ფეოდალური წყობილებისა და ქალაქად ამქრული წყობილების წინააღმდეგ. ამით მან ხელი შეუწყო ფულადი კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევას. სახელ-

მწიფო ძალაუფლება გამოყენებული იყო მიწაზე მაღალი ფასების დასაწესებლად, რასაც ხელი უნდა შეეშალა მუშებისათვის, რომ დამოუკიდებელ გლეხებად არ გადაქცეულიყვნენ. სახელმწიფო ძალაუფლება გამოიყენეს იმისათვის, რომ მიწა კაპიტალისათვის დაემორჩილებინათ და საქალაქო მრეწველობისათვის შეექმნათ პროლეტარიატი. ასეთივე ხასიათისა იყო sutherland-ის ჰერცოგინის მიერ წარმოებული „გაწმენდა", რომელმაც მთელი საგრაფოს სოფლები (15 000 მცხოვრები) აღმოფხვრა, გაანადგურა და დაწვა, მინდვრები ცხვრების საძოვრებად გადააქცია.

სახელმწიფომ პროლეტარები დაქირავებულ მუშებად გადააქცია. შრომის ექსპლოატაცია გააძლიერა და კაპიტალის დაგროვებას შეუწყო ხელი. კაპიტალმა სახელმწიფო გამოიყენა იმისათვის, რომ მუშა საზოგადოებრივად იძულებული გაეხადა გაეყიდა „მთელი თავისი აქტიური სასიცოცხლო დრო და თვით შრომის უნარიც კი" (მარქსი). კაპიტალმა სახელმწიფო გამოიყენა სოფლებიდან აყრილი გლეხებისა და ქარხნებიდან განდევნილი მუშების დასასჯელად მაწანწალობისათვის.

სახელმწიფო ჰენრიხ VII-ის, ჰერნიხ VIII-ის, ედუარდ VI-ის, ელისაბედისა და იაკობ I-ის დროს ინგლისში, აგრეთვე საფრანგეთში სასტიკად სჯიდა შრომისუნარიან მაწანწალებს გამათრახებით, საპყრობილით. მათ მონებად აქცევდნენ, გახურებული შანთით დაღავდნენ, ბორკილებს უყრიდნენ და სიკვდილითაც სჯიდნენ.

ბურჟუაზიამ სახელმწიფოს საქმიანობის არე გააფართოვა, საადგილმამულო და ქალაქთა ყველა ფეოდალური პრივილეგია სახელმწიფო ხელისუფლების ატრიბუტად გადააქცია. საქმიანობათა ნაწილი საზოგადოების წევრთა თვითმოქმედების სფეროს გამოაცალა და სახელმწიფო მმართველობას გადასცა. სასოფლო თემების ხიდები, სკოლის შენობები, კომუნალური ქონება, რკინიგზები და სხვ. სახელმწიფოს გადაეცა.

ბურჟუაზიის მატერიალური ინტერესები მოითხოვდა სახელმწიფო აპარატის დაპატრონებას, რაც უზრუნველყოფდა მისთვის სავაჭრო-სამრეწველო მოთხოვნილებათა შესაფერის დაკმაყოფილებას, სახელმწიფო ქონების კონტროლს, განათლების მონოპოლიას ბურჟუაზიული საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაგუებლად და სხვ.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისათვის გამოყენებული იყო სავაჭრო ომები, კოლონიები, სახელმწიფო ვალი, გადასახადების სისტემა, პროტექციონიზმი და სხვ.

თავდაპირველი დაგროვების მომენტებია ოქროსა და ვერცხლის მადნების აღმოჩენა ამერიკაში, ადგილობრივი მოსახლეობის გაჟლე-

ტა. ოსტ-ინდოეთის დაპყრობა, აფრიკის შავკანიანებზე ნადირობა და ევროპის ერების სავაჭრო ომები. ყოველივე ამან მე-17 საუკუნის დამლევს ინგლისში თავი მოიყარა კოლონიურ, სახელმწიფო სესხთა, საგადასახადო და პროტექციონიზმის სისტემებში.

კოლონიური მეურნეობის პირობებში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა ღალატი, მოსყიდვა, ვერაგული მკვლელობა, მტაცებლობა, მექრთამეობა, ტყვეებით ვაჭრობა, მონოპოლია, სპეკულაცია, სისხლისმსმელობა და სკალპირება.

კოლონიური სისტემა აჩქარებდა ვაჭრობისა და ნაოსნობის ზრდას. სავაჭრო ჰეგემონია მანუფაქტურულ პერიოდში უზრუნველყოფდა სამრეწველო ბატონობას. კოლონიურმა სისტემამ კაცობრიობის საბოლოო და ერთადერთ მიზნად მოგების მიღება გამოაცხადა.

საჯარო კრედიტის, სახელმწიფო ვალების სისტემამ მთელი ევროპა დაიპყრო მანუფაქტურულ პერიოდში, რომლის ჩანასახებს ვხვდებით შუა საუკუნეებშიც. მის ხელოვნურ სანერგედ გადაიქცა კოლონიური სისტემა.

სახელმწიფო ვალი გახდა თავდაპირველი დაგროვების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი. იგი არამწარმოებლურ ფულს მწარმოებლურ ძალას ანიჭებდა და ყოველგვარ საფრთხეა თავიდან აცილებდა. კ. მარქსი წერდა; „სახელმწიფო კრედიტორები სინამდვილეში არაფერს იძლევიან, რადგან მათ მიერ გასესხებული ფული იქცევა ადვილად გადასაცვლელ სახელმწიფო ვალის მოწმობებად, რომელნიც მათ ხელში სწორედ ისევე განაგრძობენ მიმოქცევას, როგორც იმავე რაოდენობის ნაღდი ფული. მაგრამ გარდა იმისა, რომ ამგვარად შეიქმნა უსაქმო რანტიეთა კლასი და ერთბაშად წარმოიშვა სიმდიდრე ფინანსისტებისა, რომელნიც მთავრობასა და ერს შორის შუამავლობენ, სწორედ ისევე, როგორც სიმდიდრე გადასახადების მოიჯარეშემსყიდველებისა, ვაჭრებისა, კერძო მეფაბრიკეებისა, რომელთაც ყოველი სახელმწიფო სესხის საგრძნობლად დიდი ნაწილი ციდან ჩამოვარდნილი კაპიტალის სამსახურს უწევს, — სახელმწიფო ვალმა შექმნა აგრეთვე აქციონერული საზოგადოებანი, ვაჭრობა ყოველგვარი ფასიანი ქაღალდებით, ძლიერი სპეკულაცია და აჟიოტაჟი, ერთი სიტყვით: ბირჟაზე თამაში და თანამედროვე ბანკოკრატია“[1]

თავდაპირველი დაგროვების ერთ-ერთ ფარულ წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე საერთაშორისო საკრედიტო სისტემა. ჯერ ვენეცია ჰოლანდიას, მერე ჰოლანდია ინგლისს დიდძალ სესხებს აძლევდნენ თავიანთი დაქვეითების ხანაში.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1954 წ., გვ. 946.

სესხები თავისთავად უკავშირდებოდა საგადასახადო სისტემას: ეს უკანასკნელი პირველის დამატებად იქცა. მართალია, სახელმწიფოს შეეძლო ახალი ხარჯები გაეღო ისე, რომ არ მიემართა გადასახადებისათვის, ე. ი. დაეფარა სესხით, მაგრამ საბოლოო ანგარიშით თვით სესხი და მისი სარგებელი ხომ გადასახადებით უნდა დაიფაროს. ამიტომ სესხების ზრდა ავტომატურად ზრდიდა გადასახადებს.

აქვე აღსანიშნავია ფისკალური სისტემის მაექსპროპრირებელი როლი წვრილი ბურჟუაზიის ყველა ნაწილის მიმართ. ამას აძლიერებდა პროტექციონიზმი, რომელიც ფისკალური სისტემის ერთ-ერთი განუყრელი ნაწილია. ამ მხრივ ცნობილია მფარველობითი ბაჟები, როგორც არაპირდაპირი დაბეგვრა, და სექსპორტო პრემიები, როგორც პირდაპირი დაბეგვრა. ასევე აღსანიშნავია სახელმწიფო ხაზინიდან პირდაპირი დაფინანსებაც.

სახელმწიფო ხარჯებმა, რომლებიც არსებობდა მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოების პირობებშიც, თავის სრულ გაშლას მიაღწია მერკანტილიზმის ეპოქაში. აქ სახელმწიფო ხარჯები ჩამოყალიბდა როგორც სისტემა, როგორც სახელმწიფო ხარჯთა კატეგორია.

ნატურალური მეურნეობის პირობებში შემოსავლის ნუსხის შედგენას უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე გასავლის ნუსხისას, იმის გამო, რომ ნატურალური ხასიათის შემოსავალი, თავის ნატურალობის გამო, ერთგვარად თვით აპირობებდა შემოსავლის გამოყენების შესაძლებლობას, მის დანიშნულებას. ამიტომ გასავლის ნუსხის შედგენას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა და უფრო აუცილებელი იყო ფულადი მეურნეობის პირობებში. ფულად შემოსავალს შესაძლებელია ნებისმიერი დანიშნულება მიეცეს. ამიტომ, სახსრები რომ გარკვეული მიზანდასახულობის მიხედვით დაიხარჯოს, ადგენენ გასავლის ნუსხას.

ნატურალური მეურნეობის პირობებში გასავლის ნუსხის მნიშვნელობას ამცირებდა აგრეთვე ის გარემოება, რომ იმ ხანად სახელმწიფო ხარჯების ერთი ნაწილი შემოსავლის სახით იყო წარმოდგენილი, მაგალითად, თანამდებობის პირთა ჯამაგირები, სასამართლო მისაგებელი და სხვ. იმის მაგიერ, რომ სახელმწიფოს აეკრიფა სახსრები და მერე გასავლის ნუსხაში გატარებით ხარჯებად გაეღო თანამდებობის პირთა და სხვ. შესანახად, სახელმწიფო წინდაწინვე აკანონებდა მათ შემოსავალს, რომელსაც ისინი თვითონვე კრეფდნენ თავიანთ სასარგებლოდ.

მერკანტილიზმის ეპოქაში სახელმწიფო ხარჯების მთავარ სახეს

წარმოადგენდა სამხედრო ხარჯები. ცენტრალისტური მსხვილი სახელმწიფოების ჩამოყალიბება, დიდი ტერიტორიების გაერთიანება, ნაციონალური ბაზრების შექმნა და დაცვა, საგარეო ვაჭრობისა და კოლონიური პოლიტიკის წარმოება, ნედლეულის ბაზების ხელში ჩაგდება, სავაჭრო გზებზე და ბაზრებზე წესრიგის დაცვა—დაკავშირებული იყო დიდი მუდმივი არმიების შექმნასთან, მათ შეიარაღებასა და გამოკვებასთან.

სამხედრო ხარჯებს ზრდიდა ამ ეპოქაში გამუდმებული ომები.

ამ დროის სახელმწიფო ხარჯებში გაიზარდა სამეფო კარის ხარჯების ხვედრი წონაც. მერკანტილიზმი ერთგვარად დაკავშირებული იყო აბსოლუტიზმთან. ფეოდალთა თავგასულობისა და გამოხტომების ალაგმვა, სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოება და ცენტრალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება ღებულობს შეუზღუდველი მონარქის, აბსოლუტიზმის ბატონობის ფორმას. აბსოლუტიზმი დასაწყისში ხელს უწყობდა კაპიტალისტური განვითარებას და იგი წოდებრივ მონარქიასთან შედარებით უფრო პროგრესული იყო.

მეფეები რომ მკვეთრად გამოცალკევებულიყვნენ ფეოდალებისაგან და მათზე მაღლა დამდგარიყვნენ, საკმარისი აღარ იყო ყოფილი ფეოდალური კოშკი. ამ მიზნით მათ ააგეს სასახლეები ახალი შესაფერისი არქიტექტურით, ააშენეს სატახტო ქალაქები. სასახლეების გარშემო შემოიკრიბნენ ფეოდალები, კარისკაცები, მსახურები. სასახლის კარის ფუფუნება ამ ხანად სახელმწიფო ხარჯების დიდ ნაწილს ნთქავდა.

ამასთანავე ბურჟუაზიისა და მისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება მოითხოვდა შესაფერის ბიუროკრატიული მმართველობის აპარატს, რის შესანახადაც ასევე დიდი ხარჯი იყო საჭირო.

მერკანტილიზმის ხანაში სახელმწიფო შემოსავალი შედგებოდა დომენების, რეგალიების, მისაგებლების, გადასახადებისა და სესხებისაგან. დომენები წარმოადგენდნენ სახელმწიფო მოძრავ და უძრავ ქონებას, როგორიც იყო მიწები, ტყეები, ციხე-სიმაგრეები, გზები, მთავრობის შენობები და დაწესებულებები და სხვ. მათ გარკვეულ ნაწილს სახელმწიფოსათვის მოჰქონდა შემოსავალი.

ამ დროისათვის დომენებს თავისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ დაკარგული არ ჰქონდათ, მაგრამ სამეფო კარის მოთხოვნილებებს ძირითადად ვეღარ აკმაყოფილებდნენ. სამეფო კარს ყველა საჭირო საგანს აწვდიდნენ მიმწოდებლები. დომენებში მყოფი გლეხები ღალას უხდიდნენ სახელმწიფოს. დომენების გარშემო ბრძოლა იყო ატეხილი მეფესა და თავადაზნაურობას შორის. მეფეები დომენებს თელიდნენ პირად საკუთრებად და მას განკარგავდნენ ისე, როგორც

სურდათ. დომენებს ურიგებდნენ ეკლესია-მონასტრებს, სარდლებს, ფავორიტებსა და სხვ. თავადაზნაურობას სურდა დომენები ყოფილიყო სახელმწიფო ქონება და არა მეფის პირადი ქონება, რომ დომენებიდან სახელმწიფო შემოსავალი არ შემცირებულიყო, რაც გამოიწვევდა გადასახადების გადიდებას. შემდგომში თანდათანობით განცალკევდა ერთმანეთისაგან მეფის პირადი მიწის ფონდი და სახელმწიფო დომენები. დროთა მსვლელობაში ტყის დომენები თანდათან გადაიქცნენ სახელმწიფოსათვის შემოსავლის წყაროდ.

სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა რეგალიები, მასში იგულისხმებოდა სახელმწიფოს უფლება. რაც მისი არსიდან გამომდინარეობდა. რეგალიები იყო ხაზინის საშემოსავლო პრეროგატივები. ისინი მთელ რიგ სარეწავთა და ქონებათა ფისკალურ მონოპოლიებს წარმოადგენდნენ. რეგალიის მთავარი სახეები იყო: სამთო, ნადირობის, მეთევზეობის, არყის გამოხდის, თამბაქოს, მარილისა და სხვ.

რეგალიებიდან შემოსავლის მიღების მიზნით სახელმწიფო ქმნიდა სავაჭრო და სამრეწველო საწარმოებს. ასეთები იყო: ფართლეულის, შუშეულის, ფაიფურის, თოფისწამლის, ქვემეხებისა და სხვ.

სახელმწიფო შემოსავალს ღებულობდა აგრეთვე სხვადასხვა მისაგებლებიდან. ასეთები იყო: სასამართლო მისაგებელი, სააქტო და საშტემპელო მოსაკრებლები, საღერბო მისაგებელი და სხვ.

სახელმწიფო შემოსავლის წყაროდ გამოყენებული იყო აგრეთვე გადასახადები, განსაკუთრებით არაპირდაპირი გადასახადები. შუა საუკუნეების ქალაქების მიერ შემოღებულ აქციზებს, როგორიც იყო დაფქვისა და პირუტყვის დაკვლის გადასახადები, ამხანად დაუმატეს მრავალი აქციზი: მარილის, მაგარი სასმელების, ღვინის, ჩაისა და სხვ. საერთოდ ცდილობდნენ სულ ახალ-ახალი აქციზები გამოეგონებინათ.

ფეოდალების მიერ დაწესებულ საშინაო ბაჟებს და ქალაქების მიერ შემოღებულ საპიშკრო მოსაკრებლებს ამჯერად კრეფდა თავის სასარგებლოდ სამეფო ხელისუფლება. ამასთანავე, ტერიტორიების გაერთიანებისა და ნაციონალური ბაზრების ჩამოყალიბების გამო დაწესდა საგარეო ბაჟები.

პირდაპირი დაბეგვრა ნაკლებად იყო განვითარებული. მის გავრცელებას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ სხვადასხვა პრივილეგიური წოდებანი. თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება გადასახადებს არ იხდიდნენ. სამეფო ხელისუფლება ვერ შემოიღებდა პირდაპირ გადასახადებს, თუ ამის ნებას არ დართავდნენ მას წოდებათა წარმომადგენლები, რაც ასე ადვილი არ იყო, მერკანტილიზმის ეპოქაში

პირდაპირი დაპეგვრის სახეებს წარმოადგენდა ადგილ-მამულის, ქონებისა და სულადობის გადასახადები.

იმხანად გავრცელებული იყო გადასახადების გადახდევინების ოჯახ-შესყიდვის წესი, რაც კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ერთ-ერთ წყაროდ იქცა.

მოიჯარე-შემსყიდველი ყიდულობდა სახელმწიფოსაგან უფლებას თვით გაეწერა და გადაეხდევინებინა გადასახადები მოსახლეობისათვის, რაშიც ის შეთანხმებით წინასწარ უხდიდა სახელმწიფოს განსაზღვრულ თანხას. მოიჯარე-შემსყიდველი მოსახლეობას გადასახადებად აწერდა გაცილებით იმაზე მეტ თანხას, ვიდრე თვითონ უხდიდა სახელმწიფოს. ამგვარად, მოიჯარე-შემსყიდველებს გადასახადების გადახდევინების წესი თავისი პირადი გამორჩენის საქმედ ჰქონდათ გადაქცეული. იგი მათი გამდიდრების ერთ-ერთ დიდ საშუალებას წარმოადგენდა.

სახელმწიფოებს შემოსავლის წყაროდ ჰქონდათ გადაქცეული აგრეთვე თანამდებობათა გაყიდვა. იყიდებოდა პატენტები სამხედრო წოდებათა—ოფიცრის, მაიორის, კაპიტნისა და სხვ. იყიდებოდა თანამდებობა მოსამართლის, გადასახადთა ამკრეფის, არქივარიუსისა და სხვ. კ. მარქსი წერდა, რომ „ამჟამად არმიაში მოსამსახურე ოფიცრებმა თავიანთ წოდებათა შესასყიდად გადაიხადეს ექვსი მილიონი გირვანქა სტერლინგი კაპიტალი“[1].

სახელმწიფო ფართოდ იყენებდა კრედიტს. იღებდა სესხებს და ლატარიულ სესხებს; საჭიროების შემთხვევაში მიმართავდა იძულებითი ფორმის სესხებსაც. ხშირი შემთხვევა იყო სახელმწიფოებრივი გაკოტრება.

მეფის ხელისუფლებამ ფეოდალებს ჩამოართვა საპონეტო რეგალია, რის საფუძველზეც სახელმწიფო შემოსავლის მიღების მიზნით ეწეოდა მონეტების გადაკეთებას და ამცირებდა მონეტების ლითონურ შინაარსს.

გარდა ამისა, შემოსავლის მისაღებად სახელმწიფო იყენებდა ქაღალდის ფულის ემისიას. ამ მხრივ აღსანიშნავია შვედური სპილენძის ფული, XVIII საუკუნის დასაწყისის საფრანგეთის ქაღალდის ფული და ესპანეთის XVIII საუკუნის ქაღალდის ფული. სახელმწიფო ხელისუფლება საბანკო ბილეთების გამოშვების უფლებას ანიჭებდა კერძო აქციონერულ კომპანიებსაც, ამ უფლებით სარგებლობდა ინგლისის ბანკი.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. II, 1958, стр. 97.

2. სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის ფინანსების დამახასიათებელი ნიშნები

სამრეწველო კაპიტალის წარმოშობის, სხვანაირად, მევახშეობისა და ვაჭრობის მეოხებით შექმნილი ფულადი კაპიტალის გადაქცევას სამრეწველო კაპიტალად დაბრკოლებად ეღობებოდა სოფლად ფეოდალური, ხოლო ქალაქად ამქრული წყობილება. ახალი მანუფაქტურები ამას ერთგვარად გვერდს უვლიდნენ. ისინი ჩნდებოდნენ საზღვაო საექსპორტო ნავსადგურებში ან ძველი ქალაქური ცხოვრებისა და მისი ამქრული წყობილების კონტროლის გარეშე მყოფ პუნქტებში. ინგლისში ძველი ქალაქები გააფთრებული ებრძოდნენ ამქრული წყობილებით მრეწველობის ახალ სანერგეებს.

ძველი ქალაქების ამქრული წყობილების გვერდის ავლის ცდას წარმოადგენს აგრეთვე მრეწველობის გადასვლა ქალაქიდან სოფლად. ეს ფორმა ინგლისში განვითარდა XV საუკუნიდან. სოფლად წარმოიშვა საშინაო მრეწველობა, რომელსაც კაპიტალისტური ფორმა ჰქონდა. მსხვილი ვაჭრები მასალას ურიგებდნენ წვრილ მწარმოებლებს შინ დასამუშავებლად. ეს უკანასკნელნი ვეღარ ინარჩუნებდნენ თავისთავადობას, როგორც ამას ახერხებდნენ ამქრულ გაერთიანებაში და კაპიტალისტის დაქირავებულ მუშებად იქცეოდნენ.

სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში შეიქმნა მისი შესაბამისი სახელმწიფო ფინანსები, რომელსაც ხანგრძლივი დრო დასჭირდა და ჩამოყალიბდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ურთიერთბრძოლაში. მრეწველი ბურჟუაზია სახელმწიფო ფინანსებს იყენებდა თავისი კლასის ინტერესებისათვის, ნაციონალური ბაზრის შექმნის, დაცვის, სხვა ქვეყნის ბურჟუაზიასთან კონკურენტუნარიანობის გადიდებისათვის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებისათვის და სხვ. ის ცდილობდა შეექმნა თავისი ბიუჯეტური სისტემა, რომელიც მოემსახურებოდა მისი კლასის ინტერესებს. ბურჟუაზიამ თავისი კლასის ინტერესების სასარგებლოდ გააუქმა ფეოდალური წესები, გზა გაუხსნა თავისუფალ კონკურენციას და ამის შესაფერისად შეცვალა ფინანსური სისტემა.

ბურჟუაზიამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ფეოდალიზმის ნაშთებს და მოითხოვა მათი დაფინანსების ამოგდება ბიუჯეტიდან. მან ბიუჯეტის საგასავლო ნაწილიდან ამოიღო მემკვიდრეობითი თანამდებობის, პენსიების ხარჯები, შეამცირა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წარმომადგენელთა ჯამაგირები. გააუქმა სამეფო კარის ფუფუნება, შეამცირა ან სრულიად მოხსნა რელიგიის დაფინანსების ხარჯები.

რაც შეეხება სამხედრო ხარჯებს, ის გაიზარდა სამხედრო ტექნიკის განვითარების გამო. თუ წინათ სამხედრო ტექნიკა ასეული წლების მანძილზე უცვლელი რჩებოდა, ეხლა უკვე ყოველ ათ წელიწადში აუცილებელი იყო არმიისა და ფლოტის შეიარაღების განახლება. ახალი სამხედრო იარაღის შემოღება ერთ ქვეყანაში აუცილებლობით იწვევდა შეიარაღების განახლებას სხვა ქვეყნებშიც.

ცვლილება გამოიხატა აგრეთვე იმითაც, რომ, თუ წინათ იარაღს ამზადებდა ხელოსანი და კუსტარი, ამჟამად მისი მწარმოებელი ხდება ფაბრიკანტი. ასევე ხელოსნებს აღარ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ ასი ათასეული და მილიონიანი არმიების შეიარაღება, ჩაცმა-დახურვა. აქაც მათ ადგილს ფაბრიკული წარმოება იკავებდა. აუცილებელი ხდებოდა დიდი სამხედრო მარაგის და იარაღის შენახვა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს ზრდიდა. ამ ნიადაგზე ბიუჯეტური სახსრების საკმარისად დიდ ნაწილს სამხედრო საჭურვლისა და ტანსაცმლის დამამზადებელი ფაბრიკანტები ითვისებდნენ.

გარდა ამისა, ბიუჯეტური სახსრების ერთი ნაწილი მიდიოდა მიმოსვლის გზების, კავშირგაბმულობის, რკინიგზების, არხებისა და პორტების მშენებლობაზე; თვით სახელმწიფო აშენებდა ან აფინანსებდა კერძო მშენებლობებს.

ამასთანავე სამოქალაქო და სამხედრო ტექნიკური განვითარების გამო საჭირო გახდა წიგნიერი მუშა და ჯარისკაცი და კვალიფიციური ხელმძღვანელები. ამ მიზნით ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების ფარგლებში აუცილებელი შეიქმნა გარკვეული ზომით სახალხო განათლება და მაღალი ტექნიკური სწავლება, რაც ასევე მოითხოვდა ამ დარგის ბიუჯეტური დაფინანსების გადიდებას.

ბიუჯეტური შემოსავლის დარგში ცვლილებები გამოიხატა იმით, რომ გაუქმდა თავადაზნაურობისა და სამღვდელოების გადასახადური პრივილეგიები, ფეოდალური სინეკურები, თანამდებობით ვაჭრობა, გადასახადების აკრეფის იჯარა-შესყიდვის სისტემა, სულადობრივ-ქონებრივი დაბეგვრა. ცვლილებები აღინიშნა აგრეთვე იმ მხრივ, რომ დიდად შემცირდა დომენების როლი, რის გამოც XX საუკუნის დასაწყისისათვის სახელმწიფოებმა დომენების დიდი ნაწილი გაყიდეს, შემოსავალი ადგილ-მამულებიდან საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კაპიტალისტურ სახელმწიფოებში გაიზარდა სახელმწიფო ქონება, რომელიც შედგებოდა მიმოსვლა-მიმოზიდვისა და კავშირგაბმულობის საშუალებათაგან (რკინიგზები, ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი) და სახელმწიფო საწარმოებისგან.

სამრეწველო გადატრიალების შემდეგ ინგლისისათვის აუცილებელი იყო ვაჭრობის თავისუფლება. ინგლისი ეწეოდა საგარეო ვაჭრობას და მისთვის აუცილებელი იყო ღია კარების პოლიტიკა. ინგლისელი კაპიტალისტები მოითხოვდნენ, რომ მათი საექსპორტო საქონელი განთავისუფლებულიყო უცხო ქვეყნების საბაჟო შეზღუდვებისაგან; ყოველ შემთხვევაში, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მაღალ მფარველობითს ბაჟებს.

ამ ნიადაგზე უპირატესობა მიენიჭა პირდაპირ რეალურ დაბეგვრას და პირად საშემოსავლო გადასახადს. ინგლისმა თავის ქვეყანაში პირდაპირი დაბეგვრის ობიექტებად გამოიყენა მიწა, სახლი, სარეწაოები და სხვ. ეს დაბეგვრა დამყარებული იყო გარეგნულ ნიშნებზე. დაბეგვრის ერთეულებად მიჩნეული იყო, მაგალითად, მიწისათვის— ჰექტარი, სახლისათვის — კარები და ფანჯრები, სარეწაოებისათვის, მუშათა რიცხვი და სხვ. შემდეგ ხდება გადასვლა შემოსავლის ნიშნებსა და თვით შემოსავლის დაბეგვრაზე.

პურის კანონების გაუქმება, რასაც მოითხოვდა თავისუფალი ვაჭრობა, ზიანს აყენებდა ინგლისის სოფლის მეურნეობას. ამიტომ, როგორც ეს დასაბუთებული აქვს კ. მარქსს დიზრაელის ბიუჯეტის განხილვისას, მთავრობა შეღავათებს აძლევს ირლანდიელ ლენდლორდებს, ინგლისელ ფერმერებსა და სამღვდელოებას, ათავისუფლებს მათ მთლიანად თუ ნაწილობრივად საშემოსავლო გადასახადისაგან. ამით ხდება მათი ზარალის ანაზღაურება. არ შეიძლებოდა მიწის რენტის გადაქცევა დაბეგვრის მთავარ ობიექტად. ეს იქნებოდა ხელყოფა საკუთრებაზე, ასევე არ შეიძლებოდა სახელმწიფო ვალზე იერიშების მიტანა, რადგან ეს იქნებოდა კრედიტის საფუძვლის შერყევა.

დიზრაელმა გააუქმა აქციები მიწათმფლობელთა სასარგებლოდ, გლადსტონმა იგივე მოითხოვა ქალაქის ბურჟუაზიის სასარგებლოდ.

მანჩესტერული სკოლა წინააღმდეგობას უწევდა საშემოსავლო გადასახადს, ყოველნაირი სახის შემოსავლის ერთნაირად დაბეგვრას იმიტომ, რომ საშემოსავლო გადასახადი მიდის პროგრესულ დაბეგვრამდე. მანჩესტერლებს აშინებდათ სოციალიზმი. ისინი მრეწველი და მოვაჭრე კლასის შემოსავალს თვლიდნენ არამტკიცე შემოსავლად. მათ სურდათ სახელმწიფოებრივი ხარჯების ტვირთის ნაწილი გადაეკისრებინათ მიწათმფლობელებსა და რანტიებისათვის.

ხალხთა მასები მხარს უჭერდნენ გადასახადების ბურჟუაზიაზე დაკისრებას. ამ მოთხოვნით გამოდიოდნენ ჩარტისტები, რომლებიც ასაბუთებდნენ პროგრესული დაბეგვრის სისტემას, მიწათმფლობელთა პარტია ეწინააღმდეგებოდა მემკვიდრეობის გადასახადს.

საშემოსავლო გადასახადის შემოღება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფინანსურ განვითარებაში. ის პირველად გავრცელდა ინგლისში, გერმანიაში, შემდეგ აშშ-სა და საფრანგეთში 1913—1916 წლებში.

თავისუფალი ვაჭრობა მოითხოვდა პირდაპირ დაბეგვრას, მაგრამ იგი გამორიცხავდა მოტყუების შესაძლებლობას. პირდაპირი დაბეგვრის დროს თითოეულმა კლასმა ზუსტად იცის სახელმწიფო ხარჯების რა წილი ხვდება მას. ეს კი ბურჟუაზიას ხელს არ აძლევს. ამასთანავე პირდაპირი დაბეგვრა შეიცავს რევოლუციურ ღონისძიებებს, რომლებიც აპირობებენ მის კაუშირს მუშათა კლასთან. ამის გამო ბურჟუაზიის თვალში მცირდება სარგებლობა, რომელსაც იგი ელის ვაჭრობის თავისუფლებისაგან, — აი ეს არის მუშაზე განუსაზღვრელი ბატონობა. ეს აიძულებს ბურჟუაზიას უპირატესობა ისევ არაპირდაპირ დაბეგვრას მიანიჭოს. ამიტომ ის უარს ვერ ამბობს არაპირდაპირ გადასახადებზე მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამო ისინი ორმაგ კონფლიქტში აღმოჩნდნენ სახელმწიფოს საზღვარზე და სახელმწიფოს შიგნით — მფარველობითი ბაჟების სისტემისა და აქციზების სახით.

სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში არაპირდაპირი დაბეგვრა გაამარტივეს, აქციზების რაოდენობა შეამცირეს. დატოვეს მხოლოდ სპირტის, ღვინის, თამბაქოს, შაქრის, ჩაის, ასანთის დაბეგვრა. სამომხმარებლო საგნების დაბეგვრაში შეიტანეს ცვლილება. ნედლეულის დაბეგვრა შეცვალეს ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის დაბეგვრით.

არაპირდაპირი დაბეგვრა ეხებოდა ქალაქის მომხმარებელთა ფართო მასებს ისე, რომ მისი ფისკალური ეფექტი არ შემცირებულა.

არაპირდაპირი დაბეგვრა შეივსო ფასეულობათა მიმოქცევის მრავალფეროვანი მოსაკრებლებით. აქ, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია საღერბო მოსაკრებლები.

სამრეწველო კაპიტალიზმის პირობებში მოხდა ცვლილება საბაჟო დაბეგვრის სისტემაშიც. ბაჟებმა ძირითადად დაკარგეს ფისკალური შნიშვნელობა და მიიღეს პროტექციონისტური ხასიათი. საკუთარი მრეწველობის დაცვის მიზნით ბაჟებისაგან თავისუფლდება სამრეწველო საქონლის ექსპორტი და ბაჟებით იბეგრება სამრეწველო საქონლის იმპორტი. სამრეწველო საქონელზე გასაზიდი ბაჟების მოხსნით ზრდიდნენ მსოფლიო ბაზრებზე გამსვლელი კაპიტალისტების კონკურენტუნარიანობას.

ომებმა, რომლებსაც კაპიტალისტური სახელმწიფოები ფართო მასშტაბით ეწეოდნენ, მეცხრამეტე საუკუნეში გაზარდა სახელმწი-

ფოთა დავალიანება. ბიუჯეტური დეფიციტი აიძულებდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს მის დასაფარავად გამოეყენებინა სახელმწიფო სესხი. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში მტკიცე ოქროს ვალუტის დაწესებამ ხელი შეუწყო საშინაო და საგარეო კრედიტის სისტემის განვითარებას. შემოღებულ იქნა სახელმწიფო კრედიტის სპეციალური უზრუნველყოფა სახელმწიფო შემოსავალთა (მაგალითად, ბაჟების) სახით. ამას მოითხოვდნენ ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტები, როგორც კრედიტორები ჩამორჩენილი ქვეყნებისაგან, რომელთაც სესხს აწვდიდნენ.

მსოფლიო სახელმწიფო ვალი 1825 წელს შეადგენდა 38 მილიარდ ფრანგულ ფრანკს, XX საუკუნის დასაწყისში მან მიაღწია 250 მილიარდ ფრანკს.

სახელმწიფო კრედიტი გახდა ბიუჯეტური შემოსავლის მუდმივი წყარო. სახელმწიფო უშვებდა სხვადასხვა სახის მოკლევადიან სასესხო ბილეთებს, სახაზინო ბონებს ან პირდაპირ სესხს იღებდა ბანკებიდან. სახელმწიფო სესხის ქაღალდებს ყიდულობდნენ: კაპიტალისტები, რომლებიც სახსრებს ვერ ათავსებდნენ წარმოებაში, წვრილი ბურჟუები და ნაწილობრივ გლეხები.

მე-18—19 საუკუნეების მანძილზე მრავალი დიდი ომის შედეგად კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებისათვის დეფიციტი გარდუვალი შეიქმნა. მის დასაფარავად ხშირად სახელმწიფო სესხიც არ კმაროდა ან სხვადასხვა პირობების გამო მისი მიღება შეუძლებელი იყო. ამასთანავე გადასახადებიც მიყვანილი იყო ზღვრულ დონემდე. ამ შემთხვევაში კაპიტალისტური სახელმწიფოები მიმართავდნენ ხოლმე ქაღალდის ფულის ემისიას, რაც იწვევდა ფულის გაუფასურებას და მისი ოქროზე გადახურდავების შეწყვეტას. ქაღალდის ფულის ემისიას ბიუჯეტის დასაფარავად უფრო ხშირად მიმართავდნენ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში.

სახელმწიფო სესხის ობლიგაციებზე ხელისმოწერით სახელმწიფო პირდაპირ შევიდა ურთიერთობაში ფულად ბაზართან და ბანკები მხოლოდ შუამავლებად გადააქცია. ყოველივე ამან ზედმეტი გახადა სამონეტო რეგალია როგორც ბიუჯეტის შემოსავლის წყარო.

სამრეწველო მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში გამომუშავდა ბურჟუაზიული პარლამენტის ბიუჯეტური უფლებები. ეს დაიწყო XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც პარლამენტმა უარი უთხრა მთავრობას ბიუჯეტის დამტკიცებაზე. მაგალითად, ინგლისში 1764 წ., საფრანგეთში 1879 წელს, გერმანიაში 1862 წელს პარლამენტმა უარი უთხრა მთავრობას წამოყენებულ კრედიტებზე. კ. მარქსს გერმანიის მაგალითზე

ნაჩვენები აქვს, თუ როგორ გახდა იძულებული ფულად გაჭირვებაში ჩავარდნილი მეფე დათმობებზე წასულიყო ბურჟუაზიის სახალხო წარმომადგენლების წინაშე. ბურჟუაზიას მხარი დაუჭირა გლეხობის ნაწილმა და მრავალმა აზნაურმა, რომლებიც მსხვილ სასოფლო მეურნეობას ეწეოდნენ და ვაჭრობდნენ. მათაც მოითხოვეს გარანტიები აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. მთავრობის ფინანსური სიძნელეები თანდათანობით იზრდებოდა. მას ვერ უშველა ასიგნობათა დროებითმა შემცირებამ და ფულის გაძლიერებულმა ემისიამ. მთავრობამ ვერ მოახერხა ბანკის დაარსება კაპიტალისტების გარეშე, ვერ აიღო ვერც სახელმწიფო სესხი, რის გამოც იძულებული გახდა ეცნო სახალხო წარმომადგენლობა და მისთვის მიეცა შეზღუდული უფლებები — მხოლოდ სესხის აღებასა და გადასახადების გადიდებაზე დასტურის უფლება. ამით უკმაყოფილო დეპუტატებმა სესხის აღებაზე მთავრობას უარი უთხრეს. მეფემ გარეკა ლანდტაგი, მაგრამ დარჩა უფულოდ. ბურჟუაზიამ უხელმძღვანელა 1848 წლის რევოლუციას.

ბურჟუაზია, როდესაც ფეოდალებსა და მეფეებს ებრძოდა, მოითხოვდა ბიუჯეტის „ერთიანობას, სისრულეს, რეალობას და საჯაროობას", მაგრამ როდესაც ის პოლიტიკურ ძალაუფლებას დაეპატრონა, ეს პრინციპები დაივიწყა და მათ პრაქტიკაში აღარ იყენებს; ამ პრინციპებს მისცა მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი. ბურჟუაზიას აღარ სურს ყველამ იცოდეს, თუ რაში იხდის ხალხი გადასახადებს, ვის საჯარგებლოდ იხარჯება ბიუჯეტური სახსრები. განსაკუთრებით უბრალო ფორმალობად გადააქციეს ეს ბიუჯეტური პრინციპები მას შემდეგ, რაც გაძლიერდა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

II. კაპიტალისტური სახელმწიფოს ფინანსები იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაში

1. კაპიტალისტური სახელმწიფოს ფინანსები იმპერიალიზმის ეპოქაში

იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტური სტადია, რომლის განსაკუთრებულობას წარმოადგენს თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვა, წარმოებისა და კრედიტის სფეროში მონოპოლიების ბატონობა, ფინანსური კაპიტალის გამოყოფა და ფინანსური ოლიგარქიის გაბატონება. ამ პირობებში რჩება კონ-

კურენციაც, მაგრამ იგი იმგვარად არის შერწყმული მონოპოლიებთან, რომ მეურნეობრივი ცხოვრების საკვე მონოპოლიების ხელშია.

იმპერიალიზმის ეპოქაში სახელმწიფო აპარატი მოემსახურება მონოპოლიურ გაერთიანებებს, რომელთაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ მთავრობაში და გავლენას ახდენენ სახელმწიფოს პოლიტიკაზე, კერძოდ ფინანსურ პოლიტიკაზე. მათ სახელმწიფო აძლევს შეკვეთებს, ანიჭებს შეღავათებს და აწვდის სუბსიდიებს; მათ სასარგებლოდ აწესებს ხელფასს და ფასებს ზოგიერთ საქონელზე; მათგან ყიდულობს საქონელს მაღალ ფასებში და აფინანსებს მათ ექსპორტს.

თუ მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის პირობებში სახელმწიფო ძირითადად უზრუნველყოფდა წარმოების გარეგნულ პირობებს, იმპერიალიზმის ეპოქაში აწესებს კანონებს გაფიცვებისა და ხელფასის გადიდების წინააღმდეგ. ყოველივე ამის შედეგად უჩვეულო ზომით იზრდება მშრომელთა ექსპლოატაცია და მწვავდება კლასთა ბრძოლა.

იმპერიალიზმის ეპოქაში არნახული ზომით გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები. მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლა იწვევს ომებისათვის მზადებას და გამალებულ შეიარაღებას. სამხედრო ტექნიკის ზრდასთან დაკავშირებით სწრაფად ხდება სამხედრო იარაღის ამორტიზაცია. ეს მოითხოვს კოლოსალურ სახელმწიფოებრივ ხარჯებს, რაც უცნობი იყო წინა პერიოდებისათვის. ამიტომ ამ ეპოქაში წინა პლანზე დადგა სამხედრო ხარჯები, რომლებიც მით მეტად იზრდება, რაც უფრო ღრმავდება სამხედრო და სხვა წინააღმდეგობანი წამყვან კაპიტალისტებს შორის. განსაკუთრებით გაიზარდა იმ სახელმწიფოთა ხარჯები, რომლებიც შედარებით გვიან გამოვიდნენ კაპიტალისტური განვითარების სარბიელზე, როდესაც მთელი მსოფლიო უკვე დანაწილებული იყო წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის და აუცილებელი შეიქნა გადანაწილებისათვის ბრძოლა.

იმპერიალიზმის ეპოქაში გაიზარდა ჩაგვრის აპარატის შენახვის ხარჯებიც, რაც გამოწვეულია რევოლუციური მოძრაობის ზრდის შედეგად.

იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის აუცილებელი გახდა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების გაღებაც. ტექნიკური პროგრესი საერთოდ, და კერძოდ სამხედრო ტექნიკა, მისი ათვისება, გამოყენება მოითხოვს სათანადო კვალიფიკაციას, მასების მომზადებას სამხედრო ტექნიკის გამოსაყენებლად. მეორე მხრივ, მუშათა კლასის ბრძოლა, მისი პოლიტიკური გავლენის ზრდა თავისებურ გა-

მოხატულებას პოვებს ფინანსების სფეროში. სახელმწიფო იძულებულია დათმობაზე წავიდეს და გაიღოს ზოგიერთი სოციალური მნიშვნელობის ხარჯი. ამით ბურჟუაზია ცდილობს მოადუნოს მუშათა კლასის სიფხიზლე. ამიტომ სახელმწიფო ბიუჯეტები ითვალისწინებენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაზღვევისა და სხვ. ხარჯებს. ამ მხრივ დიდ წარმატებებს მიაღწიეს ინგლისის მშრომელებმა. 1914 წელს 1900 წელთან შედარებით ინგლისის ბიუჯეტში გაორკეცდა სოციალურ-კულტურული ხარჯები. თუმცა აქ ისიც აღსანიშნავია, რომ მეწარმეები მუშათა დაზღვევას აწარმოებენ თვით მუშების ხარჯზე. ისინი სადაზღვევო ფონდებს ქმნიან ხელფასიდან ანარიცხების ანგარიშით ან პირდაპირ უმცირებენ ხელფასს.

იმპერიალისტურ სახელმწიფოებში მწვავედ დადგა შემოსავლისა და მემკვიდრეობის დაბეგვრის საკითხი. მუშათა კლასის გაერთიანებული გამოსვლები ბურჟუაზიას აიძულებს შემოიღოს შემოსავალთა დაბეგვრა და მემკვიდრეობის გადასახადი, რაც უშუალოდ კაპიტალისტთა კლასის ინტერესებს ეხება.

საერთო-სახელმწიფოებრივი საშემოსავლო გადასახადისათვის ბრძოლა დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აშშ-ში, გაგრძელდა ორი ათეული წლის მანძილზე და მხოლოდ 1913 წელს დაკანონდა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ეხებოდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ასევე ინგლისში XIX ს. 90-იანი წლებიდან დაიწყო მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტთა შემოსავლის დაბეგვრის გასაძლიერებლად. ამ საფუძველზე სახელმწიფო იძულებული შეიქნა გაეზარდა მემკვიდრეობისა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები.

მემკვიდრეობის გადასახადის პროგრესული განაკვეთები შემოიღეს საფრანგეთშიც. საშემოსავლო გადასახადი საფრანგეთში დაწესდა 1914 წელს, გერმანიაში — 1891 წელს.

იმპერიალიზმის ეპოქაში რეალური გადასახადები უკანა პლანზე გადავიდა ან საერთოდ გაქრა. საადგილმამულო და სახლის დაბეგვრა ბიუჯეტის უმნიშვნელო საშემოსავლო წყაროდ იქცა. ამ ობიექტების დაბეგვრით მიღებულმა შემოსავალმა დაიკლო, ყოველ შემთხვევაში, შემცირდა შემოსავალთა ზრდის ტემპი.

წინა ეპოქასთან შედარებით, რამდენადმე გაძლიერდა არაპირდაპირი დაბეგვრა და იგი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობისათვის იქცა ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროდ. ვ. ი. ლენინმა ეს კლასიკურად დაასაბუთა აშშ-ისა და მეფის რუსეთის მაგალითზე. არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წონა აშშ ფედერალურ ბიუჯეტში 1913 წლისათვის შეადგენდა 72%, მეფის რუსეთის

ბიუჯეტში მარტო არყის აქციზის ხვედრითი წონა შეადგენდა 25%. არაპირდაპირი დაბეგვრა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული სიბძიმით აწვება მშრომელ მოსახლეობას.

დიდი ცვლილებები მოხდა საბაჟო დაბეგვრაში. ბაჟები გადაიქცა დემპინგის გატარებისა და დაცვის ერთ-ერთ საშუალებად. ექსპორტიორი კაპიტალისტური გაერთიანებანი მსოფლიო ბაზარზე საქონელს ასაღებენ დაბალ ფასებში, ქვეყნის შიგნით კი — მაქსიმალურად მაღალ ფასებში. ამაში მათ ეხმარება სახელმწიფო, რომელიც ბაჟებით ზღუდავს უცხო საქონლის შემოზიდვას და მით ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით მაღალი ფასების შენარჩუნებას.

XX საუკუნის დასაწყისში აღინიშნა მაღალი პროტექციონისტული ბაჟებისადმი მობრუნების ტენდენცია. აშშ-ში მაღალი პროტექციონისტული ბაჟების შემოღება დაიწყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ინგლისში პროტექციონისტული ბაჟებისადმი დაბრუნების მოთხოვნები კონსერვატორებმა დააყენეს 900-იანი წლებიდან, მაგრამ მუშათა კლასისა და საზოგადოების ზოგიერთი სხვა ფენების წინააღმდეგობის გამო ვერ განხორციელდა კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის დაწყებამდე.

ბანკების კონცენტრაცია მოქმედებს სახელმწიფო კრედიტზე. კაპიტალისტური სახელმწიფოები ვერ აწარმოებენ საკრედიტო ოპერაციებს მსხვილ ბანკებთან კავშირის გარეშე. ობლიგაციებზე ხელის ბომწერლები თვალყურს ადევნებენ მსხვილი ბანკების პოზიციებს, მათ მხარდაჭერას.

ფინანსური კაპიტალი საერთოდ მხარს უჭერს ნორმალურ ფულად მიმოქცევას, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია დაარღვიოს იგი. ეს მით უფრო ადვილი ხდება, რაც უფრო იზრდება საბანკო კაპიტალის შერწყმა მრეწველობასთან. კაპიტალების აქციებში მოთავსების გამო ფინანსურ კაპიტალს ინფლაცია უკვე აღარ აშინებს. ფულის გაუფასურების შესატყვისად იზრდება აქციების კურსიც ბირჟაზე. ინფლაცია შემოსავალთა თავისებური ფორმის გადანაწილებაა, რაც ფინანსური ოლიგარქიის ბატონობას აძლიერებს.

იმპერიალიზმის ეპოქაში გაიზარდა როგორც საშინაო, ისე საგარეო სახელმწიფო ვალი. გადასახადები გადიდებულ ბიუჯეტურ მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებენ და სახელმწიფოები იძულებულნი არიან მიმართონ სესხებს. XX საუკუნის დასაწყისში შეიმჩნევა სახელმწიფო სესხების გავრცელების რამდენადმე შესუსტება, მაგრამ შემდეგში, განსაკუთრებით კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის პერიოდში, სესხებმა კვლავ სწრაფად იმატა.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ იმპერიალიზმის პირობებში ბევრი

სახელმწიფო გამოდის ფულის ბაზარზე დაჟინებითი მოთხოვნით. ფულის ბაზრები ბრწყინვალე მდგომარეობაში არ არიან, მაგრამ ფულის გასესხებას მაინც ცდილობენ იმის შიშით, რომ სხვამ არ დაასწროს.

ვ. ი. ლენინი არჩევს სამგვარი სახის იმპერიალიზმს: ინგლისურ კოლონიურ იმპერიალიზმს, საფრანგეთის სავახშო იმპერიალიზმს, და გერმანულ იმპერიალიზმს. ინგლისში კაპიტალის დიდი გატანა მჭიდროდ არის დაკავშირებული გიგანტურ კოლონიებთან. მას აქვს კოლონიური იმპერიალიზმი. საფრანგეთის საზღვარგარეთული კაპიტალი უმთავრესად დაბანდებულია ევროპაში, აქედან ყველაზე დიდი —რუსეთში (10 მილიარდ ფრანკამდე). ძირითადად ეს არის არა სამრეწველო საწარმოებში დაბანდებული კაპიტალი, არამედ სასესხო კაპიტალი, სახელმწიფო სესხები. საფრანგეთის იმპერიალიზმს ლენინი უწოდებს სავახშო იმპერიალიზმს. მესამეა გერმანული იმპერიალიზმი. გერმანიას დიდი კოლონიები არა აქვს და საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალები თანაბრად არის განაწილებული ევროპასა და ამერიკას შორის[1].

იმპერიალიზმის ერთ-ერთ ტენდენციას, ლენინის აზრით, წარმოადგენს ის, რომ იქმნება „სახელმწიფო რანტიე". სახელმწიფო მევახშე. ამ სახელმწიფოს ბურჟუაზია სულ უფრო მეტად საქმიანობს კაპიტალის გატანით, „კუპონების კრეჭით".

ფინანსური კაპიტალით იმორჩილებს პოლიტიკურად სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოებსაც.

იმპერიალიზმის პირობებში კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა დაივიწყეს ბურჟუაზიული რევოლუციების პირობებში შემუშავებული ბიუჯეტური პრინციპები — ერთიანობის, საჯაროობისა და სისრულის შესახებ და შექმნეს საიდუმლო ფონდები, რაც გამოწვეულია სამხედრო ხარჯების ზრდით, გაიზარდა ბიუჯეტების ცენტრალიზაცია, რამაც შეკვეცა ადგილობრივი ბიუჯეტები.

ამგვარად, იმპერიალიზმის ეპოქაში ფინანსებს ახასიათებს მილიტარიზმის ხარჯების ზრდა, კლასთა ჩაგვრის აპარატის შენახვის ხარჯების გადიდება, მონოპოლიებისათვის ფინანსური დახმარება. კაპიტალის ექსპორტისათვის სახელმწიფო სესხების გამოყენება. პროტექციონიზმის გაძლიერება, კონკურენტების შევიწროება, ნედლეულის წყაროების ხელში ჩაგდება, გადასახადური სიმძიმის ზრდა, ბიუჯეტების ქრონიკული დეფიციტები და ბიუჯეტური ცენტრალიზაციის გაძლიერება.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 304,305.

2. ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფინანსები კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში

ა) ფინანსები საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი არის კაპიტალიზმის ყოველმხრივი კრიზისი, რომელიც მოიცავს ეკონომიკას (მაშასადამე, ფინანსებსაც) და პოლიტიკასაც. ის მიმდინარეობს კაპიტალიზმის სულ უფრო და უფრო მზარდი დაშლის პირობებში. კაპიტალიზმს სცილდება ახალ-ახალი ქვეყნები და იმპერიალიზმის პოზიციები თანდათან სუსტდება სოციალიზმთან ეკონომიკურ შეჯიბრში. ამასთანავე იშლება კოლონიური სისტემა, ვითარდება სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი და მილიტარიზმი. კაპიტალიზმი თავის განვითარებაში თანდათან უძლურდება და აღარ შეუძლია მთლიანად გამოიყენოს მწარმოებლური ძალები.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი იყოფა სამ ეტაპად, რომლებიც განიხილება არა როგორც ერთმანეთისაგან მოწყვეტილი, დამოუკიდებელი პერიოდები, არამედ როგორც მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის განვითარების ეტაპები, როგორც წინა ეტაპის კრიზისის კონკრეტიზაცია ახალ ისტორიულ ვითარებაში.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველი ეტაპის წარმოშობა დაკავშირებული იყო პირველ მსოფლიო ომთან და ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებასთან. საბჭოთა კავშირი კაპიტალიზმს ჩამოშორდა, რის გამოც კაპიტალიზმის სფერო შემცირდა. ამას მოჰყვა პროლეტარიატის გამოსვლები მთელ რიგ სახელმწიფოებში და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომები კოლონიურ ქვეყნებში. ამასთან დაკავშირებით გამწვავდა წინააღმდეგობა კაპიტალისტურ ეკონომიკაში.

ფინანსურ კრიზისს ახასიათებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დეფიციტურობა; ამასთანავე კაპიტალიზმის საკრედიტო სისტემების მოშლა. ფინანსურმა კრიზისმა ფულის მიმოქცევის სფეროდან გააძევა ოქროს ვალუტა. მანვე გამოიწვია ფულადი სისტემების კრახი ნაციონალური ფინანსების ფარგლებშიც და საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობაშიც.

როგორც ცნობილია, პირველი იმპერიალისტური ომით (1914—1918) დაიწყო მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისის საერთო პერიოდი.

ამ ომის დაფინანსების მეთოდები მეტად მძიმე იყო მოსახლეობისათვის. კაპიტალისტური ქვეყნების წარმოება და ვაჭრობა ძლიერ დაეცა ომის შემდგომი კრიზისის პერიოდში (1919—1920 წლებში).

მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი დიდად შემცირდა მეომარ სახელმწიფოთა მოსახლეობის ძლიერი გაღატაკების გამო. ეს მოსახლეობა გაძარცვა სამხედრო-მეურნეობრივმა სისტემამ, რომელიც განსაკუთრებულად ფართოდ იყენებდა საემისიო წყაროს. ინგლისმა, მაგალითად, ომის განმავლობაში 5-ჯერ გაზარდა ფულის მიმოქცევა.

პირველმა იმპერიალისტურმა ომმა საფუძვლიანად შეარყია მთელი კაპიტალისტური სისტემის ფინანსები. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად კაპიტალისტურმა სამყარომ დაკარგა დიდი რუსეთი. ომმა მოშალა კაპიტალისტური ქვეყნების ფინანსები, შეუქმნა უზარმაზარი ბიუჯეტური დეფიციტები, დატვირთა ისინი დიდი სახელმწიფო ვალით, შეარყია საკრედიტო სისტემა, მოშალა საერთაშორისო საკრედიტო ფულადი კავშირი, საფუძველი გამოუთხარა ფულად მიმოქცევას და გააუფასურა ვალუტა.

ომის შემდგომ პირველ წლებში ფინანსური ქაოსი ამა თუ იმ ზომით მოედო ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოს. ის თანდათან გაღრმავდა და ზოგიერთ სახელმწიფოში მთელი სახალხო მეურნეობაც დააზიანა (მაგალითად, გერმანია და ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთის სახელმწიფოები). ამან სრულიად მოშალა ომამდელი ფულადი სისტემა და კაპიტალისტური სამყაროს ფულად-საკრედიტო კავშირი. კაპიტალმა ომის ყოველი უბედურება მშრომელებს დაატეხა თავს. ფინანსური მექანიზმის საშუალებით აწარმოვა ნაციონალური შემოსავლისა და სიმდიდრის არამწარმოებლური გადანაწილება და მშრომელთა მასების გაღატაკება.

შემდეგში ფინანსური სისტემის მოშლამ, სახელმწიფო ფინანსების კრახმა, საერთაშორისო ფულად-საკრედიტო კავშირების დარღვევამ საფრთხე შეუქმნა მთელ კაპიტალისტურ სისტემას.

კაპიტალისტურ სისტემას ახასიათებდა წინააღმდეგობანი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, იმპერიალისტური ქვეყნებისა და კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის, იმპერიალისტურ ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებსა და დამარცხებულ სახელმწიფოებს შორის, თვით გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის და წინააღმდეგობანი საბჭოთა კავშირსა და მთლიანად კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვან ფინანსურ საკითხად წამოიჭრა რეპარაციების საკითხი. რეპარაციას თავისი განვითარებისა და გარდასახვის ისტორია აქვს. ძველად მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის დროს გამარჯვებული სახელმწიფოები დაპყრობილებს აკისრებდნენ გადასახადს, რომელსაც ეწოდებოდა

ხარკი ან ხარაჯა, ლათინურად tribatorius (tributum). შემდეგ ამ სიტყვის ნაცვლად გავრცელდა ტერმინი კონტრიბუცია (ლათ. contributio). რაც ნიშნავს ფულადი ან ნატურალური სახის იძულებით გადასახადს, რომელსაც გამარჯვებული მტერი დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობას ახდევინებს. სხვანაირად, ის არის გადასახადის თანხა, რასაც დამარცხებული სახელმწიფო უხდის გამარჯვებულს. უკანასკნელ ხანს ამას დაარქვეს რეპარაცია (ლათ. reparatio), რაც ნიშნავს აღდგენას, ე. ი. ომით მიყენებული ზარალის სრულ ან ნაწილობრივ ანაზღაურებას.

ორივე შემთხვევაში მდგომარეობა უცვლელი რჩება იმ მხრივ, რომ დამარცხებული იხდის გამარჯვებულის სასარგებლოდ; რეპარაციებიც მძიმე ტვირთად დააწვა დამარცხებული ქვეყნების მშრომელ მოსახლეობას.

1922 წელს გენუის კონფერენცია მიეძღვნა კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო შედეგები არ მოჰყოლია. ინგლისმა ფულის სტაბილიზაცია მოახდინა მით, რომ დაუბრუნდა ოქროს ომამდელ პარიტეტს. საფრანგეთმა ჩაატარა დევალვაცია და განამტკიცა ახალი კურსი ომამდელი დონის $^1/_5$. გერმანიამ შემოიღო ახალი ფულადი ერთეული — ჯერ რენტის მარკა, შემდეგ რეიხსმარკა დაუესის გეგმის მიხედვით.

დაუესის გეგმა წარმოადგენდა იმ ახალი მეთოდის გამოხატულებას, რომლის მიხედვით გამარჯვებული ქვეყნები აწარმოებდნენ დამარცხებული ქვეყნების ფინანსურ ექსპლოატაციას, ამ შემთხვევაში გერმანიისა და ავსტრიის მშრომელების ექსპლოატაციას.

ვერსალის ხელშეკრულებით ანტანტის ქვეყნებმა გერმანიას დააკისრეს ისეთი დიდი გადასახდელი, რომლის გადახდა მას გაუძნელდებოდა ნაციონალური მრეწველობის უდიდესი მწარმოებლობისა და ფართოდ გაშლილი საექსპორტო ვაჭრობის დროს; ეს უკანასკნელი კი გერმანიას ვერსალის ხელშეკრულებით წართმეული ჰქონდა.

დაუესის გეგმით, გერმანიას ანტანტის ქვეყნებისათვის უნდა გადაეხადა 130 მილიარდი ოქროს მარკა. დაუესის გეგმა უნდა დაწყებულიყო შემდეგი ამოცანების განხორციელებით; უნდა დაარსებულიყო „ახალი ბანკი“ და შექმნილიყო ბიუჯეტური წონასწორობა; არყის, თამბაქოს, ლუდის და შაქრის გადასახადების შემოსავალი, აგრეთვე საბაჟოების შემოსავალი უნდა გადაქცეულიყო საგირავნო უზრუნველყოფად; უნდა დაარსებულიყო „გერმანული რკინიგზების“ საზოგადოება, როგორც აქციონერული საწარმო, რომელიც აიღებდა

საობლიგაციო ვალს და გამოუშვებდა ძირითად აქციებს. აქციონერული საზოგადოება საქმეებს წარმართავდა ინგლისისა და აშშ კერძო რკინიგზების სისტემის მიხედვით. გერმანული ინდუსტრია თავის თავზე აიღებდა ჰიპოთეკას, გერმანია გადაიხდიდა საქონლით და გასწევდა საოკუპაციო ხარჯებს: ამასთანავე შეიქმნებოდა მთელი რიგი საკონტროლო დაწესებულებანი და სხვ.

დაუესის გეგმის მიხედვით დავალიანებულ ევროპის ქვეყნებს აშშ-თვის ვალები უნდა გადაეხადათ გერმანიის ხარჯზე. გერმანიას შემოსავალი უნდა მიეღო სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მიერ დაუკავებელი თავისუფალი ბაზრებიდან. მაგრამ ეს ბაზრები უმნიშვნელო იყო, ის გერმანიას ვერ მისცემდა ამ უზარმაზარ თანხებს. დაუესის გეგმა გერმანიისათვის ითვალისწინებდა აგრეთვე რუსეთის ბაზრებს. გერმანიას რუსეთის ბაზრებიდან უნდა ამოექაჩა სახსრები სარეპარაციო გადასახდელების გადასახდელად. ამგვარად, აშშ-ს თავისი ვალები რუსეთის ბაზრების საშუალებით უნდა მიეღო. მაგრამ დაუესის გეგმის შემდგენელთ ავიწყდებოდათ, რომ რუსეთს გამიზნული ჰქონდა თვითონ დაემზადებინა წარმოების საშუალებანი.

როგორც აღვნიშნეთ, 1925 წლისათვის მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა და მთელ რიგ სახელმწიფოებში სახელმწიფო ბიუჯეტი ასე თუ ისე გაბალანსდა მოსახლეობაზე შეწერილი დიდი გადასახადებით. კაპიტალიზმმა მოახერხა შედარებითი სტაბილიზაცია. წარმოება და ვაჭრობა ომამდელ ნორმას დაუახლოვდა. შეეცადნენ სახელმწიფო ფინანსების, ფულადი მიმოქცევისა და ინტერვალუტარულ ურთიერთობათა მოწესრიგებას. მოახდინეს სახელმწიფო ვალების კონსოლიდაცია. გარდაქმნეს საკრედიტო სისტემა, ჩაატარეს ფულის რეფორმები და აღადგინეს მტკიცე ვალუტის პარიტეტი.

ამ დროისათვის კაპიტალისტური სამყაროს ფინანსური ძლიერებისა და მთელი მსოფლიო ფინანსური ექსპლოატაციის ცენტრი ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. ინგლისმა, საფრანგეთმა და გერმანიამ დაკარგეს უპირატესობა. ესენი იყვნენ მთავარი ექსპლოატატორი სახელმწიფოები. აშშ-ში იმ დროისათვის გაიზარდა წარმოება, ვაჭრობა და დაგროვება. ოქროს მსოფლიო მარაგიდან — 9 მილიარდიდან იქ თავი მოიყარა 5 მილიარდმა. სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით აშშ-ს ვალუტა გახდა ყველაზე მტკიცე და გაიზარდა მისი წილი კაპიტალის გატანაშიც.

1930 წელს ჰაგის კონფერენციაზე მიიღეს იუნგის გეგმა, რომელმაც რეპარაციების დაფარვის ვადა განსაზღვრა 59 წლით. ამასთანავე მან შეამცირა სარეპარაციო გადასახდელი 113,9 მილიარდ მარ-

კამდე და ყოველწლიური გადასახდელი — ოთხჯერ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა შეწყვიტა იუნგის გეგმა.

ფინანსური სისტემის აღდგენა, რომელსაც მიაღწიეს კაპიტალისტურმა ქვეყნებმა 1929 წლამდე, მაინც არ ამტკიცებდა კაპიტალიზმის მდგომარეობას. მთელ მის სისტემას მთლიანად და ცალკეულ ნაწილებსაც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის, მომაკვდავი კაპიტალიზმის დაღი ეპეჭა. ეს ნათლად ემჩნეოდა სახელმწიფო ფინანსებს. ბიუჯეტები იზრდებოდა უჩვეულო ზომით, რაც იწვევდა ნაციონალური შემოსავლის სულ უფრო დიდი ნაწილის არამწარმოებლური დანიშნულებით გადანაწილებას. ასე იყო, მაგალითად, ქვემოთ დასახელებული ქვეყნების ბიუჯეტებში (მილიონობით).

	1913—14 წწ.	1929—30 წწ.
აშშ	734,7 დოლ.	4 177,9 დოლ.
ინგლისი	198,2 გირ. სტ.	829 გირ. სტ.
საფრანგეთი	5 091,7 ფრ.	45 430,7 ფრ.
გერმანია	3 520,9 მარკ.	11 317,7 მარკ.

კაპიტალიზმის გამწვავებულ წინააღმდეგობებს ადასტურებდა აგრეთვე ბიუჯეტის გასავლის ნაწილი. ხარჯები იზრდებოდა აპარატის გასაძლიერებლად, რასაც მოითხოვდა მუშათა კლასთან ბრძოლა და ბრძოლა კაპიტალისტური ბანაკის შიგნითაც.

განსაკუთრებით იზრდებოდა სამხედრო, შეიარაღებისა და ვალის გასტუმრების ხარჯები.

ხუთი მთავარი იმპერიალისტური სახელმწიფოს სამხედრო ხარჯი 1913/14 წლებიდან 1929/30 წლებამდე გაიზარდა 1 153 მილიონ დოლარიდან 2 373 მილიონ დოლარამდე, ე. ი. ორჯერ უფრო მეტად.

მთავარი იმპერიალისტური სახელმწიფოების სახელმწიფო ვალი გაიზარდა (მილიონობით), კერძოდ:

	1914 წ.	1927 წ.
აშშ-ისა	1 191,3 დოლ.	18 510,2 დოლ.
ინგლისისა	708 გირ. სტ	7 653 გირ. სტ.
საფრანგეთისა	34 200 ფრ.	517 600 ფრ.
იტალიისა	14 900 ლირა	186 400 ლირა

1931/32 წლების კრიზისისი გამო სამხედრო და სახელმწიფო ვალის ხარჯები ისე გაიზარდა, რომ აშშ-ში იგი ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის 41,9% შეადგენდა, ინგლისში — 50,5%, საფრანგეთში — 42,7%, გერმანიაში — 18,9%, მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები,

რომ გერმანიამ ქაღალდის ფულის გაუფასურებით თითქმის მთელი თავისი ვალები გაადნო.

ფულის მიმოქცევის დარგში ბევრი რამ შეიცვალა. ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობაში დამკვიდრდა ოქრო-დევიზური უზრუნველყოფის სისტემა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ფულის ემისია იფარებოდა არა მარტო ოქროთი, არამედ მტკიცე ვალუტითაც. ოქრომ თავი მოიყარა საემისიო ბანკის სარდაფებში. ბანკები განთავისუფლდნენ ბანკნოტების სავალდებულო დახურდავებისაგან. ისინი არ ღებულობდნენ ნებისმიერი ოდენობის ოქროს მოსაჭრელად. ამ სისტემის დროს ვალუტის კურსის რეგულირება წარმოებდა არა ოქროს ავტომატური მოძრაობით, არამედ საბანკო პოლიტიკის მეთოდებით, ნაწილობრივ ოქროს, ვალუტის, უცხოურ ფასეულობათა ყიდვა-გაყიდვით. ასეთი სისტემა მიიღეს გერმანიამ, ავსტრიამ და პოლონეთმა.

კრიზისმა იმდენად შეარყია კაპიტალიზმის სიმტკიცე, რომ ინგლისი და საფრანგეთიც ვერ დაუბრუნდნენ ოქროს მიმოქცევას და თავიანთი ვალუტა უზრუნველყვეს ბანკებში შენახული ოქროს ზოდებით.

ყველა ქვეყანაში, სადაც ფულადი სისტემა აგებული იყო ოქრო-ვალუტის სტანდარტზე, 1929 წლისათვის ემისიის უზრუნველყოფა შედგებოდა ნახევრად ოქროსაგან, ნახევრად — უცხო ვალუტისაგან ისე, რომ ხშირად ის ნახევარი ოქროც არ იყო ბანკის სარდაფებში.

ომის შემდგომი კაპიტალიზმის განვითარებაში ადგილი ჰქონდა ოქროს უთანაბრო განაწილებას, რაც გამოწვეული იყო კაპიტალიზმის არათანაბარზომიერი განვითარებით. ოქრო უთანაბროდ გადანაწილდა. შეწყდა გადახურდავება ოქროზე, რაც გამოწვეული იყო აგრეთვე იმით, რომ ბანკნოტებისა და ქაღალდის ფულის მიმოქცევა დიდად გაიზარდა.

მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ის შეადგენდა (მილიონ ერთეულობით — მათი ვალუტით):

	1913 წ.	1929 წ.
აშშ	3 209	4 865
ინგლისი	30,8	369,8
საფრანგეთი	5 714	68 571
გერმანია	2 902	5 041
იტალია	2 783	16 854
იაპონია	426	1 642

ბანკნოტებისა და ქაღალდის ფულის ერთეულთა ასეთი ზრდისა და ტრიალში ოქროს რეზერვების შემცირების გამო შეუძლებელი იყო ფულის მიმოქცევის ავტომატური რეგულირება.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის ვითარებაში ოქრო იმპერიალისტური პოლიტიკის ერთ-ერთი საშუალებათაგანია. ოქრო საბრძოლო ფონდია. ამიტომ მას ინახავენ ბანკის სარდაფებში.

ფულის მიმოქცევაში ოქროს მექანიზმზე უარის ოქმა, განსაკუთრებით ქაღალდის ფულისა და ბანკნოტების ზრდის პირობებში, მუდამ საფრთხეში აყენებდა ფულის მიმოქცევის სტაბილურობას. ეინაიდან კრიზისის პირობებში ბანკნოტები ქაღალდის ფულად იქცევა. ამას აძლიერებდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საბანკნოტო ემისიის გარკვეული ნაწილი თითქმის ყველგან გამოშვებული იყო სახელმწიფოს ხარჯზე ოქროს ან ვალუტის უზრუნველყოფის გარეშე. ვარდა ამისა, ომის შემდგომი საემისიო ბანკები დამოკიდებული შეიქნენ სახელმწიფო ხელისუფლებაზე. ამას თავის მხრივ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საბიუჯეტო დეფიციტი მუდამ უქმნიდა საფრთხეს, რომ საბანკნოტო ემისია ხაზინის საჭიროებისათვის იქნებოდა გამოყენებული. ყოველივე ამის გამო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის პერიოდში იშლება საზღვარი ბანკნოტსა და ქაღალდის ფულს შორის.

ომის შემდგომი ფულადი სისტემის შერყეული საფუძველი კიდევ უფრო მერყევი გახდა მონოპოლისტური ტენდენციების ზრდის გამო. გაიზარდა საბანკო კაპიტალის შეზრდა სამრეწველოსთან, გაიზარდა კონცენტრაციის პროცესები და მსხვილი ბანკები, როგორც ლენინი ამბობს, „ყოვლისშემძლე მონოპოლისტებად“ გადაიქცნენ. მაგრამ საბანკო კაპიტალის შეზრდამ სამრეწველო კაპიტალთან გააძლიერა საკრედიტო აპარატის დამოკიდებულება მრეწველობისა და საერთოდ სახალხო მეურნეობის მდგომარეობაზე. ამიტომ საემისიო ბანკები, ემისია და ფულის მიმოქცევა დამოკიდებული გახდა კონიუნქტურაზე.

აქვე აღსანიშნავია მეორე გარემოებაც. ემისიის უზრუნველყოფა უცხოური ვალუტით ქვეყნების დიდი უმრავლესობის ფულად სისტემას დამოკიდებულს ხდიდა იმ სახელმწიფოთა საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკაზე, რომელთა ვალუტითაც იყო უზრუნველყოფილი მათი ფულადი სისტემა. ძირითადად ამგვარ უზრუნველყოფად იმხანად მიჩნეული იყო დოლარი და სტერლინგი. ამგვარად, ამ სახელმწიფოთა ვალუტა წარმოადგენდა დაქვემდებარებულ ვალუტას და ის ძალაუნებურად ებმოდა ინგლისსა და აშშ შორის

ბრძოლაში, რასაც იმპერიალისტური ომის შემდგომი ბანაკის ძირითადი წინააღმდეგობანი აპირობებდნენ.

ამავე დროს ფულადი სისტემა სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდებოდა მსოფლიო ფულად ბაზარზე და იმ პროცესებზე, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე ხდებოდა. კრიზისმა, კაპიტალიზმის ლპობამ, ღრმა წინააღმდეგობებმა დიდი ცვლილებები გამოიწვიეს საერთაშორისო საკრედიტო-ფულადი კავშირების აღნაგობაში.

ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიო ფულადი ბაზარი ხასიათდება მოკლევადიანი სასესხო კაპიტალების ზრდით. ამ კაპიტალების სიდიდისა და ბაზარზე მათი ხვედრითი წონის განსაზღვრა ძნელი იყო. მოკლევადიან სასესხო კაპიტალების უზარმაზარი მასა მეტად მოძრავია და გადადის ქვეყნიდან ქვეყანაში, ხოლო დაძაბულობის შემთხვევაში „კაპიტალს პანიკა იპყრობს და გარბის". ეს გარემოება ომის შემდგომ მსოფლიო ფულად ბაზარს მეტად მერყეე მდგომარეობაში აყენებდა, რაც თავისებურ გამოხატულებას პოვებდა საერთაშორისო ფულად-საკრედიტო კავშირების ურთიერთობასა და მთელი კაპიტალისტური სამყაროს ფულადი სისტემების ურთიერთობაში.

ომის შემდგომი წლების პერიოდში დავალიანება დიდად გაიზარდა. ამას უნდა მიემატოს პირველ იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებული დავალიანება — მოკავშირეთა შორის ვალები და რეპარაციები, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიო კაპიტალისტური ფინანსების განვითარებაზე.

ამასთან დაკავშირებით გაიზარდა მთავარი იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ კოლონიური ქვეყნების ექსპლოატაცია. კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების საგადამხდელო ბალანსი მეტად დაძაბულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მათი დაბალანსება გარედან მოზიდული კაპიტალებით ხდებოდა. ამით ფარავდნენ საზღვარგარეთული სესხისა და კრედიტის გადასახდელებს. ეს, ერთი მხრივ, აღრმავებდა კაპიტალის იმპორტის ქვეყნების დამოკიდებულებას ექსპორტიორ სახელმწიფოებთან. მეორე მხრივ, კაპიტალის გამზიდველი სახელმწიფოები ხდებოდნენ დამოკიდებული კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობაზე, კოლონიურად დამოკიდებული ქვეყნების მდგომარეობაზე, ვინაიდან კაპიტალის გამზიდველი სახელმწიფოების საგადამხდელო და სავაჭრო ბალანსი და სახელმწიფოს მთელი ეკონომიკა დამოკიდებული გახდა საზღვარგარეთ მოთავსებული კაპიტალების ლიკვიდობაზე, სარგებლის შემოსულო-

ბასა და დაფარვაზე. ეს დამოკიდებულება პირდაპირ საშიშარ მდგომარეობას ქმნის, როდესაც კაპიტალების გაზიდვა მეტნაკლებად ხდება მოკლევადიანი სახსრების მოდინების ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში მოკლევადიან პასივებს ეპირდაპირება გრძელვადიანი აქტივები, ამ უკანასკნელთა ადვილად და სწრაფად მობილიზება შეუძლებელი ხდება.

ყოველივე ეს კაპიტალისტურ მსოფლიო ფულად ბაზარს კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის პერიოდში განსაკუთრებულად რთულ და დახლართულ ურთიერთობის ხასიათს აძლევდა.

ბრძოლა მსოფლიო ბაზარზე ბატონობისათვის, კაპიტალების სფეროს გამოყენებისათვის, ოქროსათვის, მოკავშირეთა შორის ვალებისა და რეპარაციების გარშემო და სხვ. თანდათან მწვავდებოდა და სპობდა ყოველგვარ საფუძველს საერთაშორისო საკრედიტო-ფულადი კავშირების, ფულადი სისტემისა და კაპიტალისტური ფინანსების სტაბილურობისათვის.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე გადასახადურ შემოსულობათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საშემოსავლო გადასახადმა, რომელმაც აშშ და ინგლისში პირველი ადგილი დაიკავა. მაგრამ დაუბეგრავი მინიმუმის შემცირების გამო ეს გადასახადი ბეგრავდა მშრომელთა დიდ ნაწილსაც, რომელსაც არაპირდაპირი გადასახადებიც დიდ ტვირთად აწვა.

ამჯერად ბიუჯეტური დეფიციტი გახდა ქრონიკული, თანდათან შეიზღუდა პარლამენტის ბიუჯეტური უფლებები და გაიზარდა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დავალიანება. 1913 წლიდან 1920 წლამდე დავალიანება გაიზარდა ინგლისში დაახლოებით 2-ჯერ, საფრანგეთში — 5-ჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში—-21-ჯერ, გერმანიაში — 30-ჯერ. ამასთანავე გაიზარდა მოკლევადიანი კრედიტის ხვედრითი წონა და მერყევი ხასიათი მიიღო საერთაშორისო კრედიტმა. ამ დარგის კრედიტში მთავარი ადგილი დაიკავა ერთი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობის მიერ მეორე სახელმწიფოს მთავრობისათვის მიცემულმა კრედიტმა. აშშ გახდა მთავარი კრედიტორი სახელმწიფო.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველი ეტაპი აღინიშნა მასობრივი სახელმწიფოებრივი გაკოტრებებით.

მოკავშირე სახელმწიფოები დავალიანებული აღმოჩნდნენ ურთიერთშორის. ინგლისი, მაგალითად, სხვას აწვდიდა კრედიტს, თვითონ სესხულობდა აშშ-საგან. მოკავშირეთა ვალი ამცირებდა ინგლისის ექსპორტს. ამიტომ მან, რომელსაც მხარს უჭერდა საფრანგეთი, მოითხოვა საერთაშორისო დავალიანების საერთო გაუქმება.

აშ'ში მას არ დაეთანხმა აშშ, რომელსაც სურდა ეს დავალიანება გამოეყენებინა სხვა სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილებისათვის.

ბ) ფინანსები კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომისა და ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციების პირობებში. ამის შედეგად კაპიტალიზმს ჩამოშორდნენ სახალხო დემოკრატიული ქვეყნები. ამით კაპიტალიზმის სფერო კიდევ შეიკუმშა და საერთო კრიზისი გაღრმავდა. დაიშალა ერთიანი მსოფლიო ბაზარი. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომი წარმოიშვა მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში, რასაც აპირობებდნენ დიდი წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის და აგრეთვე წინააღმდეგობანი სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელია იმპერიალიზმის მსოფლიო ჯაჭვის გარღვევა, კოლონიური კრიზისის გაღრმავება, კაპიტალისტური ეკონომიკის წინააღმდეგობათა ზრდა, რის გამოც კაპიტალიზმის მწარმოებლური ძალები ვეღარ ვითარდება. მეორე ეტაპზე გაღრმავდა კაპიტალიზმის ეკონომიკის მილიტარიზაცია, ცალმხრივად განვითარდა ომისათვის მომუშავე წარმოების დარგები, გაჩაღდა ქვეყნებს შორის ულმობელი კონკურენცია და ძლიერმა იმპერიალისტურმა ქვეყნებმა დაიმონეს სუსტები.

ყოველივე ამან თავისი გამოხატულება პოვა სახელმწიფო ფინანსების დარგშიც, რაც, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ უჩვეულოდ გაიზარდა შეიარაღების ხარჯები; ნაციონალური შემოსავლის უფრო და უფრო მეტ წილს დაეუფლა ბიუჯეტი, გაღრმავდა მისი დეფიციტების ქრონიკული ხასიათი.

სამხედრო ხარჯების დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ კაპიტალისტურ ქვეყნებში გამოიყენეს ფულის ინფლაცია, რაც თავის მხრივ მძიმე ტვირთად აწვებოდა მშრომელ მოსახლეობას.

აშშ ფულის მასა მიმოქცევაში და ფულადი სახსრები ბანკების მიმდინარე ანგარიშებზე ხასიათდება ზრდით. ფულის მასა მიმოქცევაში იყო 1937 წელს — 5,6 მილიარდი დოლარი, 1947 წ. — 26,5 მილიარდი დოლარი, 1951 წ. — 26,3 მილიარდი დოლარი,

ე. ი. 1951 წელს 1937 წელთან შედარებით ფულის მასა გადიდდა 4,7-ჯერ.

ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე შეადგენდა 1937 წელს 24,0 მილიარდ დოლარს, 1947 წელს — 87,1 მილიარდს, 1951 წ. — 98,2 მილიარდ დოლარს. ამგვარად, იგი გადიდებულია 4,1-ჯერ.

ინგლისში ფულის მასა მიმოქცევაში იყო 1937 წელს 0,46 მილიონი გირ. სტ., 1947 წ. — 1,33, 1951 წ. — 1,36 მილიონი გირვ. სტ., ე. ი. ფულადი სახსრები გადიდდა 3-ჯერ.

მიმდინარე ანგარიშებზე იყო 1937 წ. — 1,21 მილიონი გირვ. სტ. 1947 წ. — 3,71, 1951 წ. — 3,99 მილ. გ. სტ., ამგვარად იგი გადიდდა 3,3-ჯერ.

საფრანგეთში ინფლაცია კიდევ უფრო გაძლიერდა. ფულის მასა მიმოქცევაში 1937 წელს იყო 2,2 მილიარდი ფრანკი, 1947 წ. — 25,6, 1951 წ. — 45,3 მილიარდი ფრ., ე. ი. გაიზარდა 20,6-ჯერ. ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე იყო 1937 წელს 2,6 მილიარდი ფრ., 1947 წ. — 20,6, 1951 წელს — 42,8 მილიარდი ფრ., მაშასადამე, გაიზარდა 16,5-ჯერ.

ყოველივე ამის გამო საგრძნობლად დაეცა ქაღალდის ფულის მსყიდველობითი უნარი, რაც საბითუმო ფასების ინდექსით ასე გამოიხატებოდა:

აშშ დოლარის მსყიდველობითი უნარი 1946 წელს 1939 წელთან შედარებით უდრიდა 63,6%, 1951 წელს — 43,4%, ინგლისში გირვანქა სტერლინგის მსყიდველობითი უნარი 1946 წელს შეადგენდა 59.0%, ხოლო 1951 წელს — 32,5%, საფრანგეთში ფრანკის მსყიდველობითი უნარი იყო 1946 წელს 16,2%, ხოლო 1951 წელს — 3,8%[1].

კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა სამხედრო ხარჯების დასაფარავად გამოიყენეს საგარეო წყაროები. ანტიჰიტლერულ სახელმწიფოებში ასეთ სახსრებს წარმოადგენდა საზღვარგარეთული ინვესტიციები, უცხოური სესხები, ლენდ-ლიზი, კლირინგული კრედიტები და სამხედრო ფულის გამოშვება.

ლენდ-ლიზის მთელმა თანხამ შეადგინა 46 040 მილ. დოლარი. ინგლისმა ამისათვის გამოიყენა უცხოური ინვესტიციების რეალიზაცია. აშშ და ინგლისმა გამოუშვეს სამხედრო ფული, რომელსაც უშვებდნენ იძულებითი კურსით ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე.

---

[1] რიცხობრივი მასალები მოტანილია კრებულიდან: Экономика капиталистических стран, 1953.

გერმანიამ ოკუპირებული ქვეყნების ძარცვა-გლეჯით დაფარა თავისი სამხედრო ხარჯების მესამედი; მან ამისთვისვე გამოიყენა საკალუტო კლირანგები. ამ მიმართულებით 1944 წლისათვის გერმანია დავალიანებული იყო 42 მილიარდი მარკით.

ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენდა ქვეყნების საკუთარი ნაციონალური შემოსავალი და ნაციონალური ქონება, ოკუპირებული ტერიტორიებისა და კოლონიების ძარცვა, გადასახადები, საშინაო და საგარეო სესხები, ინვესტიციები, ინფლაცია და სხვ.

მონოპოლისტურმა კაპიტალმა ხელში ჩაიგდო მსოფლიო ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი, გააძლიერა ექსპორტი დემპინგის გზით, თავისი ნაციონალური ბაზარი კი შეზიდვისაგან დაიცვა მაღალი ბაჟებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რეპარაციები განსხვავდება პირველი მსოფლიო ომის რეპარაციებისაგან. მეორე მსოფლიო ომის სარეპარაციო გადასახდელთა ოდენობის დაწესებაში მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა კავშირიც. იგი განსაზღვრულ იქნა 20 მილიარდი დოლარის ოდენობით, საიდანაც ნახევარი ეკუთვნოდა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს. ნახევარი—ანტიჰიტლერული კოალიციის დანარჩენ ქვეყნებს. თუმცა ეს 10 მილიარდი შეადგენდა მხოლოდ 1/13 ნაწილს იმ სამხედრო ზარალისა, რაც ფაშისტურმა გერმანიამ მიაყენა საბჭოთა კავშირს.

სარეპარაციო გადასახდელები დაწესებული იყო ნატურალური ფორმით: ეს იქნებოდა კაპიტალურ გაწყობილობათა ერთდროული ამოღება, საქონელთა ყოველწლიური მოწოდება და გერმანელი მუშების გამოყენება. სარეპარაციო გადასახდელები მიზნად ისახავდნენ აგრეთვე გერმანიის სამხედრო პოტენციალის განადგურებასაც.

როგორც აღვნიშნეთ, აშშ-ს, ინგლისს, საფრანგეთს, ჰოლანდიას, ბელგიას, საბერძნეთსა და იუგოსლავიას სარეპარაციო გადასახდელი ყველას ერთად უნდა მიეღოთ 10 მილიარდი დოლარი. სინამდვილეში მარტო აშშ-მ, ინგლისმა და საფრანგეთმა დასავლეთ გერმანიიდან აიღეს 40 მილიარდამდე დოლარი და მთელი გერმანული ოქრო. ამავე დროს ამ ქვეყნებმა ყოველნაირად ხელი შეუშალეს საბჭოთა კავშირს სრულად მიეღო სარეპარაციო გადასახდელები. აქვე აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირმა იაპონიისაგან მისაღებ სარეპარაციო გადასახდელთა კუთვნილ წილზე უარი თქვა.

ამასთანავე საბჭოთა კავშირმა ჯერ გაუნახევრა და შემდეგ სულ გაათავისუფლა სარეპარაციო გადასახდელებისაგან უნგრეთი, რუმინეთი, ფინეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო ხარჯები ერთხანს შემცირდა, მაგრამ 1950 წლიდან კვლავ იწყო გადიდება. წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოების ხარჯები შეიცავდა არა მარტო ე. წ. „თავდაცვის ხარჯებს", არამედ აგრეთვე სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის დახმარებასაც სამხედრო ხარჯების დაფინანსებაში.

ამხანად ფინანსური მაგნატები დაეპატრონენ სახელმწიფო ხელისუფლებას, გაიზარდა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთები. აშშ-ში გადასახადების 76% აწვა მოსახლეობას. ამავე დროს გაიზარდა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსების ცენტრალიზაცია.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე გაიზარდა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში. პირველ ეტაპზე ეს ჩარევა გამოიხატებოდა იმით, რომ სახელმწიფო აგებდა სახელმწიფოებრივ საწარმოებს იმ ქვეყნებში, რომლებიც ომისთვის ემზადებოდნენ, ყიდულობდნენ გაკოტრების პირზე მისულ საწარმოების აქციებს და დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ სამრეწველო, სავაჭრო საწარმოებს და ბანკებს. მეორე მსოფლიო ომის პირობებში სახელმწიფოები, განსაკუთრებით აშშ, გახდნენ სამრეწველო-სავაჭრო და საბანკო საწარმოების მესაკუთრენი ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. ისინი დაეუფლნენ შეიარაღების დიდ ქარხნებს. კაპიტალისტური სახელმწიფოები ეკონომიკაში ჩარევას გამოხატავდნენ აგრეთვე იმ მხრივაც, რომ დიდ დახმარებას უწევდნენ ბიუჯეტის ანგარიშით სამხედრო საჭურველის დამამზადებელ ქარხნებს. ამგვარად, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევა ძირითადად გამოიხატება პირდაპირი თუ არაპირდაპირი სამხედრო ხარჯების ზრდაში. კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა კიდევ უფრო მოუხშირეს კაპიტალების გაზიდვასა და დემპინგს. კიდევ უფრო მეტად გაიზარდა სახელმწიფო ვალები, მათ შორის მოკლევადიანი კრედიტის ხვედრი წილიც. გაიზარდა ევროპის სახელმწიფოების დავალიანება აშშ-ის წინაშე. აღსანიშნავია, რომ აშშ საგარეო სესხებს იყენებდა იმ მიზნით, რომ თავის დებიტორები სამხედრო კოალიციაში ჩაება კაცობრიობის პროგრესული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბ) ფინანსები კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე

მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის მესამე ეტაპი წარმოიშვა არა მსოფლიო ომთან დაკავშირებით, არამედ მშვიდობიან პირობებში. მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნე-

ბია ის, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა უკვე გადამწყვეტ ფაქტორად არის ქცეული კაცობრიობის განვითარებაში; ღაიშალა კოლონიური სისტემა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, ამასთანავე ისპობა კოლონიალიზმის არა მარტო პოლიტიკური სტრუქტურა, არამედ მისი ეკონომიკური საფუძველიც.

1960-იანი წლებიდან კაპიტალისტურ ქვეყნებში აღინიშნა დიდი კონცენტრაცია და მონოპოლიზაცია. ამხანად საფრანგეთში გაერთიანებისა და შთანთქმის ყოველწლიური რიცხვი გაორკეცდა. ინგლისში 500 ათასი გირვ. სტერლინგის მფლობელი კომპანიების რიცხვი შემცირდა ერთი მესამედით. დასავლეთ გერმანიაში 1970 წლის ბოლოსათვის გაერთიანებათა რიცხვმა დაახლოებით 400 მიაღწია, იაპონიაში—1020. აშშ 1970 წლის დასაწყისისათვის გაერთიანებამ და შთანთქმამ ერთი წლის მანძილზე მიაღწია 5 400 ერთეულს.[1]

ასეთი დიდი კონცენტრაციის ერთ-ერთი მიზეზია მონოპოლისტური კონკურენციის გაძლიერება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციების პირობებში. ამას იწვევს მსხვილ კომპანიებს შორის ბრძოლა, ტექნიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის განახლებასთან, წარმოებისა და გასაღების ორგანიზაციის მეთოდებთან, ახალ შეკვეთებთან და კაპიტალების გამოყენების სფეროებთან.

ამასთანავე, კაპიტალისტურ ქვეყნებში მოცემულ ეტაპზე დიდად გაიზარდა სახელმწიფოებრივი საკუთრება. ის მოიცავს არა მარტო სამხედრო მრეწველობას, არამედ მასთან დაკავშირებულ სხვა დარგებსა და მეცნიერულ-კვლევით დაწესებულებებს, რომლებიც ხელს უწყობენ სამხედრო ტექნიკის განვითარებას. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კოორდინირებული განვითარება კი შეუძლებელია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში უშუალო ჩარევის გარეშე.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობებს აღრმავებს მეურნეობის სოციალისტური სისტემის არსებობა. კაპიტალისტური ეკონომიკის სტიქიური საბაზრო რეგულირების ეფექტურობა კლებულობს და იზრდება ეკონომიკის გასახელმწიფოებრიობის ტენდენციები.

ორი სისტემის შეჯიბრი გავლენას ახდენს ეკონომიკის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ რეგულირებასა და იმპერიალისტური ინტეგრაციის ტენდენციებზე. მწარმოებლური ძალები ვეღარ

[1] Усиление процесса капиталистической концентрации и монополизации, Экономическая газета, № 49, декабрь, 1970.

თავსდება კერძომონოპოლისტური საკუთრების ფარგლებში და აუცილებელი ხდება საზოგადოებრივი რეგულირება.

უკანასკნელ წლებში წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში შეიმჩნევა წარმოების ზრდის ტემპების შემცირება. აშშ-ის წილი მსოფლიო კაპიტალისტურ წარმოებაში 1969 წელთან შედარებით 1970 წლისათვის 43,4%-დან 41,3%-მდე შემცირდა. ეს აიხსნება არა მარტო აშშ-ის ეკონომიკის სიძნელეებით, არამედ მეტოქე სახელმწიფოების — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიის, ინგლისის, საფრანგეთის ეკონომიკური პოტენციალის ზრდით. აშშ-ში შეიმჩნევა კრიზისის სიმპტომები, შემცირდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. მსოფლიო ბაზარზე შეინიშნება სათბობის, ზოგიერთი სახის ნედლეულისა და სასოფლო-სამეურნეო საქონლის სიჭარბე, აღინიშნა საბირჟო ციებ-ცხელება, ერთი მესამედით დაეცა აქციების კურსი, გადიდდა უმუშევრობა (უმუშევართა რიცხვმა შეადგინა ქვეყნის მუშაძალის 5,8%), გაიზარდა ინფლაცია და ფასები. ყოველივე ამან შექმნა მძიმე მდგომარეობა — მრეწველური წარმოების დაცემა გადაეხლართა ინფლაციას, რომელსაც იწვევს დიდი სამხედრო ხარჯები და ბიუჯეტური დეფიციტები. აუცილებელი შეიქნა სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირება. საერთოდ შეირყა კაპიტალისტური ეკონომიკის სიმყარე. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით აშშ მთავრობამ გადასახადები გაადიდა 10%-ით, ამავე დროს დისკონტის განაკვეთი აწია საბანკო სესხებზე იმისათვის, რომ კაპიტალის გაძვირებით შეემცირებინა დაბანდებები. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, გადასახადის წანამატი ისევ მოხსნეს და დისკონტის განაკვეთი შეამცირეს.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე ბურჟუაზია უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროებს სახელმწიფოს დახმარებას, რომელსაც სხვა პირობებთან ერთად დიდი ფინანსური რესურსები აქვს. მესამე ეტაპზე მკვეთრად იზრდება ნაციონალური შემოსავლის წილი, რომელსაც ბიუჯეტი გადაანაწილებს.

აშშ-ში 1913 წელს ბიუჯეტით გადანაწილდებოდა ნაციონალური შემოსავლის 2,2%, 1939 წელს — 12,0%, 1960 წ. — 19,4%. როგორც ვხედავთ, ბიუჯეტით ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება გადიდებულია ცხრაჯერ. ინგლისში ბიუჯეტით გადანაწილდა 1913 წელს — 9,0%, 1939 წ. — 21,2%, 1960 წ. — 31,7%, ამგვარად, გაზრდილია სამნახევარჯერ. საფრანგეთში გადანაწილდებოდა 1913 წ. — 13,5%, 1939 წ. — 23,1%, 1960 წ. — 30,3%, ე. ი. გაზრდილია ორნახევარჯერ.

კაპიტალურ დაბანდებათა საერთო თანხაში გაიზარდა სახელმწი-

ფოებრივი კაპიტალური დაბანდებები. 1960 წელს აშშ-ში იგი შეადგენდა 15%, ინგლისში — 46%, საფრანგეთში — 36%. ამაზე გავლენას ახდენს კოლონიური სისტემის დაშლა და ორი მსოფლიო სისტემის შეჯიბრი.

მოცემულ ეტაპზე კაპიტალისტური სახელმწიფო ნაციონალური პროდუქტის სულ უფრო და უფრო მეტ წილს იყენებს. იგი სამხედრო მიზნებისათვის ყიდულობს საქონლის დიდ ნაწილს მეტად მაღალ ფასებში და მათი კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად სუბსიდიებს აძლევს ცალკეულ მონოპოლიებს.

კაპიტალისტური სახელმწიფო საწარმოები წამგებიანია და დეფიციტს ფარავენ ბიუჯეტის ანგარიშით.

მთელი საზღვარგარეთული ამერიკული ინვესტიციის 30% სახელმწიფოს წილად მოდის. საფრანგეთის საზღვარგარეთული ინვესტიციების 72% სახელმწიფოებრივია. მოცემულ ეტაპზე კაპიტალისტური სახელმწიფოები დიდ სახსრებს ხარჯავენ აგრეთვე მარეგულირებელ ღონისძიებებზე.

იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც საზოგადოდ ერთმანეთს უპირისპირდებიან, ზოგჯერ იძულებულნი ხდებიან ერთმანეთს ხელი გაუწოდონ, კერძოდ, ისინი იძულებულნი გახდნენ ერთიმეორის ვალუტის სიმტკიცეზე ეზრუნათ.

ყველა ამგვარი ღონისძიება იმთავითვე განწირულია, რადგან, როგორც არ უნდა აწესრიგონ, კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლია შექმნას დირექტიული გეგმა, რომელსაც მონოპოლისტები დაექვემდებარებიან.

კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ შექმნილი მრავალრიცხოვანი სამხედრო ბლოკები არაჩვეულებრივად ზრდიან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს. ერთ-ერთს ასეთს წარმოადგენს ნატო — North Atlantic Treaty Organization — ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია, აქედან — სახელწოდება NATO. ნატოს შექმნის ხელშეკრულება გაფორმდა ვაშინგტონში 1949 წლის 4 აპრილს. ნატოში შევიდნენ: აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, დანია, ისლანდია, კანადა, 1952 წლიდან — საბერძნეთი და თურქეთი, 1955 წლიდან — დასავლეთ გერმანია. 1969 წელს საფრანგეთი ნატოდან გამოვიდა.

ნატოს უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საბჭო, რომელშიც შედიან საგარეო საქმეთა მინისტრები და დღის წესრიგის მიხედვით თავდაცვის, ფინანსების, ეკონომიკისა და სხვ. მინისტრები. ნატოს საბჭოს შტაბ-საბგომი იმყოფება ბრიუსელში.

ნატო არის აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ნატოს დაარსებისას მისი წლიური ხარჯი შეადგენდა 18,8 მილიარდ დოლარს. ოცი წლის თავზე წლიურმა ხარჯმა შეადგინა 104 მილიარდი დოლარი. ოცი წლის განმავლობაში მის შესანახად დაიხარჯა 1265 მილიარდი დოლარი.

ნატოში შემავალი ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა რიცხვი შეადგენს 6,2 მილიონ კაცს. აქედან ევროპის ზონაში იმყოფება 3 მილიონამდე კაცი.

ასევე დიდი ხარჯები სჭირდება ისეთ აგრესიულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს, როგორიც არის სეატო და აგრესიული სამხედრო ბლოკი — სენტო. სეატო — სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია (SEATO — South-East Asia Treaty Organisation). ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მანილაში კონფერენციაზე 1954 წლის 8 სექტემბერს, ძალაში შევიდა 1955 წლის 19 თებერვლიდან. მასში შედიან ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ტაილანდი, ფილიპინები და პაკისტანი. სეატოს შექმნის ინიციატორია აშშ, რომელიც თავს აცხადებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „წესრიგისა და უშიშროების“ დამამყარებლად, მისი შტაბ-სადგომი არის ბანგკოკში.

სენტო—ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია (Cento—Central Treaty Organisation) შექმნილია 1955 წელს. თავდაპირველად მას ეწოდებოდა ბაღდადის პაქტი და აერთიანებდა დიდ ბრიტანეთს, ერაყს, თურქეთს, ირანს და პაკისტანს. 1958 წელს ამ პაქტიდან გავიდა ერაყი (იქ მონარქიის დამხობის შემდეგ) და 1959 წლიდან ამ ორგანიზაციამ მიიღო სენტოს სახელწოდება. მისი შტაბ-სადგომი იმყოფება ანკარაში.

ამგვარი ოგანიზაციების შექმნა და მსგავსი ღონისძიებანი მიზნად ისახავენ გადაარჩინონ კაპიტალიზმი, უზრუნველყონ მონოპოლისტთა დამატებითი მოგება.

ამ მიზნისათვის კაპიტალისტური სახელმწიფოები სახსრებს არ იშურებენ. ამის შედეგია ბიუჯეტების ქრონიკული დიდი დეფიციტები და ამ ნიადაგზე სახელმწიფოებრივი დავალიანების ზრდა. იზრდება გადასახადების ტვირთი ერთ სულ მოსახლეზე. ერთ ამერიკელზე 1914 წელს ფედერალური გადასახადი მოდიოდა 4 დოლარი, 1939 წელს—40 დოლ., 1963 წელს—623 დოლარი. ყოველივე ეს მძიმე ტვირთად აწვება მშრომელ მოსახლეობას. კაპიტალისტები და

კაპიტალისტთა კორპორაციები დიდი სხვაობით თავიანთ სასარგებლოდ ინაზღაურებენ ამ გადასახადებს.

საერთაშორისო კრედიტი კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზეც გამოყენებულია იმპერიალისტური სახელმწიფოების საგარეო-ეკონომიკური ექსპანსიისათვის. მაგრამ მასში მოხდა ბევრი ცვლილება. იმპერიალისტური სახელმწიფოები აღარ ასრულებენ მთავარ როლს საერთაშორისო კრედიტის დარგში. მათ ეს მონოპოლია დაკარგეს. განვითარებად ქვეყნებს უანგარო კრედიტს აწვდის საბჭოთა კავშირიც.

კოლონიური სისტემის დაშლამ გააძნელა კაპიტალების გაზიდვა, რაც დიდ რისკთანაც არის დაკავშირებული, ამიტომ მონოპოლიებს სურთ ეს რისკი შეამცირონ. ამ მიზანს ემსახურება სახელმწიფოებრივი კაპიტალის გაზიდვა. კერძო მონოპოლიები მოგების გარეშე ვერ გაზიდავენ კაპიტალებს. ამიტომ სახელმწიფო იძულებულია თითონ იკისროს დიდი ხარჯები სამხედრო სესხების მისაწოდებლად და სხვა საზღვარგარეთული დანახარჯებისათვის.

კოლონიური ექსპლოატაციის შენარჩუნების მიზნით იმპერიალისტური სახელმწიფოები აწარმოებენ ნეოკოლონიალისტურ პოლიტიკას. „დახმარების" აღმოჩენის სახით ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი გავლენა ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში.

აშშ-მა შეამცირეს ევროპული ქვეყნებისათვის სესხით დახმარება და გაზარდეს ამგვარი დახმარება აზიის, აფრიკისა და ლათინურ ამერიკისათვის.

სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ამერიკის დახმარების მიზანია, ეს ქვეყნები თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყოლიოს და განამტკიცოს შეერთებული შტატების უშიშროება.

კაპიტალისტური სახელმწიფოები ეკონომიკურ და ტექნიკურ დახმარებას უწევენ დამოუკიდებლად განვითარებად ქვეყნებსაც. მაგრამ ეს დახმარება მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფოებრივი სექტორის შექმნას, მეურნეობის სოციალისტურად წარმართვას და ხელი შეუწყოს მათ კაპიტალისტურად განვითარებას.

კრედიტების ხვედრითი წონა იზრდება, ვინაიდან იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც დამოუკიდებელი განვითარების გზას ადგებიან. დახმარების სახით მოწოდებული სახსრების დიდი ნაწილი ისევ უკანვე უბრუნდებათ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს საქონლისა და მომსახურების ანაზღაურების სახით.

თავი მეოთხე

კაპიტალისტური სახელმწიფოს ხარჯთა სისტემა

I. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ხარჯების არსი

ფინანსური მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიას წარმოადგენს სახელმწიფო ხარჯები. ბურჟუაზიული სახელმწიფო თავის ფუნქციათა შესასრულებლად ხარჯავს გარკვეული ოდენობის სახსრებს.

სახელმწიფო ხარჯები სახელმწიფოს კლასობრივი ბუნების უტყუარი გამომხატველი და ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის დამახასიათებელია. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიულ მეცნიერთა ერთი ნაწილი აპოლოგეტიკური მოსაზრებებით გვერდს უვლის სახელმწიფო ხარჯების შესწავლას.[1]

სახელმწიფო ხარჯები გვიჩვენებენ სახელმწიფო შემოსავალთა მიმართულებას, იმას, თუ ვის სასარგებლოდ და რაში ხარჯავს სახელმწიფო მის მიერ აკუმულირებულ სახსრებს, ვისთვის იხდის ხალხი გადასახადებს. ამგვარად, სახელმწიფო ხარჯები თავის მხრივ ახასიათებენ სახელმწიფოს ფინანსურ მდგომარეობას. ისინი აპირობებენ სახელმწიფო შემოსავალთა მიღების აუცილებლობას. სახელმწიფო ხარჯებში ნათლად ვლინდება სახელმწიფოს კლასობრივი ბუნება.

ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის ფარგლებში სხვადასხვა სახელმწიფოთა ხარჯებს ძირითადი ნიშნების მიხედვით ერთნაირობა ახასიათებს, მაგრამ ამ სახელმწიფოთა არათანაბარზომიერი განვი-

---

[1] კ. ე ე ბ ე რ გ ი წერდა: „საფინანსო მეცნიერება არ აყენებს სახელმწიფო ხარჯთა კანონზომიერების, სარგებლიანობის, სარფიანობისა და სხვ. საკითხების გადაჭრას“ (K. Th. von Eheberg. Finanzwissenschaft, 1909, 41). ხარჯების კატეგორიას არ სწავლობდნენ, მაგალითად, აკადემიკოსი ი. ი ა ნ ჟ უ ლ ი, პროფესორი ი. ო ზ ე რ ო ვ ი და სხვ. იხ. მათი შრომები: И. Я н ж у л, Основные начала финансовой науки; И. О з е р о в, Основы финансовой науки.

თარების გამო სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ხარჯები სხვადასხვანაირია.

მეცნიერული კომუნიზმის კლასიკოსების მტკიცებით, ბურჟუაზიული და მანამდე არსებული სახელმწიფოები და მათი ორგანოები წარმოადგენენ კოლექტიურობის სუროგატებს, მოჩვენებით კოლექტიურობას, რაც არსებითად განსხვავდება ნამდვილი კოლექტიურობისგან.

ნამდვილი კოლექტიურობის დროს ინდივიდს აქვს პირადი თავისუფლება და ყოველნაირი საშუალება თავისი უნარის ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამ პირად თავისუფლებას ინდივიდები აღწევენ თავიანთი ასოციაციების საშუალებით.

ნამდვილ კოლექტიურობაში ინდივიდები მონაწილეობენ როგოც ინდივიდები და არა როგორც კლასის წევრები.

ასეთი კოლექტიურობა არის რევოლუციურ პროლეტართა კოლექტიურობა. აქ ინდივიდები აღწევენ პირად თავისუფლებას, ვინაიდან იგი „მათ შესაძლებლობას აძლევს კონტროლი გაუწიონ ინდივიდთა თავისუფალი განვითარებისა და მოძრაობის პირობებს“, რომლებიც მოჩვენებით კოლექტიურობაში მინებებული არიან შემთხვევითობაზე.

მოჩვენებით კოლექტიურობაში ინდივიდს პირადი თავისუფლება არა აქვს; იქ პირადი თავისუფლება აქვთ მხოლოდ გაბატონებული კლასის ინდივიდებს, „რამდენადაც ისინი ამ კლასის ინდივიდები არიან“. მოჩვენებით კოლექტიურობაში კოლექტიურობა უპირისპირდება ინდივიდებს როგორც დამოუკიდებელი. მოჩვენებითი კოლექტიურობა არის ერთი კლასის გაერთიანება მეორის წინააღმდეგ, ამიტომ დაჩაგრული კლასისთვის იგი არ არის კოლექტიურობა, პირიქით, ბორკილია.

მოჩვენებითი კოლექტიურობა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელშიც ინდივიდები შედიან როგორც რომელიმე კლასის ინდივიდები და არა როგორც ინდივიდები. ვინაიდან კოლექტიურობის დაპირისპირება ინდივიდებთან აერთიანებს რომელიმე კლასის ინდივიდებს საერთო ინტერესებით სხვა კლასთან დასაპირისპირებლად, ინდივიდები ამ კოლექტიურობას ეკუთვნიან როგორც საშუალო ინდივიდები. აქ ისინი მონაწილეობენ როგორც კლასის წევრები და არა როგორც ინდივიდები.

მოჩვენებით კოლექტიურობაში ინდივიდთა თავისუფალი განვითარების პირობები მინებებულია შემთხვევითობაზე. ამიტომ მოჩვენებით კოლექტიურობაში პირად თავისუფლებას უწოდებენ შემთხვევითობით სარგებლობის უფლებას, ვინაიდან გარკვეულ პირო-

ბათა ფარგლებში ინდივიდები ახერხებენ შემთხვევითობით სარგებლობას, მაგრამ ეს გაერთიანება გულისხმობს მწარმოებლურ ძალთა განვითარების გარკვეულ საფეხურს.

ბურჟუაზიული სახელმწიფო წარმოადგენს სწორედ მოჩვენებით კოლექტიურობას, კოლექტიურობის სუროგატს. „კოლექტიურობის დღემდე არსებულ სუროგატებში, სახელმწიფოში და სხვ. პირადი თავისუფლება არსებობდა მხოლოდ გაბატონებული კლასის პირობებში განვითარებული ინდივიდებისათვის და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ამ კლასის ინდივიდები იყვნენ“ [1].

ბურჟუაზიული სახელმწიფო, როგორც კოლექტიურობის სუროგატი, გაბატონებული კლასის ორგანიზაციაა დაჩაგრული კლასის საექსპლოატაციოდ.

სახელმწიფოს ფორმები აიხსნება წარმოების წესით, აგრეთვე მისგან გამომდინარე წარმოებითა და განაწილებით. კერძო საკუთრების საზოგადოებრივ ფორმაციათა სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ ექსპლოატაციის ფორმებით.

ანტიკური სახელმწიფო დამყარებული იყო მონურ ექსპლოატაციაზე და იცავდა მონათმფლობელთა ინტერესებს, ფეოდალური სახელმწიფო — ყმის ექსპლოატაციაზე და იცავდა ფეოდალთა ინტერესებს. კაპიტალისტური სახელმწიფო დამყარებულია დაქირავებული შრომის ექსპლოატაციაზე და იცავს · კაპტალისტთა ინტერესებს.

ბურჟუაზიული სახელმწიფო კაპიტალისტური წარმოების წესის დაცვის ორგანიზაციაა, მან უნდა უზრუნველყოს ამ წარმოების წესის „საერთო გარეგანი პირობები“ (ენგელსი), ხელი შეუწყოს კაპიტალისტური ექსპლოატაციის პირობათა შექმნას, მუშისა და მისი შრომის საშუალებებზე საკუთრების გათიშვის პროცესს, რაც საზოგადოებრივ საარსებო და წარმოებრივ საშუალებებს კაპიტალად აქცევს, ხოლო უშუალო მწარმოებლებს — დაქირავებულ მუშებად.

ამგვარად, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ხარჯებს უაღრესად კლასობრივი ხასიათი აქვს.

იმპერიალიზმის ეპოქაში იზრდება სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური რეგულირება თანდათან უფრო საყოველთაო ხასიათს ღებულობს, უფრო

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, 1948, გვ. 96—97.

აუცილებელი ხდება ცენტრალიზებული განაწილება, რაც ზრდის ეკონომიკის გასახელმწიფოებრივობის ტენდენციაა.

საშინაო და საგარეო წინააღმდეგობათა გამწვავების გამო იზრდება სახალხო მეურნეობის მილიტარიზაცია და სახელმწიფო ხარჯები.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა ზომით და სწრაფად იზრდება სახელმწიფო ხარჯები განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქაში, მოვიტანთ ოთხი დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოს— აშშ, ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის — მონაცემებს.

აშშ ფედერალური მთავრობის ხარჯები

წლები	მილ. დოლარობით	აშშ ხარჯები მოლიანად
1800	11	
1820	18	
1840	24	
1860	64	
1880	265	
1900	487[1]	
1913/14	700	
1920/21	5 116	
1933/34	6 745	
1938/39	8 765[2]	16 600
1948/49	41 500	59 700
1955/56	69 000	98 400[3]

აშშ საერთო ნაციონალურ პროდუქტში სახელმწიფო ხარჯების წილი პროცენტობით შეადგენდა: 1950 წელს 24,8%, 1967 წელს— 31,3%[4]. ამგვარად, 1967 წელს სახელმწიფო ხარჯებით წარმოებდა საერთო ნაციონალური პროდუქტის დაახლოებით ერთი მესამედის გადანაწილება.

---

[1] Фр. Нитти, Основные начала финансовой науки, 1904, стр. 54.

[2] Авторск. кол. под руков. проф. Н. Н. Любимова, Финансовые системы иностранных государств. 1947, стр. 77.

[3] Н. Н. Любимов, Финансы капитал. государств, 1956, стр. 52.

[4] А. Г. Милейковский, Современный государственно-монополистический капитализм (Новое время, № 41, 9 октября, 1970).

ინგლისი

წლები	მილ. გ. სტერლინგი	ადგილ. ხარჯ. მილ. გ. სტ.
1691	3	
1741	11	
1797	58	
1865/66	65	
1901/02	142[1]	
1913/14	197,5	200
1920/21	1 195	400
1929/30	829	609
1938/39	1 147[2]	669
1948	3 498	647
1957	5 526	1 395

სახელმწიფო ხარჯების წილი ინგლისის საერთო ნაციონალურ პროდუქტში პროცენტობით შეადგენდა 1950 წელს 39,3%, 1967 წელს—41,3%. ამგვარად, სახელმწიფო ხარჯები გადაანაწილებდა ინგლისის ნაციონალური პროდუქტის მესამედზე მეტს.

საფრანგეთი

წლები	მილ. ფრანკებით	მიმდინარე და ყველა ხარჯი ერთად
1798	750	
1850	1 473	
1892	3 343	
1901	5 554	
1910	4 322	
1914	10 571	
1919	54 213	
1920	44 248	
1930/31	55 711	
1945	49 868	
1940	79 889	
1948/49	289 მილიარდი	2 704
1953/54	1 192 „	5 780
1957		7 903

[1] A financial retrospect J. SS. 1902 წ. მარტი, Ф р. Н и т т и, Основ. н. ф. н., стр. 48; Авторский кол. под рук. Н. Н. Л ю б и м о в а. Финансовые системы отдельных капит. стран., стр. 18, 24, 27, 39:

[2] А. Т. М и л е й к о в с к и й, მითითებული სტატია (Новое время, № 41, 1970, 9 окт.).

სახელმწიფო ხარჯების წილი საფრანგეთის საერთო ნაციონალურ პროდუქტში პროცენტობით 1950 წელს შეადგენდა 40,5%, 1967 წელს — 44,1%[1].

გერმანია (რომელიც იმპერიად იქცა 1871 წლიდან)

	მილიარდი მარკა			
	იმპერიის ბიუჯეტი	ქვეყნების ბიუჯეტი	აღგილობრ. ბიუჯეტი	სულ
1874 წ.	673			
1900	2 197			
1913/14	2 379			
1929/30	8 042	4 184	8 687	20 913
1938/39	30 000			
დასავლეთ გერმანიის ხარჯები—მარკებით				
1948/49	14 359			
1951/52	35 528			
1956/57	56 465			

სახელმწიფო ხარჯების წილი დასავლეთ გერმანიის საერთო ნაციონალურ პროდუქტში პროცენტობით 1950 წელს იყო 35,3%, 1967 წელს — 38,7%.

კაპიტალისტური სახელმწიფოს ხარჯების ხასიათს აპირობებს მისი ექსპლოატაციური ბუნება, მისი არამწარმოებლური გამოყენება. ვინაიდან სახელმწიფო ხარჯთა უდიდესი ნაწილი გამოყენებულია არა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, არა ახალი ნაციონალური შემოსავლის შესაქმნელად, არამედ პარაზიტული აპარატის შესანახად, გამანადგურებელი ომების საწარმოებლად. ამ ხარჯების დიდი ნაწილი მიდის ისეთი მომსახურების დასაფინანსებლად, რომლებიც ხელს არ უწყობს მატერიალურ წარმოებას, არ ზდის სახალხო სიმდიდრეს, ნაციონალურ შემოსავალს. ამ

[1] De Foville, La France économique. Paris, 1890 და წინა გვერდზე დასახელებული წყაროები.

შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს მატერიალური წარმოების ის დარგები, რომლებიც გასახელმწიფოებრივების გამო სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურ საკუთრებად იქცევა.

ნაციონალური შემოსავლის ის ნაწილს, რომელიც არამწარმოებლურად გამოიყენება, ზრდის მილიტარიზმი, გამალებული შეიარაღება, გამანადგურებელი დიდი ომებისათვის მზადება.

II. სახელმწიფო ხარჯთა შემადგენლობა

1. სამხედრო ხარჯები

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ხარჯების მთავარ ნაწილს შეადგენს სამხედრო ხარჯები. კაპიტალისტური წარმოება შინაგან წინააღმდეგობათა გაფართოებასთან ერთად აღრმავებს კაპიტალისტურ ურთიერთობებს სახელმწიფოს გარეშეც და ამით ამწვავებს სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტთა ჯგუფების ბრძოლას მსოფლიო ბაზრის სარბიელზე, რაც თავის მხრივ სახელმწიფოსაგან მოითხოვს სათანადო სამხედრო ძლიერებას, ჯარს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ომები წარმოადგენენ აუცილებლობას. ის დამახასიათებელია კლასობრივ-ანტაგონისტური საზოგადოებისათვის. ომი, ვ. ი. ლენინის აზრით, წარმოადგენს ამა თუ იმ კლასის პოლიტიკის გაგრძელებას შეიარაღებული გზით: „...ყოველგვარი ომი არის მხოლოდ გაგრძელება ძალდატანების საშუალებებით იმ პოლიტიკისა, რომელსაც მეომარი სახელმწიფოები და მათი გაბატონებული კლასები აწარმოებდნენ ომამდე მრავალი წლის განმავლობაში. . .“[1].

პოლიტიკაში გამოხატულია კლასების ეკონომიკური ინტერესები. პოლიტიკა ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა. გაბატონებული კლასის პოლიტიკა არის წამყვანი. გაბატონებული კლასი განსაზღვრავს პოლიტიკას ომშიც. ომის წარმოების მთავარ იარაღს წარმოადგენს არმია. სახელმწიფოები ქმნიან დიდ არმიებს. მათი შენახვა კი დიდ ხარჯებს მოითხოვს. ეს არმიები სახალხო მეურნეობას ართმევენ მწარმოებლური ასაკის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, წინათ შექმნილი სიმდიდრით და წარმოებაში დარჩენილ პირთა შრომით კვებავენ, მოსავენ და იარაღს უმზადებენ მათ. ენგელსი წერდა: „არმია სახელმწიფოს მთავარ მიზნად, მის თვითმიზნად იქცა; ხალხები მხოლოდ იმისთვისღა არსებობენ, რომ ჯარისკა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინადადება, თხზ., ტ. 22, 1951, გვ. 207.

ცები გამოიყვანონ და გამოჰკვებონ. მილიტარიზმი ბატონობს და ნთქავს ევროპას“ [1].

ვ. ი. ლენინმა გაარკვია კაპიტალისტურ სახელმწიფოთა არმიის კლასობრივი, ექსპლოატატორული ბუნება. მისი სიტყვებით: „...არმია არის ძველი წყობილების დაცვის ყველაზე გაქვავებული ინსტრუმენტი, ბურჟუაზიული დისციპლინის, კაპიტალის ბატონობის დაცვის, მონური მორჩილების შენარჩუნებისა და აღზრდის და კაპიტალისადმი მშრომელთა დამორჩილების ყველაზე მტკიცე საყრდენი“ [2].

არმიის შენახვა და ომები მოითხოვენ ძალზე დიდ ხარჯებს, განსაკუთრებით ძვირი ჯდება სამხედრო ტექნიკა და დიდი არმიების შენახვა. მაგრამ იმპერიალიზმის ეპოქამდე ეს ხარჯები მაინც ისე დიდი არ იყო. ასე მაგალითად, საფრანგეთ-პრუსიის 1870—71 წლების ომის ხარჯები ყველა ხარჯის 15% არ აღემატებოდა. სამხედრო ტექნიკაც შედარებით დაბალი იყო და ჯარის რაოდენობაც — შედარებით ნაკლები. 1812 წელს ნაპოლეონმა რუსეთის წინააღმდეგ დასძრა არმია 600 ათასი კაცის რაოდენობით. რუსეთის მთელი არმია იმ ხანად შეადგენდა 480 ათას კაცს, რომელთაგან ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართული იყო ამის ნახევარი.

საფრანგეთ-პრუსიის 1871 წლის ომის დროს ორივე მხარემ გამოიყვანა მილიონნახევარი ჯარისკაცი. პირველი მსოფლიო ომის დროს ომში ჩაბმულ იქნა დედამიწის მოსახლეობის ნახევარი და მეომარნა სახელმწიფოებმა თოფქვეშ დააყენეს 68 მილიონამდე ჯარისკაცი, მეორე მსოფლიო ომის დროს კი ომში ჩაბმულ იქნა მსოფლიო მოსახლეობის 92%, საომარი იარაღით აღჭურვეს 110 მილიონი ჯარისკაცი. ცხადია, ასეთი დიდი არმიები მაღალ სამხედრო ტექნიკასთან ერთად მოითხოვენ დიდძალ ხარჯებს, რაც ამა თუ იმ ქვეყნის ფულის ასეულ მილიარდ ერთეულებით გამოიხატება.

სამხედრო ძალები გამოიყენება საშინაო წესრიგისთვისაც. ამდენად, კაპიტალისტური სახელმწიფოები აძლიერებენ მოხელეებისა და პოლიციის ბატონობას ხალხზე. სამხედრო ძალები საჭიროა საგარეო საქმეებისათვის სხვა ხალხების გასაძარცვავადაც. ომებიდან დიდ სარგებლობას ღებულობს გაბატონებული კლასი. სამხედრო საჭურველის საწარმოთა დირექტორები და აქციონერები ხშირად

---

[1] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, 1933, გვ. 137.

[2] ვ. ი. ლენინი, პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი, თხზ.. ტ. 28, 1952, გვ. 346.

ადმირალები, სახელმწიფო მოღვაწეები არიან, რომლებიც დიდ სიმდიდრეს იხვეჭენ თავისთვის.

ექსპლოატაციის სფეროს გაფართოებისათვის, ნედლეულთა ბაზებისა და გასასაღებელი ბაზრების დატაცების, განაწილება-გადანაწილებისათვის ატეხილი ომების საწარმოებლად მშრომელმა მოსახლეობამ უნდა იშრომოს, გადაიხადოს გადასახადები, დაამზადოს იარაღი და შემდეგ საბრძოლველადაც გავიდეს.

რაც უფრო მწვავდება კაპიტალისტური წინააღმდეგობა, წინ მიიწევს სამხედრო ტექნიკა, მით უფრო ძვირი ჯდება ომები.

მაგრამ ეს ომები თავიანთ თავსაც ანადგურებენ. ისინი აჩქარებენ ფინანსურ კატასტროფას და ასწავლიან მასებს იარაღის ხმარებას. მაშასადამე, აჩქარებენ მომენტს, როდესაც მასა ამ იარაღს ომის გამჩაღებლებს შემოუბრუნებს.

თუ მე-19 საუკუნეში კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ხარჯები არ აღემატებოდა ნაციონალური შემოსაველის 8—14%, მეოცე საუკუნეში პირველი და მეორე მსოფლიო ომების პირობებში გადააჭარბა 60%-ს.

პირველი მსოფლიო ომი ამერიკელი ეკონომისტის გ. ფისკის გამოანგარიშებით მეომარ ქვეყნებს დაუჯდა ნომინალურ გამოხატულებაში 186 მილიარდი დოლარი, ანუ 80.7 მილიარდი დოლარი ოქროთი. ამ თანხის სამი მეოთხედი საკმარისი იყო მთელ მსოფლიოში არსებული ყველა რკინიგზის ხელახლა ასაგებად [1].

მეორე მსოფლიო ომი, არაზუსტი გაანგარიშებით, დაჯდა 925 მილიარდი დოლარი[2].

სამხედრო ხარჯები შედგება ომის მომზადების, ომის წარმოების ხარჯებისა და ომის შედეგებით გამოწვეული ფინანსური ტვირთისაგან. სამხედრო ხარჯები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ სამხედრო ხარჯებად. პირდაპირ სამხედრო ხარჯებად იწოდება შეიარაღებული ძალების ხარჯები, ყველა დანარჩენი — არაპირდაპირ სამხედრო ხარჯებად.

აშშ პირდაპირი სამხედრო ხარჯები შეადგენდა: 1937/38 წელს— 1,0 მილიარდ დოლარს, 1948/49 წელს — 12,9, 1953/54 წელს — 46, 5, 1969/70 წელს — 69,8.

ნაციონალურ შემოსავალთან შედარება კიდევ უფრო მეტად ააშკარავებს სამხედრო ხარჯების სიმძიმეს.

---

[1] Г. Фиск. Финансовое положение Европы и Америки после войны. М., 1926.

[2] А. М. Алексеев. Военные финансы капиталистических государств. 1952, стр. 60.

1937/38 წელს ის შეადგენდა 1,5%, 1947/48 წელს — 6,3%, და 1952/53 წელს — 21,0%[1].

ინგლისის პირდაპირი სამხედრო ხარჯები იყო: 1949 წ. 2 181 მილიონი გირ. სტერლინგი, 1952 წ. — 4 371 მილ. გ. სტერლინგი და 1957 წ. — 4 505 მილ. გ. სტ. ინგლისში შეიარაღებაზე იხარჯება მთელი ნაციონალური შემოსავლის 6,4%[2]; საფრანგეთისა (იმავე წლებში) — 1370, 3 580 და 4 269 მილიარდი ფრანკი.

ომების წარმოებაში ფინანსები ყოველთვის ასრულებდნენ და ასრულებენ მეტად მნიშვნელოვან როლს.

ომის მომზადებისა და ომის დაფინანსების ხარჯებს ზრდის შეიარაღებული ძალების გადიდება და თანამედროვე სამხედრო ტექნიკის სიძვირე. ამას ერთვის ფასების შეუჩერებელი ზრდა სამხედრო საჭურველზე.

ომის შედეგების დაფინანსების ხარჯები შედგება ომის დროს აღებული უზარმაზარი სესხების დაფარვისა და მისი სარგებლის გადახდის, ინვალიდების პენსიებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარებისაგან. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეხმარება ომის დროს დაზარალებულ საწარმოებს, აგრეთვე სოფლის მეურნეებს იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც მათ განიცადეს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ომის დროს სახელმწიფოს მიერ მტკიცე ფასების დაწესების გამო.

მმართველობის სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის შენახვის ხარჯები

აღსანიშნავია თვით სახელმწიფო მმართველობის აპარატისა და მის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხარჯები. ეს უკანასკნელი უაღრესად კლასობრივი ხასიათისაა, იგი გამოყენებულია კაპიტალისტთა კლასის ინტერესების დაცვისათვის. როგორც ცნობილია, არ არსებობს საერთო საზოგადოებრივი წესრიგი, რომელიც მისაღები იყოს ყველა დროისა და ყველა საზოგადოებრივი წყობისათვის. მონათმფლობელური საზოგადოებრივი წესრიგი განსხვავდება ფეოდალურისაგან. სხვა არის კაპიტალისტური საზოგადოების წესრიგი და სულ სხვა — სოციალისტური საზოგადოებისა.

კაპიტალისტური საზოგადოებრივი წესრიგი დამყარებულია კე-

---

[1] Экономика капиталистических стран, 1959, стр. 707. газ. «Правда» от 5 авг., 1955 г.; «Заря Востока» от 24/XII-69 года.

[2] Газ. «Правда» от 29 декабря 1970 г.

რძო საკუთრებაზე, კაპიტალისტურ მისაკუთრებაზე. რასაც მოემსახურება სხვადასხვა სახის ინსტიტუტები, როგორიცაა: სასამართლო, პოლიცია, მოსელეთა შტატი და ჯარი, რამდენადაც ეს უკანასკნელი გამოიყენება ხოლმე საჭირო შემთხვევაში საშინაო წესრიგის დასამყარებლადაც.

აუცილებელი ხდება კერძო საკუთრების უზრუნველყოფა სასამართლოთი, პოლიციითა და სხვ. ამასვე ეკუთვნის სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების შენახვა, მთავრობის ადმინისტრაციული ორგანოების ხარჯები და სხვ. ასეთი ხარჯები დიდია. მეორე მსოფლიო ომის წინ აშშ-ში ბიუროკრატიული მმართველობის აპარატის ხარჯი შეადგენდა ბიუჯეტის ხარჯთა 5,3%, ინგლისისა — 6,1%. მეორე მსოფლიო ომის წლებში ეს ხარჯები კიდევ უფრო გაიზარდა.

ბურჟუაზიული სასამართლო არის ბურჟუაზიული საკუთრების აუცილებელი გარანტია. მისი კანონმდებლობა მქონებელთა კლასის ინტერესებს იცავს. ამიტომ ბურჟუაზიული მართლმსაჯულების ხარჯები არსებითად კაპიტალისტური საკუთრების დაცვის ხარჯებია.

ვ. ი. ლენინის აზრით, ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მოსამართლეები დანიშნულია მთავრობის მიერ ან არჩეულია შეძლებული კლასების მიერ. ისინი არიან მოსამართლე-მოხელეები, რომლებიც უფრო მეტად იმაზე ზრუნავენ, რომ ქაღალდები ჰქონდეთ წესრიგში. ისინი მხოლოდ თავის ჯამაგირზე ფიქრობენ და იმაზე, რომ უფროსთა ყურადღება დაიმსახურონ მლიქვნელობით, საქმეს აჭიანურებენ და ვაჭრობენ, არ იცნობენ მოსახლეობის ყველა ფენის ზნეჩვეულებას.

სახელმწიფო ეწევა მართლმსაჯულების ხარჯებს, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეებს უსაფასუროდ აწარმოებს. რაც შეეხება სამოქალაქო მართლმსაჯულებას, იგი უსასყიდლო არ არის. ამაში სახელმწიფო გარკვეულ სასყიდელს ღებულობს ეგრეთ წოდებული სასამართლო მისაგებელის სახით.

სამოქალაქო სამართალი დამყარებულია წარმოებრივ საშუალებათა კერძო მისაკუთრებაზე, რაც მის მფლობელს შესაძლებლობას აძლევს მიისაკუთროს სხვისი შრომის ნაყოფი. მანქანებზე და ნედლეულზე საკუთრება კაპიტალისტს უფლებას ანიჭებს მოგების სახით მიისაკუთროს უსასყიდლოდ სხვისი შრომის პროდუქტი. მიწათმფლობელობა მიწის მესაკუთრეებს ანიჭებს უფლებას რენტის სახით მიისაკუთრონ სხვისი შრომის შედეგი.

საკუთრებას თან სდევს უამრავი კონფლიქტი და „სამოქალაქო მართლმსაჯულება თითქმის მხოლოდ საკუთრების კონფლიქტების

გარშემო ბრუნავს" (მარქსი). ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო მართლმსაჯულება მფლობელი კლასის ინტერესებიდან გამომდინარეობს. სამოქალაქო მართლმსაჯულების უსასყიდლო წარმოება ნიშნავს, რომ მესაკუთრეთა კლასი უსასყიდლოდ ღებულობს ამ მომსახურებას, სახელმწიფო თავის თავზე იღებს მის ხარჯებს და, მაშასადამე, გადასახადების სახით ამ ტვირთს აკისრებს მთელ ხალხს, ე. ი. გადასახადები უნდა იხადოს საკუთრებისაგან განთავისუფლებულმა კლასმა იმისათვის, რომ მესაკუთრეთა კლასმა უსასყიდლოდ მიიღოს მისი ინტერესების დამცველი მართლმსაჯულების მომსახურება.

კაპიტალისტური სახელმწიფო აპარატის ხარჯის ერთ ნაწილს შეადგენს ც ი ვ ი ლ უ რ ი ფ უ რ ც ე ლ ი. იგი განსაზღვრავს თანხას, რომელიც ეძლევა სახელმწიფოს მეთაურს პირადი სარგებლობისათვის და კარის შესანახად (კამერგერები, ლაქიები), ქველმოქმედებისა და წყალობის გასაწევად, ფულადი საჩუქრების, მოსაკითხებისა და სხვ. გასაცემად, ნადიმების მოსაწყობად. აქვე აღსანიშნავია საწარმომადგენლო დაწესებულებებისა და მინისტრთა კაბინეტების ხარჯები.

ამ ხარჯების სიდიდე დამოკიდებულია ეკონომიკურ-პოლიტიკური პირობებისაგან, სახელმწიფოს მმართველობის ფორმისაგან.

მეფეებს, პრეზიდენტებს და სხვ., გარდა სახელმწიფო ჯამაგირებისა, აქვთ აგრეთვე თავისი პირადი დიდი საკუთრება, შემოსავალი საუფლისწულო მამულებიდან, ტყეებიდან და სხვ.

დიდ ჯამაგირებს და სხვადასხვა სახის შემოსავალს ღებულობენ აგრეთვე სასახლესთან და სასახლის გარშემო მყოფი დიდებულები, სეფეწულები და წულები, დიდი მოხელეები, გენერლები, უფროსი ფინანსისტი მრჩეველები, მთავრობის უფროსი მრჩეველები, ობერ-პრეზიდენტები და მინისტრები, უფროსი მეტყეველები და სხვ. ეს დიდი ჯამაგირები დაკანონებული ექსპლოატაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მოგების, სარგებლისა და რენტის გვერდით.

ამ დიდი ჯამაგირების შესახებ მარქსი წერდა: „...საფრანგეთის ბურჟუაზიის მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ი ნ ტ ე რ ე ს ი სწორედ ამ ფართო და მრავალშტოიანი სახელმწიფო მექანიზმის დაცვასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. აქ ათავსებს ის თავის გარდამეტ მოსახლეობას და სახელმწიფო ჯამაგირის ფორმით შეავსებს იმას, რის ჩაჯიბვაც მოგების, სარგებლის, რენტისა და ჰონორარის ფორმით არ შეუძლია".[1]

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, თერამეტი ბრიუმერი..., 1963, გვ. 312.

მარქსს მრავალი მაგალითი აქვს მოტანილი იმისა, თუ ეს თანამდებობის პირები როგორ ძარცვავენ ხაზინას, როგორ აწყობენ სხვადასხვა თანამდებობაზე თავიანთ მეგობრებს და როგორ მდიდრდებიან.

ბურჟუაზიული საზოგადოების გასვლა სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ დაკავშირებულია დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობის ხარჯებთან, რომლებიც არც ისე მცირეა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

ნედლეულის ბაზებისა და გასასაღებელი ბაზრების დაპყრობა-დატაცება, განაწილება-გადანაწილება, მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, მსოფლიო ბაზრებზე გამსვლელ კაპიტალისტთა და სხვ. ქონებისა და სიცოცხლის დაცვა და სხვ. იწვევენ დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის აუცილებლობას. ამავე კატეგორიას შესაძლებელია მივაკუთვნოთ რელიგიის ხარჯები.

კაპიტალისტური სახელმწიფოები ეწევიან აგრეთვე რელიგიის ხარჯებსაც. მასების დასამონებლად ბურჟუაზიული სახელმწიფო პოლიციასა და საპატიმროებთან, თოფის წამალსა და ტყვიასთან ერთად იყენებს აგრეთვე მშვიდობიან საშუალებებსაც. ამ უკანასკნელთა შორის ეკლესია პირველთაგანია. იგი სახელმწიფოს სჭირდება იმისათვის, რომ მშიერ-მწყურვალთა მასები მოთმინებას დააჩვიოს, უფრო თვინიერი და დამყოლი გახადოს და გაუადვილოს ამქვეყნიური სიღარიბისა და დაბეჩავების ატანა „იმქვეყნიური", „სამარადისო" და „ნეტარი" ცხოვრების დაპირებით. იმისათვის, რომ ბურჟუაზიამ თავის ამქვეყნიური „სამოთხე" მიიღოს მილიონიანი მასების კაპიტალისტური ჯოჯოხეთის ორომტრიალში გადატყორცნით, იგი ამ უკანასკნელთ ეკლესიის ენით ჰპირდება სიკვდილის შემდეგ „სამოთხეს". მოთმინების ქადაგებით იმის შესახებ, რომ ეს ქვეყანა წუთიერია, რომ საუკუნო ცხოვრება ადამიანს სიკვდილის შემდეგ ეწყება და ვინც დასთმობს ამქვეყნიური ცხოვრების სიამოვნებას, მას სიკვდილის შემდეგ სამოთხე ელის; ბურჟუაზია ცდილობს მასების გონება დააჩლუნგოს, მათი გულისწყრომა გაჭირვებული ცხოვრების გამო ჩაკლას ან შეანელოს, ამქვეყნიური „სამოთხის" ფოთხოვნაზე ხელი ააღებინოს და მით თავისი ბატონობა გაახანგრძლივოს. ამდენად. რელიგია ბურჟუაზიისათვის საშუალებაა რევოლუციური მოძრაობის შესანელებლად. ბურჟუაზიული სახელმწიფო მას მფარველობს და ფინანსურად ეხმარება. ლენინი კი მოითხოვდა, რომ არცერთნაირი სარწმუნოების ხარჯი არ უნდა ეკის-

რებოდეს სახელმწიფოს. ეკლესიის ხარჯი თვით მორწმუნეებმა უნდა გაიღონ.

8. ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის ხარჯები

მარქსი აღნიშნავს, რომ ყოველი ფულის ან საქონლის მფლობელი კაპიტალისტი არ არის. იგი რომ კაპიტალისტად იქცეს, ამისათვის საჭიროა მას ჰქონდეს ღირებულებათა მინიმუმი, რომლის შემდეგ ფულის ან საქონლის მფლობელი კაპიტალისტად იქცევა. ეს მინიმუმი ცვალებადია კაპიტალისტური წარმოების სხვადასხვა საფეხურზე და წარმოების სხვადასხვა დარგში მოცემულ საფეხურზე ტექნიკური პირობების მიხედვით. წარმოების ზოგიერთი დარგი მოითხოვს კაპიტალის მინიმუმს, რაც ცალკე პიროვნებას ჯერ კიდევ არა აქვს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო სუბსიდიებით ეხმარება კერძო პირებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, საფრანგეთში კ ო ლ ბ ე რ ი ს დროს, გერმანულ ზოგიერთ სახელმწიფოებში მე-19 საუკუნეში. მეორე მხრივ, არსდებოდა საზოგადოებანი, რომელთაც კანონით ენიჭებოდათ მონოპოლიური უფლება მრეწველობის და ვაჭრობის განსაზღვრულ დარგში და რომელნიც თანამედროვე სააქციო საზოგადოების წინაალმდეგნი გახდნენ.

კაპიტალისტთა კლასის უშუალო დაფინანსებით და მთელი რიგი ხელოვნური საშუალებებით სახელმწიფო ხელს უწყობდა კაპიტალის პირვანდელ დაგროვებას. კაპიტალისტთა კლასის უშუალო დაფინანსება პირდაპირი და არაპირდაპირი გზით წარმოებდა არა მარტო პირვანდელი დაგროვების დროს, არამედ მის შემდეგაც და ხდება დღესაც.

სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური მონოპოლიების ჩანასახებს ჩვენ ვხედავთ ჯერ კიდევ აბსოლუტისტური. ნახევრად ფეოდალური სახელმწიფოების პირობებში, რასაც საფუძველი ჩაეყარა ამ სახელმწიფოების კავშირით ვაჭარ ბურჟუაზიასთან და კოლონიურ კომპანიებთან. მოღონიერებულმა ბურჟუაზიამ შემდგომში მოიცილა თავიდან აბსოლუტისტური სახელმწიფო და თვითონ დაეპატრონა პოლიტიკურ ხელისუფლებას. ამგვარად თავის განკარგულებაში დაიტოვა ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც აბსოლუტისტური სახელმწიფო ითვისებდა ფეოდალური საზოგადოების პრიკილეგირებული კლასების გასამდიდრებლად. სანამ ბურჟუაზია პოლიტიკურ ძალაუფლებას არ იყო დაპატრონებული, მანამ ის ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში არ უნდა ერეოდეს, მაგრამ

ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ მან სახელმწიფოს დააკისრა ეკონომიკური ფუნქციებიც.

კაპიტალიზმის კლასიკურ პერიოდში თავისუფალი კონკურენციის არსებობის პირობებში არ იყო აუცილებელი სახელმწიფო აქტიურად ჩარეულიყო ეკონომიკაში, მაგრამ კაპიტალის ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის მაღალ საფეხურზე იქმნება აუცილებლობა სახელმწიფო უშუალოდ ჩაერიოს ფასწარმოქმნის პროცესებში. მონოპოლიების ეკონომიკური გაბატონება აუცილებლობით მიდის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმამდე. ამის შემდეგ კაპიტალისტური სახელმწიფო იწყებს აქტიურ ზემოქმედებას წარმოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემაზე, თანდათანობით სახელმწიფო სულ უფრო მეტად ხდება იძულებული პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩაერიოს ეკონომიკაში, მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინააღმდეგობრიობის გამო ის ეკონომიკაში მთლიანად ვერ გაითქვიფება. დასაქმების ტემპები სახელმწიფო აპარატში უფრო მეტად იზრდება, ვიდრე მთელ სახალხო მეურნეობაში.

თანამედროვე სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი ცდილობს მთელი სამეურნეო სისტემის რეგულირებას, აღწარმოების წინააღმდეგობები იწვევენ ეკონომიკის გასახელმწიფოებრივობას.

საბაზრო მექანიზმი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოს ყველა მოთხოვნილებას. საბაზრო მექანიზმი უკმარი ხდება იმისათვის, რომ სწრაფად ხდებოდეს კაპიტალების გადასვლა ერთი დარგიდან მეორეში. ამასთანავე კერძო საკუთრება შემაფერხებელი ხდება კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის. მას ზოგიერთ დარგში ცვლიან სახელმწიფოებრივი ან მუნიციპალური საკუთრებით. სახელმწიფოებრივ სექტორს ზრდის აგრეთვე მილიტარიზმი, რასაც იწვევს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლა მსოფლიოს გადასანაწილებლად, მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად. მონოპოლიები იყენებენ ეკონომიკის მილიტარიზაციას, ეწევიან გამალებულ შეიარაღებას. იარაღის ერთადერთი შემსყიდველი არის სახელმწიფო, რომელიც გარანტირებულ ბაზარს წარმოადგენს მონოპოლიებისათვის. სამხედრო წარმოება ყველაზე მომგებიან დარგად იქცევა. მასთან მას არ ემუქრება ციკლური რყევადობა და კრიზისები. მილიტარიზმი თავის მხრივ ხელს უწყობს მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაქცევას.

კაპიტალისტური სახელმწიფოები ნაციონალური შემოსავლის

დიდ ნაწილს ამოიღებენ ბიუჯეტისათვის. ასე მაგალითად, 1963 წელს აშშ სახელმწიფო ხარჯების წილი ნაციონალურ შემოსავალში შეადგენდა 35,2%, ინგლისში — 29,6%, საფრანგეთში — 25,9%, გფრ-ში — 42,5%, იაპონიაში — 24,5%, იტალიაში — 35,6%[1].

ამ სახსრებით ისინი ქმნიან დიდ სახელმწიფოებრივ ბაზარს, გავლენას ახდენენ ფულის მიმოქცევაზე, საბანკო კრედიტზე და სხვ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში დღესდღეობით არსებობს ეკონომიკის გასახელმწიფოებრივებული სექტორი. დასავლეთ ევროპის უმრავლეს ქვეყნებში სახელმწიფოს ხელშია რკინიგზის ტრანსპორტი, საჰაერო ტრანსპორტის დიდი ნაწილი, ავტომობილისა და ავიაციის მრეწველობა, ნავთობის, ქვანახშირის ამოღება, ელექტროენერგია, გაზი, მნიშვნელოვანი ქიმიური საწარმოები და სხვ.

საწარმოთა გასახელმწიფოებრივობის ზრდა იწვევს სახელმწიფო საწარმოთა ექსპლოატაციის ხარჯების გადიდებას. მაგრამ ეს საწარმონი სახელმწიფოს შემოსავალსაც აძლევენ. ამიტომ სახელმწიფო საწარმოთა ექსპლოატაციის ხარჯები ორგვარია. სახელმწიფო საწარმოთა ხარჯები, რომლებიც თავიანთ თავს ანაზღაურებენ ან წმინდა შემოსავალსაც იძლევიან, აისახება ბრუტო-ბიუჯეტში და არ ეკუთვნის სახელმწიფო ხარჯებს ვიწრო აზრით. ერთი შეხედვით ეს ხარჯები თითქოს ნამდვილ ხარჯებს არ წამოადგენენ იმ მოსაზრებით, რომ სახელმწიფო მათ უკანვე იბრუნებს. მაგრამ ეს სწორი არ არის. სახელმწიფო საწარმოთა ექსპლოატაციის ამ ხარჯებს თავისი დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. მართალია, სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი ანაზღაურებს ხარჯებს, მაგრამ ამ ხარჯების გაწევას და მის ამა თუ იმ ზომით გაღებას თავისთავად მაინც მნიშვნელობა აქვს კლასობრივი ინტერესის თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი განსხვავდება იმ მდგომარეობისაგან, როდესაც სახელმწიფო ამ ხარჯებს სრულიად არ ეწევა. რამდენადაც მოსახლეობის ფართო მასის ხარჯზე წარმოებს ამ შემოსავლის მიღება, რომელთა ინტერესებიდან არ გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ ამ საწარმოთა გასახელმწიფოებრივობა და მათი დაფინანსება, ამდენად ეს ხარჯებიც მოჩვენებითი კოლექტიურობის გამოხატულებას წარმოადგენენ.

მეორე შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი ვერ ფარავს ხარჯებს და, მაშასადამე, იგი დაიფარება შემოსავალთა სხვა წყაროების ანგარიშით. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო შეგნე-

---

[1] А. Г. Милейковский, Современный государственно-монополистический капитализм, Новое время, № 43, 23 июня 1970 г.

ბულად ამცირებს შემოსავალს კაპიტალისტთა კლასის ერთობლივი ინტერესის, სამხედრო სტრატეგიული ან უშუალო ეკონომიკური თვალსაზრისით.

საქონლის წარმოება მოითხოვს ბაზრებზე გასვლას და მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებათა გაადვილებას, ვინაიდან საქონელი დასრულებულად ითვლება მას შემდეგ, რაც იგი ბაზარზეა გატანილი. ამიტომ კაპიტალისტური სახელმწიფო, როგორც ბურჟუაზიული კლასის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია, ხელს უწყობს მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებათა გაადვილებას, მსოფლიო ბაზრებზე გასვლას. ამ მიზნით სახელმწიფო აგებს რკინიგზებს, ზღვისა და მდინარის ნავსადგურებს, ხელს უწყობს საფოსტო-სატელეგრაფო ურთიერთობის გაშლას, შარაგზების გაყვანას, ხიდების აგებას, ქუჩების გაყვანას, მდინარეებისა და ნაკადულების რაბვასა და მოწესრიგებას.

სახელმწიფო ამ სახის სამუშაოებს ატარებს საკუთარი ბიუჯეტის ხარჯით. ასეთივე სახის სამუშაოებს ასრულებენ ადგილობრივი ორგანოები და კერძო პირებიც. უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფო მათ ეხმარება და სუბსიდიებით ახალისებს კერძო საქმიანობას.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებში იზრდება ეკონომიკის დაფინანსების ხარჯები. აშშ კაპიტალურ დაბანდებათა 30%-ზე მეტი წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის, სახელმწიფო ფონდებისა და სახელმწიფო საწარმოთა სახსრებით.

„მრეწველობის თავდაპირველი კაპიტალი, — წერს მარქსი, — აქ ნაწილობრივ პირდაპირ სახელმწიფო ხაზინიდან მოედინება. რა საჭიროა,—ამბობს მარქსი. — ასე შორს ვეძიოთ საქსონიის მანუფაქტურის აყვავების მიზეზი შვიდწლიანი ომის წინ? ეს მიზეზი 180 მილიონი სახელმწიფო ვალია“.[1]

კაპიტალისტთა კლასი ხშირად თავის კერძო ხასიათის ხარჯებს სახელმწიფო ხაზინიდან ინაღდებს და მინისტრებიც ძალიან ხშირად ამა თუ იმ სააქციო საზოგადოებათა წევრები არიან. აი რას წერდა ამის შესახებ მარქსი: „როგორც სახელმწიფო ხარჯებისა საზოგადოდ და სახელმწიფო სესხების ექსპლოატაციას, ასევე რკინიგზების მშენებლობის ექსპლოატაციას ეწოდა გაბატონებული კლასი. ხარჯების მთავარ ტვირთს პალატები აკისრებდნენ სახელმწიფოს, ხოლო სპეკულაციის მწარმოებელი ფინანსური არისტოკრატიისათვის უზრუნველყოფდნენ ოქროს ნაყოფს. მოიგონეთ სკანდალი დეპუტატთა პალატაში, როდესაც შემთხვევით გამოაშკარავდა, რომ უმრავ-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. 1. 1954. გვ. 949.

ლესობის ყველა დეპუტატი, ზოგიერთი მინისტრის ჩათვლით დაინტერესებულნი იყვნენ, როგორც აქციონერები, იმავე რკინიგზების მშენებლობაში, რომლებიც მათ შემდგომ, როგორც კანონმდებლებმა სახელმწიფო ხარჯზე გააკეთებინეს".[1]

კაპიტალისტთა და მემამულეების დაფინანსებისა და მათი აქციანობისათვის ხელისშეწყობის მიზნით სახელმწიფო ეწევა ხარჯებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

სოფლის მეურნეობის დარგში სახელმწიფო მიმართავს წახალისებას, ნიშნავს სუბსიდიებს და პრემიებს პირუტყვისა და მცენარეების გადამდებ ავადმყოფობათაგან დაცვისათვის. საცდელი სადგურების მოწყობისა, ჰიდროავლიკურ ნაგებობათა, სხვადასხვა მელიორაციულ ღონისძიებათა, ჰავისა და სახელმწიფო ტყეების დაცვისა და კერძო ტყეების რეგლამენტაციისათვის.

ვაჭრობის დარგში სახელმწიფო ხარჯებს ეწევა თითოეული ქვეყნის პროდუქტების დაწვრილებით გასაცნობად. აღსანიშნავია კონსულებზე გაწეული ხარჯები, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ერთგვარად სავაჭრო მზვერავებს წარმოადგენენ, აგრეთვე ხარჯები სავაჭრო ცნობათა კანტორებისათვის და სხვ.

სახელმწიფო მრეწველობის დარგში ექსპორტიორ კერძო კაპიტალისტურ ფირმებს ათავისუფლებს გადასახადებისაგან, უკან უბრუნებს გადასახადებს, ანიჭებს სპეციალურ შეღავათებს, უნიშნავს საექსპორტო პრემიებს, ზარალიან საწარმოებს აძლევს დოტაციებს, ეხმარება საქონელთა გაზიდვაში, ამაგრებს მათ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე, აწარმოებს ზომა-წონის შემოწმებას, აქვეყნებს პატენტების სიას და სხვ.

სახელმწიფო კერძო კაპიტალისტურ გაერთიანებებს ეხმარება აგრეთვე შემდეგნაირად: კერძო საწარმოთა გაკოტრებისაგან გადარჩენის მიზნით ბაზარზე ყიდულობს მათ გაუფასურებულ აქციებს. არსებობს დახმარების სხვა ფორმებიც. სახელმწიფო თავის შემოსავლიან საწარმოებს აერთიანებს ზარალიან კერძო საწარმოებთან; ზოგიერთ საწარმოს დეფიციტის დასაფარავად პირდაპირ აძლევს ბიუჯეტიდან ფულად სახსრებს.

არის კერძო საწარმოებისათვის დახმარების არაპირდაპირი გზები: სახელმწიფო შემოიღებს მფარველობით ბაჟებს, შეისყიდის კერძო საწარმოთა „ნაჭარბ" საქონელს ამ უკანასკნელზე ფასების აწევის მიზნით. სახელმწიფო ყიდულობს „ნაჭარბ" სასოფლო-სამეურნეო

---

1 კ. მარქსი, კლასთა ბრძოლა საფრანგეთში (კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950, გვ. 139—140).

საქონელს, ან კიდევ აწესებს კონტროლს ფასებზე შემდეგნაირად. აწარმოებს მოლაპარაკებას კაპიტალისტებთან, რომ მათ არ გაზარდონ ფასები. სამაგიეროდ ამ განსხვავებას უხდის ბიუჯეტიდან. მუშების მდგომარეობა სრულიადაც არ უმჯობესდება საქონლის არგაძვირებით. ვინაიდან ფულადი საშუალებები, რომლებითაც წარმოებს ფასების იმავე დონეზე შენარჩუნების ეს დაფინანსება, გადახდებათ ნუშებს გადასახადების სახით.

4. სახელმწიფო კრედიტის სისტემის ხარჯები

კაპიტალისტურ სახელმწიფოს დიდი ხარჯი აქვს ვალებისა და მისი სარგებლის გადასახდელად. რაც უფრო იზრდება სახელმწიფოს დავალიანება სამხედრო და სხვა მსგავსი ხარჯების გადიდებასთან დაკავშირებით, მით უფრო იზრდება ამ კატეგორიის ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტებში.

მეორე მსოფლიო ომამდე სახელმწიფო ვალის ხარჯები ნთქავდნენ ყოველწლიური სახელმწიფო ხარჯების 20%-ზე მეტს. მეორე მსოფლიო ომის შედეგად ამ კატეგორიის ხარჯები არაჩვეულებრივად გაიზარდა. აშშ 1955/56 წლებში სახელმწიფო სესხის სარგებელი ბიუჯეტიდან გაიღებოდა 6,9 მილიარდი დოლარი, 1962/63 წელს — 9,4 მილიარდი დოლარი. ინგლისში 1955/56 წელს სახელმწიფო ვალის ხარჯი შეადგენდა 725 მილიონ გირვ. სტერლინგს, 1962/63 წელს — 1 მილიარდ გირ. სტერლინგზე მეტს, საფრანგეთში 1963 წელს — 5 მილიარდ ფრანკზე მეტს.

ამ კატეგორიის ხარჯების ზრდით უშუალოდ ფინანსური არისტოკრატიაა დაინტერესებული, ის ძარცვავს მშრომელთა საზოგადოებას.

კაპიტალიზმის პირობებში მძარცველობის საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე საბირჟო ორგანიზაციები, ფასიანი ქაღალდების კურსის რყევა, რასაც ხელოვნურად იწვევენ ბირჟის სპეკულანტები. ბანკირები და მათი დამქაშები. ისინი ამას ადვილად ახერხებენ, რადგან კავშირი აქვთ მთავრობასთან და კარგად იციან სახელმწიფოს ყოველგვარი საიდუმლოება. „სახელმწიფოს გაქურდვა, — წერდა მარქსი, — როგორც ეს მსხვილი მასშტაბით ხდებოდა, სესხის აღებისას წვრილი მასშტაბით მეორდებოდა სახელმწიფო იჯარის გაცემა-შესრულებისას“ [1].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კლასთა ბრძოლა საფრანგეთში (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950. გვ. 140.).

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები

ა) განათლების ხარჯები

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებში, სხვა ხარჯებთან შედარებით, აღზრდა-განათლების ხარჯებს მცირე ადგილი უჭირავს. ეს ხარჯები, ერთი შეხედვით, თითქოს კოლექტიურია, არსებითად კი მხოლოდ კაპიტალის ინტერესებს ემსახურება.

განათლებისთვის, მართალია, ხარჯებს ეწევა ბურჟუაზიული სახელმწიფო, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კაპიტალისტური ურთიერთობა კვალიფიციურ მუშაძალას მოითხოვს. იქ, სადაც ეს საჭირო არ არის, მან კვალიფიკაცია დააქვეითა კიდევაც. საერთოდ კაპიტალისტურ წარმოებას წინა საზოგადოებრივ ფორმაციასთან შედარებით უფრო მაღალი, კულტურული და კვალიფიციური მუშაძალა ესაჭიროება.

ამასვე მოითხოვს რთული სამხედრო ტექნიკა. მილიტარიზმმა აიძულა კაპიტალისტური სახელმწიფოები საყოველთაო სავალდებულო სამსახური შემოეღოთ, რათა ყველას სცოდნოდა იარაღის სმარება. ელემენტარული განათლება ამ საქმისთვისაც საჭიროა.

სკოლებმა სამსახური უნდა გაუწიონ ბურჟუაზიას აგრეთვე იმ მხრივ, რომ ახალგაზრდობას მისცენ ბურჟუაზიული აღზრდა, ჩაუნერგონ მათ იმის რწმენა, რომ კაპიტალისტური წყობილება უმაღლესი ფორმაა საზოგადოებრივი თანაარსებობისა და შეუცვლელად იარსებებს.

სკოლები სამსახურს უწევენ რელიგიასაც. ისინი ეკლესიებთან ერთად რელიგიის პროპაგანდის საშუალებებს წარმოადგენენ. ბურჟუაზიული სახელმწიფო ამ ხარჯებს ეწევა მისი კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

სავალდებულო სწავლა-განათლებას უმეტეს შემთხვევაში ფიქტიური ხასიათი აქვს. კაპიტალიზმის პირობებში ხელფასი იმდენად მცირეა, რომ მუშას არ შეუძლია ბავშვების სწავლის დასრულებამდე მატერიალურად უზრუნველყოს ისინი. მუშები იძულებული არიან შვილები ქარხნებში ამუშაონ.

ზოგიერთი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში არსებული უსაფასურო სწავლება უშუალოდ მაღალი კლასის ინტერესებს ემსახურება. ამ უსასყიდლო სწავლებას მუშათა კლასის შვილები ვერ იღებენ. მუშათა შვილებისათვის რომ საუნივერსიტეტო სწავლება მისაწვდომი გახდეს, საჭიროა არა მარტო უსაფასურო სწავლების შემოღება, არამედ აგრეთვე მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფაც, რასაც კაპიტალიზმის პირობებში ადგილი არ აქვს. მშრომე-

ლი ახალგაზრდობის მშობლებს არასაკმარისი ხელფასის გამო შეუძლებლობა არა აქვთ მვილები მატერიალურად უზრუნველყონ 8—10 წლის ასაკამდე, მით უმეტეს — უნივერსიტეტის დამთავრებამდე. ამიტომ ეს ვითომ უსაფასურო სწავლება მუშათა კლასისათვის გამოუსადეგარია, რადგან ამ უსაფასურო მომსახურებას ის ვერ ღებულობს. სასწავლო ხარჯების ბიუჯეტზე დაკისრების გამო ხდება მუშების საგადასახადო ტვირთის გადიდება. უსაფასურო სწავლა ამ შემთხვევაში იმას ნიშნავს, რომ ამ მომსახურების მიმღები, ე. ი. მაღალი კლასი, მას უსაფასუროდ ღებულობს და განათლების ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტს აკისრებს. ხარჯების გადიდების გამო სახელმწიფო ზრდის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს — გადასახადებს. მაშასადამე, სახელმწიფო გადასახადებს ახდევინებს მუშებს ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ასე ახორციელებს კოლექტიურ ინტერესს ბურჟუაზიული სახელმწიფო. „თუ ამერიკის ზოგიერთ შტატში, — წერდა მარქსი, — უფრო მაღალ სასწავლებლებში სწავლებაც აგრეთვე „უფასოა", ფაქტიურად ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ უმაღლესი კლასები თავიანთი აღზრდა-განათლების ხარჯებს საერთო საგადასახადო ქისიდან ჰფარავენ".[1]

მსხვილი მრეწველობა მანქანების საშუალებით იწვევს მუშის ფუნქციებისა და შრომის პროცესების ცვლილებას, ცვლის შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით და ამიტომ მუშათა მასები წარმოების ერთი დარგიდან მეორეში გადაჰყავს, მუშას აქცევს „ნაწილობრივი მანქანის ცნობიერ დამატებად". იგი სპობს მუშის უზრუნველყოფის სიმტკიცეს და ხელიდან აცლის საარსებო საშუალებებს, ქმნის სამრეწველო სათადარიგო ჯარს, რომელიც კაპიტალის განკარგულებაშია „ცვალებადი საექსპლოატაციო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად"[2]. ყოველივე ეს, მეორე მხრივ, თვით მსხვილი მრეწველობისათვის ხდება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად.

მსხვილი მრეწველობის საფუძველზე განვითარდა პროფესიული, პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სკოლები. აქ მუშათა ბავშვები მცირედ ეცნობიან სხვადასხვა საწარმოო ინსტრუმენტების პრაქტიკულ გამოყენებას.

ვ. ი. ლენინს დაწვრილებით აქვს გარჩეული მეფის რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკა. მას 1913 წლის ბიუჯეტური განწერის განმარტებითი ბარათიდან მოტანილი აქვს ცნობა, რომლის თანახმად ექვსი წლის განმავლობაში განათლების ხარ-

---

[1] კ. მარქსი, გოთას პროგრამის კრიტიკა, 1953, გვ. 32—33.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 432.

ჯები გადიდებულია თითქმის სამჯერ. ლენინი აღნიშნავს, რომ, იმასთან შედარებით, რაც საჭიროა, ეს არის წვეთი ზღვაში. საილუსტრაციოდ მოტანილი აქვს ასეთი მაგალითი: მათხოვარს, რომელსაც სამი კაპიკი აქვს, 5 კაპიკს თუ აჩუქებთ, მისი ქონება ერთბაშად 167% გაიზრდება. მიუხედავად ზრდის ასეთი დიდი პროცენტისა მისი ქონება მაინც ძალზე მინიმალური იქნება.

ლენინს მთავრობის ოფიციალური ცნობების მიხედვით ნაჩვენები აქვს, რომ 1904 წელს რუსეთში ათას სულზე მოდიოდა ყველა სახის მოსწავლე 44,3, ხოლო 1908 წელს — 46,7. ეს არის მთელი ზრდა. სასკოლო ასაკის ბავშვები რუსეთში იყო 22%. ხოლო მოსწავლეები შეადგენდნენ 4,7%, ე. ი. თითქმის ხუთჯერ ნაკლებს, სხვანაირად, ბავშვთა ოთხი მეხუთედი უსწავლელი რჩებოდა.

მეფის რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს ლენინი უწოდებდა სახალხო დაბნელების სამინისტროს, რომლის ნებასა რუსეთში 1913 წლისათვის ითვალისწინებდა 436.7 მილიონ მანეთს, რაც ერთ მცხოვრებზე შეადგენდა 80 კაპიკს. ლენინს შედარებული აქვს რუსეთის განათლების ხარჯები ბელგიის, ინგლისის, გერმანიის სახალხო განათლების ხარჯებთან, საიდანაც ირკვევა, რომ იქ ერთ მცხოვრებზე ხარჯი შეადგენდა ორ-სამ და სამნახევარ მანეთსაც კი.

ლენინი წერდა, რომ რუსეთზე ამბობენ, ღარიბიაო, მაგრამ ეს ღარიბი რუსეთი მდიდრულად ხარჯავს ფულს პოლიციის, ჯარის შესანახად, მემამულეთა ჯამაგირებისა და ავანტიურული პოლიტიკისათვის. ის ღარიბია, როცა საკითხი ეხება ხალხის განათლებას, მასწავლებელთა ჯამაგირებსო.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში განათლების ხარჯების ხვედრითი წონა სხვა ხარჯებთან შედარებით ძალზე მცირეა. ომებისა და კრიზისების დროს მას კიდევ უფრო ამცირებენ.

ინგლისში მეორე მსოფლიო ომამდე ყველა სკოლის ხარჯი შეადგენდა ყველა ხარჯის 5.3%, ომის შემდეგ. 1954/55 წლებში—7.4%. ამავე წლებში შეერთებულ შტატებში ამ მიზნისათვის გაწეული ხარჯი შეადგენდა ფედერალური ბიუჯეტის ხარჯთა ნახევარ პროცენტზე მეტს.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში მომხდარი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია რამდენადმე ცვლის ამ მდგომარეობას. დიდმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა ფიზიკა-მათემატიკურ, ქიმიის, კიბერნეტიკის, ტექნიკურ, ბიოლოგიურ და სხვა მეცნიერებებში მეცნიერება საზოგადოების მწარმოებლურ ძალად გადააქცია. ავტომატიზაციამ და კიბერნეტიზაციამ მკვეთრად გაზარდეს შრომის მწარმოებლურობა. ამ ნიადაგზე მოხ-

და ის, რომ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა წილი შემცირდა, ხოლო არამატერიალური წარმოების სფეროში გაიზარდა.

რთული ტექნიკა რომ განავითარო და აითვისო, საჭიროა უმაღლესი ან სპეციალური საშუალო განათლება მაინც. ამ ნიადაგზე მოხდა ცვლილება. ასე მაგალითად, აშშ კოლეჯებში 1907 წელს სწავლობდა 16—21 წ. ახალგაზრდების 4%, 1939 წელს — 14%. ხოლო 1965 წელს — 43,9%. ყოველივე ეს გამოწვეულია აუცილებლობით, რაც გარკვეული ზომით იწვევს განათლების ხარჯების ზრდას.

ბ) ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები

ბურჟუაზიული სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებსაც ეწევა ბურჟუაზიული კლასის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ თუ ამ ხარჯებს ობიექტურად სარგებლობა მოაქვს სახალხო ჯანმრთელობისათვისაც, ეს გამოწვეულია კაპიტალისტურ ურთიერთობათა წინააღმდეგობრივი ხასიათით და არა კაპიტალისტური სახელმწიფოს კეთილი ზრახვებით. გადამდები ავადმყოფობები, რომლებიც მდიდართა კვარტალებშიაც იჭრება და „კეთილშობილთაც“ არ ზოგავს, აიძულებს ბურჟუაზიას მუშათა ჯანმრთელობაზედაც იზრუნოს.

ბურჟუაზიულ ქალაქებში მუშებისათვის მიგდებულია ყველაზე ცუდი უბნები. აქ ყველაზე იაფად შეიძლება ცხოვრება. მოსახლეობა ძალზე შემჭიდროებულია; წყალს ცოტას აწვდიან, სადინარი მილები უვარგისია: ბინძური, ვიწრო და ბნელი ქუჩების გამო სინათლე და ჰაერიც ნაკლები აქვთ. მათი ბინები უმზეო, ნესტიანი, უვენტილაციო ჯურღმულებია. ამას იწვევს წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია, საერთო კაპიტალისტური სიმდიდრის ზრდა და მასთან დაკავშირებული ქალაქის ზოგიერთი ნაწილის შედარებით კეთილმოწყობა, ქუჩების გაფართოება, რკინიგზების გაყვანა, სასახლეების, უნივერსალური მაღაზიების აგება და სხვ.

ბურჟუაზიულ ქალაქებში მუშებისათვის შექმნილი ცუდი საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები და ცუდი უბნები იქცევა ყოველნაირ გადამდებ სნეულებათა გაჩენისა და გავრცელების კერად. ავადმყოფობა ღარიბთა უბნებიდან ხშირად ვრცელდება ქალაქის არისტოკრატიულ უბნებშიც. ამის შესახებ ენგელსი წერდა: „ცუდი უბნები“, სადაც შექუჩებული არიან მუშები, ყველა იმ გადამდები სენის კერებს ჰქმნიან, რომელიც დროგამოშვებით ესტუმრება ხოლ-

ვე ჩვენს ქალაქებს. ხოლერა, ტიფი და ტიფოზური ხურვება, ყვავილი და სხვა გამანადგურებელი ავადმყოფობანი ავრცელებენ თავიანთ ბაქტერიებს მუშათა ამ უბნების მოწამლულ ჰაერსა და წყალში; ამ უბნებში ეს დაავადება არასოდეს არ ისპობა, არამედ ხელსაყრელ პირობებში მოარულ სენად ვითარდება, და სცილდება რა თავის კერათა ფარგლებს, ვრცელდება შემდეგ აგრეთვე ქალაქის უფრო სუფთაჰაერიან, უფრო ჯანსაღ ნაწილებში, სადაც ბატონი კაპიტალისტები ცხოვრობენ. კაპიტალისტების გაბატონებულ კლასს არ შეუძლია დაუსჯელად ისიამოვნოს იმით, რომ მუშათა კლასში ეპიდემიური დაავადებანი გავრცელდეს; შედეგები თვით კაპიტალისტებსაც უწევს და სიკვდილის ცელი ისევე დაუნდობლად ავლებს ბუსრს თავის მსხვერპლს კაპიტალისტებს შორის როგორც მუშებს შორისაც".[1]

გადამდები ავადმყოფობები აიძულებდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს „კაცთმოყვარეობაზე" და „სახალხო ჯანმრთელობაზე" ეფიქრა. ამას ზოგიერთი ბურჟუაზიული მწერალიც ვერ მალავდა. ასე მაგალითად, ბურჟუაზიული ფინანსისტი პროფესორი ფრანჩესკო ნიტი წერდა: „განსაკუთრებული ენერგიით შეუდგნენ მუშაობას ჯანმრთელობის დარგში, მუშათა სახლებისა და კარგი სუფთა თავშესაფრების მოწყობას სწორედ იმ დროიდან, როდესაც გამოირკვა, რომ მიკრობები იბუდებენ ღარიბთა კვარტალებში; ისინი ცუდად აღზრდილნი არიან და სინდისის უმხილებლად იკრებიან მდიდართა კვარტალებშიც" [2]. ამიტომ ბურჟუაზიული სახელმწიფო ზრუნავს „ხალხის ჯანმრთელობაზე", მხოლოდ იმ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, რომლებიც გადამდები არიან. კაპიტალისტური სახელმწიფო ჯანმრთელობას იცავს განსაზღვრულ ფარგლებში, რადგან კაპიტალისტური წარმოების წესი განსაზღვრულ ფარგლებს იქით უარყოფს ყოველგვარ რაციონალურ გაუმჯობესებას.

კაპიტალისტური სახელმწიფო ვერ გააკეთებს და არ გააკეთებს იმაზე მეტს, რაც თვით კაპიტალისტური წარმოების წესიდან არ გამომდინარეობს. მანქანა კაპიტალისტის საკუთრებაა. მისი დაზიანება კაპიტალის დაკარგვა, შემცირებაა. მუშის სიკვდილი კაპიტალს ამცირებს. კაპიტალისტი მუშას ეპირისპირება როგორც იურიდიულად თავისუფალს, სამუშაო ძალის საქონლის დამოუკიდებელ მწარმოებელს. ამ საქონელს — სამუშაო ძალას თვითონ მუშამ უნდა

---

[1] ფ. ენგელსი, ბინის საკითხისათვის (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950 გვ. 669—670).

[2] Фр. Нитти, Основные начала финансовой науки, 1904, стр. 12.

მოუაროს. ამაზე კაპიტალისტი არ ზრუნავს. სამუშაო ძალის დაკარგვით იზარალებს მუშა და არა კაპიტალისტი. კაპიტალისტი ყიდულობს სამუშაო ძალას და იხდის შრომაში, მაშასადამე, კაპიტალისტი მუშას ხელფასს უხდის მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა აწარმოვა საქონელი — თავის თავში გამოიმუშავა სამუშაო ძალა, გადასცა იგი კაპიტალისტს გამოსაყენებლად და ამ შრომის პროცესით ღირებულება შექმნა. კაპიტალისტი რომ სამუშაო ძალაში წინდაწინ იხდიდეს, მაშინ იძულებული იქნებოდა მოეევლო მუშისთვის, რადგან სამუშაო ძალის დაკარგვით კაპიტალი დაეკარგებოდა. მაგრამ ვინაიდან ის მუშას უხდის მას შემდეგ, რაც მან ღირებულება უკვე შექმნა, ამიტომ მუშათა ჯანმრთელობაზე კაპიტალისტი მაინც და მაინც თავს არ იწუხებს და არ უქმნის მათ აუცილებელ პირობებს.

რაც შეეხება ზოგიერთი სანიტარული წესის დაცვასა და მცირეოდენ ზრუნვას იმ მუშების ჯანმრთელობაზე, რომლებიც წარმოებაში ჩაბმულნი არიან, ამაში კაპიტალისტი რამდენადმე დაინტერესებულია, რადგან სამუშაო ძალის ინტენსიური გამოყენება მეტ პროდუქტს მისცემს მას. ამიტომ კაპიტალისტი წინააღმდეგი არ არის ის სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებებისა, რომლებიც შრომის ინტენსიურობას ზრდიან. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბურჟუაზია გარკვეულ ფარგლებს იქით არ მიდის.

ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებს კაპიტალისტური სახელმწიფოების ბიუჯეტებში მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავს. აშშ ფედერალური ბიუჯეტის ხარჯებში 1956—57 წლებში მას ეჭირა 0,7%. ეს იმ დროს, როდესაც სამედიცინო დახმარებაზე მოთხოვნა აქ ძალიან დიდია. მედიცინის მეცნიერების მაღალი განვითარებისა და კვალიფიციური ექიმების არსებობის მიუხედავად, სამედიცინო მომსახურეობის სიძვირის გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი მით ვერ სარგებლობს. სამედიცინო მომსახურება აშშ-ში ძალიან ძვირი ღირს. ინგლისში არის უსაფასურო ან დაბალფასიანი სამედიცინო მომსახურება, მაგრამ მთელი მოსახლეობა მას აქაც ვერ ღებულობს.

გ) სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა

სოციალური დაზღვევა არის მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრთა მატერიალური უზრუნველყოფა, რაც ხორციელდება სპეციალური შენატანების ანგარიშით. ეს არის მუშათა კლა-

სის ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი, რომელიც მიმართულია კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

სოციალური დაზღვევა პირველად შემოღებულ იქნა გერმანიაში XIX საუკუნის მიწურულში, 1910 წელს — საფრანგეთში, 1911 წელს — ინგლისსა და აშშ-ში. ზოგიერთ ქვეყანაში ის დღესაც არ არის შემოღებული ან დაზღვევის მხოლოდ ზოგიერთ სახეს ითვალისწინებს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სავალდებულო სოციალური დაზღვევა შემოღებულია მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მშრომელთა აქტიური მოთხოვნით. კაპიტალისტური სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის დამახასიათებელია თვითდაზღვევითი და თვითუზრუნველყოფითი ფორმა. იქ სადაზღვევო ფონდი ძირითადად იქმნება ხელფასიდან, ან ხელფასიდან და მეწარმეების შემოსავლიდან. მსოლოდ უკანასკნელ ხანებში დაიწყო სადაზღვევო ფონდის შექმნა სახელმწიფო სახსრების მონაწილეობითაც. ასე მაგალითად, 1959 წელს აშშ-ის სოციალური უზრუნველყოფის ფონდში მუშა-მოსამსახურეთა წილი შეადგენდა 27%, კაპიტალისტებისა — 51%, სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივი ოგანიზაციებისა — 21%.

გერმანიაში სოციალური დაზღვევის ფონდი იქმნებოდა მუშებისა და მეწარმეების შემოსავალთა ანგარიშზე. ფონდის ორი მეხუთედი მიიღებოდა ხელფასიდან, ხოლო 1/3 — მეწარმეთა შემოსავლიდან. დაზღვევა ეხებოდა ავადმყოფობას, შრომით დაშავებულობას, მოხუცებულობას და ინვალიდობას.

ინგლისში სახელმწიფო დაზღვევა ეხება უმუშევრობის, ავადმყოფობისა და ინვალიდობის შემთხვევებს. სოციალური დაზღვევის ფონდის მეოთხედიდან მერვედამდე შედგება სახელმწიფო სახსრებისგან.

მეფის რუსეთმა სოციალური დაზღვევა შემოიღო 1912 წლიდან და ეხებოდა პროლეტარიატის მხოლოდ ერთ მეექვსედ ნაწილს.

სოციალური დაზღვევა გულისხმობს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მატერიალურ დახმარებას იმ პირების მიმართ, რომელთაც დაკარგეს შრომის უნარი ან არიან ღრმად მოხუცებულნი. მატერიალური დახმარების ეს სისტემა ეხება აგრეთვე მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს. მრავალ ქვეყანაში სოციალური დაზღვევა ტარდება მშრომელთათვის დამამცირებელი ფორმით, როგორც „გლახაკთა მოწყალება". სოციალური უზრუნველყოფაც დიდ ნაწილში ემყარება მშრომელთა შენატანებს.

ინგლისში მშრომელთა შენატანების წილი აღემატება მეწარმეთა შენატანებს; აშშ-ში მშრომელთა შენატანები შეადგენს ნახევარს.

სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებში მცირე ხვედრითი წონა აქვთ. აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტით 1956/57 წწ. სოციალური დაზღვევის ხარჯი შეადგენდა ხარჯთა 2,3%, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი კი— 7,4%. ეს ეძლეოდა ძირითადად ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს.

კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიები იბრძვიან მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, პოლიტიკური უფლებებისათვის; იბრძვიან არამწარმოებლური სახელმწიფო ხარჯების წინააღმდეგ; მოითხოვენ სამხედრო ბლოკების, სხვის ქვეყნებში სამხედრო ბაზების გაუქმებას, შეიარაღების შემცირებას და ხარჯების გადიდებას ბინათმშენებლობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში.

III. სახელმწიფო ხარჯების ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა

სახელმწიფო ხარჯებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცივეს ჯერ კიდევ მერკანტილისტებმა. ისინი სიმდიდრის, ე. ი. ფულის, ძვირფასი ლითონების წყაროდ მიიჩნევდნენ საგარეო ვაჭრობას. ამისათვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს მეურნეობრივ საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევა და ომები. რაც, როგორც ცნობილია, სახელმწიფოებისაგან დიდ სახსრებს მოითხოვდა, განსაკუთრებით სამხედრო ტექნიკის ზრდის პირობებში. ეს გარემოება იწვევდა სახელმწიფო ხარჯების კოლოსალურ ზრდას და მის მნიშვნელობაზე ყურადღების მიპყრობას.

მწარმოებლური შრომის მერკანტილისტური გაგების საფუძველზე მწარმოებლურად ითვლებოდა სახელმწიფო ხარჯები, რომლებიც აუმჯობესებდნენ პირობებს მწარმოებლური შრომის ზრდისათვის, საგარეო ვაჭრობის ხელისშეწყობისათვის, ქვეყნად სიმდიდრის დაგროვებისათვის.

მერკანტილისტებიდან საყურადღებონი არიან დიომიდე კარაფა, თომას მენი და უილიამ პეტი.

სახელმწიფო ხარჯების შედარებით უფრო სწორ მეცნიერულ დასაბუთებას გვაძლევს უილიამ პეტი თავის შრომაში „ტრაქტატი

გადასახადთა და მოსაკრებელთა შესახებ".[1] შრომის სათაურის შეხედვით პეტის შეეძლო სახელმწიფო ხარჯების საკითხს არ შეხებოდა, მაგრამ იგი ამ საკითხს ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ გადასახადები და მოსაკრებლები არ განიხილა სახელმწიფო ხარჯების გარეშე. ამასთანავე ისიც საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ხარჯების საკითხი წინ წაუძღვარა სახელმწიფო შემოსავალთა საკითხის შესწავლას. ამით პეტი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ხარჯების აუცილებლობა აპირობებს სახელმწიფო შემოსავალს, როგორც მისი არსებობის, ისე მისი მწარმოებლური თუ არამწარმოებლური განსაზღვრულობის მხრივ.

პეტი კაპიტალისტური სახელმწიფოს ხარჯებს თავის უდიდეს ნაწილში ახასიათებს როგორც არამწარმოებლურს. ამიტომ იგი მოითხოვდა სახელმწიფო ჰმართველობის გაიაფებას, სახელმწიფო ხარჯების შემცირებას.

ამგვარად, პეტი ერთმანეთისაგან არჩევს მწარმოებლურსა და არამწარმოებლურ ხარჯებს და სახელმწიფო ხარჯების მთავარ მუხლებს არამწარმოებლურს აკუთვნებს.

ფიზიოკრატების შეხედულება სახელმწიფო ხარჯების მწარმოებლურობისა თუ არამწარმოებლური ბუნების შესახებ ემყარება მწარმოებლური შრომის მათ გაგებას.

ფიზიოკრატებმა სწორად აღნიშნეს, რომ კაპიტალისტური თვალსაზრისით მწარმოებლურია მხოლოდ ის შრომა, რომელიც ქმნის ზედმეტ ღირებულებას, სხვანაირად, ზედმეტ პროდუქტს, ანუ „წმინდა პროდუქტს" არა თავისთვის, არამედ წარმოების საშუალებათა მესაკუთრისათვის, მიწის მესაკუთრისათვის. ფიზიოკრატები ცდებოდნენ იმაში, რომ მწარმოებლურ შრომად თვლიდნენ მხოლოდ სამიწათმოქმედო შრომას. ამასთანავე, მათ სწორად არ ესმოდათ ზედმეტი პროდუქტის ცნება.

ამაზე დამყარებით ფიზიოკრატები მწარმოებლურ ხარჯებად თვლიდნენ სახელმწიფო ხარჯებს, რომლებიც ხელს უწყობენ მიწათმოქმედების განვითარებას, მათი აზრით, სიმდიდრის ამ ერთადერთი წყაროს ზრდასა და წარმოებას. სახელმწიფო ხარჯები, რაც მიწათმოქმედების განვითარებას არ ხმარდება, არამწარმოებლურია.

მალთუსელები მომხრენი იყვნენ მხოლოდ ნებაყოფლობითი მზრუნველობისა: იგი! საავალდებულო არ უნდა იყოს, ის სახელმწიფოს არ უნდა ევალებოდეს, სახელმწიფო ხარჯებით გათვალისწინებული არ უნდა იყოს. საავალდებულო მზრუნველობა ხელს შეუ-

---

[1] Will. Petty. A Treatise of Taxes and Contributions, 1662.

წყობს ღარიბი კლასების გამრავლებას, რაც დაასუსტებს მშრომელი კლასების ენერგიას. მალთუსელებს განსაკუთრებით აღშფოთებდათ ია გარემოება, რომ საკალდებულო მზრუნველობა გლახაკთა შენახვის ხარჯებს მქონებელთა კლასებს აკისრებს სპეციალური გადასახადის, ღარიბთა გადასახადის შემოღებით. ასეთი ღონისძიება, მათი აზრით, გაზრდის მოსახლეობას და იმატებს სიღატაკე. მაშასადამე, უნდა გაიზარდოს მქონებელი კლასების დაბეგვრაც. ე. ი. მთელი საზოგადოება ეკონომიკურად უნდა განადგურდეს და გამოიფიტოს.

ამგვარად, მალთუსელები აშკარად გამოდიოდნენ მუშათა კლასის წინააღმდეგ, უარყოფდნენ სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების გათვალისწინებას ბიუჯეტში.

ფრიტრედერები, რომლებიც წარმოადგენდნენ მრეწველი ბურჟუაზიის პარტიას, მოითხოვდნენ ვაჭრობის თავისუფლებას და სახელმწიფოს ჩაურევლობას მეურნეობრივ ცხოვრებაში. ისინი იბრძოდნენ ფეოდალიზმის უკანასკნელი ნაშთების მოსასპობად და ესწრაფვოდნენ ბურჟუაზიის განუსაზღვრელ ბატონობას. მათი აზრით, მთელი საზოგადოება უნდა დაქვემდებარებოდა ბურჟუაზიული წარმოების კანონებს და ხელმძღვანელობა დაკისრებოდა საქმიან ხალხს, ფაბრიკანტებს; მიწათმოქმედებაც კაპიტალისტურ საწყისებზე უნდა აგებულიყო, მიწა უნდა გადაქცეულიყო საბაზრო საქონლად და მიწის საკუთრება კაპიტალისტურ ექსპლოატაციას დაქვემდებარებოდა, ამის საფუძველზე მემამულეები უნდა მოსპობილიყვნენ და ქსოვილების ფაბრიკანტების მსგავსად, უნდა წარმოშობილიყვნენ კვების პროდუქტების ფაბრიკანტები.

ისინი ბრძოლას უცხადებდნენ ძველ დაწესებულებებს და ყოველგვარ არამწარმოებლურ ხარჯებს; მათი ლოზუნგი იყო: „რაც შეიძლება იაფად წარმოება და წარმოების ყოველგვარი faux frais (არამწარმოებლური ხარჯების) თავიდან აცილება“.

ამ არამწარმოებლურ ხარჯებს ეკუთვნოდა მეფის ხელისუფლება სასახლით, ლაქიებით და „ცივილური ფურცლით“, მასვე ეკუთვნოდა ინგლისური კანონმდებლობის აპარატი, მისი კანცელარული და სასამართლო სისტემა, აზნაურთა სინეკურები, ლორდთა პალატა, დიდი მუდმივი არმია, კოლონიები, ნაციონალური ომები, სახელმწიფო ეკლესია.

ამის საფუძველზე ფრიტრედერები მოითხოვდნენ ხელისუფლების აპარატის გამარტივებას. მათი აზრით, უნდა დარჩენილიყო სამთავრობო ხელისუფლების ის მინიმალური ხარჯები, რაც გაპირობებულია ბურჟუაზიული კლასის ინტერესებით და აუცილებელია საგარეო და საშინაო მმართველობის შესანახად.

ინგლისურმა ბურჟუაზიულმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ენერგიულად გაილაშქრა სახელმწიფოს არამწარმოებლური ხარჯების წინააღმდეგ. ა. სმიტის პირველი განმარტების მიხედვით, მწარმოებლურია შრომა, რომელიც უშუალოდ კაპიტალზე იცვლება, არამწარმოებლური კი ისეთი შრომა, რომელიც იცვლება არა კაპიტალზე, არამედ უშუალოდ შემოსავალზე, ე. ი. ხელფასზე ან მოგებაზე (სარგებელსა და რენტაზე).

მწარმოებელი მუშაკი მისი სამუშაო ძალის მყიდველისათვის აწარმოებს საქონელს, არამწარმოებელი — უბრალოდ სახმარ ღირებულებას, რაც შეიძლება იყოს წარმოსახვითიც და ნამდვილიც. არამწარმოებლისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი თავისი მყიდველისათვის საქონელს არ აწარმოებს, მაგრამ მისგან საქონელს ღებულობს. ამ საფუძველზე, ა. სმიტის გაგებით, სახელმწიფო ხარჯები არამწარმოებლურია, რადგან საზოგადოებრივი წოდებანი, რომელთა მომსახურების ანაზღაურებაზეც ის იხარჯება, ღირებულებას არ ქმნიან. თითქმის მთელი სახელმწიფო ხარჯები არამწარმოებლურ ელემენტთა შენახვაზე მიდის.

ად. სმიტმა თავისი შრომის მეხუთე წიგნი მიუძღვნა სახელმწიფო ფინანსებს. ფინანსების გადმოცემას იწყებს სახელმწიფო ხარჯების განხილვით.

სმიტი წერს: „საზოგადოების ზოგ ფრიად პატივცემულ წოდებათა შრომა, შინამსახურთა შრომასავით, არ აწარმოებს არავითარ ღირებულებას და არ ღებულობს ფიქსაციას და რეალიზაციას რაიმე ხანგრძლივად არსებულ საგანში ან გასაყიდ საქონელში, რომელიც განაგრძობდეს შრომის შესრულების შემდეგ არსებობას და რომელშიაც შეიძლებოდეს შემდეგში მიღებულ იქნეს თანატოლი შრომის რაოდენობა. ხელმწიფე, მაგალითად, ყველა მისი მოსამართლე, მოხელეებით და სამხედრო ოფიცრებითურთ, მეომარი არმია და ფლოტი არაპროდუქტიულ მშრომელებს წარმოადგენენ. ისინი მსახურნი არიან საზოგადოებისა და შეინახებიან სხვა ადამიანთა შრომის წლიური პროდუქტის ნაწილით. მათი სამსახური, რაგინდ საპატიო, სასარგებლო ან აუცილებლად საჭირო იყოს იგი, არ აწარმოებს არაფერს ისეთს, რითაც შეიძლებოდეს თანატოლი ზომის სამსახურის მიღება შემდეგში. სახელმწიფოს დაცვა, უშიშროება და დაფარვა, რაც შედეგი არის მათი შრომისა ამ წელში, ვერ იყიდის მის დაცვას, უშიშროებას და დაფარვას მომავალ წელში. ერთსა და იმავე კლასს უნდა მიეკუთვნოს როგორც ზოგი ფრიად სერიოზული და მნიშვნელოვანი პროფესია, ისე ზოგი ფრიად ფუქსავატიც: მღვდლები, იურისტები, ექიმები, ყოველგვარი მწერლები, მსახი-

ობები, ჯამბაზები, მუსიკოსები, ოპერის მომღერლები, მოცეკვავენი და სხვ. ამათში სულ უმცირესი ადამიანის შრომასაც აქვს განსაზღვრული ღირებულება, რომელიც იმ პრინციპებით წესრიგდება, რომელნიც განსაზღვრავენ ყოველი სხვა სახის შრომის ღირებულებას; მაგრამ ამათში უაღრეს კეთილშობილი და სასარგებლო პროფესიის შრომაც კი არ აწარმოებს არაფერს ისეთს, რითაც შემდეგში შეიძლებოდეს თანატოლი შრომის რაოდენობის ყიდვა ან მოპოვება. მსგავსად მსახიობის დეკლამაციისა, ორატორის სიტყვისა ან მუსიკოსის მელოდიისა, ყველა იმათი შრომა ჰქრება მისი შესრულების მომენტშივე".[1]

ამ საფუძველზე სმიტი ასკვნის, რომ სახელმწიფო ხარჯები არაშწარმოებლურია. იგი წერს: „დიდი ერები არასოდეს არ ღარიბდებიან კერძო პირთა ბედოვლათობისა და წინდაუხედაობის მიზეზით, მაგრამ არაიშვიათად ღარიბდებიან სახელმწიფო ხელისუფლების მფლანგველობისა და წინდაუხედავი საქმიანობის გამო. მთელი ან თითქმის მთელი სახელმწიფო შემოსავალი მეტწილ ქვეყნებში იხარჯება არაპროდუქტიული ელემენტების შესანახად. უკანასკნელთ უნდა მივაკუთვნოთ ყველა ისინი, ვინც შეადგენენ სამეფო კარის ბრავალრიცხოვან და ბრწყინვალე ამალას, ფართო საეკლესიო ორგანიზაციას, დიდ ფლოტსა და არმიას, რომელნიც არას აწარმოებენ მშვიდობიანობის დროს, ხოლო ომის დროს არას იძენენ ისეთს, რითაც შეიძლებოდეს დაფარულ იქნეს მათი შენახვის ხარჯები თუნდაც ომის განმავლობაში. ვინაიდან ასეთი ელემენტები თვითონ არას ჰქმნიან. ისინი შეინახებიან სხვა ადამიანთა შრომის პროდუქტით. და. ამიტომ, როდესაც მათი რიცხვი საჭიროზე მეტად იზრდება, მათ შეიძლება ამ პროდუქტის ისე დიდი ნაწილი მოიხმარონ წლის განმავლობაში, რომ იქიდან აღარ დარჩება საკმარისი შესანახი პროდუქტიული მშრომელებისათვის. რომელთაც უნდა მოახდინონ მისი ოპროდუქცია შემდეგ წელში. ამის გამო შემდეგი წლის პროდუქტი შემცირდება წინა წლის პროდუქტთან შედარებით; და თუ ეს არანორმალური წესი შემდგომაც განგრძობილ იქნა, მესამე წლის პროდუქტი კიდევ უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე იყო მეორე წლისა. ამ არაპროდუქტიულმა ელემენტებმა, რომელთა შენახვას უნდა მოხმარებოდა მხოლოდ დაზოგვილი შემოსავლის ნაწილი, შეიძლება მოიხმარონ მთელი სახალხო შემოსავლის ისე დიდი ნაწილი და

---

[1] ა. სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ (თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ), 1938 წ. გვ. 377.

ბით ისე ბევრი ადამიანი აიძულონ ხელი ახლონ დასახარჯად თავიანთ კაპიტალებს, ფონდებს, რომლებიც პროდუქტიული შრომის შესანახად იყო დანიშნული, რომ ცალკეულ პირთა მთელმა მრავალრიცხოვანობამ და გონივრულმა საქმიანობამ იქნებ ვერც კი გააწონა-წონოს პროდუქტების ის განიავება და წარმოების დაცემა, რასაც გამოიწვევს კაპიტალების ეს ძლიერი და იძულებითი ხელის ხლება".[1]

რამდენადაც სმიტი აღიარებდა მწარმოებლურ შრომას, სწორად წყვეტდა სახელმწიფო ხარჯების არამწარმოებლურ ბუნებას და მისი გადიდების წინააღმდეგი იყო.

სმიტის მიერ მწარმოებლური შრომის პირველ გაგებას მხარს ეჭერდა დავით რიკარდო. რიკარდო ამბობდა, რომ „მწარმოებელი მუშებისათვის" უფრო სასარგებლოა მოგებისა და მიწის რენტის მესაკუთრეებმა ის მოიხმარონ „არამწარმოებელ მუშაკებზე".

მარქსი წერს, რომ რიკარდო მთლიანად იზიარებს სმიტის შეხედულებას მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის განსხვავების შესახებ, რომ მწარმოებლური შრომა იცვლება უშუალოდ კაპიტალზე, არამწარმოებლური — უშუალოდ შემოსავალზე. მაგრამ რიკარდო სმიტისებრ სინანზეს არ გამოხატავს მწარმოებელი მუშის მიმართ და სმიტისებური ილუზიები არა აქვს მათ შესახებ. მწარმოებელი მუშა სხვის სიმდიდრეს აწარმოებს, მწარმოებელ მუშად ყოფნა უბედურებაა.[2]

ქვეყანა, რომელიც ომშია ჩაბმული და იძულებულია დიდი არმია და ფლოტი შეინახოს, ადამიანთა გაცილებით უფრო დიდ რაოდენობას გამოიყენებს საქმეში, ვიდრე მაშინ, როდესაც ომი გათავდება და მასთან დაკავშირებული ხარჯები შეწყდება. ომის შემოსევაში ადგილი ექნებოდა ადამიანების მეტ მოთხოვნას ჯარისკაცებისა და მატროსების სახით. ამიტომ ომი, რომელიც ქვეყნის შემოსავლის ხარჯზე იწარმოება და არა კაპიტალისა, ხელშემწყობია მოსახლეობის ზრდისათვის.

„ომის დასრულების შემდეგ, როდესაც ჩემი შემოსავლის ნაწილი უკან დამიბრუნდება და მე მას წინანდებურად ღვინის, ავეჯეულობის და ფუფუნების სხვა საგანთა საყიდლად დავხარჯავ, მოსახლეობა, რომლის შენახვას ეს ნაწილი წინათ ხმარდებოდა და რომელსაც ომი აძლევდა მოსაქმეობას, მოჭარბებული გახდება და მი-

---

[1] ა. სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ (თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ), 1938 წ., გვ. 390—391.

[2] К. Маркс, Теории приб. стоимости, ч. I, 1954 г., стр. 197.

სი კონკურენცია დანარჩენ მოსახლეობასთან სამეშაოს ძიებისას დაბლა დასწევს ხელფასის ღირებულებას და არსებითად გააუარესებს მუშათა კლასის მდგომარეობას".[1]

რიკარდოს ეს შეხედულება, რომ საშხედრო ხარჯები მოსახლეობის ზრდას ხელს უწყობს, სწორი არ არის. არც ის არის სწორი, თითქოს მუშათა კლასისათვის ომი სჯობია, ვინაიდან, თუ ომი დამთავრდება, მოსახლეობა ჭარბი გახდება და ამის გამო მუშათა ხელფასი შემცირდება. ომი მუშათა კლასის ნაწილს პირდაპირ სპობს. დანარჩენს კი მკვეთრად უუარესებს მდგომარეობას გადასახადების გადიდებით, სესხისა და მისი პროცენტების დაფარვით და ფულის გაუფასურებით, ანადგურებს მუშათა ჯანმრთელობას და ხელს უშლის მის ბუნებრივ ზრდას.

წვრილბურჟუაზიული რომანტიკოსი სიმონდი დე სისმონდი თავის შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის ახალი საფუძვლები ანუ სიმდიდრის შესახებ მის ურთიერთობაში მოსახლეობასთან" [2] სახელმწიფო ხარჯებს ახასიათებს როგორც არამწარმოებლურ ხარჯებს.

სისმონდიმ მიიღო მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის სწორი განმარტება სმიტისებური განსხვავებით. ამიტომ სისმონდი სახელმწიფო ხარჯებს, რომელთაც თვლის საზოგადოებრივად სასარგებლო და აუცილებელ ხარჯებად, განსაზღვრავს როგორც არამწარმოებლურ ხარჯებს.

ვინაიდან ჯონ სტიუარტ მილი მწარმოებლური შრომის საკითხში სმიტისეულ მეორე განმარტებას ემხრობა, ამიტომ მისი შეხედულება სახელმწიფო ხარჯების შესახებაც წინააღმდეგობრივია. მაგრამ ძირითადად იგი სახელმწიფო ხარჯებს მაინც თვლის მწარმოებლურ ხარჯებად. ამბობს, რომ შესაძლებელია მათ ვუწოდოთ არაპირდაპირად მწარმოებლური ხარჯებიო. სახელმწიფო ხარჯების საკითხში ჯონ სტიუარტ მილი იწყებს ბურჟუაზიული კლასიკური ეკონომიის დებულებათა ვულგარიზაციას. ეს ვულგარიზაცია კიდევ უფრო მეტად იზრდება შემდგომ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა შრომებში.

ვულგარულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ უარყო კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის შეხედულება სახელმწიფო

---

[1] დ. რიკარდო. პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები. 1937 წ., გვ. 337—338 (თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ).

[2] J. C. L. Simonde de Sismondi. Nouveaux principes d' économie politique, ou de la richesse dans ses rapports avec la population. t. 1, Paris, 1819, თავი მე-9.

ხარჯებზე. შეეცადა გაეშართლებინა სახელმწიფო ხარჯების ყოველგვარი ზრდა, უარეყო ბურჟუაზიული სახელმწიფო ხარჯთა არამწარმოებლური ხასიათი. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, ჟერენ გარნიე, რომელიც იძლევა სმიტისა და ფიზიოკრატების თეორიების ვულგარიზაციას. მან თარგმნა სმიტის შრომა და გაუკეთა შენიშვნები. გარნიე კითხულობს, რატომ არის მწარმოებლური „კერძო საკაჭრო ან საბრეწველო საწარმოს ინსპექტორის ან დირექტორის შრომა. და არამწარმოებლურია მთავრობის მოხელის შრომა, რომელიც ზედამხედველობს, რომ სათანადოდ იყოს მოვლილი საზოგადოებრივი გზები. სანაოსნო არხები, ნავსადგურები, ფულადი სისტემა და ვაჭრობის გამაცოცხლებელი სხვა მნიშვნელოვანი იარაღები, რომელიც თვალყურს ადევნებს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების უშიშროებას და ხელშეკრულების შესრულებას და სხვა და რომელიც სრული უფლებით შესაძლებელია ჩაითვალოს დიდი საზოგადოებრივი მანუფაქტურის ინსპექტორად? ეს სავსებით ისეთივე შრომაა, რომელიც უფრო დიდი მასშტაბით სრულდება“ (გვ. 172—173)[1].

გარნიეს აზრით, მოხმარება წარმოადგენს წარმოების წყაროს და უკანასკნელის სიდიდე გაიზომება პირველის სიდიდით. არამწარმოებლური მუშაკები ყოველმხრივ სასარგებლონი არიან, ვინაიდან ისინი აკმაყოფილებენ „ხელოვნურ მოთხოვნილებებს“ და მოიხმარენ მატერიალურ პროდუქტებს. გარნიე ეკონომიის წინააღმდეგია. თავისი წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „ცალკეული პირის სიმდიდრე იზრდება მომჭირნეობის საშუალებით; საზოგადოებრივი სიმდიდრე, პირიქით, იზრდება მოხმარების გადიდების შედეგად“.[2]

ამგვარად, გარნიეს აზრით, მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯები მწარმოებლური ხარჯებია. სახელმწიფო ხარჯები ზრდიან „ხელოვნურ მოთხოვნილებებს“. ამ უკანასკნელის ზრდას გულისხმობს მატერიალური პროდუქტების მოხმარების ზრდა. მოხმარება კი წარმოების წყაროა. ამიტომ არამწარმოებლური მუშაკებიც სასარგებლონი არიან. მოხმარების გადიდება საზოგადოებრივ სიმდიდრეს ზრდის. მაშასადამე, სახელმწიფო ხარჯებიც საზოგადოებრივ სიმდიდრეს ზრდის და ამიტომ ისინი მწარმოებლურ ხარჯებად უნდა ჩაითვალოს.

---

[1] К. Маркс. Теории прибавочной стоимости, ч. I, 1954 г., стр. 155.

[2] Garnier Germain. Abrége élémentaire des principes de l'économie politique. Paris, 1796, p. XIII (К. Маркс, Теории прибавочной стоимости, стр. 173).

ასევე მეტად ვულგარულია ამ საკითხში ჟ. ბ. სეის შეხედულება. მისი აზრით, სმიტი ექიმის, მუსიკოსისა და აქტიორის საქმიანობას არ უწოდებს პროდუქტებს: მათ შრომას მწარმოებლურს უწოდებს[1]. მარქსი შენიშნავს, რომ სეი არ არის მართალი მასში, თითქოს სმიტი უარყოფს, რომ საქმიანობის ეს სახეები ამა თუ იმ „შედეგს" ამა თუ იმ „პროდუქტს" აწარმოებენ. მას პირდაპირ აქვს აღნიშნული „უშიშროების", მშვიდობიანობის, სახელმწიფოს დაცვის, როგორც („სახელმწიფოს მსახურთა") „წლიური შრომის შედეგის" შესახებ (სმიტის შრომის რუს. გამოც., ტ. I, გვ. 271)[2].

როგორც ვიცით, სმიტს აქვს დამატებითი განსაზღვრა, რომლის მიხედვით „მომსახურება" და მისი პროდუქტი ჩვეულებრივად მათი შესრულების მომენტში ქრება. სეი ამგვარ მომსახურებას, მათ პროდუქტებს, შედეგებს, მათ სახმარ ღირებულებას უწოდებს არამატერიალურ პროდუქტებს ან ღირებულებას, რომელიც მოიხმარება მათი წარმოების მომენტში. ამ დარგის მუშაკებს არ უწოდებს „არამწარმოებლებს", არამედ უწოდებს „არამატერიალური პროდუქტების მწარმოებლებს". ე. ი. სეი მას სახელს უცვლის. ბოლოს ის ძალიან აპკვნის, რომ ამ დარგის შრომა არამწარმოებლურია, მაგრამ — მწარმოებლური შრომის სმიტისებური, მეორეგვარი გაგებით. სეი ეკამათება გარნიეს მასში, რომ უკანასკნელის აზრით, ექიმების, იურისტებისა და სხვა მსგავს პირთა შრომის გადიდება ერისათვის იმდენადვე სასარგებლოა, რამდენადაც ყოველი სხვა შრომისა. სეის აზრით, ეს შრომა არ მოემსახურება ეროვნული კაპიტალის გადიდებას იმიტომ, რომ არ არის სახეირო გადიდებულ იქნეს რაიმე სახის მწარმოებლური შრომა იმაზე მეტად, ვიდრე მოთხოვნილებაა ამ შრომაზე. ამ შემთხვევაში, მარქსის შენიშვნით, გარნიე მართალია. „მაშინ ერთნაირად არის სახეირო, — ე. ი. ერთნაირად არასახეიროა გაიზარდოს რაოდენობა როგორც ერთი, ისე მეორე სახის შრომისა. განსაზღვრული ზომის ზევით"[3].

სეის აზრით, აქ იგივე ხდება, რაც ფიზიკური შრომის მიმართ. როდესაც მას პროდუქტის დასამზადებლად იმაზე მეტი რაოდენობით დახარჯავენ, ვიდრე აუცილებელია. როგორც მაგიდის დამზადებაზე არ უნდა დაიხარჯოს იმაზე მეტი შრომა, ვიდრე საჭიროა მის დასამზადებლად. ასევე ავადმყოფი სხეულის „შეკეთებაზეც" არ უნდა დაიხარჯოს იმაზე მეტი შრომა, ვიდრე საჭიროა მის განსაკურ-

---

[1] Say J. B., Traité d'économie politique. Tome I. მესამე გამოც. გვ. 117.
[2] К. Маркс, Теории приб. стоимости, ч. I, 1954 г., стр. 241.
[3] იქვე, გვ. 242.

ნებლად. ამგვარად, ექიმები და ადვოკატები მხოლოდ აუცილებელ შრომას უნდა ხარჯავდნენ [1].

სეის მიხედვით, „არასდროს არ შეიძლება წარმოებულ იქნეს მეტად ბევრი მაგიდა და მეტად ცოტა, ვთქვათ, ჯამი, რომლებიც ამ მაგიდაზე უნდა დაიდგას. თუ მეტად გაიზრდებოდა ექიმთა რიცხვი, უბედურება ის კი არ იქნებოდა, რომ მათი მომსახურება ზედმეტი რაოდენობით იქნებოდა მოწოდებული, არამედ, მართლაც, ის რომ მოწოდებულია არამატერიალური პროდუქტების სხვა მწარმოებელთა, მაგალითად, პროსტიტუტკების, მეტად მცირე მომსახურებანი (იხ. იქვე, გვ. 123, სადაც ერთ სიბრტყეზე აყენებს მზიდავებისა და პროსტიტუტკების შრომას და სხვ. და სადაც სეი თამამად ამტკიცებს, რომ „სწავლების დრო“ პროსტიტუტკებისათვის „ნულამდე დადის“). „ბოლოს და ბოლოს სეი იხრება არამწარმოებელი მუშაკებისაკენ“. წარმოების მოცემულ პირობებში ყოველთვის ცნობილია, რამდენი მუშაა საჭირო, რომ გაკეთდეს მაგიდა, თუ რამდენად დიდია შრომის განსაზღვრული სახის რაოდენობა, რომ დამზადდეს განსაზღვრული პროდუქტი. სულ სხვანაირადაა საქმე მრავალ „არამატერიალური პროდუქტების მიმართ“. აქ შრომის რაოდენობის განსაზღვრა, რაც საჭიროა მოთხოვნილი შედეგის მისაღებად, იმდენადვე გამოსაცნობია, რამდენადაც თვით შედეგი. ოცი მღვდელი ერთად, შესაძლებელია, მოახერხებენ ცოდვილის მოქცევას, რასაც ვერ ახერხებს ერთი; ექვსი ექიმი, რომლებიც ურთიერთშორის მოითათბირებენ, შესაძლებელია იპოვნიან სამკურნალო საშუალებებს, რასაც ერთი ექიმი ერთპიროვნულად ვერ პოულობს. სასამართლო კოლეგია, შესაძლებელია უფრო მეტ მართლმსაჯულებას აღწევს, ვიდრე ცალკეული მოსამართლე. რომელიც მხოლოდ თავის თავს აკონტროლებს. რამდენი ჯარისკაცია საჭირო ქვეყნის დასაცავად, რამდენი პოლიციელია აუცილებელი მასში წესრიგის დასაცავად, რამდენი მოხელეა საჭირო კარგი მმართველობისათვის და სხვა. — ყველაფერი ეს პრობლემატურია, რაც ძალიან ხშირად დავის საგანია, მაგალითად ინგლისის პარლამენტებში. ბატონი სეი თავის აზრზე რჩება: „არამწარმოებელ მუშაკთა რიცხვი არასოდეს არ შეიძლება გაიზარდოს საკმარისი ხარისხით (გვ. 400)“[2].

ამგვარად, სეის მიხედვით, უსარგებლო მწარმოებლებად ითვლებიან ისინი, რომლებიც ზომაზე მეტ პროდუქტს ამზადებენ. არამწარმოებელი მუშაკების რიცხვი ვერასოდეს ვერ გაიზრდება საკმა-

---

1 Say J. B.. Traité d'économie politique, Tome I, p. 120.

2 К. Маркс, Теории приб. стоим, т. I, стр. 243—244.

რისი რაოდენობით. ამიტომ ზომაზე მეტად ვერ გაიზრდება სახელმწიფო ხარჯები.

შ ტ ო რ ხ ი, მარქსის აზრით, პირველი იყო, რომელიც ახალ ნაბიჯზე დადგა პოლემიკაში მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის სმიტისებური განსხვავებულობის წინააღმდეგ. ის მატერიალური დოვლათებისაგან გაარჩევს „შინაგან დოვლათებს, ანუ ცივილიზაციის ელემენტებს“.[1] „ეს კი გულისხმობს მათი განვითარებისათვის ისეთ საშუალებებს, როგორიც არის საზოგადოებრივი დაწესებულებები და სხვ. მაშასადამე, რაც უფრო ცივილიზებულია მოცემული ხალხი, მით უფრო მეტად იზრდება მისი ნაციონალური სიმდიდრე“.[2]

ამნაირად, ჰანრი შტორხის აზრით, სიმდიდრის წარმოება მოითხოვს ადამიანის ფიზიკური და სულიერი უნარის განვითარებას და საზოგადოებრივი დაწესებულებების შექმნას. ამას სჭირდება სახელმწიფო ხარჯები. ამ დარგში მომუშავე მუშაკები მწარმოებელი მუშაკებია და ეს სახელმწიფო ხარჯები მწარმოებლური ხარჯებია: ისინი უშუალოდ ზრდიან სიმდიდრეს.

ვულგარიზატორთა რიცხვს ეკუთვნის ს ე ნ ი ო რ ი, რომელიც ეწინააღმდეგება სმიტს მასში, რომ სამხედრო ხარჯები არამწარმოებლურია. სენიორის აზრით, ჯარისკაციც ისევე ქმნის პროდუქტს, როგორც ის, ვინც ხნავს. ის წერს: „არსებობენ ქვეყნები, სადაც სრულიად შეუძლებელია მიწის დამუშავება ჯარისკაცთა დაცვის გარეშე. სმიტის კლასიფიკაციით, მომკა არ არის საერთო პროდუქტი იმ კაცისა, ვინც ხნავს და იმ კაცისა, რომელიც სამხედრო მოვალეობას ასრულებს: მისი განმარტებით, მხოლოდ სოფლის მუშა არის მწარმოებელი, ხოლო ჯარისკაცის საქმიანობა — არამწარმოებლური“[3].

ეს სწორი არ არის იმიტომ, რომ, სმიტის მიხედვით, ჯარისკაცი დაცვას აწარმოებს და არა პურს და ის, როგორც არამწარმოებელი მუშების უმრავლესობა, ეკუთვნის წარმოების faux frais.

კაპიტალისტურ სახელმწიფო ხარჯთა გამართლებას ემსახურება როსის შეხედულება, რომლის მიხედვით წარმოება არ არსებობს

---

[1] H e n r i S t o r c h, Cours d'économie politique, T. III, 1815, p. 217; К. М а р к с, Теории приб. стоимости, ч. 1, 1954, стр. 260.

[2] იქვე, ტ. I, გვ. 136.

[3] N a s s a u S e n i o r, Principes fondamentaux de l'économie politique, Traduit par Jean Arrivabene, Paris, 1836, 1c., p. 202.

მმართველობის, სამხედრო და სხვა ხარჯთა გარეშე. მისი აზრით, არსებობს წარმოების პირდაპირი და არაპირდაპირი საშუალებები [1].

არაპირდაპირი (წარმოების) საშუალებანი მეტად მრავალრიცხოვანია. მას ეკუთვნის ყველაფერი, რაც წარმოებას მოემსახურება, რაც დაბრკოლებათა მოცილებას ემსახურება, წარმოებას ხდის უფრო ენერგიულს, სწრაფსა და მსუბუქს... მთავრობის ყოველგვარი შრომა წარმოების არაპირდაპირი საშუალებაა... ვინც დაამზადა ეს ქუდი, უნდა იცოდეს, რომ ჟანდარმი, რომელიც ქუჩაში დადის, მოსამართლე, რომელიც სასამართლოში სხდომას ატარებს, საპატიმროს ზედამხედველი, რომელიც დაპატიმრებულ ბოროტმოქმედს ზედამხედველობს, არმია, რომელიც საზღვრებს იცავს მტრის შემოჭრისაგან — ხელს უწყობს წარმოებას" [2].

ვულგარიზატორთა ერთი ნაწილი სახელმწიფო ხარჯებს არ თვლის ფინანსური მეცნიერების შესწავლის საგნად. ამ ჯგუფს შესაძლებელია მიეკუთვნოს კარლ ჰაინრიხ რაუ, რომელიც თავის შრომაში თუმცა სახელმწიფო ხარჯებს საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს, მაგრამ მხოლოდ აღწერითი ფორმით. მას სახელმწიფო ხარჯთა დასაბუთება არ მიაჩნია ფინანსური მეცნიერების საკითხად [3].

ამავე პოზიციაზე დგას ლერუა ბოლიე, რომელიც სახელმწიფო ხარჯებს არ ცნობს ფინანსური მეცნიერების შესწავლის საგნად. იგი ემხრობა შეხედულებას, რომელიც მოითხოვდა საქმეებში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვასა და სახელმწიფო ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას.

რაუსა და ლერუა ბოლიეს შეხედულებას იზიარებდნენ რუსი ფინანსისტები აკად. ი. ი. იანჟული და პროფ. ი. ხ. ოზეროვი.

იანჟულის აზრით, სახელმწიფო ხარჯების განხილვა მეტისმეტად აფართოებს ფინანსური მეცნიერების ფარგლებს და მასში შეაქვს ისეთი საკითხები, რომლებიც სრულიად სხვა მეცნიერების დარგს ეკუთვნიან. მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ხ ა რ ჯ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ მ თ ლ ი ა ნ ა დ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა დ ა მ ი ს მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა თ ა ა რ ს ი ს ც ნ ე ბ ი დ ა ნ, რაც გაპირობებულია სახელმწიფოს ორგანიზაციით, მმართველობის ფორმით, მთავრობის დაწესებულებათა მოწყობილობით, ეკონომი-

---

[1] P. Rossi, Cours d'économie politique, 1842, p. 288.

[2] იქვე, გვ. 273; К Маркс, Теории приб. стоим., ч. I, 1954 г., стр. 268—276.

[3] Karl Heinrich Rau, Lehrbuch der Finanzwissenschaft, Leipzig und Heidelberg, 1872, S. 32-242.

კური პოლიტიკის ამოცანებით და სხვ. და, როგორც ასეთი, მთელი თავისი მოცულობით ეკუთვნის სახელმწიფო ან პოლიციურ სამართალს, რომელთა გამგებლობაშია მოცემული საკითხები, და არამც და არამც — ფინანსურ მეცნიერებას, რომელსაც გამოკვლევის საკუთარ სპეციალური დარგი აქვს... ჩვენ ასევე მთლიანად გამოვრიცხავთ ჩვენი კურსიდან მოძღვრებას სახელმწიფო ხარჯების შესახებ".[1]

ფინანსური მეცნიერება არც ოზეროვის აზრით შეისწავლის სახელმწიფო ხარჯებს. „...საკითხი იმ მიზნების შესახებ, რაზედაც სახელმწიფო და თემები ხარჯავენ თავიანთ საშუალებებს, შეადგენს საგანს მეცნიერებისა მმართველობის შესახებ, ზემოხსენებული ორგანიზაციების მეურნეობრივი საქმიანობის მეორე მხარე შეიცავს ფინანსური მეცნიერების შინაარსს"[2]. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფო ხარჯებში მეტად რელიეფურად ჩანს კაპიტალისტური სახელმწიფოს კლასობრივი, ექსპლოატატორული ბუნება, რისი მიჩქმალვაც შეადგენს აპოლოგეტიკური მიზნებით გამსჭვალული ბურჟუაზიული მეცნიერების ამოცანას.

ფინანსური თეორიის ვულგარიზაციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო ხარჯთა და შემოსავალთა განხილვის გათიშვა, მათი მთლიანობის ანალიზისათვის გვერდის ავლა. ბურჟუაზიულ მეცნიერთა ნაწილი სახელმწიფო ხარჯებს განიხილავს როგორც კოლექტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას. მაგალითისათვის შესაძლებელია დავასახელოთ იტალიელი ფინანსისტი ფრანჩესკო ნიტი და გერმანელი ფინანსისტი კ. ეებერგი.

ფრანჩესკო ნიტის აზრით, ფინანსური მეცნიერება უნდა შეისწავლიდეს სახელმწიფო ხარჯების საკითხსაც, ვინაიდან ეს უკანასკნელი მჭიდრო კავშირშია სახელმწიფო შემოსავალთან. „ამიტომ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დუმილით მიზეზებს, რომლებიც აპირობებენ ცვლილებებს ამ სფეროში".[3]

ნიტის აზრით, სახელმწიფო ხარჯები გამოიყენება სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს მოთხოვნილებები კოლექტიურია.

ფრ. ნიტი ეწინააღმდეგება იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით სახელმწიფო ხარჯების საკითხი შესაძლებელია აინტერესებდეს პოლიტიკას და არა ფინანსურ მეცნიერებას.

---

[1] И. И. Янжул, Основные начала финансовой науки, 1890, стр. 20.

[2] И. Х. Озеров, Основы финансовой науки, в. I, 1909 г., стр. 15.

[3] Франческо Нитти, Основные начала финансовой науки, 1904 г., стр. 14.

ეებერგიც, ისევე როგორც ნიტი, ასაბუთებს, რომ ფინანსური მეცნიერება უნდა შეისწავლიდეს სახელმწიფო ხარჯების საკითხსაც. მისი აზრით, დიდი დანაკლისი იქნებოდა ფინანსური მეცნიერებისათვის „მმართველობის იმ მიზნების სრული უცოდინარობა, რისი გულისთვისაც წარმოებს ფინანსური მეურნეობის მუშაობა. ამიტომ ფინანსური მეცნიერება, ზოგად ხაზებში მაინც, უნდა შეისწავლიდეს საკითხს მოთხოვნილებათა ან ხარჯთა ორგანიზაციის შესახებ".[1] ეებერგის მიხედვით, ეს მოთხოვნილებები და მათ დასაკმაყოფილებლად გაწეული ხარჯები კოლექტიური ხასიათისაა. ადამიანის მრავალფეროვან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელია კოლექტივის ორგანიზებული დახმარების გარეშე, სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის გარეშე, რომლებიც ბატონობენ ტერიტორიასა და მის მცხოვრებლებზე და თავის მხრივ ბადებენ ახალ საზოგადოებრივ ან კოლექტიურ მოთხოვნილებებს"[2].

ამგვარად, ბურჟუაზიულ ფინანსისტთა მეორე ჯგუფმა მიზანშეწონილად ცნო სახელმწიფო ხარჯები ფინანსური მეცნიერების შესწავლის ფარგლებში შეტანილიყო, მაგრამ ამ ხარჯთა არსის გაბუნდოვნებისათვის სხვა ხერხს მიმართა. კაპიტალისტური სახელმწიფო ხარჯები აღიარა კოლექტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებად.

ნამდვილად კაპიტალისტური სახელმწიფო წარმოადგენს კოლექტიურობის სუროგატს, მოჩვენებითს კოლექტიურობას. მარქსის მიხედვით, მოჩვენებითი კოლექტიურობა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელშიც ინდივიდები შედიან როგორც რომელიმე კლასის ინდივიდები და არა როგორც ინდივიდები საერთოდ, ვინაიდან კოლექტიურობის დაპირისპირება ინდივიდებთან აერთიანებს რომელიმე კლასის ინდივიდებს საერთო ინტერესებით სხვა კლასთან დასაპირისპირებლად.

ნამდვილად, კაპიტალისტური სახელმწიფო არ არის კოლექტიურობა და არც მისი სახელმწიფო ხარჯებია კოლექტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალება. სახელმწიფო ხარჯებს კოლექტიურ ხარჯებად გამოცხადებით კაპიტალისტური სახელმწიფოს ხარჯებს ზეკლასობრივი ხასიათი ეძლევა, თითქოს ის გამოიყენება არა მშრომელთა ექსპლოატაციის, არამედ საერთო-სახალხო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებად.

---

[1] K. Th. Eheberg, Finanzwissenschaft, L., 1909, S. 13.

[2] იქვე, გვ. 3.

* *

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია და ფინანსური მეცნიერება უფრო მეტად ვულგარული ხდება. იქმნება თეორიები, რომელთა მიხედვით სახელმწიფო ხარჯები მწარმოებლურ ხარჯებად ცხადდება. მოცემული პერიოდის ბურჟუაზიულ ეკონომისტთა აზრით, სახელმწიფო ხარჯებით, კერძოდ კი სამხედრო ხარჯებით, შესაძლებელია კაპიტალისტური ეკონომიკის რეგულირება, მოსახლეობის გადამხდელუნარიანი მოთხოვნის გადიდება. ასეთ შეხედულებას გამოხატავს ჯონ მეინარდ კეინსის თეორია. მისი აზრით, „გადასაყრელ“ ხარჯებს, რომლებიც იფარება სესხით, შეუძლია საბოლოოდ არანაკლებად გაამდიდროს საზოგადოება. პირამიდების აგებას, მიწისძვრებს, ომსაც კი შეუძლია სიმდიდრის გადიდება“.

„...უმუშევართა დახმარება, რომელსაც აფინანსებენ სესხის ანგარიშით, უფრო ადვილად მიიჩნევა მისაღებად, ვიდრე დანახარჯები მელიორაციაზე, რომლებიც თავს ინაზღაურებენ პროცენტის არსებული ნორმით. ამავე დროს მიწის ორმოების თხრა, რასაც ეწოდება ოქროს მოპოვება, რომელიც არა მარტო არაფერს მატებს მსოფლიოს ნამდვილ სიმდიდრეს, არამედ კიდევ მოითხოვს შრომას, განიხილება, როგორც საუკეთესო ყველა გადაწყვეტილებათა შორის.

ხაზინას რომ აევსო ძველი ბოთლები ბანკნოტებით და დაემარხა შესაბამის სიღრმეზე ქვანახშირის უმოქმედო მაღაროებში, შემდეგ იგი ქალაქის ნაგვით აევსო პირამდე და მიენდო კერძო ინიციატივისათვის laisser faire-ის კარგად ნაცადი პრინციპების საფუძველზე, ამ ბანკნოტების მიწიდან ამოღება (მასთან ასეთი უფლების მიღებისათვის საჭირო იქნებოდა, რასაკვირველია, შესაფერისი იჯარით გაცემულიყო ბანკნოტის მომცემი მოედანი) მოსპობდა უმუშევრობას. და ეს არაპირდაპირად მიგვიყვანდა, ალბათ, საზოგადოების რეალური შემოსავლისა და მისი კაპიტალური სიმდიდრის საგრძნობ გადიდებამდე.

რასაკვირველია, უფრო ჭკვიანური იქნებოდა სახლების აგება და სხვ... ისევე როგორც ომები მსხვილი ხარჯების ერთადერთი ფორმაა უზარმაზარი სესხების ანგარიშით, რომელსაც სახელმწიფო მოღვაწეები გამართლებულად თვლიან, ოქროს ამოღებაც წარმოადგენს ერთადერთ საბაბს მიწის ორმოების სათხრელად, რომელიც

ბანკირების მიერ განიხილება, როგორც ჯანსაღი ფინანსური საწარმო".[1]

გამოდის, რომ ამგვარი ხასიათის სახელმწიფო დაბანდებებსაც შეუძლია ახალი შემოსავლის წარმოშობა. ამ საფუძველზე იზრდება მოსახლეობის გადამხდელუნარიანი მოთხოვნა; ეს უკანასკნელი იწვევს ახალი საწარმოების შექმნას. პირველ რიგში საკვები პროდუქტების, ტანსაცმლისა და სხვ. სამომხმარებლო საშუალებათა წარმოების გაფართოება იწვევს წარმოების საშუალებათა წარმოების გაფართოებას და ა. შ.

კეინსის აზრით, კაპიტალიზმის გადასარჩენად საჭიროა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო აქტიურად ჩაერიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, მისი მიხედვით, დიდ როლს ასრულებს ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს დასაქმების დონეს და შემოსავლის სიდიდეს. ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია შედგება ორი სიდიდისაგან — სამომხმარებლო საქონლის, მომსახურების ხარჯებისა და კაპიტალის დაგროვებასთან დაკავშირებულ მეწარმეთა ხარჯებისაგან.

კეინსი აუცილებლად თვლის იმპერიალისტურ ომებს და დიდი ბიუჯეტური სახსრების გაღებას ომების დასაფინანსებლად. მისი აზრით, დიდ სამხედრო ხარჯებს საერთოდ პარაზიტული მოხმარების გადიდებასთან ერთად შეუძლიათ გამოიწვიონ სამომხმარებლო მოთხოვნის გაფართოება და, მაშასადამე, კრიზისების თავიდან აცილება. ეს შეხედულება მცდარია, რადგან სახელმწიფო ხარჯებს არ შეუძლია ხანგრძლივად გაშალოს წარმოება და დასძლიოს კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობანი; სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირება გამოწვეულია მშრომელთა საცხოვრებელი დონის შემცირებით. კეინსის მიერ წამოყენებული ღონისძიებანი მშრომელთა საცხოვრებელ დონეს კიდევ უფრო ამცირებენ და, ამგვარად, ამცირებენ სამომხმარებლო მოთხოვნასაც. ამიტომ ისინი კრიზისებსა და უმუშევრობას ვერ მოსპობენ.

კეინსი გამოდის კაპიტალიზმის დამცველის როლში. ის ხედავს მხოლოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გარეგნულ გამოვლინებებს, ვულგარულად ხსნის მათ და ვერ დაჰყავს კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობებამდე.

ამერიკელი ეკონომისტი ელვინ ჰარვეი ჰანსენი ქადაგებს ციკლთა ინვენსტიციურ თეორიას. მისი მიზანია კეინსის „რე-

---

[1] Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, 1949 г., стр. 124—125.

გულირებადი კაპიტალიზმის“ თეორიის საფუძველზე გამოძებნოს საშუალებები გამანადგურებელი ციკლური კრიზისების მოსასპობად. ჰანსენი დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს ეკონომიკური ზრდის პროცესში. ციკლური კრიზისების მოსპობის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიაჩნია სახელმწიფო ხარჯები. მან თავის შრომაში[1] სახელმწიფო ხარჯებს მიუძღვნა სპეციალური თავი[2].

ჰანსენის აზრით, სახელმწიფო ხარჯებით, კერძოდ ავტონომიური ინვესტიციებით, შესაძლებელია ნაციონალური შემოსავლის გაფართოება და შემოკლება.

იგი შემოსავალზე სახელმწიფო ხარჯების ზეგავლენის ფორმების მიხედვით არჩევს სახელმწიფო ხარჯებს, რომლებიც სესხებით იფარება, და სახელმწიფო ხარჯებს, რომლებიც გადასახადებით იფარება.

ჰანსენი ამ ურთიერთობას მათემატიკური ფორმულის განტოლების სახით გამოხატავს.

პირველ განტოლებაში გამოყოფილია სახელმწიფო ხარჯები, რომლებიც სესხებით იფარება — L, მასთან აერთიანებს კერძო ინვესტიციებს — I. სახელმწიფო ხარჯთა ეს კატეგორია შესაძლებელია განხილულ იქნეს ალგებრულად, როგორც დადებითი ან უარყოფითი სიდიდე. ის, როგორც დადებითი სიდიდე, როგორც სესხით დაფარულ სახელმწიფო ხარჯთა ჯამი, გამოხატავს ბიუჯეტურ დეფიციტს, როგორც უარყოფითი სიდიდე — გამოხატავს ბიუჯეტურ გარდამეტს.

განტოლებას ექნება შემდეგი სახე: $y=(\mathrm{I}+L)+T(y)+c(y)$. აქედან $(\mathrm{I}+L)$ წარმოადგენს კერძო ინვესტიციებს პლუს ბიუჯეტური დეფიციტი (ან მინუს ბიუჯეტური გარდამეტი). $T(y)$—ეს არის გადასახადურ შემოსულობათა გრაფიკი შემოსავლის სხვადასხვა დონის დროს. ამას ჰანსენი უწოდებს „გადასახადთა გრაფიკს“ ან „გადასახადთა ფუნქციას“.

$c(y)$ არის მოხმარების ფუნქცია. ეს ჰანსენს გამოხატული აქვს დიაგრამით[3].

შემდეგ ჰანსენი განიხილავს სახელმწიფო ხარჯთა დაფინანსების სამ ხერხს: 1) პროპორციული საშემოსავლო გადასახადები, რომ-

---

[1] Alvin H. Hansen, Business Cycles and National Income, N. Y., 1951.

[2] იქვე, თავი XII, „სახელმწიფო ხარჯები, ინვესტიციები და მოხმარება“.

[3] იქვე, ნახ. 57.

ლებსაც იხდის ყველა შემოსავლის მიმღები ისე, რომ შემოსავალთა განაწილება უცვლელი რჩება; 2) პროგრესული საშემოსავლო გადასახადები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება შემოსავლის მიმღებ საშუალო ჯგუფთა ზედა ნაწილს და მდიდარ ჯგუფებს და მით დაზოგვას ამცირებს; 3) დაფინანსება სესხის საშუალებით, რომელიც არ არღვევს ნორმალურ შეფარდებას მოხმარებასა და დაზოგვას შორის. ის, ჰანსენის მიხედვით, ყველა არხს უხსნის დაზოგვას, რომლის გამოყენებაც სურს მოსახლეობას. ამიტომ არ ეხება ის შემოსავლის გამოყენების შესაძლებლობას როგორც მოხმარების, ისე დაზოგვის მიზნით.

ჰანსენი სახელმწიფო ხარჯების გავლენას შემოსავალზე განიხილავს დაფინანსების ამ სამივე წესის პირობებში. ის წერს, რომ შეიცვალა შეხედულება, თითქოს სახელმწიფო ხარჯები ისეთი გადასახადებითაა დაფინანსებული, რომელთაც გავლენა არ შეუძლიათ მოახდინონ შემოსავლის განაწილებაზე, ვერ ასწევენ შემოსავლის დონეს. დღევანდელი შეხედულებით ასეთ ხარჯებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ექსპანსიის მხრივ.

დავუშვათ, ამბობს ჰანსენი, რომ საზოგადოებაში, სადაც შემოსავლის არსებული დონე მუდმივად შენარჩუნებულია, არიან უმუშევრები. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეიქმნა ახალი საწარმოები, რომლებიც ახალ შემოსავალს აძლევენ მუშებსა და აქციონერებს, რომლებიც შემოსავალთა ნაკადში უშუალოდ უკანვე ისვრიან ამ შემოსავლებს. დავუშვათ აგრეთვე, რომ კიდევ დარჩნენ უმუშევრები. წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფომ კიდევ წამოიწყო საზოგადოებრივი სამუშაოები ან შექმნა დაწესებულებანი, რომლებიც მომსახურებას უწევენ საზოგადოებას. აქ ისინი გასცემენ დამატებით შემოსავალს. იგი ემატება შემოსავალთა ნაკადს და იმ ჯამის ტოლი იქნება, რომელსაც მიღებულ მომსახურებაში მოსახლეობა იხდის გადასახადების სახით.

ამ შემთხვევაში მოსახლეობა თავისუფლდება უმუშევართა შენახვის ხარჯებისაგან. დამატებითი შემოსავალი ცოტად თუ ბევრად ნაწილდება მთელ მოსახლეობაზე. ხარჯები აქ იფარება ფასებისა და გადასახადების საშუალებით. იგი საკმარისია მიმდინარე ხარჯების დასაფარავად და არ ეხება საზოგადოების არსებულ მსყიდველობითს უნარს.

სახელმწიფო ხარჯთა დაფინანსების მეორე ხერხის დროს სახელმწიფო ხარჯთა გადიდება იფარება პროგრესული საშემოსავლო გადასახადით. ეს გადასახადი მოხმარებას სუსტად ეხება, დაზოგ-

ვას — უფრო სერიოზულად, ამიტომ აქ კერძო მოხმარების ფუნქცია უფრო ნაკლები ხარისხით იქნება შემცირებული.

მესამე შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხარჯები სესხებით იფარება, მოხმარების ფუნქცია არ მცირდება რაიმე ახალი გადასახადებით. აქ ახალი სახელმწიფო ხარჯები ზრდიან შემოსავალს.

ჰანსენის ვულგარული კონცეფცია სახელმწიფო ხარჯთა და გადასახადთა ბუნებისა და როლის შესახებ მეტად წინააღმდეგობრივია. ბურჟუაზიულ სახელმწიფო ხარჯთა უდიდესი ნაწილი არამწარმოებლურია. ის აკლდება მატერიალურ წარმოების სფეროში მშრომელთა მიერ შექმნილ ნაციონალურ შემოსავალს. უდიდესი ნაწილი მიდის სამხედრო ხარჯებზე. კაპიტალისტურ სახელმწიფოს შემოსავალთა დიდი ნაწილი საბოლოო ანგარიშით (გადაკისრების მხედველობაში მიღებით) ეკისრება მშრომელებს, სახელმწიფო ხარჯთა წყაროდ გამოდის აგრეთვე დამატებითი მოგება.

ჰანსენის კონცეფციის მცდარობა მდგომარეობს იმაში, რომ გადასახადების ანგარიშით დაფარული სახელმწიფო ხარჯები თითქოს იწვევს ნაციონალური შემოსავლის ზრდას, ისევე როგორც ეს შესაძლებელია წარმოების გაფართოებით. როდესაც სახელმწიფო საზოგადოებრივ სამუშაოებს აწყობს ან მომსახურებას ეწევა გადასახადების ანგარიშებით, ამით სახელმწიფო იხდის არა „დამატებით“ შემოსავალს, არამედ ახდენს პირველადი შემოსავლის გადანაწილებას. გადასახადების გზით აკრეფილი ეს გადანაწილებული შემოსავალი არ წარმოადგენს „შემოსავალთა ნაკადის დამატებას“, ვინაიდან სახელმწიფომ იგი უკვე გამოაკლო პირველად შემოსავალს მანამდე, სანამ მას გადაუხდიდა მუშებსა და მოსამსახურეებს. ამის გამო სახელმწიფო მონოპოლისტურ განაწილებას, რომელიც ასე თუ ისე გავლენას ახდენს ციკლის მსვლელობაზე, კრიზისების მოსპობა არ შეუძლია.

რაც უფრო ღრმავდება კაპიტალიზმის კრიზისი, მით უფრო მეტად თხზავენ ბურჟუაზიული ეკონომისტები ახალ თეორიებს კაპიტალიზმის გადასარჩენად. ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს ნეოლიბერალიზმის თეორია, რომელიც აღიარებს თავისუფალ მეწარმეობას, თუმცა არ უარყოფს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას[1] და მონოპოლიების დასაცავად კეინსური პოლიტიკის გატარებას.

„ეკონომიკური ზრდის“ თეორია ეწინააღმდეგება ჯონ მეინარდ კეინსის „სრული დასაქმების პრობლემას“ და სოციალიზმთან ბრძო-

---

[1] იხ. მაგალითად, W. Eucken, Grundsätze der Wirtschaftspolitik, Tübingen, 1956, S. 291.

ლაში მნიშვნელოვნად მიაჩნია ზრდის პრობლემა[1]. ამ უკანასკნელის განსახორციელებლად ის საჭიროდ თვლის სახელმწიფო რეგულირების კეინსური მეთოდების გამოყენებას; რეგულირების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო ხარჯები.

საყურადღებოა აგრეთვე „სოციალურ ღონისძიებათა ხარჯების" თეორია, რომელსაც აყენებს ბურჟუაზიული ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მიმდინარეობა ჯონ გოლბრეითის ხელმძღვანელობით. იგი თავის შრომაში „სიუხვის საზოგადოება"[2] უარყოფს კეინსის „სრული დასაქმების" თეორიას, ნეოკეინსელთა ზრდის ტემპების თეორიას და სხვ. მას საშიშად არ მიაჩნია მასობრივი უმუშევრობა და საჭიროდ არ მიაჩნია სახელმწიფოებრივი რეგულირება დაგროვების გასადიდებლად.

იგი შინაური ბაზრის გაფართოებას ფიქრობს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების გადიდებით. კაპიტალიზმის პოზიციების განმტკიცების მთავარ საშუალებად მიაჩნია სოციალურ-კულტურული ხარჯების გადიდება. მისი შეხედულება გამოხატავს კაპიტალიზმის უპერსპექტივობას — ომით გადაჭრას საკითხი. მისი ეს მოთხოვნილება საერთოდაც განუხორციელებელია, ვინაიდან არ არსებობს ერთიანი ანტიმონოპოლისტური ფრონტი, რომელსაც შეეძლოს რაიმე ზომით ეფექტური გახადოს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა გატარება.

თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების აზრით, სახელმწიფო ხარჯები წარმოადგენენ კაპიტალიზმის გადარჩენის ეფექტურ საშუალებას.

კეინსელთა და მათ მოწინააღმდეგეთა ვულგარული თეორიები ამა თუ იმ ფორმით პირდაპირ ან არაპირდაპირ მაინც დაკავშირებული არიან „სამხედრო ეკონომიკის თეორიასთან", რომელიც ამართლებს გამალებულ შეიარაღებას. ამ თეორიებს კაპიტალისტურ ქვეყნებში პრაქტიკული გამოყენება აქვთ. ისინი საფუძვლად უძევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფინანსურ პოლიტიკას.

---

[1] E. Domar, Essays in the Theory of Economic Growth, N. Y., 1957, p. 18.

[2] L. Galbraith, The Affluent Society. London, 1958.

თავი მესამე

კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავალთა სისტემა

იმ დიდი ხარჯების დასაფარავად, რომლებსაც კაპიტალისტური სახელმწიფო ეწევა, აუცილებელია შესაბამისი ოდენობის ფულადი სახსრები, სახელმწიფო შემოსავალი. კაპიტალისტური სახელმწიფო შემოსავალი მრავალფეროვანია თავისი სახეების, სახსრების მობილიზაციის, ფინანსური მეთოდებისა და წყაროს მიხედვით. იგი შედგება სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებისაგან, ავტონომიური სახელმწიფო საწარმოების შემოსავლებისაგან, მთავრობის ბიუჯეტგარეშე სპეციალური ფონდებისაგან (სოციალური დაზღვევა) და სხვ.

კაპიტალისტურ სახელმწიფოს შემოსავალი აქვს შინაგანი და საგარეო რესურსებიდან. სახელმწიფო შემოსავლის შინაგანი წყაროა მოცემული ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი და ნაციონალური სიმდიდრე. სახელმწიფოს საგარეო შემოსავლის წყაროა სხვა ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი და ნაციონალური ქონება.

სახელმწიფოს შემოსავალთა მთავარი წყაროა ნაციონალური შემოსავალი.

როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის პირობებში ნაციონალური შემოსავალი ნაწილდება ძირითად კლასებს შორის. ესენი არიან მუშები, რომლებიც ღებულობენ ნაციონალური შემოსავლის ნაწილს (v) ხელფასის სახით და წარმოების საშუალებათა მესაკუთრე კლასები — კაპიტალისტები და მიწათმფლობელები, რომლებიც ღებულობენ ნაციონალური შემოსავლის ნაწილს (m) მოგების, სარგებლისა და რენტის სახით. ასე ნაწილდება კაპიტალისტურად წარმოებული ნაციონალური შემოსავალი, მაგრამ, თუ საკითხს მივუდგებით კონკრეტული კაპიტალიზმის თვალსაზრისით და განვიხილავთ კაპიტალისტური ქვეყნის შემოსავალს, დავინახავთ მილიონობით წვრილ საქონლისმწარმოებლებს, რომლებიც მონაწილეო-

ბენ ნაციონალური შემოსავლის შექმნასა და მისი გაკეთეული წილის მითვისებაში. სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ოდენობისაა ნაციონალური შემოსავლის ის წილი, რომელსაც წვრილი საქონლისმწარმოებლები ქმნიან ან, რაც მათ ერგებათ განაწილების შედეგად. მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში ნაციონალური შემოსავლის უდიდესი წილი შექმნილია მუშების მიერ.

ნაციონალური შემოსავლის განაწილების შედეგად მშრომელთა წილი ნაციონალურ შემოსავალში კლებულობს, ხოლო კაპიტალისტთა წილი იზრდება. ასე მაგალითად, მეორე მსოფლიო ომამდე აშშ-ში კაპიტალისტთა წილი შეადგენდა 46, მშრომელთა — 54, ომის შემდგომ წლებში კაპიტალისტთა წილი შეადგენს 58, მშრომელთა — 42.

რამდენადაც წარმოების საშუალებათა მესაკუთრედ ამა თუ იმ ზომით კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გამოდის კაპიტალისტური სახელმწიფოც, განსაკუთრებით ეს შესაძლებელია ითქვას კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიაში, m-ის წილს განაწილების შედეგად კაპიტალისტური სახელმწიფოც ღებულობს.

ამგვარად, კაპიტალისტური ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი ნაწილდება კაპიტალისტებს, მიწათმფლობელებს, კაპიტალისტურ სახელმწიფოს, მუშებსა და წვრილ საქონლისმწარმოებლებს შორის. მაგრამ ნაციონალური შემოსავლის პირდაპირი განაწილების გზით მიღებული სახელმწიფო შემოსავალი მცირეა და ამიტომ ბიუჯეტურ შემოსავალს სახელმწიფო ძირითადად ღებულობს ნაციონალური შემოსავლის გადანაწილების საშუალებით.

ეკონომიკური მეცნიერება შემოსავლებს ყოფს ძირითად და წარმოებულ შემოსავლებად. კაპიტალისტური წარმოების ძირითადი აგენტების: მუშების, კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელების შემოსავალი არის ძირითადი შემოსავალი, ხოლო არაწარმოებრივ სფეროში დასაქმებულთა (ექიმების, ადვოკატების, მოხელეებისა და სხვ.) შემოსავალი არის წარმოებული შემოსავალი. მათი შემოსავალი მიღებულია როგორც გამონაკლები ძირითადი შემოსავლებიდან. ამ პროცესში იქმნება არამშრომელთა შემოსავალი.

მეორე მხრივ, ეკონომიკური მეცნიერება ერთმანეთისგან გაარჩევს პირველად და მეორად შემოსავლებს. პირველად შემოსავლებად მიჩნეულია შემოსავლები, რომლებიც გამოდიან როგორც საქონლის ფასის შემადგენელი ელემენტები იმისაგან დამოუკიდებ-

ლად, ძირითად შემოსავალს მიეკუთვნებიან ისინი თუ წარმოებულს.

ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება ხდება სხვადასხვა გზით, ერთ-ერთია მომსახურების ანაზღაურება. აქ იგულისხმება არაწარმოებრივი სფეროს მუშაკების (მასწავლებლების, არტისტების, ექიმებისა და სხვ.) მომსახურება. წარმოებული შემოსავლები იქმნება ძირითადი შემოსავლების ხარჯვის პროცესში, როდესაც ძირითადი შემოსავლის მიმღები პირები ანაზღაურებენ მათთვის გაწეულ მომსახურებას.

ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება ხდება აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის (პროფკავშირი, ნვბაყოფლობითი ორგანიზაციები და სხვ.) გადახდილი შენატანებით და გადასახდელებით.

ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება ხდება აგრეთვე ფასების საშუალებით. ერთმანეთს არ ემთხვევა საწარმოში შექმნილი წმინდა პროდუქცია და ამ საწარმოს მიერ რეალიზებული წმინდა პროდუქცია. მონოპოლისტური გაერთიანებები ახერხებენ დააწესონ მონოპოლიურად მაღალი ფასები გასაყიდ საქონელზე და დაბალი ფასები — შესასყიდ საქონელზე. ფასების საშუალებით წარმოებს ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება ინფლაციის შემთხვევებში, როდესაც იცვლება ფასთა მასშტაბი და ცალკეულ შემოსავალთა რეალური სიდიდე.

რამდენადაც საქონლის ფასში ჩაერთვის არაპირდაპირი გადასახადები, ამდენად ფასი წარმოადგენს ნაციონალური შემოსავლის განაწილების საშუალებას სახელმწიფოს სასარგებლოდ.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოებული ყველა შემოსავალი ერთნაირი არ არის. როდესაც ძირითადი შემოსავლის მიმღები ნებაყოფლობით ანაზღაურებს მასწავლებლის ან არტისტის მომსახურებას, ამ შემთხვევაში ეს შემოსავალი შრომითი ხასიათისაა. ამისგან არსებითად განსხვავდება წარმოებული შემოსავალი, რომელსაც სახელმწიფო იძულებით იღებს ნაციონალური შემოსავლიდან გადანაწილების საშუალებით.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გვაინტერესებს ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება ფინანსური მექანიზმის საშუალებით, რომლის მთავარი ბერკეტია სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბიუჯეტის მიერ ნაციონალური შემოსავლის წილის ამოღება ხდება ნაციონალური შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების გზით, ძირითადად — გადანაწილებით, რაც ხორციელდება გადასახადების, სახელმწიფო სესხების აღების, ქაღალდის ფულის ემისიის,

სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავლის აღების, მისაგებლებისა და სხვ. მეთოდებით. რამდენადაც სახელმწიფო აწესებს მისაგებლებს როგორც სახელმწიფო ორგანოების მიერ გაწეული მომსახურების საფასურს, რომელსაც მოქალაქე ან ორგანიზაცია იხდის სახელმწიფოს სასარგებლოდ, ამდენად მომსახურების ანაზღაურება წარმოადგენს ნაციონალური შემოსავლის გადანაწილებას სახელმწიფოს სასარგებლოდ.

იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის როლი კაპიტალისტური ქვეყნების ნაციონალური შემოსავლების გადანაწილებაში. ასე მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტმა 1929 წელს გადაანაწილა ნაციონალური შემოსავლის 18,5%, 1967 წელს — 38,6%.

კაპიტალისტური სახელმწიფო შემოსავლის მთავარი წყარო გადასახადებია, რომელთა ხვედრითი წონა სახელმწიფო შემოსავალში 80 პროცენტამდე აღწევს, ინგლისსა და აშშ-ში — 90 პროცენტსაც აღემატება.

გადასახადი კაპიტალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტური შემოსავლის ელემენტარული ფორმაა. კაპიტალიზმის პირობებში ბიუჯეტური შემოსავლის ყველა სახე გადასახადებამდე დაიყვანება, შენიღბულ გადასახადს წარმოადგენს.

სახელმწიფო შემოსავლის დიდ წყაროს წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფო სესხები. მისი საშუალებით იფარება სახელმწიფო ხარჯთა დიდი ნაწილი. პირველი მსოფლიო ომის დროს მეომარ სახელმწიფოთა ხარჯების ოთხი მუხუთედი სახელმწიფო სესხით დაიფარა. მეორე მსოფლიო ომის დროს კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ხარჯები 70%-მდე სახელმწიფო სესხით დაიფარა.

სახელმწიფო სესხები ეხმარება კაპიტალისტებსაც.

როდესაც კაპიტალისტურ წარმოებას არ შეუძლია აითვისოს ყველა თავისუფალი ფულადი სახსარი, რაც განსაკუთრებით იგრძნობა კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის პერიოდში, ფულადი სახსრების ერთი ნაწილი აღარ ფუნქციონირებს როგორც კაპიტალი და არ მოაქვს შემოსავალი მისი მფლობელი კაპიტალისტისათვის. სახელმწიფო სესხი ამ შემთხვევაში დიდ დახმარებას უწევს კაპიტალისტებს, რომლებიც სახელმწიფო სესხის ობლიგაციებში ათავსებენ თავიანთ ნაჭარბ ფულად სახსრებს და სარგებლის სახით მათ სასარგებლოდ გადანაწილდება ნაციონალური შემოსავალი. ეს მოხდება სახელმწიფო გადასახადების საშუალებით, რადგან სახელმწიფო სესხი და მისი სარგებელი გადასახადებით იფარება.

სახელმწიფო შემოსავლის მიღების საშუალებად ხდება აგრეთვე ინფლაცია, რასაც იწვევს სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის

ემისია სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად. როგორც ცნობილია, ხელფასის ზრდა ყოველთვის ჩამორჩება ფასების ზრდას, რაც იწვევს რეალური ხელფასის შემცირებას. ამ ნიადაგზე სახელმწიფო და კაპიტალისტები თავის სასარგებლოდ გადაინაწილებენ ნაციონალური შემოსავლის ნაწილს.

ინფლაციას აძლიერებს სახელმწიფო სესხის ობლიგაციების უზრუნველყოფით ბანკების მიერ ბანკნოტებისა და ჩეკების გამოშვება, რაც გადამეტებულად ავსებს ფულად მიმოქცევას ქაღალდის ფულით. ამას შედეგად მოსდევს ინფლაცია და ფასების ზრდა.

ქაღალდის ფულის გაუფასურება საემისიო გადასახადის სახეს ღებულობს.

სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავალი. სახელმწიფო საწარმოები მრეწველობის, ტრანსპორტისა და კრედიტის დარგში XX ს. 50-იან წლებში ინგლისსა და საფრანგეთში მათი ნაციონალური წარმოების 15—20% შეადგენდა. ამჟამად მისი ხვედრითი წონა კიდევ უფრო გაზრდილია და იგი წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ნაციონალური წარმოების 25%—30% შეადგენს.

სახელმწიფო სამრეწველო-სავაჭრო და სავაჭრო ფისკალური მონოპოლიები არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება.

სახელმწიფო საწარმოთა მონოპოლიური ფასები, რომლებიც თავისუფალ საკონკურენციო ფასებს აღემატებიან, არაპირდაპირი გადასახადებია.

სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი გადასახადის ხასიათისაა იმ შემთხვევაშიაც, როდესაც სახელმწიფო საწარმოები საქონელს ყიდიან თვითღირებულების მიხედვით ან მასზე უფრო დაბლაც, რადგან ისინი დეფიციტს ფარავენ ბიუჯეტიდან, ე. ი. გადასახადების ანგარიშით. სახელმწიფო ქონების შემოსავალი რენტის სახით გვევლინება, როდესაც ქონება სახელმწიფოს გაცემული აქვს იჯარით კერძო პირებზე. თუ სახელმწიფო მას ამუშავებს თავისი მეურნეობრივი ადმინისტრაციის საშუალებით, მაშინ იგი შემოსავალს ღებულობს კაპიტალისტური მოგებისა და რენტის სახით. სახელმწიფოს მიერ მიღებული მოგების ხასიათზე ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ აღებულ რენტას, იგი თავისებური ფორმის გადასახადია.

იგივე ითქმის სახელმწიფო შემოსავლის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც სხვადასხვა მისაგებლისა და მოსაკრებლების სახით გვევლინება. ეს მისაგებლები სპეციფიკური ფორმის არაპირდაპირი გა-

დასახადებია. ამიტომ კაპიტალისტური სახელმწიფო შემოსავლის ყველა სახე პირდაპირ თუ არაპირდაპირ გადასახადად გვევლინება.

სახელმწიფო შემოსავალს ღებულობს აგრეთვე სხვადასხვა ადმინისტრაციული ჯარიმების, კერძო პირთა ქონების კონფისკაციის საშუალებით.

სახელმწიფო შემოსავალს ღებულობს ქონების გაყიდვითაც. კაპიტალისტური სახელმწიფოები ომის დროს მიმართავენ ხოლმე ნაციონალური ქონების ნაწილის გაყიდვას, ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო და სამოქალაქო ქონების მიტაცებას, დაპყრობილი ხალხების სისტემატურ ძარცვას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამშ სხვა ქვეყნებს მიყიდეს სამხედრო ტანსაცმელი და სხვ.

კაპიტალისტური სახელმწიფო შემოსავალს ღებულობს კონტრიბუციებით, დაპყრობილ ხალხებზე შეწერილი ხარკებით და სხვ.

კაპიტალისტური სახელმწიფო შემოსავლის წყაროს წარმოადგენს აგრეთვე თავისი და სხვისი ქვეყნის ნაციონალური სიმდიდრე.

ნაციონალური სიმდიდრე არის მრავალი წლის განმავლობაში შრომით შექმნილი და დაგროვილი მატერიალური დოვლათები და ბუნებრივი რესურსები.

ნაციონალური სიმდიდრე შედგება ნაციონალური ქონებისა და ბუნებრივი სიმდიდრისაგან.

ნაციონალური ქონება არის წარმოების საშუალებები და პირადი და საზოგადოებრივი მოხმარების სფეროში მყოფი ქონება, როგორიცაა: საცხოვრებელი საშუალებები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ძირითადი ფონდები, სამომხმარებლო საქონელთა და პროდუქტთა მარაგი.

ამგვარად, ნაციონალური ქონება მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმოებრივ ფონდებს (ძირითად წარმოებრივ ფონდებს და მატერიალურ მარაგს წარმოებისათვის) და სამომხმარებლო დანიშნულების ქონებას (ძირითად არაწარმოებრივ ფონდებს. საქონელთა და პროდუქტთა მარაგს მოხმარებისათვის და მოსახლეობის საოჯახო ქონებას).

ბუნებრივი სიმდიდრე მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, როგორიც არის მიწის ფონდი, ტყის ფონდი, სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, ჰიდროენერგეტიკული რესურსები.

სახელმწიფო შემოსავლის წყაროდ გამოდის ნაციონალური ქონება, როდესაც სახელმწიფო სხვადასხვა მეთოდებით ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოიღებს არა მოცემული წლის შემოსავალს, როგორც დროის ამ მონაკვეთში შექმნილ ახალ ღირებულებას, არამედ

წარსული შრომით შექმნილ და დაგროვილი ქონების ნაწილს იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვის საკუთრებაშია იგი. ასე მაგალითად, ქონების ხელიდან ხელში გადასვლის გადასახადების, მემკვიდრეობის გადასახადის წყარო არის არა შემოსავალი, არამედ თვით ქონება. იგივეა კერძო პირთა ქონების კონფისკაცია, სახელმწიფო ქონების გაყიდვა, ნადავლი და სხვ. ასეთივეა სამხედრო საჭიროებისათვის ოქროს მარაგის გახარჯვა, საზღვარგარეთ არსებული საწარმოების ან ქონების გაყიდვა, სხვა სახელმწიფოების მიერ მოწოდებული სტრატეგიული საქონლის გამოყენება და სხვ.

ამგვარად, კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავალი წარმოადგენს ნაციონალური შემოსავლისა და ქონების განაწილებასა და გადანაწილებას, ძირითადად გადანაწილებას; რამდენადაც კაპიტალისტური სახელმწიფო ამა თუ იმ ზომით თუ მასშტაბით გამოდის წარმოების საშუალებათა მესაკუთრედ, ის კაპიტალისტებთან ერთად ინაწილებს შექმნილ ნაციონალურ შემოსავალს. აქ კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავალი მიიღება როგორც პირველადი ვანაწილება. რამდენადაც კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავლის მიღების სხვადასხვა მეთოდები ეხება განაწილებულ ნაციონალურ შემოსავალს და ცვლილებები შეაქვს არსებულ განაწილებაში, ამდენად სახელმწიფო შემოსავალი მიღებულია გადანაწილებით. კაპიტალისტური სახელმწიფო შემოსავლის უდიდესი ნაწილი გადანაწილების გზით მიიღება.

კაპიტალისტური სახელმწიფო შემოსავლის ნამდვილი წყარო, რამდენადაც ის ძირითადად ემყარება ქვეყნის ნაციონალურ შემოსავალს, არის (v-სა და m-ის) ხელფასისა და მოგების, სარგებლისა და რენტის ნაწილები. ხელფასიდან გადახდილი გადასახადები რჩება ხელფასზე და წარმოადგენს ხელფასის შემცირებას გადასახადის მთელი ჯამით. მოგება, სარგებელი და რენტა თავიდან იცილებს გადასახადების დიდ ნაწილს გადაკისრების გზით. ექსპლოატატორულ კლასებს მათ მიერ გადახდილი გადასახადების დიდი ნაწილი ფასთა მექანიზმის საშუალებით გადააქვს ხელფასზე. ამგვარად, მუშათა კლასი იხდის არა მარტო მათზე შეწერილ გადასახადებს, არამედ ექსპლოატატორების მიერ გადახდილი გადასახადების დიდ ნაწილსაც.

გადასახადები მძიმე ტვირთად ეკისრება აგრეთვე გლეხებსა და საერთოდ საქონლის წვრილმწარმოებლებს, გადასახადები ამცირებენ მათი შემოსავლების ნომინალურ და რეალურ სიდიდეს.

ამგვარად, კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავალი გამოხა-

ტავს ექსპლოატაციისა და დამატებითი ექსპლოატაციის ურთიერთობას არა მარტო იმიტომ, რომ გადასახადების უდიდესი ნაწილის მზიდველნი არიან მუშები (გადასახადები ხელფასზე) და გლეხები (გადასახადები მათ შემოსავალზე), არამედ იმიტომაც, რომ გადასახადების ის ნაწილიც, რომლის თავიდან მოშორებას ვერ ახერხებენ ექსპლოატატორები და რჩება m-ის წილად, ექსპლოატაციის შედეგად არის მიღებული.

„ყ ო ვ ე ლ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რადაც არ უნდა ნაწილდებოდეს — კაპიტალისტის მოგებად, მიწის რენტად, გადასახადად და სხვ., — არის გ ა დ ა უ ხ დ ე ლ ი შ რ ო მ ა...

ეს გადაუხდელი შრომა არის ძირითადად ის, რითაც ცხოვრობს საზოგადოების ყველა არამშრომელი წევრი. იმით იხდიან სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებს, რომლებიც კაპიტალისტთა კლასს ეკისრება, მიწათმფლობელთა მიწის რენტას და სხვ. მასზეა დამყარებული მთელი არსებული საზოგადოებრივი წყობა“.[1]

გადასახადები ერთი მხრივ პირდაპირ ბეგრავს ხელფასს და მაშასადამე, ამცირებს გადახდილი შრომის წილს, მეორე მხრივ, გადაუხდელი შრომის მიმთვისებელნი მშრომელებზე გადასახადების გაღაკისრების საშუალებით კვლავ ამცირებენ გადახდილი შრომის წილს.

ამგვარად, კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავალი გამოხატავს ძირითადი და დამატებითი ექსპლოატაციის ურთიერთობას. კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავალი ძირითადი ექსპლოატაციის ურთიერთობას შეიცავს, რამდენადაც ის ითვისებს ნაციონალური შემოსავლის წილს როგორც წარმოების საშუალებათა მესაკუთრე (სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა არსებობის პირობებში) და რამდენადაც სახელმწიფო შემოსავალი მიღებულია გადაუხდელი შრომის მიმთვისებელთა შემოსავლიდან და ქონებიდან.

კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავალი ექსპლოატაციის დამატებით ურთიერთობას გამოხატავს. რამდენადაც სახელმწიფოს შემოსავალი მიიღება ექსპლოატირებულთა შემოსავლიდან, კაპიტალისტური სახელმწიფო გადასახადებით ბეგრავს ხელფასს, ხოლო, რამდენადაც ექსპლოატატორული კლასები თავიანთი გადასახადების ნაწილს აკისრებენ მშრომელებს, ამდენად გადასახადებით კვლავ იბეგრება ხელფასი.

კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავალი ექსპლოატაციის

---

[1] K. Marx, F. Engels, Werke, 1962, Bd. 16, S. 212, 228.

დამატებით ურთიერთობას გამოხატავს იმ მხრივაც, რომ კაპიტალისტური სახელმწიფო ამ შემოსავლის უდიდეს ნაწილს იყენებს მშრომელთა წინააღმდეგ — ხარჯავს იმპერიალისტური ომების საწარმოებლად და ექსპლოატატორული სახელმწიფო აპარატის განსამტკიცებლად.

ამნაირად, კაპიტალისტური სახელმწიფო შემოსავალი ძირითადად გამოხატავს ექსპლოატაციის დამატებითს ურთიერთობას.

თავი მეოთხე

კაპიტალისტური გადასახადების არსი

1. გადასახადის ცნება

შემოსავლის იმ წყაროებს შორის, რომლებითაც კაპიტალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი იკვებება, მთავარი ადგილი გადასახადებს უჭირავს. სახელმწიფო შემოსავლის რიგი სხვა წყაროებიც აქვს თუ იმ ზომით ან ფორმით შენიღბულ გადასახადებს წარმოადგენენ.

გადასახადი კაპიტალიზმის პირობებში, პირველ ყოვლისა, არის განაწილებისა და გადანაწილების გზით მიღებული ნაციონალური შემოსავლისა და სიმდიდრის წილი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების, როგორც გაბატონებული კლასის აპარატის, გარკვეულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს იმისაგან დამოუკიდებლად, თუ როგორია ექსპლოატატორული სახელმწიფოს მმართველობის ფორმა (მონარქიული თუ კონსტიტუციური) და აგრეთვე იმისაგან დამოუკიდებლად, თუ როგორ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს— როგორც გაბატონებული კლასის პირდაპირი დაფინანსებისა თუ როგორც გაბატონებული კლასისათვის საექსპლოატაციო პირობათა შექმნისა და უზრუნველყოფის საშუალება.

ამ საზოგადოების სიმდიდრე საქონლურ-ფულადი ხასიათისაა. ამიტომ სიმდიდრის ის ნაწილიც, რომელიც გადასახადის ფორმას ღებულობს, იმავე თვისების მატარებელია. კაპიტალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროები წარმოადგენენ შენიღბულ თუ შეუნიღბავ გადასახადთა უზარმაზარ გროვას, ცალკეული გადასახადი კი მის ელემენტარულ ფორმას. ამიტომ სახელმწიფო შემოსავალთა ანალიზი უნდა იწყებოდეს გადასახადის ანალიზით.

გადასახადი არის სახელმწიფო ხელისუფლების საარსებო წყარო; იგი არამწარმოებლური კლასების არსებობის საშუალებაა.[1]

---

[1] „გადასახადი ანუ არამწარმოებლური კლასების არსებობა". კ. მარქსი. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", სამზადისი ნაშრომი „Большевик" № 15. 1932 წ., გვ. 56.

კაპიტალისტური სახელმწიფო გაბატონებული კლასის ორგანიზაციაა და იცავს მის ინტერესებს. ამიტომ სახელმწიფო გადასახადები ამ კლასების არსებობის საშუალებაა. გადასახადებით ინახავენ სახელმწიფო აპარატს, უზრუნველყოფენ თავიანთი ინტერესების გატარებას.

გადასახადები წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ეკონომიკურ საფუძველს [1]. სახელმწიფო ეწევა ხარჯებს გადასახადების ანგარიშით. გადასახადები ნაციონალური შრომის წილია.

სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერე დამოკიდებულია გადასახადებზე, კერძოდ კი — გადასახადების სიდიდეზე. „ძლიერი მთავრობა და დიდი გადასახადები — იდენტური ცნებებია".

გადასახადები კაპიტალიზმის პირობებში წარმოადგენენ ექსპლოატაციის ფორმას. გადასახადი არის ზედმეტი ღირებულების წილი, რამდენადაც იგი კაპიტალისტურ კლასებს ეხება; ის გადაუხდელი შრომის წილია.

„გადასახადი არის აუცილებელი ღირებულების წილი, რამდენადაც მით სამუშაო ხელფასი იბეგრება ან რამდენადაც სხვა კლასები გადასახადებს პროლეტარიატს აკისრებენ ან გადმოაკისრებენ; აქ გადასახადი გადახდილი შრომის წილს ამცირებს და ამ ზომით ფორმალურად უკვე გადახდილ შრომას ფაქტიურად გადაუხდელად აქცევს. ყ ო ვ ე ლ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რადაც არ უნდა ნაწილდებოდეს — კაპიტალისტის მოგებად, მიწის რენტად, გადასახადად და სხვ., არის გ ა დ ა უ ხ დ ე ლ ი შ რ ო მ ა" [2].

მონტალამბერის „არგუმენტაცია საოცრად მარტივი იყო: გადასახადი ეს გახლავთ დედის ძუძუ, რომელიც კვებავს მთავრობას, მთავრობა რეპრესიების იარაღია, ესაა — ავტორიტეტის ორგანოები, ესაა — არმია, ესაა — პოლიცია, ესაა მოხელეები, მოსამართლეები, მინისტრები, ესაა — მ ღ ვ დ ლ ე ბ ი" (კ. მ ა რ ქ ს ი, კლასთა ბრძოლა საფრანგეთში, კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1963, გვ. 226).

„გადასახადები წარმოადგენენ სახელმწიფოს ეკონომიკურად გამოსახული არსებობის საფუძველს. მოხელეები და ხუცესები, ჯარისკაცები და ბალეტის მოცეკვავე ქალები, სკოლის მასწავლებლები და პოლიციის მაძებარნი, ბერძნული მუზეუმები და გოთური კოშკები, ცივილური ფურცელი და რანგების ცხრილი — ერთი საერთო თესლი, რომელშიც ყველა ეს ზღაპრული ქმნილება ემბრიონალურად ოფლშია, არის — გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი". (K. M a p x, F. E n g e l s, Werke, Bd. 4. 1959. S. 348—349.)

[2] „ეს გადაუხდელი შრომა არის ის, რითაც ცხოვრობს საზოგადოების ყველა არამშრომელი წევრი. იმისაგან ცხდიან სახელმწიფო და კომუნალურ გადასახადებს, რომლებიც ეკისრება კაპიტალისტთა კლასს, მიწათმფლობელთა მიწის რენტას და სხვ. მასზეა დამყარებული მთელი არსებული საზოგადოებრივი წყობა" (იქვე, გვ. 238).

გადასახადი კაპიტალიზმის პირობებში მუშათა ექსპლოატაციას ზრდის და ამდენად იგი ექსპლოატაციის დამატებით ურთიერთობას წარმოადგენს. მარქსი ამბობს, რომ ექსპლოატატორული სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმები მუშათა კლასისათვის მატერიალურად უშუალოდ გადასახადების ფორმით არსებობენ.

ამგვარად, გადასახადის წყაროს წარმოადგენს ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა და ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, გლეხებისა და ხელოსნების შემოსავალი.

გადასახადის წყაროს წარმოადგენს ზედმეტი ღირებულება, რამდენადაც გადასახადებით დაბეგრილია ზედმეტი ღირებულების გამოვლინების სხვადასხვა ფორმები: მოგება (სამრეწველო, სავაჭრო), სარგებელი და რენტა და რამდენადაც ამ შემოსავალთა მიმღებნი ვერ ახერხებენ გადასახადების გადაკისრებას. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ისინი გადასახადებს თავს არიდებენ და შეწერილი გადასახადების ნაწილს მშრომელ კლასებს აკისრებენ.

გადასახადების წყაროს წარმოადგენს აუცილებელი ღირებულება. რამდენადაც გადასახადებით დაბეგრილია ხელფასი პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით და დაბეგრილია გლეხობისა და ხელოსნების შემოსავალი.

გადასახადი ექსპლოატაციის ძირითადი ფორმა არ არის; ის არ არის, როგორც მარქსი ამბობს, „თანამედროვე ხალხის სიღატაკის მთავარი მიზეზი". ის არის ექსპლოატაციის დამატებითი ფორმა, რომელიც აძლიერებს დაქირავებული მუშების, გლეხებისა და ხელოსნების ჩაგვრას; იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს „სიმდიდრის კაპიტალიზაციისა და მასების ექსპროპრიაციის საქმეში"[1].

გადასახადი არის ზედმეტი ღირებულების გარდაქმნილი ფორმა. მაგრამ იგი განსხვავდება ზედმეტი ღირებულების სხვა გარდაქმნილი ფორმებისაგან (მოგების, სავაჭრო მოგების, სარგებლის, რენტისა და სხვ.).

მოგებაც განსხვავდება სარგებლისაგან, რენტისაგან, მაგრამ გადასახადი უფრო მეტად განსხვავდება მათგან და ეს განსხვავება უფრო სხვა ხასიათისაა, ვიდრე მოგების, სარგებლის და რენტის ურთიერთგანსხვავება.

გადასახადი, როგორც ზედმეტი ღირებულების გარდაქმნილი ფორმა, არ მიიღება იმავე გზით, რა გზითაც მიიღება ზედმეტი ღირებულების სხვა გარდაქმნილი ფორმები (მოგება, სარგებელი, რენტა და სხვ.).

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1954 გვ. 949.

წარმოებული ზედმეტი ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი გარდაიქმნება მოგებად კაპიტალისტისათვის.

კაპიტალიზმის პირობებში გადასახადი წარმოებისათვის არამწარმოებლური, შემთხვევითი და არაუცილებელი ხარჯია. კაპიტალისტური წარმოება არ არის შეპირობებული გადასახადით;

გადასახადი მისთვის იმანენტური ფორმა არ არის. ამის დასასაბუთებლად მარქსი ამბობს, რომ მთელი არაპირდაპირი გადასახადები პირდაპირებად რომ გარდაქმნათ, გადასახადების გადახდა მაინც დარჩება, მხოლოდ შეიცვლება ის, რომ გადასახადი აღარ იქნება კაპიტალის ავანსად გაცემა, ის იქნება შემოსავლის დახარჯვა. მარქსის აზრით, ფორმის ასეთი გარდაქმნის შესაძლებლობა ამჟღავნებს, რომ გადასახადი „კაპიტალისტური წარმოების პროცესისათვის წარმოადგენს გარეგნულს, განურჩეველს და შემთხვევითს“ [1].

გადასახადი, ისევე როგორც რენტა, პირდაპირ საქონლის მიმოქცევიდან არ გამომდინარეობს[2]. გადასახადი არ ზრდის ღირებულებას, მას შეუძლია გაზარდოს მხოლოდ ფასი. გადასახადების გადაკისრებას არ შეუძლია შექმნას ღირებულება, მაგრამ მას შეუძლია ცვლილებები შეიტანოს შექმნილი ღირებულების განაწილებაში.

2. გადასახადების გადაკისრება

გადასახადების გადაკისრების დროს უნდა გავარჩიოთ სხვადასხვა რიგის შემთხვევები: 1. გადასახადების გადაკისრება განივთებული შრომის საგნების ყიდვა-გაყიდვის დროს; 2. გადასახადების გადაკისრება ცოცხალი სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის დროს; 3. გადასახადების დაკისრება-გადაკისრება როგორც წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაცია გლეხობისა და ხელოსნების მიმართ.

გადასახადების გადაკისრება ხორციელდება საქონელთა ყიდვა-გაყიდვის დროს. „როდესაც ერთმანეთზე იცვლება თანასწორი ღირებულების საქონელი ან საქონელი და ფული, ე. ი. ეკვივალენტები, მაშინ, ცხადია, საქონლის მიმოქცევიდან ვერავინ ვერ მიიღებს იმაზე მეტ ღირებულებას, რაც მას ამ მიმოქცევაში შეაქვს. ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს ზედმეტი ღირებულების შექმნას. საქონ-

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. IV, стр. 136, 137.

[2] „ისინი აწესრიგებენ იმ გადასახადებსაც, რომელნიც არ გამომდინარეობენ პირდაპირ საქონლის მიმოქცევიდან, როგორც, მაგალითად, გადასახადი, რენტა და ა. შ.“ კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 181.

ლის მიმოქცევის პროცესი კი თავისი წმინდა სახით მხოლოდ ეკვივალენტების გაცვლას გულისხმობს. მაგრამ სინამდვილეში ეს პროცესი წმინდა სახით არ მიმდინარეობს.

არაეკვივალენტების გაცვლის დროს წარმოვიდგინოთ, რომ საქონლის გამყიდველს შეუძლია საქონლის ფასში გადასახადი შეიტანოს და იგი მის ღირებულებაზე მაღლა გაყიდოს, ვთქვათ, 100-ად ღირებული საქონელი გაყიდოს 110-ად, ე. ი. ფასზე 10%-ის ნომინალური დარიცხვით. ამნაირად, გამყიდველი იღებს ზედმეტ ღირებულებას, რომელიც 10-ს უდრის. ყოფილი გამყიდველი მყიდველი ხდება. მას ახლა მესამე საქონლის მფლობელი უპირდაპირდება, როგორც გამყიდველი, რომელიც თავის მხრივ გადასახადის გადაკისრების გამო საქონელს 10%-ით ძვირად ყიდის. ამგვარად, მან როგორც გამყიდველმა, ზედმეტად მიღებული 10 დაიბრუნა, როგორც მყიდველმა. „საერთოდ, მთელი ეს ამბავი ფაქტიურად იმით თავდება, რომ ყველა საქონელმფლობელი თავის საქონელს ღირებულებაზე 10%-ით მეტად ყიდის, რაც სავსებით იგივეა, მათ რომ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით გაეყიდათ. საქონელთა ფასებზე ამგვარ საყოველთაო ნომინალურ წანამატს ისეთივე შედეგი მოსდევს, როგორიც, მაგალითად, საქონელთა ღირებულების შეფასებას ოქროს ნაცვლად ვერცხლით. ფულადი სახელწოდებანი, ე. ი. საქონელთა ფასები, გაიზრდებოდა, მაგრამ საქონელთა ღირებულებითი შეფარდებანი უცვლელი დარჩებოდა“[1].

წარმოვიდგინოთ უკუგადაკისრების შემთხვევა. მყიდველი აკისრებს გადასახადს გამყიდველს. მყიდველი ახერხებს საქონელი მის ღირებულებაზე ნაკლებ შეიძინოს. მაგრამ ეს მყიდველი ხომ გამყიდველად გადაიქცევა ან უკვე იყო გამყიდველი, სანამ მყიდველი გახდებოდა. მაშასადამე, ის როგორც გამყიდველი, დაკარგავს 10%-ს ან უკვე დაკარგული აქვს 10%. მდგომარეობა უცვლელი რჩება.

3. გადასახადი და ხელფასი

როგორც ნათქვამი იყო, გადასახადები გადაიხდება არა მარტო ზედმეტი ღირებულებიდან, არამედ აუცილებელი ღირებულებიდანაც. მაშასადამე, მუშათა კლასი გადასახადებს იხდის არა მარტო იმ მხრივ, რომ ზედმეტი ღირებულების მიმთვისებელთა კლასები მათგან აღებული ზედმეტი ღირებულების ერთ ნაწილს სახელმწიფოს უთმობენ გადასახადის სახით, არამედ იმ მხრივაც, რომ გადასა-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ I, გვ. 206, 1954.

ხადების, განსაკუთრებით არაპირდაპირი გადასახადების უმრავლესობა, მეტისმეტად ამცირებს ხელფასს.

რიკარდო ფიქრობდა, რომ გადასახადები ხელფასიდან არ გადაიხდება, რადგან ეს უკანასკნელი განისაზღვრება ფიზიოლოგიური მინიმუმით. ამიტომ ამ მინიმუმის ქვევით სამუშაო ხელფასის ყოველგვარი შემცირება გაახშირებს სიკვდილიანობას მუშათა მასებში, შეამცირებს მათ ქორწინებათა რიცხვს და საბოლოოდ შეამცირებს მუშათა კლასის, როგორც სამუშაო ძალის მიმწოდებლის აღწარმოებას. ეს გარემოება საშუალებას მისცემს მუშათა კლასს გადასახადები გადააკისროს კაპიტალისტთა მოგებას.

მარქსი უარყოფს ხელფასის განსაზღვრაში ფიზიოლოგიურ მინიმუმს. კულტურული მოთხოვნილებები ელასტიკურია და ზემოქმედების ფართო გასაქანს აძლევენ გადასახადებს ხელფასის შესაკუმშავად.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში დამქირავებელნი მუშათა დამატებითი ექსპლოატაციის ერთ-ერთ საშუალებად იყენებენ არაპირდაპირ გადასახადებს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება მუშათა კლასს.

შეუძლია თუ არა მუშებს გადასახადები სხვებს გადააკისრონ? გადასახადების გადაკისრება ხორციელდება ფასების საშუალებით, სადაც იმარჯვებს მხარე, რომელიც ეკონომიკურად ძლიერია. აუცილებელი მოთხოვნილების საგნებზე გადასახადების დადება, რომელთა შემოკლება და გვერდის ავლა არ შეიძლება, ნიშნავს მომხმარებელთა მხრივ გადასახადების მიღებას. მომხმარებლებზე გადასახადების გადაკისრება. რამდენადაც მომხმარებელთა უმრავლესობას მუშები შეადგენენ, ნიშნავს გადასახადების გადაკისრებას მოგებიდან ხელფასზე.

ხელფასზე გადმოკისრებული გადასახადების უკანვე გადაკისრება შესაძლებელია ხელფასის გადიდების გზით. მაგრამ აქ უძლეველ დაბრკოლებად აღიმართება მის წინ კაპიტალისტური წარმოებისა და ბაზრის მექანიზმის პირობები, რომლებიც მუშებს ხელფასის გაზრდის საშუალებას ართმევენ. კაპიტალისტური წარმოების აუცილებელი თანამგზავრი, პროლეტარიატის სარეზერვო არმია, ერთგვარ დაწოლას ახდენს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა ხელფასზე და საშუალებას ართმევს მუშებს საბაზრო ბრძოლაში გადასახადები სხვებს გადააკისრონ. კიდევ მეტი, ის ამცირებს მათ ხელფასს მინიმუმამდე. ამასთანავე, კაპიტალისტურ წარმოებაში ხდება სამუშაო ძალის აღწარმოება არა მარტო პროლეტარიატის მხრივ, არამედ გლეხებისა და ხელოსნების მხრივადაც. ამიტომ ხელფასზე დაკის-

რებული გადასახადები ისევ მუშებმა უნდა ზიდონ და სხვებს ვერ გადააკისრებენ.

საბაზრო ჭიდილში მუშათა კლასი, როგორც სამუშაო ძალის გამყიდველი, ეკონომიკურად სუსტია კიდევ იმიტომ, რომ მისი საქონელი — სამუშაო ძალა ლოდინს ვერ ითმენს და მოითხოვს მალე გაყიდვას.

ჩამოთვლილი მიზეზების გამო, მუშათა კლასი გადასახადების გადაკისრებაში უძლურია. ამიტომ გადასახადის ტვირთის უდიდესი ნაწილი მას ეკისრება და მასზევე რჩება. „...გადასახადის გაუქმებას, — წერს მარქსი, — მუშისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, მაგრამ ყოველი ახალი გადასახადის შემოღება მავნებელია მისთვის სანამ ხელფასის მინიმუმი უკანასკნელ საფეხურამდე არ დაცემულა"[1].

4. გადასახადი და მოგება

გადასახადები ეხება კაპიტალისტებსაც, იბეგრება მოგებაც. მაგრამ ამ დაბეგვრას უმეტესად ფორმალური ხასიათი აქვს. კაპიტალისტები ახერხებენ გადასახადებს გვერდი აუარონ; ისინი ცდილობენ, რომ გადასახადები მათ ან არ შეეხოს და ან მათი დიდი ნაწილი გადააკისრონ სხვებს, პირველ რიგში — მშრომელებს. მარქსი თავის დროზე აკრიტიკებდა შეხედულებას, რომელიც ამტკიცებდა, რომ საშემოსავლო გადასახადი ბეგრავს მოგებას და არ ეხება ხელფასს. მოგება რომ უვნებელი გახადოს, ამისათვის კაპიტალისტის ხელში არის ხელფასის შემცირება ან ფასების გადიდება. მარქსი წერდა: „გადასახადი ხორცსა და ნაფქვავზე უშუალოდ ეკისრება ხელფასს, საშემოსავლო გადასახადი კი — კაპიტალის მოგებას. ეს მეტად წააგავს სიმართლეს, არა, ბ-ნო კონსისტორიის მრჩეველო? მაგრამ კაპიტალისტები არ დაუშვებენ თავიანთი მოგების ასე დაუსჯელად დაბეგვრას. ეს თვით კონკურენციას სდევს თან. საშემოსავლო გადასახადის შემოღებიდან რამდენიმე თვის გავლის შემდეგ ხელფასი შემცირდებოდა იმდენადვე, რამდენადაც მან ფაქტიურად მოიმატა ხორცსა და ნაფქვავზე გადასახადის გაუქმებისა და ამით გამოწკეული საარსებო საშუალებების ფასების შემცირებით.

---

[1] ფინანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში. ქრესტომათია შეკეთილი ვ. ჩანტლაძის მიერ, 1965 წ., გვ. 166.
„ყოველი ახალი გადასახადი პროლეტარიატს ერთი საფეხურით აქვეითებს; ძველი გადასახადის გაუქმება ზრდის არა ხელფასს, არამედ მოგებას" (იქვე, გვ. 259).

ხელფასის დონე გამოხატულია არა ფულში, არამედ მუშისათვის საჭირო საარსებო მოთხოვნილებებში, ე. ი. **რეალური** და **არა ნომილური** ხელფასის დონე დამოკიდებულია მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობაზე. საგადასახადო სისტემის შეცვლას შეუძლია მხოლოდ ერთი წამით განაპირობოს დარღვევა, მაგრამ ხანგრძლივად ვერაფერს შეცვლის.

საშემოსავლო გადასახადის ერთადერთი ეკონომიკური უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ მისი გადახდევინება უფრო იაფ ჯდება"[1].

რის გადაკისრებასაც კაპიტალისტები ვერ ახერხებენ, ამას ბიუჯეტური ხარჯების გზით სახელმწიფო უკანვე უბრუნებს მათ. კაპიტალისტები სწორედ გადასახადების საშუალებით უზრუნველყოფენ თავისთვის მაღალი მოგების მიღებას. კაპიტალისტები ღებულობენ სამხედრო შეკვეთებს, რაშიც ხაზინა უხვად უხდის. ისინი აგებენ ხშირად სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ბაზებს, ქარხნებს, რკინიგზებს და მთავრობას აბარებენ მაღალ ფასებში.

კაპიტალისტები აწვდიან სახელმწიფოებს მანქანებს, მოწყობილობას სახელმწიფო საწარმოთა მშენებლობისათვის. სახელმწიფოები მონოპოლიებს აწვდიან დეფიციტურ ნედლეულსა და მასალებს. მონოპოლიები დაბალ ფასებში იძენენ სახელმწიფო საწარმოებს. კაპიტალისტებმა რომ ქვეყნის შიგნით მაღალი ფასები დააწესონ სახელმწიფო ეხმარება მათ მაღალი შემოსაზიდი ბაჟების შემოღებით. სახელმწიფო ხშირად უკანვე უბრუნებს გადახდილ გადასახადებს.

სახელმწიფო გადასახადების საშუალებით ეწევა წვრილ და საშუალო ბურჟუაზიის მოგებათა გადანაწილებას მონოპოლიების სასარგებლოდ.

მსხვილი საწარმოები რეალურ ხელფასს ამცირებენ, შრომის ინტენსივობას ზრდიან. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საგადასახადო სისტემა ნაციონალურ შემოსავალს გადაანაწილებს მონოპოლიების სასარგებლოდ. გადასახადები ხელს უწყობენ კაპიტალის ცენტრალიზაციას.

5. გადასახადი და რენტა

რამდენადაც საკითხი მხოლოდ დიფერენციულ რენტას შეეხება. უნდა აღინიშნოს, რომ მიწათმოქმედებაზე გადასახადების დაკისრე-

[1] K. Marx, F. Engels, Werke. Band 4, 1959, S. 194, 198—199. ფინანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში, ქრესტომათია შედგენილი ე. ჩანტლაძის მიერ, 1965, გვ. 147—148.

ბაა, მის თანაბრად თუ არათანაბრად განაწილებას, შეუძლია შეცვალოს რენტის სიდიდე სხვადასხვა მიმართულებით. თუ გადასახადი ამცირებს უთანასწორობას პროდუქტში, მაშინ რენტა მცირდება, თუ გადასახადი, პირიქით, ზრდის ამ უთანასწორობას, მაშ-ნ რენტა იზრდება. თუ გადასახადი უცვლელს ტოვებს ამ უთანასწორობას, მაშინ რენტაც უცვლელი რჩება და გადასახადი გადაეკისრება მომხმარებელს. ამის შესახებ მარქსი წერს:

„...რიკარდო მართალია ქვემოდმოყვანილ დებულებაში, რამდენადაც ეს დებულება დიფერენციული რენტით არის შემოფარგლული.

„ყველაფერს, რაც ამცირებს განსხვავებას პროდუქტში, რომელიც იმავე ან ახალ მიწაზე არის მიღებული, რენტის შემცირების ტენდენცია აქვს; და ყველაფერი, რაც ამ განსხვავებას ადიდებს, აუცილებლად წარმოშობს საპირისპირო მოქმედებას და მას რენტის გადიდების ტენდენცია აქვს“ (გვ. 74).

ამ მიზეზების რიცხვს ეკუთვნის არა მარტო საერთო მიზეზები (ნაყოფიერება და ადგილმდებარეობა), არამედ აგრეთვე:

I. გადასახადის განაწილება იმის მიხედვით, მოქმედებს იგი თანაბრად თუ არა; უკანასკნელს ყოველთვის ადგილი აქვს, როდესაც გადასახადი, როგორც, მაგალითად, ინგლისში, ცენტრალიზებული არაა და როდესაც მას მიწაზე იღებენ და არა რენტაზე“[1].

სულ სხვა მდგომარეობა იქმნება, როდესაც გადასახადით იბეგრება თვითონ რენტა და არა მიწა.

აქ არის რამდენიმე შემთხვევა. გავარჩიოთ თითოეული მათგან.

ვთქვათ, მოცემულია ოთხი კატეგორიის მიწა: A, B, C და Д ვთქვათ A არის უცუდესი მიწა და 100 მან. დანახარჯზე იძლევა 1 ცენტნერს, რომელიც ღირს 120 მანეთი; ამგვარად, მოგება შეადგენს 20 მანეთს.

ვთქვათ, B იძლევა 2 ცენტნერს, მაშასადამე, იძლევა 240 მანეთს. ამგვარად, მოგება უდრის 140 მანეთს (240—100), ანუ 120 მანეთიან დამატებით მოგებას (140—20).

ვთქვათ C იძლევა 3 ცენტნერს. მაშასადამე, იძლევა 360 მანეთს, ამგვარად, მოგება უდრის 260 (360—100), ანუ დამატებით მოგებას 240 (260—20).

ვთქვათ, D იძლევა 4 ცენტნერს, მაშასადამე, იგი იძლევა 480 მანეთს. ამგვარად, მოგება უდრის 380 (480—100), ანუ დამატებითი მოგება უდრის 360 (380—20).

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნ. 2, 1959 წ., გვ. 237.

ცხრილი I

მიწის ხარისხი	პროდუქტი ცენტრ.	ავანსად გაღებული კაპიტალი	მოგება	წარმოების ფასი	რეალიზაციის შედეგი	რენტა
А	1	100	20	120	120	0
Б	2	100	20	120	240	120
С	3	100	20	120	360	240
Д	4	100	20	120	480	360

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა 1. გადასახადი ზრდის დიფერენციულ რენტას. ეს ხდება მაშინ, როდესაც მიწა იბეგრება სივრცის ერთეულის მიხედვით და გადასახადი თანაბრად არის განაწილებული კარგსა და ცუდ მიწებზე.

ვთქვათ, А, В, С და Д ფლობენ სივრცის თანაბარ ერთეულებს და მათ თანაბრად შეეწერა გადასახადი. მაშინ, როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილი გვიჩვენებს, მიწის დაბეგვრის შედეგად დიფერენციული რენტა გაიზრდება. В მიიღებს დამატებით რენტას—10 მან. С — 20 მან. და Д — 30 მან. მაშასადამე, მოხდება გადასახადის არა მარტო იმ ზომით გადაკისრება, რაც სახელმწიფოს მიერ არის დაწესებული, არამედ — უფრო მეტი ზომით მემამულეების სასარგებლოდ. ასეთი დაბეგვრა მიწათმფლობელთათვის სასურველია.

ცხრილი 2

მიწის ხარისხი	პროდუქტი ცენტრ.	გადასახადი მან.	ავანსად გაღებული კაპიტალი გადასახადი	მოგება	წარმოების ფასი	რეალიზაციის შედეგი	რენტა	დაბეგვრის შედეგად მიღებული ნამატ
А	1	10	110	20	130	130	0	0
Б	2	10	110	20	130	260	130	+ 10
С	3	10	110	20	130	390	260	+ 20
Д	4	10	110	20	130	520	390	+ 30
სულ	10	40					780	+ 60

ამ შემთხვევაში ფისკალური ეფექტი და მომხმარებელთა დანაკარგი ერთმანეთს არ ემთხვევა. მომხმარებლები მეტს კარგავენ, ვიდრე სახელმწიფო ღებულობს მიწის ამგვარი დაბეგვრის დროს

მოსახლეობა იხდის 100 მან. გადასახადს, აქედან სახელმწიფო ღებულობს მხოლოდ 40 მანეთს, 60 მანეთს ითვისებენ მიწათმფლობელნი.

მ ი ი ღ ე ს:	ზომხმარებლებმა გაიღეს—100 მან.
1) სახელმწიფო ხაზინამ—40 მან.	გადასახადმა 1 ცენტ. ფასი გაზარდა—10 მან.
(A—10, B—10 C—10, Д—10)	(10 მან. X 10)
2) მიწათმფლობელებმა—60 მან. (A—0, B—10, C—20, Д—30)	
100 მან.	100 მან.

შემთხვევა I ა. რაც უფრო მეტია გადასახადის განაკვეთი, მით უფრო სწრაფად იზრდება რენტა. ვაქვათ, A, B, C, Д ნაკვეთებზე შეწერილ იქნა 20 მანეთი 10 მანეთის ნაცვლად ფართობის ერთეულზე. მაშინ B მიიღებს დამატებით რენტას — 20 მანეთს, C—40 მანეთს და Д—60 მანეთს.

ცხრილი 3

მიწის ხარისხი	პროდუქტ. ცენტრ.	გადასახადი მანეთ.	ავანსად გადაღებული კაპიტალი გადასახადით	მოგება	წარმოების ფასი	რეალიზაციის შედეგი	რენტა	დამატების შედეგად მიღებ. რენტის ნამატი
A	1	20	120	20	140	140	0	0
B	2	20	120	20	140	280	140	+ 20
C	3	20	120	20	140	420	280	+ 40
Д	4	20	120	20	140	560	420	+ 60
სულ	10	80					840	+ 120

ამ შემთხვევაში ფისკალური ეფექტი და მომხმარებელთა დანაკარგი აბსოლუტურ გამოხატულებაში კიდევ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს. მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი გაორკეცდა. იგი

იხდის 200 მანეთს. სახელმწიფო ღებულობს 80 მანეთს, 120 მანეთს ითვისებენ მიწათმფლობელნი.

1) სახელმწიფო ხაზინამ მიიღო—80 მან. (A—20, B—20 C—20, Д—20) 2) მიწათმფლობ. მიიღეს—120 მან. (A—0. B—20, C—40. Д—60)	1) მომხმარებლებმა გაღაიხადეს —200 მან. თითოეულ ცენტნერზე გადასახადმა ფასი გაზარდა—20 მან. (20X10)
200 მან.	200 მან.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა 2. გადასახადი მიწის რენტას უცვლელად ტოვებს. ამ შემთხვევაში მიწა იბეგრება არა ფართობის მიხედვით, არამედ მიწის თვისების მიხედვით. რადგან Б, C და Д ნაკვეთები A-სთან და ერთმანეთთან შედარებით უკეთესი არიან, ამდენად მათ გადასახადიც მეტი შეეწერება. ვთქვათ, A-ს შეეწერა გადასახადი 10 მან. B-ს—20, C-ს—30, Д-ს—40. მაშინ, როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილი გვიჩვენებს, B, C და Д ნაკვეთები დამატებით რენტას ვეღარ მიიღებენ. მაგრამ რენტის იმ ზომას, რომელიც დაბეგვრამდე ჰქონდათ, სრულად ინარჩუნებენ. მაშასადამე, გადასახადი გადაეკისრება მომხმარებელს.

ცხრილი 4

მიწის ხარისხი	პროდუქტი ცენტ.	გადასახადი მან.	ფულად გამოხატული გადასახადი	მოება	წარმოების ფასი	რეალიზაციის შედეგი	რენტა	დაბეგვრის შედეგად მიღებ. რენტის ნაშთი
A	1	10	110	20	130	130	0	0
B	2	20	120	20	140	260	120	0
C	3	30	130	20	150	590	240	0
Д	4	40	140	20	160	520	360	0
სულ	10	100					720	0

ამ შემთხვევაში მომხმარებლის დანაკარგი და ფისკალური ეფექტი ერთმანეთს უდრის. რაც მომხმარებლებმა გადასახადის სახით გადაიხადეს, მთლიანად სახელმწიფომ მიიღო.

1) სახელმწიფომ მიიღო 100 მან. (A—10 მან. B—20 მან. C—30, D—40) 2) მიწათმფლობელებმა—0	1) მომხმარებლებმა გადაიხადეს 100 მან. თითოეულ ცენტნერზე გადასახადით ფასის ხრდა 10 მანეთია (10X10)
100 მან.	100 მან.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა 2 ა. გადასახადის განაკვეთის გადიდება გავლენას არ მოახდენს რენტის სიდიდეზე. ვთქვათ, A-ს შეეწერა 20 მანეთი, B-ს—40, C-ს—60, D-ს—80. როგორც ქვემო ცხრილიდან ჩანს, განაკვეთების ეს გადიდება B, C და D ნაკვეთებს დამატებით რენტას არ აძლევს, მაგარამ არც ამცირებს. გადასახადი გადაეკისრება მომხმარებელს.

ცხრილი 5

მიწის ხარისხი	პროდუქტი	გადასახადები	ავასსად გადებული კაპიტალი გადასახადით	მოგება	წარმოების ფასი	რეალიზაციის შედეგი	რენტა	ობიექტის შედეგად მიღებ. რენტის სამეტი
A	1	20	120	20	140	140	0	0
B	2	40	140	20	160	280	120	0
C	3	60	160	20	180	420	240	0
D	4	80	180	20	200	560	360	0
სულ	10	200					720	

ეს შემთხვევა აუარესებს მომხმარებელთა მდგომარეობას. საგადასახადო ტვირთი ორკეცდება, მაგრამ მომხმარებელთა დანაკარგი და ფისკალური ეფექტი მაინც ერთმანეთს უდრის. მომხმარებლებმა გადაიხადეს 200 მან., სახელმწიფომ მიიღო 200 მანეთი.

1) სახელმწიფომ მიიღო 200 მანეთი! (A—20, B—40, C—60, D—80) 2) მიწათმფლობელებმა—0	1) მომხმარებლებმა გადაიხადეს 200 მან. თითოეულ ცენტნერზე გადასახადმა ფასი გაზარდა 20 მან. (20X10)

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა 2 ბ. გადასახადის განაკვეთების არათანაბარი განაწილება ცვლის რენტის სიდიდეს. ვთქვათ, A ნაკვეთი დაიბეგრა 10 მან., B—30 მან. C—50 და D—70, მაშინ B ნაკვეთის რენტა შემცირდება—10 მან. C—20 და D—30 მანეთით. ამ ზომით გადასახადი დაეკისრება მიწათმფლობელებს.

ცხრილი 6

მიწის ხარისხი	პროდუქტი ცენტ.	გადასახადი მან.	ავანსად გადებული კაპიტალი გადასახადი	მოგება	წარმოების ფასი	რეალიზაციის ფასი	რენტა	ნაბეგვრის შედეგად მიღებული რენტის ნაზრდი
A	1	10	110	20	130	130	0	0
B	2	30	130	20	150	260	110	— 10
C	3	50	150	20	170	390	220	— 20
D	4	70	170	20	190	520	330	— 30
სულ	10	160					660	— 60

ამ შემთხვევაში მომხმარებელთა დანაკარგი და ფისკალური ეფექტი არ უდრის ერთმანეთს მომხმარებელთა სასარგებლოდ. მომხმარებლები იხდიან 100 მანეთს, მიწათმფლობელები—60 მანეთს. სახელმწიფო ღებულობს 160 მანეთს.

1) სახელმწიფომ მიიღო160 მან. (A—10, B—30 C—50, D—70)	1) მომხმარებლებმა გადაიხადეს 100 მან. თითოეულ ცენტნერზე დაბეგვრის შედეგად ფასი გაიზარდა 10 მან. (10X10)
	2) მომწოდებლებმა გადაიხადეს 60 მან. A—0, B=10, C—20, D—20
160 მან.	160 მან.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა 3. გადასახადი მთლიანად ეკისრება რენტას. ვადაკისრებას ადგილი არა აქვს. ამ შემთხვევაში გადასახადი შეეწერება არა მიწას, არამედ თვითონ რენტას. ვინაიდან A ნაკვეთი რენტას არ იძლევა. მას გადასახადი არ შეეწერება.

ვთქვათ, B-ს შეეწერა გადასახადი 20 მანეთი, C-ს—30 მანეთი და D-ს — 40 მანეთი, მაშინ ქვემო ცხრილში ნაჩვენებია, რომ B-ს რენტა შემცირდება 20 მანეთით, C-სი—30 მანეთით და D-სი—40 მანეთით.

ცხრილი 7

მიწის ხარისხი	პროდუქტი ცენტნ.	გადასახადი მან.	ფანსად გადებული პროდუქტი გადასახადი	მოგება	წარმოების ფასი	რეალიზაციის შედეგი	რენტა	ბაბეგერის ფანდ. მიცემა. რენტის საბეჭი
A	1	0	100	20	120	120	0	0
B	2	20	120	20	140	240	100	20
C	3	30	130	20	150	360	210	— 30
D	4	40	140	20	160	480	320	— 40
სულ	10	90						— 90

ამ შემთხვევაში მომხმარებელთა დანაკარგი და ფისკალური ეფექტი ერთმანეთს არ უდრის მომხმარებელთა სასარგებლოდ. მომხმარებლები იხდიან 0, მიწათმფლობელები—90 მანეთს, სახელმწიფო ღებულობს 90 მანეთს.

1) სახელმწიფომ მიიღო 90 მან. (A—0, B—20, C—30, D—40)	1) მიწათმფლობელებმა გადაიხადეს 90 მან. (A—0, B—20, C—30, D—40)
90 მან.	90 მან.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა 3 ა. გადასახადი მით უფრო მეტად აწვება რენტას, რაც უფრო დიდია განაკვეთები. ვთქვათ, B-ს შეეწერა 40 მანეთი, C-ს—60 მან და D-ს—80 მან., მაშინ ქვემოთ მოტანილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ B-ს რენტა შემცირდება 40 მან., C-სი—60 და D-სი — 80 მანეთით.

ცხრილი 8

მიწის ხარისხი	პროდუქტი ცენტ.	გადასახადი მან.	ავანსად გადმოცემული კაპიტალი გადასახადით	მოგება	წარმოების ფასი	რეალიზაციის შედეგი	რენტა	დაბეგვრის შედეგად მიღებ. რენტის ნაშთი
A	1	0	100	20	120	120	0	0
B	2	40	140	20	160	240	80	—40
C	3	60	160	20	180	360	180	— 60
D	4	80	180	20	200	480	280	— 80
სულ	10	180					540	—180

ამ შემთხვევაში მომხმარებლები არაფერს იხდიან. სახელმწიფო ღებულობს იმ 180 მანეთს, რომელსაც იხდიან მიწათმფლობელნი.

1) სახელმწიფომ მიიღო 180 მან. (A—0, B—40, C—60, D—80)	1) მიწათმფლობელებმა გადაიხადეს 180 მან. (A—0, B—40, C—60, D—80)
180 მან.	180 მან.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა 3 ბ. როდესაც გადასახადი უდრის რენტას და გადასახადით ხდება რენტის კონფისკაცია, მაშინ გადასახადი არ ეწერება A-ს. B-ს შეეწერება 120, C-ს—240 და D-ს—360 მანეთი.

ასეთ შემთხვევაში რენტა უდრის 0, B კარგავს 120, C—240 და D—360 მანეთს.

ცხრილი 9

მიწის ხარისხი	პროდუქტი ცენტ.	გადასახადი მან.	ავანსად გადმოცემული კაპიტალი გადასახადით	მოგება	წარმოების ფასი	რეალიზაციის შედეგი	რენტა	დაბეგვრის შედეგად მიღებ. რენტის ნაშთი
A	1	0	100	20	120	120	0	0
B	2	120	220	20	240	240	0	—120
C	3	240	340	20	360	360	0	—240
D	4	360	460	20	480	480	0	—360
სულ	10	720						—720

მომხმარებლები არაფერს იხდიან. სახელმწიფო ღებულობს იმ 720 მანეთს, რომელსაც იხდიან მთლიანად მიწათმფლობელნი.

1) სახელმწიფომ მიიღო 720 მან. (A—0, B—120, C—240, D—360)	1) მიწათმფლობელებმა გადაიხადეს 720 მან. (A—0, B—120, C—240, D—360)
720 მან.	720 მან.

კ. მარქსი ასაბუთებს, რომ კაპიტალისტური წარმოების პირობებში მიწის კერძო საკუთრების მოსპობა დიფერენციულ რენტას არ სპობს (დამატებითი მოგება, რომელიც ნაკვეთების ნაყოფიერებათა შორის არსებული სხვაობიდან გამომდინარეობს, დარჩება).

კაპიტალისტური წარმოების პირობებში, თუ მიწა სახელმწიფო საკუთრება გახდება, მაშინ თვით რენტა რჩება და B, C, D კლასთა მიწის რენტა მიეცემა სახელმწიფოს. ასეთ შემთხვევაში რენტა იქცევა გადასახადად.

როდესაც მიწის კერძო საკუთრება ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ გ ა დ ა ი ქ ც ე ვ ა, კაპიტალისტური წარმოების ბაზისი მოისპობა. მაშინ მოისპობა თვით ის საფუძველიც, რომელსაც ემყარება შრომის პირობებისა და მუშის ურთიერთდაპირისპირება[1].

6. წვრილი ბურჟუაზია და გადასახადები

წვრილბურჟუაზიული კლასი წარმოადგენს შუალედ ფენას. მას მიეკუთვნებიან: ხელოსნები, კუსტარები, წვრილი ვაჭრები, წვრილი და საშუალო გლეხები. ვ. ი. ლენინი წვრილ ბურჟუას უწოდებს წვრილ მწარმოებელს, რომელიც მეურნეობას ეწევა საქონლის მეურნეობის პირობებში. მას ყოველთვის ავიწროებს მსხვილი კ აპიტალისტური წარმოება, ექსპლოატაციას უწევენ კაპიტალისტური საზოგადოების გაბატონებული კლასები. კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად იზრდება წვრილი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით წვრილი და საშუალო გლეხობის დაშლა და განადგურება. ამ კლასის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი თუ ახერხებს მდი-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ზედმეტი ღირებულების თეორიები (კაპიტალის მეოთხე ტომი), ნაწილი II, 1968 წ., გვ. 129.

დართა კლასის რიგებში ვადასვლას, უმრავლესობის ხვედრი კი გაპროლეტარებაა.

ენგელსის დახასიათებით, მას „შუა მდგომარეობა უჭირავს უფრო მსხვილი კაპიტალისტების, ვაჭრებისა და მრეწველების კლასსა, ბურჟუაზიასა, სიტყვის საკუთარი აზრით, და პროლეტარიატსა ანუ მრეწველი მუშების კლასს შორის[1]". წვრილი ბურჟუები მუდამ ოცნებობენ კაპიტალისტთა კლასში გადასვლაზე, მაგრამ ამ კლასის ცალკეული პირები სულ მცირეოდენი მარცხის გამო პროლეტარების რიგებში ვარდებიან. ისინი მუდამ მერყეობენ მდიდართა კლასის რიგებში შესვლის იმედსა და პროლეტარის ანდა მათხოვრის მდგომარეობამდე ჩამოქვეითების შიშს შორის. საზოგადოებრივ საქმეთა მმართველობაში მონაწილეობით თავისი ინტერესების დაცვის შესაძლებლობის მიღების იმედსა და უდროო ოპოზიციით მთავრობის წყრომის შიშს შორის; იგი ფლობს მცირე საშუალებებს და მით უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილია, რაც უფრო ნაკლებად აქვს საშუალებანი, — ეს კლასი მეტად მერყევია თავისი შეხედულებებით. „ის, წყნარი და მონურად მორჩილი ძლიერი ფეოდალური ან მონარქიული მთავრობის წინაშე, ლიბერალიზმის მხარეზე გადადის. როდესაც ბურჟუაზია აღმავლობას აღწევს; მას გაშმაგებული დემოკრატიზმის შეტევა იპყრობს, როდესაც ბურჟუაზია ბატონობას აღწევს, მაგრამ ლაჩრული შიშით უკან იხევს, რა წამს მასზე დაბლა მდგომი კლასი, პროლეტარიატი დამოუკიდებელ მოძრაობას იწყებს"[2].

ვინაიდან წვრილი ბურჟუაზია ექსპლოატირებულია კაპიტალის მიერ, ის ბურჟუაზიას უპირისპირდება და პროლეტარიატს ემხრობა. ამდენად ის მშრომელთა კლასს ეკუთვნის. ეს ქმნის ობიექტურ პირობებს პროლეტარიატისათვის წვრილი ბურჟუაზიის მისამხრობად. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წვრილი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით გლეხობის მომხრობას. გლეხები, მარქსის სიტყვებით, ბუნებრივ მოკავშირესა და ბელადს ხედავენ ქალაქის პროლეტარიატში.

კონკრეტული ისტორიული პირობების შესაბამისად, წვრილი ბურჟუაზია ხან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მხარეზე გამოდიოდა, ხან — პროლეტარულისა; ის ხან კონტრრევოლუციის რეზერვი იყო, ხან—რევოლუციისა. წვრილი ბურჟუაზია ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის საბრძოლო რეზერვი იყო

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 8, 1957, стр. 10.

[2] იქვე, გვ. 10—11.

(1848 წ. და 1918 წ.) გერმანიაში, ხოლო 1871 წ. პარიზის კომუნის დროს—კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა.

როგორც ცნობილია, თავდაპირველი დაგროვების დროს წვრილ საქონლისმწარმოებელთა ექსპროპრიაციის მთავარი საშუალება იყო გადასახადები და მევახშეობა. კაპიტალიზმის პირობებში გადასახადების მაექსპროპრირებელი როლი კიდევ უფრო გაიზარდა. წვრილ საქონლისმწარმოებლებს გადასახადების სხვებზე გადაკისრება არ შეუძლიათ. გადასახადები რომ სხვებს გადააკისრონ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ თავიანთი გასაყიდი საქონლის ფასი უნდა გაზარდონ, რაც შეუძლებელია. დაბალი ტექნიკისა და სხვა პირობების გამო მათი საქონლის ფასი ისედაც მაღალია და ვერ უძლებს ფაბრიკანტი კაპიტალისტების კონკურენციას. ამიტომ მათ წართმეული აქვთ შესაძლებლობა გადასახადები საქონლის ფასში შეიტანონ და თავიანთი ისედაც ძვირად ღირებული საქონელი კიდევ უფრო გაძვირონ. ამიტომ შეწერილი გადასახადები აძლიერებს წვრილი ბურჟუაზიის ექსპლოატაციას კაპიტალის მიერ.

გლეხები მრავალმხრივ ექსპლოატირებულნი არიან კაპიტალისტებისა და კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ. გლეხებს კაპიტალისტები ანადგურებენ ფასების პოლიტიკით; სარგებლობენ მათი გაჭირვებული მდგომარეობით და ნედლეულს მათგან იძენენ დაბალ ფასებში, სამრეწველო საქონელს კი მათზე ყიდიან მაღალ ფასებში. ამავე მიზნით იყენებენ კრედიტს და გადასახადებს.

გადასახადები კაპიტალისტურ სახელმწიფოს ხელში წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას გლეხების საექსპლოატაციოდ; მარქსი წერს: „...გლეხობის ექსპლოატაცია მარტოოდენ ფ ო რ მ ი თ განირჩევა საფაბრიკო პროლეტარიატის ექსპლოატაციისაგან. ექსპლოატატორი იგივე კ ა პ ი ტ ა ლ ი ა. ცალკეული კაპიტალისტები ცალკეული გლეხების ექსპლოატაციას ეწევიან ი პ ო თ ე კ ი ს ა და მევახშეობის გზით, კაპიტალისტთა კლასი გლეხების კლასის ექსპლოატაციას ეწევა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი ს გზით“[1].

საგადასახადო ტვირთი, განსაკუთრებით არაპირდაპირი გადასახადების სახით, დიდი სიმძიმით აწვება გლეხობას. თუ რამდენად არსებით საკითხს შეადგენდა გლეხობისათვის და რევოლუციებისათვისაც კი საფრანგეთში ღვინისა და მარილის გადასახადები, ამის ილუსტრაციას წარმოადგენს მრავალი ადგილი მარქსის ისეთი ნაშ-

---

1 კ. მ ა რ ქ ს ი, კლასთა ბრძოლა საფრანგეთში. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950, გვ. 231.

რომებიდან, როგორიცაა: „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“ და „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“ და სხვ.

„როდესაც ფრანგ გლეხს სურს ეშმაკი წარმოიდგინოს, იგი მას წარმოიდგენს გადასახადის ამკრეფის სახით. იმ მომენტიდან, როდესაც მონტალამბერმა გადასახადი ღმერთად გამოაცხადა, გლეხი უღმერთო გახდა, ათეისტად იქცა და ეშმაკს—სოციალიზმს ჩაეხვია გულში... ნამდვილმა, დიდმა ნაპოლეონმა, წმინდა ელენეს კუნძულზე განაცხადა, რომ მისი დაცემის ყველაფერზე უფრო ხელშემწყობი მიზეზი ღვინის გადასახადის აღდგენა იყო, ვინაიდან ამან მოაქცია მას სამხრეთ საფრანგეთის გლეხობა, უკვე ლუი XIV-ის დროს ეს გადასახადი მთავარი საგანი იყო ხალხის სიძულვილისა (იხ. ბუაგილბერის და ვობანის თხზულებანი)... საფრანგეთის ხალხი ამაოდ ცდილობდა ამ გადასახადის განდევნას: როცა ხალხი მას კარებიდან სდევნიდა, იგი ისევ ფანჯრიდან შემოდიოდა.

ხალხის სიძულვილი ღვინის გადასახადის მიმართ იმით აიხსნება, რომ ამ გადასახადში თავმოყრილია საფრანგეთის საგადასახადო სისტემის ყველა საძულველი მხარე. მისი გადახდევინების წესი საძულველია, მისი განაწილების წესი არისტოკრატიული, რადგან იგი ერთნაირად ედება სრულიად ჩვეულებრივ და მეტად ძვირფას ღვინოებს; მაშასადამე, იგი გეომეტრიული პროგრესიით მატულობს იმ ზომით, რა ზომითაც მომხმარებლის ქონება კლებულობს; იგი შებრუნებულ პროგრესიულ გადასახადს წარმოადგენს“[1].

7. გადასახადების როლი აღწარმოების პროცესში

მარქსმა თავის შრომებში გაარკვია გადასახადები როგორც არა მარტო სახელმწიფოს არსებობის საშუალება, სხვანაირად—გადასახადების ფისკალური მნიშვნელობა, არამედ გაარკვია გადასახადების როლიც აღწარმოების პროცესში, მისი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაზე გავლენის თვალსაზრისით, მისი როლი ნაციონალური შემოსავლის განაწილება-გადანაწილებაში, მეურნეობრივი რეფორმების გატარებაში[2]. მან გაარკვია აგრეთვე გადასახადების როლი კა-

---

[1] კ. მარქსი, კლასთა ბრძოლა საფრანგეთში. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950, გვ. 231.

[2] არ მიგვაჩნია სამართლიანად გ. ჰ. სოლუსის მოსაზრება კ. მარქსის მიმართ გადასახადების საკითხში. სოლუსი თავის ნაშრომში „Налоги в системе государственно-монополистического капитализма“ (1964 წ., გვ. 7) ავითარებს შეხედულებას, რომლის მიხედვით თითქოს კ. მარქსს გადასახადები დახასიათებული აქვს როგორც კაპიტალისტური სახელმწიფოს მხოლოდ არსებობის საშუალება, მხოლოდ სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკური განსახიერე-

პიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში. ამასთანავე კრიტიკული შეფასება მისცა ბურჟუაზიულ თეორიებს და უტოპიურ წვრილბურჟუაზიულ შეხედულებებს გადასახადებით სოციალური საკითხის გადაჭრის შესახებ.

მარქსის აზრით, პირდაპირი დაბეგვრა თავისუფალი ვაჭრობის ფინანსური გამოხატულებაა. თავისუფალი ვაჭრობა ეწინააღმდეგება არაპირდაპირ დაბეგვრას.

არაპირდაპირი გადასახადები უშუალოდ იკრებიან წარმოებასა და გაცვლაში. არაპირდაპირი გადასახადები გავლენას ახდენენ წარმოებაზე. ისინი მაღლა სწევენ საქონლის ფასს, რადგან ვაჭრები ამ ფასს უმატებენ არა მარტო არაპირდაპირი გადასახადების ჯამს, არამედ მათ გადახდაზე გაღებული კაპიტალის პროცენტებს და მოგებასაც.

პირდაპირი გადასახადები აიღება პირდაპირი საკუთრებიდან და შემოსავლიდან. პირდაპირი გადასახადების დროს საქონელი იაფია და გადასახადები გავლენას არ ახდენენ წარმოებაზე.

არაპირდაპირი გადასახადების დროს იბეგრება საქონელიც და სამრეწველო ნედლეულიც[1]. კ. მარქსი წერდა:

„ა) დაბეგვრის ფორმის არავითარ ცვლილებას არ შეუძლია გამოიწვიოს არსებითი ცვლილებები შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობაში.

ბ) მიუხედავად ამისა, თუ არჩევანია ორ საგადასახადო სისტემას შორის, ჩვენ რჩევას ვიძლევით მთლიანად გაუქმდეს არაპირდაპირი გადასახადები და საერთოდ შეიცვალოს ისინი პირდაპირი გადასახადებით.

იმიტომ, რომ პირდაპირი გადასახადების დროს საქონელი იაფია და ისინი გავლენას არ ახდენენ წარმოებაზე, იმ დროს როდესაც არაპირდაპირი გადასახადები მაღლა სწევენ საქონლის ფასს, რადგან ვაჭრები ამ ფასებს უმატებენ არა მარტო არაპირდაპირი გადასახადების ჯამს, არამედ მათ გადახდაზე მიღებული კაპიტალის პროცენტებსა და მოგებასაც.

იმიტომ, რომ არაპირდაპირი გადასახადები ცალკეულ პირს უშალავენ თანხას, რომელსაც სახელმწიფოს უხდის, მაშინ როდესაც პირდაპირი გადასახადი არაფრით არ არის შენიღბული, ღიად გადახ-

---

ბა. სოლუსს კ. მარქსის შრომებიდან მოაქვს ადგილები, სადაც ასეთი აზრიც არის მოცემული, მაგრამ ის რატომღაც გვერდს უვლის მარქსის შრომებიდან იმ ადგილებს, სადაც გადასახადებზე ნათქვამია ამაზე ბევრად უფრო მეტი სულ სხვა მიმართებაში.

[1] K. Marx, F. Engels, Werke, Band 8, 1960, S. 476—477.

დება და სრულიად გაუნათლებელ ადამიანსაც კი შეუძლია დაინახოს, თუ რა თანხას იხდის ის. პირდაპირი გადასახადები თითოეულს აიძულებს კონტროლი გაუწიოს მთავრობას, მაშინ როდესაც არაპირდაპირი გადასახადები ახშობენ ყოველგვარ მისწრაფებას ინვითმმართველობისადმი“ [1].

„პირდაპირი დაბეგვრა არის დაბეგვრის უმარტივესი ფორმა, მასთან უძველესი და პირველი ფორმა, რომელიც ხელიხელგაყრილი მიჰყვება მიწათმფლობელობაზე დამყარებულ საზოგადოებრივ წყობას. პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი სოფლური წარმოშობისაა.

შემდგომში ქალაქელებმა შემოიღეს არაპირდაპირი გადასახადების სისტემა. შუა საუკუნეებში არაპირდაპირი გადასახადები წარმოადგენენ ბურჟუაზიულ გადასახადებს, ის შემოიღო ქალაქის ბურჟუაზიამ შუა საუკუნეების ბოლოში აქციზებისა და მოსაკრებლების, საჭიშკრო ბაჟების სახით გლეხების მიერ გაყიდულ პროდუქტებზე.

არაპირდაპირი გადასახადები დროთა ვითარებაში ორმაგ კონფლიქტში აღმოჩნდა სოციალურ მოთხოვნილებებთან თანამედროვე მზარდი შრომის დანაწილების, მსხვილი წარმოების გადამეტებულობისა და შინაგანი ვაჭრობის საგარეო და მსოფლიო ბაზრისაგან დამოკიდებულების წყალობით. სახელმწიფოს საზღვარზე ეს სისტემა გადაიქცევა მფარველობით ბაჟებად და მით არღვევს ან აძნელებს თავისუფალ გაცვლას სხვა ქვეყნებთან. სახელმწიფოს შიგნით ის უდრის წარმოებაში ფისკალურ ჩარევას, ცვლის რა სხვადასხვა საქონელთა შედარებით ღირებულებას და ხელს უშლის თავისუფალ კონკურენციასა და გაცვლას. ამ ორი მიზეზის გამო მისი გაუქმება მეტად აუცილებელია და ბურჟუაზია უბრუნდება პირდაპირი დაბეგვრის სისტემას. უკანასკნელი გამორიცხავს აბსოლუტურად ყოველგვარ ტყუილს და თითოეულმა კლასმა ზუსტად იცის. თუ სახელმწიფო ხარჯების რა ნაწილს ზიდავს, ამიტომ იგი ინგლისში პოპულარულია.

თავისუფალი ვაჭრობა იწვევს პირდაპირი გადასახადების სისტემის გაძლიერებას.

არაპირდაპირმა გადასახადმა თავის სრულ გაშლას მიაღწია მხოლოდ ბურჟუაზიის გამარჯვებით.

მრეწველური კაპიტალის, ე. ი. ფხიზელი და მომჭირნე სიმდიდრის ხელში, რომელიც შეინახება, აღიწარმოება და იზრდება შრომის

---

[1] K. Marx, F. Engels, Werke, Bd. 16, 1962, S. 188.

უშუალო ექსპლოატაციის გზით, — მოხმარების გადასახადი გამოყენებული იყო ქარაფშუტა, მხიარულ და სიმდიდრის გამფლანგველ მსხვილ აზნაურთა საექსპლოატაციოდ, რომლებიც მხოლოდ მოხმარებას ეწეოდნენ"[1].

8. საგადასახადო რეფორმების მნიშვნელობა კაპიტალიზმის პირობებსა და გარდამავალ პერიოდში

საგადასახადო რეფორმებს მნიშვნელობა აქვთ კაპიტალიზმის პირობებშიც.

საგადასახადო რეფორმებს რამდენადმე შეუძლიათ მუშათა კლასის მდგომარეობა გააუმჯობესონ კაპიტალიზმის პირობებშიც. საგადასახადო რეფორმებით ბრძოლა მუშათა კლასის მხრივ კაპიტალიზმის პირობებში მიზნად ისახავს არა უტოპიურ იდეალს, ექსპლოატაციის მოსპობას ან სამუშაო ძალის მის ღირებულებაზე ზევით გაყიდვას, არამედ არაპირდაპირი გადასახადების მოსპობით და პირდაპირი პროგრესიული საშემოსავლო გადასახადების შემოღებით ის უპირისპირდება კაპიტალისტთა ტენდენციას, რომელიც საგადასახადო ტვირთს სამუშაო ხელფასს აკისრებს.

მუშათა ბრძოლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალ პროგრესულ საშემოსავლო გადასახადებს გარდამავალ პერიოდში. თუმცა ეს გადასახადები ეკონომიკურად არც იმდენად საიმედოა, ვინაიდან წარმოიშვა კაპიტალისტური წარმოების პირობებში, მაგრამ მუშათა სახელმწიფოში შესაძლებელია ისინი გამოყენებულ იქნენ როგორც ერთგვარი საშუალება სოციალური საკითხის გადასაჭრელად, წარმოების წესის ჭარდასაქმნელად.

ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში კომუნისტთა კავშირისადმი, რომელიც დაწერილია 1850 წლის მარტში, მარქსი წერს: „თუ წერილი ბურჟუები რკინიგზების და ფაბრიკების შესყიდვის წინადადებას აყენებენ, მუშებმა უნდა მოითხოვონ, რომ ეს რკინიგზები და ფაბრიკები, როგორც რეაქციონერთა საკუთრება უბრალოდ ჩამორთმეულ იქნეს სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების გარეშე. თუ დემოკრატები პროპორციული გადასახადების წინადადებას აყენებენ, მუშებმა უნდა მოითხოვონ პროგრესიული. თუ თვითონ დემოკრატები ზომიერ-პროგრესიული გადასახადის წინადადებას აყენებენ, მუშებმა უნდა მოითხოვონ გადასახადი, რომლის განაკვეთები ისე სწრაფად იზრდება, რომ მსხვილი კაპიტალი, ამასთან ერ-

---

[1] K. Marx, F. Engels, Werke, Bd. 8, 1960, S. 476—477.

თად უნდა დაიღუპოს. თუ დემოკრატები სახელმწიფო ვალების გაუქმებას მოითხოვენ, მუშებმა უნდა მოითხოვონ სახელმწიფოს გაკოტრების გამოცხადება"[1].

რევოლუციის დროს შესაძლებელია გადასახადების გადიდებით მათი, როგორც იარაღის გამოყენება კერძო საკუთრების საექსპლოატაციოდ[2].

ამგვარად, საგადასახადო საკითხებით დაინტერესებულია თვით მუშათა კლასიც. მაგრამ გადასახადების როლი კიდევ უფრო მეტად იზრდება გარდამავალ პერიოდში, როდესაც გადასახადები, კაპიტალიზმის პირობებში წარმოშობილნი, თავიანთ წრეს გასცილდებიან და ამით შესაძლებლობას იძლევიან გამოყენებულ იქნენ როგორც ერთ-ერთი საშუალება მუშათა კლასის ხელში სოციალური საკითხის გადასაჭრელად.

მართალია, მეცნიერული კომუნიზმის კლასიკოსები დიდ როლს ანიჭებდნენ გადასახადებს საზოგადოებრივი გარდაქმნისა და რევოლუციური ეპოქის პირობებში, მაგრამ გადასახადები, მათი აზრით, მაინც არ წარმოადგენენ ერთადერთ საშუალებას სოციალური საკითხის გადასაჭრელად. ჟირარდენის წიგნის რეცენზიაში მარქსი წერდა: „განაწილების ურთიერთობანი, რომლებიც უშუალოდ ბურჟუაზიულ წარმოებას ეყრდნობიან, ურთიერთობანი ხელფასსა და მოგებას, მოგებასა და სარგებელს, მიწის რენტასა და მოგებას შორის, გადასახადების მეშვეობით შეიძლება მხოლოდ მეორეხარისხოვან პუნქტებში შეიცვალოს, ძირითადში კი — არასოდეს"[3].

საზოგადოების ძირითადი გარდაქმნა სხვა ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად და ძირითადად თვით წარმოების წესში ცვლილებების შეუტანლად, გადასახადებს, რასაკვირველია, არ შეუძლია. გადასახადი, მართალია, ყოფილა ხოლმე საბაბი მეფეების ჩამოსაგდებად, მაგრამ რევოლუცია არ მოუხდენია. გადასახადებზე უარის თქმა შესაძლებელია იყოს მთავრობასა და ხალხს შორის არსებული კონფლიქტის გამომხატველი. „გადასახადის გადახდაზე უარის თქმა მხოლოდ განხეთქილების სიმპტომია გვირგვინოსანსა და ხალხს შორის, მხოლოდ იმის დამამტკიცებელია, რომ კონფლიქტმა მთავრობასა და ხალხს შორის უკვე მაღალ, საშიშ დონეს მიაღწია. ის არ იწვევს გან-

---

[1] K. Marx, F. Engels, Werke, Band 7, 1960, S. 253. ან იხ. ქრესტომათია „ფინანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში", შედგენილი ვ. ჩანტლაძის მიერ, 1965, გვ. 213—214.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, В эпоху немецкой революции, 1848—1850 гг.

[3] K. Marx, F. Engels, Werke, Bd. 7, S. 285.

ბეთქილებასა და კონფლიქტებს. ის მხოლოდ გამოხატავს ამ ფაქტის არსებობას: უარის შემთხვევაში მას მოსდევს არსებული მთავრობის. არსებული სახელმწიფოებრივი ფორმის დაცემა. იგი საზოგადოების საფუძვლებს არ ეხება"[1].

ამგვარად, საზოგადოების საფუძვლების შეცვლა, წარმოების წესის შეცვლის გარეშე, რევოლუციის გარეშე, საგადასახადო რეფორმებით არ შეიძლება.

როგორც ვხედავთ, მართალი არ არიან ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კ. მარქსს კაპიტალისტური სახელმწიფოს გადასახადები დახასიათებული აქვს მხოლოდ ფისკალური მნიშვნელობის თვალსაზრისით.

9. გადასახადები მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში

მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში გადასახადები იზრდება მანამდე არნახული ზომით. ნაციონალური შემოსავლის სულ უფრო და უფრო მეტი წილი აიღება გადასახადად. ამგვარად, ნაციონალური შემოსავლის სულ უფრო მეტი წილის გასახელმწიფოებრივება ხდება.

თუ წინათ კაპიტალისტები თავიანთი ზედმეტი ღირებულების მეტი ნაწილის კაპიტალიზაციას ახდენდნენ და ეს ხელს უწყობდა მწარმოებლურ ძალთა განვითარებას, სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში სახელმწიფო ამ სახსრებს მით უფრო მეტად არამწარმოებლურად იყენებს და ამოკლებს გაფართოებულ აღწარმოებას. ამგვარად, გადასახედების ზრდა მოცემულ პერიოდში ამუხრუჭებს მწარმოებლურ ძალთა განვითარებას.

თუ რა დიდი ადგილი უჭირავს გადასახადებს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებში და რამდენად სწრაფად გაიზარდნენ ისინი, ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევენ შემდეგი მონაცემები.

აშშ-ში 1937/38 წწ. გადასახადების სიდიდე შეადგენდა 6,0 მილიარდ დოლარს, 1947/48 წლებში ის გახდა 42,4, ხოლო 1952/53 წწ. — 73,2 მილიარდი დოლარი. ამგვარად, 1952/53 წწ.. 1937/38 წწ. შედარებით, ისინი გადიდებულია 12-ჯერ, მაგრამ. თუ მხედველობაში მივიღებთ ვალუტის გაუფასურებას — გადიდებულია 6-ჯერ.

ინგლისში 1937/38 წწ. გადასახადები ბიუჯეტის მიხედვით შეადგენდა 841 მილიონ გირვ. სტერლინგს, 1947/48 წწ.—3 280, ხოლო 1952/53 წწ.—4 513 მილიონ გირვ. სტერლინგს. ამნაირად, გადასა-

---

[1] K. Marx, F. Engels, Werke, Bd. 6, 1959, S. 256.

ხადები ინგლისში 1952/53 წწ., 1937/38 წწ. შედარებით, გადიდებულია 5,5-ჯერ, თუ ვალუტის გაუფასურებას მივიღებთ მხედველობაში— ორჯერ.

საფრანგეთში იმავე პერიოდში გადასახადები იყო 37,8 618 და 2710 მილიარდი ფრანკი. მაშასადამე, ამ სახელმწიფოში 1952/53 წწ. გადასახადები, 1937/38 წწ. შედარებით, გადიდებულია 71-ჯერ. მაგრამ, თუ ვალუტის გაუფასურებას მივიღებთ მხედველობაში—გადიდებულია 2,6-ჯერ.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში გადასახადების სიდიდის შესახებ უფრო მეტ წარმოდგენას გვაძლევს მათი ხვედრითი წონა ნაციონალურ შემოსავალში.

აშშ-ში 1937/38 წწ. გადასახადთა ხვედრითი წონა ნაციონალურ შემოსავალში იყო 20,3%, 1947/48 წწ. — 28,1%, ხოლო 1952/53 წწ. —34,3%. ე. ი. აშშ გადასახადები ნთქავდნენ 1937/38 წწ. მთელი ნაციონალური შემოსავლის ერთ მეხუთედს, ხოლო 1952/53 წწ. ერთ მესამედს.

ინგლისში გადასახადთა ხვედრითი წონა ნაციონალურ შემოსავალში იყო 1937/38 წწ. — 24,2%, 1947/48 წწ. — 43,2%, ხოლო 1952/53 წწ. — 48%. ამგვარად, უკანასკნელ წლებში გადასახადები ნთქავენ ინგლისის ნაციონალური შემოსავლის თითქმის ნახევარს.

საფრანგეთში გადასახადთა ხვედრითი წონა იყო 10,5% 1937/38 წწ., 18,7% — 1947/48 წწ. და 29,8% — 1952/53 წწ., ე. ი. უკანასკნელ წელს საფრანგეთში გადასახადებს მიჰქონდათ მისი ნაციონალური შემოსავლის ერთ მესამედზე ცოტა ნაკლები.

უკანასკნელ წლებში ზემოდასახელებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში გადასახადები შეადგენენ ნაციონალური შემოსავლის 30—40%-ს.

სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში სახელმწიფო უშედეგოდ ცდილობს გადასახადები გამოიყენოს როგორც კაპიტალისტური ეკონომიკის რეგულირების საშუალება.

10. გადასახადის ელემენტები

გადასახადების ელემენტებად იწოდება: გადასახადის სუბიექტი, გადასახადის ფორმალური გადამხდელი და ნამდვილი გადამხდელი ანუ გადასახადის მზიდველი, გადასახადის ობიექტი, გადასახადის წყარო, დაბეგვრის ერთეული, გადასახადის განაკვეთი, ანუ კოეფიციენტი და გადასახადის გადანაკვეთი.

გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს ს უ ბ ი ე ქ ტ ი ა გადამხდელი, რომელსაც კანონით ევალება გადასახადის გადახდა. იგი შესაძლებელია იყოს ფი-

ზიკური ან იურიდიული პირი. მაგალითად, სახლის გადასახადის სუბიექტია სახლის პატრონი, კორპორაციის გადასახადის სუბიექტი კორპორაცია.

გადასახადის სუბიექტი ყოველთვის არ არის ნამდვილი გადამხდელი. ხშირად ის არის მხოლოდ ფორმალური გადამხდელი. ნამდვილი გადამხდელია ის, ვისაც საბოლოოდ ეკისრება გადასახადი: მას ეწოდება **გადასახადის მზიდველი**. კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალისტები, როგორც წარმოების საშუალებათა მესაკუთრე კლასი, ახერხებენ გადახდილი გადასახადების დიდი ნაწილის მშრომელებზე გადაკისრებას. ამგვარად, ისინი გვევლინებიან გადასახადის ფორმალურ გადამხდელებად, ხოლო მშრომელები—ფაქტიურ გადამხდელებად, ანუ გადასახადის მზიდველებად.

გადასახადის ობიექტია საგანი, რასაც შეეწერება გადასახადი, რისი ქონება ან არსებობა საფუძვლად ედება საგადასახადო დაბეგვრას. სახლის გადასახადის ობიექტია სახლი, ადგილ-მამულის გადასახადისა—მიწა, შემოსავლის გადასახადისა — შემოსავალი (ხელფასი, ჰონორარი, მოგება, რენტა). არაპირდაპირი გადასახადების ობიექტია სამომხმარებლო საგნები. დაბეგვრის ობიექტი მრავალფეროვანია. ის შესაძლებელია იყოს საერთო შემოსავალი ან მისი ნაწილები, მასობრივი მოხმარების საგნები, ბანკის გირავნობის ფურცლები, ფასიანი ქაღალდები და სხვ.

გადასახადის წყაროა გადასახადგადამხდელის მთლიანი შემოსავალი ან მისი ნაწილი, საიდანაც გადასახადი აიღება. ასეთი წყარო კაპიტალიზმის პირობებში მრავალგვარია. იგი შესაძლებელია იყოს ვაჭარ-მრეწველთა მოგება, მემამულეთა რენტა, ბანკირებისა და სადაზღვევო საზოგადოებების მოგება, წვრილმწარმოებელთა შემოსავალი, ხელფასი და სხვ. ნამდვილი აზრით, გადასახადის წყაროა აუცილებელი ღირებულება (ხელფასი) და ზედმეტი ღირებულება (მოგება, სარგებელი, რენტა).

დაბეგვრის ერთეულია შემოსავლის ან ქონების ნაწილი, რაზედაც დაწესებულია საგადასახადო განაკვეთი და ამ ერთეულთა რაოდენობის მიხედვით შეეწერება ობიექტს გადასახადი. მაგალითად, სახლის გადასახადის ერთეულია მეტრი საცხოვრებელი ფართობი; საადგილმამულო გადასახადისა — ჰექტარი ან აკრი მიწა; საშემოსავლო გადასახადისა — ფულის ერთეული: დოლარი, ფრანკი, მარკა, გირვანქა სტერლინგი და სხვ.

გადასახადის განაკვეთია გადასახადის ოდენობა დაბეგვრის ერთეულზე. მაგალითად, ინგლისში გირვანქა სტერლინგზე შილინგებისა და პენსების გარკვეული ოდენობა.

გადასახადის კოტა არის გადასახადის განაკვეთი, გამოხატული პროცენტობით და არა აბსოლუტური თანხით. ვთქვათ, შემოსავლის დოლარზე შეწერილია გადასახადი 40 ცენტის ოდენობით, ეს ნიშნავს, რომ დაბეგვრის ერთეულია დოლარი, გადასახადის განაკვეთია 40 ცენტი და გადასახადის კოტა არის 40% (ვინაიდან დოლარში არის 100 ცენტი).

თუ რა მნიშვნელობა აქვს გადასახადის ერთეულს, ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ მაგალითს მეფის რუსეთის საგადასახადო სისტემიდან.

რუსეთში XII—XVIII საუკუნეებში არსებობდა საადგილმამულო გამოსაღები, რომელსაც დაბეგვრის ერთეულად ედო „соха"— კავი, სახნისი. აქ ნაგულისხმევი იყო მიწის გარკვეული ფართობი, რასაც კავი მოხნავდა დროის გარკვეულ ერთეულში: აქედან იყო მიღებული გამოსაღების სახელწოდება „Посошная подать"—სახნავის გამოსაღები. ეს ფართობი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირი იყო. «В помещью (Московскую) соху клалось 800 четвертей земли доброй, 1000 четв. средней и 1200 худой».[1] მიწები დაყოფილი იყო „დესეტინებად", „ჩეტებად" და „ვიტებად".

მე-17 საუკ. დასასრულს რუსეთში დაბეგვრის ერთეული შეიცვალა; „соха"-ს ნაცვლად შემოღებულ იქნა „двор" — კომლი. ამის საფუძველზე გამოსაღებს ეწოდა „Подворная подать" — საკომლო გამოსაღები. დაბეგვრის ერთეულის გამოცვლა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მძიმე გადასახადების შედეგად გლეხობა მიწას ტოვებდა და გარბოდა, ან სახნავ ფართობს ამცირებდა, რაც გადასახადების შემცირებას იწვევდა. დაბეგვრის ახალი ერთეული სახნავი ფართობისაგან დამოუკიდებლად ბეგრავდა ეზო-კარმიდამოს. ამან პირველ ხანებში სახელმწიფო შემოსავლის გადიდება გამოიწვია, მაგრამ შემდეგ გლეხობამ კვლავ გამონახა სხვა გზა გადასახადების გვერდის ასავლელად. ეს იყო მოსახლეობის კომლებად შემჭიდროება. იზრდებოდა არა კომლთა რიცხვი, არამედ კომლის წევრთა რიცხვი. ამიტომ კვლავ დაისვა საკითხი დაბეგვრის ერთეულის შეცვლის, უფრო მოქნილი დაბეგვრის ერთეულის შემოღების შესახებ. პეტრე პირველის დროიდან გაუქმდა საადგილმამულო დაბეგვრა და შემოღებულ იქნა „Подушная подать" — სულადობრივი დაბეგვრა. ასე რომ, საქართველოს რუსეთთან შეერთებისას და რეფორმამდელი პერიოდის მთელ მანძილზე რუსეთში საადგილმამულო გადასახადი აღარ იყო. იგი კვლავ შემოღებულ იქნა რუსეთში 1875 წლიდან.

სულადობრივი გამოსაღები რუსეთში პირდაპირ გადასახად-

[1] Янжул. Основные начала финансовой науки, 1890, стр. 296.

თა შორის ძირითადი გადასახადი იყო. მას ახდევინებდნენ გლეხებს და მეშჩანებს. გადამხდელთა რაოდენობის განსაზღვრა ხდებოდა რევიზიების საშუალებით. რევიზიები ხშირად არ წარმოებდა, ვინაიდან დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ რევიზიიდან რევიზიამდე გარდაცვლილნი და ახლად დაბადებულნი დაბეგვრის დროს მხედველობაში არ მიიღებოდნენ, ხოლო გარდაცვლილნი ცოცხლებად ითვლებოდნენ და იბეგრებოდნენ.

მეორე გამოსაღები იყო ღალა, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფო გლეხთა გამოსაღებს სახაზინო მიწებით სარგებლობისათვის. გლეხებისათვის მიწების მიცემა და საღალო გამოსაღების გამოანგარიშება სარევიზიო სულების მიხედვით წარმოებდა.

სულადობრივი გამოსაღების შემოღების შემდეგ საბატონო გლეხები სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდიდნენ სულადობრივ გამოსაღებს, ხოლო მემამულის სასარგებლოდ—ღალას, სახაზინო გლეხები კი — მხოლოდ სულადობრივ გამოსაღებს. ამ უთანაბრობის მოსასპობად საღალო გამოსაღები სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრათ სახაზინო გლეხებსაც[1].

11. გადასახადის განაკვეთების აგების მეთოდები

გადასახადის განაკვეთების აგების მეთოდების მიხედვით გაირჩევა რეგრესიული, პროპორციული და პროგრესიული გადასახადები.

რ ე გ რ ე ს ი უ ლ ი ეწოდება გადასახადს, რომლის განაკვეთი კლებულობს შემოსავლის ზრდასთან ერთად. რაც უფრო მდიდარია გადამხდელი, მით უფრო ნაკლებად ბეგრავს გადასახადი და, პირიქით, რაც უფრო ღარიბია — უფრო მეტად. რეგრესიულია არაპირდაპირი გადასახადები (მოხმარების საგნებზე შეწერილი გადასახადები).

რეგრესიული დაბეგვრა გამოყენებული არის პირდაპირ გადასახადებშიც. როდესაც, მაგალითად, მეურნე მით უფრო მეტი განაკვეთით იბეგრება, რაც უფრო ნაკლები აქვს მიწა და—პირიქით. ასევე რეგრესიულია სულადობრივი გადასახადი, რომელიც ყოველ დასაბეგრ პიროვნებას ახდევინებს მტკიცე განაკვეთს მისი ასაკის, ჯანმრთელობისა და შემოსავლის მიუხედავად.

პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი, რომლის განაკვეთი უცვლელი რჩება შემოსავლის მოძრაობის მიუხედავად. ერთი და

---

[1] О з е р о в, Общая картина обложения в России в ХУП в. и влияние его на экон. положение населения. ავრეთვე, Основ. фин. науки, Вып. I, стр. 295—303.

იგივე განაკვეთით ბეგრავს ყველა შემოსავალს სიდიდის მიუხედავად. პროპორციული დაბეგვრა შემოღებულია საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ.

პ რ ო გ რ ე ს ი უ ლ ი ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი, რომლის განაკვეთები იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად.

პროგრესიული დაბეგვრა არის ორგვარი: მარტივი და რთული.

მარტივი პროგრესიული დაბეგვრის დროს შემოსავლის ზრდასთან ერთად დაბეგვრის პროცენტი იზრდება დასაბეგრი შემოსავლის მთელი ჯამისათვის.

რთული, ანუ საფეხურებრივი პროგრესიის დროს დასაბეგრი შემოსავალი იყოფა ცალკეულ მონაკვეთებად და გადიდებული პროცენტით იბეგრება მხოლოდ შემდგომი მონაკვეთი.

ავიღოთ მაგალითისათვის შემოსავლის დაბეგვრა მარტივი პროგრესიით (გამოსახული დოლარებში, შემოკლ. დ):

1) 100 დ	5%	5 დ
2) 1000 დ	10%	100 დ
3) 10 000 დ	20%	2000 დ

იგივე შემოსავლის დაბეგვრა რთული პროგრესიით:

1) 100 დოლარამდე	5%	5 დ
2) 101 დ 1000-დე	10%	95 დ
3) 1001 დ 10 000-დე	20%	1895 დ

ეს გაანგარიშებულია შემდეგნაირად:

1) 100 დ - 5 %=5 დ.
101—1000—10 %=900 დ-10 %=90 დ. ამგვარად=5+90=95 დ

2) 100 დ 5%=5 დ.
101—დან 1000=900 10%=90 დ
1001 – 10000=9000—20%=1800 დ

ამგვარად: 5+90+1800=1895 დ

ამნაირად ერთი და იმავე პროცენტული განაკვეთებით გადახდება:

მარტივი პროგრესიით		რთული პროგრესიით	
100 დ	5 დ	100 დ	5 დ
1000 დ	100 დ	1000 დ	95 დ
10000 დ	2000 დ	10000 დ	1895 დ

როგორც ვხედავთ, რთული პროგრესია ერთგვარად არბილებს პროგრესიის სიმკვრივეს, ამცირებს გადასახადს. ამიტომ რთული პროგრესია უფრო მისაღებია მსხვილი შემოსავლის მეპატრონეებისათვის. კაპიტალისტურ ქვეყნებში კომერციული საიდუმლოების არსებობის გამო კაპიტალისტები ახერხებენ გადამალონ თავიანთ შემოსავალთა დიდი ნაწილი. გარდა ამისა, სახელმწიფო აპარატი, რომელიც მსხვილ კაპიტალისტთა ხელშია, მასების დასამშვიდებლად აწესებს პროგრესიულ დაბეგვრას, მაგრამ პროგრესიის განაკვეთებს ადგენს ისე მცირედს, რომ დიდად არ განსხვავდება პროპორციულისაგან. მაგალითად:

1) 100 დ	5% იქნება 5 დ	
2) 1000 დ	5,1%	50 დ 10 ცენტი
3) 10 000 დ	5,2%	500 დ 200

იმავე შემოსავალზე პროპორციული დაბეგვრით იმავე პროცენტული განაკვეთით აიღებოდა გადასახადი:

1) 5 დ 2) 50 დ და 3) 500 დ. ამგვარად, განსხვავება არის 10 და 20 ცენტი.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ გადასახადთა მთავარი სიმძიმე ტვირთად აწვებოდეს ხალხის მასებს[1].

ვ. ი. ლენინს მოცემული აქვს აშშ-ის მიერ შემოღებული პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადის კრიტიკა. ეს გადასახადი გარეგნულად არის პროგრესიული, მაგრამ ეს პროგრესია ძალიან სუსტად ეხება მოსახლეობის შეძლებულ, მდიდარ ნაწილს. მილიონი შემოსავლის პატრონი 3%-ზე ნაკლებს იხდის. ლენინი აკრიტიკებს ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, რომლებიც მზად არიან სიტყვით აღიარონ და პროგრამაში შეიტანონ საშემოსავლო პროგრესიული გადასახადი. მაგრამ მომხრე არ არიან, რომ მოიხსნას არაპირდაპირი დაბეგვრა. ისინი ლაპარაკობენ, რომ პროგრესიული დაბეგვრა რამღენადმე შეამცირებს არაპირდაპირ დაბეგვრას.

ლენინი ასაბუთებს, რომ კაპიტალიზმის პირობებში გადასახადების უდიდესი ტვირთის მზიდველი არის მშრომელი მოსახლეობა. ამერიკის სტატისტიკის მიხედვით მშრომელთა დაახლოებით ცხრა მილიონი ოჯახი იღებს 4 800 მილიონ დოლარს. თითოეულზე მოდის 550 დოლარი. კაპიტალისტთა ნახევარი მილიონი ოჯახი იღებს 5 500 მილ.

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, მესამე საათბირო, თხზ., ტ. 13, 1950, გვ. 146.

დოლარს, თითოეული 11 000 დოლარს. ამგვარად, კაპიტალისტთა ნახევარი მილიონი ოჯახი უფრო მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე ცხრა მილიონი მუშის ოჯახი.

არაპირდაპირ გადასახადებს მუშათა ოჯახები იხდიან 330 მილიონ დოლარს, კაპიტალისტთა ოჯახები — 19 მილიონ დოლარს. გადასახადების შემოსავალთან შეფარდება შეადგენს 7% და 0,36%, ე. ი. მუშები არაპიდაპირი გადასახადის სახით იხდიან თავიანთი შემოსავლის 7%, ხოლო კაპიტალისტები თავიანთი შემოსავლის 1/3%. ამგვარად, მუშები ამ გადასახადებს კაპიტალისტებთან შეღარებით 20-ჯერ მეტს იხდიან.

კაპიტალისტები რომ მუშების თანაბრად იხდიდნენ, მაშინ მათ უნდა გადაეხადათ არა 19, არამედ 385 მილიონი დოლარი.

რა კომპენსირებას აკეთებს ახალშემოღებული პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადი? ამ გადასახადით კაპიტალისტებისაგან მიიღება 70 მილიონი დოლარი. ამას თუ მივუმატებთ მათ მიერ გადახდილ 19 მილიონ დოლარს, გამოვა 89 მილიონი დოლარი, ე. ი. მათი შემოსავლის ერთნახევარი პროცენტი, მაშინ როდესაც მუშები იხდიან თავიანთი შემოსავლის 7%.

საშუალო კაპიტალისტებს რომ გადაეხადათ იგივე პროცენტი, რასაც იხდიდნენ მუშები, ე. ი. 7, მაშინ ისინი გადაიხდიდნენ 130 მილ. დოლარს, ხოლო მდიდარი კაპიტალისტები თუ გადაიხდიდნენ შემოსავლის 15%-ს, შედგებოდა თანხა 540 მილიონი დოლარი.

ამგვარად აგებულ პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადს ლენინი უწოდებს სათამაშო გადასახადს.

ლენინი მოითხოვდა ყველა არაპირდაპირი გადასახადის გაუქმებას და ნამდვილი პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადის შემოღებას. რაც კაპიტალიზმის საფუძვლების ხელშეუხებლადაც კი დიდად შეუმსუბუქებდა მდგომარეობას მოსახლეობის ცხრა მეათედს. ამასთანავე იგი ხელს შეუწყობდა საზოგადოების მწარმოებლურ ძალთა განვითარებას იმის გამო, რომ გაიზრდებოდა შინაგანი ბაზარი და საჭელმწიფოს აღარ დასჭირდებოდა ეკონომიკური ცხოვრების შემავიწროებელი ღონისძიებები არაპირდაპირი გადასახადების გადასახდევინებლად.

თანამედროვე ბანკებისა და შემნახველი სალაროების განვითარების პირობებში სრულიად უაზროდ მიაჩნია ლენინს კაპიტალიზმის დამცველთა მტკიცება, რომ დიდი შემოსავლების აღრიცხვა ძნელია[1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმი და გადასახადები, თხზ., ტ. 19. 1951. გვ. 223—227.

ლენინი აპაბუთებდა არაპირდაპირი გადასახადების გაუქმების აუცილებლობას, მოითხოვდა ქონებისა და შემოსავლის გადასახადის შემოღებას, რომელსაც მაღალი და მზარდი განაკვეთები უნდა ჰქონოდა. ლენინი ებრძოდა ბურჟუაზიულ სიცრუეს, ოპორტუნისტულ შეხედულებებს იმის შესახებ, რომ თითქოს არაპრაქტიკული იყოს ქონებისა და შემოსავლის მიხედვით დაწესებული გადასახადი რევოლუციურ-მაღალი განაკვეთით. ხალხის დიდი ნაწილი უნდა დარწმუნებულიყო ასეთი განაკვეთების სამართლიანობაში[1].

სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ არაპირდაპირი გადასახადების გაუქმებას და პროგრესიული გადასახადის დაწესებას შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე. ეს ნიშნავს: რაც მეტია შემოსავალი, მით უფრო მეტი უნდა იყოს გადასახადი. ვისაც აქვს ათასი მანეთი შემოსავალი, გადაიხადოს თითო კაპიკი მანეთზე. ვისაც აქვს 2000 მანეთი—ორ-ორი კაპიკი მანეთზე და ასე შემდეგ. ვისაც ფრიად მცირე შემოსავალი აქვს (მაგალითად, არა უმეტეს ოთხასი მანეთისა), სრულიად არაფერს არ იხდის, ყველაზე მდიდრები იხდიან ყველაზე დიდ გადასახადებს: ასეთი გადასახადი, ს ა შ ე მ ო ს ა ვ ლ ო გადასახადი ან, უკეთ, პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადი, გაცილებით უფრო სამართლიანი იქნებოდა არაპირდაპირ გადასახადებზე. ამიტომაც სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ არაპირდაპირი გადასახადების გაუქმებას და პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადის შემოღებას. მაგრამ გასაგებია, რომ ეს არ სურს არც ერთ მესაკუთრეს, მთელ ბურჟუაზიას, ისინი ეწინააღმდეგებიან ამას. მხოლოდ სოფლის ღარიბი გლეხობისა და ქალაქის მუშების მტკიცე კავშირს შეუძლია გამოგლიჯოს ხელიდან ბურჟუაზიას ეს გაუმჯობესება[2].

12. გადასახადების გადახდევინების წესი

გადასახადების გადახდევინების მიხედვით პირდაპირი გადასახადები არის გ ა ნ წ ი ლ ა დ ე ბ ი თ ი და გ ა დ ა კ ვ ე თ ი ლ ი.

განწილადებითი გადასახადების გაწერა ხდებოდა კაპიტალისტურ-ამდელ საზოგადოებრივ ფორმაციაში. ამ დროს გადასახადური ტექნიკა ჯერ კიდევ საკმარისად განვითარებული არ იყო. გადასახადების განწილადებითი წესით გადახდევინების დროს სახელმწიფო გადასახადის მთელ თანხას აწერდა ოლქებს, ქალაქებს, სოფლებს, დასახლე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მემარცხენე ციმერვალდთა ამოცანები შვეიცარიის ს.-დ. პარტიაში, თხზ., ტ. 23, 1951, გვ. 177—179.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სოფლის ღარიბებს, თხზ., ტ. 6, 1956, გვ. 497—509.

ბულ პუნქტებს. შემდეგ ამ ადმინისტრაციული ერთეულის გადამხდელები თვითონ ინაწილებდნენ თავიანთ შორის ან ადგილობრივი ორგანოები ანაწილებდნენ მათ შორის გადასახადის ოდენობას (თუ ვის რამდენი უნდა გადაეხადა).

გადაკვეთილი გადასახადების გადახდევინებისას საფინანსო უწყება თითოეულ გადამხდელს აწერს გადასახადის განსაზღვრულ თანხას —გადაკვეთილ გადასახადს. გადამხდელისათვის წინდაწინვე ცნობილია გადასახადის გადანაკვეთი და განაკვეთიც. გადაკვეთილი წესით გადახდევინება გავრცელდა კაპიტალიზმის პირობებში. ამას ხელს უწყობს კვალიფიციური ფინანსური აპარატის არსებობა.

გადასახადის გადახდევინების ელემენტებს შეადგენს: საგადასახადო კადასტრი, საგადასახადო დეკლარაცია, საგადასახადო შეფასება, დაუბეგრავი მინიმუმი და საგადასახადო იმუნიტეტი. საგადასახადო კადასტრის დროს დასაბეგრი ობიექტი დაყოფილია გარკვეულ თანრიგებად ობიექტის შემოსავლიანობის მიხედვით, თითოეული თანრიგისათვის დაწესებულია გადასახადის განსაზღვრული განაკვეთი. საგადასახადო კადასტრი გამოიყენება პირდაპირი გადასახადების რეალური დაბეგვრის სისტემაში, განსაკუთრებით კი — საადგილმამულო დაბეგვრაში.

საადგილმამულო კადასტრის ისტორია იწყება მონათმფლობელური საზოგადოებიდან. საადგილმამულო კადასტრი ითვალისწინებს მიწების დაყოფას თანრიგებად. მიწები ნაწილდება კულტურების მიხედვით (სახნავი, სათიბი, საძოვარი და სხვ.), მიწის ნაყოფიერების, მოსავლიანობის და სხვ. ის ჩაიწერება მიწის ნაკვეთების რეესტრში და გადაიტანება რუკაზე, ამასთანავე ხდება მიწის ნაკვეთის თითოეული თანრიგის საშუალო ნორმალური შემოსავლიანობის შეფასება. საადგილმამულო კადასტრების შედგენას სჭირდება დიდი დრო და დიდი ხარჯები, ხშირად ათეული წლები. შემოწმება ძნელია, რადგან ის ითხოვს ისევ დიდ დროს და ხარჯებს, შემდეგ ძველდება ცხოვრების განვითარების გამო, ზოგი ნაკვეთი მცირდება, ზოგი იზრდება, ზოგის შემოსავლიანობა კლებულობს, ზოგისა—მატულობს. ამის გამო გადასახადების გაწილადება უთანაბრო ხდება—ღარიბებისათვის იზრდება, ხოლო მდიდრებისათვის კლებულობს. ამიტომ წვრილ მესაკუთრეთათვის ის ღებულობს დაბეგვრის რეგრესიულ ხასიათს. კადასტრის შედგენა ხდება თვითნებურად. ის ემყარება დასაბეგრი ობიექტის გარეგნულ ნიშნებს, ამიტომ ობიექტის ნამდვილ შემოსავლიანობას დაცილებულია.

ს ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ ო დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა გამოიყენება პირდაპირი პირადი დაბეგვრის დროს. საგადასახადო დეკლარაცია არის

გადამხდელის განცხადება. რომლითაც იგი საფინანსო უწყებას ატყობინებს თავის შემოსავალს და მის სიდიდეს, აცნობებს მთლიან შემოსავალს და წმინდა შემოსავალს, შემოსავლის წყაროს და ოჯახის შემადგენლობას. ეს დეკლარაცია და საბუთები, რომლებიც ადასტურებენ გადასახადგადამხდელის ცნობების სისწორეს, საფუძვლად ედება დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრას და მასზე გადასახადის შეწერას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული კომერციული საიდუმლოება, ბანკების საიდუმლო ოპერაციები, პირდაპირი ფალსიფიცირება და სიყალბე შესაძლებლობას აძლევს კაპიტალისტებს საგადასახადო დეკლარაციით ნაწილობრივად გვერდი აუარონ გადასახადების გადახდას.

საგადასახადო დეკლარაცია არის სავალდებულო და ფაკულტატიური. ფაკულტატიური დეკლარაცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი განსაზღვრულ თანხას აღემატება. სავალდებულო დეკლარაცია გამოიყენება საშემოსავლო გადასახადის, მემკვიდრეობის, სახლის, სარეწაო გადასახადებისა და ბაჟების გადახდევინების დროს.

ს ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ ო შ ე ფ ა ს ე ბ ა. შეფასების მეთოდი გავრცელდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც დაკავშირებული იყო შემოსავლის გადასახადის გავრცელებასთან. საგადასახადო შეფასება არკვევს იმ პირობებს, რომლისაგანაც არის დამოკიდებული მისაღები გადასახადის ჯამის განსაზღვრა. ის აფასებს გადასახადის ობიექტს. საგადასახადო ტექნიკის განუვითარებლობის პირობებში საგადასახადო ობიექტის შეფასება გარეგნულ ნიშნებს ემყარებოდა, მაგალითად, სახლის გადასახადში ფანჯრების ან საკვამურების რიცხვს. დღევანდელ პირობებში ის ემყარება სახლის შემოსავლის სიდიდეს, საგადასახადო შეფასება საგადასახადო კადასტრთან შედარებით უფრო იაფიც არის და უფრო მოქნილიც. მას ბოროტად იყენებენ მსხვილი გადასახადგადამხდელები.

დ ა უ ბ ე გ რ ა ვ ი მ ი ნ ი მ უ მ ი არის შემოსავლის გარკვეული ოდენობა, რომელსაც არ შეეწერება გადასახადი, რასაც განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელი მოსახლეობისათვის. მშრომელთა ერთი ნაწილი თავისუფლდება გადასახადისაგან, თუ ძალიან დაბალი არ არის დაწესებული დაუბეგრავი მინიმუმი. დაუბეგრავი მინიმუმი დაწესებულია, როგორც წესი, საშემოსავლო გადასახადისათვის. იგი გამოიყენება აგრეთვე ზოგიერთი სხვა გადასახადებისათვისაც, როგორიც არის ქონების, მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადი და სხვ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში აწესებენ ისეთ დაბალ დაუბეგრავ მინიმუმს, რომ ის გადასახადისაგან ათავისუფლებს მხოლოდ წვრილ შემოსავლებს. დაუბეგრავ მინიმუმს ამცირებს აგრეთვე საცხოვრებელ საშუალებათა გაძვირება, ქაღალდის ფულის ინფლაცია; რიგ შემთხვევაში მას ამცირებენ პირდაპირ საკანონმდებლო გზითაც. იმპერიალიზმის პირობებში იგი განუხრელად მცირდება. ასე მაგალითად, აშშ-ში 1913 წელს დაუბეგრავ მინიმუმად დაწესდა წლიური შემოსავლის 3 ათასი დოლარი მარტოხელათათვის და 4 ათასი დოლარი ოჯახიანთათვის. ამის შემდეგ ეს დაუბეგრავი მინიმუმი თანდათან მცირდება და 1943/44 წლებში ის დაყვანილ იქნა 500 დოლარამდე მარტოხელათათვის და 1000 დოლარამდე ოჯახიანებისათვის. არაპირდაპირ გადასახადებში დაუბეგრავი მინიმუმი არ არსებობს.

ს ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ ო ი მ უ ნ ი ტ ე ტ ი არის განსაკუთრებულ პრივილეგიურ პირთა განთავისუფლება გადასახადებისაგან. მონათმფლობელურ სახელმწიფოებში საგადასახადო იმუნიტეტით სარგებლობდა ყველა თავისუფალი მოქალაქე მშვიდობიან დროს. ფეოდალურ სახელმწიფოებში საგადასახადო იმუნიტეტით აღჭურვილნი იყვნენ სამღვდელოება და თავადაზნაურობა.

დღევანდელ პირობებში საერთაშორისო სამართლის საფუძველზე სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადებისაგან განთავისუფლებული არიან საელჩოებისა და მისიების დიპლომატური პერსონალი და მათი ოჯახის წევრები. დიპლომატები არ თავისუფლდებიან იმ უძრავი საკუთრების პირდაპირი გადასახადებისაგან, რომლებიც არის იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ისინი იმყოფებიან და აგრეთვე იმ შემოსავალთა გადასახადებისაგან, რომელთა წყარო ამავე ტერიტორიაზეა.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

გადასახადის სახეები

1.გადასახადების კლასიფიკაცია

გადახდევინების წესისა და სოციალ-ეკონომიკური შინაარსის მიხედვით გადასახადებს აქვთ სხვადასხვაგვარი ფორმა და სახე. გადასახადებს აჯგუფებენ 1) პირდაპირ გადასახადებად, 2) არაპირდაპირ გადასახადებად და 3) მისაგებლებად და მოსაკრებლებად.

პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი იყოფა რეალურ გადასახადებად და პირად გადასახადებად. რეალური გადასახადები ბეგრავს არა ცალკეულ პირებს, არამედ ქონებას ან შემოსავალს. ასეთებია: ადგილ-მამულის გადასახადი, სახლის გადასახადი, რეწვის გადასახადი, ფულადი კაპიტალების შემოსავლის გადასახადი. პირადი გადასახადებია ისეთი გადასახადები, რომლებსაც ახდევინებენ პიროვნებას. ესენია: შემოსავლის გადასახადი, მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის გადასახადი, სულადობის გადასახადი, ქონების გადასახადი.

ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი შედგება: აქციზების, ფისკალური მონოპოლიებისა და საბაჟო გადასახადებისაგან. **აქციზები** არის პირადი მოხმარების საგნებზე შეწერილი გადასახადები (ცნობილია თამბაქოს, ღვინის, ნავთობის, შაქრის და სხვა აქციზები), რიგ შემთხვევაში აქციზებით იბეგრება წარმოებრივი მოხმარების საგნებიც.

ფ ი ს კ ა ლ უ რ ი მ ო ნ ო პ ო ლ ი ა გულისხმობს განსაზღვრული საგნების (მაგალითად, თამბაქო, ღვინო, სათამაშო ქაღალდი და სხვ.) წარმოების, ან გასაღების ან წარმოებისა და გასაღების განსაკუთრებულ უფლებას, რომელსაც სახელმწიფო თავისთვის იტოვებს.

საბაჟო გადასახადები ბეგრავს საქონლის უცხოეთიდან შემოზიდვასა და უცხოეთში გაზიდვას. ამ საფუძველზე გაირჩევა შემოზიდვის,

პირდაპირი გადასახადები		არაპირდაპირი გადასახადები			მისაგებლები და მოსაკრებლები	
		აქციზები	საბაჟო გადასახადები		ფისკალური მონოპოლიები	
რეალური გადასახადები	პირადი გადასახადები					
1. ადგილ - მამულის გადასასადი	1. შემოსაელის გადასახადი	1. მასობრივი მოხმარების საგნების	1. საქონელთა შემოზიდვის	1. პროტექციონისტული	1. წარმოების	1. ქონების მიმოქცევის
2. სახლის გადასახადი	2. ქონების გადასახადი	2. ფუფუნების საგნების	2. გაზიდვის	2. ფისკალური	2. ვაჭრობის	2. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების
3. რეწვის გადასახადი	3. მემკვიდრეობის და ნაჩუქრობის გადასასადი	3. წარმოებრივი მოხმარების საგნების	3. ტრანზიტის	3. სტატისტიკური	3. წარმოებისა და ვაჭრობის	3. ნოტარიული
4. ფულადი კაპიტალების შემოსაელის გადასასადი	4. სულადობის გადასასადი	4. ბრუნვის გადასასადი (უნივერსალური აქციზი)		1. სელშეკრულებითი 2. ავტონომიური 3. პრეფერენციული		4. სასამართლო 5. საღერბო მოსაკრებლები
				1. სპეციფიკური 2. შეფასებითი		

გაზიდვის და ტრანზიტის ბაჟები. ამასთანავე თავისებურ სახეებს წარმოადგენენ ფისკალური, პროტექციონისტული და სტატისტიკური ბაჟები. ცნობილია აგრეთვე ბაჟები ავტონომიური, ხელშეკრულებითი, პრეფერენციული, სპეციფიკური და ფასეულობითი.

გადასახადებრივ გადასახდელებს მიეკუთვნება მისაგებლები და მოსაკრებლები, როგორიცაა ქონების მიმოქცევის, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების, ნოტარიული, სასამართლო, საღერბო და სხვ. (გადასახადთა კლასიფიკაციის სქემა იხ. 186-ე გვ.).

ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ ი დ ი ფ უ ლ ა დ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი. ნატურალური გადასახადები ეწოდება გადასახადებს, რომლებსაც გადამხდელი სახელმწიფოს ნატურით უხდის. ასეთებია პური, ღვინო, ხორცი, ყველი და სხვ. ეს არის გადასახადების ადრინდელი ფორმა. ის გავრცელებული იყო მონათმფლობელურ და ფეოდალურ სახელმწიფოებში.

კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ფორმაციაში, სადაც ფულმა თავის სრულ გაშლას მიაღწია, გადასახადები ფულად გადასახადებად გადაიქცნენ.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი დ ა ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი. სახელმწიფოებრივი გადასახადები წარმოადგენს მოსახლეობის სავალდებულო გადასახდელს, რომელიც შემოღებულია სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების მიერ კანონით დაწესებულ საფუძველზე.

ადგილობრივი გადასახადებია სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ დაწესებული გადასახადები. ის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის მთავარი წყაროა. ადგილობრივი გადასახადები არის პირდაპირი, როგორც. მაგალითად, ქონების, რეწვისა და სხვ. და არაპირდაპირიც —აქციზის, ბაჟის სახით. ხდება აგრეთვე ადგილების სასარგებლოდ სახელმწიფო გადასახადებზე წამატება. მაგალითად, აშშ კორპორაციის გადასახადზე და სხვ.

2. პირდაპირი გადასახადები

პირდაპირი დაბეგვრა არის დაბეგვრის უმარტივესი და უძველესი ფორმა. იგი ვითარდებოდა კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ფორმების მოძრაობასთან ერთად. პირდაპირი გადასახადები გავლენას ახდენენ წარმოებაზე. დაბეგვრის ამ სისტემის არსებობისას საქონელი იაფია.

პირდაპირი გადასახადები იყოფა რეალურ გადასახადებად და პირად გადასახადებად. პირდაპირ რეალურ გადასახადებს უწოდებენ გადასახადებს, რომლებიც ეწერება თვით ქონებას, მაგალითად, სახლს, მიწას, ფაბრიკას, და სხვ. პირდაპირი პირადი გადასახადები ეწოდება გადასახადებს, რომლებიც ეწერება არა ნივთებს, არამედ გადასახადგადამხდელის შემოსავალს, მაგალითად, ხელფასს, მოგებას, რენტას და სხვ.

ეს დაყოფა პირობითია, რადგან გადასახადის გადამხდელი ორივე შემთხვევაში პიროვნებაა—ფიზიკური ან იურიდიული. იგი მხოლოდ იმას გვიჩვენებს, გადასახადი პიროვნებას ეწერება როგორც პიროვნებას თუ როგორც ქონების მფლობელს.

პირდაპირი რეალური გადასახადებია ცალკეული ქონების ან შემოსავლის გადასახადები: ადგილ-მამულის გადასახადი, სახლის გადასახადი, რეწვის გადასახადი, ფულადი კაპიტალების შემოსავლის გადასახადი.

ა დ გ ი ლ-მ ა მ უ ლ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი. ადგილ-მამულის გადასახადი არის მიწის ნაკვეთების შემოსავლის გადასახადი. გადასახადის სუბიექტია მიწის მესაკუთრე ან მფლობელი იმისაგან დამოუკიდებლად, ის თვით ამუშავებს მიწის ნაკვეთს თუ იჯარით გასცემს მას. მოიჯარე დამოუკიდებლად იხდის გადასახადს თავისი შემოსავლიდან საიჯარო ქირის გამრავლების შემდეგ.

რეალურ გადასახადთა შორის საადგილმამულო გადასახადი ყველაზე ძველია. ეს გასაგებია, რადგან მიწის დიდი შემოსავალი ყურადღებას იპყრობდა იმ დროს, როდესაც მრეწველობა და ვაჭრობა ჯერ კიდევ განუვითარებელი იყო.

საადგილმამულო გადასახადი ვრცელდება ყველა მიწაზე, რომელიც ემსახურება სასოფლო-სატყეო მეურნეობას და, ჩვეულებრივად, ყველა მიწაზე, რომელსაც შეუძლია ემსახუროს ერთსაც და მეორესაც, თუმცა ფაქტიურად შეიძლება არც კი იქნეს გამოყენებული როგორც ასეთი (პარკები და სხვ.), მაგრამ ტყის საადგილმამულო გადასახადი განსხვავდება წმინდა სასოფლო-სამეურნეო საადგილმამულო გადასახადისაგან და ხშირად ახდევინებენ განსაკუთრებული სატყეო გადასახადის სახით. სამთო საქმის შემოსავალს, რომელიც ასევე ნიადაგთან არის დაკავშირებული, ამ სარეწაოს განსაკუთრებული ბუნების შესაბამისად, ბეგრავენ ან განსაკუთრებული გადასახადით, ან სარეწაო გადასახადით. გაშენებული მიწა ასევე უნდა გამოირიცხოს კატეგორიებიდან, რომლებიც დაბეგრილია ად-

გილის გადასახადით, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არის მიწიდან დამოუკიდებელი შემოსავალი, თუმცა პრაქტიკა ხშირად ასეთ მიწებსაც საადგილმამულო გადასახადის ობიექტად აქცევს.

გადასახადის გაზომვის საფუძვლების დაწესების მიმართ ადრე კმაყოფილდებოდნენ შემოსავლის დაახლოებითი შეფასებით, სარგებლობდნენ სარეწაოს გარეგანი ნიშნებით (გუთნების, ცხოველთა რიცხვი, ნათესის სიდიდე და სხვ.), რომელსაც საფუძვლად უდებდნენ დაბეგვრას.

ს ა ხ ლ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი. სახლის გადასახადს ახდევინებენ სახლის მესაკუთრეს, ანუ მფლობელს. ეს არის შენობის გადასახადი.

მისი მეურნეობრივი წყარო შენობის შემოსავალია. დაბეგვრის დროს არკვევენ საკითხს, მესაკუთრე სარგებლობს თვით შენობით, თუ სხვაზე აქვს გაქირავებული.

გაქირავებული შენობა იძლევა რენტას იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა მიზნით არის გაქირავებული. გამქირავებლისათვის ქირა წარმოადგენს შემოსავალს, მაშინ როდესაც დამქირავებლისათვის — ბინის ხარჯს, ან დუქნების, ფანტორების, სახელოსნოებისა და სხვ. დაქირავების დროს — მისი წარმოების ხარჯების ნაწილს.

თუ მესაკუთრე თვითონ ცხოვრობს ან სარგებლობს შენობით, ამ შემთხვევაშიც ხდება შენობის დაბეგვრა.

სახლის გადასახადის გვერდით ახდევინებენ აგრეთვე საადგილმამულო გადასახადს ანაგებიან ნაკვეთებზე; მაგრამ ვინაიდან ანაგებიან მიწას მეტი არავითარი დამოუკიდებელი შემოსავალი არ მოაქვს, ამიტომ საადგილმამულო გადასახადი შეიძლება გადაქცეულ იქნეს საკუთრივ მხოლოდ როგორც დამატებითი სახლის, მოედნის, ეზოსა და ბაღის გადასახადად.

შენობის შემოსავლიანობა, რომელიც საფუძვლად ედება დაბეგვრას, შესაძლებელია დადგინდეს სხვადასხვა წესით. პრაქტიკაში სარგებლობენ შემდეგი მეთოდებით. დაბეგვრა ემყარება: ან 1) განსაზღვრულ დაქირავების ფასს, რომელსაც მესაკუთრე განსაზღვრული დროის განმავლობაში მართლა ღებულობდა შენობიდან ან შეეძლო მიღება ადგილობრივი პირობების მიხედვით (გადასახადი გაქირავების შემოსავალზე) ან სახლის შემოსავალზე, ან მოედნიდან, რომელიც უჭირავს შენობებს, ხშირად მის კუთვნილ ეზოს მოედნითაც, მოცემული ადგილისათვის შეფასების უმაღლეს კლასში შეტანით (გადასახადი მიწის ფართობზე); ან 2) კანონით დაწესებულ საგადასახადო განაკვეთების საცხოვრებელ შენობათა სიდიდისა და რიცხვის შესაბამისად, შენობის სახისა და თვისების, ხანდახან მისდამი კუთვნილი

ბიწის ნაკვეთების მხედველობაში მიღებით, ან 3) შენობის კაპიტალური ღირებულების განსაზღვრის გზით — მათი მდგომარეობის, ზომის, გამოყენების წესის, შინაგანი მოწყობილობის შესაბამისად და აგრეთვე სხვა პირობათა მხედველობაში მიღებით, რომლებიც გავლენას ახდენენ გასასყიდ ღირებულებაზე (შენობის ღირებულების გადასახადი); ან, ბოლოს, 4) ფანჯრების რაოდენობის მიხედვით, მდებარეობის მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით, — სად დგას სახლი ან რამდენსართულიანია შენობა (გადასახადი ფანჯრებსა და კარებზე).

რ ე წ ვ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი. ეს გადასახადი შემოღებულია ფეოდალიზმის პირობებში. ის განაგრძობს არსებობას კაპიტალიზმის დროსაც. რეწვის გადასახადი შეეწერება სამრეწველო და სხვა საწარმოებს. ამ გადასახადს იხდიან ფაბრიკების, მაღაზიების, სახელოსნოების, საბანკო კანტორებისა და სხვ. მფლობელნი. გადასახადის ობიექტია მათი შემოსავალი რეწვითი საქმიანობიდან. გადასახადი შეეწერება გარეგანი ნიშნების მიხედვით. მაგალითად: მუშების რიცხვი, გამომუშავების სიდიდე, მოტორების სიმძლავრე და სხვ.

რეწვის გადასახადის გამოსაანგარიშებლად სახელმწიფოს ტერიტორია დაყოფილია „სარტყელებად" მათი მნიშვნელობის მიხედვით. სარეზიდენციო ქალაქები და მსხვილი ქალაქები მოთავსებულია პირველ სარტყელში, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი — მეორეში და ა. შ. დასაბეგრი ბრუნვა ვაჭრობაში განისაზღვრება ვაჭრობის სახეების მიხედვით: მსხვილი, საბითუმო, საცალო და სხვ.

რეწვის გადასახადის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს პატენტი. რეწვის გადასახადს იხდიან ამა თუ იმ საქმიანობის უფლების მოპოვებისათვის სპეციალური მოწმობის (პატენტის) მიღებით. საპატენტო გადასახდელს უთვლიან რეწვის ძირითად გადასახადში. შემდგომში გადახდევინების წესი შეცვალეს იმ მხრივ, რომ გადასახადს აწერდნენ არა საფინანსო უწყების ორგანოების მიერ რეწვის მოგებათა გამოანგარიშების, არამედ გადამხდელის დეკლარაციის საფუძველზე.

ფ უ ლ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი. ფულადი კაპიტალების შემოსავლების გადასახადი წარმოიშვა კაპიტალიზმის პირობებში. იგი არის რეალური გადასახადების გვიანდელი ფორმა. ის განსაკუთრებით განვითარდა ფასიანი ქაღალდების გავრცელებასთან დაკავშირებით. ფასიანი ქაღალდების მფლობელები ღებულობენ შემოსავალს დივიდენდებისა და სარგებლის სახით. ეს შემოსავლები ხდება ფულადი კაპიტალების შემოსავლის გადასახადის ობიექტი. ამ გადასახადის გადახდევინება ხშირად წარმოებს ბანკე-

ბის საშუალებით. ფინანსური კონტროლი გადასახადის გადახდაზე თავის სიმაღლეზე არ დგას და ხერხდება გადასახადისაგან თავის არიდება. გარდა ამისა, ბურჟუაზია ამ გადასახადს ეწინააღმდეგება. აშშ ადგილობრივი ორგანოებისა და შტატების სესხის მფლობელნი ამ გადასახადიდან განთავისუფლებული არიან. ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებული არიან მიიზიდონ კაპიტალები, ათავისუფლებენ კაპიტალის შემოსავლებს გადასახადებისგან. უცხოელ კაპიტალისტებს ეძლევათ შეღავათები და პრივილეგიები ფასიანი ქაღალდების დაბეგვრაში.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი დაბეგვრის ფორმა უმჯობესია არაპირდაპირ დაბეგვრასთან შედარებით, პირდაპირი რეალური გადასახადებიც არ ბეგრავს გადასახადგადამხდელს გადახდისუნარიანობის მიხედვით, რაც იწვევს მშრომელთა უკმაყოფილებას და კლასთა ბრძოლის გამწვავებას. ეს წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას პირდაპირი რეალური გადასახადებიდან პირდაპირ პირად გადასახადებზე გადასვლისა.

ბ) პირდაპირი პირადი გადასახადები

პირადი გადასახადების ობიექტია პიროვნების მთელი შემოსავალი, მისი ქონების შემოსავალი ან თვითონ პიროვნება. ამ გადასახადების ჯგუფს ეკუთვნის შემოსავლის გადასახადი, ქონების გადასახადი, მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის გადასახადი, სულადობის გადასახადი.

რეალური გადასახადებისაგან განსხვავებით, პირად გადასახადებში გამოიყენება გადასახადგადამხდელის პირადი ნიშნები. ასეთებია: დაუბეგრავი მინიმუმი, დასაბეგრი შემოსავლიდან ხარჯების გამოკლება, შეღავათები ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, გადასახადის პროგრესიული განაკვეთები და სხვ. გარდა ამისა, პირადი გადასახადების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის შედარებით უფრო ელასტიკურია, ვიდრე რეალური გადასახადები.

პირდაპირი პირადი გადასახადები სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ყველაზე ადრე შემოიღეს ინგლისსა და გერმანიაში, რაც აიხსნება სოციალ-ეკონომიკური პირობებით.

დაბეგვრის შემოღების მიზნით შემოსავლის გადასახადს მხარს უჭერდნენ მიწათმფლობელები და ფერმერები; ისინი მოითხოვდნენ, რომ დასაბეგრი შემოსავალი შემცირებულიყო სარგებლისა და სხვა გადასახდელთა გამოკლებით. მსხვილი კაპიტალის კონკურენციის

შემცირების მიზნით შემოსავლის გადასახადს ემხრობოდა წვრილი ბურჟუაზია. შემოსავლის გადასახადის შემოღებაში მაინც მთავარი იყო მუშათა მოძრაობა, რომელმაც აიძულა სახელმწიფო დათმობაზე წასულიყო.

შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი. შემოსავლის გადასახადის ობიექტია გადასახადგადამხდელის ყოველგვარი შემოსავალი, მიუხედავად იმისა, თუ რა წყაროდან ღებულობს მას. შემოსავლის გადასახადი ორგვარია: შედულარული და გლობალური. პირველი თავდაპირველად შემოღებულ იქნა ინგლისში, მეორე — პრუსიაში. ამიტომ მათ სხვანაირად უწოდებდნენ ინგლისურსა და პრუსიულს.

ინგლისის შემოსავლის გადასახადი ორი სახისაა: ძირითადი და დამატებითი. პირველი პროპორციულია, მეორე — პროგრესიული.

ინგლისში ძირითადი შემოსავლის გადასახადი შემოღებულია 1842 წელს. ეს გადასახადი პროპორციულია და დაწესებულია შედულარული სახით, რაც იმას გულისხმობს, რომ დაბეგვრის ობიექტად მიჩნეულია გადასახადგადამხდელის მთელი შემოსავალი, მაგრამ გადასახადი შეეწერება არა მთელი შემოსავლის, არამედ ცალკეული ნაწილების ანუ შედულების მიხედვით. ასეთი შედულებია ხუთი: A, B, C, Д, E. A შედულათი იბეგრება უძრავი ქონების შემოსავალი და მიწის რენტა; შედულა B ბეგრავს სოფლის მეურნეობის შემოსავალს; შედულა C — ფულადი კაპიტალების, ე. ი. ფასიანი ქაღალდების შემოსავალს; შედულა Д — მრეწველობის, ვაჭრობის, ბანკების, სადაზღვევო საზოგადოებათა და სხვ. მოგებას; შედულა E ბეგრავს ხელფასს, ჯამაგირებს, პენსიას, ადვოკატების, მხატვრების, ექიმებისა და სხვ. ჰონორარებს.

შრომითი შემოსავლები იბეგრება წყაროსთან შემოსავლის მიღების მომენტში. შედულარული გადასახადი არ გამორიცხავს გადასახადის გვერდის ავლის შესაძლებლობას. მრეწველობისა და ვაჭრობის შემოსავალი წყაროსთან ვერ იბეგრება, ამიტომ გამოიყენება გადასახადგადამხდელის დეკლარაცია. სწორედ აქ არის შემოსავლის გადამალვის დიდი შესაძლებლობა, რასაც აადვილებს კომერციული საიდუმლოების დაცვა. ვინაიდან ინგლისში გადასახადის გადახდა წარმოებს შედულების მიხედვით ცალ-ცალკე, საგადასახადო შეღავათების მიყენება გადახდევინებისას შეუძლებელია. ამიტომ გადამხდელნი მეორე წლის დასაწყისში, როდესაც უკვე გადახდილი აქვთ მთელი გადასახადი, ერთობლივ შემოსავალზე წარადგენენ იმ ნიშნებს, რომელთა მიხედვით შეღავათები ეკუთვნით და საფინანსო უწყება უკან უბრუნებს მათ მიერ ზედმეტად გადახდილ გადასახადის თანხას.

 გ ლ ო ბ ა ლ უ რ ი შემოსავლის გადასახადი პირველად შემოღებულ იქნა პრუსიაში 1891 წელს. ამგვარად, შემოსავლის გადასახადი პირველად შემოღებულია ინგლისში, მერე — გერმანიაში და შემდეგ (XX საუკუნეში) — ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში.

გლობალური შემოსავლის გადასახადი შეეწერება გადასახადგადამხდელის ერთობლივ შემოსავალს. ასეთი გადასახადი არსებობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, აშშ-ში, იტალიაში, იაპონიაში. გადასახადს ახდევინებენ არა წყაროსთან, არამედ გადამხდელის დეკლარაციის საფუძველზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში შემოღებულ იქნა საიმპერიო შემოსავლის გადასახადიც.

აშშ-ში შემოსავლის გადასახადით ცალკე იბეგრება მოსახლეობა და ცალკე—კორპორაციები.

მოსახლეობის შემოსავლის გადასახადი ორგვარია: ძირითადი და დამატებითი. ძირითადი შემოსავლის გადასახადი პროპორციულია, დამატებითი შემოსავლის გადასახადი კი — პროგრესიული.

კორპორაციების ფედერალური საშემოსავლო გადასახადიც ორგვარია: ძირითადი და დამატებითი. ამ გადასახადების გადახდევინებაში დიდი გასაქანი აქვს შემოსავლის გადამალვას და, მაშასადამე, გადასახადის გვერდის ავლას.

ქ ო ნ ე ბ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი. ქონების გადასახადი გვხვდება იშვიათად. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, გერმანიასა და იტალიაში, ის იყო შემოღებული დროებით, როგორც დამატებითი გადასახადი. ეს გადასახადი ღებულობს არაჩვეულებრივი გადასახადის სახეს, რომელსაც აწესებენ განსაკუთრებულ შემთხვევაში (ომისა და სხვ.). აშშ-ში ქონების გადასახადს აწესებენ შტატები ან ადგილობრივი ორგანოები.

კაპიტალისტები წინააღმდეგობას უწევენ ქონების დაბეგვრას სპეციალური გადასახადით, ქონებრივ გადასახადებს აქვს დაბალი განაკვეთები, რაც შესაძლებელს ხდის გადამხდელმა იგი მიმდინარე შემოსავლიდან გადაიხადოს.

მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი ს ა და ნ ა ჩ უ ქ რ ო ბ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი. მემკვიდრეობის გადასახადი წარმოადგენს სიკვდილის შემთხვევაში ქონების ხელიდან ხელში უსასყიდლოდ გადასვლის გადასახადს. გადასახადის წყაროსა და დაბეგვრის მასშტაბს წარმოადგენს სამემკვიდრო ქონება, რამდენადაც ის თავის თავში შეიცავს აქტივს. გადასახადვალდებულად გვევლინებიან პირები, რომლებიც მემკვიდრეობას ღებულობენ კანონის ან ანდერძის მიხედვით.

მემკვიდრეობის გადასახადი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს

ქონების მიმოქცევის გადასახადს. ვინაიდან ის ქონებას ბევრავს ქონების მფლობელის გამოცვლის დროს. ეს გამოცვლა რომ არ ყოფილიყო, არც გადასახადი იქნებოდა. თავისი მოქმედებით მოცემული გადასახადი წარმოადგენს ქონებრივს, ვინაიდან სამემკვიდრო ქონება ერთსა და იმავე დროს საფუძველიც არის გადასახადის განსასაზღვრავად და საგადასახადო წყაროც.

სულადობის გადასახადი არის პირადი გადასახადის ყველაზე უმარტივესი ფორმა. ეს ისეთი გადასახადია, რომლის დროსაც პიროვნება ერთდროულად სუბიექტიც არის და ობიექტიც.

ეს უკანასკნელი წარმოადგენს ისეთ გადასახადს, რომელიც ერთგვარი თანხით გადახდება თითოეულ გადამხდელს, ე. ი. თითოეული ოჯახის თავს ან ცალკე პიროვნებას — ან ზოგიერთის შეზღუდვით, მაგალითად, შრომისუნარიან მოზრდილ მამრობით მოსახლეობას.

სულადობის ასეთი გადასახადები, რომლებიც ხშირად გვხვდება წარსულში, მეტისმეტად უხეში და უსამართლო იყო. ვინაიდან ის სრულიად არ უწევდა ანგარიშს ქონებისა და შემოსავლის სხვადასხვაობასა და სიდიდეს. ცხადია, ის უფრო მეტად დამტვირთველი და უსამართლოა იქ, სადაც მას ერთგვარი ზომით ახდევინებენ თითოეულ სულს მდგომარეობის, ასაკისა და სქესის მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში სულადობრივი გადასახადი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთადერთი გადასახადი დაბალ კლასებზე.

ზ ე მ ო გ ე ბ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი. აშშ-ში, ინგლისსა და ზოგიერთ ქვეყანაში ომის დროს, როგორც დროებითი ღონისძიება. შემოღებული იყო ზემოგების გადასახადი. ამ გადასახადის დროს გადამხდელის ქონება მხოლოდ მასშტაბია დაბეგვრისათვის. დაბეგვრის ობიექტია ომის თითოეული წლის მოგების ის ნაწილი, რომელიც აღემატება ომამდელ წლიურ მოგებას. გადასახადგადამხდელები ახერხებენ ამ გადასახადის გადაკისრებას მომხმარებლებზე და სახელმწიფოზე მათთვის სხვადასხვა შეკვეთების მიცემისას. გადახდილი გადასახადის ნაწილი ომის დამთავრების შემდეგ ინგლისსა და აშშ-ში დაუბრუნეს გადამხდელებს.

3. არაპირდაპირი გადასახადები

კაპიტალისტურ ქვეყნებში დაბეგვრის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს არაპირდაპირი გადასახადები. ის სხვადასხვა სახელმწიფოებში გადასახადთა საერთო შემოსავლის მეტ-ნაკლებად 35—45% შეადგენს. არაპირდაპირი გადასახადების მთავარი მზიდველი არის მშრომელი მოსახლეობა, რადგან მით ძირითადად დაბეგრილია აუცილებელი, ანუ მასობრივი მოხმარების საგნები და რადგან მოსახლეო-

ბის უდიდეს ნაწილს შეადგენს მშრომელი მოსახლეობა. ამიტომ კაპიტალისტურ ქვეყნებში არაპირდაპირი გადასახადების დაახლოებით 80%-მდე მოდის მშრომელების წილად. ამგვარად, არაპირდაპირი გადასახადები ამცირებენ რეალურ ხელფასს.

3. ი. ლენინის განმარტებით: „არაპირდაპირი გადასახადი ეწოდება ისეთ გადასახადებს, რომლებსაც ადებენ არა მიწას ან მეურნეობას პირდაპირ, არამედ ახდევინებენ ხალხს არაპირდაპირი, საქონელზე უფრო მაღალი ფასის დაწესების სახით. ხაზინა გადასახადს ადებს შაქარს, არაყს, ნავთს, ასანთს და მოხმარების ყოველგვარ სხვა საგანს; ამ გადასახადს ხაზინას უხდის ვაჭარი ან მეფაბრიკე, მაგრამ, რა თქმა უნდა, უხდის არა თავისი ჯიბიდან, არამედ იმ ფულიდან, რომელსაც მყიდველნი იხდიან. ემატება ფასი არაყს, შაქარს, ნავთს, ასანთს და ყველა, ვინც ყიდულობს ბოთლ არაყს ან გირვანქა შაქარს, იხდის როგორც საქონლის ფასს, ისე მასზე დადებულ გადასახადსაც. ვთქვათ, მაგალითად, თქვენ იყიდეთ ერთი გირვანქა შაქარი თოთხმეტ კაპიკად: აქედან ოთხი კაპიკი (დაახლოებით) იქნება გადასახადი. შაქრის ქარხნის პატრონმა ეს გადასახადი უკვე გადაუხადა ხაზინას და აი ახლა ამ თანხას ის ახდევინებს თვითეულ მყიდველს. ამრიგად, არაპირდაპირი გადასახადები არის მოხმარების საგნებზე შემოღებული გადასახადები, რომელთაც იხდის მყიდველი საქონლის აწეული ფასის სახით. ხანდახან ამბობენ „არაპირდაპირი გადასახადები ყველაზე სამართლიანი გადასახადებიაო: ვინც რამდენს ყიდულობს, იმდენსაც იხდისო. მაგრამ ეს მართალი არ არის. არაპირდაპირი გადასახადები ყველაზე უსამართლო გადასახადებია, რადგან ღარიბებისათვის მათი გადახდა გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე მდიდრებისათვის. მდიდარი ათჯერ და შეიძლება ასჯერაც მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე გლეხი ან მუშა. მაგრამ განა მდიდარს ასჯერ მეტი შაქარი ესაჭიროება? ათჯერ მეტი არაყი ან ასანთი? ან ნავთი? რა თქმა უნდა, არა. მდიდარი ოჯახი იყიდის ნავთს, არაყს და შაქარს, ორჯერ, დიდი-დიდი — სამჯერ მეტს, ვიდრე ღარიბი ოჯახი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მდიდარი თავისი შემოსავლიდან გადასახადის სახით გადაიხდის ნაკლებ ნაწილს, ვიდრე ღარიბი. ვთქვათ, ღარიბ გლეხს აქვს წლიური შემოსავალი ორასი მანეთი; ვთქვათ, მან 60 მანეთად იყიდა ისეთი საქონელი, რომელზედაც დადებულია ბაჟი, რის გამოც ის გაძვირდა (შაქარსა, ასანთსა და ნავთზე დადებულია აქციზი, ე. ი. ბაჟს მეფაბრიკე იხდის უფრო ადრე, ვიდრე საქონელი ბაზარზე გამოვიდოდეს; სახაზინო არაყზე ხაზინამ პირდაპირ ასწია ფასი, ფართლეული, რკინა და სხვა საქონელი გაძვირდა, იმიტომ რომ იაფ საზღვარ-

გარეთულ საქონელს რუსეთში არ უშვებენ, თუ მას დიდი ბაჟი არ დაადეს). ამ სამოც მანეთიდან ოცი მანეთი იქნება გადასახადი. მაშასადამე, თავისი შემოსავლის ყოველ მანეთზე ღარიბი გადაიხდის ორ შაურს არაპირდაპირი გადასახადის სახით (აქ არ შედის პირდაპირი გადასახადები, გამოსასყიდი, საღალო, მიწისა, საერობო, სათემო, სასოფლო). მდიდარ გლეხს კი აქვს ათასი მანეთი შემოსავალი; ვთქვათ, მან იყიდა ასორმოცდაათი მანეთის საქონელი, რომელზეც დადებულია ბაჟი. ის გადაიხდის ორმოცდაათ მანეთ გადასახადს (ამ ასორმოცდაათი მანეთიდან). მაშასადამე, თავის შემოსავლის ყოველ მანეთზე მდიდარი გადაიხდის არაპირდაპირი გადასახადის სახით მხოლოდ შაურს. რაც უფრო მდიდარია კაცი, მით უფრო ნაკლებ არაპირდაპირ გადასახადს იხდის თავისი შემოსავლიდან. ამიტომ არაპირდაპირი გადასახადები ყველაზე უსამართლო გადასახადებია. არაპირდაპირი გადასახადები — ესაა გადასახადები ღარიბებისაგან. გლეხები და მუშები ერთად შეადგენენ მთელი მოსახლეობის 9/10-ს და იხდიან ყველა არაპირდაპირი გადასახადის 9/10-ს ან 8/10-ს. ყველა შემოსავლიდან კი გლეხები და მუშები ღებულობენ, ალბათ, არაუმეტეს 4/10-სა"[1].

ცნობილია არაპირდაპირი გადასახადების სამი ჯგუფი: აქციზები, ფისკალური მონოპოლია და ბაჟები. არაპირდაპირი გადასახადების ეს სახეები ერთმანეთთან კავშირშია და ერთმანეთს აპირობებს. ასე მაგალითად, ქვეყნის შიგნით აქციზების დაწესება მოითხოვს საზღვარზე პროტექციონისტული ბაჟების დაწესებას და სხვ.

ა) სააქციზო დაბეგვრის ფორმათა განვითარება

აქციზი წარმოადგენს არაპირდაპირი დაბეგვრის გავრცელებულ ფორმას. აქციზი არის შინაგანი წარმოების საგნებზე შეწერილი გადასახადი, რომელიც შესულია მათ ფასში. აქციზის ფორმით სახელმწიფო ახდევინებს გადასახადს საქონლის მწარმოებელს ან გამსაღებლებს. უკანასკნელნი ამ გადასახადს აკისრებენ მომხმარებლებს მოცემულ საქონელთა ფასის გადიდებით.

აქციზით შესაძლებელია დაიბეგროს ყოველი პროდუქტი. გაარჩევენ აქციზებს აუცილებელი მოხმარების საგნებსა და ფუფუნების საგნებზე. უფრო გავრცელებულია აქციზი აუცილებელი მოხმარების საგნებზე, ვინაიდან მისი შემოსულობა საიმედოა და თანაც დიდი. ამ საგნების მოხმარების გვერდის ავლა ძნელია და თანაც მას მოსახლე-

[1] ვ. ი. ლენინი, სოფლის ღარიბებს, თხზ., ტ. 6, 1956. გვ. 497—499.

ობის დიდი ნაწილი მოიხმარს. ამიტომ აქციზები განსაკუთრებულად მძიმე ტვირთად აწვება მშრომელებს.

ცნობილია აქციზების გადახდევინების რამდენიმე წესი: აქციზებით დაბეგვრა ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით: მიწისა, რაზედაც ნედლეულის მცენარე იზრდება: ნახევარფაბრიკატისა მანქანების სიმძლავრის მიხედვით, რომლებიც ნედლეულს ან მზა პროდუქტს ამზადებენ, მზა პროდუქტის მიხედვით. ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფებს შორის წარმოებს ბრძოლა იმის გარშემო, თუ აქციზების რომელი ფორმა სჯობია. წვრილი ბურჟუაზიის საერთო-ცხლო ინტერესს შეადგენს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, მონოპოლიისა კი — ისეთი ფორმების შემოღება, რომლებიც აჩქარებენ წარმოების კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში შემოღებულია აგრეთვე ბრუნვის გადასახადი, როგორც აქციზების დამატება. ადრე ის არსებობდა გერმანიაში, საფრანგეთში, შემდეგ შემოღებულ იქნა სხვა ქვეყნებშიც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში მას უწოდებენ ბრუნვის გადასახადს, აშშ-ში — გაყიდვის გადასახადს, ინგლისში — ნასყიდობის გადასახადს. საერთოდ მას უწოდებენ უნივერსალურ აქციზს, რაც საკმაოდ გამოხატავს მის ნამდვილ შინაარსს. ეს არის გადასახადი, რომელიც ბეგრავს კომერციულ ბრუნვას, უმთავრესად მით იბეგრება საბითუმო და საცალო ვაჭრობა, როდესაც საქონელი მომხმარებელთან გადადის, ნაწილობრივ ბეგრავს საქონელს წარმოების ადგილებში. ამგვარად, ბრუნვის გადასახადი ბეგრავს იმ საქონელსაც, რომელსაც აქციზი არა აქვს შეწერილი და იმათაც, რომლებზეც აქციზს იხდიან, ე. ი. ის იბეგრება განმეორებით

ბ) სახელმწიფო ფისკალური მონოპოლიები

ფისკალური მონოპოლია არის დაბეგვრის თავისებური ფორმა. სახელმწიფო თვითონ აწარმოებს მასობრივი მოხმარების ზოგიერთ საგნებს და ამ დარგის საგნების წარმოებაზე აცხადებს მონოპოლიას. მონოპოლიური მდგომარეობის გამო საქონელი იყიდება მაღალ ფასად, რომელიც შენიღბულად შეიცავს გადასახადსაც. ამგვარად, სახელმწიფო საწარმოების მოწყობით სახელმწიფო ღებულობს აქციზს შენიღბულად და მის ზევით მაღალ მოგებასაც. მოსახლეობისთვისაც ფისკალური მონოპოლია დაბეგვრის მძიმე ფორმაა.

ფისკალური, ანუ სახაზინო მონოპოლია არის სრული, როდესაც სახელმწიფო თვითონ ამზადებს ნედლეულს და თვითონვე ეწევა საქონელთა წარმოებასა და გასაღებას. ნაწილობრივია ეს მონოპოლია,

როდესაც სახელმწიფო პროდუქციის ან მხოლოდ მწარმოებელია, ან მხოლოდ გამსაღებელი. მეფის რუსეთში არსებობდა სახაზინო მონოპოლია სპირტიან სასმელებზე. ნედლეულ სპირტს ამზადებდნენ კერძო ქარხნები და აბარებდნენ სახელმწიფოს. სახელმწიფო ქარხნები მისგან ამზადებდნენ სპირტს და ყიდდნენ ხაზინის საწყობებიდან და არაყის დუქნებიდან. ვ. ი. ლენინი მეფის რუსეთის სახაზინო მონოპოლიის ერთ-ერთი შემთხვევის შესახებ წერდა. რომ არაყის მონოპოლიის შემოღებასთან დაკავშირებით გერმანიაში უნდა დაარსებულიყო არაყის სახაზინო დუქნებიდან ფულის ამკრებთა 49 თანამდებობა, რომელთა საზღაური იქნებოდა 2180 მანეთი თითოეულისათვის. შემუშავდა აზრი, რომ ეს თანამდებობები დაეკავებინა თავადაზნაურობას, თუმცა გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებებიც.

პროექტი ითვალისწინებდა სხვადასხვა სიკეთეს, რომელსაც მოიტანდა არაყის მონოპოლია. ის ვარაუდობდა, რომ გაიზრდებოდა ხაზინის შემოსავალი, გაუმჯობესდებოდა პროდუქტი და შემცირდებოდა ლოთობა. ნამდვილად კი მოხდა ისე. რომ ხაზინის შემოსავალი შემცირდა, პროდუქტი გაუარესდა და ლოთობა გაიზარდა.

ვ. ი. ლენინი იმოწმებს გაზეთებს, რომ არხანგელსკის გუბერნიაში ზოგიერთ სოფელს ჯერ კიდევ 1899 წელს გამოუტანია საჯარო დადგენილება იმის შესახებ. რომ მათ სოფელში არ გახსნილიყო არაყის დუქნები. მთავრობამ, რომელიც სასმელთა მონოპოლიას ამყარებდა, უარი უთხრა ამაზე თითქოს იმ მოსაზრებით, რომ ძალიან ზრუნავდა ხალხის სიფხიზლეზე.

სახაზინო მონოპოლიის შემოღებით გლეხთა საზოგადოებებმა უამრავი ფული დაკარგეს. წინათ ისინი ფულს ახდევინებდნენ არაყის დუქნების პატრონებს, ხაზინამ მათ შემოსავლის წყარო წაართვა და ზარალი არ აუნაზღაურა. სამარის საგუბერნიო ერობის ანგარიშით ხსენებული გუბერნიის გლეხთა საზოგადოების ზარალი არაყის მონოპოლიის შემოღების გამო 1895—1897 წლებში შეადგენდა 3 150 000 მანეთს[1].

ბ) ბაჟები

ვიწრო აზრით, ბაჟი ეწოდება საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე დადებულ გადასახადს. ამიტომ ბაჟებს აქვთ არა მარტო ფისკალური მნიშვნელობა, არამედ სახალხომეურნეობრივიც. ბაჟს შეუძ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. შემთხვევითი შენიშვნები, თხზ., ტ. 4, 1955, გვ. 495—502.

ლია მთლიანად სახალხო მეურნეობას ან მის ცალკეულ დარგს ხელი შეუწყოს ან. პირიქით, ხელი შეუშალოს.

ბაჟები წარმოიშვა იმ გადასახადებიდან, რომლებსაც მემამულეები აწერდნენ მათ ტერიტორიაზე გამვლელ ვაჭრებს. ეს იყო გამოსასყიდი გადასახდელი მათ გაძარცვაზე უარის თქმისათვის. ასეთ გადასახადებს ქალაქებშიც ახდევინებდნენ. შემდგომში სახელმწიფოებმა ამით ფულის შოვნის მოხერხებული საშუალება გაიჩინეს. ამ ბაჟებს ჰქონდა ფისკალური მნიშვნელობა.

ბაჟები თავისი ბუნებით მიეკუთვნება არაპირდაპირ გადასახადებს. ამა თუ იმ სახელმწიფოს მოსახლეობის დაბეგვრის სიმძიმის თვალსაზრისით. პირველ რიგში, საყურადღებოა შემოზიდვის ბაჟები, რომლებიც საქონელთა ფასების გადიდებით მშრომელთა ფართო მოსახლეობას ბეგრავენ. მფარველობითი და აკრძალვითი საბაჟო ტარიფი ყოველთვის განასხვავებს შემოზიდვასა და გაზიდვას ერთმანეთისაგან და სხვადასხვა ზომის განაკვეთით ბეგრავს შემოზიდვასა და გაზიდვას. ანდა გაზიდვას სრულიად ათავისუფლებს ბაჟისაგან. ფისკალური ბაჟები კი შემოზიდულ-გაზიდულ საქონელს ასე არ არჩევენ და ერთსაც და მეორესაც თანაბარი განაკვეთით ბეგრავენ.

ამგვარად, ფისკალური ბაჟების დანიშნულებაა შემოსავალი მისცეს ხაზინას.

პროტექციონისტული, ანუ მფარველობითი ბაჟები შემოღებულია არა მარტო იმ მიზნით, რომ სახელმწიფომ მიიღოს შემოსავალი, არამედ იმიტომაც, რომ უცხოური კაპიტალის კონკურენციისაგან დაიცვას ქვეყნის მრეწველობა.

მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე მიმდინარეობს ვაჭრობის, ნაოსნობის სწრაფი განვითარება. ამასთანავე მიმდინარეობს ბრძოლა ბაზრების განაწილებისათვის. ამ დროისათვის ინგლისში მანუფაქტურა დაცული იყო შინაურ ბაზარზე მფარველობითი ბაჟებით, კოლონიურ ბაზრებზე— მონოპოლიებით, უცხოეთის ბაზრებზე — დიფერენციული ბაჟებით. მფარველობითი ბაჟები კრძალავდნენ ნედლეულის საზღვარგარეთ გაზიდვასაც.

მფარველობითი საბაჟო სისტემა საშუალებაა რომელიმე ქვეყანაში მსხვილი მრეწველობის შესაქმნელად. ის მოცემულ ქვეყანას დამოკიდებულს ხდის როგორც მსოფლიო ბაზრისაგან. ისე თავისუფალი ვაჭრობისაგანაც. მფარველობითი საბაჟო სისტემა ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას ქვეყნის შიგნით.

ის ქვეყანა, რომელიც კაპიტალისტური განვითარების გზას ადგებოდა, ცდილობდა შემოეღო მფარველობითი საბაჟო სისტემა. ამას

ბურჟუაზია იყენებდა როგორც იარაღს ფეოდალიზმისა და აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ. ბურჟუაზია მფარველობითი საბაჟო სისტემით თავისი ძალების კონცენტრაციას ახდენდა და ქვეყნის შიგნით ხელს უწყობდა თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას. ისტორიულ განვითარებაში მფარველობითი საბაჟო სისტემა და თავისუფალი ვაჭრობის სისტემა აღმოჩნდნენ ერთმანეთთან კონფლიქტში, ვინაიდან მფარველობითი საბაჟო სისტემა კონსერვატულია და თავისუფალი ვაჭრობა დამარღვევლად მოქმედებს მასზე.

ბაჟების გაუქმებას კაპიტალიზმის პირობებში სარგებლობა მოაქვს არა პროლეტარებისათვის, არამედ კაპიტალისტებისათვის. ბაჟების გაუქმებით გამოწვეული სამომხმარებლო საგნების გაიაფება შესაძლებლობას აძლევს კაპიტალისტებს შეამცირონ სამუშაო ხელფასი შესაბამისი ოდენობით. ამით კაპიტალისტები ამცირებენ საქონელთა თვითღირებულებას და აძლიერებენ თავიანთ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზრებზე გამსვლელ სხვა ქვეყნის კაპიტალისტებთან შედარებით.

მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის პირობებში ბაჟები გამოიყენებოდა იმ ქვეყნის ნაციონალური მრეწველობის ინტერესების დასაცავად, რომელსაც წარმოება სუსტად ჰქონდა განვითარებული. ასეთი ქვეყნები მფარველობითი ბაჟებით აფერხებდნენ ინდუსტრიულად განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შემოტევას. იმპერიალიზმის პირობებში, სადაც ბატონობს ზეპროტექციონიზმი, ბაჟები გამოყენებულია დემპინგის საწარმოებლად. მსხვილ ექსპორტიორ კაპიტალისტთა ინტერესების დასაცავად. ბაჟები შეტევით ხასიათს ღებულობს. ისინი ითვალისწინებენ მსოფლიო ბაზარზე გამსვლელი კაპიტალისტების ინტერესებს. ეს ბაჟები ზეპროტექციონისტული ხდება.

არსებობს პრეფერენციული ბაჟები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოები საგარეო ვაჭრობის გასადიდებლად დებენ ხელშეკრულებას საბაჟო ტარიფებში გაითვალისწინონ ურთიერთშეღავათები. მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა ხელი შეუწყო პრეფერენციული ბაჟების გავრცელებას.

ხშირად წესდება მაქსიმალური და მინიმალური საბაჟო ტარიფები. მაქსიმალური საბაჟო ტარიფის განაკვეთებს აწესებენ ყველა ქვეყნის საქონელზე, გარდა იმ ქვეყნებისა, რომლებთანაც სპეციალური საბაჟო შეთანხმებაა მიღწეული. მინიმალური საბაჟო ტარიფი წესდება მხოლოდ იმ ქვეყნების საქონელზე, რომლებთანაც შეთანხმებაა დადებული.

სტატისტიკური ბაჟები რეგისტრაციას უწევენ საბაჟო პუნქტებში საქონლის შემოსვლის ფაქტს. ეს ბაჟები ადგილებენ საქონელთა საზღვარზე გატარების აღრიცხვას. ამ ბაჟებს ფისკალური მიზანი არა აქვს.

ბაჟები გადახდევინების წესის მიხედვით გაიყოფა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ და ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ბაჟებად. შეფარდებით ბაჟს ახდევინებენ განცხადებული ღირებულების მიხედვით, სპეციფიკურ ბაჟს კ ი წონის, საქონელთა ერთეულის, მოცულობისა და სხვ. მიხედვით.

საბაჟო ტარიფები არის ავტონომიური (მაქსიმალური). კონვენციური (მინიმალური) და პრეფერენციული.

ავტონომიურ ტარიფს აწესებს კაპიტალისტური სახელმწიფო-შინაგანი კანონის მიღების წესით. კონვენციური ტარიფი არის საერთაშორისო შეთანხმებით დაწესებული ბაჟი. პრეფერენციული ტარიფია იმ ქვეყნების საქონელთა დაბეგვრის შემცირებული განაკვეთები, რომელთაც სპეციალური შეთანხმება აქვთ გაფორმებული ურთიერთშეღავათზე.

4. მისაგებლები და მოსაკრებლები

მისაგებელს ახდევინებენ სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ რაიმე მომსახურების გაწევისათვის. ბურჟუაზიული ფინანსისტების თვალსაზრისით, მისაგებელი არის ნაცვალგება, რომელიც განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოების მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურებით. ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ფინანსური სისტემა ამტკიცებს, რომ მისაგებელი ამგვარად განსაზღვრული არასდროს არ ყოფილა. მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება არასდროს არ არის ეკვივალენტური. იგი მას ან აღემატება (უფრო ხშირად), ან მასზე ნაკლებია. მაშასადამე, მისაგებელი როგორც ერთ. ისე მეორე შემთხვევაში გადასახადის ხასიათს ღებულობს. ამიტომ მისაგებელი შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც სპეციფიკური სახის გადასახადი. ზოგიერთი ბურჟუაზიული ფინანსისტიც იძულებულია ნაწილობრივ მაინც აღიაროს მისაგებლის გადასახადური ხასიათი. მისაგებლის გადახდაც სავალდებულოა. მაგრამ მას ახდევინებენ არა ყველას, არამედ იმას, ვინც მიმართავს მომსახურებისათვის სახელმწიფო ან ადგილობრივ ორგანოს.

გადახდევინების ფორმის მიხედვით ის შესაძლებელია მივაკუთვნოთ პირდაპირ გადასახადებს, მაგრამ რამდენადაც ის თავისი ბუნებით რეგრესიულია, მიეკუთვნება არაპირდაპირ გადასახადებს. მისაგებლები მრავალგვარია.

არსებობს აგრეთვე ქონების მიმოქცევის გადასახადი. ქონების მიმოქცევის გადასახადად იწოდება ისეთი გადასახადების ჯგუფი, რომელთაც საერთო აქვთ ის, რომ ამ გადასახადებს ახდევინებენ ქონებათა. ქონების ნაწილების, ქონებრივ ღირებულებათა და უფლებათა ხელიდან ხელში გადასვლის შემთხვევაში.

დაბეგვრის წყარო ამ შემთხვევაში იქნება ნაწილობრივ ის შემოსავალი და მოგება, რომელიც წარმოიშობა მფლობელის გამოცვლით. ხოლო ნაწილობრივ, თუ დასაბეგრ ფაქტს თან არ ჰყვება არავითარი შემოსავალი, — გადამხდელის დანარჩენი ქონება ან შემოსავალი. თუ ქონების გადასვლის ფაქტი იწვევს ქონების ზრდას ან მოგებას, მაშინ მიმოქცევის გადასახადები მოქმედებენ როგორც სპეციალური გადასახადები მოგებასა და მიმოქცევაზე.

დაბეგვრის მასშტაბს წარმოადგენს გადასაცემი ქონების ღირებულება. საგადასახადო ობიექტს ხშირად წარმოადგენს აქტი გადასვლის ფაქტის შესახებ. უმეტეს შემთხვევაში გადასახადს ახდევინებენ უშუალოდ ხელშეკრულების ერთ მხარეს ან ორივეს საზოგადოებრივ სალაროში გადასახადის შეტანით, ან საღერბო ნიშნის დასმით; მაგრამ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, მიმართავენ გადახდევინების არაპირდაპირ საშუალებასაც, როდესაც გარიგებისას გადასახადს იხდიან შუამავლები, რომელთაც ეძლევათ კონტრაგენტებიდან ანაზღაურების უფლება.

თავი მეექვსე

გადასახადთა ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა

1. მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის გადასახადთა ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა

1 .მერკანტილისტური შეხედულება

კაპიტალიზმის მოვლენათა ახსნა პირველად სცადეს მერკანტილისტებმა. როგორც ცნობილია, მათ დააყენეს საკითხი ქვეყნის სიმდიდრის ფორმებისა და მისი ზრდის შესახებ: ამასთანავე შეისწავლეს გადასახადების როლის საკითხი სიმდიდრის ზრდაში.

მერკანტილისტები ფიქრობდნენ, რომ ადამიანს გადასახადი უნდა შეეწეროს იმ სარგებლობის შესაბამისად, რასაც იგი სახელმწიფოსაგან ღებულობს. ამ აზრს გამოხატავდა იმ ხანად გაბატონებული „სოციალური ხელშეკრულების“ იდეა. მერკანტილისტები მოითხოვდნენ დაბალ შემოსაზიდ ბაჟებს, თანასწორობის აუცილებლობას გადასახადების დაწესებაში. გადასახადებით უნდა დაბეგრილიყო საპროცენტოდ გასესხებული ფული. უხერხულად მიაჩნდათ გადასახადის შეწერა ადვილად გადასამალავ სიმდიდრეზე.

ისინი მოითხოვდნენ, რომ გადასახადები ხელს უწყობდეს სიმდიდრის დაგროვებას. მომჭირნეობას. ასე მაგალითად, **თომა ჰობსის** (1588—1670) აზრით, გადასახადი არ უნდა შეეწეროს მას, ვინც ფულის მომჭირნეობას ეწევა. თუ გადასახადით დაბეგრილია საგნები, რომლებსაც ხალხი მოიხმარს, მაშინ გადასახადს ყოველი ადამიანი თანასწორად იხდის და საზოგადოება არაფერს კარგავს კერძო პირების მფლანგველობით. ჰობსი, როგორც მერკანტილისტი, უპირატესობას ანიჭებდა არაპირდაპირ დაბეგვრას.

ზოგიერთი მერკანტილისტის აზრით. გადასახადი არის სიზარმაცის მოსპობის, მუშებში ბეჯითობის უნარის გადიდების და, ამგვარად, ხალხის გამდიდრების საშუალება. ამ მხრივ აღსანიშნავია დე

ვიტი, რომლის შესახებ მარქსი წერდა: „გადასახადებით ზედმეტად დატვირთვა შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ, პირიქით, ამ სისტემის პრინციპია. ჰოლანდიაში, სადაც ეს სისტემა პირველად იყო შემოღებული, დიდი პატრიოტი დე ვიტი აქებდა მას თავის „მაქსიმებში“ როგორც საუკეთესო საშუალებას იმისათვის, რომ დაქირავებული მუშა გახდეს მორჩილი, ზომიერი, ბეჯითი და... გადამეტებული შრომის ამტანი“[1].

მერკანტილისტებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებას სჭირდება ღარიბები. ხელფასი უნდა იყოს დაბალი, რომ მუშები იძულებულნი იყვნენ მეტი იმუშაონ. ჯერ კიდევ 1646 წელს ჯ ო ნ ბ ე ლ ე ნ ს ი ამბობდა: „ღარიბის შრომა მდიდრის მადანია“[2]. ბერნარდ დე მანდერვილი მე-18 საუკუნის დამდეგს წერდა: „იქ, სადაც საკუთრება საკმაოდ დაცულია, უფრო ადვილი იქნებოდა უფულოდ ცხოვრება, ვიდრე უღარიბებოდ, რადგან ვინ მოისურვებდა მუშაობას?.. მუშები, თუ, ისინი ერთი მხრივ, შიმშილით სიკვდილისაგან დაცული უნდა იყვნენ, მეორე მხრივ, არაფერს არ უნდა იღებდნენ ისეთს, რაც დაზოგვის ღირსია. თუ ზოგიერთ შემთხვევაში დაბალი კლასიდან გამოსული ადამიანი არაჩვეულებრივი მუყაითობით და შიმშილობით მაღლდება იმ მდგომარეობაზე ზევით, რომელშიც იგი აღზრდილია, ამაში მას ხელი არავინ არ უნდა შეუშალოს: უდავოა, რომ მომჭირნეობით ცხოვრება -ეს ყველაზე გონივრულია ყოველი ცალკეული პიროვნებისათვის, ყოველი ცალკეული ოჯახისათვის საზოგადოებაში. მაგრამ ყველა მდიდარი ერის ინტერესი ის არის, რომ ღარიბთა უდიდესი ნაწილი არასოდეს უსაქმოდ არ იყოს და თანაც მუდამ მთლიანად ხარჯავდეს იმას, რასაც იღებს... ვინც ყოველდღიური შრომით ირჩენს თავს, იძულებულია იშრომოს მხოლოდ თავისი საჭიროების გამო, რომლის შემსუბუქებასაც მოითხოვს კეთილგონიერება. მაგრამ რომლის განკურნება უგუნურება იქნებოდა. ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია მუშა-კაცი ბეჯითად აქციოს, ზომიერი ხელფასია. მეტად მცირე ხელფასი მას ტემპერამენტის მიხედვით ან მხდალად აქცევს, ანდა სასოწარკვეთილებაში აგდებს, ძალიან დიდი ხელფასი თავხედად და ზარმაცად ხდის... ყველა ზემონათქვამიდან ის გამომდინარეობს, რომ თავისუფალ ერში, სადაც მონობა აკრძალულია, ყველაზე უტყუარ სიმდიდრეს შრომის მოყვარე ღარიბთა მასა შეადგენს. ...საჭიროა, რომ დიდი უმრავლესობა უვიცი და ღარი-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 948.

[2] იქვე, გვ. 775.

ბი დარჩეს. ცოდნა აფართოვებს და ამრავლებს ჩვენს სურვილებს, და რაც უფრო ცოტა სურს ადამიანს, მით უფრო ადვილად შეიძლება მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება"[1].

სიზარმაცის მოსასპობად. მუშებში ბეჯითობისა და შრომისმოყვარეობის დასანერგად ზოგიერთი მოაზროვნე მოითხოვდა ვადასახადების გამოყენებასაც. ამ მხრივ ცნობილია მე-17 და მე-18 საუკუნეების დასაწყისის მრავალი ინგლისელი ავტორი, რომლებიც მოხმარების გადასახადების სასარგებლოდ ქადაგებდნენ. მათი აზრით, გადასახადები ღარიბ კლასებს არ ჩაგრავს. გადასახადები ზრდის მუშათა მწარმოებლურობას. არაპირდაპირი გადასახადები სურსათ-საქონელგის საგანთა ფასების გადიდებით სპობენ სიზარმაცეს, მუშებს სამუშაოზე ერეკებიან მთელი ოჯახით. სპობენ ჩვეულებას კვირაში ოთხი დღის მუშაობისა. ასეთ პირობებში მუშაობა მიმდინარეობს უფრო იაფად და უკეთესად: ამით სახელმწიფო იგებს და მუშები არაფერს კარგავენ.

გ ა უ ტ ო ნ ი ამბობდა, რომ თუ მუშა მაღალ ხელფასს ღებულობს, მაშინ ის ბეჯითად აღარ მუშაობს. ამიტომ ბეჯითობის უნარის გასაღვივებლად საჭიროა ხელფასი დაიბეგროს გადასახადებით. ეს ხელს შეუწყობს მრეწველობის ზრდას, სახელმწიფოს გამდიდრებას და თვით მუშების გაბედნიერებას. იგი წერდა: „როდესაც აბრეშუმის წინდების მქსოველნი ან მწარმოებლები მაღალ ხელფასს ღებულობენ, ორშაბათს და სამშაბათს სამუშაოდ აღარ გამოდიან და ლუდხანებსა და ტავერნებში სხედან; ფეიქრები ჩვეულებრივად ორშაბათს მთვრალები არიან, სამშაბათს თავი სტკივათ, ხოლო ოთხშაბათს აუცილებული იარაღები აღარ აქვთ; მეწაღეებს ურჩევნიათ თავი ჩამოიხრჩონ, ვიდრე ორშაბათს (ლურჯი ორშაბათი) წმინდა კრისპინის დღესასწაულზე უარი თქვან. ჩვეულებრივად ეს გრძელდება, სანამ მათ პენი მაინც აქვთ ჯიბეში ან ამ თანხის ოდენა კრედიტი"[2].

მე-17 საუკუნის დიდმა ეკონომისტმა უ ი ლ ი ა მ პ ე ტ ი მ (1626-1687), რომელიც კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მამამთავრად ითვლება, სპეციალური შრომა მიუძღვნა გადასახადებს: „ტრაქტატი გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ"[3]. პეტი იმ თვალსაზრისზე დგას, რომ მოწესრიგებულ გადასახადებს შეუძლია სარგებლობა მოუტანოს სახალხო მეურნეობას. გადასახადები უქმად

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1. 1954, გვ. 775-776

[2] ციტირებულია წიგნიდან. Проф. И. М. К у л и ш е р, Очерки финансовой науки, вып. I, 1919, стр. 119—120.

[3] W i l l i a m P e t t y. A treatise of taxes and contributions, 1662.

მყოფ პირებს აიძულებენ იმუშაონ. გადასახადებს კაპიტალები უფრო ენერგიულ პირთა ხელში გადააქვთ.

დ ა ვ ი თ ი უ მ ი (1711—1776) იმ აზრისაა, რომ მშრომელებზე გადასახადის გადიდების დროს შესაძლებელია სამნაირ შემთხვევას ჰქონდეს ადგილი: ან მშრომელები მოთხოვნილებას შეამცირებენ, ან ხელფასს გაზრდიან და, მაშასადამე, გადასახადი მდიდრებს გადაეკისრება, ან გადასახადი ისევ მათზე დარჩება და მაშინ იძულებული იქნებიან უფრო ბეჯითად იმუშაონ.

თავის ნარკვევებში იუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ეკონომისტი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გადასახადებს ბეჯითობის გადიდებაში. თვითონ იუმი ამ დებულებას არ უარყოფს, მაგრამ მოითხოვს, რომ გადასახადების გადიდება ხდებოდეს არა ერთბაშად, არამედ ზომიერად და თანდათანობით. ის წერს: „გადასახადების გადიდებას შეუძლია მესამე შედეგიც გამოიწვიოს, ის, რომ ღარიბები ბეჯითობას მოუმატებენ, მეტი რაოდენობის სამუშაოს შეასრულებენ და ისევე კარგად იცხოვრებენ, როგორც წინათ. ისინი არ მოითხოვენ ხელფასის მომატებას, როდესაც გადასახადები ზომიერია, თანდათანობით წესდება და არ ეხება პირველი მოთხოვნილების საგნებს, მათ ბუნებრივად ამ მესამე შედეგამდე მივყავართ; ეჭვს გარეშეა, რომ ამგვარი სიძნელენი ხშირად ხელს უწყობენ ერის სამრეწველო საქმიანობის აყვავებას და სხვა ხალხთან შედარებით უფრო მდიდარსა და უფრო მუყაითს ხდიან ამ ერს, თუმცა შესაძლებელია იგი უფრო ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდეს“ [1].

ამრიგად, იუმის აზრით, გადასახადების გადიდებით შესაძლებელია მშრომელები აიძულო ბეჯითობას მოუმატონ და, ამრიგად, გადასახადი გამოყენებულ იქნეს კაპიტალის დაგროვების გასადიდებლად. მას შესაძლებლად მიაჩნია ხელფასიდან გადასახადების ნაწილობრივი გადაკისრებაც, თუმცა, მისივე აზრით, ეს მეტად ძნელი და თითქმის განუხორციელებელია. იუმი წინააღმდეგია ფიზიოკრატიული შეხედულებისა, რომლის თანახმად ყველა გადასახადი მიწას აწვება. ასეთი შეხედულება იმ მოსაზრებას ემყარება, რომ მუშას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა გაზარდოს ხელფასი გადასახადის ზრდის შესაბამისად.

იუმი მომხრეა მოხმარების გადასახადებისა, რომლებიც მუშებში შრომისმოყვარეობას ადიდებენ. იგი არ უარყოფს ზოგიერთთა შეხედულებას, რომ ყოველი ახალი გადასახადი მისი ზიდვის ახალ უნა-

---

[1] Д а в и д Ю м., Опыты, перевод М. О. Гершензона, М., 1896, стр. 86—87.

რიანობას მატებს გადამხდელს და გადასახადის სიმძიმის ყოველგვარი ზრდა პროპორციულად აძლიერებს ხალხის სამრეწველო საქმიანობას. მაგრამ გადასახადების მატება უნდა ხდებოდეს ზომიერად და გამოყენებული არ უნდა იქნეს ბოროტად.

იუმის მიხედვით, ხელფასი დამოკიდებულია შრომის მიწოდება-მოთხოვნაზე და არა — გადასახადების ოდენობაზე. ექსპორტიორ მანუფაქტურისტებს არ შეუძლიათ ხელფასის გადიდება, რადგან იგი გამოიწვევს ქსოვილების ფასის გადიდებას და გააძნელებს მათ გასაღებას უცხოეთის ბაზრებზე. ვერც ის მანუფაქტურისტები გაზრდიან ხელფასს, რომლებიც ადგილობრივი საჭიროებისათვის ამზადებენ ქსოვილებს, ვინაიდან შრომის ერთსა და იმავე სახეობაზე არ შეიძლება არსებობდეს ორი ფასი. იუმი ასკვნის: „მოხმარების საგნების გადასახადი აუცილებლად იწვევს იმას, რომ მუშა ან უფრო ნაკლებს ხარჯავს, ან უფრო მეტს მუშაობს. არ არსებობს ისეთი მუშა, რომელიც იმდენად შრომისმოყვარე არ იყოს, რომ რამდენიმე ზედმეტი საათი მოუმატოს თავის კვირის მუშაობას; ასევე არ არსებობს ღარიბი ადამიანი, რომ არ შეეძლოს რამდენადმე შეამციროს თავისი ხარჯები. რა შედეგი მოაქვს პურის გაძვირებას? ის ხომ არა, რომ ღარიბები უფრო ცუდად ცხოვრობენ და მეტს მუშაობენ? ასეთსავე გავლენას ახდენს გადასახადიც"[1]. ამგვარად, იუმი მხარს უჭერს შეხედულებას, რომლის მიხედვით გადასახადებით შესაძლებელია დაგროვების გადიდება.

ჯემს სტიუარტმა (1712—1780) თავისი შრომის — „გამოკვლევა პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების შესახებ"[2] — მეხუთე წიგნი მიუძღვნა გადასახადებს. იგი გადასახადებს განსაზღვრავდა როგორც კერძო მეურნეობათა მომჭირნეობას საზოგადოებრივი მიზნებისათვის, უფრო მეტად ეს გადასახადები გამოიყენებოდა ქარაფშუტა, მფლანგველ მემამულეთა წინააღმდეგ. გადასახადი, სტიუარტის აზრით, მტკიცედ უნდა განისაზღვროს, თანაბრად განაწილდეს და გადახდევინებულ იქნეს ხელსაყრელ დროს. იგი უნდა იქნეს პროპორციული და გადახდევინებულ იქნეს შემოსავლიდან ისე, რომ არ ეხებოდეს თვით შემოსავლის წყაროს.

ჯემს სტიუარტს, როგორც კ. მარქსი ამბობს, კარგად აქვს გადმოცემული მოხმარების გადასახადის პირვანდელი მიზანი თავის შრომა-

---

[1] Из переписки Юма с Тюрго по вопросу о налогах 1760—1767 гг. Д. Юм, «Опыты», 1869, М., стр. 94

[2] Steuart James, An Enquiry into the principles of political economy. L., 1767.

ში, რომელიც მან ა. სმიტზე ათი წლით ადრე გამოაქვეყნა. მოხმარების გადასახადებმა, ამბობს მარქსი, „...ბურჟუაზიის გამარჯვების შემდეგ მიიღო თავისი სრული განვითარება. სამრეწველო კაპიტალისათვის, ე. ი. ფხიზელი და დამზოგველი სიმდიდრისათვის, რომელიც შრომის უშუალო ექსპლოატაციის გზით არსებობს და აწარმოებს თავის აღწარმოებასა და ზრდას, მოხმარების გადასახადი საშუალება იყო ქარაფშუტა, მოქეიფე და მფლანგველი დიდ მებატონეთა სიმდიდრის ექსპლოატაციისა, რომელნიც მხოლოდ მოხმარებას ეწეოდნენ." იქვე მარქსს მოტანილი აქვს ციტატა ჯემს სტიუარტის შრომიდან „Recherches sur les principes de l'économie politique". ჯემს სტიუარტი წერს: „წმინდა მონარქიებში მეფეები თითქოს ერთგვარი შურით უცქერიან სიმდიდრის ზრდას და ამიტომ გადასახადებს ახდევინებენ იმათ, ვინც მდიდრდება, — წარმოებაზე დადებულ გადასახადებს. კონსტიტუციურ წყობილებაში გადასახადები ეკისრება უმთავრესად იმათ, ვინც ღარიბდება, — მოხმარებაზე დაწესებული გადასახადები. ამგვარად, ხელმწიფენი გადასახადებს ადებენ მრეწველობას... მაგალითად, სასულო გადასახადი და საკომლო პროპორციულია იმ პირთა ნაგულისხმევი შეძლებისა. რომლებიც მათ ექვემდებარებიან. თითოეული იბეგრება იმ მოგების მიხედვით. რომელიც როგორც იგულისხმება, მას აქვს. კონსტიტუციური მმართველობის დროს გადასახადები მოხმარებაზე აიღება ჩვეულებრივ. თითოეული იბეგრება იმის მიხედვით, რასაც ხარჯავს".[1]

ამრიგად, კაპიტალიზმის განვითარება მოითხოვდა დაგროვებას, დაზოგვას, სამუშაო ძალის უწყვეტ და შეუფერხებელ გამოყენებას. ამ მიზანს ემსახურებოდა მერკანტილისტთა შეხედულებანი, რომლებიც მოითხოვდნენ მშრომელების გადასახადებით დაბეგვრას. მაშასადამე. მერკანტილისტთა შეხედულებანი ამართლებდნენ მშრომელთა დამატებით ექსპლოატაციას გადასახადების საშულებით.

2. ფიზიოკრატიის წინამორბედთა შეხედულება

ერთიანი გადასახადით რენტის დაბეგვრის იდეა წამოყენებულ იქნა ჯერ კიდევ ფიზიოკრატიის წინამორბედთა მიერ. ამ მხრივ აღსანიშნავია ჯ ო ნ ლ ო კ ი (1632—1704), რომელიც თავისი ეკონომიკური შეხედულებებით მერკანტილიზმის კრიტიკას ემხრობოდა. მისი შეხედულება საკუთრების შესახებ ასეთია:

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფილოსოფიის სიღატაკე. 1931. გვ. 228.

ადამიანს შეუძლია მიისაკუთროს შრომის შედეგი იმ რაოდენობით, რამდენის მოხმარებაც შეუძლია. მას შეუძლია მიისაკუთროს არაშრომით შექმნილი საგანიც, მაგალითად, მიწის ნაკვეთი. მაგრამ იმ ზომით, რამდენის დამუშავებაც შესწევს მის ძალღონეს. ბუნებამ თვითონ მოგვცა საკუთრების ზომა მით, რომ საზღვარი დაუდო ადამიანის შრომასა და მოთხოვნილებებს.

ჯონ ლოკი თავის შრომაში — „ფიქრები იმ შედეგების შესახებ, რომლებსაც იწვევენ პროცენტის დონის შემცირება და ფულის ღირებულების ზრდა"[1]—იმ აზრს გამოთქვამს, რომ ყველა გადასახადი მიწის მესაკუთრეს აწვება, რასაც ასაბუთებს შემდეგნაირად: ვაჭარი და ყველა შუამავალი გადასახადებს აკისრებენ მომხმარებლებს, რომელთა დიდ ნაწილს შეადგენენ მუშები. ვინაიდან მუშებს გადასახადების ზიდვა არ შეუძლიათ, ამიტომ მოხდება ორიდან ერთი: ან გაიზრდება მუშის ხელფასი და მოიჯარე იძულებული გახდება შეუმციროს იჯარა მესაკუთრეს ან მიწა მიატოვოს, რადგან გადიდებულია ხელფასი და იმ საქონელთა ფასი, რომელსაც ის მოიხმარს და ამავე დროს დარჩენილია ან შემცირებულია მის მიერ წარმოებული საქონლის (ხორბლის, მატყლის) ფასი; ან, მეორე, ხელფასი ვერ გაიზრდება, ის მუშის არსებობას ვერ უზრუნველყოფს და სარჩენად დააწვება მრევლს. ეს გაზრდის უძრაობათა დაბეგვრას, რაც თავის მხრივ დააწვება მესაკუთრეს. ამგვარად, მიწათმფლობელნი ან შემცირებულ საიჯარო საფასურს მიიღებენ, ან საადგილმამულო გადასახადით დაიბეგრებიან.

ჯონ ლოკი აღსანიშნავია იმით, რომ მან პირველმა დააყენა გადასახადების გადაკისრების საკითხი და აგრეთვე იმით, რომ მისი შეხედულება გადასახადებზე ფიზიოკრატთა შეხედულების წინამორბედი გახდა. დასკვნა, რომელიც გამომდინარეობდა ლოკის შეხედულებიდან, ძირითადი დებულების სახით იქნა დაყენებული ფიზიოკრატების მიერ. ეს იყო იდეა მიწაზე ერთიანი გადასახადის შემოღებისა.

ჯონ ლოკი მართალი არ იყო იმის მტკიცებაში, რომ არაპირდაპირი გადასახადები მთლიანად მესაკუთრეებს აწვება; ნამდვილი არაპირდაპირი გადასახადების ძირითადი მზიდველი მშრომელი კლასებია. ჯონ ლოკი არც იმაშია მართალი, თითქოს მუშათა კლასს კაპიტალიზმის პირობებში ადვილად შეუძლია გადასახადების გადაკისრება. ამ მხრივ საყურადღებონი არიან აგრეთვე ბუაგილბერი და ვობანი.

ბ უ ა გ ი ლ ბ ე რ ი (1646—1714) თავის შრომაში — „საფრანგეთის

[1] John Locke, Some considerations of the consequences of the lonering of interest and raising the value of money, London, 1691.

დაწვრილებითი აღწერა"[1]—გადმოგვცემს ლუდოვიკო XIV დროინ საფრანგეთის გლეხობის საშინელ სიღატაკეს. იგი გამოდის წვრილი ფერმერის ინტერესების დამცველად, მოითხოვს საგადასახადო სისტემის გამარტივებასა და იმ გადასახადების მოსპობას, რომლებიც ხელს უშლიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების თავისუფალ ბრუნვას.

მიწათმოქმედთა სიღარიბის მიზეზად ბუაგილბერს მიაჩნია სახელმწიფოს ჩარევა და გადასახადების არათანაბარი განაწილება, რაც გადასახადების მთავარ სიმძიმეს უღარიბეს ფენებს აკისრებს.

საფრანგეთის მარშლის სებასტიან ვობანის (1633—1707) წიგნი „სამეფოს სამეათედო"[2] წარმოადგენს საფრანგეთის ფინანსური სისტემის კრიტიკას. ის აყენებს გადასახადების ოთხ ჯგუფს, რომლებიც სამეფო ათისთავის სახით დაბეგვრის ერთიან სისტემას წარმოადგენენ.

3. ფიზიოკრატული შეხედულება

ფრანსუა კენე (1694—1774) მიჩნეულია ფიზიოკრატული მიმართულების მამამთავრად. ფიზიოკრატების თეორიის მიხედვით ზედმეტ ღირებულებას იძლევა მიწათმოქმედება. „მეფე და ხალხი არასდროს არ უნდა ივიწყებდნენ, რომ მიწა არის სიმდიდრის ერთადერთი წყარო და რომ მხოლოდ მიწათმოქმედება ზრდის სიმდიდრეს...[3]. მთელი წლის პროდუქტების ღირებულება შედგება ორი ნაწილისაგან — წარმოების ხარჯებისა და წმინდა შემოსავლისაგან (produit net). ამ წმინდა შემოსავალს ღებულობს მიწის მესაკუთრეთა კლასი. გადასახადი უნდა იყოს აღებული მიწის წმინდა შემოსავლიდან, ვინაიდან ამ უკანასკნელისათვის სხვა წყარო არ არსებობს. მიწის მესაკუთრეთა კლასს ეკუთვნის: სახელმწიფო, მიწათმფლობელნი და ეკლესია. „მიწის ქონებათა წმინდა პროდუქტს ინაწილებს სამი მესაკუთრე: სახელმწიფო, მიწათმფლობელნი და ის პირები, რომელთაც სამეათედოს აღების უფლება აქვთ"[4].

„...გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს უშუალოდ მიწის წმინდა პროდუქტიდან, ვინაიდან, როგორი წესითაც არ უნდა ხდებოდეს მისი გადახდევინება სახელმწიფოში, რომელიც სიმდიდრეს თავისი ტერიტორიიდან ღებულობს, გადასახადი საბოლოოდ მიწიდან აიღება"[5].

---

[1] Boisguillebert. Le détail de la France, 1697.

[2] Vauban., Dime royale, 1707.

[3] Франсуа Кенэ, Избранные экономические произведения, М., 1960 г., стр. 433.

[4] იქვე, გვ. 439.

[5] იქვე, გვ. 441.

წარმოების ხარჯები ანაზღაურებენ მიწათმოქმედი, მოვაჭრე და მრეწველი კლასების ხარჯებს, იგი ისევ წარმოებას უბრუნდება.

ფიზიოკრატების აზრით, ამ ხარჯების შემოკლება არ შეიძლება, ვინაიდან იგი წარმოებისათვის დანიშნულ აუცილებელ მინიმუმს წარმოადგენს, ამიტომ, მათი აზრით, მიწათმოქმედ, მოვაჭრე და მრეწველ კლასებს არავითარი გადასახადის ზიდვა არ შეუძლიათ. „...გადასახადი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაედოს სხვა რამეს. გარდა შემოსავლისა, ე. ი. მიწაზე მოწეულ წლიური წმინდა პროდუქტისა, და არა მიწათმფლობელთა დანახარჯებს, მუშებს ან საქონელთა გაყიდვას (la vente des marchandises): წინააღმდეგ შემთხვევაში. ის გამანადგურებელი გახდება. თუ გადასახადი მშრომელთა ნახარჯს დაედებოდა, მაშინ ის გადასახადი კი აღარ იქნებოდა, არამედ ძარცვის ფორმად გადაიქცეოდა, შეუძლებელს გახდიდა აღწარმოებას და გამოიწვევდა მიწების გაუარესებას, ფერმერების, მესაკუთრეებისა და სახელმწიფოს განადგურებას“ [1].

ამავე საკითხის შესახებ კენე წერს: „გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ა რ უ ნ დ ა ი ყ ო ს დ ა მ ა მ ძ ი მ ებ ე ლ ი ან ს ა ხ ა ლ ხ ო შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს ა რ ა პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი, ი ს შ ე ი ძ ლ ებ ა გ ა დ ი დ დ ე ს მ ხ ო ლ ო დ უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ს გ ა დ ი დ ებ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, უ ნ დ ა გ ა დ ა ხ დ ე ს უ შ უ ა ლ ო დ მ იწ ის ქ ო ნ ებ ა თ ა წ მ ი ნ დ ა პ რ ო დ უ ქ ტ ს (produit net biensfonds) და ა რ ა მ ც დ ა ა რ ა მ ც ს ა შ უ ა ლ ო ხ ე ლ ფ ა ს ს ან ს ა ა რ ს ებ ო ს ა შ უ ა ლ ებ ებ ს. წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, ი ს გ ა ზ რ დ ი ს თ ა ვ ი ს ა კ რ ე ფ ი ს ხ ა რ ჯ ებ ს, ზ ი ა ნ ს მ ი ა ყ ე ნ ებ ს ვ ა ჭ რ ო ბ ა ს დ ა ყ ო ვ ე ლ წ ლ ი უ რ ა დ გ ა ა ნ ა დ გ უ რ ებ ს ქ ვ ე ყ ნ ი ს ს ი მ დ ი დ რ ი ს ნ ა წ ი ლ ს. ა რ ა ვ ი თ ა რ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ა რ უ ნ დ ა გ ა დ ა ხ დ ე ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი მ იწ ის ფ ე რ მ ე რ თ ა ს ი მ დ ი დ რ ე ს: ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ხ ა რ ჯ ებ ი მ იწ ა თ მ ო ქ მ ე დ ებ ა ზ ე უ ნ დ ა გ ა ნ ი ხ ი ლ ებ ო დ ე ს რ ო გ ო რ ც ხ ე ლ უ ხ ლ ებ ე ლ ი ფ ო ნ დ ი, რ ო მ ე ლ ი ც გ უ ლ დ ა ს მ ი თ უ ნ დ ა ი ყ ო ს დ ა ც უ ლ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს, შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს ა დ ა ყ ვ ე ლ ა კ ლ ა ს ი ს ა რ ს ებ ო ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ებ ა თ ა მ ი ს ა ღ ე ბ ა დ; წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი გ ა დ ა გ ვ ა რ დ ებ ა ძ ა რ ც ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ებ ა დ, რ ა ც ხ ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს დ ა ა უ ძ ლ უ რ ებ ს დ ა ს წ რ ა ფ ა დ გ ა ა ნ ა დ გ უ რ ებ ს“ [2].

წარმოების ხარჯებიდან გადასახადის აღება შეამოკლებს წარმოებას, გამოიწვევს სამიწათმოქმედო ფონდის შემცირებას, რაც თავის

---

[1] Ф р а н с у а К е н э, Избранные экономические произведения, М., 1960 г., стр. 440.

[2] იქვე, გვ. 433—434.

მხრივ შეამცირებს აღწარმოებას, წმინდა შემოსავალს და გაანადგურებს მიწათმფლობელებსა და სახელმწიფოს. მუშები გადასახადებს ვერ გადაიხდიან იმიტომ, რომ ისინი არსებობის მინიმუმს ღებულობენ. თუ გადასახადი ძათ მაინც დაეწერა, ეს ხელფასის გადიდებას გამოიწვევს და გადასახადის გადამხდელი გახდება მუშის დამქირავებელი. ფერმერი, რომელიც იძულებული შეიქნება ფასები გაზარდოს. ასევე, თუ გადასახადი მოვაპრე-მრეწველ კლასს შეეწერა, ისიც ფასებს გაზრდის, ვინაიდან არამწარმოებლურ კლასს წარმოადგენს და წმინდა შემოსავალს არ ქმნის. ყოველივე ეს კი შეამცირებს მიწის მესაკუთრეთა შემოსავალს. ასე რომ, წარმოების ხარჯების დაბეგვრა გადასახადით ნიშნავს ამ წარმოების შემცირებას და, მაშასადამე, სახელმწიფოს განადგურებას, ან ფასების გადიდების გზით გადასახადის მიწის მესაკუთრეთა შემოსავალზე — რენტაზე გადაკისრებას. ამიტომ, ფიზიოკრატების აზრით, მიზანშეწონილია იმთავითვე დაიბეგროს რენტა. ამ შემთხვევაში შთაინთქმება წმინდა პროდუქტის ერთი ნაწილი, რომელიც წარმოებისა და წმინდა პროდუქტის ხელახალ წარმოებას ზიანს არ მიაყენებს.

ამ მიზნით ფიზიოკრატები ითხოვდნენ ყველა გადასახადის გაუქმებას და მიწის დაბეგვრას ერთიანი გადასახადით. ასეთი პროექტი ნიშნავდა მიწის რენტის ნაწილობრივ კონფისკაციას. კენეს „ეკონომიკური ტაბულის“ თანახმად ხდება სახელმწიფოს მიერ წმინდა შემოსავლის 2/7 კონფისკაცია. რენტის განაწილება კლასებს (სახელმწიფოს, მიწათმფლობელთა და ეკლესიას) შორის ხდება შემდეგნაირად: საერთო შემოსავალი, რომელიც კენეს ნაანგარიშევი აქვს 2 მილიარდი ლივრის რაოდენობით, ასე ნაწილდება: სახელმწიფოს — 2/7, ანუ 572 მილიონი, მიწათმფლობელებს — 4/7 ან 1 მილიარდი, ანუ 144 მილიონი და ეკლესიას 1/7, ანუ 286 მილიონი.

კენემ გვიჩვენა მთელი საზოგადოებრივი აღწარმოების პროცესი და დაბეგვრა ამ პროცესთან ორგანულ კავშირში დააყენა.

მარქსი ამბობს, რომ „...ფიზიოკრატებმა განავითარეს და სისტემაში მოიყვანეს ექსპლოატაციის თეორიის შინაარსი, მაგრამ ვინაიდან ისინი ემყარებოდნენ საფრანგეთის განუვითარებელ ეკონომიკურ ურთიერთობებს, სადაც ფეოდალიზმი ჯერ კიდევ არ იყო მოტეხილი, რომლის დროსაც მთავარ როლს მიწათმფლობელობა თამაშობდა. ამიტომ მათ ვერც მოახერხეს გამოსულიყვნენ ფეოდალური მსოფლმხედველობის ჩარჩოებიდან, ვინაიდან მიწათმფლობელობასა და საშიწათმოქმედო შრომას სთვლიდნენ მწარმოებლურ ძალად, მთელი საზოგადოებრივი წყობის განმსაზღვრელად“[1].

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, 1955, стр. 412.

ღირებულება მათ წარმოდგენილი აქვთ მხოლოდ სახმარ ღირებულებად და ზედმეტ ღირებულებად, როგორც ბუნების მიერ ნაჩუქარი დოვლათი. რამდენადაც ფიზიოკრატებს მიწის რენტა გამოყვანილი აქვთ როგორც ხელფასის გარდამეტი, ისინი განთავისუფლებული არიან ფეოდალური სამოსელისაგან, მაგრამ რამდენადაც ზედმეტი ღირებულება გამოჰყავთ მიწის ურთიერთობიდან, და არა საზოგადოებრივი ურთიერთობიდან, ისინი ფეოდალიზმის ფარგლებს თავს ვერ აღწევენ [1].

ფიზიოკრატები მიზნად ისახავდნენ ფერმერთა კლასის დაცვას. მიწათმოქმედებაში კაპიტალის გადასახადებისათვის ხელის შეწყობას. კ. მარქსი წერდა: „ფიზიოკრატული მოძღვრება გვევლინება უშუალოდ ფეოდალური საკუთრების დაშლის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფორმად. მაგრამ ამის გამო ის გვევლინება ასევე უშუალოდ მისი გარდაქმნის, აღდგენის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფორმად და მხოლოდ გამოხატვის ფორმა ატარებს უკვე არა ფეოდალურ, არამედ ეკონომიკურ ხასიათს. მთელი სიმდიდრე აქ დაიყვანება მიწამდე და მიწის დამუშავებამდე (აგრიკულტურამდე). მიწა ჯერ კიდევ კაპიტალი არ არის. ის ჯერ კიდევ მისი მხოლოდ განსაკუთრებული ფორმაა, რომელმაც უნდა შეინარჩუნოს თავისი ძალა თავის ბუნებრივ განსაკუთრებულობაში და ამ განსაკუთრებულობის გამო. მაგრამ მიწა მაინც არის საყოველთაო, ბუნებრივი ელემენტი, იმ დროს როდესაც მერკანტილიზმის თეორიამ იცოდა, როგორც სიმდიდრის არსებობის ფორმა მხოლოდ (ფული) ძვირფასი ლითონები. ამგვარად, აქ სიმდიდრის საგანმა, მისმა მატერიამ ბუნების ჩარჩოებში (რამდენადაც ეს სიმდიდრე, როგორც ბუნების ნაწილი, წარმოადგენს უშუალოდ საგნობრივ სიმდიდრეს) თავის უმაღლეს საყოველთაობას მიაღწია, და მიწა არსებობს ადამიანისათვის მხოლოდ შრომისა და აგრიკულტურის გამო“[2].

ამგვარად, ფიზიოკრატების მიერ მიწა ჯერ კიდევ მიჩნეულია ადამიანისაგან დამოუკიდებელ, ბუნების ელემენტად და არა კაპიტალად, როგორც თვით შრომის მომენტი. მათ თვით შრომა აქვთ წარმოდგენილი მიწის მომენტად. მეორე მხრივ, ფიზიოკრატული თეორია სიმდიდრის არსად მიიჩნევს შრომას და უარყოფს მხოლოდ საგნობრივ სიმდიდრეს. მაგრამ ეს შრომა მიწის საკუთრებით სუ-

---

[1] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის მეოთხე ტომი“, ნაწ. 1, თბ., 1966, გვ. 24).

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. III, 1930, стр. 617.

ბიექტური არსია. რამდენადაც ფიზიოკრატული თეორია მიწის საკუთრების არსად აცხადებს მრეწველობას, აგრიკულტურას, ამდენად იგი უარყოფს მიწის საკუთრების ფეოდალურ ხასიათს. მაგრამ ამავე დროს, რამდენადაც იგი უარყოფითად ეკიდება მრეწველობას და აგრიკულტურა მიაჩნია მრეწველობის ერთადერთ ფორმად, იგი აღიარებს ფეოდალიზმს. ეს არის ფეოდალური საზოგადოების წიაღიდან ბრძოლით ახლად გამოსული კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგობანი, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს თავისი საკუთარი ფორმა და „ფეოდალურ საზოგადოებას ბურჟუაზიულ ინტერპრეტაციას აძლევენ". მარქსი წერდა: „...იმ დასკვნებშიც, რომლებიც თვით ფიზიოკრატებს გამოჰყავთ, მიწის საკუთრების მოჩვენებითი განდიდება გადადის მის ეკონომიკურ უარყოფაში და კაპიტალისტური წარმოების დასაბუთებაში. ერთი მხრივ, ყველა გადასახადი გადააქვთ მიწის რენტაზე, ანუ, სხვა სიტყვებით, ხდება მიწის საკუთრების ნაწილობრივი კონფისკაცია—ღონისძიება, რომლის განხორციელებასაც ცდილობდა საფრანგეთის რევოლუციის კანონმდებლობა, და ამ ღონისძიებამდე, როგორც დამამთავრებელ დასკვნამდე, ბიდის სავსებით განვითარებულ ფორმას მიღწეული თანამედროვე რიკარდოსეული პოლიტიკური ეკონომია. რადგან ერთადერთ ზედმეტ ღირებულებად მიწის რენტა ითვლება და ყველა გადასახადი, აქედან გამომდინარე, მიწის რენტას ეკისრება, ამიტომ შემოსავლის სხვა ფორმების ყოველგვარი დაბეგვრა არის მიწის საკუთრების დაბეგვრის მხოლოდ არაპირდაპირი, და ამდენად ეკონომიკურად მავნე, წარმოების შემაფერხებელი გზა. ამის გამო გადასახადთა ტვირთი და ამით ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ჩარევა სცილდება მრეწველობას, და იგი ამრიგად თავისუფლდება სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევისაგან. ეს ხდება თითქოს მიწის საკუთრების საკეთილდღეოდ, არა მრეწველობის, არამედ მიწის საკუთრების ინტერესებისათვის" [1].

ამავე საკითხთან დაკავშირებით მარქსი წერდა, რომ უახლესი პოლიტიკური ეკონომიის მტკიცებით, მიწის მესაკუთრე პირიქით, არამწარმოებელი რანტიეა. მიწას ამუშავებს კაპიტალისტი, როდესაც ვარაუდობს აქედან თავისი ჩვეულებრივი მოგების მიღებას. ამიტომ ფიზიოკრატების მტკიცება, რომ მესაკუთრეებმა უნდა იხადონ სახელმწიფო გადასახადები იმიტომ, რომ ისინი ერთადერთი მწარმოებელი კლასია, გადაიქცა საწინააღმდეგო მტკიცებად, რომ

---

[1] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის მეოთხე ტომი", ნაწ. პირველი, 1966, გვ. 24—25).

ᲗᲐᲗ უნდა იხადონ ეს გადასახადი. როგორც არამწარმოებლური შემოსავლის მიმღებმა კლასმა[1].

ფიზიოკრატულ იდეებს ქადაგებდა და რენტაზე ერთიანი გადასახადის დადების მომხრედ გამოდიოდა ტიურგო (1727—1781), რომელიც ლუდოვიკო XVI-ის ფინანსთა მინისტრი იყო.

მისი მტკიცების თანახმად, გადასახადი ყველა შემთხვევაში მაინც მიწის მესაკუთრეს დააწვება. თავის პასუხში იუმის წერილზე ტიურგო წერს: „ერთადერთი შემოსავალი, რომელიც შეიძლება სახელმწიფომ მიიღოს, არის მიწის წლიური პროდუქტების ჯამი. პროდუქტების მთელი ერთობლიობა ორ ნაწილად იყოფა: ერთი გათვალისწინებულია მომავალი წლის წარმოებების ხარჯების დასაფარავად და თავისში შეიცავს არა მარტო იმ პროდუქტებს, რომლებსაც მიწათმოქმედი ნატურით მოიხმარს, არამედ იმათაც, რომლებითაც იხდის თავისთვის საჭირო ყველა მუშაკის შრომას: მჭედლების, მეეტლეების, მეუნაგირეების, ფეიქრების, მკერავებისა და სხვ., აგრეთვე მის მოგებას და მის მიერ დახარჯული კაპიტალის პროცენტებსაც. მეორე ნაწილს შეადგენს წმინდა პროდუქტი. რომელსაც ფერმერი უხდის მემამულეს, როდესაც მიწათმოქმედი და მიწის მესაკუთრე — ორი სხვადასხვა პირია, რაც ყოველთვის არ არის; წმინდა პროდუქტით მესაკუთრე სარგებლობს. იმ ადამიანთა შრომის გადასახდელად, რომელნიც მისთვის მუშაობენ. ამ გარემოებათა გამო, ყოველი გადასახადი, რომელიც მესაკუთრეს პირდაპირ არ ეხება, აწვება ან იმ მუშებს, რომელნიც ანაზღაურებას წმინდა პროდუქტიდან ღებულობენ, ან იმათ, რომელთა შრომა ფერმერის წილიდან ნაზღაურდება. თუ ხელფასმა კონკურენციის გამო თავის კანონიერ დონეს მიაღწია — უნდა აიწიოს და, რადგან მას შეუძლია გაიზარდოს მხოლოდ იმათ ხარჯზე, ვინც მას იხდის, ამიტომ ერთი ნაწილი დააწვება მესაკუთრეს იმ შრომისათვის, რომელსაც ის ანაზღაურებს თავისი წმინდა პროდუქტიდან, მეორე გაზრდის ფერმერის ხარჯებს და აიძულებს მას ნაკლები გადაუხადოს მესაკუთრეს. მაშასადამე, ყველა შემთხვევაში გადასახადი მესაკუთრეს აწვება“[2].

ტიურგო საყურადღებოა აგრეთვე იმ მხრივ, რომ იგი შეეცადა ფიზიოკრატების შეხედულებანი პრაქტიკაში განეხორციელებინა. ამ ცდის შესახებ მარქსი წერს, რომ ტიურგო ცდილობდა გაეტარებინა ის ღონისძიებანი, რომლებიც შემდგომში განახორციელა საფ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. III, 1930, стр. 664—665.

[2] ტიურგოს პასუხი იხ: Давид Юм, Опыты, М., 1896, зз. 95—96.

რანგეთის რევოლუციამ. მან 1776 წ. თებერვლის ედიქტით მოსპო ამქრები, ასევე გაანთავისუფლა გლეხები გზის ბეგარიდან და ცდილობდა შემოეღო ერთიანი გადასახადი მიწის რენტაზე [1].

აღსანიშნავია აგრეთვე ფიზიოკრატი მ ი რ ა ბ ო-მ ა მ ა (1715—1789) [2], რომელიც 1789 წლის დამფუძნებელ კრებაში დიდ ეკონომიკურ ავტორიტეტს წარმოადგენდა. მირაბომ სცადა პრაქტიკაში გადაეტანა ერთიანი გადასახდის თეორია, დამფუძნებელმა კრებამ მისი გავლენით დიდი გადასახადები დაადო მიწის კერძო მესაკუთრეებს.

ამგვარად, ფიზიოკრატები მიზნად ისახავდნენ ფერმერთა კლასის ინტერესების დაცვას, ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ კაპიტალის გადასვლისათვის მიწათმოქმედებაში. ისინი ასაბუთებდნენ ერთიანი გადასახადის შემოღებას, რომელსაც უნდა მოეხდინა რენტის კონფისკაცია. ამდენად, ფიზიოკრატთა თეორია უარყოფდა მიწის საკუთრების ფეოდალურ ხასიათს, მეორე მხრივ, რამდენადაც ამ თეორიას მრეწველობის ერთადერთ ფორმად მიაჩნდა აგრიკულტურა, ამდენად აღიარებდა ფეოდალიზმს. ფიზიოკრატები, ერთი მხრივ, ამაღლებდნენ მიწათმფლობელობას, რამდენადაც მიწათმოქმედებას მიიჩნევდნენ ერთადერთ მწარმოებელ დარგად, მეორე მხრივ, მას უარყოფდნენ, რამდენადაც ყველა გადასახადს მიწის რენტას აკისრებდნენ.

4. ინგლისური კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია

ა) ადამ სმიტი (1723—1790)

მარქსის აზრით, გადასახადების საკითხში მთავარ პერსონებს წარმოადგენდნენ ფიზიოკრატები და, რაც ამის გარშემო ადამ სმიტს დაწერილი აქვს, გადმოწერილია მათგან.

ა. სმიტის მიხედვით, ცალკე პირთა კერძო შემოსავალი მიიღება სამი წყაროდან: რენტა, მოგება და ხელფასი. ყოველი გადასახადი საბოლოო რიგში გადაიხდება რომელიმე ამ წყაროდან ან თანაბრად ყველადან.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის მეოთხე ტომი", ნაწ. პირველი, 1966, გვ. 43).

[2] იგი იყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ცნობილი მოღვაწის — ონორე მირაბოს მამა.

მისი აზრით, კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი ორ ნაწილად იყოფა: ერთი ისტუმრებს პროცენტს, მეორე რჩება პროცენტის გასტუმრების შემდეგ. ა. სმიტის თანახმად, მოგების ეს მეორე ნაწილი არ შეიძლება დაიბეგროს უშუალოდ. ეს არის ჯილდო, რასაც მეწარმე ღებულობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამ საქმიანობას არ განაგრძობს. ამ ზომიერ ჯილდოს ის ღებულობს კაპიტალის გამოყენების რისკისა და შრომისათვის. მიღებული მოგების უშუალო დაბეგვრის შემთხვევაში კაპიტალისტი იძულებული იქნებოდა ან მოგების ნორმა გაედიდებინა, ან გადასახადი ფულადი კაპიტალის მფლობელზე გადაეკისრებინა, ე. ი. პროცენტი შეემცირებინა. მოგების ნორმის გადასახადის პროპორციულად გადიდების შემთხვევაში გადასახადს მთლიანად გადაიხდიდა ორიდან ერთ-ერთი ჯგუფი, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა წესით გამოიყენება კაპიტალი. თუ კაპიტალი გამოყენებულია მიწის დასამუშავებლად, მაშინ ფერმერებს მოგების ნორმა რომ გაედიდებინათ, უნდა შეენარჩუნებიათ მიწის პროდუქტის ფასის მეტი წილი, ე. ი. მიწის მფლობელებზე მისაცემი რენტა უნდა შეემცირებინათ. თუ კაპიტალი გამოყენებულია როგორც სავაჭრო ან სამრეწველო კაპიტალი, მაშინ კაპიტალისტს მოგების ნორმის გადიდება შეუძლია თავის საქონელთა ფასის მომატებით, რაც ნიშნავს გადასახადის მთლიანად ამ საქონელთა მომხმარებლებზე გადაკისრებას. თუ არ გაზრდის მოგების ნორმას, მაშინ გადასახადი მთლიანად ეკისრება მოგების იმ ნაწილს, რომელიც ფულის პროცენტების წილად მოდის; კაპიტალისტი უფრო ნაკლებ პროცენტს უხდის კრედიტორს. თუ ერთი ხერხით ვერ გადააკისრებს, მოიშველიებს მეორეს.

ა. სმიტის მიხედვით, ფულის პროცენტები, ერთის შეხედვით, შესაძლებელია უშუალო დაბეგვრის ობიექტად გახდეს, ისევე როგორც მიწის რენტა. პროცენტები, ისევე როგორც მიწის რენტა, წმინდა პროდუქტია. მიწის რენტის დაბეგვრა რენტის გადიდებას ვერ გამოიწვევს, ვინაიდან წმინდა პროდუქტი, რომელიც რჩება ფერმერის კაპიტალის ანაზღაურების შემდეგ სამართლიან მოგებასთან ერთად, გადასახადის შემდეგ იმაზე მეტი ვერ იქნება, რაც მანამდე იყო. ასევე, პროცენტებზე შეწერილი გადასახადი ვერ გაზრდის პროცენტის ნორმას, რადგან კაპიტალის, ანუ ფულის ოდენობა ქვეყანაში იგულისხმება უცვლელად, როგორც გადასახადის შემოღებამდე, ისე მის შემდეგ. ფულის პროცენტის გადასახადს არ შეუძლია კაპიტალის გამოყენების რაოდენობის არც გადიდება, არც შემცირება. ამგვარად, ა. სმიტის მიხედვით, ფულის პროცენტის უშუალო დაბეგვრა, ისევე როგორც რენტისა, შესაძლებელია მხო-

ლოდ ერთი შეხედვით. არსებითი განხილვის დროს სმიტი აღნიშნავს ორ გარემოებას, რომლებიც ფულის პროცენტს გაცილებით უფრო ნაკლებად გამოსადეგ ობიექტად ხდიან უშუალო დაბეგვრისათვის, ვიდრე მიწის რენტას.

პირველი, მიწის რაოდენობა და ღირებულება საიდუმლო ვერ იქნება და ის ყოველთვის შეიძლება ზუსტად იქნეს დადგენილი. ფულადი კაპიტალის საერთო თანხა თითქმის ყოველთვის საიდუმლოს წარმოადგენს და მიახლოებითი სიზუსტითაც ვერ იქნება ვერასოდეს განსაზღვრული. გარდა ამისა, ეს უკანასკნელი მუდამ გაწიცდის რყევას და ამის ყოველთვიური თუ წლიური გამორკვევა მეტისმეტად აუტანელი და შემაწუხებელი იქნებოდა, რასაც ვერც ერთი ხალხი ვერ მოითმენდა.

მეორე, მიწა წარმოადგენს ისეთ საგანს, რომლის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე შეუძლებელია, კაპიტალი კი ადვილად შეიძლება გადატანილ იქნეს. მიწის მესაკუთრე იმ მხარის მოქალაქეა, სადაც ქონება აქვს, კაპიტალის მესაკუთრე მთელი მსოფლიოს მოქალაქეა და მისთვის სავალდებულო არ არის რომელიმე ცალკეულ ქვეყანასთან იყოს დაკავშირებული. ამიტომ მოგების დაბეგვრის შემთხვევაში კაპიტალი შესაძლებელია გაზიდულ იქნეს სხვა ქვეყანაში. კაპიტალი ამუშავებს მიწას, იგი ასაქმიანებს შრომას. ამგვარად, გადასახადი მოგების დაბეგვრით კაპიტალს აძევებს ქვეყნიდან და სპობს მეფისა და საზოგადოების შემოსავალთა ყოველგვარ წყაროს[1].

ა. სმიტის აზრით, თუ უცვლელია შრომაზე მოთხოვნის სიდიდე და სურსათ-სანოვაგის ფასები, მაშინ ხელფასზე დადებული პირდაპირი გადასახადი გამოიწვევს ხელფასის გადიდებას გადასახადზე რამდენადმე აღმატებული თანხით. თუ, მაგალითად, გადასახადი დაწესებულია ერთი მეათედის ოდენობით, ხელფასი გაიზრდება ერთი მერვედით. „ამგვარად, ხელფასზე პირდაპირი გადასახადი, მაშინაც კი, თუ მას თვითონ მუშა იხდის, არ შეიძლება, საკუთრივ იმის თქმა, რომ ის ავანსირებულია მუშის მიერ, ყოველ შემთხვევაში, თუ შრომაზე მოთხოვნა და სურსათ-სანოვაგის ფასები გადასახადის შემოღების შემდეგ ისეთივე დარჩნენ, როგორიც იყო მანამდე, ყველა ასეთ შემთხვევაში არა მარტო გადასახადი, არამედ რამდენადმე უფრო მეტი თანხაც ავანსირებულია იმ პირის მიერ, რომელიც უშუალოდ ქირაობს მუშას. საბოლოო გადახდა სხვადასხვა შემთხ-

---

[1] А. Смит, Исследование о природе и причинах богатства народов, т. II, М., 1935, стр. 360—362.

ვევაში სხვადასხვა პირს დააწვება. მანუფაქტურული შრომის ხელფასის გადიდებას, რომელსაც ასეთი გადასახადი გამოიწვევს, გადაიხდის მანუფაქტურის მფლობელის მოგება, რომელიც უფლებაჰოსილი იქნება და იძულებულიც აღმოჩნდება ის, მოგებასთან ერთად დააწეროს საქონლის ფასს. ამგვარად, ხელფასის ასეთი გადიდების საბოლოო გადახდა მანუფაქტურის მფლობელის დამატებით მოგებასთან ერთად დააწვება მომხმარებელს"[1]. იგივე ხდება, სპიტის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო შრომის ხელფასის მიმართ. მას გადაიხდის ფერმერი, რომელსაც, იმდენივე ბუშები რომ დაიქირავოს, რამდენსაც წინათ ქირაობდა, მეტი კაპიტალის დახარჯვა მოუხდება. ხოლო იმისათვის, რომ ეს უკანვე დაიბრუნოს დამატებით მოგებასთან ერთად, ის იძულებული იქნება მიწათმფლობელს უფრო ნაკლები რენტა მისცეს. ამნაირად, სამუშაო ხელფასის ეს გადიდება ფერმერის დამატებით მოგებასთან ერთად დააწვება მიწათმფლობელს. ყველა შემთხვევაში პირდაპირი გადასახადი ხელფასზე საბოლოო ანგარიშით იწვევს მიწის რენტის უფრო მეტ შემცირებას და მანუფაქტურული ფასების უფრო მეტ გადიდებას, ვიდრე ეს მოხდებოდა, თუ გადასახადით დაიბეგრებოდა ნაწილობრივ რენტა, ნაწილობრივ მოხმარების საგნები.

თუ ხელფასზე შეწერილი პირდაპირი გადასახადები ყოველთვის არ იწვევდნენ ხელფასის გადიდებას, ეს იმის გამო ხდებოდა, რომ ისინი ჩვეულებრივად ამცირებდნენ შრომაზე მოთხოვნას. ასეთი გადასახადების შედეგი იყო მრეწველობის დაცემა, ღარიბებისათვის სამუშაოების შემცირება. ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტების შემცირება; მაგრამ ასეთი გადასახადების გამო შრომის ფასი ყოველთვის უფრო დიდი იქნება და ეს გადასახადები და მათი დამატებითი მოგება გადახდებოდა იმ მიწათმფლობელებსა და მომხმარებლებს, რომლებიც გადასახადთა ავანსირებას ეწევიან.

სასოფლო-სამეურნეო შრომის ხელფასის გადასახადი არ აღიდებს მიწის ნედლი პროდუქტის ფასს გადასახადის პროპორციულად იმავე მიზეზებით, რომელთა გამო ფერმერის მოგების გადასახადი არ ზრდის პროპორციულად ამავე ფასს[2].

ბ) დავით რიკარდო (1772—1823)

დავით რიკარდოს აზრით, გადასახადი არის ქვეყნის მიწისა და შრომის პროდუქტის ნაწილი, რომელსაც მთავრობა ახდევინებს

---

[1] А. Смит, Исследование о природе и причинах богатства народов, т. II, М., стр. 377.

[2] იქვე.

მოსახლეობას. ეს. საბოლოო ანგარიშით. გადაიხდება ქვეყნის კაპიტალიდან ან შემოსავლიდან.

როდესაც მთავრობის მოხმარება დიდდება დამატებითი გადახდევინების გამო და მისი თანთარვა ხდება ან წარმოების გადიდებით, ან ხალხის მიერ მოხმარების შემცირებით. მაშინ გადასახადები ააწვება შემოსავალს,. ნაციონალური კაპიტალი ხელუხლებელი დარჩება, ბაგრამ თუ არ გადიდდა წარმოება ან არ შემცირდა ხალხის მოხმარება, გადასახადები აუცილებლად კაპიტალს ააწვება; ეს იმას ნიშნავს. რომ შემცირდება ფონდი. რომელიც მწარმოებლური მოხმარებისათვის არის დანიშნული.

„იმ პროპორციით, როგორც ქვეყნის კაპიტალი შემცირდება, შემცირდება მისი პროდუქტებიც. ამიტომ, თუ არაპროდუქტიული ხარჯების გაწევა განიგრძობა ხალხისა და სახელმწიფოს მხრივ და თუ წლიური რეპროდუქცია მუდამ მცირდება, — ხალხისა და სახელმწიფოს რესურსები მზარდი სისწრაფით დაიშრიტება, და შედეგი იქნება სიღატაკე და განადგურება“[1].

თუ გადასახადი აწვება კაპიტალს, შესაბამისად შემცირდება ის ფონდი, რომლის მიხედვით განისაზღვრება ქვეყნის მწარმოებლური გამრჯელობის სიდიდე, ხოლო, თუ გადასახადი აწვება შემოსავალს, იგი ამცირებს დაგროვებას ან აიძულებს მომხმარებელს შეამციროს წინანდელი არამწარმოებლური მოხმარება.

კაპიტალის დაბეგვრის შემთხვევაში გადასახადი ყოველთვის კაპიტალს არ აწვევს. თუ გადამხდელი კმაყოფილდება და ხარჯავს იმ თანხას, რაც მას რჩება გადასახადის გამოკლების შემდეგ, მაშინ გადასახადი აწვება შემოსავალს და არა კაპიტალს. თუ გადამხდელი წინანდებურად იმდენსავე ხარჯავს, რასაც გადასახადის გადახდამდე ხარჯავდა, მაშინ გადასახადი აწვება კაპიტალს.

გადასახადების მეტი წილი, იმისგან დამოუკიდებლად, კაპიტალს აწვება იგი თუ შემოსავალს, შემოსავლიდან გადაიხდება. ამიტომ დაბეგვრის ზრდასთან ერთად ხალხის მიერ მოხმარებულ პროდუქციათა რაოდენობა შემცირდება. თუ ხალხს არ ძალუძს სათანადოდ გაზარდოს თავისი კაპიტალი და შემოსავალი. მთავრობა ხელს უნდა უწყობდეს ხალხის მისწრაფებას დაგროვებისადმი. მთავრობა არ უნდა აწესებდეს გადასახადებს, რომლებიც კაპიტალს აწვება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეამცირებს შრომის შესანახ ფონდს და ქვეყნის მომავალ წარმოებას.

---

[1] დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები, თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, 1937, გვ. 115.

რიკარდოს აზრით, რენტაზე დაწესებული გადასახადი აწვება მხოლოდ რენტას. მას მთლიანად მემამულეები გადაიხდიან და მომხმარებლებს არ გადაეკისრება. მით უმეტეს არ შეუძლია მემამულეს გადასახადებით რენტის გადიდება, „...ვინაიდან იგი ვერ შესცვლის სხვაობას დამუშავებაში მყოფ, უმცირესი პროდუქტივობის მქონე მიწაზე მიღებულ პროდუქტსა და იმ პროდუქტს შორის, რომელიც მიიღება ყოველი სხვა ხარისხის მიწაზე“[1].

რიკარდო რენტის დაბეგვრის გარჩევისას იღებს მხოლოდ ერთ შემთხვევას, როდესაც მიწა იბეგრება შემოსავლის მიხედვით, არ არჩევს რენტის დაბეგვრის სხვა შემთხვევებს, სახელდობრ, როდესაც იბეგრება თვით მიწა და არა შემოსავალი, როდესაც მიწა იბეგრება რაოდენობის ან თვისების მიხედვით, რაც მას სხვაგვარ დასკვნამდე მიიყვანდა; ამის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ.

საქონელზე შეწერილი გადასახადი საქონლის ფასს რომ არ ზრდიდეს, მაშინ გადასახადის საბოლოო გადამხდელი ფაბრიკანტი იქნებოდა, მისი მოგება საერთო დონეზე დაბლა დაიწევდა და იგი მოსაქმეობას დატოვებდა. „მოგების სპეციალური გადასახადი[2] მაღლა ასწევს იმ საქონლის ფასს, რომელსაც იგი აწვება“[3]. თუ მრეწველობის ყველა დარგს დაედება მოგების პროპორციული გადასახადი, მაშინ ყოველი საქონლის ფასი მაღლა აიწევს. „მაგრამ თუ ის სამადნე, საიდანაც ჩვენ ჩვენი ფულის ნორმალური საზომი გვეძლევა, ჩვენს ქვეყანაში იქნებოდა, და სამთამადნო მესარეწის მოგებაც დაბეგრილი იქნებოდა, იმ შემთხვევაში არც ერთი საქონლის ფასი არ აიწევდა, იმიტომ რომ მაშინ ყოველი ადამიანი პროპორციულად ერთნაირ ნაწილს გაიღებდა თავის შემოსავლისას, და ასე ყველაფერი წინანდელ მდგომარეობაში დარჩებოდა“[4].

რიკარდოს აზრით, თუ ყველა საქონლის ფასი აიწევს და ფულის ღირებულება არ შეიცვლება, მემამულე წინანდელ ნატურალურ და ფულად რენტას მიიღებს. თუ ყველა საქონლის ფასი უცვლელი დარჩება, იგი ნატურალურ რენტას იგივეს მიიღებს, ფულადს კი-ეფრო ნაკლებს. მემამულე ორ შემთხვევაში მიიღებდა მონაწილეო-

---

[1] დ. რ ი კ ა რ დ ო, პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. 135.

[2] თარგმანში წერია ხ ა რ კ ი. თარგმანის ვამოქვეყნების შემდეგ ეს ტერმინი შეცვლილ იქნა ტერმინით გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი — ვ. ჩ.

[3] იქვე, გვ. 164.

[4] იქვე, გვ. 165.

ბას გადასახადების გადახდაში, მისი შემოსავალი კი უშუალოდ დაბეგრილი არ იქნებოდა.

როდესაც ფერმერის მოგება დაბეგრილია, იგი იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორც ყველა სხვა მრეწველი. გადასახადის გადახდის შემდეგ მას იგივე ფულადი შემოსავალი ექნება, რადგან მისი საქონლის, ე. ი. ნედლი პროდუქციის ფასი გადიდდება.

ფერმერის მოგებაზე დადებული გადასახადი მემამულეს სარგებლობას აძლევს, თუ მისი მოიჯარის მოგება დაბეგრილი იქნება; მემამულე სწორედ ამის გამო თავისუფლდება გადასახადისაგან.

„ფერმერის მოგებაზე დადებული გადასახადი არ წარმოადგენს მიწის მთლიანი პროდუქტის პროპორციულ გადასახადს; იგი პროპორციულია წმინდა პროდუქტისადმი, რომელიც რჩება რენტის, ხელფასის და სხვა ხარჯების გასტუმრების შემდეგ. რადგან სხვადასხვა სახის მიწების — № 1-ის, № 2-ის და № 3-ის დამმუშავებელნი სრულიად ერთნაირ კაპიტალებს ხარჯავენ, ამიტომ მათი მოგებაც საკუთარი ერთნაირი იქნება, თუმცა მთლიანი შემოსავალი ერთს შეიძლება მეტი ჰქონდეს, ვიდრე მეორეს; მაშასადამე, ყველა ისინი თანაბრად იქნებიან დაბეგრილნი. ვიგულისხმოთ, რომ № 1-ის მთლიანი პროდუქტი უდრის 180 კვარტერს, № 2-ისა — 170 კვარტერს და № 3-ისა — 160 კვარტერს, და რომ თითოეული დაბეგრილი არის 10 კვარტერის ოდენობის გადასახადით. სხვაობა № 1-ის, № 2-ის და № 3-ის მთლიან პროდუქტებს შორის, გადასახადის გადახდის შემდეგ, იგივე იქნება, რაც წინათ იყო: თუ № 1-ის მთლიანმა პროდუქტმა დაიწია 170-ამდე, № 2-ისამ — 160-მდე და № 3-ისამ— 150 კვარტერამდე, სხვაობა № 3-სა და № 1-ს შორის წინანდებურად იქნება 20 კვარტერი და სხვაობა № 3-სა და № 2-ს შორის 10 კვარტერი; თუ გადასახადის შემოღების შემდეგ პურისა და ყველა სხვა საქონელთა ფასები უცვლელი დარჩა, იმ შემთხვევაში ფულადი რენტაც, ისე როგორც ხორბლით გამოსახული რენტაც, უცვლელი დარჩება. მაგრამ თუ, გადასახადის გამო პურის და ყველა სხვა საქონელთა ფასებმა აიწია, — ფულადი რენტაც იმავე პროპორციით აიწევს"[1].

ხელფასზე დადებულ გადასახადს რიკარდო განიხილავს როგორც მოგების დაბეგვრას. მისი აზრით, მუშის ხელფასი განსაზღვრულია ბიოლოგიური მინიმუმით. ამიტომ ხელფასზე შეწერილ გადასახადს მუშა გადააკისრებს დამქირავებელს. ხელფასის დაბეგვრა მუშებს

---

[1] დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. 170.

არ აწვება, მაგრამ იგი არ ეხება არც ფულად კაპიტალისტებს, არც მემამულეებს, არც რომელიმე სხვა კლასს, ის ეხება მხოლოდ შრომის დამქირავებლებს. ამგვარად, რიკარდოს აზრით, ხელფასზე დადებული გადასახადი მოგების გადასახადს წარმოადგენს. ამისგან რამდენადმე განსხვავდება საარსებო საგნებზე დაწესებული გადასახადი. ვინაიდან ის ნაწილობრივ მდიდარ მომხმარებლებზე დადებულ გადასახადს წარმოადგენს. „საბოლოო შედეგები, რომლებიც ასეთი გადასახადებიდან გამომდინარეობს, სავსებით ისეთივეა, როგორც ის შედეგები, რომლებსაც მოგების პირდაპირი გადასახადი იწვევს"[1].

* *

სმიტისა და რიკარდოს შეხედულებები წმინდა ანტიფეოდალურია, ფიზიოკრატებისა — ანტიფეოდალურთან ერთად ფეოდალურიც არის. ფიზიოკრატული თეორია, ერთი მხრივ, მიწის საკუთრების არსად აცხადებს მრეწველობას, აგრიკულტურას; ამით ის უარყოფს მიწის საკუთრების ფეოდალურ ხასიათს. მეორე მხრივ, ფიზიოკრატული თეორია უარყოფითად ეკიდება მრეწველობას, ამ უკანასკნელის ერთადერთ ფორმად მიაჩნია აგრიკულტურა; ამდენად, ფიზიოკრატები აღიარებენ ფეოდალიზმს. ისინი ცდილობდნენ მოცემული საზოგადოებისათვის მიეცათ ბურჟუაზიული ახსნა-განმარტება, მაგრამ ჯერ კიდევ ნაპოვნი არ ჰქონდათ ნამდვილი ფორმა. ისინი, ერთი მხრივ, ამაღლებენ მიწათმფლობელობას, რამდენადაც მიწათმოქმედებას მიიჩნევენ ერთადერთ მწარმოებლურ დარგად, მეორე მხრივ, მას უარყოფენ, რამდენადაც ყველა გადასახადს მიწის რენტას აკისრებენ.

სმიტი და რიკარდო მოითხოვენ რენტის დაბეგვრას. მაგრამ არა იმიტომ, რომ მიწათმოქმედება მიაჩნიათ სიმდიდრის შექმნის ერთადერთ წყაროდ, არამედ იმიტომ, რომ იცავენ მოგების მიმღებ კლასს, რომელიც გულისტკივილით უნაწილებს ზედმეტი ღირებულების ერთ ნაწილს მემამულეებს რენტის სახით.

რენტის დაბეგვრის ახსნაში სმიტი და რიკარდო უშვებენ შეცდომებს. ერთი ის, რომ რიკარდო ცნობს მხოლოდ დიფერენციულ რენტას; მეორე, თავის დასკვნებს აგებს რენტის მხოლოდ როგორც შემოსავლის დაბეგვრაზე, ე. ი. იმ შემთხვევებზე, როდესაც რენტა გადასახადს ვერ იცილებს თავიდან და მასვე აწვება. არ არის სწორი შეხედულება, რომ საადგილმამულო დაბეგვრის ყველა პირობებში რენტას აწვება გადასახადი.

[1] დ. რ ი კ ა რ დ ო, პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები. 33. 144.

რამდენადაც საკითხი მხოლოდ დიფერენციულ რენტას შეეხება, და ამ შემთხვევაში სმიტი და რიკარდო თავის კვლევას დიფერენციული რენტით შემოფარგლავენ, უნდა აღინიშნოს, რომ მიწათმოქმედებაზე გადასახადების დაკისრებას, მის თანაბრად თუ არათანაბრად განაწილებას, შეუძლია შეცვალოს რენტის სიდიდე სხვადასხვა მიმართულებით. თუ გადასახადი ამცირებს უთანასწორობას პროდუქტში, მაშინ რენტა მცირდება, თუ გადასახადი, პირიქით, ზრდის ამ უთანასწორობას, მაშინ რენტა იზრდება; ხოლო თუ გადასახადი უცვლელს ტოვებს ამ უთანასწორობას, მაშინ რენტაც უცვლელი რჩება და გადასახადი გადაეკისრება მომხმარებელს. ამის შესახებ მარქსი წერდა:

„...რიკარდო მართალია ქვემოთ მოყვანილ დებულებაში, რამდენადაც ეს დებულება დიფერენციული რენტით არის შემოფარგლული.

ყველაფერს, რაც ამცირებს განსხვავებას პროდუქტში, რომელიც იმავე ან ახალ მიწაზე არის მიღებული, რენტის შემცირების ტენდენცია აქვს; და ყველაფერი, რაც ამ განსხვავებას ადიდებს, აუცილებლად წარმოშობს საპირისპირო მოქმედებას და მას რენტის გადიდების ტენდენცია აქვს (გვ. 74)...“

„ამ მიზეზების რიცხვს ეკუთვნის არა მარტო საერთო მიზეზები (ნაყოფიერება და ადგილმდებარეობა), არამედ აგრეთვე: 1). გადასახადის განაწილება, იმის მიხედვით, მოქმედებს იგი თანაბრად თუ არა; უკანასკნელს ყოველთვის ადგილი აქვს, როდესაც გადასახადი, როგორც, მაგალითად, ინგლისში ცენტრალიზებული არაა და როდესაც მას მიწაზე იღებენ და არა რენტაზე“[1].

სულ სხვა მდგომარეობა იქნება, როდესაც გადასახადით იბეგრება თვითონ რენტა და არა მიწა, რაც განხილული გვაქვს მეოთხე თავში.

ასევე სწორი არ არის სმიტის შეხედულება, რომ ხელფასზე შეწერილი გადასახადი გადაეკისრება რენტას. აგრეთვე — რიკარდოს შეხედულება, რომ — „გადასახადი გადაეკისრება შრომის დამქირავებელი კაპიტალისტის მოგებას. რიკარდო გამოდიოდა იმ შეხედულებიდან, რომ ხელფასი განსაზღვრულია ბიოლოგიური მინიმუმით. სამუშაო ძალის აღწარმოება ხდება მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატის ხარჯზე, ამიტომ გადასახადით მისი შემცირება შეუძლებელია. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. უმუშევართა არმიების არსებობა, მანქანური წარმოების განვითარება, გლეხთა მასების პროლე-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნ. 2, 1959, გვ. 237.

ტარიზაცია და სხვ. საკონკურენციო ბრძოლაში პროლეტარიატს შესაძლებლობას არ აძლევენ თავისუფლად გაზარდოს ხელფასი და ამგვარად გადასახადი დამქირავებელზე გადატანოს. ამის შესახებ კ. მარქსი წერდა: „თუმცა სახელმწიფო გადასახადის შემცირებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მუშებისათვის. მისი გადიდება პირიქით, საზარალოა მათთვის“ [1].

ხელფასზე შეწერილი გადასახადი ხელფასზევე რჩება. მუშას მისი გადაკისრების შესაძლებლობა არა აქვს, პირიქით, სხვა კლასები აკისრებენ მშრომელებს თავიანთი გადასახადების დიდ ნაწილს. ამიტომ ხელფასზე შეწერილი გადასახადი არ ეკისრება არც რენტას და არც მოგებას.

5. ადრინდელი ვულგარული ეკონომისტები

ვულგარული ეკონომისტები ამართლებენ კაპიტალიზმს, შელამაზებულად წარმოადგენენ სინამდვილეს და გადასახადების თეორიას ამ საფუძველზე აგებენ.

ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის მამამთავრის ჟ ა ნ-ბ ა ტ ი ს ტ ს ე ი ს (1767 — 1832) აზრით, ხალხთა სიმდიდრე არ წააგავს სითხეს, რომელიც წონასწორობისაკენ მიისწრაფვის: გადასახადების გადახდევინებაც არ წააგავს ზიარი ჭურჭლის კანონს. სეი ხალხთა სიმდიდრეს ადარებს ხეს, რომელსაც შესაძლებელია ტოტები შეეჭრას, მაგრამ ისე, რომ ხე არ განადგურდეს. მისი აზრით, პროდუქტები პროდუქტებზე იცვლება და ამის გამო წონასწორდება ყიდვა-გაყიდვა. ძალიან ძნელია პროპორციების დადგენა, თუ რომელი კლასი რა ზომით ზიდავს გადასახადებს. სეი ცდილობს მიჩქმალოს შრომის ექსპლოატაცია კაპიტალისტების მიერ.

ჰ ა მ ი ლ ტ ო ნ ი (1757—1804) თავის შრომაში „დაბეგვრის საფუძვლების გამოკვლევა“[3] გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გადასახადების წყარო არის ტექნიკის განვითარებით მიღწეული შრომის ნაყოფიერება: ყოველი ახალი გაუმჯობესება ქმნის ნაჭარბს და წარმოადგენს ახალ ფონდს გადასახადების გადასახდელად. თუ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა იზრდება, მაშასადამე, ხელფასიც იზრდება, ე. ი. მუშა გადასახადს თავიდან მოიცილებს, იზრდება მოთხოვნა საქონელზე და მისი ფასებიც იზრდება.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, დაქირავებული შრომა და კაპიტალი, 1933, გვ. 74.

[2] S a y, Traite, L. III, ch. X.

[3] A n d r e v H a m i l t o n, An Enquiry into the Principles of Taxation, 1790.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა იწვევს მიწის ფასის ზრდას, მიწის რენტის გადიდებას; ამიტომ გადასახადი გადაკისრების ფართო წრეს გაივლის. ეს გადაკისრება მოთხოვნის ზრდის გამო ხორციელდება და სანამ ეს მოთხოვნა არსებობს, ის არავის არ ეკისრება.

ამგვარად, ჰამილტონის მიხედვით, გადასახადი არავის ეკისრება, არავის ჩაგრავს. ასე ალამაზებს ის კაპიტალისტურ სინამდვილეს.

ტ ი ე რ ი (1797—1877) დაბეგვრას განიხილავს დაზღვევის მნიშვნელობით. სახელმწიფო აზღვევს მოქალაქეს ყოველგვარი საშიშროებისაგან, უზრუნველყოფს შინაგან წესრიგს და იცავს თავდასხმისაგან. ტიერმა განავითარა დიფუზიის თეორია გადასახადების საკითხში. ტერმინი დიფუზია ნასარგებლევია ფიზიკიდან. სინათლის დიფუზიას უწოდებენ მრავალრიცხოვან უკუფენებს, რომელთა საშუალებით პატარა ნახვრეტში გავლილი სინათლე ვრცელდება ყველა მიმართულებით, ყველა საგნამდე აღწევს და ანათებს მათ. ასეეე არსებობს გადასახადთა დიფუზია. ტიერის აზრით, სწორი არ არის, რომ გადასახადი რომელიმე განსაზღვრულ კლასს აწვება. გადასახადი ნაწილდება თითოეულის მიმართ მოხმარების შესაბამისად. გადასახადების გადაკისრებას დაუსრულებელი ხასიათი აქვს და იგი ყოველი საქონლის ფასის შემადგენელი ნაწილია ამა თუ იმ ზომით[1]. ამნაირად, გადასახადი ყველას ეკისრება, არავის არ ჩაგრავს.

მსგავს შეხედულებას ავითარებს კ ა ნ ა რ ი, რომლის აზრით, გადასახადი ყველა მყიდველ-გამყიდველს შორის ვრცელდება მათი გადამხდელუნარიანობის შესაბამისად. იგი მიმოქცევის საერთო სისტემის წონასწორობის კანონებს ადარებს წყალთა წონასწორობის კანონებს, როდესაც მოცემული გვაქვს ერთმანეთთან დაკავშირებული ჭურჭელთა მწკრივი; ურთიერთის ავსების დროს სითხე ყველა ჭურჭელში გადაისხმება, სანამ ყველაში თანაბარ დონეზე არ დადგება. როდესაც გადასახადი ამცირებს შემოსავალს ერთ დარგში, მას სწრაფად აღადგენს სხვა დარგის შემოსავალი და წონასწორობა აღდგება[2].

ჰ ო კ ი ს აზრით, ურთიერთობა სახელმწიფოსა და გადამხდელს შორის ფისკალურ ხელშეკრულებას ემყარება. სახელმწიფო მომსახურებას უწევს მოქალაქეს. ამ უკანასკნელმა კი მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფო ხარჯებში.

ჰოკის თანახმად, ყოველი გადასახადი სახალხო შემოსავალს

---

[1] Thiers, De la propriété, 1849, p. 223—225.

[2] Canard, Principes d'économie politique, 1801, p. 180, 197.

კვეცს. მაგრამ ის ქირას წარმოადგენს მომსახურებისა, რომელსაც სახელმწიფო უწევს გადამხდელს. მომსახურება უნდა უღრიდეს მისაგებელს და მისი შესრულება მასზე უფრო იაფად არ უნდა შეეძლოს რომელიმე კორპორაციას[1].

ამგვარად, ადრინდელი რევიზიონისტ-ფინანსისტების აზრით, გადასახადი არავის არ ჩაგრავს. ისინი უარყოფენ მშრომელთა დამატებით ექსპლოატაციას გადასახადების საშუალებით.

6. სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება

მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე გადასვლის წინა პერიოდი ხასიათდება მონოპოლიების შესაბამის მოთხოვნილებათა წამოყენებით, რაც სახელმწიფო საქმიანობათა გაფართოებაში გამოიხატება. ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც ამ დროის მოთხოვნათა შესაფერის შეხედულებებს ავითარებდა, იყო სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება. მას სხვანაირად უწოდებდნენ აგრეთვე კათედერ-სოციალიზმს. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: ლორენც ფონშტეინი, შეფლე და ად. ვაგნერი. ამ მიმართულებას შესაძლებლად მიაჩნდა სოციალური საკითხის გადაჭრა მიენდო მონარქიული ხელისუფლებისათვის.

ლ ო რ ე ნ ც შტეინის აზრით, მემკვიდრეობით მონარქიას შეუძლია გამოასწოროს კაპიტალიზმის უბედურებანი.

შ ე ფ ლ ე (1831—1903) სახელმწიფოს უყურებს როგორც განსაკუთრებულ ცოცხალ ორგანიზმს. მისი აზრით, ცხოვრების ყველა დარგში პროგრესული გაუმჯობესებანი ადამიანთა მატერიალური და იდეალური ბრძოლის შედეგია. დაბეგვრის დარგში ამ ბრძოლას ახასიათებს ეგოიზმის, კლასთა მტრობის განსაკუთრებული ხარისხი. მის ერთ-ერთ ფორმას გამოხატავს ბრძოლა გადასახადისაგან განთავისუფლების, გადასახადის გადაკისრების ან უკუგადმოკისრების შესახებ. შეფლე წინააღმდეგია არაპირდაპირი გადასახადებისა და მოითხოვს პირდაპირ გადასახადებს[2].

ა დ. ვ ა გ ნ ე რ ი (1835—1917) მოითხოვდა სოციალურ რეფორმებს: რკინიგზის ტრანსპორტის გასახელმწიფოებრივებას, თამბაქოს მონოპოლიას, სპირტის დაბეგვრას და სხვ. ად. ვაგნერი ყურადღებას აქცევდა დაბეგვრის სოციალურ როლს და მოითხოვდა სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას სამეურნეო საქმიანობისა და განაწილების პროცესში.

---

[1] H o c k. Die öffentlichen Abgaben und Schulden. 18[illegible], S. [illegible]—10.

[2] S c h e f f l e, Grundsätze der Steuerpolitik, 188[illegible].

ად. ვაგნერის მიხედვით სახელმწიფო საჭირო სახსრებს ღებულობს დაბეგვრით, მეორე მხრივ, ცდილობს დაბეგვრაში მიაღწიოს სიმდიდრის უფრო თანაბარზომიერ განაწილებას. ად. ვაგნერი აყენებს მოთხოვნას გადამხდელუნარიანობის მიხედვით დაბეგვრის შესახებ [1].

ბურჟუაზიული ფინანსისტები დაბეგვრის სიმძიმის განსაზღვრის დროს კმაყოფილდებიან გადასახადების შეფარდებით მთელი მოსახლეობის საერთო რიცხვთან და მხედველობაში არ ღებულობენ მოსახლეობის კლასობრივ დანაწილებას; დაბეგვრის სიმძიმედ გულისხმობენ მოსახლეობის საგადასახადო გადამხდელუნარიანობისადმი გადახდის მოთხოვნის წაყენებას.

ბურჟუაზიულ ფინანსურ ლიტერატურაში ცნობილია მრავალი სხვადასხვა აზრი დაბეგვრის სიმძიმის ცნების შესახებ, რომელთა შორის მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მოსახლეობის გადამხდელუნარიანობისა და იძულებითი გადასახდელების ცნებათა განსაზღვრა [2]. ცხადია, უაზრობაა ანტაგონისტურ კლასთა საზოგადოების პირობებში დაბეგვრის სიმძიმის ცნების განსაზღვრა გადამხდელუნარიანობის მიხედვით. ფეოდალურ საზოგადოებაში გლეხი და კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროლეტარი, როგორც გადასახადგადამხდელნი, რომელთა შემოსავალი არის აუცილებელი პროდუქტი და აუცილებელი ღირებულება, შეუდარებელია მებატონესა და კაპიტალისტთან, როგორც გადამხდელებთან, რომელთა შემოსავალი ზედმეტი პროდუქტი და ზედმეტი ღირებულებაა. შეუდარებელია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში მემამულე-მებატონე, როგორც პრივილეგიური კლასის წარმომადგენელი, არაგამომღებელთა წოდებას ეკუთვნის და მის მიმართ არც

---

[1] Ad. Wagner, Über soziale Finanz und Steuerpolitik, იხ.: Archiv für soziale Gesetzgebung und Statistik, herausg. v. Dr. Braun. Berlin, 1891, IV Heft, 1, S. 5-12;

Ad. Wagner. Zur Methodik der Statistik des Volksvermögens mit besonderer Berücksichtigung der Steuerstatistik (Zeitschrift des königlich preussischen statistischen Bureaus, Berlin, 1904).

[2] K. Bräuer, Steuerbelastungsvergleiche (Handwörterbuch der Staatswissenschaften, Bd. VII); Findlay Shirras, Volkseinkommen und Besteuerung. Jena, 1926; E. Seligmann, The Shifting and Incidence of Texation. Nev-York, 1921; Dr. E. Zahn, Die Finanzstatistik in der Theorie (Allgemeines statistisches Archiv. 14. Band. 1923/24, Heft 4, M. B. u. L, 1925); Waldemar Holz, Sind internationale Vergleiche steuerlicher Belastungen möglich? L. 1924; Wilhelm Gerloff. Steuerbelastung und Wiedergutmachung, M. L. 1924.

ისმის გადამხდელუნარიანობის საკითხი, ხოლო კაპიტალისტურ საზოგადოებაში კაპიტალისტებს აქვთ გადასახადების გვერდის ავლის ისეთი მძლავრი საშუალება, როგორიც არის გადასახადების დაბეჩავებულ კლასებზე გადაკისრება; მეორე. ექსპლოატაციურ საზოგადოებაში აუცილებელი პროდუქტისა და აუცილებელი ღირებულების მიმღები კლასების მიმართ გადამხდელუნარიანობის განსაზღვრა ნიშნავს დამატებითი ექსპლოატაციის ზომის განსაზღვრას. გადამხდელუნარიანობის მიხედვით დაწესებული დაბეგვრის სამართლიანი ნორმის ეკონომიკური შინაარსი დამატებით ექსპლოატაციაში გამოიხატება.

დაბეგვრის სიმძიმის ცნების განსაზღვრისას ბურჟუაზიულ ფინანსისტთა მიერ ყურადღების ცენტრის გადატანა იძულებითი გადასახადების გარკვევასა და საერთოდ იძულებითი მომენტების განსაზღვრაზე, მათ შესაძლებლობას აძლევს მიჩქმალონ ამ ცნების ნამდვილი შინაარსი. გადასახადი, მაგალითად, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იძულებითია პროლეტარიატისა და კაპიტალისტისათვისაც, მაგრამ ამ იძულების ეკონომიკური შინაარსი სხვადასხვაა.

პროლეტარისათვის გადასახადი დამატებითი ექსპლოატაციაა, მისთვის გადასახადი უკანდაუბრუნებელია დადებითი თვალსაზრისით, ხოლო, რამდენადაც უკან უბრუნდება, ხელახალ ჩაგვრად ევლინება, ვინაიდან ამ გადასახადებით განამტკიცებს კაპიტალისტური სახელმწიფო ჩაგვრის აპარატს, კაპიტალისტურ საზოგადოებრივ წესრიგს. კაპიტალისტისათვის გადასახადი, რომელთა გადაკისრებასაც სხვებზე ვერ ახერხებს და, მაშასადამე, ნაწილობრივ მასზევე რჩება, უკანდაბრუნებითია დადებითი თვალსაზრისით, ვინაიდან კაპიტალისტური სახელმწიფო ამ გადასახადებით ახორციელებს ღონისძიებებს კაპიტალისტური წესრიგის დასაცავად, მოვების მიღების სფეროს გასაფართოებლად, მონოპოლიური მოგების მისაღებად და სხვ.

დაბეგვრის ტვირთისაგან უნდა გავარჩიოთ დაბეგვრის სიმძიმე. ერთი და იგივე ტვირთი (ანუ გადასახადთა რაოდენობა, რომელიც უწევს თითოეულ გადამხდელს) სხვადასხვა სიმძიმით წარმოდგება სხვადასხვა კლასისათვის. დაბეგვრის სიმძიმეს, პირველ ყოვლისა, აპირობებს გადასახადის წყაროს ხასიათი, სახელდობრ ის, თუ შემოსავლის რა სახეობიდან აიღება გადასახადი: ხელფასიდან, მოგებიდან, რენტიდან თუ სხვ. ამიტომ მშრომელი კლასების მიმართ დაბეგვრის სიმძიმე გამოხატავს დამატებითი ექსპლოატაციის ხარისხს. დაბეგვრის სიმძიმე განისაზღვრება გადახდილი გადასახადების ან ბეგარა-გამოსაღებთა შეფარდებით აუცილებელი ღირებულების,

აუცილებელი პროდუქტის ან აუცილებელი შრომის იმ წილთან, რომელიც რჩება გადამხდელს გადასახადის გამოკლების შემდეგ. სხვანაირად, დაბეგვრის სიმძიმე მშრომელი კლასებისათვის განისაზღვრება გადასახადების ჯამის შეფარდებით ხელფასის ან გლეხის ფულადი ან ნატურალური შემოსავლის იმ წილთან, რომელიც მათ რჩებათ გადასახადების გადახდის შემდეგ.

7. გადასახადთა წვრილბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა

წვრილი ბურჟუაზია, როგორც მეოთხე თავშია აღნიშნული, ორადი ბუნებისაა: იგი, როგორც წვრილი მესაკუთრე, ბურჟუაზიის მხარეზეა, ხოლო როგორც ექსპლოატირებული — პროლეტარიატს ეკედლება. ამიტომ მას, როგორც ამ ორ კლასს შორის მუდამ მერყეევს, საკუთარი ხაზი არ გააჩნია. აქედან გამომდინარეობს, ვ. ი. ლენინის დახასიათებით, ამ შუალედი ფენის ორადობა და ორპირობა[1].

ვინაიდან წვრილ ბურჟუაზიაში ძლიერია წვრილმესაკუთრული ინსტინქტები და ის მუდამ ისწრაფის მსხვილი მესაკუთრე გახდეს, ამიტომ ბურჟუაზია ადვილად აყენებს მას თავისი გავლენის ქვეშ და მისი დაცვის ნიღბით მასზე თავის ძალას ამტკიცებს. ბურჟუაზიის გავლენა განსაკუთრებით ძლიერია გლეხობაზე, რომელიც გაფანტულად ცხოვრობს და ქალაქის ექსპლოატაციით წელშია გაწყვეტილი.

წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია არსებითად ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს. წვრილბურჟუაზიული თეორიები ალამაზებენ ბურჟუაზიულ სინამდვილეს და ნამდვილ მიზეზებს ჩქმალავენ.

ბურჟუაზიული პარტიების, წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგების, რევიზიონისტებისა და მემარჯვენე სოციალისტების შეხედულებები ოპორტუნისტულია.

სისმონდისა და მე-19 საუკუნის 60—70-იანი წლების რუსეთის ნაროდნიკების შეხედულებები კაპიტალიზმის პირობებში წვრილი ბურჟუაზიის გადარჩენის შესახებ რეაქციული იყო. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მარქსი და ენგელსი წერდნენ, რომ საშუალო წოდების გადარჩენის ცდა ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნებას ნიშნავს, რაც შეუძლებელიაო.

ედ. ბერნშტეინი და ე. დავიდი ალამაზებდნენ კაპიტალისტურ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის, თხზ., ტ. 2, 1954, გვ. 263—264.

წყობას და ჩქმალავდნენ წვრილი გლეხობის გაჩანაგების მიზეზებს. ამ შეხედულებების მიზანია მშრომელი გლეხობა ჩამოაცილოს მის ერთადერთ მხსნელს --- პროლეტარიატს.

წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგები ამტკიცებდნენ წვრილი გლეხური მეურნეობის მდგრადობას და მის უპირატესობას მსხვილთან შედარებით.

წვრილბურჟუაზიული თეორიები ასუსტებენ კლასობრივ წინააღმდეგობებს და ამაგრებენ ბურჟუაზიულ წყობას. წვრილბურჟუაზიული თეორიები უადვილებენ ბურჟუაზიას თავისი გავლენა იქონიოს მშრომელებზე. ვინაიდან პროლეტარიატი განუწყვეტლივ ივსება წვრილი ბურჟუაზიის წრიდან გამოსულ პირთაგან ან იმის გამო, რომ ქალაქის პროლეტარიატის ზოგიერთი ფენა ერთგვარად დაკავშირებულია სოფელთან და წვრილ საკუთრებასთან (აქვს საკუთარი სახლი, ბოსტანი ან სხვ.), ამიტომ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია იჭრება პროლეტარიატის რიგებშიც.

წვრილი ბურჟუაზიის გაჩანაგებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მევახშეობა, კაბალური იჯარა და გადასახადები. ამიტომ წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მათ და იმუშავებდნენ მრავალ შემთხვევაში უტოპიურ სქემებს მათ მოსაწესრიგებლად, ჩაგვრის მოსასპობად, სოციალური საკითხის გადასაჭრელად.

წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგთა ერთი ჯგუფის აზრით, სოციალური საკითხი შესაძლებელია გადაიჭრას საბინაო პირობების ან კრედიტის მოწესრიგებით. ასე ფიქრობდნენ, მაგალითად, პრუდონი, მიულბერგერი, ზაქსი. ზოგიერთები კი კაპიტალისტური საზოგადოების ყოველგვარი წინააღმდეგობის გადაჭრის საშუალებად მიიჩნევდენენ გადასახადებს. ასე ფიქრობდნენ პრუდონი, ემილ ჟირარდენი და სხვ.

საგადასახადო უტოპიზმი არის წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი. გადასახადების შემცირება, მისი სამართლიანი განაწილება არის ბანალური ბურჟუაზიული რეფორმა. იგი განსაკუთრებით მიმართავს მრეწველ და მოვაჭრე საშუალო კლასსა და გლეხობას.

ა) ეკონომიკური რომანტიზმი

ს ი მ ო ნ დ დ ე ს ი ს მ ო ნ დ ი (1773—1842), როგორც წვრილბურჟუაზიული რომანტიკოსი, კაპიტალისტურ საზოგადოებას გმობდა და არა იკვლევდა. ის აიდეალებდა წვრილ წარმოებას. მისი აზ-

რით, სახელმწიფოს უნდა დაეცვა წვრილი წარმოება და მუშები მესაკუთრეებად გაეხადა.

სისმონდი ილაშქრებდა მუშების გადასახადებით დაბეგვრის, განსაკუთრებით არაპირდაპირი დაბეგვრის წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე უფრო მძიმედ ღარიბ მოსახლეობას აწვა. მისი გაანგარიშებით, მუშათა ხარჯის მეათედს გადასახადი შეადგენდა.

პირდაპირი გადასახადების არაპირდაპირ გადასახადებად შეცვლას სისმონდი უწოდებდა გადასახადებისაგან მდიდრების განთავისუფლებას და ღარიბების დაბეგვრას. იგი წერდა: თუ ჩვენ შევეცდებით გამოვიანგარიშოთ მდიდარი კაცის შემოსავლის სხვადასხვა ნაწილი, რომელიც ამგვარად გადასახადს ემალება, დავინახავთ, რომ ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ი დ ი—მ ი ს ი ხ ა რ ჯ ი ს ე რ თ ი მ ე ა თ ე დ ი იბეგრება რაიმე გადასახადით; დავინახავთ, რომ ეს გადასახადები ს უ ლ ი ზ რ დ ე ბ ა შემოსავალთან შედარებით ი მ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ, თ უ რ ო გ ო რ ვ ე შ ვ ე ბ ი თ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს უ ფ რ ო ღ ა რ ი ბ ი კ ლ ა ს ე ბ ი ს ა კ ე ნ და რომ ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ბ ე დ უ რ ი ყ ვ ე ლ ა კ ლ ა ს ი დ ა ნ არის ფაბრიკის მუშების კლასი, რომელთა მოხმარება შედგება თითქმის ქალაქებში შეზიდული და ნაყიდი საგნებისაგან. ისინი ვერ უმაღლავენ გადასახადს თავისი შემოსავლის უმცირეს ნაწილსაც კი...

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, თუ რა აღმაშფოთებლად უსამართლო და არაადამიანურია ის წინადადებები, რასაც ძალიან ხშირად აყენებენ. ეს არის წინადადება ყველა პირდაპირი გადასახადის მოსპობისა და სახელმწიფოს შემოსავალთა მთელი თანხის მოხმარების გადასახადებით აღების შესახებ. ეს წინადადება თანაბარია წინადადებისა, რომელიც მ ო ი თ ხ ო ვ ს ყ ვ ე ლ ა მ დ ი დ რ ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს ა გ ა ნ, ს ა მ ა გ ი ე რ ო დ, ღ ა რ ი ბ თ ა დ ა ბ ე გ ვ რ ა ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი თ. მრავალ შემთხვევაში ეს იქნებოდა მიბრუნება ძველი ფეოდალური სისტემისადმი, სადაც აზნაურები არაფერს იხდიდნენ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში არისტოკრატიზმი კიდევ უფრო გაძლიერდებოდა, რადგან საკმარისი იქნებოდა გამდიდრებულიყავი, რომ მით განთავისუფლებულიყავი გადასახდელთაგან"[1].

სისმონდიმ არაპირდაპირი დაბეგვრა დაახასიათა როგორც ახალი ფეოდალური სისტემა.

სისმონდი გვაძლევს კაპიტალისტური საგადასახადო სისტემის

---

[1] Sismonde de Sismondi, Nouveaux principes d'économie politique, t. II, p. 207.

კრიტიკას, გამოთქვამს აღშფოთებას მისი უსამართლო და მიუღებელი ხასიათის გამო, მაგრამ ვერ ხსნის, თუ რა პირობებმა წარმოშვეს იგი და რა პირობებში მოხდება მისი შეცვლა. მისი კრიტიკა დამყარებულია რომანტიკულ, სანტიმენტალურ მოსაზრებებზე და არა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის წინააღმდეგობრივი განვითარების კანონების გამოკვლევაზე. ბოროტების სათავეს ხედავს კაპიტალიზმის განაწილების კანონების წინააღმდეგობაში და ცდილობს მისი უარყოფითი მხარეების რომანტიკულ შეფასებას.

ბ) გაცვლის თეორია

პ ი ე რ-ჟ ო ზ ე ფ პ რ უ დ ო ნ ი ს (1908—1865)[1] აზრით, თანამედროვე სოციალური წყობის ბოროტების ფესვები გაცვლის არსებულ ხასიათშია და არა—წარმოების ფორმაში. მშრომელთა მონობის მთავარი მიზეზია ფული, რომლის მოსპობასაც მოითხოვს იგი. გაცვლა დარჩება და იგი უნდა მოეწყოს უფულოდ ყველასათვის მისაწვდომი სახალხო კრედიტის საშუალებით.

ამ გაცვლის თეორიასთან არის დაკავშირებული მისი შეხედულება გადასახადზე, რომლის მიხედვით, თავისუფალ საზოგადოებაში გადასახადი არ არის ხარკი, ვინაიდან ხარკი თავისუფლებასთან შეუთავსებელია. გადასახადი არ არის არც გამოსყიდვა, რადგან შეუძლებელია ფრანგების ან შვეიცარიელების თავიანთ მთავრობებისადმი დამოკიდებულების შედარება რუსი ყმების მდგომარეობასთან, რომლებიც ეს-ესაა განთავისუფლდნენ თავიანთ მემამულეთაგან. ის არ არის ჯილდო, თავისებური სახის პრემია ან საჩუქარი, რომელიც ეძლევა მეფეს, როგორც სახელმწიფოს დამაარსებელს, ინიციატორს ან დირექტორს, ისე როგორც ხდება აქციონერთა საზოგადოებაში ან როგორც დაწესებულია ჩვეულებით კონსტიტუციურ მონარქიებში ციცილური ფურცლის სახით. ხალხი არ ცნობს სხვა დამფუძნებელს, გარდა თავისი თავისა; ის უსმენს თავის გონებას, რომელიც სარგებლობს სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებით. გადასახადი არ არის ძღვენი ან საჩუქარი, — ამის თქმა გამონაკლისი განზოგადოება იქნებოდა. რასაც აწესებდა ეკლესია საფრანგეთის რევოლუციამდე; ის ამტკიცებდა, რომ არ არის ვალდებული სახელმწიფოს წინაშე, პირიქით, წარმოადგენს სახელმწიფოსა და მეფის უფლების წყაროს. ამიტომ ის ხაზინას გადასახადის ნაკ-

---

[1] ის არის წვრილბურჟუაზიული ეკონომისტი, სოციალ-უტოპისტი და ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ვლად აძლევდა ნებაყოფლობითს საჩუქრებს. მაგრამ მისი გაიგივება ხალხთან, რომელიც უეჭველად უფრო მეტია, ვიდრე ეკლესია, იმის მტკიცება იქნებოდა, რომ ის შედგება იმდენივე სახელმწიფოსაგან, რამდენიცაა ოჯახის მამა, მეწარმე, კაპიტალისტი და მესაკუთრე, რომ ყველა ესენი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. გადასახადი არ არის არც დაზღვევა. არ შეიძლება ასე უსამართლოდ მოეეპყრათ მოსახლეობას იმის მტკიცებით. რომ თითქოს ის არ ცნობს საკუთრების უფლებას და უკანასკნელის დასაცავად საჭიროა უხეში ძალა. ყველას, ვინც მესაკუთრე არ არის, მტრად ვერ მივიჩნევთ; არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ყველას მათ ძალადობისაგან აკავებს მხოლოდ რწმენა ღმერთისა და შიში პოლიციელისა.

ყოველივე ამის შემდეგ პრუდონი გვაძლევს გადასახადის საკუთარ განმარტებას. მისი აზრით, გადასახადი არის გაცვლა. ის ფიქრობს, რომ ამით ახალი და დიდი რამ აღმოაჩინა. პრუდონი მეცნიერებისა და თავისუფლების სახელით უარყოფს სახელმწიფოს ჩარევას კერძო სამეურნეო საქმიანობაში. მაგრამ არის მომსახურება, რომლის გაწევა არ შეუძლიათ კერძო პირებს, მას აწესრიგებს საზოგადოება. ასეთი მომსახურება სახელმწიფოს დანიშნულებაა და გადასახადის ობიექტად გვევლინება. სახელმწიფოს გვერდით არსებობენ მრავალრიცხოვანი კორპორაციები, როგორიცაა წინანდელი ამქრები და გილდიები, არმატორთა კომპანიები გემთმშენებელი ადგილებისა და აუზების ასაგებად და სხვ. მრავალი, რომელთაც აქვთ თავიანთი შემოსავალი და გასავალი, თავიანთი ბიუჯეტი. კანონი, რომელიც მათ განაგებს, ისეთივეა, როგორიც სახელმწიფოს მართავს.

პრუდონი აღიარებს, რომ იდეა—სახელმწიფო გამოეხატათ როგორც ერთ-ერთი მხარე ფასეულობათა გაცვლაში, ახალი არ არის. ამით სახელმწიფო ჩამოჰყავთ იმ მისტიკური სიმაღლიდან, რომელზეც მას სვამდნენ; მას წარმოადგენენ ღვთის ქმნილებად და მეფეს—ცხებულად, რომლის კანონები, ძველი ჩვეულების თანახმად, რწმენის აღთქმად ითვლებოდა. ხელისუფლების დამსგავსება მრეწველობის ერთ-ერთ დარგთან თითქმის ეკლესიის მკრეხელობაა, ერესია. პრუდონი მოითხოვს თეოსოფიის დარგიდან ნასესხები წარმოდგენების უკუგდებას და შედარებით უბრალოდ განსჯას. საქმიანი ურთიერთობა აგებულია ბუღალტერიაზე, მოგება-ზარალის პრინციპზე. სახელმწიფო არ ნიშნავს მხოლოდ სასამართლოს, პოლიციას, დიპლომატიას და ომს. სახელმწიფო. გარდა ამისა, აკმაყოფილებს მოსახლეობის კოლექტიურ მოთხოვნილებებს და ამიტომ, მიუხედავად თავისი მაღალი მდგომარეობისა, რომელსაც ვერც ერთი სხვა კორ-

პორაცია ვერ შეედრება, ექვემდებარება დებეტისა და კრედიტის ან, უბრალოდ, ფასეულობათა სასტიკ კანონს[1].

მარქსი წერს, რომ პრუდონის თხზულებაში „გადასახადების“ შესახებ, რომელიც დაწერილია როგორც საკონკურსო შრომა, ლოზანის მთავრობის გამოცხადებით, „...გამქრალია ყოველგვარი ნასახი გენიალობისა. აქ პრუდონი წმინდა წყლის წვრილ ბურჟუად (petit bourgeois tout pur) გვევლინება“[2].

პრუდონი თავის გონებაში მეტად აზვიადებს გადასახადის მნიშვნელობას. მისი აზრით, გადასახადი ასწორებს მონოპოლიის ნაკლოვანებას.

პრუდონი „იღებს, განურჩევლად, ერთ-ერთ კატეგორიას და მას მიაწერს თვითნებურად ისეთ თვისებას, რომლის წყალობით მან უნდა უწამლოს კატეგორიის ნაკლულევანობას, რომელიც გაწმენდილ უნდა იქნეს. ასე: თუ ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს დავუჯერებთ, გადასახადი, ასწორებს მონოპოლიის ნაკლულევანობას, საეკერო ბალანსი — გადასახადის ნაკლულევანობას, მიწის საკუთრება — კრედიტის ნაკლულევანობას.

იღებს რა ასე ერთი მეორის მიყოლებით, ცალცალკე, ეკონომიკურ კატეგორიებს და ხდის რა ერთს მეორის თ რ ი ა ხ ა დ, ბ-ნ ი პ რ უ დ ო ნ ი ამ წინააღმდეგობების, წინააღმდეგობებისა და თრიახების ნარევისაგან ადგენს წინააღმდეგობათა ორ ტომს, რომელსაც სამართლიანად უწოდებს: ე კ ო ნ ო მ ი უ რ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა ს ი ს ტ ე მ ა ს“[3].

პრუდონის შეხედულება გადასახადების შესახებ ისევე უტოპიურია, როგორც მისი შეხედულება ფულისა და პროცენტის შესახებ, გადასახადით მას სურს მონოპოლიის ნაკლოვანებათა გამოსწორება. სოციალიზმის არსი, მისი აზრით, არის ფულის გაუქმება და საქონლის გაღმერთება. მისი პროექტის თანახმად, უნდა მოეწყოს ახალი ბანკი, სადაც თითოეულს შეუძლია მიიტანოს თავისი დამზადებული პროდუქტი, ჩააბაროს ბანკს, რაშიც მიიღებს ბილეთებს. ამ ბილეთებით შეუძლია შეიძინოს ყველა საჭირო საგანი. ეს ბილეთები, რომლებიც მიმოიქცევა ბანკის მონაწილეთა შორის, მოქმედებენ როგორც ნამდვილი ღირებულებანი.

---

[1] P r o u d h o n, Theorie de l'impôt, 1861, p. 30—50.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, წერილი „სოციალ-დემოკრატის“ რედაქტორისადმი, № 16, 17, 18. 1865 წ., 24 იანვარი (ფილოსოფიის სიღატაკე, 1931, გვ. 58).

[3] კ. მ ა რ ქ ს ი. ფილოსოფიის სიღატაკე, 1938. გვ. 104.

პრუდონს არ ესმის საქონლისა და ფულის აუცილებელი კავშირი.

ის აცხადებს, რომ ნამდვილი მტერი, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ, არის კაპიტალი. კაპიტალის ნამდვილი განმტკიცება პროცენტშია, რაც შეეხება მოგებას, ის კაპიტალისტური გამოვლინება არ არის, ის სამუშაო ხელფასის მხოლოდ განსაკუთრებული ფორმაა. პრუდონის აზრით, უნდა მოვსპოთ პროცენტი მით, რომ იგი გარდაექმნათ კაპიტალის დაფარვის წლიურ შენატანებად. ამგვარად, მუშათა კლასს მუდამ დარჩება ქონება. კაპიტალისტებისა კი თანდათან გაქრება[1].

პრუდონი გადასახადებს ადებს წარმოების ყველა საგანს, რომ მონოპოლისტების მიერ იქნეს გადახდილი სასყიდელი იმ ყველა ადგილისა, რაც პროლეტარიატს უნდა მიეცეს.

ადვილად შესამჩნევია პრუდონის უტოპიზმი, რომელსაც სურს გადასახადებით მოსპოს ბურჟუაზია, იმ დროს, როდესაც ბურჟუები სწორედ გადასახადების საშუალებით ინარჩუნებენ გაბატონებული კლასის მდგომარეობას.

პრუდონი პროლეტარიატის დასახმარებლად მოითხოვს სამომხმარებლო საშუალებებზე გადასახადების დაწესებას. ეს გადასახადები, მისი აზრით, გულისხმობენ თანასწორობას.

პრუდონი მცდარ დასკვნებს აკეთებს იმიტომაც, რომ მან ისტორია არ იცის. როგორ შეიძლება სამომხმარებლო საშუალებათა დაბეგვრით თანასწორობის მიღწევა, როდესაც, როგორც მარქსი წერს, ეს გადასახადები სწორედ ბურჟუაზიის გამარჯვების შემდეგ განვითარდნენ.

„რაც შეეხება გადასახადების, სავაჭრო ბალანსის, კრედიტის ლ ო გ ი კ უ რ თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ა ს—ბა-ნი პრუდონის აზროვნებაში—ჩვენ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ინგლისის ბურჟუაზიამ, რომელმაც ვ ი ლ ჰ ე ლ მ ო რ ა ნ ე ლ ი ს დროს პოლიტიკურ ძალას მიაღწია, ერთბაშად შეჰქმნა გადასახადების ახალი სისტემა, საჯარო კრედიტი და მფარველობითი ბაჟების სისტემა, როგორც კი შესაძლებლობა მოიპოვა თავისი არსებობის პირობები თავისუფლად განეკითარებია“[2].

პრუდონი ცდილობს დაამყაროს კავშირი გადასახადების მოსპობასა და პროცენტის მოსპობას შორის. ამ ულოგიკობას შენიშნავს

---

[1] მარქსის წერილი ენგელსს, 14 აგვისტო, 1851 წ. (М. и Э. Соч., т. 27. 1962, стр. 279—280).

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფილოსოფიის სიღატაკე, 1938, გვ. 140—141.

ფ. ენგელსი მარქსისადმი მიწერილ წერილში 1851 წლის 11 აგვისტოს თარიღით [1]. ამასვე აღნიშნავს კ. მარქსიც ენგელსისადმი მინაწერ წერილში 1851 წლის 14 აგვისტოს. იგი სწერს ენგელსს, რომ მას უგზავნის პრუდონის წიგნს და სურს, რომ ენგელსი თვით ორიგინალში დატკბეს ლოგიკური კავშირით, რომელსაც პრუდონი ამყარებს გადასახადებსა და სარგებელს შორის [2].

ბ) დაზღვევის თეორია

ემილ ჟირარდენი (1806—1881) ცნობილია როგორც წვრილბურჟუაზიული ეკონომისტი.

მან თავისი წიგნით „სოციალიზმი და გადასახადი" („Le socialisme et l'impôt"), დაამუშავა საგადასახადო ღონისძიებათა პროექტი საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეფორმისათვის.

ემილ ჟირარდენის ეს შრომა თავის დროზე გაარჩიეს მარქსმა და ენგელსმა და მის ავტორს უწოდეს უტოპისტი.

ემილ ჟირარდენის თანახმად, სოციალიზმი არის ორგვარი: „კარგი" და „ცუდი". შრომის ბრძოლა კაპიტალთან „ცუდი" სოციალიზმია, შრომისა და კაპიტალის ჰარმონია — „კარგი" სოციალიზმი.

„კარგი" სოციალიზმი უმეცრებას და სიღატაკეს სპობს, კრედიტს აწესრიგებს და სიმდიდრეს ზრდის. ერთი სიტყვით, ის ამ ქვეყნად სამოთხეს ამყარებს. ამიტომ ჟირარდენი მოითხოვს კარგი სოციალიზმით ცუდის განდევნას, სხვანაირად—შრომისა და კაპიტალის შერიგებას.

სოციალიზმის ბერკეტად ჟირარდენს მიაჩნია ბიუჯეტი, ბიუჯეტის წყაროდ — გადასახადები. საგადასახადო რეფორმებით შეიძლება „კარგი" სოციალიზმის განხორციელება. აქამდე არსებული გადასახადები, ჟირარდენის აზრით, არ არის პროპორციული, სამართლიანი, თანაბარზომიერი და გონივრული. ეს გადასახადები შუა საუკუნეების ტრადიციების გამომხატველი და მტაცებლური რომის ფისკის ნამემკვიდრალია.

„საარჩევნო პრივილეგიების გაუქმება აუცილებლად იწვევს ყველა ფისკალური უთანასწორობის გაუქმებას. ამრიგად, მეცნიერების ადგილი რომ ძალადობამ არ დაიკავოს, არავითარ შემთხვევაში დრო არ უნდა დავკარგოთ და ხელი მოვკიდოთ ფინანსურ რეფორმას... გადასახადი არის თითქოს ერთადერთი

---

[1] М. и Э. Соч., т. 27, стр. 279.

[2] იქვე, გვ. 281.

საფუძველი, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი საზოგადოება... სოციალურ-პოლიტიკურ რეფორმებს ეძებენ ცხრა მთის გადაღმა და ღრუბელთ იმიერ სიმაღლეზე; უმთავრესნი გადასახადებში არიან მოქცეულნი, აქ ეძიებდეთ და ჰპოებდეთ"[1].

რაში გამოიხატება ის სოციალურ-პოლიტიკური რეფორმა გადასახადების საშუალებით, რომელსაც ჟირარდენი მოითხოვს? როგორ შეიძლება „კარგი" სოციალიზმის განხორციელება? მოვუსმინოთ თვითონ ჟირარდენს:

„გადასახადი, ჩვენის გაგებით უნდა წარმოადგენდეს სადაზღვევო პრემიას, რომელსაც იხდის ის, ვინც ფლობს, უზრუნველყოს თავისი თავი ყოველგვარი რისკისაგან, რომელსაც შეუძლია მას ხელი შეუშალოს ფლობასა და სარგებლობაში... ეს პრემია უნდა იყოს პროპორციული და მტკიცედ დაზუსტებული. ყოველი გადასახადი, რომელიც არ წარმოადგენს გარანტიას რისკის წინააღმდეგ, საქონლის ფასს ან გაწეული მოსამსახურების ეკვივალენტს, უნდა გაუქმდეს. დასაშვებია მხოლოდ ორი გამონაკლისი: გადასახადი უცხოეთზე (douane — საბაჟო) და გადასახადი სიკვდილზე (enregistrement) („რეგისტრაცია")... ამგვარად, გადასახადვალდებულის ადგილზე დგება დაზღვეული... ყოველი, ვინც დაინტერესებულია გადაიხადოს, იხდის მხოლოდ თავისი ინტერესის შესაბამისად... ჩვენ უფრო შორს მივდივართ და ვამბობთ: ყოველი გადასახადი დაწყევლილია უკვე იმით, რომ იგი გადასახადის, დაბეგვრის სახელს ატარებს. ყველა გადასახადი უნდა გაუქმდეს, რადგან გადასახადის თავისებურება იძულებაა, დაზღვევა კი ნებაყოფლობითი ხასიათისაა"[2].

ამგვარად, სახელმწიფო გადაიქცევა დამზღვევ კომპანიად, სადაზღვევო პრემია კი — კაპიტალის გადასახადად. სადაზღვევო პრემია უზრუნველყოფს მთელ კაპიტალს და არა მარტო მის შემოსავალს.

„სიტყვა ხელისუფლება შეიცვლება სიტყვით სოლიდარობა; საერთო ინტერესი შეაკავშირებს საზოგადოების წევრებს და „კარგი" სოციალიზმი ურეკოლუციოდ ჩამოყალიბდება შემდეგნაირად (მარქსისა და ენგელსის სიტყვებით):

„ყოველ წელს წინანდელი გადასახადის ამკრეფი აძლევს დაზღვეულს პოლისს, რომელიც პასპორტის ზომის ოთხი გვერდისაგან

---

[1] K. Marx, F. Engels, Werke. Bd. 7, S. 264 (იხ. ფინანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში, ქრესტომათია, 1965, გვ. 256-257).

[2] იქვე. ქრესტომათია. გვ. 257.

შედგება. პირველ გვერდზე აღნიშნულია დაზღვეულის სახელი მი-ნომრით სიის მიხედვით, აქვეა ცხრილი გადასახდელთა მიღებაზე ხელის მოსაწერად. მეორე გვერდზეა ზუსტი ცნობები დაზღვეული პიროვნების ოჯახის შესახებ, იქვე არსებული წესის მიხედვით დამოწმებული მთელი მისი ქონების დეტალური საკუთარი შემოწმება; მესამე გვერდზე—სახელმწიფო ბიუჯეტი საფრანგეთის საერთო ბალანსთან ერთად და მეოთხეზე სხვადასხვა ცოტად თუ ბევრად საინტერესო სტატისტიკური მონაცემები. ეს პოლისი პასპორტის, ამომრჩევლის მოწმობის, მუშის სამგზავრო წიგნაკის და სხვ. მაგიერია, ამ პოლისების სიები, თავის მხრივ, სახელმწიფოს საშუალებას აძლევენ შეადგინოს ოთხი დიდი დავთარი: მოსახლეობის დიდი დავთარი, საკუთრების დიდი დავთარი, სახელმწიფო ვალის დიდი დავთარი და საჰიპოთეკო ვალის დიდი დავთარი, რომელნიც ერთად აღებულნი შეიცავენ საფარანგეთის ყველა რესურსის სრულ სტატისტიკას" [1].

ამგვარად, გადასახადი წარმოადგენს პრემიას, რომელსაც იხდის დაზღვეული, სამაგიეროდ იგი სარგებლობს საზოგადოებრივი დაცვის უფლებით, უსაფასურო იურიდიული დაცვით, საფასურით ღებულობს საეკლესიო მომსახურებას, სწავლას და სხვ. უზრუნველყოფილია სიღატაკისაგან. სახელმწიფო უნაზღაურებს ყოველგვარ ზარალს, რომელიც მოქალაქეებმა შესაძლებელია მიიღონ ხანძრისა, წყალდიდობის, დასეტყვის, ეპიზოოტიისა და გემის კატასტროფისაგან. ამ ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს შეუძლია სხვადასხვა ფულადი ჯარიმებით, საბაჟო გადასახადებით, სახელმწიფო მონოპოლიით და სხვ.

ამგვარად, ჟირარდენი ყველა სხვა გადასახადის მაგიერ მოითხოვს მხოლოდ კაპიტალის გადასახადს.

კაპიტალიზმის პირობებში სოციალური საკითხის არსი ზედმეტი ღირებულების წარმოქმნასა და მითვისებაში გამოიხატება. ეს წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკურ თვისებას. ამიტომ ყოველად უტოპიურია სოციალური საკითხის გადაჭრის ცდა თვით კაპიტალისტური წარმოების პირობებში. კაპიტალისტური წარმოების წარმოდგენა ზედმეტი ღირებულების გარეშე.

ყოველად შეუძლებელია ერთიანი გადასახადის შემოღებამ და მისმა დაკისრებამ კაპიტალზე მოსპოს ექსპლოატაცია. ვინაიდან ბიუჯეტური შემოსავლის მთელი ჯამი ნორმალურ პირობებში მთელი სახალხო შემოსავლის მეტად მცირე პროცენტს შეადგენს. ასე

[1] K. Marx, F. Engels. Werke, Bd. 7, S. 284 (იხ. ფიხანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში, ქრესტომათია, 1965, გვ. 258).

რომ, მთელი სახელმწიფო ხარჯები ზედმეტი ღირებულების მიმთვისებელთ რომ დავაკისროთ, მაშინაც ზედმეტი ღირებულების საკმაოდ დიდი წილი დარჩებათ მათ. თუკი სახელმწიფოს ხარჯები ისე დიდი იქნება, რომ ის სრულიად შთანთქავს მთელი კაპიტალისტური საზოგადოების ზედმეტ ღირებულებას, რაც კაპიტალისტური წარმოების ლიკვიდაცია იქნებოდა, მაშინ ის კაპიტალისტური საკუთრების ექსპროპრიაციად ჩაითვლება და არა ერთიან გადასახადად, ვინაიდან კაპიტალისტური სახელმწიფო, როგორც გაბატონებული კლასისა და კაპიტალისტური საკუთრების დაცვის ორგანიზაცია, ამას ვერ ჩაიდენს, ხოლო თუ ასე მოიქცევა, მაშინ ის უკვე კაპიტალისტური სახელმწიფო არ იქნება; ასეთი სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა იმ წარმოებრივ ურთიერთობათა ცვლილების შედეგი იქნება, რამაც ასეთი სახელმწიფო წარმოშვა.

„საგადასახადო რეფორმა ყველა რადიკალური ბურჟუას სალაპარაკო საგანია, ყველა ბურჟუაზიულ-ეკონომიური რეფორმის სპეციფიკური ელემენტია. შუა საუკუნეების პირველი მეშჩანებით დაწყებული თანამედროვე ინგლისელი ფრიტრედერებით დამთავრებული მთავარი ბრძოლა გადასახადების გარშემო იშლება.

საგადასახადო რეფორმა მიზნად ისახავს ტრადიციით გადმოცემული იმ გადასახადების გაუქმებას, რომლებიც მრეწველობის განვითარებას გზას უღობავენ, სახელმწიფო მმართველობის ხარჯების გაიაფებას ან გადასახადების უფრო თანაბარ განაწილებას. ბურჟუაზია მით უფრო თავგამოდებით დასდევს გადასახადების თანაბარი განაწილების ქიმერულ იდეალს, რაც იგი მას პრაქტიკაში უფრო მეტად უსხლტება ხელიდან.

განაწილების ურთიერთობანი, რომლებიც უშუალოდ ბურჟუაზიულ წარმოებას ეყრდნობა, ურთიერთობანი ხელფასსა და მოგებას, მოგებასა და სარგებელს, მიწის რენტასა და მოგებას შორის, გადასახადების მეშვეობით შეიძლება მხოლოდ მეორეხარისხოვან პუნქტებში შეიცვალოს, ძირითადში კი — არასოდეს. ყოველგვარი კვლევა-ძიებანი და კამათი გადასახადების შესახებ გულისხმობენ ამ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა მუდმივ არსებობას. თვით გადასახადების გაუქმებას შეუძლია მხოლოდ დააჩქაროს ბურჟუაზიული საკუთრებისა და მისი წინააღმდეგობების განვითარება“[1].

გადასახადი სულ რომ მოვსპოთ, ამით ექსპლოატაცია არ მოისპობა, სოციალური საკითხი არ გადაიჭრება.

საგადასახადო სისტემა, რომელმაც ხელი შეუწყო კაპიტალის

---

[1] K. Marx, F. Engels, Werke, Bd. 7, S. 284 (იხ. ფინანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში, ქრესტომათია, 1965, გვ. 285—259).

თავდაპირველ დაგროვებას, რომელიც გავლენას ახდენს კაპიტალის კონცენტრაციაზეც და ხელს უწყობს ექსპლოატაციის სფეროს გაფართოებაში, ვერ გადაჭრის სოციალურ საკითხს.

დ) წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის თეორია

ფერდინანდ ლასალი (1825—1864) იყო წვრილბურჟუაზიული სოციალისტი. ის იყო მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის ერთ-ერთი სახეობის დამამკვიდრებელი. სახელმწიფოს როლის საკითხში ლასალი იზიარებდა ჰეგელის იდეალისტურ-რეაქციულ შეხედულებას. მისი აზრით, პრუსიის იუნკრულ სახელმწიფოს უნდა გადაეჭრა სოციალური საკითხი. ეს სახელმწიფო თანდათანობით „თავისუფალ სახალხო სახელმწიფოდ" უნდა გადაქცეულიყო. ლასალმა ჩამოაყალიბა ე. წ. ხელფასის „რკინის კანონის" თეორია, რაც მან რიკარდოდან და მალთუსიდან გადმოწერა.

ლასალმა სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება გადასახადების შესახებ.

მისი დებულებით, პრივილეგიური წოდება ყოველთვის ცდილობს სახელმწიფო ხარჯების ტვირთი ღარიბ კლასებს გადააკისროს. რასაც ახორციელებს ცხადად ან შენიღბულად, პირდაპირად ან არაპირდაპირად. ის აღნიშნავს, რომ თავადაზნაური მიწათმფლობელები სარგებლობდნენ საგადასახადო შეღავათებით. ასევე იქცევა ბურჟუაზიაც, რომელიც ამას აშკარად ვერ აცხადებს. მაგრამ ყოველგვარად კი ცდილობს საგადასახადო ბეგარას გვერდი აუაროს. ბურჟუაზია პრინციპში ცნობს პროპორციულ გადასახადს, შენიღბულად კი თავს არიდებს მას პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის განსხვავების დაწესებით, ვინაიდან არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგრილია სამომხმარებლო საგნები, რომელთა მოხმარება არასდროს არ არის შეძლების პროპორციული. ამიტომ ის უფრო მეტად აწვება ღარიბ მოსახლეობას. „...თუ ვინმე მეორესთან შედარებით უფრო მდიდარია თუნდაც 20, 50, 100-ჯერ, ამის გამო ის მაინც ვერ შეჭამს 20, 50, 100-ჯერ მეტ მარილს, პურს, ხორცს, ვერ დალევს 50 ან 100-ჯერ მეტ ლუდს, ან ღვინოს, არა აქვს 50 ან 100-ჯერ მეტი მოთხოვნილება გათბობისა, ვიდრე მუშას ან მეშჩანს"[1].

არაპირდაპირი გადასახადები აწვება არა პიროვნებებს მათი კაპიტალისა და შემოსავლის პროპორციულად, არამედ შეუდარებლად დიდი სიმძიმით — ღარიბ კლასებს. „მართალია, ბურჟუაზიას არ აღ-

---

[1] Фердинанд Лассаль, Соч., т. 1, стр. 21.

მოუჩენია არაპირდაპირი გადასახადები, ისინი წინადაც არსებობდნენ, მაგრამ ბურჟუაზიამ განავითარა ისინი გაუგონარ სისტემამდე და მას დააკისრა თითქმის ყველა სახელმწიფო ხარჯი"[1].

სახელმწიფოს რომ მოესურვებინა, ლასალის აზრით, მქონებელთაგან აეღო არაპირდაპირი გადასახადების სახით ის 96 მილიონი ტალერი, რომელიც მან პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებით დააგროვა 1865 წლის ბიუჯეტში, მაშინ 44 000 მქონებელთაგან საშუალოდ თითოეულს მოუწევდა გადასახდელად 2 186 ტალერი გადასახადი წელიწადში. 44 000 მქონებელს შორის 14 428-ს აქვს 1000—1200-მდე ტალერი შემოსავალი, ხოლო 17 575-ს—არა უმეტეს 2000 ტალერისა. აქედან საშუალოდ შემოსავალი თითოეულზე მოდის 2 357 ტალერი.

შემდეგ ლასალი კითხულობს: რამდენი უნდა მოიხმაროს თითოეულმა 44 000 მქონებელთაგან, რომ მას მოუწიოს არაპირდაპირმა გადასახადმა ყოველწლიურად 2 186 ტალერის ოდენობით?[2] ან კითხვაზე თვითონ აძლევს პასუხს.

პირდაპირი გადასახადი კანონით არ შეიძლება აღემატებოდეს შემოსავლის სამ პროცენტს. დავუშვათ, რომ არაპირდაპირი გადასახადებით აიღება 5% 44 000 მქონებელ პირთაგან თითოეულის საერთო წლიური შემოსავლიდან. ეს ძალიან გადიდებულია მათთვის, მაგრამ დავუშვათ, რომ ორ ამდენს იხდიან, ე. ი. 10%.

თუ არაპირდაპირი გადასახადი შეადგენს ხარჯის საერთო თანხის 10%-ს, მაშინ 2 186 ტალერი არაპირდაპირი გადასახადი უნდა გამრავლდეს 10-ზე და მივიღებთ საერთო საშუალო ხარჯს თითოეული ამ 44. 000-თაგანისათვის. მაშინ გამოვა, რომ თითოეული მათგანი ყოველწლიურად საშუალოდ ხარჯავს 21 860 ტალერს. ასეთი იქნებოდა მათი ხარჯი, თუ სახელმწიფო არაპირდაპირი გადასახადებით ახდევინებს მთელ თავის 96 მილ. შემოსავალს 44. 000 მქონებელს.

ყოვლად შეუძლებელია, ასკვნის ლასალი, რომ სახელმწიფომ არაპირდაპირი გადასახადებით გადაახდევინოს მქონებელთ მთელი თავისი შემოსავლის თუნდაც მხოლოდ მეათედი, ან მეოცედი.

„გასაგებია, რომ მდიდრებს, რომელთაც შემოსავლიდან ახდევინებენ გარკვეული პროცენტული შეფარდებით, პირდაპირი საშემოსავლო გადასახადები უფრო ძლიერად აწვება, ვიდრე **არაპირდაპირი** გადასახადები. პირდაპირი გადასახადები თითოეულს გადახდება მისი ქონებისა და შემოსავლის პროპორციულად, მაშინ

---

[1] **Фердинанд Лассаль**, Соч., т. I, стр. 21.

[2] იქვე. გვ. 222.

როდესაც არაპირდაპირი გადასახადები, მეტად ზომიერ ეკონომისტთა დამოწმებით ისეთსავე გავლენას ახდენენ, როგორსაც სულადობრივი გამოსაღები; ე. ი. თითოეულს ახდევინებენ ერთგვარ შესატანს, ხოლო სხვათა სიტყვებით, რაც უფრო ღარიბია ადამიანი, მით უფრო მეტი გადახდება"[1].

ლასალი აღნიშნავს, რომ მიწის გადასახადი შეადგენს ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ დიდ სახეობას. ბიუჯეტი მას აკუთვნებს პირდაპირ გადასახადებს, მაგრამ ეს გადასახადიც არაპირდაპირ გადასახადად იქცევა. ლასალის მტკიცებით, მიწის გადასახადი არის არსებითად პ ურ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი. მიწის გადასახადი გადაეკისრება პურის ფასს, სახლების მიმართ — ბინის ფასს. ამგვარად, ამ გადასახადის გადამხდელები მომხმარებლები არიან და ეს გადასახადები არაპირდაპირ გადასახადებს შეადგენენ. ლასალი იმოწმებს რაუს იმაში, რომ პურის გადასახადი ისეთსავე გავლენას ახდენს, როგორსაც სულადობრივი გადასახადი. ნამდვილად ის კიდევ უფრო მეტ გავლენას ახდენს, ვინაიდან, რაც უფრო ღარიბია კაცი, მით უფრო მეტ პურს მოიხმარს, მაშასადამე, მეტ გადასახადს იხდის[2].

ლასალს მოაქვს სტატისტიკური მონაცემები, რითაც ცდილობს დაასაბუთოს. რომ ღარიბი მოსახლეობა მთლიანად პირდაპირ გადასახადებსაც უფრო მეტს იხდის, ვიდრე მქონებელი მოსახლეობა.

ლასალი ხელფასის საკითხში იმოწმებს ტუკს, რომელიც წერს, რომ „...გაცვლის ყველა საგნიდან ხელფასი უკანასკნელი იზრდება ფასში, როდესაც ხდება პროდუქტების გაძვირება ან ფულის ფასის დაცემა". ხელფასი მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მატულობს ან კლებულობს საცხოვრებელ საშუალებათა გაძვირების ან გაიაფების გამო, ისიც არაპროპორციულად[3].

მართალია, ლასალმა მოგვცა კაპიტალისტური გადასახადების ერთგვარი კრიტიკა, მაგრამ იგი საკითხში მაინც გარკვეული არ არის. მას სურდა, როგორც მარქსი წერს. სასამართლოსთვის მიეცა შესიტყვებათა ერთგვარი რეტროსპექტული ისტორიული მიმოხილვა არაპირდაპირი გადასახადების შესახებ. ამისათვის იგი იმოწმებს ყველა მიმართულების მწერალს და ანგარიშს არ უწევს თითოეული მათგანის მოსაზრებას ამ საკითხში, თუ რატომ მსჯელობდა ასე და არა სხვანაირად.

---

[1] Ф е р д и н а н д Л а с с а л ь, Соч., т. I, стр. 223—224.
[2] იქვე, გვ. 270.
[3] იქვე, გვ. 290—291.

მისი წარმოდგენა „არაპირდაპირ გადასახადებზე“ როგორც „ბურჟუაზიულ გადასახადებზე“ ბავშვურია. ლასალი ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ეს გადასახადები ბურჟუზიული გადასახადები იყო „შუა საუკუნეებში და არა ამჟამად, ყოველ შემთხვევაში, არა იქ, სადაც ბურჟუაზია განვითარებულია“.

ლასალი იჩენდა იმის უცოდინარობას, რომ „არაპირდაპირი გადასახადების“ წინააღმდეგ ბრძოლა „შულცე დელიჩისა და კომპანიის“ ინგლისელ და ამერიკელ მეგობართა ლოზუნგია და, მაშასადამე, მათ საწინააღმდეგო, ე. ი. freetraders-ების საწინააღმდეგო ლოზუნგად ვერ გამოდგება. ასევე ბავშვურია, მარქსის შენიშვნით, ლასალის მიერ რიკარდოს ერთი დებულების გამოყენება რუსეთის მიწის გადასახადისადმი (Grundsteuer), ე. ი. ძირფესვიანად არასწორია (grundfalsch)“ [1].

ე) ნაროდნიკული თეორია

რ უ ს ი ნ ა რ ო დ ნ ი კ ე ბ ი. როგორც ვლ. ლენინი ასაბუთებს თავის ნაშრომში „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“, რუსი ნაროდნიკები იზიარებდნენ სისმონდის წვრილბურჟუაზიულ შეხედულებებს, რომელმაც მოგვცა კაპიტალიზმის სანტიმენტალური კრიტიკა და გვიჩვენა წინააღმდეგობანი შერილ ბურჟუაზიასა და ბურჟუაზიას შორის. სისმონდს გულწრფელად სურდა მოესპო ეს წინააღმდეგობანი, მაგრამ არ ესმოდა კაპიტალიზმისა და საქონლური მეურნეობის წინააღმდეგობრიობის აუცილებლობა და მისი განვითარების ხასიათი; ამიტომ ის უტოპიაში ვარდებოდა.

ნაროდნიკული კრიტიკა წარმართება წვრილი წარმოების იდეალიზაციის საფუძველზე; ამ კრიტიკას წვრილბურჟუაზიული ხასიათი აქვს. ნაროდნიკებს არ ესმოდათ კავშირი წვრილ წარმოებასა და მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას შორის. ისინი ვერ ხედავდნენ, თუ გლეხები სინამდვილეში როგორ ხდებიან წვრილი ბურჟუები.

გადასახადების წვრილბურჟუაზიული თეორიების განხილვასთან დაკავშირებით ამ შრომაში ნაროდნიკების შეხედულება წარმოდგენილია იუჟაკოვის სახით.

ი უ ჟ ა კ ო ვ ი ნ ი კ ო ლ ო ზ სერგის ძე (1849—1910) იყო ლიბერალი ნაროდნიკი. ის მხარს უჭერდა სოფლის თემს, მოითხოვდა

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XXIII, 1930, გვ. 153—154.

საგლეხო ბანკის რეორგანიზაციას. იუჟაკოვი იდეალისტური სუბიექ-ტური სკოლის წარმომადგენელია. ის უარყოფდა კლასთა ბრძოლას და სოციალურ პროცესში მთავარ როლს ანიჭებდა ეთიკურ ფაქ-ტორებს.

იუჟაკოვი მოითხოვდა სახელმწიფო ჩარევის აუცილებლობას. სახელმწიფოს ეკონომიკურად სუსტი უნდა დაეცვა ეკონომიკურად ძლიერისაგან. ის წერდა: „გლადსტონის ლანდბილები," ბისმარკი-სეული მუშათა დაზღვევა, საფაბრიკო ინსპექცია, ჩვენი საგლეხო ბანკის იდეა, გადასახლებათა ორგანიზაცია, კულაკობის წინააღმდეგ ზომების მიღება — ყოველივე ეს სახელმწიფოს ჩარევის სწორედ ამ პრინციპის გამოყენების ცდაა ეკონომიკურად უფრო სუსტის და-საცავად"[1].

ვლ. ლენინი აკრიტიკებდა წვრილბურჟუაზიის ამ იდეოლოგიას და მას წმინდა მეშჩანურს უწოდებდა, რომელიც რეაქციული კლა-სის სულისკვეთებას გამოხატავდა; „...წვრილ მწარმოებელს, რომე-ლიც გათიშული და განცალკევებულია თვით წარმოების პირობე-ბით, მიმაგრებულია განსაზღვრულ ადგილსა და განსაზღვრულ ექს-პლოატატორზე, არ ძალუძს გაიგოს, იმ ექსპლოატაციისა და იმ ჩაგ-ვრის კლასობრივი ხასიათი, რომელთაგან ზოგჯერ ის არა ნაკლებ არის შევიწროებული, ვიდრე პროლეტარი, არ ძალუძს გაიგოს, რომ სახელმწიფოც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არ იყოს კლასობრივი სახელმწიფო"[2].

იუჟაკოვი მოითხოვს: „მარილის გადასახადის გაუქმებას, სულა-დობრივი ხარკის გაუქმებას და გამოსასყიდ გადასახდელთა შემცი-რებას". — იუჟაკოვს ამ გადასახადთა მოხსნა მიაჩნია — „სახალხო მეურნეობის სერიოზულ შემსუბუქებად"[3].

ვლ. ლენინი შენიშნავს იუჟაკოვს: მარილის გადასახადის შემცირებას ხომ მოჰყვა ახალი არაპირდაპირი გადასახადების შემო-ღება და ძველთა გადიდება. „განა სულადობრივი ხარკის გაუქმებას ყოფილ სახელმწიფო გლეხების გადასახადთა გადიდება არ მოჰყვა, მათი გამოსყიდვაზე გადაყვანის სახით? განა არ დარჩენილა ახლაც, გამოსასყიდ გადასახდელთა ყბადაღებული შემცირების შემდეგ (რომლითაც სახელმწიფომ გლეხებს ის მოგებაც კი არ მისცა, რაც მან გამოსასყიდ ოპერაციაზე მიიღო) შეუსაბამობა გადასახადები-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რანი არიან „ხალხის მეგობრები". თხზ., ტ. 1, 1953. გვ. 302.

[2] იქვე, გვ. 302—303.

[3] იქვე, გვ. 304.

სა მიწის შემოსავლიანობასთან, ე. ი. ბატონყმურ ბეგარათა პირდაპირი ნაშთი?"[1].

იუჟაკოვი წერს: „80-იანმა წლებმა შეამსუბუქეს ხალხის ტვირთი (და ეს აღნიშნული ზომებით) და მით იხსნეს ხალხი საბოლოო გაჩანაგებისაგან"[2].

იუჟაკოვის ასეთი ოპორტუნიზმით დიდად აღშფოთებულია ვლ. ლენინი, რომელიც ამბობს: „ესეც კლასიკური ფრაზაა თავისი ლაქიური ურცხვობით; ის შეიძლება გვერდში დაუყენოთ მხოლოდ ბ-ნ მიხაილოვსკის ზემოთ მოყვანილ განცხადებას—ჩვენ ჯერ კიდევ უნდა შევქმნათ პროლეტარიატი... და მართლაც, როგორ არ უნდა ვთქვათ „ხალხის მეგობრების" შესახებ, რომ მათ დაიჭირეს ეს მუდმივი და ურყევი პოზიცია, როდესაც ისინი, მილიონობით ხალხის შიმშილის ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ, პრესაში სწერენ — მთავრობამ ხალხი იხსნა საბოლოო განადგურებისაგანო, თუმცა მთავრობა დამშეულ ხალხს ჯერ ჩარჩული ანგარიშიანობით მიუდგა. ხოლო შემდეგ იმავე ჩარჩული სიმხდალით! გაივლის კიდევ რამდენიმე წელიწადი, გლეხობის ექსპროპრიაცია კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ, მთავრობა მიწათმოქმედების სამინისტროს დაარსებას დაუმატებს ერთი-ორი პირდაპირი გადასახადის გაუქმებას და რამდენიმე ახალი არაპირდაპირი გადასახადის შემოღებას: შემდეგ შიმშილობა მოედება 40 მილიონ ხალხს, — ეს ვაებატონები კი სწორედ ასევე დასწერენ: აი ხომ ხედავთ 40 მილიონი შიმშილობს და არა 50 მილიონიო; ეს იმიტომ, რომ მთავრობამ შეუმსუბუქა ხალხს ტვირთი და ხალხი გადაარჩინა საბოლოო გაღატაკებას, ეს იმიტომ, რომ მან „ხალხის მეგობრებს" დაუჯერა და მიწათმოქმედების სამინისტრო დააარსაო"[3].

იუჟაკოვი ქვეყნის უკეთმართობის ძირითად მიზეზს ხედავს კრედიტის, გადასახადების, გადანაწილების მოუწესრიგებლობაში და მოითხოვს მის გამოსწორებას. იუჟაკოვის აზრით, „მიწა ცოტაა", გადასახადები მძიმეა, „საშოვრები" შემცირებულია. საგადასახადო და საადგილმამულო პოლიტიკა გლეხებისათვის დამჩაგვრელია. ის ვერ ამჩნევდა, რომ კაპიტალიზმს უკვე ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული რუსეთის წარმოების ურთიერთობაში. მას მიზეზები უნდა ეძებნა წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავისებურე-

---

[1] ვ. ლენინი. რანი არიან „ხალხის მეგობრები". თხზ., ტ. 1. 1951. გვ. 304.

[2] იქვე, გვ. 304.

[3] იქვე, გვ. 304—305.

ებში და არა პოლიტიკის თავისებურებებში, რომელიც ამ უკანასკნელიდან გამომდინარეობდა.

ნაროდნიკული ლიტერატურა წინა პლანზე აყენებდა ჩაგვრის ამ მომენტს. გაზეთ „Работник"-ის 1875 წლის თებერვლის № 2-ში გამოქვეყნებულია სტატია „გადასახადები იზრდება — სამეშაო არ ჯრის".

სტატიაში აღნიშნულია სიმძიმე დიდი გადასახადებისა და გამოსასყიდი გამოსაღებებისა, რომლებიც აწევს გლეხებს, რომლებიც ისედაც დაჩაგრული და გაჩანაგებული არიან მოუსავლობით და შიმშილობით [1].

იუჟაკოვი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ბავშვური ილუზიებით ინუგეშებდა თავს.

იუჟაკოვის გადასახადების თეორიის შესახებ ვლ. ლენინი წერდა:

„როგორც მიწათმოქმედების, ისე დამმუშავებელი მრეწველობის დარგში იგი დგება მათი ამ ორგანიზაციის ნიადაგზე და იბრძვის არა თვით ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ, არამედ მისი სხვადასხვა ნაკლის წინააღმდეგ.—რაც შეეხება გადასახადებს, აქ უკვე ნაროდნიკმა თვითონ უარჰყო თავისი თავი იმით, რომ მკვეთრად წამოაყენა ნაროდნიკობის დამახასიათებელი ძირითადი თვისება—კომპრომისების უნარი. სემოთ ის თვითონ ამტკიცებდა, რომ ზეღირებულების მიმოქცევის სისტემის არსებობის დროს ყოველგვარი გადასახადი (საშემოსავლო კი) მუშახელს დააწვება ტვირთად, — მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი სრულიადაც უარს არ ამბობს მოელაპარაკოს ლიბერალურ საზოგადოებას იმაზე, დიდია თუ მცირე გადასახადები და, „მოქალაქეობრივი რიგიანობით" აღჭურვილი, მზად არის სათანადო რჩევა მისცეს გადასახადთა და გამოსაღებთა დეპარტამენტს" [2].

ამგვარად, ნაროდნიკები, მათ შორის იუჟაკოვი, ჩაგვრის, უკუღმართობის მთავარ მიზეზს გადასახადებისა და საერთოდ განაწილებითი ურთიერთობის მოუწესრიგებლობაში ხედავს და სოციალური საკითხის გადაჭრას ამის გამოსწორებით ფიქრობს.

---

[1] Народническая экономическая литература, избр. произв. под общ. ред. Н. К. Каратаева, 1958, стр. 298—303.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რანი არიან „ხალხის მეგობრები", თხზ., ტ. 1, 1953. გვ. 439.

II. მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადასახადთა ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა

1. წვრილბურჟუაზიული თეორიები

ა) რევიზიონიზმის თეორია. ედ. ბერნშტეინი

მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში უფრო ძლიერად ხდება წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასების პროლეტარიზაცია. ეს პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში. მონოპოლისტური გაერთიანებები ანადგურებენ წვრილ და საშუალო ფერმერებს მით, რომ აწესებენ დაბალ შესყიდვით ფასებს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და მაღალ გასასყიდ ფასებს — სამრეწველო საქონელზე.

მიუხედავად იმისა, რომ მონოპოლისტური კაპიტალისტური გაერთიანებები უწყალოდ ანადგურებენ წვრილ ბურჟუაზიას, ეს მაინც საგრძნობ ნაწილს შეადგენს კაპიტალისტური საზოგადოების მოსახლეობისა, ასე მაგალითად, მე-20 საუკუნის შუახანებში კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობაში ის შეადგენდა მოსახლეობის 30—45%, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში—60—70%-მდე[1].

მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში მე-20 საუკ. შუახანებში აშშ-ში, ინგლისსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელთა მასების წინააღმდეგობასთან დაკავშირებით გაჩნდა ახალი წვრილბურჟუაზიული თეორიები, რომლებიც ასაბუთებდნენ წვრილი „საოჯახო ფერმების“ უპირატესობას მსხვილ ფერმებთან შედარებით. ეს თეორიები არაფრით განსხვავდება რუსი ხალხოსნების „საოჯახო-შრომითი გლეხური მეურნეობის თეორიებისაგან“. ამ შეხედულებათა თანახმად, ოჯახის წევრები თავიანთი შრომით აწარმოებენ საცხოვრებელ საშუალებებს ოჯახის წევრთა მოთხოვნილების შესაბამისად და ისინი ბაზართან დაკავშირებული აღარ არიან. ამ შეხედულებათა უსაფუძვლობა იმ თავითვე ნათელია. არავითარ წვრილ საოჯახო მეურნეობებს არ ძალუძთ გაუმკლავდნენ მსხვილ საქონლურ-კაპიტალისტურ წარმოებას; ეს ცხოვრებამაც დაამტკიცა.

იმპერიალიზმის ეპოქაში მონოპოლისტური ბურჟუაზია ეწევა მუშათა კლასის ზედა ფენის მოსყიდვას, ქმნის მუშათა არისტოკრატიას, რომელიც ბურჟუაზიული გავლენის გამტარებელია; იქმნება

---

[1] БСЭ, т. 27, стр. 107.

პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ რეფორმიზმსა და ოპორტუნიზმს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალისტები და ლიბერალისტები აყენებენ არამეცნიერულ თეორიას წარმოების „დეკონცენტრაციის“ შესახებ. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ტექნიკის განვითარებასთან ერთად ხდება არა კონცენტრაცია და წვრილი წარმოების გამოდევნა, არამედ წვრილი წარმოების გაფართოება. მათი მტკიცებით, მე-19 საუკუნეს ახასიათებდა კონცენტრაცია, რასაც ხელს უწყობდა მძლავრი ორთქლის მამოძრავებელი. მე-20 საუკუნეში კვლავ წარმოიშვა და გაფართოვდა წვრილი სახელოსნოები წვრილ ელექტრომამოძრავებელთა მასობრივი წარმოების შედეგად. ეს, მათი აზრით, ამაგრებს წვრილ ბურჟუაზიას და არბილებს თანამედროვე წყობის კლასობრივ წინააღმდეგობებს. ყოველივე ეს სწორი არ არის, რადგან წვრილი მწარმოებლები დამოკიდებული არიან მსხვილი კაპიტალისტებისაგან, რომლებსაც მონოპოლიზებული აქვთ ელექტროენერგიის მომარაგება.

ე დ. ბ ე რ ნ შ ტ ე ი ნ ი (1850—1932) იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის უკიდურესად ოპორტუნისტული ფრთის წარმომადგენელი. მისმა ოპორტუნისტულმა ბრძოლამ იგი მიიყვანა რევიზიონიზმამდე. მან ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ დაიწყო თავდასხმა მარქსიზმზე. რევიზიონისტული პოლიტიკა. — წერს ვ. ი. ლენინი, — გამოიხატება მასში, რომ „დაივიწყო პროლეტარიატის ძირეული ინტერესები და მთელი კაპიტალისტური წყობილების, მთელი კაპიტალისტური ევოლუციის ძირითადი ნიშნები“[1] და საქმიანობა წარმართო ყოველდღიური პოლიტიკური წვრილმანების შესაბამისად.

საგადასახადო საკითხებში რევიზიონისტები დაუბრუნდნენ ფ. ლასალს და ის დაუპირისპირეს კ. მარქსს.

ფ. ლასალს თავისი დებულების დასაბუთებისა და სტატისტიკური ილუსტრაციისათვის მოაქვს შემდეგი ამონაწერი ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტის თომას ტუკის (Thomas Took) შრომიდან — „ფასების ისტორია 1793—1857 წწ“.: „როგორც თანამედროვე, ისე ისტორიული მთელი გამოცდილება დ ა დ ე ბ ი თ ა დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ს, რომ გაცვლის ყველა საგნიდან ხელფასი უკანასკნელი იზრდება, როდესაც ძვირდება პროდუქტები ან ფული უფასურდება“. ლასალს მოაქვს კიდევ სხვა ამონაწერები და ასკვნის: „...პურის ფასების მატება იწვევს იმავე შედეგს, რასაც სხვა საქონელ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსიზმი და რევიზიონიზმი, თხზ., ტ. 15, 1950, გვ. 30.

თა ფასების მატება, ეს ზარალი არ ანაზღაურდება ხელფასის გადიდებით“ [1].

ედ. ბერნშტეინი უერთდება ფ. ლასალს ამ საკითხში. იგი წერს: „არ არის სულ ერთი და იგივე ძვირდება თუ არა მუშებისათვის მნიშვნელოვანი სურსათ-სანოვაგე (Lebensmittel) ახალი გადასახადით ან რაიმე სხვა პოლიტიკური ღონისძიებით (მონოპოლიით და სხვ): იმიტომ, რომ სწორი არ არის ის აზრი, რომ სახალხო მეურნეობის „კანონის“ ძალით ხელფასი აუცილებლად მატულობს ამ გადასახადის სიდიდით“[2]. ამგვარად, ბერნშტეინი საერთოდ უარყოფს ყველა შემთხვევაში მუშათა მხრივ გადასახადების ვადაკისრებას სხვა კლასზე.

ბ) „ცენტრიზმის“ თეორია

კ. კაუცკი (1854—1938) იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ცენტრის“ ჯგუფის (შენიღბული ოპორტუნიზმის) ერთ-ერთი წევრი. იგი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის პირობებში სახელმწიფო იღებს გადასახადებს ზედმეტი ღირებულებიდან და ხელფასიდანაც და აგრეთვე ხელოსანთა და გლეხთა შემოსავლიდანაც[3]. კაუცკი აქვე კითხვას აყენებს, თუ საიდან უნდა აიღებოდეს გადასახადები პროლეტარული დემოკრატიის საგადასახადო პოლიტიკის თვალსაზრისით. მისი ლოზუნგია გადასახადების გადაკისრება მათზე, ვისაც მათი ზიდვა შეუძლია. ის უერთდება ფიზიოკრატების მოთხოვნას, რომ გადასახადები დაეკისროს მხოლოდ ზედმეტ ღირებულებას: მაგრამ ვინაიდან განვითარებული კაპიტალისტური წარმოების პირობებში მისი დაჭერა ისე ადვილი არ არის, როგორც ფიზიოკრატების წმინდა შემოსავლისას (prodvit net), ამიტომ უნდა შემოღებულ იქნეს პროგრესიული გადასახადი შემოსავალსა და ქონებაზე და აგრეთვე — მემკვიდრეობის გადასახადი.

კაპიტალისტური წარმოების პირობებში მაშინაც კი, როდესაც პროლეტარიატი პოლიტიკურად ძლიერია, — არ შეუძლია თვითნებურად დაბეგროს ზედმეტი ღირებულება, არ შეიძლება ზემოხსენებული გადასახადები გამოყენებულ იქნეს როგორც ზედმეტი ღირებულების კონფისკაცია. „...სანამ საზოგადოებას ამა თუ იმ გა-

---

[1] Ф. Лассаль, Соч., т. I, стр. 213, 215.

[2] Bernstein, Zur Geschichte und Theorie des Sozialismus. Gesammelte Abhandlungen, 1901, S. 88.

[3] К. Каутский, Аграрный вопрос, 1923, стр. 304—313.

რემოების გამო არ შეუძლია მთლიანად თავის ხელში აიღოს კაპიტალის ფუნქციები, ზედმეტი ღირებულება მნიშვნელოვან ეკონომიურ როლს თამაშობს. კაპიტალისტი მთელ ზედმეტ ღირებულებას ვერ დახარჯავს, ის „თავს იკავებს", ზედმეტი ღირებულების ნაწილს კაპიტალად აქცევს და ამგვარად, დაგროვებას ხელს უწყობს. „პროგრესის საბედნიეროდ კაპიტალის დაგროვებისადმი მისწრაფება ისეთი ძლიერია, რომ არავითარ უხეშ ხელყოფას არ შეუძლია მას ზღუდეები დაუდვას" [1]. ამგვარად, კაუცკი არ აყენებს ზედმეტი ღირებულების კონფისკაციის მოთხოვნას.

კ. კაუცკი კიდევ უფრო შორს მიდის მეორე შრომაში — „სოციალური რევოლუციის მეორე დღეს". აქ კაუცკი შეუძლებლად თვლის ზედმეტი ღირებულების გაძლიერებულ დაბეგვრას სოციალური რევოლუციის შემდეგაც. ის წერს, რომ „...რაც უფრო დიდია გადასახადი, მით უფრო მეტია ცდუნება გადამალოს გადასახადი. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, შეუძლებელი რომ გახდეს შემოსავალთა და ქონებათა ყოველგვარი გადამალვა, შეუძლებელი იქნებოდა შემოსავლისა და ქონების გადასახადების ნებისმიერ სიმაღლემდე აყვანა: იმ შემთხვევაში, თუ გადასახადები ძლიერად გადაკვეთდნენ შემოსავალსა და ქონებას, კაპიტალისტები უბრალოდ სახელმწიფოს მიატოვებდნენ და გადასახადები ისღა დარჩებოდათ, რომ მათი კვალისათვის თვალი გაეყოლებინათ. მაშინ სახელმწიფოს ექნებოდა შემოსავლისა და ქონების გადასახადები უშემოსავლოდ და უქონებოდ. ამგვარად, დღევანდელ პირობებში ამ გადასახადებით არ შეიძლება გარკვეული საზღვრების გადასვლა. თუნდაც საამისო პოლიტიკური შესაძლებლობა იყოს" [2].

კაუცკი, როგორც ვხედავთ, შეუძლებლად მიიჩნევს ზედმეტი ღირებულების გაძლიერებულ დაბეგვრას სოციალური რევოლუციის მეორე დღესაც.

ბ) ავსტრიული მარქსიზმის თეორია

ავსტრიული მარქსიზმის თეორიის ერთ-ერთი იდეოლოგი იყო ოტო ბაუერი (1882—1938); იგი აყალიბებდა სოციალიზაციის ოპორტუნისტულ თეორიას, რომლის თანახმად შესაძლებელია მშვიდობიანი გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში. მისი აზ-

---

[1] К. Каутский, Аграрный вопрос, 1923. стр. 309—310.

[2] K. Kautsky, Am Tage nach der sozialen Revolution, 1908. S. 12.

რით. სოციალიზაციის გატარება შესაძლებელია კაპიტალისტების გადასახადებით დაბეგვრის საშუალებით.

ოტო ბაუერი თავის ნაშრომში „გზა სოციალიზმისაკენ" წერს: ექსპროპრიაცია არ შეიძლება და არც უნდა მოხდეს კაპიტალისტთა და მემამულეთა საკუთრების კონფისკაციის უხეში (brutaler — მხეცური) ფორმით, ვინაიდან ამ ფორმით სხვა არა მოხდებარა, თუ არა მწარმოებლური ძალების სასტიკი განადგურება, რომელიც გააჩანაგებს თვით ხალხის მასებს, შეაჩერებს სახალხო შემოსავლის წყაროებს. ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია უნდა მოხდეს მოწესრიგებული, მოგვარებული ფორმით, ე. ი. გადასახადების საშუალებით. ის წერს, რომ გადასახადების საშუალებით შესაძლებელია მქონებელ კლასთა შემოსავლის ოთხი მეცხრედის წამოღება.

ვ. ი. ლენინი თავის შრომებში ააშკარავებს ოტო ბაუერის ავ ოპორტუნისტულ-რევიზიონისტულ ბუნებას.

ამავე მიმართულების მეორე წარმომადგენელი იყო კარლ რენერი (1870—1950), რომელიც 1919—20 წლებში რეიხსკანცლერი იყო, ხოლო 1945—50 წლებში—მთავრობის პრეზიდენტი. ის ასაბუთებდა, რომ ზედმეტი ღირებულების გაძლიერებული დაბეგვრა შეუძლებელს გახდიდა კაპიტალის დაგროვებას, ეს კი ზიანს მოუტანდა პროლეტარიატს. რენერი თავის ნაშრომში „მუშა ხალხი და გადასახადები" წერს: „მოცემული კაპიტალისტური ეკონომიკური წყობის ჩარჩოებში „ზედმეტი ღირებულება არ შეიძლება ძალიან მაღლა იქნეს დაბეგრილი ეკონომიკური კატასტროფების გარეშე ისე, რომ პროლეტარიატიც გზა და გზა შემცირებული ხელფასის და უმუშევრობის პირობებში არ ჩავარდეს.

მუშებისათვის საშიში უტოპია იქნებოდა მოუფიქრებლად გადასახადებით ღაებეგრათ მთელი ზედმეტი ღირებულება ისე, რომ არ შეხებოდნენ ძირითადად კაპიტალისტური საზოგადოების წყობილებას. სანამ საწარმოებს სახელმწიფოს ან საზოგადოებას არ გადავცემთ, მანამ გადასახადებს თავისი სასტიკად განსაზღვრული საზღვრები აქვს"[1].

მისი აზრით, გარკვეულ ვითარებაში შესაძლებელია არაპირდაპირ გადასახადებს მიეცეს უპირატესობა მაღალი პირდაპირი გადასახადების წინაშე მუშათა კლასის თვალსაზრისითაც კი.

ამგვარად გაგებული საგადასახადო პოლიტიკა, ერთი მხრივ, მოითხოვს შრომითი შემოსავლის დაცვას, მეორე მხრივ — კაპიტალის დაგროვებისათვის ხელის შეწყობას.

---

[1] В. И Л е н и н, Соч., т. 25, изд. 3-е, стр. 36—38.

ცნობილი რუსი რევიზიონისტი ბოგდანოვი (1873—1928) (ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მალინოვსკი) გადასახადებს განიხილავს როგორც კაპიტალის კოლექტიური დაზღვევის ელემენტებს. იგი ამბობს, რომ კაპიტალისტური ორგანიზაცია აგებულია „ფორმალურად დამოუკიდებელ საწარმოთა“ ანარქიულ თანამშრომლობაზე, რომელსაც აერთიანებს ბაზრის სტიქია. კაპიტალიზმს არ შეუძლია საკუთარი მეთოდებით უზრუნველყოს თავი საშიშროებათაგან, რომელთაც უმზადებს მას საბაზრო კონკურენცია ან გადაჭარბებული ამოცანები, რომლებიც ვერ თავსდება კერძო საწარმოს შემოსავლიანობის ფარგლებში; ვერ ახერხებს ეკონომიკური სისტემის სასურველ დაცვას ექსპლოატირებულთა შემოტევისაგან, ნაციონალური ბაზრების დაცვას სხვა სახელმწიფოთა შემოტევისაგან და სხვ. საერთოდ, კაპიტალიზმის ეს ანარქიული ორგანიზაცია ბადებს რისკის ელემენტებს. ესენია: საგარეო ძალადობით ბაზრის დაკარგვის შესაძლებლობა, გამწვავებულ კლასთა ბრძოლაში კაპიტალების განადგურების შესაძლებლობა, კონკურენციის თავგასულობასა მიმოქცევის სისტემის მოშლის საფრთხე, ხელსაყრელი კონიუნქტურის შექმნა და ბაზრების დაკარგვა ცნობათა გადაცემის ცუდი ორგანიზების, ინტელიგენტური მუშაკების არასაკმარისი მომზადებისა და სხვ. გამო. რისკის მსგავს ელემენტთა დასაპირისპირებლად იქმნება „დაზღვევის“ შესაბამისი ფორმები, რომლებიც ვლინდება კაპიტალისტური სახელმწიფოს სხვადასხვა ფუნქციებში. „ტერმინი „დაზღვევა“ აქ ჩვენ მიგვაჩნია შესაფერისად, — ამბობს ბოგდანოვი, — იმიტომ, რომ იგი რელიეფურად გამოხატავს მამოძრავებელ ძალებს, კლასობრივ მოტივებს, რომლებიც ქმნიან დაბეგვრის ორგანიზაციას და განსაზღვრავენ საგადასახადო სისტემის განვითარებას“[1].

ბოგდანოვის აზრით, კაპიტალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური არსი გამოიხატება კაპიტალის დაზღვევაში: აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოს ფინანსური ფუნქცია—ხარჯები და გადასახადები[2].

აქ ბოგდანოვი ერთგვარად უახლოვდება ემილ ჟირარდენის შეხედულებას, რომელსაც სახელმწიფოს ფინანსური სისტემა წარმოდგენილი აქვს როგორც დაზღვევის ორგანიზაცია.

---

[1] А. Богданов и И. Степанов, Курс политической экономии, т. II, вып. 4, 1919, стр. 70—71.

[2] იქვე, გვ. 72.

ბოგდანოვის აზრით, კაპიტალისტური სახელმწიფო გადასახადებს იღებს ზედმეტი ღირებულებიდან და არა სამუშაო ხელფასიდან. იგი წერს: „განყენებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ გადასახადების წყარო **წმინდა** კაპიტალისტურ სახელმწიფოში შესაძლებელია იყოს მხოლოდ ზედმეტი ღირებულება. მართლაც და, სამუშაო ხელფასი — ეს არის საერთო საზოგადოებრივი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც, როგორც ზევით იყო გარკვეული, იხარჯება მუშათა კლასის სასიცოცხლო ენერგიის აღდგენაზე, პროლეტარიატის არსებობის შესანარჩუნებლად და აღსაზრდელად"[1].

ბოგდანოვი ამბობს, რომ არაპირდაპირი გადასახადების არსებობა, სახელდობრ ის, რომ ეს გადასახადები ბეგრავენ მასობრივი მოხმარების საგნებს, ე. ი. უმთავრესად მუშების შემოსავალს ანუ ხელფასს აწევა, არ ეწინააღმდეგება იმ შეხედულებას, რომ გადასახადები ზედმეტი ღირებულებიდან აიღება. მისი აზრით, მუშები გადასახადებს გადააკისრებენ კაპიტალისტებს. „...არაპირდაპირი გადასახადების შემოღება იწვევს რეალური ხელფასის დაწევას", რასაც „აუცილებლად თან სდევს ფულის ნიშნებზე გადატანილი სამუშაო ხელფასის აწევა და ეს ხდება კაპიტალისტების ზედმეტი ღირებულების შემცირების ანგარიშზე"[2]. ამ საკითხში ბოგდანოვი რიკარდოს შეხედულებას იზიარებს. ამგვარი გაგებით, პროლეტარიატი კაპიტალიზმის პირობებში გადასახადებით არ იჩაგრება, მის ექსპლოატაციას გადასახადები აღარაფერს არ უმატებს. იმ ფაქტს, რომ კაპიტალიზმის პირობებში პროლეტარიატი იბრძვის არაპირდაპირი გადასახადების მოსასპობად და პირდაპირი გადასახადების შემოღებისათვის, ბოგდანოვი ხსნის იმით, რომ ხელფასიდან გადახდილი გადასახადების კაპიტალისტებზე გადაკისრებამდე, სხვანაირად „წინანდელი პოზიციების დაკავებამდე გადის ხანდახან კარგა დიდი დრო"; ეს ხანგრძლივობა არის ამის მიზეზი, ისე კი არაპირდაპირი გადასახადები საბოლოოდ ზედმეტ ღირებულებას აწევება. ამნაირად, ბოგდანოვის აზრით: გადასახადები პროლეტარიატისათვის საბოლოო ანგარიშით დიდად შემაწუხებელი და შემავიწროებელი არ არის.

ბოგდანოვის ამ შეხედულებას იზიარებდა ვ. ბ. ვოლფსონი. ის კითხვაზე—საზოგადოებრივი შემოსავლის რომელი ნაწილიდან აიღება გადასახადები, ხელფასიდან თუ ზედმეტი ღირებულებიდან? — უპასუხებს: „თუმცა გადასახადებს სხვადასხვა ფორმით იხდის მო-

[1] ა. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი, მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა, 1922, გვ. 257.

[2] იქვე, გვ. 259.

სახლეობის მთელი მასა, მაშასადამე, უმთავრეესად მშრომელნი. მათ წყაროს მაინც ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს, ვინაიდან ხელფასი ყოველთვის იმყოფება არსებობის აუცილებელ საშუალებათა დონეზე და მისმა ყოველგვარმა შემოკლებამ უნდა გამოიწვიოს აჯიხოცვა. ან, უკეთეს შემთხვევაში, დისკვალიფიკაცია (შრომის თვისებების გაცუდება) სამუშაო ძალისა. კაპიტალისტურ სინამდვილეში საქმე ასე ხდება: არაპირდაპირი გადასახადების დროს (ე. ი. გადასახადებისა, რომლებიც ედება მიმოქცევაში შემსვლელ საქონელს), რომლებიც შეადგენენ ყველა ქვეყანაში სახელმწიფოებრივ შემოსავალთა უმთავრეს წყაროს, ხდება საქონელთა გაძვირება და რეალური ხელფასის შემცირება, რაც იწვევს ნორმალური ხელფასის ზრდას, ე. ი. ზედმეტი ღირებულების წილის შემცირებას; იმავე შედეგამდე მივყავართ საბოლოო რიგში პირდაპირ გადასახადებსაც (ე. ი. გადასახადებს მოძრავ ქონებაზე, კაპიტალზე, შემოსავალზე, სულადობრივ გადასახადებს და ა. შ.)[1]. როგორც ვხედავთ, ვოლფსონი უბრალოდ იმეორებს ბოგდანოვის შეხედულებას.

ბოგდანოვისა და ვოლფსონის ეს შეხედულება სწორი არ არის. ისინი მხედველობის გერეშე ტოვებენ იმ გარემოებას, რომ მუშებს გადასახადის გადაკისრება მრავალ გარემოებათა გამო ასე ადვილად არ შეუძლიათ, რომ მათი ხელფასი ცალკეულ ქვეყნებში არსებობის საშუალებათა მინიმუმის ქვეშ დგას. მუშების მიერ გადასახადის გადაკისრება ნიშნავს ხელფასის გადიდებას, რასაც ხელს უშლის მუშათა იმ უზარმაზარი სარეზერვო არმიის არსებობა, რომელსაც განუწყვეტლივ ავსებს ტექნიკის განვითარებით მუშებზე შემცირებული მოთხოვნა და სოფლიდან მოზვავებული უამრავი სამუშაო ძალის მიწოდება. აქ შესაძლებელია გავიხსენოთ აგრეთვე ის, რაც ნათქვამია მეოთხე თავში (პარაგრაფი: ხელფასი და გადასახადი).

ამგვარად, გადასახადები კაპიტალიზმის პირობებში მშრომელთა დამატებითი ექსპლოატაციის საშუალებას წარმოადგენს, რაც ბოგდანოვმა და ვოლფსონმა მხედველობის გარეშე დატოვეს.

ე) მეწარმე სახელმწიფოს, გადამხდელთა კავშირების, სინდიკატებისა და მოგებაში სახელმწიფოს მონაწილეობის თეორიები

გოლდშეიდი, კარო, რატენაუ, შტოლპერი, გეორგ ბერნარდი, ნეიმანი, პიხოტკა. წვრილბურ-

[1] М. Б. Вольфсон, Элементарный курс политической экономии, 1924. стр. 94.

ეუაზიული და განუხორციელებელია გოლდშეიდის მოძღვრება „Unternehmerstaat"-ის, ე. ი. მეწარმე სახელმწიფოს შესახებ; გოლდშეიდის მიხედვით შესაძლებელია კაპიტალიზმის პირობებშივე გადაჭრას სოციალური საკითხი ფინანსური საკითხების მოგვარებით, მოთხოვნილებათა დაფარვის ახალი სისტემის შემუშავებით. ამისათვის საჭიროა „Steuerstaat"-ი გადასახადური სახელმწიფო გადავაქციოთ Unternehmerstaat-დ — მეწარმე სახელმწიფოდ[1].

ფინანსურ-მეურნეობრივი სისტემის გარდაქმნის ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენდა ო. კაროს წინადადება, რომელიც მოითხოვდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული იძულებითი სინდიკატების შემოღებას, ანუ წარმოების მთავარი დარგების იძულებით სინდიკირებას[2].

მსგავს პროექტს XX ს. 20-იანი წლებისათვის აყენებდა ვერნერ გერლოფი. ეს პროექტი გულისხმობდა მნიშვნელოვან ცალკეულ წარმოებრივ ჯგუფთა გაერთიანებებს (Zusammenfassung) გადასახადურ საზოგადოებებად, რომელთაც მათი პროდუქციის მნიშვნელობისა და შინაგანი და საგარეო ბაზრის (In- und Auslandabsatz) პირობების შესაბამისად უნდა გადაეცეს გადასახადთა განსაზღვრული კონტინგენტი წევრებს შორის გასანაწილებლად. მეურნეობრივ კავშირებს შორის გადასახადთა განაწილების გზები ჯერ კიდევ გამოცდილი არ იყო[3]. გერლოფი მის აუცილებლობას ასაბუთებდა სოციალიზაციის გატარების საჭიროებით.

XX ს. 20-იან წლებში გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში გადასახადების გადიდებამ, განაკვეთების გაზრდამ, პროგრესიის გაძლიერებამ გამოიწვია საგადასახადო გაფიცვები (Steuerstreik) და გადასახადებისაგან გაქცევა. ზოგიერთმა ფინანსისტმა წამოაყენა პროექტი წარმოების მოგებაში სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობის შესახებ. ასე მაგალითად, პისტორიუსმა (ვიტენბერგის ყოფილმა

---

[1] Rudolf Goldsheid. Staatssozialismus und Staatskapitalismus, 1917; Wesen und Aufgabe der Finanzwissenschaft von Standpunkte der Soziologie (Handbuch der Finanzwissenschaft, Erster Band, Tübingen, 1926, S. 146—184).

[2] O. Caro. Die Frage der deutsch-österreichisch-ungarischen Zollunion im Zusammenhang mit der Einführung von Monopolen bzw. staatlich kontrollierten Zwangssyndikaten, 3. T., 1916, II, 5.

[3] W. Gerloff, Steuerwirtschaft und Sozialismus, 1922, S. 48.

ფინანსთა მინისტრმა) დააყენა საკითხი „გადასახადი ანუ მოგებაში მონაწილეობა“ [1]. რატენაუმ და ბერნჰარდმა წამოაყენეს საგადასახადო სინდიკატების შექმნის საკითხი[2]. იგი ავსტრიაში დაამუშავა შტოლპერმა[3]. მისი შეხედულებით სახელმწიფო მეურნეობის დეფიციტის დაფარვა უნდა ხდებოდეს იძულებითი კავშირების მიერ გატარებული გაწერის გზით.

ასეთი აზრი გამოთქვა ნეიმანმა ჯერ კიდევ 1915 წელს. იგი წერდა: „რაც უფრო კარგავს მნიშვნელობას ცალკეული სუბიექტი კავშირებთან შედარებით, მით უფრო ნაკლებად იძულებითი ხდება ახლანდელ საგადასახადო სისტემათა ლოგიკა. მრეწველობის კარტელებს (Erwerbskartelle) წარმატებით შეუძლიათ თავიანთ თავზე აიღონ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა, ვიდრე ცალკეულ სუბიექტებს — მათ აქციონერებს, დირექტორებს, მოხელეებს და მუშებს. კავშირების დროშის ქვეშ სახალხო მეურნეობის ანგარიშსწორების მსხვილი ადგილები გახდება სახელმწიფოსათვის უკანასკნელთა შენატანების გადახდის ადგილებად. ამ საზოგადოებრივ ადგილებში თითოეული ცალკეული პირის გრძნობა უფრო ნაკლებად იქნება შეურაცხყოფილი, ვიდრე თითოეულის მიერ გადასახადის განცალკევებულად გადახდისას“ [4].

გეორგ ბერნარდმა წამოაყენა წინადადება — ჩამოერთვას სახელმწიფოს გადასახადები[5].

სხვადასხვა პროექტებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე წინადადება მეურნეობის მოგებაში სახელმწიფოს მონაწილეობისა საგადასახადო აქციების საშუალებით. მათი აზრით, ეს უფრო ადვილად განსახორციელებელია, ვიდრე გადასახადების გაწერა კავშირების საშუალებით[6].

თავისთავად ცხადია, რომ კაპიტალიზმის პირობებში სოციალური საკითხის გადაჭრა—ექსპლოატაციის მოსპობა, შეუძლებელია კაპიტალისტებისაგან შემდგარ გადამხდელთა სინდიკატების, გადასა-

---

[1] Pistorius, Deutsche Gemeinwirtschaft, Heft 7.

[2] G. Bernhard, Probleme der Reichsfinanzreform, 1919.

[3] Stolper, Das Finanzsystem des sozialen Staates, 1920, Nr. 21, S. 277. ff.

[4] Neumann, Mitteleuropa, 1915. ეს მიიღო რატენაუმ. იხ. მისი შრომა, Rathenau, Die neue Wirtschaft, S. 277, Anmerkung.

[5] Georg Bernhard, Die Steuerwirtschaft, 1921, S. 18.

[6] E. Picchottka. Gleichberechtigung von Kapital und Arbeit-Arbeitsaktie und Steueraktie als Grundlagen der sozialdemokratischen Wirtschaft, 1921.

ხადთა სოციალიზაციის ან მოგებაში სახელმწიფოს მონაწილეობის გზით. რაც კანონმდებლობით იქნება გატარებული.

3) ჯონ მეინარდ კეინსის თეორია ოპორტუნიზმის სამსახურში

აღსანიშნავია, რომ წვრილბურჟუაზიული იდეებით სარგებლობდნენ ისეთი ეკონომისტები, როგორიც არიან კეინსი, ჩეიზი და სხვ.

როგორც ცნობილია, კეინსი თავის ანალიზს საფუძვლად უდებს „ეფექტურ მოთხოვნას". ამიტომ მის მიერ გადასახადებზე გამოთქმული მოსაზრებები დაკავშირებულია კეინსისათვის ამ ძირითად პრობლემასთან. ამასთან ერთად მას გადასახადები მიაჩნია სოციალური თანასწორობისათვის მიღწევის საშუალებადაც. ის წერს, რომ შემოსავლის, დამატებითი პროგრესიული და მემკვიდრეობის გადასახადის საშუალებით ინგლისში საგრძნობლად შემცირდა შემოსავალთა უთანასწორობა.

კეინსი წერს, რომ სახელმწიფომ „უნდა განახორციელოს თავისი ხელმძღვანელი გავლენა მოხმარებისადმი მიდრეკილებაზე გადასახადთა შესაბამისი სისტემით, ნაწილობრივ — სარგებლის ნორმის ფიქსაციით"[1].

1944 წელს ლუდსახდელი ფირმის „ბაბსტის" წინადადებით დაიწერა რამდენიმე ათასი საპრემიო შრომა ომის შემდგომი დასაქმების საკითხის გადასაჭრელად. ერთ-ერთში აღნიშნული იყო:

1. კერძო ფირმებისათვის დახმარება, რაც უნდა გამოიხატოს ამა თუ იმ გადასახადების შემცირებასა და მოხსნაში და გადასახადის დაწესებაში უქმ კაპიტალზე. გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს გარანტია, სესხი, სუბსიდია და ტექნიკური დახმარება.

2. სამომხმარებლო მოთხოვნის გადიდება ზოგიერთი გადასახადების შემცირებით, გადასახადთა განვადებით, უსაფასურო სწავლებით და სამედიცინო დახმარებით[2].

ეს პროექტი ემყარება კეინსის თეორიას მოთხოვნის ხელოვნურად შექმნის შესახებ, რისთვისაც გამოყენებულია გადასახადური ბერკეტებიც.

კეინსის თეორიამ ამა თუ იმ ზომით გავლენა მოახდინა ლეიბორისტებზეც.

---

[1] Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, 1949 стр. 364.

[2] М. Н. Смит, Очерки истории буржуазной политической экономии, 1961, стр. 260.

ლეიბორისტი მ ე ი ხ ი უ კეინსის მოძღვრებაზე დამყარებით საშემხმარებლო დანახარჯთა მიმართ მოითხოვს ცვლილებებს გადასახადებში. ის მოითხოვს შესყიდვაზე დაწერილი გადასახადების შემცირებას. მისი აზრით, კერძო სექტორი რომ სოციალიზებული იყოს, მაშინ ასეთი პრობლემები მოიხსნებოდა, მაგრამ რამდენადაც ის არსებობს, მთავრობამ უნდა დაამუშაოს გადასახადებისა და სუბსიდიების სისტემა კერძო კაპიტალისტურ დანახარჯთა წასახალისებლად [1].

სოციალური საკითხის არსი იმალება ზედმეტ ღირებულებაში, რომელიც წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკურ თვისებას. ამიტომ უტოპიურია სოციალური საკითხის გადაჭრის ცდა თვით კაპიტალისტური წარმოების პირობებში, სხვანაირად, კაპიტალისტური წარმოების წარმოდგენა ზედმეტი ღირებულების გარეშე.

ასევე ვერ მოსპობს ექსპლოატაციას ერთიანი გადასახადის შემოღება და მისი დაკისრება კაპიტალისტებზე, ვინაიდან სახელმწიფო შემოსავლის მთელი ჯამი მშვიდობიან პირობებში მთელი ნაციონალური შემოსავლის მხოლოდ გარკვეული ნაწილია.

მეცნიერული კომუნიზმის კლასიკოსების შეხედულებით, უაზრობაა ცდა ბურჟუაზიის მოსპობისა გადასახადების საშუალებით, რადგან სწორედ გადასახადებით ამტკიცებს ბურჟუაზია თავის გაბატონებულ მდგომარეობას.

იმის მტკიცება, რომ საგადასახადო რეფორმებით სოციალური საკითხი არ გადაიჭრება, არ ნიშნავს თითქოს საგადასახადო რეფორმებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს პროლეტარიატისათვის და თითქოს ამ უკანასკნელისათვის ერთი და იგივე იყოს რანაირი გადასახადები არსებობს.

მეცნიერული კომუნიზმის კლასიკოსები იმიტომ ამტკიცებდნენ, რომ გადასახადებს მუშებისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ბურჟუაზიისათვის და კიდევ უფრო მეტი — წვრილბურჟუაზიისათვის, რომ, მარქსის თეორიის თანახმად, ექსპლოატაცია კაპიტალისტურ საზოგადოებაში მაშინაც არსებობს, როდესაც ადგილი აქვს სრულ ეკვივალენტურ გაცვლას, როდესაც სამუშაო ძალა მისი სრული ღირებულების მიხედვით იყიდება, ე. ი. როდესაც იგი განთავისუფლებულია ექსპლოატაციის ყოველგვარი დამატებითი ფორმებისაგან, რადგან სამუშაო ძალის ღირებულება არის აუცილებელი ღირებულება, ე. ი. მუშის მიერ შექმნილი ღირებულების ნა-

---

[1] Mayhew, Socialist Economic Planning, 1946. ციტირებულია მ. სმიტის ფრაზიდან „Очерки истории...“ გვ. 276.

წილი. რასაკვირველია, მუშის ექსპლოატაცია კიდევ უფრო მეტად იზრდება, როდესაც სამუშაო ძალის ფასი, ე. ი. ხელფასი უფრო დაბალია, ვიდრე სამუშაო ძალის ღირებულება, როდესაც ხელფასი შემცირებულია გადასახადებით და სხვ.

მარქსი უტოპიურს უწოდებს იმ თეორიებს, რომელთა მიხედვით ექსპლოატაციის დამატებითი ფორმების მოსპობით მოისპობა ექსპლოატაცია საერთოდ; ამიტომ ასაბუთებენ მეცნიერული კომუნიზმის კლასიკოსები, რომ გადასახადებით წვრილი ბურჟუაზია უფროა დაინტერესებული, ვიდრე პროლეტარიატი და ამიტომ ითხოვენ პროგრესიულ საშემოსავლო გადასახადებს.

2. გადასახადებით აღწარმოების რეგულირების თეორია

ეკონომიკის რეგულირების ბურჟუაზიული თეორიები მოითხოვენ ნაციონალური შემოსავლის გასახელმწიფოებრივებული ნაწილის გამოყენებას კაპიტალისტური აღწარმოების პროცესის რეგულირებისათვის. ისინი ძირითადად ემყარებიან ჯონ მეინარდ კეინსისა და კეინსელთა სხვადასხვა სახეობების თეორიებს, რომელშიაც დიდი ადგილი უჭირავს გადასახადების პრობლემას. მათი აზრით, გადასახადებით შესაძლებელია კაპიტალისტური ეკონომიკის რეგულირება. ამ გადასახადებით ეკონომიკის რეგულირების თეორიებს ოთხი ათეული წლის ისტორია აქვთ. ამ ხნის განმავლობაში მათ მრავალი ცვლილება განიცადეს და ჩამოყალიბდნენ იმ სახით, როგორითაც ისინი დღეს წარმოგვიდგება. ეს თეორიები გადმოცემული აქვთ თავიანთ შრომებში ე. ჰანსენსა და პოლ სამუელსონს[1].

ამ შეხედულებას იზიარებს დასავლეთ გერმანიაში გეინც ხალერი[2], ფ. ნეიმარკი[3], გიუნტერ შმოლდერსი[4] და სხვ.

აშშ-ში ამ თეორიების წარმომადგენლები არიან რობერტ პატონი, ჰანსენი, სამუელსონი და სხვ. როგორ აქვთ წარმოდგენილი გადასახადებით ეკონომიკის რეგულირება ამერიკელ ფინანსისტებს? აშშ საგადასახადო პოლიტიკა გამოყენებულია ეკონომიკის სტაბი-

---

[1] Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, 1959, стр. 273—280, 315—316, 641, 659—673; Paul Samuelson, Employment and Public Policy, 1948, Part I, chapter VI.

[2] G. Challer, Finanzpolitik, 1957.

[3] F. Neumark, Wirtschafts- und Finanzprobleme des Interventionsstaates, Tübingen, 1961.

[4] J. Schmolders, Organische Steuerreform, Frankfurt am Main, 1953.

ლიზაციისათვის. ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის აუცილებელია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარება. ამისათვის გამოიყენება ნაციონალური შემოსავლის გასახელმწიფოებრივებული ნაწილი. იგი უნდა მოთავსდეს გრძელვადიან დაბანდებებში ან დაიხარჯოს არამწარმოებლურად.

ე. ჰანსენს თავის შრომაში მოტანილი აქვს სპეციალისტთა სამჯგუფის წინადადებები: 1. წინადადებები, წამოყენებული ეკონომიკური განვითარების კომიტეტის მიერ[1], 2. პროგრამა შედგენილი 16 ეკონომისტის მიერ ნაციონალურ გეგმურ ასოციაციაში[2], 3. გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ დანიშნულ ექსპერტთა ჯგუფის მოხსენება[3]. ამ მოხსენებაში წამოყენებულია სტაბილიზაციის დაცვისათვის დანიშნული კომპენსირების ღონისძიებანი. განხილულია სამგვარი პროგრამა: 1. მოქნილობის ჩასმული მექანიზმი (built in flexibility), 2. ავტომატურად მოქმედი მაკონპენსირებელი კონტრღონისძიებანი, 3. კომპენსირების მართვადი პროგრამები.

მოქნილობის ჩასმული მექანიზმები ჰანსენის აზრით, „წარმოადგენენ ავტომატურ სისტემას, რომელსაც შეუძლია რყევადობის ჩახშობა, მაგრამ მას არ შეუძლია დაეხმაროს დეპრესიული დონიდან ნამდვილ აღდგენაზე გადასვლაში“. ეს იმგვარად აგებული სისტემაა, რომელიც შეგნებული მართვის გარეშე ავტომატურ რეაგირებას ახდენს ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებაზე: ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის მკვეთრი პროგრესიული სკალა. განაკვეთთა ფიქსირებული სისტემის ფარგლებში საგადასახადო შემოსულობა სწრაფად გაიზრდება შემოსავლის ზრდასთან და მკვეთრად შემცირდება შემოსავლის შემცირებასთან ერთად. ამნაირად, ბუმს ექნება ტენდენცია შექმნას ბიუჯეტური გარდამეტი, დეპრესიას — ბიუჯეტური დეფიციტი.

უმუშევრობიდან დაზღვევის სისტემაც ისევე ავტომატურად მოქმედებს, როგორც მაკომპენსირებელი ღონისძიება. აყვავების დროს უმუშევრობა მცირეა, გასაცემი დახმარების საერთო თანხაც მცირდება. იმ დროს როდესაც სოციალური დაზღვევისათვის ხელფასზე შეწერილ გადასახადთა შემოსულობა იზრდება. დეპრესიის

---

[1] Taxes and the Budget, November, 1947; Monetary and Fiscal Policy for Creater Economic Stability, December, 1948.

[2] Federal Expenditure the Revenue Policies, September 23. 1949.

[3] National and International Measures for Full Employment, December, 1949.

დროს, როდესაც უმუშევრობა დიდია, დახმარების თანხაც იზრდება, ხოლო სოციალური უზრუნველყოფისათვის შეწერილი გადასახადების შემოსულობა მცირდება. აყვავების პერიოდში სოციალური უზრუნველყოფის გადასახადები აღემატება გასაცემ დახმარების თანხას, რაც შემაკავებლად მოქმედებს ბუმზე. დეპრესიის დროს გასაცემი დახმარების თანხა აღემატება სოციალური უზრუნველყოფის დაბეგვრიდან მიღებულ შემოსავალს; ესეც შემარბილებლად მოქმედებს დაცემის პერიოდში.

ამგვარადვე ფერმერთა ფასების დაცვა არბილებს ფერმერთა შემოსავლების დაცემას იმ დროს, როდესაც სოფლის მეურნეობის ფასები კლებულობს. ფასების დაცვის პროგრამის ჩვეულებრივი ტიპიდან გადახვევაა წინადადება, როდესაც ფერმერები საბაზრო ფასად ყიდიან, მაგრამ საბაზრო ფასსა და იმ ფასს შორის დაცილების შემთხვევაში, რომლის დაცვაა გათვალისწინებული, მთავრობა შესაბამის კომპენსაციას აძლევს[1]. ასეთია „მოქნილობის ჩასმული მექანიზმების მაგალითები". ავტომატურად მოქმედი მაკომპენსირებელი კონტროლონისძიებანი. „ჩასმულ სტაბილიზატორებს" შეუძლიათ ციკლური რყევადობის ამპლიტუდა შეამცირონ, შეარბილონ დაცემა ან რაიმე ზომით შეაკავონ ბუმი, მაგრამ არ შეუძლიათ შემოსავლისა და დასაქმების ნამდვილი აღმავლობა გამოიწვიონ. აქ საჭიროა გადამწყვეტი კონტროლონისძიებანი, რომლებიც ავტომატურად ხორციელდება. ციკლის საწინააღმდეგო საბრძოლველად გამოიყენება მსგავსი ავტომატური სქემა: ერთი მხრივ — გადასახადის განაკვეთების ვარირება, მეორე მხრივ — მთავრობის ხარჯებისა. ეს ვარირება ავტომატურად შედის მოქმედებაში, როდესაც სპეციალურად გამოყოფილი ინდექსები აიწევენ ან დაიწევენ ზუსტად განსაზღვრულ დონემდე. როდესაც უმუშევრობის ინდექსი ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებზე ზევით აიწევს ან ქვევით დაიწევს. თავის მოქმედებას გამოამჟღავნებენ გადასახადის განაკვეთებისა და ხარჯების ზუსტად დაწესებული ცვლილებები.

მესამე ტიპის ღონისძიება არის კომპენსირების მმართველი პროგრამა. აღმასრულებელი ხელისუფლება წინასწარ მოფიქრებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე აირჩევს მოქმედებაში შესვლის დროს და ანტიციკლური პროგრამის შესრულების ხერხებს. კონგრესი წინასწარ დანიშნავს მოქმედების დიაპაზონს; მისი განხორციელების პასუხისმგებლობა დაეკისრება აღმასრულებელ ხელისუფლებას ან სპეციალურად დანიშნულ მმართველს.

[1] T. W. Schultz, Agriculture in an Ustable Economy, 194', pp. 230—235.

ჰანსენი იმოწმებს ფრანგ ეკონომისტ ალბერტ აფტალიონს და მოაქვს მისი ღუმელის მაგალითი.

ბურჟუაზიული თეორეტიკოსები, როდესაც ლაპარაკობენ გადასახადებით რეგულირებაზე, მხედველობის გარეშე ტოვებენ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობას, რომლის გამო გადასახადების გადიდებით ან შემცირებით არ გაუქმდება კაპიტალიზმის ობიექტური კანონები. არ ასხვავებენ აგრეთვე კაპიტალისტებზე და მშრომელებზე შეწერილ გადასახადებს. რომლებიც სულ სხვადასხვა ზეგავლენას ახდენენ კაპიტალისტური აღწარმოების პროცესებზე. რა სახითაც არ უნდა დახარჯო გადასახადები, რომლებსაც მშრომელებს ახდევინებენ, გადამხდელუნარიან მოხმარებას მაინც ვერ გაზრდი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსისტები მოიაზოვდნენ გადასახადებით რეგულირებას იმ აზრით, რომ გადასახადები უნდა შეუმცირდეს მეწარმეებს კონიუნქტურის გამოსაცოცხლებლად. ისინი ამბობდნენ: მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად აუცილებელია კონიუნქტურის გამოცოცხლება. ამისათვის საჭიროა კაპიტალდაბანდების გადიდება. ეს მოსახერხებელი იქნება გადასახადების შემცირებით.

მეორე მოსაზრება გამოდიოდა იქიდან, რომ გერმანიას ესაჭიროება საგარეო ბაზრები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ სრული დასაქმება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. გერმანიის მრეწველობაში გაწყობილობა მოძველებულია. ამიტომ მისი საქონელი არ არის კონკურენტუნარიანი. საჭიროა ძირითადი კაპიტალის განახლება, რისთვისაც საჭიროა დიდი კაპიტალდაბანდებები. ამისათვის კი აუცილებელია გადასახადების შემცირება.

3. გადასახადების ანტიკრიზისული თეორია

გადასახადებით აღწარმოების რეგულირების თეორიიდან გამომდინარეობს გადასახადების ანტიკრიზისული თეორია, რომელიც ასაბუთებს, რომ თითქოს შესაძლებელია კაპიტალიზმმა თავი დააღწიოს კრიზისებსა და დეპრესიას გადასახადებით. ამ თეორიის მამამთავარია ჯ. მ. კეინსი, რომელმაც პირველად განავითარა გადასახადების ანტიკრიზისული თეორია თავის შრომაში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის საერთო თეორია"[1]. ამ თეორიის მიმდევრები

---

1 Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, 1949, стр. 364.

(ჰანსენი და სხვ.) გადასახადს განსაზღვრავენ როგორც აღწარმოების პროცესის მარეგულირებელ საშუალებას. მათი აზრით, ბურჟუაზიული სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკით ახორციელებს მეურნეობრივ ფუნქციებს. მათი მოთხოვნით, მიღწეულ უნდა იქნეს სრული დასაქმება, ეკონომიკური სტაბილურობა. ისინი ფიქრობენ, რომ შესაძლებელია გადასახადებით თავიდან აცილებულ იქნეს კრიზისი. ამ თეორიას, გარდა კეინსისა და ჰანსენისა, იზიარებენ ჰარისი, გროვსი, ხ. მილსონი, დ. მარჩი და კოვესტი პოული. გადასახადების ანტიკრიზისულმა როლმა, მათი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს ინდივიდუალურ ინიციატივას. ჰანსენის აზრით, გადასახადები მოქმედი ფაქტორია კრიზისების თავიდან ასაცილებლად. ფინანსური პოლიტიკა დასაქმების კონტროლის იარაღია[1] „აშშ ეკონომიკური გადვითარების კომიტეტი" მოითხოვდა კორპორაციებზე გადასახადების შემცირებას საქმიანი აქტიურობის დონის ასამაღლებლად, რაც საზოგადოებას თავიდან ააცილებდა კრიზისებს. ამას ბანს აძლევდნენ ფინანსისტები. ეს შეხედულება, რა თქმა უნდა, მცდარია, გადასახადებს არ შეუძლია თავიდან ააცილოს კაპიტალისტებს კრიზისები. ეს უკანასკნელი კაპიტალიზმისათვის იმანენტურია, გადასახადები კი — არაიმანენტური, გარეგნული. მოცემული თეორია მოემსახურება მონოპოლიის ინტერესებს. ის თვალს უხვევს მშრომელებს, საზოგადოებრივი მოუწესრიგებლობისა და უმუშევრობის პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს გაბატონებულ კლასსა და მის სახელმწიფოს.

4. სახელმწიფოს მომსახურების საფასურის თეორია

ამ თეორიის თანამედროვე წარმომადგენლად გვევლინება ჰანსენი. რომელსაც თავის შრომაში „ფისკალური პოლიტიკა და სამრეწველო ციკლები" განმარტებული აქვს გადასახადი როგორც სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურების იძულებითი ფასი. მისი აზრით, ამ კატეგორიის მომსახურებათა რიცხვს ეკუთვნის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მართლმსაჯულების ორგანოების მომსახურებანი, სოციალურ-კულტურულ ორგანიზაციათა, კავშირგაბმულობის, დაზღვევის ორგანოებისა და სხვ. მომსახურებანი. მოცემულ საკითხში ჰანსენის შეხედულებებს იმეორებენ ამერიკელი ფინანსისტები ლუტცი[2] და სხვ. ლუტცის აზრით, გადასახადის გადახ-

---

[1] A. Hansen. Fiscal Policy and Rusinoss Cycles, 1941, p. 447.
[2] H. G. Lutz, Public Finance, 1947.

და საზოგადოებრივი მომსახურების აუცილებელი ფასია. ბლაფის მტკიცებით გადასახადი მთელი სახელმწიფო მომსახურების ფასია.

გერმანელი ფინანსისტებიც გადასახადს განიხილავენ როგორც სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურს. ამასთანავე ამტკიცებენ, თითქოს გადასახადებს ჰქონდეს უკანდაბრუნებითი ხასიათი.

ეს შეხედულება არც ახალია და არც სწორი. იგი მრავალჯერ იყო წამოყენებული ფინანსურ ლიტერატურაში. ამ აზრს ავითარებდა ედვინ სელიგმანი. ასეთსავე შეხედულებას გამოთქვამდა, მაგალითად, ჯერ კიდევ ჰოკი [1].

ვულგარული ეკონომისტების — ჰოკის და სხვ. და თანამედროკე ზევულგარიზატორების — ჰანსენისა და მისი მიმდევრების ეს შეხედულება სწორი არ არის. კაპიტალისტური სახელმწიფო მშრომელ კლასს არავითარ მომსახურებას არ უწევს და რასაც უწევს, ისიც მშრომელთა წინააღმდეგაა მიმართული. ეიდელნანტი, კირიუხინი და სხვ. მომსახურების თეორიის შემქმნელებად ასახელებენ ჰანსენსა და ლუტცს იმ დროს, როდესაც ზევულგარიზატორებამდე ამ შეხედულებას ვულგარიზატორები ავითარებდნენ. ზევულგარიზატორები უფრო უხეშად და პირდაპირ გამოდიან კაპიტალის ინტერესების დასაცავად.

5. გადასახადების ინტეგრაციის თეორია

გადასახადების ინტეგრაციის თეორიის წარმომადგენლები (მაგალითად გროვსი და სხვ.) მოითხოვდნენ კორპორაციის შემოსავლის გადასახადის ინტეგრირებას მოსახლეობის დაბეგვრასთან. გადასახადთა ეს გაერთიანება, გასრულადება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შემოსავლის გადასახადის განაკვეთები კორპორაციისათვის უნდა დაწესდეს დაბალი.

6. გადასახადების ანტიინფლაციური თეორია

გადასახადების ანტიინფლაციური როლი ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ წარმოდგენილია იმგვარად, რომ გადასახადები მძიმედ არ უნდა აწვეს კაპიტალისტებს, რომელთა დაგროვება აფართოებს წარმოებას. გადასახადები უნდა დააწვეს სამომხმარებლო შემოსავალს, რომელიც აფართოებს მოთხოვნას და ამით ზრდის ფასებს.

პოლ სამუელსონის აზრით, გადასახადები ზრდის მოსახლეობის

---

[1] Hock, Die öffentlichen Abgaben und Schulden. 1862, S. 4—10.

რეალურ შემოსავალს, რადგან შემოსავლის შემცირება მიმართულია ინფლაციის წინააღმდეგ.

ჰანსენის აზრით, ინფლაციის თავიდან ასაცილებლად შემოღებულ უნდა იქნეს მოხმარების საგნების მაღალი განაკვეთებით ღებეგვრა. ამასვე იმეორებს ლაფი, რომლის მიხედვით ინფლაცია შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ მაღალი გადასახადებით.

ჰარისის აზრით, მაღალ გადასახადებში არის ანტიინფლაციური ძალა. მაღალი გადასახადები ამცირებენ მოსახლეობის მსყიდველობით უნარს. ამით კი ანელებენ ინფლაციას[1].

ჰარტი ამტკიცებს, რომ მაღალი გადასახადები ეფექტური იარაღია ინფლაციის წინააღმდეგ. „მოსახლეობის შემოსავლის გადასახადი უძლიერესი იარაღია ანტიინფლაციურ არსენალში"[2]. მათი აზრით, ზემოგებაზე შეწერილი გადასახადები იწვევენ ინფლაციას. ჩანდლერი[3], მასგრეევი[4] და სხვ. მოითხოვენ კაპიტალისტთა გათავისუფლებას გადასახადებისაგან, ყოველ შემთხვევაში — მათ დაბეგვრას შეღავათიანად. ისინი პროგრესიული დაბეგვრის წინააღმდეგნი არიან, რადგან პროგრესიული დაბეგვრა ამცირებს კაპიტალისტთა ეკონომიკურ სტიმულსა და კაპიტალდაბანდებებს. „გადასახადები რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ზღუდავდეს წამოწყებას, წარმოებასა და დასაქმებას".

სწორედ ასევე ასაბუთებენ გადასახადების ანტიინფლაციურ თეორიას გფრ-ის ფინანსისტები.

ნამდვილად ინფლაციის მოსასპობად საჭიროა, პირველყოვლისა, მილიტარიზმის მოსპობა.

გადასახადებით შრომის ინტენსივობის გაზიდების თეორია

კაპიტალისტური ქვეყნების მილიტარიზაცია, ომისათვის სამზადისი დიდ სახსრებს მოითხოვს და ის უნდა გაიღოს მოსახლეობის ფართო მასამ. ბურჟუაზიული ეკონომისტები (მარჩი, ჰარტი, ოუელსი) მოითხოვენ, რომ გადასახადები შეეწეროს დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე პირებს.

ოუელსის მიხედვით, გადასახადები გადიდებულ უნდა იქნეს

---

[1] Harris, The Economics of Mobilisation and Inflation, N. I., 1951, p. 157.

[2] A. G. Hart, Financing of Defence, N. Y. 1951, p. 154.

[3] Chandler Lester V., Inflation in the United States, 1940—48, N 1, 1951.

[4] Musgrave A., Federal Tax Reform "Public Finance and Full Employment", 1945.

მაქსიმალურად პოლიტიკურად შესაძლებელ საზღვრებამდე; გადამხდელნი უნდა დაიბეგრონ ისე, რომ ეშინოდეთ რევოლუციისა. ასე რომ, ძირითადი გამომღებელი კლასი უნდა იყოს მშრომელები. ამგვარად, ბურჟუაზიული ეკონომისტები — ზევულკარიზატორები, კაპიტალისტებისათვის ასაბუთებენ დაბალ გადასახადებს, მუშებისათვის — მაღალს.

დ. ბლეკი, ა. პიგუ და ე. როლფი ასაბუთებენ, რომ ხელფასსა და მოხმარების საგნებზე შეწერილი გადასახადები დადებითად მოქმედებენ წარმოებაზე, ამცირებენ „სიზარმაცის" ფასს და აიძულებენ მუშებს მეტი იმუშაონ.

მათი აზრით, გასაყიდ საქონელზე შეწერილი გადასახადი თავისი რეგრესიულობის გამო უძლიერესი ინსტრუმენტია ინფლაციის წინააღმდეგ.

ბურჟუაზიული ეკონომისტები მოითხოვენ გადასახადების გადიდებას და ამით მშრომელთა მსყიდველობითი უნარის შეზღუდვას, რაც, მათი აზრით, გაზრდის შრომის ინტენსივობას. მუშები იძულებული იქნებიან მეტი იმუშაონ, რომ შეინარჩუნონ მოხმარების არსებული დონე. ამგვარად, მათი აზრით, მაღალი გადასახადები სპობენ სიზარმაცეს მუშებში, აღვივებენ ბეჯითობას. ეს არის მერკანტილისტური იდეების აღდგენა დაბეგვრის საკითხში.

გერმანელი ფინანსისტები მოითხოვენ მოგების განთავისუფლებას დაბეგვრისაგან და გადასახადის ტვირთის მშრომელებზე გადაკისრებას. გ. შმოლდერსი ამტკიცებს, რომ: „კორპორაციის გადასახადი უცხო სხეულია სახალხომეურნეობრივ რაციონალურად აგებულ საგადასახადო სისტემაში"[1]. ის ამბობს, რომ მოგება დაბეგრილია პროგრესული ჯარიმით. გ. როლტგენის აზრით, თავისუფალი საკუთრების ახლანდელი დაბეგვრა გადასახადური სამართლიანობის იდეას არ შეესაბამება[2]. მათი აზრით, მოგების გადასახადების გადადება პირველ რიგში მუშებისათვის არის საზიანო, რადგან ამ გადასახადების ნაწილი შედის ფასში, რის გამოც იზრდება ფასები.

როგორც კ. ციშანგი აღნიშნავს, გადასახადის თანამედროვე თეორია დაბეგვრის ახალ პრინციპს აყენებს, რომლის თანახმად გადასახადი დამოკიდებული უნდა იყოს არა მარტო შემოსავლის სიდიდეზე, არამედ ამ შემოსავლის გამოყენების ხასიათზეც[3]. რადგან კაპი-

[1] G. Schmölders. Organische Steuerreform, Frankfurt am Main, 1953, S. 31.

[2] H. Röltgen, Die Problematik der Körperschaftsbesteuerung personenbezogener Kapitalgesellschaften, Köln, 1960, S. 52.

[3] K. Zieschang, Grundprobleme der Investitionsfinanzierung in Westdeutschland, Berlin, 1959, S. 129.

ტალისტთა კლასი დაგროვებას ეწევა, ე. ი. შემოსავალს მწარმოებლურ დანიშნულებას აძლევს, მას გადასახადები უნდა შეუმცირდეს.

ბურჟუაზიული ფინანსისტების ერთი ჯგუფი ილაშქრებს დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპის წინააღმდეგ. ეთიკური ნორმები ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური სკოლების ხელში ერთგვარ ნიღაბს წარმოადგენს კაპიტალისტური სახელმწიფოს ექსპლოატაციური ბუნების მისაჩქმალავად. ზეეულგარიზატორები უფრო აშკარა გზას ადგანან. ისინი უარყოფენ სამართლიანობის პრინციპს, მოითხოვენ პროგრესიული დაბეგვრის წინააღმდეგ თანასწორი მსხვერპლის პრინციპს.

ვ. ი. ლენინმა თავის შრომაში „კაპიტალიზმი და გადასახადები" დაამტკიცა, რომ აშშ-ში შემოღებული პროგრესიული დაბეგვრა თავისი სუსტი განაკვეთებით მცირედ ბეგრავს მდიდარ კლასებს და გადასახადის ტვირთი მშრომელებს აწევს. ბურჟუაზიული ეკონომისტები ცდილობენ ის მცირედი ტვირთიც მოუხსნან კაპიტალისტებს და მთელი სიმძიმე მშრომელებს დააკისრონ.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში მისთვის დამახასიათებელ რიგ წინააღმდეგობათა გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბურჟუაზიისათვის სახელმწიფო ხელისუფლების აპარატს. ფინანსური ოლიგარქია ფართოდ იყენებს ამ უკანასკნელს. აშშ იმპერიალიზმს მსოფლიო ბატონობის პრეტენზია აქვს. მათი ეკონომისტები თეორიულად ასაბუთებენ ამ პრეტენზიას და იმ დიდ ფინანსურ საჭიროებას, რომელიც ასეთი პრეტენზიისა და მოცემულ წინააღმდეგობებში მყოფ ფინანსურ ოლიგარქიას სჭირდება.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომისტთა თეორიები გვერდს უვლიან კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, არ სურთ შეიცნონ სინამდვილე, ცოცავენ მოვლენათა ზედაპირზე. ისინი სწავლობენ არა მოვლენათა განვითარების კანონზომიერებას, არამედ იმ საშუალებებსა და ღონისძიებებს, რომლებიც გადაარჩენს კაპიტალიზმს. ამისათვის საჭიროა მიჩქმალონ მისი სუსტი და უარყოფითი მხარეები, შეასწორონ და შეალამაზონ ისინი. ამით აიხსნება, რომ მათი აპოლოგეტიკა გაცილებით უარესია, კიდრე ადრინდელი ვულგარიზატორებისა. ამ მოსაზრებით და კიდევ იმიტომ, რომ სახელწოდება „თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები" მიმართულებას მხოლოდ დროის მომენტით განსაზღვრავს, მაშინ როდესაც ყველა სხვა მიმართულებას სხვა ნიშნით აქვს განსაზღვრული მიმართულების სახელწოდება, ჩვენ ვუწოდეთ ზეეულგარიზატორები.

თავი მეშვიდე

სახელმწიფო კრედიტი

1. სახელმწიფო კრედიტის არსი

სახელმწიფო კრედიტი ფინანსური მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური მნიშვნელობის საკითხია. სახელმწიფო კრედიტი კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად გადააქცია. მით უმეტეს გამოიყენა იგი კაპიტალისტურმა სახელმწიფომ კაპიტალიზმის განვითარების მაღალ საფეხურზე და განავითარა იმპერიალიზმის ეპოქის სახელმწიფო კრედიტის თანამედროვე სისტემებამდე. დღევანდელ პირობებში სახელმწიფო კრედიტი იმდენად გავრცელებულია, რომ შესაძლებელია უფრო ადვილად შეხვდეთ ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტს, რომელშიც ანა თუ იმ სახის გადასახადი არ არის შეტანილი, ვიდრე ბიუჯეტს, რომელიც სახელმწიფო სესხს არ ითვალისწინებს.

სახელმწიფო კრედიტი, ფართო აზრით, გულისხმობს ყველა საკრედიტო ურთიერთობას, რომელშიც სახელმწიფო არის დებიტორი, ხოლო მოსახლეობა, ბანკები, ამერეწველო-სავაჭრო საწარმოები—კრედიტორები. საგარეო სესხის დროს ერთ-ერთი სახელმწიფო დებიტორია, მეორე — კრედიტორი.

სახელმწიფო კრედიტი გარემოიცავს საშინაო და საგარეო სესხებს, სახელმწიფო შემნახველი სალაროების ვალდებულებას მეანაბრეების წინაშე, ბანკებიდან მიღებულ სესხებსა და ავანსებს და კერძო სესხებზე ან იჯარაზე სახელმწიფოს მიერ გაცემულ გარანტიებს.

სახელმწიფო ვალი არის სახელმწიფოს მიერ აღებული ყველა სესხი, თავისი ყველა სარგებლით, რაც მოცემული მომენტისათვის დაფარული არ არის.

ნაციონალური ვალი უფრო ფართო ცნებაა. იგი სახელმწიფო

ვალთან ერთად შეიცავს ქვეყნის ყველა სახის - ბანკების, მეურნეობრივი დარგების, ფიზიკური პირებისა და სხვ. — დავალიანებას.

კრედიტი კაპიტალისტურ საზოგადოებაში ცენტრალიზაციის ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს. იგი ხდება დაგროვების თანაშემწე. კრედიტი იზიდავს და აერთიანებს დიდ ან პატარა მასებად დაქსაქსულ ფულად საშუალებებს: ამასთანავე იგი იქცევა კონკურენციის დიდ იარაღად და კაპიტალისტთა ცენტრალიზაციის დიდ საშუალებად.

სახელმწიფო ვალებმა კრედიტს ახალი თვისებები შემატეს. მათ კაპიტალისტურ საზოგადოებაში შექმნეს უსაქმო რანტიები და უცბად გამდიდრებული ფინანსისტები (ესენი შუამავლობენ მთავრობასა და ერს შორის). გადასახადთა მოიჯარე-შემსყიდველნი: მათ შექმნეს აგრეთვე ისეთი ვაჭრები და ფაბრიკანტები, „რომელთაც ყოველი სახელმწიფო სესხის საგრძნობლად დიდი ნაწილი ციდან ჩამოვარდნილი კაპიტალის სამსახურს უწევს. — სახელმწიფო ვალმა შექმნა აგრეთვე აქციონერული საზოგადოებანი, ვაჭრობა ყოველგვარი ფასიანი ქაღალდებით, ძლიერი სპეკულაცია და აფიოტაჟი, ერთი სიტყვით: ბირჟაზე თამაში და თანამედროვე ბანკოკრატია" (ბანკების ბატონობა).

საჯარო ვალი პირვანდელი დაგროვების ძლიერი ბერკეტი იყო. საჯარო კრედიტს, ანუ სახელმწიფო ვალების სისტემას ვხვდებით შუა საუკუნეებშიც, მანუფაქტურულ პერიოდში კი მან მთელი ევროპა დაიპყრო. სახელმწიფოს ვალი, მარქსის დახასიათებით, სახელმწიფოს განსხვისებაა. ერთადერთი. რაც ნამდვილად ხალხს ეკუთვნის კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ეს არის სახელმწიფო ვალი. სახელმწიფო ვალმა არამწარმოებლურ ფულს მწარმოებლური ძალა მიანიჭა; ის კაპიტალად გადააქცია. სესხად გაცემული ფული სესხის დოკუმენტებად იქცევა. ეს უკანასკნელნი ფუნქციონირებენ ბრუნვაში როგორც ნაღდი ფული.

მე-18 საუკუნის დასაწყისში ყველა საკრედიტო დაწესებულება უკვე განვითარებული იყო, მაგალითად, ინგლისში. სახელმწიფო ვალების ზრდა ნიშნავს რანტიეთა კლასის ზრდას. სახელმწიფო კრედიტი ამ უკანასკნელთ შესაძლებლობას აძლევს წინასწარ მიითვისონ გადასახადების ნაწილი. სახელმწიფო საკრედიტო სისტემა გაუკუღმართებულია. კაპიტალისტური სახელმწიფო აღებულ სესხს არამწარმოებლურად იყენებს, ამგვარად ეს სესხი, რაშიაც ობლიგაციებია გაცემული, დიდი ხანია უკვე დახარჯულია სახელმწიფოს

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1. 1954, გვ. 946.

მიერ. ეს კაპიტალი უკვე მოსპობილია. მაგრამ სასესხო მოწმობები, კაპიტალის ეს დუბლიკატები — ობლიგაციების სახით მფლობელი-სათვის ფუნქციონირებენ როგორც კაპიტალი. ამ ობლიგაციებს ასეთ ძალას ანიჭებს ის, რომ მფლობელს შეუძლია ისინი კვლავ ყიდვა-აქციოს კაპიტალად მათი გაყიდვის საშუალებით.

იქმნება ფინანსური არისტოკრატია, რომელიც შედგება ბანკირებისა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სპეკულანტებისაგან. „მთელი თანამედროვე საფულო საქმე, მთელი საბანკო მეურნეობა უმჭიდროეს კავშირშია საჯარო კრედიტთან. საბანკო კაპიტალის ნაწილი აუცილებლად ადვილად გასანაღდებელ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში თავსდება და სარგებელი მოაქვს. ბანკის დეპოზიტები და ბანკის განკარგულებაში გადასული და მის მიერ ვაჭარ-მრეწველებს შორის განაწილებული კაპიტალი ნაწილობრივ სახელმწიფო რანტიეთა დივიდენდებისაგან შესდგება“ [1]. რაც უფრო ვითარდება თავისუფალი ფულადი კაპიტალი, მით უფრო მრავლდება სარგებლიანი სახელმწიფო ქაღალდები, აქციები და საერთოდ ფასიანი ქაღალდები.

არის შემთხვევები კაპიტალისტურ საზოგადოებაში, როდესაც სარგებლის განაკვეთი ისე მაღლა იწევს, რომ სრულიად ითვისებს მთელ მოგებას. ამ დროს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ფასი ეცემა. ასეთ შემთხვევაში ფულიანი კაპიტალისტები მასობრივად შეისყიდიან გაუფასურებულ ფასიან ქაღალდებს იმის მოლოდინით, რომ შემდგომში მათი ფასი კვლავ მაღლა აიწევს.

მევახშეობის სპეციფიკურ ასპარეზს წარმოადგენს ფულის ფუნქცია, როგორც გადახდის საშუალებისა. ყოველი ფულადი გადასახდელი: იჯარა, საური, გადასახადი დაკავშირებულია გადახდის განსაზღვრულ ვადასთან. ეს დიდ გასაქანს აძლევს გადასახადების მოიჯარე-შემსყიდველს. საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებამ ხელი შეუწყო ყიდვისა და გადახდის მომენტების განსაზღვრული ინტერვალით ერთმანეთისგან დაცილებას.

საერთაშორისო საკრედიტო სისტემა აღმოცენდა სახელმწიფო ვალებთან ერთად: სახელმწიფო ვალებისა და სარგებლის გასტუმრება წარმოებს სახელმწიფო შემოსავლით. ამ უკანასკნელის ძირითად წყაროს წარმოადგენს გადასახადები. ამიტომ სახელმწიფო კრედიტი ემყარება საგადასახადო სისტემას. როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, ეს უკანასკნელი თვით იქცევა საკრედიტო სისტემის დამატე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, თერმიდორი ბრუმერი ლუი ბონაპარტისა, გვ. 108, 1932.

ბად. სესხი სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევს დიდი ხარჯები გაწიოს ისე. რომ ის მაშინვე ვერ იგრძნოს გადასახადის გადამხდელმა. მაგრამ საბოლოო რიგში სესხი გასტუმრებულ უნდა იქნეს გადასახადებით. მათ ურთიერთობას მარქსი შემდეგნაირად გამოთქვამს: „...გადასახადების მომატება, გამოწვეული ზედიზედ აღებული ვალების დაგროვებით, აიძულებს მთავრობას ახალი საგანგებო ხარჯების გაწევის დროს მუდამ ახალ სესხს მიმართოს. ამიტომ თანამედროვე ფისკალური სისტემა, რომლის ბრუნვის ღერძსაც აუცილებელ საარსებო საშუალებათა დაბეგვრა (მაშასადამე, მათი გაძვირება) შეადგენს, თავის წიაღში ატარებს გადასახადთა ავტომატური ზრდის ჩანასახს"[1].

ბურჟუაზიული კლასის ხელში ძალაუფლების გადასვლამ გამოიწვია მოთხოვნილებათა ზრდა, რომლის დაფარვა წარმოებდა ან პირდაპირ — გადასახადების, ან არაპირდაპირ — სახელმწიფო კრედიტის საშუალებით, რაც საბოლოოდ ისევ გადასახადებამდე ღაიყვანებოდა. ამიტომ სახელმწიფო კრედიტი იქცა გადასახადების გადიდების ახალ წესად. სახელმწიფო ვალების ზრდა თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენდა და ახდენს სახელმწიფო ხარჯებზე.

ამგვარად, სახელმწიფო ვალი ქმნის ხალხისათვის ახალ გადიდებულ საგადასახადო სიმძიმეს.

სახელმწიფო სესხის სისტემის ერთ-ერთი მიზეზია წონასწორობის დარღვევა ბიუჯეტის შემოსავალსა და გასავალს შორის, თუმცა ეს უკანასკნელი ამავე დროს მის შედეგადაც გვევლინება. ამ მიზეზთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე ომები, სასახლის არისტოკრატიის მოთხოვნილებათა ზრდა და სხვ.

კაპიტალიზმთან ერთად იზრდება სახელმწიფო სესხით ვაჭრობა და იქმნება სახელმწიფო კრედიტორის, ბანკირის, ფულის სპეკულანტის, „ბირჟის მგლის" ბატონობა.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ისტორიაში ცნობილია, რომ სახელმწიფო სესხები გამოყენებული იყო რევოლუციურ მოძრაობათა ჩასახშობად. კ. მარქსს დასახელებული აქვს ინგლისის მაგალითი; ინგლისმა უზარმაზარი ვალი აიღო იმისათვის, რომ ხელი შეეშალა ამერიკის კოლონიების განვითარებისათვის და წინააღმდეგობა გაეწია საფრანგეთის რევოლუციისათვის. ვ. ი. ლენინს დასახელებული აქვს მეფის რუსეთის მაგალითი. მეფის მთავრობამ 2 მილიარდი ფრანკი აიღო საფრანგეთისგან 1905 წლის რევოლუციის ჩასახშობად.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 948.

კ. მარქსის დახასიათებით, სახელმწიფო და კერძო კრედიტი ეკონომიკური თერმომეტრია, რომლითაც შეიძლება რევოლუციის ინტენსივობის სიძლიერის გაზომვა. ფულადი კაპიტალის უშუალო სფერო „ბანკი, ბირჟა და ფინანსებია"[1].

ლენინის მიერ დასაბუთებულია, რომ ძველი კაპიტალიზმის დროს ბატონობდა თავისუფალი კონკურენცია, რომელსაც ახასიათებდა საქონლის გატანა, ახალ კაპიტალიზმში კი ბატონობს მონოპოლია და მას ახასიათებს კაპიტალის გატანა. ლენინა განხილული აქვს სახელმწიფო სესხები კაპიტალის გატანასთან დაკავშირებით, გარჩეული აქვს ინგლისის კოლონიური იმპერიალიზმი, რომლის კაპიტალი დაბანდებულია საბრძოლველო საწარმოებში, და საფრანგეთის სავახშო იმპერიალიზმი, რომლის კაპიტალი უმთავრესად არის სასესხო კაპიტალი, სახელმწიფო სესხები. ამასთან დაკავშირებით ლენინი აღნიშნავს, რომ გატანის ზრდა დაკავშირებულია ფინანსური კაპიტალის თაღლითურ ოპერაციებთან, რომლითაც იგი ორმაგ ექსპლოატაციას ეწევა. ეიანდან იმპერიალიზმის პირობებში სახელმწიფო კრედიტს არამწარმოებლური გამოყენება აქვს, მისი ერთადერთი წყარო გადასახადებია. ამის გამო კაპიტალისტური სახელმწიფოები იძულებული არიან გადასახადებით ზედმეტად დატვირთონ მშრომელი მოსახლეობა.

თავისებური ფორმა და ხასიათი მიიღო მსოფლიო ომების პერიოდის კაპიტალისტური სახელმწიფო კრედიტის წინააღმდეგობრივმა ურთიერთობამ, რომელიც ჩამოყალიბდა გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოებს შორის, ერთი მხრივ, და კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და სსრკ შორის — მეორე მხრივ.

მე-20 საუკუნეში სახელმწიფო ვალებმა წელში მოხარეს მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოები. უზარმაზარმა სამხედრო ხარჯებმა გამოიწვიეს დიდი სესხების აღება, რაც, როგორც ცნობილია, თავის მხრივ ზრდის საგადასახადო ტვირთს და ამცირებს მშრომელთა საცხოვრებელ დონეს. ქვემოთ მოტანილი ცნობები წარმოდგენას გვაძლევენ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დავალიანების შესახებ. აშშ-ს სახელმწიფო ვალი 1938 წელს შეადგენდა 42.0 მილიარდ დოლარს, 1948 წ. — 258.4 მილიარდს, 1952 წ. — 259,2 მილიარდს, ხოლო 1955 წელს — 274,5 მილიარდ დოლარს[2]. როგორც ვხედავ, სახელმწიფო ვალი 1955 წლისათვის, 1938 წელთან შედარებით, გა-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. I. გვ. 177.

[2] Статистический ежегодник Соединенных Штатов, Вашингтон, 1966, стр. 353.

დიდებულია 6,5-ჯერ. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა მეორე გარემოება, რაც კიდევ უფრო მეტად მეტყველებს სახელმწიფო დავალიანების სიდიდის შესახებ. აშშ-ს სახელმწიფო ვალი 1955 წელს 1951 წლის მთელ ნაციონალურ შემოსავალს უდრიდა. ამასთანავე საყურადღებოა გადასახდელი სარგებლის ზრდა. 1938 წელს იგი შეადგენდა 0,93 მილიარდ დოლარს, 1948 წ. — 1,9, ხოლო 1952 წ. — 5,94 მილიარდ დოლარს.

კიდევ უფრო საყურადღებოა იმავე ინგლისის მაგალითზე: ინგლისის სახელმწიფო ვალი 1938 წელს იყო 7,1 მილიონი გირვ. სტერლინგი, 1948 წელს — 29,6 მილიონი, 1952 წელს — 30,6 მილიონი გირვ. სტერლინგი. ნაციონალურ შემოსავალთან შეფარდება გვაძლევს 269%, რაც იმას ნიშნავს, რომ ინგლისის სახელმწიფო ვალი მის ნაციონალურ შემოსავალს 2,7-ჯერ აღემატება.

საფრანგეთის სახელმწიფო ვალი უდრიდა 421 მილიარდ ფრანკს. 1948 წ. — 3412 მილიარდს, 1952 წ. — 4553 მილიარდ ფრანკს. როგორც ვხედავთ, 1952 წელს, 1938 წელთან შედარებით, გადიდებულია 10-ჯერ მეტად. ნაციონალურ შემოსავალთან შედარება გვაძლევს 50%-ს [1].

სახელმწიფო ვალის დაფარვის ხარჯები ინგლისის ბიუჯეტში 10,5 მილიონი სტერლინგიდან (1937/38 წ.) გაიზარდა 38 მილიონამდე (1958/59 წწ.).

აშშ ბიუჯეტში (ნეტო) პროცენტების გადახდა 441 მილიონი დოლარიდან (1929 წ.) გადიდდა 5.198 მილიონ დოლარამდე (1956 წ.).

საფრანგეთის ბიუჯეტში 14,4 მილიარდი ფრანკიდან 1938 წ. გადიდდება 261.8 მილიარდ ფრანკამდე 1954 წლისათვის". [2].

იმპერიალიზმის ეპოქის პირობებში სახელმწიფო კრედიტი ერთერთი მძლავრი იარაღია მონოპოლისტური პოლიტიკის გატარებაში. ბურჟუაზიულ ეკონომისტთა აზრით, კაპიტალების ექსპორტი დეკოლონიზაციის გამოელინებაა, რაც, რასაკვირველია, სინამდვილეს არ შეეფერება, პირიქით, იგი ხელს უწყობს კოლონიზაციის თავისებურ ფორმას და სავალო ურთიერთობის გაფართოებას დამოკიდებულ ქვეყნებში. ასეთსავე ხასიათს ატარებს (ე. ი. სუსტი ქვეყნების დამორჩილების ხასიათს) დახმარება ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის, რომელსაც, მაგალითად, აშშ უწევს ზოგიერთ ქვეყანას.

საგარეო სესხი კრედიტორი სახელმწიფოსათვის ნიშნავს აგრეთვე საქონლის გასაღების გადიდებას, რამდენადაც დებიტორმა სა-

---

[1] Экономика капиталистических стран, 1953, стр. 136—166.

[2] Экономика капиталистических стран, 1959, стр. 700—747.

ხელმწიფოებმა მიღებული სესხის ნაწილი კრედიტორ სახელმწიფოში უნდა დახარჯონ. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „სრულიად ჩვეულებრივი ამბავია: სესხის პირობად აყენებენ მისი ნაწილის დახარჯვას დამკრედიტებელი ქვეყნის პროდუქტების საყიდლად, განსაკუთრებით შეიარაღების საგნების, გემების შესაძენად და ა. შ.“[1].

სახელმწიფო სესხი ფიქტიური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმათაგანია. ფასიანი ქაღალდები არ ქმნიან არც ღირებულებას და არც ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ ფასიანი ქაღალდების მფლობელები ითვისებენ გადაუხდელი შრომის ნაწილს სარგებლის ან დივიდენდების სახით. ფიქტიური კაპიტალი განსხვავდება რეალურისაგან იმ მხრივ, რომ არ წარმოადგენს სამრეწველო კაპიტალის გამოცალკევებულ ნაწილს და არც არავითარ ფუნქციას არ ასრულებს სამრეწველო კაპიტალის თვითზრდაში. ფიქტიური კაპიტალი არ არსებობს რეალურის გარეშე, მაგრამ იგი შეიძლება იზრდებოდეს ან კლებულობდეს ისე, რომ რეალური კაპიტალი უცვლელი რჩებოდეს.

ვთქვათ, აქციონერული საზოგადოების კაპიტალი არის 20 მილ. დოლარი. სესხის სარგებელის განაკვეთი უდრის 4, დივიდენდი—12, მაშინ აქციები გაიყიდება 60 მილ. დოლარად. ყველა ფასიანი ქაღალდი, რომელსაც უფლება აქვს შემოსავალზე, ეკონომიკური შინაარსით წარმოადგენს სასესხო კაპიტალს.

ფიქტიური კაპიტალის წარმოქმნას კაპიტალიზაციას უწოდებენ.

ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ობლიგაციები, ანუ სახელმწიფო კრედიტის სავალო დოკუმენტები. სახელმწიფო ვალის შემთხვევაში ობლიგაცია წარმოადგენს წმინდა ილუზორულ კაპიტალს. კ. მარქსი წერდა: „საკუთრების ამ ტიტულების ღირებულების დამოუკიდებელი მოძრაობა — არა მარტო სახელმწიფო ფონდების, არამედ აქციებისაც — ადასტურებს ილუზიას, რომ ისინი შეადგენენ ნამდვილ კაპიტალს იმ კაპიტალის ან იმ პრეტენზიების გვერდით, რომელთა მიმართ ისინი, შეიძლება, ტიტულებს წარმოადგენენ. სახელდობრ, ისინი იქცევიან საქონლად, რომლის ფასი თავისებურად მოძრაობს და მყარდება. მათი საბაზრო ფასი იღებს მათი ნომინალური ღირებულებისაგან განსხვავებულ განსაზღვრას, რომელიც არაა დაკავშირებული ნამდვილი კაპიტალის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, 1951, გვ. 305—306.

ღირებულების ცვლილებასთან (თუმცა დაკავშირებულია ამ ღირებულების ზრდის ცვლილებასთან)" [1].

ამგვარად, სახელმწიფო ქაღალდები მხოლოდ წარმოდგენაში არსებული კაპიტალია. იგი არის წლიური შემოსავლის ნაწილი, რაც დანიშნულია ვალის გადასახდელად; მისი შესაბამისი კაპიტალი უკვე გაფლანგულია. იგი შეადგენს სესხისათვის ნომინალურ ღირებულებას. მაგრამ სახელმწიფო ქაღალდი მას არ გამოხატავს. ვინაიდან ეს კაპიტალი აღარსად არსებობს. ახალი სიმდიდრე უნდა წარმოიშვას შრომით, რომლის ერთი ნაწილი ყოველწლიურად უნდა მიეცეს იმას, ვინც გაასესხა ის სიმდიდრე, რომელიც მოისპო. სიმდიდრის ეს ნაწილი მწარმოებლებს გამოერთმევა გადასახადების გზით და სახელმწიფო კრედიტორებს გადაეცემათ სარგებლის სახით.

სახელმწიფომ ყოველწლიურად უნდა უსადოს თავის კრედიტორებს განსაზღვრული რაოდენობის სარგებელი მის მიერ სესხად აღებულ კაპიტალზე. კრედიტორს არ შეუძლია მოვალეს ვადამდე მოსთხოვოს თავისი კაპიტალის უკან დაბრუნება, სამაგიეროდ მას შეუძლია გაყიდოს თავისი სავალო მოთხოვნა. როგორც აღვნიშნეთ, თვით კაპიტალი დახარჯულია სახელმწიფოს მიერ და იგი აღარ არსებობს. სახელმწიფოს კრედიტორებს აქვთ ობლიგაცია — სავალო ვალდებულება სახელმწიფოს სახელზე. რომლის ძალით მათ უფლება აქვთ სახელმწიფოს წლიური შემოსავლის, ე. ი. წლიური გადასახადების განსაზღვრულ ნაწილზე. მათ შეუძლიათ სხვა პირს მიჰყიდონ ეს სავალო ვალდებულება. თუ სარგებლის განაკვეთი და სახელმწიფოს გადამხდელობითი უნარი ეჭვს არ იწვევს, ობლიგაციის მფლობელს შეუძლია იგი გაყიდოს ნომინალური ღირებულების მიხედვით, მაგალითად, 100-დოლარიანი ობლიგაცია — 100 დოლარად. იმიტომ, რომ ობლიგაციის მყიდველისათვის სულ ერთია, გაასესხებს იგი 100 დოლარს 5% წელიწადში, თუ 100-დოლარიანი ობლიგაციის შესყიდვით უზრუნველყოფს თავისთვის 5 დოლარს სახელმწიფოს შემოსავლიდან. ყველა ამ შემთხვევაში კაპიტალი ითვლება ილუზორულ, ფიქტიურ კაპიტალად არა მარტო იმიტომ, რომ სახელმწიფოზე მისესხებული თანხა საზოგადოდ აღარ არსებობს, არამედ იმიტომაც, რომ ის არასოდეს არ ყოფილა კაპიტალის სახით დასახარჯად, დასაბანდებლად დანიშნული. მას მხოლოდ ამ სახით შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი ღირებულება. პირველი კრედიტორისათვის სახელმწიფოს წლიური გადასახადების ის ნაწილი, რომელიც მას ერგება, მისი კაპიტალის სარგებელს წარმოადგენს. ობლიგაციის გაყიდვის შესაძლებლობა

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნ 2, 1959, გვ. 10.

პირველი კრედიტორისათვის წარმოადგენს ძირითადი თანხის უკან-დაბრუნების შესაძლებლობას. მეორე კრედიტორისათვის, კერძო თვალსაზრისით, მისი კაპიტალი სარგებლის მომცემ კაპიტალად სდებ-ება დაბანდებული. რაგინდ გამრავლდეს ამგვარ გარიგებათა რიცხვი, სახელმწიფო სესხის კაპიტალი რჩება წმინდა ფიქტიურად. თუ ობ-ლიგაციებს მყიდველები აღარ ეყოლა, მაშინ ამ კაპიტალის გარეგნო-ბაც კი გაქრება.

სახელმწიფო ვალის შემთხვევაში, სადაც არავითარი კაპიტალი არ არსებობს, თუ წლიური შემოსავალი კანონით არის ფიქსირებული და უზრუნველყოფილი, მაშინ ობლიგაციების კურსის აწევ-დაწევა სარგებლის განაკვეთის პირუკუ მიმართულებით ხდება: თუ სარგებ-ლის განაკვეთი ორჯერ აიწევს, ობლიგაციის კურსი განახევრდება, თუ სარგებლის განაკვეთი განახევრდება, ობლიგაციის კურსიც გაორ-კეცდება.

სახელმწიფო ვალი დიდ ტვირთად აწვება მოსახლეობას და ამას დაბეგვრას აძლიერებს. სახელმწიფო ფულს სესხულობს მევახშეები-სა და კაპიტალისტებისაგან და ამაში აძლევს ქაღალდებს, რომლებ-თაც ჰპირდება გადაუხადოს განსაზღვრული ოდენობის სარგებელი. ამის გასასტუმრებლად უნდა გააძლიეროს მოსახლეობის დაბეგვრა ვადასახადებით. ამგვარად, დასკვნის მარქსი, თვით ხალხი უნდა დაუდგეს თავდებად თავის გამყიდველებს, იმათ წინაშე, რომლებიც მათ ფულს აძლევენ სესხად იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ ხალხის მონობა და ძარცვა.

II. სესხის სახეები

გავრცელების ადგილის მიხედვით სახელმწიფო სესხი არის საშინაო და საგარეო. საშინაო სახელმწიფო სესხის დროს სასესხო ვალდებულებები ადგილობრივ მცხოვრებთა ხელშია, საგარეო სესხის დროს კი სასესხო ვალდებულებების მფლობელნი არიან უცხოელები. ეს შესაძლებელია მოხდეს ან უცხოეთის ბირჟებზე სესხის გავრცელებით, ან უცხოელთა მიერ სასესხო ვალდებულებების შესყიდვით ამის გარეშე.

უცხოეთის კრედიტი კრედიტორი ქვეყნისთვის ნიშნავს კაპიტალის ექსპორტს და პირიქით, დებიტორისათვის — კაპიტალის იმპორტს. საგარეო კრედიტი ფართო მასებისათვის მოასწავებს საგადასახადო ტვირთის გადიდებას. ამ შემთხვევაში თავიანთი ქვეყნის რაზ-ტიეთა საგადასასდელო სიმძიმეს უნდა დაემატოს გადასახდელები უცხოეთის კაპიტალის სასარგებლოდ.

შესაძლებელია საგარეო სესხი იქცეს საშინაოდ. როდესაც საზღვარგარეთული სესხი, რომლის მფლობელნი არიან უცხოელი მოქალაქეები ან დაწესებულებანი, გამოსყიდვის გზით დაბრუნდება თავის ქვეყანაში, მაშინ საგარეო სესხი გადაიქცევა საშინაოდ. შესაძლებელია საწინააღმდეგოც, საშინაო სესხი გადავიდეს უცხოელთა ხელში; მაშინ საშინაო სესხი გადაიქცევა საგარეოდ.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სესხების უდიდესი ნაწილი საშინაოა, ასე მაგალითად, ინგლისის ვალის 90% საშინაოა. აშშ უკანასკნელ დრომდე საგარეო ვალი არ ჰქონია.

გავრცელების მეთოდების მიხედვით სახელმწიფო სესხი არის ნებაყოფლობითი და იძულებითი. ნებაყოფლობით სესხს სახელმწიფო ღებულობს კაპიტალისტებისაგან ნებაყოფლობითი ხელშეკრულებებით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოქმედებს ისევე, როგორც კერძო პირი.

იძულებით სესხს სახელმწიფო ღებულობს **იძულებით**. სახელმწიფო სესხს ართმევს ყველას ან ცალკეულ კლასებს იძულებითი გზით. ეს სესხი შესაძლებელია იყოს ანაზღაურებითი ან აუნაზღაურებელი. იძულებით სესხს მოსახლეობაზე ანაწილებენ ისევე, როგორც გადასახადებს. იძულებითი სესხის დროს ბურჟუაზია ახერხებს სესხის ტვირთი მშრომელ მოსახლეობაზე გადაიტანოს.

იძულებითი სესხები განსაკუთრებით გავრცელებული იყო ფეოდალიზმის დროს და კაპიტალიზმის დასაწყის პერიოდში.

სესხები არის ფულადი და ნატურალური. ნატურალური სესხი აიღება პურის, შაქრის და სხვ. სახით. კაპიტალისტური სახელმწიფოები, როგორც წესი, სესხს იღებენ ფულით. გამანადგურებელი ომების ან დიდი ინფლაციის პირობებში შესაძლებელია გამოშვებულ იქნეს სესხი პროდუქტებით.

გამოშვების ვადის მიხედვით სესხი არის უვადო და ვადიანი.

როდესაც სესხი უვადოა, კრედიტორს შეუძლია ყოველ დროს მოითხოვოს ვალის დაბრუნება, ასეთია შემნახველი სალაროს ანაბრები.

ვადიანი სესხის დროს სახელმწიფო სესხს იღებს განსაზღვრული ვადით. ეს სესხი განიყოფება გრძელვადიანად (10 და მეტი წლით), საშუალოვადიანად (3-დან 5—10 წლამდე) და მოკლევადიანად (1-დან 3 წლამდე).

არის აგრეთვე სარენტო სესხი. ეს სესხი სახელმწიფოს შეუძლია დაფაროს ყოველ დროს. იგი გავრცელებული იყო ფეოდალიზმის პირობებში. იმპერიალიზმის ეპოქაში ის იშვიათია, მას

გავრცელებული სახე არა აქვს. ამ სახის სესხის დროს სახელმწიფო იხდის მხოლოდ სარგებელს, მაგრამ არ კისრულობს გადახადოს თვით სესხის თანხა.

სესხის დაფარვა წარმოებს ობლიგაციების მოსპობით, ტირაჟის გზით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მათ მფლობელებს უხდის ობლიგაციაში აღნიშნულ თანხას ან ობლიგაციებს შეისყიდის ბირჟაზე საკურსო ფასით.

სახელმწიფო სესხს ხშირად აქვს ლატარიული ფორმა. ასეთებია ლატარიული სესხები, ანუ სესხები პრემიებით. და ანუიტეტები.

ლატარიულია სესხი, როდესაც ობლიგაციის მფლობელი ღებულობს არა რეგულარულ შემოსავალს პროცენტების სახით, არამედ მოგებას. ლატარიული სესხი მოგების მიღებით დაიმედებულებში აღძრავს სურვილს ფული გაასესხოს. ლატარიული სესხის დროს პროცენტებიდან ან მისი ნაწილიდან ქმნიან ფონდს და აქედან მოგებებს აძლევენ ობლიგაციის მფლობელებს. წელიწადში რამდენჯერმე ეწყობა გათამაშება. ეს, რასაკვირველია, არ არის ფულის მშვიდობიანი გასესხება. თუ სესხი გასასტუმრებელია, მაშინ ის ნომრები, რომლებსაც მოგება შეხვდება, ტირაჟიდან გამოდის და სესხი გასტუმრებულად ითვლება. ლატარიული სესხის გავრცელება უფრო ადვილია.

მე-17, მე-18 საუკუნეებიდან ინგლისსა და საფრანგეთში ცნობილია ლატარიული სესხის ფორმა ა ნ უ ი ტ ე ტ ი ს სახელწოდებით (სამისდღეშიო ანუიტეტები).

ანუიტეტის დროს კრედიტორს სესხში ეძლევა რენტა, რომელიც პროცენტთან ერთად ძირითადი თანხის ნაწილსაც შეიცავს. ამგვარად, მაღალი პროცენტებით წარმოებს განსაზღვრული ვადის განმავლობაში ძირითადი კაპიტალის დაფარვაც. სასესხო ვალდებულების მფლობელის სიკვდილის შემდეგ სესხი ითვლება გასტუმრებულად. ლატარიულია მდგომარეობა სახელმწიფოსათვისაც და გამსესხებლისათვისაც. თუ კრედიტორი ადრე მოკვდება, სახელმწიფო მოიგებს, წინააღმდეგ შემთხვევაში — წააგებს. კრედიტორი თავის მხრივ ფიქრობს, რომ ის დიდხანს იცოცხლებს და მაღალი პროცენტით თავის სიცოცხლეშივე მოასწრებს დაიბრუნოს ძირითადი თანხა, ჩვეულებრივი სარგებელი და კიდევ მეტიც.

ანუიტეტები შეიძლება განსაზღვრული იყოს ან წელთა რიცხვით, ან მფლობელის სიცოცხლის ვადით. როდესაც ის განსაზღვრულია წელთა რაოდენობით — 30, 60, 90 წლით, მაშინ კაპიტალის გადაკვეთი, რომელსაც ყოველწლიურად უხდიან კრედიტორს სარგებ-

ლით. წესდება გამოანგარიშებით. აქ კრედიტორი ან მისი კანონიერი მემკვიდრე თანდათან უკანვე ღებულობს თავის თანხას.

მეორე ფორმას წარმოადგენს ტ ო ნ ტ ი ნ ი, რომელიც ცნობილია საფრანგეთში მე-17 საუკუნის მიწურულიდან. ესეც ლატარიული სესხია. სესხის ამ ფორმის დროს კრედიტორთა ჯგუფი მიასესხებს ფულს სახელმწიფოს. ისინი სარგებელსაც ერთად მიიღებენ და ურთიერთშორის გაინაწილებენ. სარგებელში შედის თავნის დაშრეტაც. ბუნებრივია, რამდენიმე ხნის შემდეგ კრედიტორთა ჯგუფის კონტინგენტი შემცირდება, რადგან ზოგი მოკვდება. სახელმწიფო ვალდებულია იმავე ოდენობის სარგებელი გადაიხადოს, რასაც ინაწილებენ ურთიერთშორის დარჩენილი წევრები და, მაშასადამე, თითოეულს უფრო მეტი ხვდება. ჯგუფი ყოველი შემდეგი წევრის სიკვდილის გამო თანდათან მცირდება და, მაშასადამე, ჯგუფის წევრთა შემოსავალი იზრდება. უკანასკნელი წევრის სიკვდილის შემდეგ წყდება სასესხო ვალდებულება. ამ ჯგუფში თითოეული ფიქრობს, რომ სხვა უფრო ადრე მოკვდება, თვითონ სხვებზე მეტხანს იცოცხლებს და ამგვარად დიდ მოგებას მიიღებს. სახელმწიფოც თავის მხრივ იმედოვნებს, რომ სანამ ამ პროცენტებით მათ თავნსაც გაისტუმრებს, ის ჯგუფი სულ ამოწყდება და ამნაირად მოგებული დარჩება.

შემოსავლის მიღების მიხედვით გაარჩევენ პ რ ო ც ე ნ ტ ი ა ნ და უ პ რ ო ც ე ნ ტ ო (ან ო ო ბ ე ბ ი ა ნ) სესხებს. პროცენტიანი სესხები ღებულობენ სარგებელს დაწესებული პროცენტის მიხედვით. უპროცენტო სესხი სარგებელს ღებულობს მოგების მიხედვით.

სესხები შესაძლებელია გამოშვებულ იქნეს ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ვ ა ლ უ ტ ა ში და უ ც ხ ო უ რ ვ ა ლ უ ტ ა ში.

სესხის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მ თ ა ვ რ ო ბ ა თ ა შ ო რ ი ს ი ს ე ს ხ ე ბ ი. ეს არის სესხი, რომელსაც შეთანხმების საფუძველზე ერთი ქვეყნის მთავრობა აძლევს მეორე ქვეყნის მთავრობას. ეს არის სესხის არაობლიგაციური ფორმა.

ცნობილია აგრეთვე სახელმწიფო მოკლევადიანი სესხი ს ა ხ ა ზ ი ნ ო ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ებ ი ს ა და ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ა მ ა ს უ ქ ე ბ ი ს სახით. მათ უწოდებენ აგრეთვე მიმდინარე სახელმწიფო ვალს. ამ სესხების გავრცელება დაწყებულ იქნა XVIII საუკუნის ბოლოდან, სახაზინო თამასუქებს ინგლისში, მაგალითად, ყიდდნენ აუქციონის წესით.

ამ ფორმის სესხს სახელმწიფო მიმართავდა ხოლმე ფულის გაჭირვების დროს ბიუჯეტური ხარჯების დასაფარავად. სახაზინო ვალდებულებებსა და სახაზინო თამასუქებს შორის ის განსხვავებაა.

რომ სახაზინო ვალდებულება არის მოკლევადიანი ობლიგაცია. სახაზინო თამასუქი კი — სახელმწიფოს საგალო ვალდებულება. რომლის პროცენტები ჩართულია თამასუქის თანხაში.

ამ ფორმის სესხები აუარესებენ ქვეყნის ფულად მიმოქცევას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებობს ცენტრალური მთავრობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოშვებული სესხები. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება სესხები, გამოშვებული ადგილობრივი ორგანოების, თვითმმართველობების, მუნიციპალიტეტებისა და სხვ. მიერ. ფედერაციულ სახელმწიფოებში არის ცენტრალური ფედერალური ხელისუფლების მიერ გამოშვებული სესხები და არის ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოებრივი ერთეულების (მაგალითად, აშშ-ის) მიერ გამოშვებული.

წინათ სესხი აიღებოდა განსაკუთრებული უზრუნველყოფით. ასეთ უზრუნველყოფას წარმოადგენდა ძვირფასეულობა და უძრავ-მოძრავი ქონება დაგირავებით. მთავრებს პირადი პასუხისმგებლობაც ეკისრებოდათ კრედიტორების წინაშე. შემდეგ სახელმწიფო კრედიტის უზრუნველსაყოფად საჭირო შეიქნა სხვა უფლებრივი გარანტიები, მაგალითად, სახელმწიფოებრივ შემოსავალთა წარდგენა. წინათ გირაოს ობიექტებად გამოდიოდა დომენებისა და რეგალიების შემოსავალი. სახელმწიფო გადასახადების როლის გაძლიერების შემდეგ გირაოს საგნად გადასახადები გახდა.

III. სახელმწიფო სესხის გავრცელებისა და დაფარვის ხერხები

1. სესხების რეალიზაცია

სესხის გამოშვება შეიძლება პირდაპირი და არაპირდაპირი გზით.

სესხის პირდაპირი გამოშვების დროს სახელმწიფო სესხის გავრცელებლად პირდაპირ მიმართავს მოსახლეობას. მათზე ყიდის ობლიგაციებს თავისი სახელით და თავის ხარჯზე. სესხის გასაღება წარმოებს აგენტების საშუალებით, რომელთაც საკომისიო საფასურს აძლევს. ასეთ სესხს ეწოდება საკომისიო სესხი. სესხის გავრცელება ხდება აგრეთვე საჯარო ხელმოწერით. ფინანსური მმართველობა მოსახლეობას მოუწოდებს მონაწილეობა მიიღოს მისესხებაში.

სესხის გავრცელების არაპირდაპირ გზას წარმოადგენს სესხის

გავრცელება მსხვილი ბანკებისა და კომპანიების საშუალებით. ბანკები შეისყიდიან ყველა ობლიგაციას და მერე ხელსაყრელად ავრცელებენ მას მოსახლეობაში. ფასის სხვაობა, რომლის მიხედვითაც შეიძინეს და გაყიდეს, წარმოადგენს მის მოგებას.

შინაგან სესხებს ჩვეულებრივად ავრცელებენ ცენტრალური საემისიო ბანკები. ისინი თავის მხრივ იყენებენ შემნახველ სალაროებს, დამზღვევ კომპანიებს და სხვ.

ბანკები ხშირად ავრცელებენ ობლიგაციებს კომისიის საფუძველზე. რაშიც ღებულობენ საკომისიოს. საგარეო სესხებს ან ერთი ქვეყნის მთავრობა აძლევს მეორე ქვეყნის მთავრობას (ეს, როგორც წესი, უობლიგაციოა), ან კონსორციუმები აძლევენ თავისი ქვეყნის ან მეორე ქვეყნის მთავრობას. ეს სესხი ობლიგაციურია.

კაპიტალისტური მონოპოლიის ფორმას წარმოადგენს ამ მიმართულებით კონსორციუმი, რომელიც არის რამდენიმე ბანკის ან მსხვილი კაპიტალისტების მონაწილეობა რომელიმე განსაზღვრული ფინანსური ოპერაციის განხორციელებაში, მაგალითად, სესხის რეალიზაციაში და სხვ.

„ანდერაიტინგი" არის სახელმწიფო სესხის გაუვრცელებლობისაგან თავის დაზღვევის ხერხი. იგი გავრცელებულია აშშ-ში და მდგომარეობს შემდეგში: ბანკი, რომელიც მეთაურობს სესხის გავრცელებას, დაიხმარს სხვა ბანკებს იმ მხრივ, რომ თუ სესხი არ გავრცელდა, ისინი გარკვეული ზომით (კურსში წინდაწინ შეთანხმებით) თვითონ იყიდიან. ამგვარად, ისინი ხელს უწყობენ სესხის გავრცელებას. თუ სესხი წარმატებით გასაღდა, ამ გაწეული რისკისათვის წამყვანი ბანკებიდან ისინი გასამრჯელოს ღებულობენ.

ობლიგაცია არის სავალო ვალდებულება, რომელშიც აღნიშნულია სარგებლის გადახდის პირობები, გადახდის ვადა და აგრეთვე ის პირობები, როცა სესხი ვადიანია.

სესხის ნომინალური ღირებულება არის თანხა, რომელიც აღნიშნულია ობლიგაციაზე.

სესხის საკურსო ღირებულება არის სესხის ღირებულება სასესხო კაპიტალების ბაზარზე; ეს არის მისი საბაზრო ფასი, რომლის მიხედვით ობლიგაციებს ყიდულობენ და ყიდიან საფონდო ბირჟაზე, ან ყიდულობენ და ყიდიან ბანკები. კურსი ან მეტია ან ნაკლებია ნომინალზე. როდესაც კურსი მეტია ნომინალზე, მაშინ ის აღინიშნება როგორც კურსი აჟიო, თუ ნაკლებია, როგორც კურსი „დიზაჟიო". კურსი და ნომინალი იშვიათ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს. მას უწოდებენ კურსი „ალ-პარი".

ობლიგაციის კურსი დამოკიდებულია ნომინალური პროცენტისა და სასესხო პროცენტის სიდიდისაგან.

სესხის ნომინალური შემოსავლიანობა გაირჩევა ფაქტიური შემოსავლიანობისაგან.

2. სახელმწიფო ვალების მმართველობა

სახელმწიფო ვალების მმართველობა გულისხმობს მთავრობის ღონისძიებებს, რაც დაკავშირებულია სესხების მომსახურებასთან.

ბიუჯეტური გასავლის შემცირების მიზნით სახელმწიფო ხშირად მიმართავს სესხების პირობების შეცვლას, რაც გამოიხატება სესხების კონსოლიდაციასა და კონვერსიაში.

კ ო ნ ს ო ლ ი დ ა ც ი ა ნიშნავს მიმდინარე ვალის (გრძელვადიანად) ფუძიანად გარდაქცევას: იგი ნიშნავს აგრეთვე რამდენიმე ძველი ვალის, რომლებიც აღებულია სხვადასხვა პირობებში, განსაკუთრებით პროცენტების მხრივ სხვადასხვა სიმაღლის ვალების ერთ ვალად გარდაქმნას. კონსოლიდაციის მიზანია ან მხოლოდ მმართველობის ანგარიშიანობის გამარტივება, ან გასტუმრების პირობების შეცვლა.

კ ო ნ ვ ე რ ს ი ა. კონვერსიაში იგულისხმება გარდაქმნათა ყველა სახე სავალო ვალდებულებათა მიმართ. ის ყველაფერს შეეხება — როგორც პროცენტების სიდიდეს, გასტუმრების პირობებს, ისე ვალუტის ცვლილებებს და სხვ.

კონვერსია ნიშნავს ერთი ფორმის ვალის შეცვლას მეორე ფორმის ვალად: მიმდინარე ვალისა — ფუძიანად, ვადიანი ვალისა — სარენტოდ, უსახელო ვალისა — სახელობითად.

კონვერსია არის იძულებითი და ნებაყოფლობითი. იძულებითი კონვერსიის დროს ობლიგაციის მფლობელის სურვილისაგან დამოუკიდებლად უნდა გამოიცვალოს ძველი ობლიგაცია ახალ ობლიგაციაზე, რომელშიც შეცვლილია სესხის პირობები დებიტორის სასარგებლოდ. ნებაყოფლობითი კონვერსიის დროს ობლიგაციის მფლობელმა უნდა აირჩიოს სურვილის მიხედვით ან ახალი ობლიგაცია ნაკლები სარგებლით, ან დაიბრუნოს უკანვე თავისი გასესხებული თანხა.

3. სახელმწიფო სესხის დაფარვა

სახელმწიფო სესხის დაფარვა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ აღებული სესხის გასტუმრებას. საშინაო სესხების დაფარვისას სახელმწიფო ან ერთდროულად გამოისყიდის ყველა ობლიგაციას სრული

თანხით, ან — ნაწილობრივად, ანდა დაფარვას აწარმოებს ყოველ-წლიურად თანაბარ ნაწილებად; სახელმწიფო ობლიგაციის მქერელთ სესხს უხდის სარგებლის ჩათვლით ან კიდევ ობლიგაციებს თანდა-თანობით შეისყიდის საფონდო ბირჟაზე. სესხის გასტუმრება ხდება აგრეთვე დაფარვის ტირაჟებით. იმპერიალიზმის პირობებში უფრო გავრცელებულ ფორმას სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს.

დაფარვის ტირაჟი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო. სესხის პირობის თანახმად, განსაზღვრულ ვადებში გაისტუმრებს სესხის განსაზღვრულ ნაწილს დაფარვის ტირაჟების მოწყობით.

სესხის დაფარვა ხდება აგრეთვე დაფარვის ფონდის საშუალებითაც. დაფარვის ეს ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო სესხის აღებისთანავე ქმნის მისი გასტუმრების ფონდს. ამ ფონდში გადარიცხავს თავისი სახელმწიფო შემოსავლების ნაწილს. როდესაც გარკვეული ოდენობის თანხა დაუგროვდება, ის აყენებს სესხის გამოსყიდვის საკითხს. იმპერიალიზმის პირობებში ამ ხერხს არ იყენებენ.

ინგლისელმა პრაისმა XVIII საუკუნეში შეიმუშავა „ავტომატური დაფარვის ფონდის“ იდეა. ამ თეორიის საფუძვლები მარქსს განხილული აქვს „კაპიტალის“ III ტომში:

„წარმოდგენამ კაპიტალზე, როგორც ისეთ ღირებულებაზე. რომელიც თვითონ ახდენს თავისსავე კვლავწარმოებას და კვლავწარმოებაში იზრდება. როგორც ღირებულებაზე, რომელიც მარად შეინახება და იზრდება მისი თანდაყოლილი თვისების მეოხებით, — ე. ი. იდუმალი თვისების გამო. რომელზედაც სქოლასტიკოსები ლაპარაკობდნენ, — ამ წარმოდგენამ დ-რ პრაისი მიიყვანა საარაკო გამონაგონამდე, რაც გაცილებით აღემატება ალქიმიკოსების ფანტაზიებს; გამონაგონამდე. რომელიც პიტს სერიოზულად სჯეროდა და რომელიც მან თავის კანონებში sinking fund-ის (სახელმწიფო ვალების დასაფარავი ფონდის) შესახებ თავისი ფინანსური მეურნეობის დედაბოძად აქცია...

ფული, რომელსაც სარგებელზე სარგებელი მოაქვს, დასაწყისში ნელა იზრდება; მაგრამ რადგან ზრდის ტემპი სულ უფრო და უფრო ჩქარდება, ამიტომ იგი რამდენიმე ხნის შემდეგ ისე სწრაფი ხდება. რომ ყოველ წარმოსახვას აღემატება. ერთი პენი, ჩვენი მაცხოვარის დაბადების დროს 5%-ად სარგებელზე სარგებლით გასესხებული. ახლა უკვე ისეთ თანხად გაიზრდებოდა, რომელიც გადააჭარბებდა 150 მილიონი დედამიწის სფერო რომ წმინდა ოქროსგან ჩამოესხათ. მაგრამ იგივე პენი მარტივი სარგებლით სესხად გასესხებული, იმავე დროისათვის მხოლოდ 7 შილინგ 4 ½ პენსამდე გა-

�дебоба. дღეგანდლამდე ჩვენი მთავრობა ამ უკანასკნელი გზით სარგებლობდა თავისი ფინანსების გასაუმჯობესებლად. ნაცვლად იმისა, რომ პირველით ესარგებლა[1].

კაპიტალიზმის პირობებში კრიზისები მძვინვარებენ არა მარტო წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში, არამედ კრედიტისა და ფულის ბრუნვის სფეროშიც და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებიც ქრონიკული დეფიციტის ვითარებაში მოექცნენ. ყოველივე ამას კი შედეგად სდევს „სახელმწიფოს მიერ საგარეო და საშინაო ვალების ლეგალიზებული გადაუხდელობა". ანუ სახელმწიფო გაკოტრება. კრიზისები არყევენ საკრედიტო სისტემის საფუძვლებს, იწვევენ კაპიტალის ექსპორტის შეწყვეტას, საგარეო ვაჭრობის შემცირებას. საგარეო ბაზრებისათვის ბრძოლის გაძლიერებას. სავაჭრო ომებს ქვეყნებს შორის.

სახელმწიფოს გაკოტრება ეწოდება ისეთ მდგომარეობას, როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფო ფარულად თუ აშკარად ამცირებენ თავის შეუძლებლობას სესხის გასტუმრების საქმეში. ვალების დაფარვის ერთ-ერთ ამგვარ ხერხა წარმოადგენს სახელმწიფო სესხების ანულირება.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ რ ე დ ი ტ ი ს ა ნ უ ლ ი რ ე ბ ა. სახელმწიფო საკრედიტო ვალდებულებათა ანულირება არის საგანგებო ღონისძიება. რომელსაც მიმართავს სახელმწიფო-მსესხებელი კრედიტორის მიმართ, რაც გამოიხატება სესხის პროცენტების გადახდის შეწყვეტასა და ძირითადი თანხის დაბრუნებაზე უარის თქმაში. სახელმწიფო საკრედიტო ვალდებულების ანულირება ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც სახელმწიფო მსესხებელი აუქმებს ან ყიდულა საკრედიტო ვალდებულების. ან ზოგიერთი მოვალეების იურიდიულ მნიშვნელობას. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, როდესაც ანულირებას საფუძვლად არ უდევს სახელმწიფოს გაკოტრება. მაშინ ანულირებას ახდენენ ან შესყიდვით, ან ანულირებული სებუთის მაგივრ ახლის გაცემით. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ანულირება ხშირად წარმოადგენდა ერთგვარ საფარს, რომელიც მალავდა სახელმწიფო გაკოტრებას, რაც არაიშვიათი შემთხვევა იყო დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოთა ცხოვრებაში. მარტო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა მე-19 საუკუნეში სახელმწიფო გაკოტრების 22 შემთხვევა განიცადეს. სახელმწიფო სესხის ანულირებაში ხშირად იმალება მთავრობის სპეკულაცია და მევახშური გარიგება. საკრედიტო ვალდებულებათა ანულირება შესაძლებელია გამოწ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნ. I, 1959, გვ. 498—499.

ვეული იყოს სოციალურ ჯგუფებთან ბრძოლის, საზღვარგარეთულ ვალდებულებათა ლიკვიდაციის ან სახელმწიფოს ვალდებულებათა შემცირების მიზნით. სესხების ანულირების დროს სახელმწიფოს შეუძლია სხვადასხვანაირად მოექცეს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, რომელთაც ეს ვალდებულებანი უჭირავთ.

სახელმწიფო გაკოტრების ფორმები სხვადასხვაგვარია. ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს „რეპუდიცია", როდესაც სახელმწიფო ოფიციალურად აცხადებს სესხის გადახდის შეუძლებლობას. ეს შესაძლებელია გამოიხატოს იმით, რომ ან კატეგორიულ უარს აცხადებს პროცენტების გადახდაზე და დაშრეტაზე, ან მხოლოდ ნაწილობრივ გადახდას პირდება, ან ვადას იგრძელებს. ფარული გაკოტრების ფორმას წარმოადგენს ისეთი ანულირება, როდესაც სახელმწიფო სარგებელს ოქროს მაგიერ გაუფასურებული ქაღალდის ფულით იხდის, როდესაც სარგებელს ამცირებს ან კუპონებზე დიდ გადასახადს აწესებს.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო სესხის ისტორიაში ცნობილია საკრედიტო ვალდებულებათა ანულირების მრავალი შემთხვევა მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის ვითარებაში. იგი სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა იმპერიალიზმის, განსაკუთრებით კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში.

IV. შემნახველი სალაროები და სახელმწიფო კრედიტი

შემნახველი სალაროები დაკავშირებული არიან სახელმწიფო კრედიტთან. შემნახველი სალაროების ანაბრები არსებითად წარმოადგენენ უვადო სახელმწიფო სესხს. მასვე მიეკუთვნება შემნახველი სალაროების მიერ ანაბრების ნაწილის სესხის ობლიგაციებად გარდაქმნა.

რამდენადაც ანაბრები შედგება მშრომელთა დანაზოგებისაგან, უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა დიდ ნაწილს არაფერი აქვს შემნახველ სალაროებში შესანახი. ამასთანავე, მარქსის სიტყვებით, შემნახველი სალაროები მუშას აქცევენ საანგარიშო მანქანად. შემნახველი სალაროები კაპიტალიზმის პირობებში წარმოადგენენ კაპიტალისა და დესპოტიზმის სამმაგი ჩაგვრის იარაღს. შემნახველი სალაროების საშუალებით კაპიტალს შეაქვს უთანხმოება მეანაბრე მშრომელებსა და არამეანაბრე მშრომელებს შორის. კაპიტალს მეანაბრე მშრომელები დაბმული ჰყავს ოქროს ჯაჭვით. ანაბრების დაკარგვის შიშის გამო ისინი დაინტერესებული არიან არსებული წყო-

ბილების შენარჩუნებით. მეორე მხრივ, მუშები კაპიტალისტებს თა-
თონ აძლევენ იარაღს თავის დასამონებლად: თავიანთ დანაზოგ
სახსრებს აძლევენ თავიანთივე მტრებს.

მესამე მხრივ, შემნახველი სალაროებიდან სახსრები გადადის ნა-
ციონალურ ბანკებში. საიდანაც ის გააქვთ კაპიტალისტებს. მუშებ ს
მიერ აუცილებელი ღირებულების ხარჯზე დანაზოგ სახსრებს კიდევ
აქცევენ კაპიტალად და ხელმეორედ ექსპლოატაციას უწევენ მუ-
შებს.

ასევე ვ. ი. ლენინმა შეისწავლა შემნახველი სალაროების როლი
კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ვითარებაში და მათი კლასობრივი
ბუნება.

ლენინმა თავის სტატიაში „რუსეთის ეკონომიური ცხოვრები-
დან" მოგვცა შემნახველი სალაროს ეკონომიკურ-ფინანსური ბუნე-
ბის ღრმა მეცნიერული ანალიზი. ამ სტატიაში ლენინმა გაარკვია
მარქსიზმის მოდური „კრიტიკის მომხრეთა (დავიდის, ჰერცის, ჩერ-
ნოვის, ბულგაკოვის, პროკოპოვიჩის, ტოტომიანცის და პროფესო-
რების—კაბლუკოვისა და კარიშევის) შესედულებები, რომელთა მი-
ხედვით შემნახველი სალაროები გვიჩვენებენ კაპიტალის დეცენ-
ტრალიზაციას და არა კონცენტრაციას, მიგვითითებენ ხალხის
წვრილ დანაზოგთა ზრდაზე და არა სიღარიბის ზრდაზე.

ვ. ი. ლენინი სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით და საერ-
თოდ ეკონომიკური ანალიზით გვაძლევს იმ კონტრასტების ახსნას,
რაც აისახებოდა იმდროინდელი რუსეთის განვითარებაში. ანაბარ-
თა თანხა ყველაზე სწრაფად იზრდებოდა შიმშილობის წლებში,
1891 და 1892 წლებში. 1880—90-იან წლებში „ხალხის დანაზოგთა"
ზრდასთან ერთად ხდებოდა გლეხთა გაღატაკება, გაჩანაგება. ლენი-
ნი აღნიშნავს, რომ იმდროინდელი პერიოდის რუსეთის ეკონომი-
კური ცხოვრების თავისებურება გამოიხატებოდა ფულადი მეურ-
ნეობის ზრდით. შემნახველ სალაროებში დანაზოგთა გადიდება ლე-
ნინის მიხედვით უნდა ავხსნათ არა „ხალხის დანაზოგთა" ზრდით,
არამედ ფულად „დანაზოგთა" ზრდით. ნატურალური მეურნეობიდან
ფულად მეურნეობაზე გადასვლის დროს შესაძლებელია ფულად
დანაზოგთა ზრდა ხალხის დანაზოგთა საერთო თანხის შემცირების
პირობებშიც. ეს მოვლენა გვიჩვენებს ცხოვრების ბურჟუაზიულად
განვითარებას. გლეხთა მცირე ნაწილი მდიდრდება და ქმნის ფულად
დანაზოგებს.

ამ აზრის საილუსტრაციოდ და მაშინდელი შემნახველი სალარო-
ების ბუნების დასახასიათებლად ლენინს მოაქვს შემდეგი სტატის-
ტიკური მონაცემები: „ყველაზე მსხვილი მეანაბრეები ს ა მ ღ ვ დ ე-

ლ ო ე ბ ა ა: 46 მილიონი მანეთი 137 ათას წიგნაკზე. ე. ი. თითო წიგნაკზე 333 მანეთი. სამწყსოს სულის ცხონებაზე ზრუნვა, ეტყობა, სახეირო საქმე ყოფილა... შემდეგ მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ნ ი: 9 მილიონი მანეთი 36 ათას წიგნაკზე. ე. ი. თითო წიგნაკზე 268 მანეთი; შემდეგ—ვ ა ჭ რ ე ბ ი: 59 მილიონი მანეთი 268 ათას წიგნაკზე, ე. ი. თითო წიგნაკზე 222 მანეთი; შემდეგ ოფიცრები — თითო წიგნაკზე 219 მანეთი; სამოქალაქო მოხელეები—202 მანეთი წიგნაკზე. მხოლოდ შეექვსე ადგილზე დგას „მიწათმოქმედება და სოფლის სარეწები": 640 თასი წიგნაკი 126 მილიონი მანეთი თანხით, ე. ი. წიგნაკზე 197 მანეთი; შემდეგ — „კერძო სამსახურის მოსაქმეობა"—თითო წიგნაკზე 196 მანეთი; „სხვა მოსაქმეობა"—თითო წიგნაკზე 186 მანეთი; ქალაქის სარეწები — 159 მანეთი წიგნაკზე; „მომსახურება" — 143 მანეთი წიგნაკზე; მ უ შ ა ო ბ ა ფ ა ბ რ ი კ ე ბ ს ა დ ა ქ ა რ ხ ნ ე ბ შ ი — 136 მანეთი წიგნაკზე, და სულ უკანასკნელ ადგილზე — ჯარისკაცები — 86 მანეთი წიგნაკზე"[1].

ამგვარად, ფაბრიკა-ქარხნების მუშების დანაზოგთა წილი ძალიან მცირეა. ასევე მცირეა გლეხთა დანაზოგების წილი, გარდა იმ მცირედი ნაწილისა, რომელიც წვრილ მწარმოებელთა წრიდან გამოიყოფა და მასის ექსპლოატაციის ხარჯზე მდიდრდება.

ამგვარად, კაპიტალის კონცენტრაცია და მოსახლეობის მასის გაჩანაგება შემნახველ სალაროებშიც იჩენს თავს.

ლენინი იქვე გვაძლევს იმის ანალიზსაც, თუ რაში გამოიყენებოდა შემნახველი სალაროს კაპიტალები. მეფის მთავრობა, პირველ ყოვლისა, მას იყენებდა სამხედრო და პოლიციურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს გასამტკიცებლად. იგი შემნახველი სალაროებიდან სესხულობდა სახსრებს ომისათვის, გაბატონებულ კლასთა დასაფინანსებლად და სხვ. „...1899 წელს შემნახველი სალაროების მთელი თანხიდან — 679 მილიონი მანეთიდან 613 მილიონი მანეთი პროცენტიან ქაღალდებში იყო მოთავსებული, სახელდობრ: 230 მილიონი მანეთი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ე ს ხ ე ბ შ ი, 215 მილიონი მანეთი — საადგილმამულო ბანკების გირავნობის ფურცლებში და 168 მილიონი მანეთი — სარკინიგზო სესხებში"[2].

ხაზინა ყველა ხარჯის გასტუმრების შემდეგ შემნახველი სალაროებიდან ღებულობდა წმინდა მოგებას. ის აიძულებდა მეანაბრეებს დაეფარათ სახელმწიფო მეურნეობის დანაკლისი. ხაზინა ამ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რუსეთის ეკონომიური ცხოვრებიდან. თხზ., ტ. 6, 1956, გვ. 97.

[2] იქვე. გვ. 101—102.

ცირებდა ფულადი ანაბრების პროცენტს, რაც ქაღალდის პროცენტებზე უფრო დაბალი იყო. „პროცენტის შემცირება, — წერდა ლენინი, — როგორც ვიცით, საერთო მოვლენაა ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის, და ეს მოვლენა ყველაზე თვალსაჩინოდ და ნათლად ამტკიცებს მსხვილი კაპიტალისა და მ ს ხ ვ ი ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ზ რ დ ა ს წ ვ რ ი ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ზ ე, რადგან პროცენტის სიდიდე საბოლოო ანგარიშით განისაზღვრება მოგების მთელი თანხისა და წარმოებაში შეტანილი კაპიტალის მთელი თანხის თანაფარდობით“[1]. ხაზინა ძლიერ ექსპლოატაციას უწევდა აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს.

ამავე სტატიაში ლენინი აკრიტიკებს იმხანად გავრცელებულ ბურჟუაზიულ შეხედულებას, რომლის მიხედვით შემნახველი სალაროს წვრილი მეანაბრენი ხდებოდნენ რკინიგზის მესაკუთრენი და მიწის გირავნობის ფურცლების მფლობელნი. ამას თითქოს ადასტურებდა ის გარემოება, რომ სალაროები 215 მილიონ მანეთს ათავსებდნენ საადგილმამულო გირავნობის ფურცლებში, 168 მილიონ მანეთს — სარკინიგზო სესხებში. ამგვარად. მათი აზრით, ხდებოდა დეცენტრალიზაცია ისეთი მსხვილი საწარმოებისაც კი, როგორიც რკინიგზები და ბანკებია და ისინი გადადიოდნენ წვრილ- მესაკუთრეთა ხელში აქციების, ობლიგაციებისა და გირავნობის ფურცლების შესყიდვით.

ლენინის აზრით, ის ფაქტი, რომ შემნახველი სალაროების საშუალებით მუშებისა და წვრილ მწარმოებელთა უფრო მეტი რიცხვი ხდება მსხვილ საწარმოთა მონაწილე „...ამტკიცებს არა მესაკუთრეთა რიცხვის ზრდას, არამედ: 1. შრომის განსაზოგადოების ზრდას კაპიტალისტურ საზოგადოებაში და 2. მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების მზარდ დამორჩილებას“[2].

V. საერთაშორისო სახელმწიფო კრედიტი

საერთაშორისო კრედიტი ნიშნავს ისეთ ურთიერთობას, როდესაც განსაზღვრული ვადით სესხი ეძლევა უცხოელ მსესხებლებს. სესხი შესაძლებელია იყოს ფულადი ან ნატურალური—საქონლის სახით (მანქანები და სხვ.). ამ სესხის დაფარვის ფორმა განსაზღვრულია ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს ან ოქროს, ან უცხოურ ვალუტას, ან საქონლის მიწოდებასა და სხვ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რუსეთის ეკონომიური ცხოვრებიდან, თხზ., ტ. 6, 1956, გვ. 102.

[2] იქვე, გვ. 105.

საერთაშორისო კრედიტი ფართოდ გავრცელდა მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. საზღვარგარეთ კაპიტალი გაიზიდება წარმოებრივი ფორმით ან სასესხო-ფულადი ფორმით. წარმოებრივი ფორმა აქვს საერთაშორისო კრედიტს, როდესაც ხდება კაპიტალების დაბანდება საზღვარგარეთულ წარმოებაში, როგორიცაა რკინიგზების მშენებლობა, სამთო წარმოება და სხვ., სესხს ფულადი ფორმა აქვს, როდესაც მსესხებლად გამოდის უცხოეთის მთავრობა, ბანკები, სამრეწველო საზოგადოებანი და სხვ.

იმპერიალიზმის პირობებში საგარეო სესხი არის კაპიტალის ექსპორტის ერთ-ერთი ფორმა და იმპერიალისტური სახელმწიფოები მას იყენებენ როგორც იარაღს სუსტი ქვეყნების თავის გავლენის ქვეშ მოსაქცევად.

დაკრედიტების სუბიექტებია ამა თუ იმ სახელმწიფოს ხაზინა, ცენტრალური ბანკები, აშშ საექსპორტ-იმპორტო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი.

ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ა ვ ა ლ უ ტ ო ფ ო ნ დ მ ა მოქმედება დაიწყო 1947 წლიდან. იგი შექმნილია გაერთიანებულ ერთა სავალუტო-ფინანსური კონფერენციის გადაწყვეტილებით. 1969 წლისათვის ფონდის წევრთა რაოდენობა შეადგენდა 112. სოციალისტური სახელმწიფოებიდან მასში შედის იუგოსლავია. წესდების მიხედვით, ფონდმა ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას, თვალ-ყური ადევნოს სავალუტო შეთანხმებათა დაცვას, ფონდში შემავალ წევრებს მიაწოდოს მოკლევადიანი კრედიტები საგადამხდელო ბალანსების გასათანაბრებლად. ფონდის საკრედიტო რესურსები იქმნება მისი ძირითადი კაპიტალიდან და დაგროვებიდან. ძირითადი კაპიტალი შედგება მასში შემავალ წევრთა შენატანებიდან. შენატანები შედგება 25% ოქროსაგან, 75% — ნაციონალური ვალუტის სახსრებისაგან. თითოეულ წევრს ავტომატურად შეუძლია მიიღოს კრედიტი მისი შენატანის 25%-ის ოდენობით. სესხის მიღება შეიძლება 3—5 წლის ვადით. 1969 წლის დასაწყისისათვის ფონდის ძირითადი კაპიტალი შეადგენდა 21.2 მილიარდ დოლარს. ფონდის ადმინისტრაცია ვაშინგტონშია.

რ ე კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ი ს ა დ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ბ ა ნ კ ი შექმნილია გაერთიანებულ ერთა სავალუტო-ფინანსური კონფერენციის გადაწყვეტილებით. მან მოქმედება დაიწყო 1946 წლიდან. ბანკი შედგება 110 წევრისაგან. ბანკის წევრებად შესაძლებელია იყვნენ მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო

ფონდის წევრები. სოციალისტური ქვეყნებიდან მასში შედის იუგოსლავია. ბანკმა წესდების თანახმად დახმარება უნდა აღმოუჩინოს მონაწილე ქვეყნების ეკონომიკის აღდგენას, განვითარებასა და რეკონსტრუქციას. ბანკის საკრედიტო რესურსები შედგება ძირითადი კაპიტალისა და ობლიგაციური სესხისაგან, რომელსაც ავრცელებენ მონაწილე ქვეყნების ბანკებს შორის. 1969 წლის დასაწყისისათვის მისი კაპიტალი შედგებოდა 23 მილიარდი დოლარისაგან. ბანკი იძლევა საშუალო და გრძელვადიან სესხებს – 6.5% წლიურად. სესხი ეძლევა მონაწილე ქვეყნების მთავრობებს. ბანკის ადგილსამყოფელი ვაშინგტონია.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი შექმნილია 1930 წელს. ბანკი დაარსებულია როგორც სააქციონერო საზოგადოება. მისი წევრებია ევროპის ქვეყნების 25 ცენტრალური ბანკი და ამერიკის კომერციული ბანკი „ფესტნეშნლ სიტი ბენკ ოვ ნიუორკ". საბჭოთა კავშირი ბანკში არ მონაწილეობს. წესდებით ბანკმა ხელი უნდა შეუწყოს ცენტრალურ ბანკებს შორის თანამშრომლობასა და საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებას. საწესდებო ფონდი განსაზღვრულია 500 მილიონი ოქროს შვეიცარული ფრანკის (დაახლოებით 163 მილიონი დოლარის) ოდენობით. ბანკის ადგილსამყოფელია ბაზელი.

საერთაშორისო კრედიტის ხაზით სესხს იღებენ მთავრობები, სამრეწველო და სხვა საწარმოები, მუნიციპალიტეტები. კრედიტორებად გამოდიან მთავრობები, ბანკები, ფინანსური კორპორაციები. ქვეყნებიდან კრედიტორები არიან, პირველ რიგში: აშშ, შემდეგ ინგლისი, საფრანგეთი, გფრ, ჰოლანდია და სხვ.

აშშ საერთაშორისო კრედიტს იყენებს სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში შესაჭრელად და უზრუნველყოფს დიდ მოგებას მონოპოლიებისათვის.

ამგვარად, საერთაშორისო სახელმწიფო კრედიტი არის კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომიკური ექსპანსიის ერთ-ერთი იარაღი.

VI. სახელმწიფო კრედიტის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა

1. მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის სახელმწიფო კრედიტის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა

ა). მერკანტილიზმი

სახელმწიფო კრედიტის შესახებ მრავალი აზრი გამოითქვა და მრავალი შრომა დაიწერა. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი გულდას-

მით შესწავლილია სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებებისა და მიმდინარეობების მიერ.

მერკანტილიზმი სახელმწიფო კრედიტს თვლიდა სახელმწიფო შემოსავლის საგანგებო წყაროდ. სახელმწიფოს იგი უნდა გამოეყენებინა ომების დროს და რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევებში. მათი შეხედულებებით, სახელმწიფო კრედიტი ქმნის არამატერიალურ კაპიტალს და ზრდის ხალხის კეთილდღეობას.

კრედიტის მერკანტილისტური თეორია დაკავშირებულია მათ შეხედულებასთან ფულის, ძვირფასი ლითონების, როგორც სიმდიდრის, შესახებ, რომლის თანახმად, სიმდიდრე იქმნება და იზრდება მიმოქცევის სფეროში. ამიტომ ვაჭრობასთან ერთად კრედიტიც წარმოდგენილია საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის საშუალებად.

გერმანელი ფინანსისტი იუსტი, რომელმაც ერთმა პირველთაგანმა ჩამოაყალიბა მოძღვრება სახელმწიფო კრედიტის შესახებ, მას მეტად სასარგებლო მოვლენად თვლიდა. ის მეფეს ურჩევდა ფართოდ გაეშალა საკრედიტო საქმიანობა. მისი აზრით, სახელმწიფო კრედიტი რომ არ ყოფილიყო, მრავალი კარგი წამოწყება ვერ შესრულდებოდა. მრავალი კარგი გეგმა ვერ განხორციელდებოდა. სახელმწიფო კრედიტს შეუძლია გაზარდოს ერის სიმდიდრე, ხალხის კეთილდღეობა, ამასთანავე იუსტი მოითხოვდა ვალის თავის დროზე დაფარვას, რათა კრედიტის ავტორიტეტი არ შერყეულიყო[1].

სახელმწიფო კრედიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე ზონენფელსიც, რომელიც სახელმწიფო შემოსავლის ჩვეულებრივ წყაროდ თვლიდა გადასახადებს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში სასარგებლოდ მიაჩნდა სახელმწიფოს მიერ სესხის აღებაც. მისი აზრით, ის გარემოება, რომ რიგ შემთხვევებში შესაძლებელია სესხი ბოროტად იქნეს გამოყენებული, იმას არ ნიშნავს, რომ სესხს არ შეუძლია სახელმწიფოს სარგებლობა მოუტანოს. მან დაწვრილებით განიხილა სახელმწიფო კრედიტის საკითხი და ჩამოაყალიბა განსხვავებულობა სახელმწიფო და კერძო კრედიტს შორის[2].

მე-18 საუკუნის ფრანგი მწერალი მელონი ამბობდა, რომ სახელმწიფო სესხი ომებისა და განსაკუთრებული შემთხვევების შედეგია, მაგრამ ის ქვეყნისათვის მავნე არ არის. პირიქით, სახელმწიფოს ამდიდრებს. იგი ხელს უწყობს საკრედიტო ნიშნების მიმოქცევას და ამით ხალხს უადვილებს გადასახადების გადახდას, სახელ-

---

[1] Justi. Staatswirtschaft, 1758, S. 451.

[2] Sonnenfels, Grundsätze der Polizei, Handlung und Finanz, 1787, გვ. 381 და შემდეგი.

ᲣᲬᲘᲤᲝ ᲕᲐᲚᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲕᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐᲡᲘ [1].

ᲯᲔᲛᲡ ᲡᲢᲘᲣᲠᲢᲛᲐ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲡ. ᲛᲐᲜ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲮᲔᲠᲮᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲘᲐ ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲡᲐᲜᲝᲑᲘᲗᲘ, ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲘ. ᲗᲣ ᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲤᲐᲠᲝᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲨᲔᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲧᲘᲓᲝᲜ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲙ ᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲓ ᲖᲐᲠᲐᲚᲡ. ᲗᲣ ᲓᲐᲕᲣᲨᲕᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲘᲖᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲒᲐᲜᲫᲔᲣᲚᲝᲑᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲐᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲕᲐᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲐ, ᲘᲒᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲥᲪᲔᲕᲐᲨᲘ. ᲠᲝᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲜᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ [2].

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲡᲢᲘ ᲨᲠᲔᲓᲔᲠᲘ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲓᲐ ᲓᲐᲔᲐᲠᲡᲔᲑᲘᲜᲐ ᲑᲐᲜᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲗ. ᲔᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲝᲓᲐ ᲢᲠᲘᲐᲚᲨᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲐᲦᲑᲐ, ᲮᲐᲖᲘᲜᲐ ᲐᲔᲕᲡᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲣᲬᲣᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲓᲐᲜᲘ ᲨᲔᲔᲥᲛᲜᲔᲑᲝᲓᲐ [3]. ᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲓᲐ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔ ᲑᲣᲠᲯᲣᲐᲖᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲯᲝᲜ ᲚᲝᲡ (1671—1729) ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲠᲙᲐᲜᲢᲘᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ. ᲛᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ ᲤᲣᲚᲨᲘ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲤᲣᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲨᲘᲪ. ᲚᲝᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲤᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲦᲘᲠᲘᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲡᲐᲪ. ᲘᲒᲘ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲡ ᲐᲘᲒᲘᲕᲔᲑᲓᲐ ᲤᲣᲚᲗᲐᲜ.

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘᲡ ᲛᲐᲕᲜᲔ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲥᲐᲠᲬᲧᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲚᲝ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲛᲘᲬᲘᲗ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲣᲚᲘ, ᲚᲝᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲘ-

---

[1] Melon, Essai politique sur le commerce, 1734, გვ. 749 და თავი 20.

[2] James Steuart, Principles of political economy, 1767. გვ 448 და შემდეგი; 474.

[3] Schröder—Fürstliche Schatz- u. Rentkammer, 1724. S. 249.

წის ფასი უფრო ნაკლებად ცვალებადია, ვიდრე სხვა პროდუქტებისა. ლოს თეორიით, კრედიტი არის მონეტა. ამიტომ ჭეშმარიტი კრედიტი შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ მეფეს. ვინაიდან მონეტის მოჭრა, გამოშვება, მაშასადამე, კრედიტისაც სახელმწიფოს კომპეტენციაში შედის. კერძო კრედიტი სახელმწიფო კრედიტის მხოლოდ აჩრდილია.

ლოს აზრით, სახელმწიფო ამრავლებს ფულს, სახელმწიფო სესხები თვით ფულად იქცევა, ძველი სესხები ახლის აღებას აადვილებენ და ამდენად სესხები სახელმწიფოს ამდიდრებენ [1].

ლოს და ყველა ზემოხსენებული ეკონომისტის მოსაზრებათა მცდარობა ემყარებოდა იმ განუვითარებელ არამეცნიერულ შეხედულებას, რომლის თანახმად სიმდიდრე მიმოქცევაში იქმნება. ისინი კრედიტს ვაჭრობასთან ერთად თვლიდნენ სიმდიდრის წყაროდ, მისი გაფართოებით ფიქრობდნენ საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას. ეს აძლევდა შესაძლებლობას ლოს ეფიქრა, რომ ყოველი პროცენტიანი სესხით სახელმწიფო ქმნის ახალ ხელოვნურ კაპიტალს. მისთვის თითქმის არ არსებულ კაპიტალს, ვინაიდან ამ კაპიტალის უკან მოთხოვნა არ შეიძლება; კერძო პირები ამ კაპიტალით მდიდრდებიან.

ბ) კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია

კლასიკურმა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ფიზიოკრატებისა და ინგლისური კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სახით გაილაშქრა სახელმწიფო კრედიტის წინააღმდეგ. ამ დროისათვის სახელმწიფო სესხი დიდად იყო გაზრდილი, რასაც ხელს უწყობდა ომები, სახელმწიფო საგანგებო ხარჯები და სხვ. სახელმწიფო სესხები აადვილებდა ომების წარმოებას და შემდეგ მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას. სახელმწიფო კრედიტს კაპიტალი არამწარმოებლური გამოყენების სფეროში გადაჰქონდა. ასეთი შეხედულება კიდევ უფრო გაღრმავდა პროტექციონიზმის წინააღმდეგ გალაშქრებისა და თავისუფალი ვაჭრობის მოთხოვნილებათა პრინციპის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

თავისთავად ცხადია, რამდენადაც უპირატესობა ეძლეოდა კერძოთა ინიციატივას, მეურნეობრივ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობას, ამდენად სახელმწიფო კრედიტი, რომელიც სახსრებს

---

[1] Law, Lettres sur les banqus (Economistes financiers du dix-huitième siècle, 2 ed, 1851, p. 623; Collection des économistes, p. 44—104, 528—656.

ამოქაჩავდა კერძო მეურნეობიდან და გადასცემდა სახელმწიფოს, ამით მათ მწარმოებლურ დანიშნულებას უკარგავდა.

ამ მხრივ ფიზიოკრატებისა და სმიტის წინამორბედად უნდა ჩაითვალოს დ. ი უ მ ი, რომელმაც საკმაოდ ვრცლად დაასაბუთა სახელმწიფო კრედიტის საკითხი.

იუმი ამბობს, რომ ძველად ყველა ხალხს ჰქონდა ჩვეულება მშვიდობიან დროში მოემარაგებინა ყოველივე ის, რაც საჭირო იყო სახელმწიფო მეურნეობისათვის. ამიტომ ომის დროს აღარ მიმართავდნენ საგანგებო გადასახადებსა და სესხებს. დღეს კი საყოველთაო ჩვეულებად გადაიქცა სახელმწიფო შემოსავალთა დაგირავება და წინაპართა მიერ აღებული ვალების მომავალ თაობაზე გადაკისრება. ყოველი მთავრობა ბოროტად იყენებს ვალების სისტემას.

შემდეგ იუმი ჩამოთვლის სახელმწიფო ვალების სასარგებლო და მავნე მხარეებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ მათი ერთმანეთთან შედარებაც კი არ შეიძლება, იმდენად სჭარბობენ მავნე თვისებები დადებითს.

იუმს ნაციონალური ვალების უარყოფით მხარეებად მიაჩნია ის, რომ ისინი ხელს უწყობენ ადამიანთა თავმოყრას და სიმდიდრის დაგროვებას სარეზიდენციო ქალაქებში. სახელმწიფო ფონდები, რომლებიც ქაღალდის კრედიტის ერთ-ერთ სახედ ვლინდება, იწვევენ ფასების არანორმალურ გადიდებას ყველა საგანსა და შრომაზე; ვალის სარგებლის გადასახდელად ისინი იწვევენ გადასახადების გადიდებას, რაც თავის მხრივ ზრდის ხელფასს და უღარიბეს კლასებს მძიმე ტვირთად აწვება. საგარეო კრედიტის პირობებში კრედიტორი სახელმწიფო დებიტორს მოხარკედ იხდის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მოსახლეობის სახელმწიფოდან გარეთ გასელა და სამრეწველო საქმიანობის საზღვარგარეთ გადატანა. სახელმწიფო სესხი ამრავლებს არამწარმოებლურ ყოფა-ცხოვრებას, რადგან ფასიანი ქაღალდების დიდი ნაწილი იმყოფება უსაქმური ხალხის ხელში. ამ საფუძველზე იუმი მოითხოვდა სახელმწიფო ვალების შეზღუდვას. ორში ერთი მოხდება, ამბობდა იუმი: „ან ერი დაღუპავს საზოგადოებრივ კრედიტს, ან საზოგადოებრივი კრედიტი დაღუპავს ერს“[1].

იუმის დებულება სახელმწიფო კრედიტის არამწარმოებლური ხასიათის შესახებ გაიზიარეს ფიზიოკრატებმა და ინგლისურმა კლასიკურმა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ.

ფ ი ზ ი ო კ რ ა ტ ე ბ ი ს აზრით, სახელმწიფო კრედიტი მავნებე-

---

[1] Д. Ю м, Опыты, М., 1896, стр. 103—119.

ლია სახელმწიფოსათვის. ფ რ ა ნ ს უ ა კ ე ნ ე ს მიხედვით, სახელმწიფო კრედიტი ამრავლებს არამწარმოებლურ კლასს, მოსახლეობის ისეთ ნაწილს, რომელიც სიმდიდრეს არ ქმნის; ცხოვრობს არა სოფლის მეურნეობის შრომით, არამედ კუპონების კრეჭით. სახელმწიფო კრედიტი ამრავლებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, ე. ი. არამწარმოებლურ ფულად სიმდიდრეს. სახელმწიფო სესხის აღება იწვევს მოსახლეობის გადამეტდატვირთვას გადასახადებით. სახელმწიფო კრედიტი სახსრებს ართმევს სახალხო მეურნეობის მწარმოებლურ დარგს — სოფლის მეურნეობას, ამცირებს სოფლის მეურნეობაში დაბანდების შესაძლებლობას და მით სოფლის მეურნეობის კულტურის განვითარებას: კაპიტალისტები სარგებელს (პროცენტებს) უმატებენ უნაყოფო ფულებს, ქმნიან ადვილად გადასამალავ სიმდიდრეს, რომელსაც სამშობლო არა აქვს და ქვეყნიდან ქვეყნად ხეტიალობს[1].

ამავე პოზიციაზე დგას ფიზიოკოატი მირაბო-მამა, რომელსაც სახელმწიფო კრედიტი ქვეყნის გამანადგურებელ ფაქტორად მიაჩნია. მისი აზრით, კრედიტი სახელმწიფოს აჩანაგებს, ხალხს ეს ვერ გაუგია და ბრალს დებს ფინანსთა მინისტრებს, რომ ისინი იწვევენ კრედიტის არევ-დარევას. მირაბოს მიზანშეწონილად მიაჩნია სახელმწიფო ვალები დაიფაროს დიდი გადასახადებით, ომის შემთხვევაშიც კი მიწის მესაკუთრეებზე დაკისრებულ სამხედრო გადასახადებს უფრო უჭერს მხარს, ვიდრე სესხის აღებას რანტიეთაგან.

ფიზიოკრატი ტიურგო ასე ხელაღებით არ ილაშქრებს საერთოდ კრედიტის წინააღმდეგ. მას სესხის სარგებელი კანონიერად მიაჩნია. იგი თავის შრომაში[2] ამტკიცებს იმის აუცილებლობას, რომ სარგებლის ოდენობის განსაზღვრაში უნდა იყოს თავისუფლება; ეს, მისი აზრით, გაპირობებულია ვაჭრობისა და მრეწველობის თავისებურებით. უსარგებლოდ სხვა რატომ გახდის სარისკოდ კაპიტალს? ვაჭრობა რომ მარტო ნაღდად წარმოებდეს, მაშინ დიდი კაპიტალები უქმად იდებოდა, ვაჭრობა ძალიან ძვირი ეღირებოდა. ვინც სხვას ფულს ასესხებს, ის მას სამსახურს უწევს და მისგან რაიმე სამაგიერო უნდა მიიღოს, ვერც ერთი კანონი ამის წინააღმდეგ ვერ იქნება, სარგებელი საფასურია იმისა, რომ ფული გარკვეული დროით სხვას გადაეცა მოსახმარებლად. იგი ისეთივე საფასურია, როგორც რაიმე სხვა ნივთის სარგებლობის საფასური. მესაკუთრე თვითონ აწე-

---

[1] F. Q u e s n a y, Maximes générales de gouvernement économique d' un royaume agricole, Max. XXX.

[2] Anne Robert Jacques T u r g o t, Mémoire sur les prêts d'argent, 1769.

სებს ფასს თავის გასაყიდ ნივთზე, თვითონ აწესებს სამუშაო ხელფასს. ასევე უნდა ჰქონდეს უფლება გამსესხებელს თვითონ დააწესოს სარგებელი კაპიტალზე, როგორც თავის საკუთრებაზე.

ინგლისური კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია სახელმწიფო კრედიტს ახასიათებდა როგორც არამწარმოებლურ კატეგორიას.

ა. სმიტი სახელმწიფო კრედიტის საკითხში განიცდის ფიზიოკრატთა დიდ გავლენას. როგორც ცნობილია, მარქსის დახასიათებიდან, ფინანსურ საკითხებში სმიტმა გადმოიღო ფიზიოკრატების ყველა შეხედულება. იგი ისევე უარყოფითად ეკიდებოდა სახელმწიფო კრედიტს, როგორც ფიზიოკრატები. სმიტის აზრით, სახელმწიფო ვალების დაგროვება ერის წლიურ პროდუქტს აკლებს ერთ ნაწილს, რომელიც აღარ ფუნქციონირებს როგორც კაპიტალი. ამგვარად, სახელმწიფო ვალი ამცირებს მწარმოებლური კაპიტალის ფონდს.

რაც შეეხება სახელმწიფო სესხიდან ამონაგებს, ისიც საზოგადოების არამწარმოებლურ ნაწილს მოემსახურება, იფლანგება წლის განმავლობაში ისე, რომ აღწარმოებას აღარ უბრუნდება.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ა. სმიტი, ფიზიოკრატებთან შედარებით, რამდენადმე უფრო ნაკლებად სასტიკად ეკიდება სახელმწიფო კრედიტს. ომიანობის დროს, სმიტის აზრით, იქმნება აუცილებლობა, რომ სახელმწიფომ სესხს მიმართოს; ეს აუცილებლობა გაპირობებულია მით, რომ სახელმწიფოს მშვიდობიანობის დროს არ უცდია მომჭირნეობა, აგრეთვე მით, რომ ომი დიდ ინტენსიურ ხარჯებს მოითხოვს.

ა. სმიტი წერს: ომის პირობებში სახელმწიფოს „...არ შეუძლია დაუცადოს ახალი გადასახადების თანდათანობით ნელ-ნელ შემოსულობას, უნდა გაწეულ იქნეს სასწრაფოდ დიდი ხარჯები. ასეთ უკიდურესობაში მთავრობას არავითარი სხვა შემოსავალი არა აქვს თუ არა სესხის აღება“[1].

„ასეთი სახელმწიფოს მთავრობა ემყარება თავის ქვეშევრდომთა უნარიანობასა და მზადყოფნას ასესხოს მას ფული საგანგებო ვითარებაში. ის ითვალისწინებს ფულის სესხის სიადვილეს და ამიტომ თავის თავს ათავისუფლებს დაზოგვითი მოვალეობისაგან“[2].

ამიტომ, სმიტის აზრით, ზოგიერთი ომი სრულიადაც არ მოხდებოდა, რომ სახელმწიფო სესხი არ არსებობდეს. წინდაწინვე რომ

---

[1] Адам Смит, Исследование о природе и причинах богатства народов, том II, 1935 г., стр. 417—418.

[2] იქვე, გვ. 419.

იყოს საჭირო გადასახადებით მილიარდიანი თანხების დაწყობა. სახელმწიფოები მრავალ ომზე უარს იტყოდნენ, მაგრამ სესხის აღება აადვილებს დიდი ხარჯების გაწევას, რომელიც შემდეგ ხდება მეტად მძიმე და საგრძნობი. ომი გაივლის ხოლმე და სესხის მავნე შედეგები მის შემდეგაც დიდხანს განაგრძობენ არსებობას. სარგებლის გადახდა და თვით სესხის დაფარვა დიდი ხნის მანძილზე მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. მის სიმძიმეს გრძნობს თანამედროვე საზოგადოება და იგრძნობს მომავალიც. ა. სმიტი ომის დროს უპირატესობას ანიჭებდა უფრო გადასახადების გადიდებას, ვიდრე სესხის აღებას.

ა. სმიტი არ იზიარებს მერკანტილისტთა მცდარ შეხედულებას იმის შესახებ, რომ მიმოქცევის საშუალებათა გადიდებას სარგებლიანობა მოაქვს ქვეყნისათვის.

სმიტის აზრით, სახელმწიფო, როგორც მოვალე, ნდობით სარგებლობს. კაპიტალისტები მას სესხს სიამოვნებით აძლევენ, რაც თავის მხრივ სახელმწიფოს მომჭირნეობის სურვილს უკარგავს. თუ კრედიტორთა დიდი ნაწილი საზღვარგარეთლებია, მაშინ გადასახადების გადიდების გამო მრეწველთა, მიწის მესაკუთრეთა და სხვ. შემოსავალი მცირდება და კაპიტალი საზღვარგარეთ გადის. ვალების ზრდის შესაჩერებლად საჭიროა ომის ხარჯები გადასახადების გადიდებით დაიფაროს. ეს გადასახადები უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ვალის სარგებელი, ამიტომ უფრო მეტად ჩააფიქრებს სახელმწიფოებს შეამცირონ ომები და მისი ხანგრძლივობა. ძველი ვალები უნდა დაფარულ იქნეს ბიუჯეტური ნაჭარბით ან სახაზინო მიწების გაყიდვით და არა — დაფარვის ფონდის შექმნით.

დ. რ ი კ ა რ დ ო სახელმწიფო სესხს ახასიათებდა, როგორც ერის წლიური პროდუქტის ნაწილს. რომლითაც ამცირებენ კაპიტალის დაგროვების ფონდს. მისი აზრით, სახელმწიფო კრედიტს არამწარმოებლური დანიშნულება ეძლევა, იგი ომებისა და სახელმწიფოს სხვა არამწარმოებლური ხარჯების დასაფარავად გამოიყენება. სახელმწიფო კრედიტს ომის ეკონომიკური სიმძიმის მსუბუქ შეფასებამდე მივყავართ. რიკარდოს აზრით, ყველაზე მძიმე გადასახადები სჯობია ყველაზე მოხერხებულ სესხს, ვინაიდან სარგებლის გადახდა და თვით სესხის გასტუმრება დიდი ხნის განმავლობაში ამცირებს ერის შემოსავალს და რიგ შემთხვევებში მძიმე ტვირთად აწვება მომავალ თაობასაც, ამიტომ სამხედრო ხარჯების სესხით დაფარვა არამიზანშეწონილია. სამხედრო ხარჯები უნდა დაიფაროს სამხედრო გადასახადებით, რომლებიც გადამხდელს აიძულებენ სხვა ხარჯები შეამცირონ.

რიკარდო სახელმწიფო ვალს ბოროტებად თვლიდა და ამიტომ პარლამენტში პროექტი წარადგინა ვალები გაეტუმრებინათ ქონებაზე შეწერილი დიდი გადასახადებით, რომლებიც გადამხდელებში დიდი სიმძიმის გამო მომჭირნეობისადმი მიდრეკილებას გააძლიერებდა.

ვალების დაფარვის ფონდი რიკარდოს ზედმეტად მიაჩნია. „დაფარვის ფონდი შემოღებულია მშვიდობიან დროში ნაციონალური ვალის შემცირების მიზნით და ომის გაგრძელების შემთხვევაში მისი სწრაფი ზრდის საწინააღმდეგოდ. სამხედრო გადასახადების ერთადერთი ბრძნული და კეთილი მიზანი, მაშასადამე, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვალის დაგროვების საწინააღმდეგო წინასწარ ზომებს ღებულობს, დაფარვის ფონდი და სამხედრო გადასახადები მხოლოდ იმ შემთხვევაშია სასარგებლო, თუ ისინი გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც მას ახდევინებენ; ის იქცევა ბოროტებისა და მოტყუების იარაღად, თუ მით სარგებლობენ ახალი სესხის პროცენტების გადასახდელად"[1].

რიკარდოს მიხედვით, ვალები უნდა დაიფაროს სწრაფად, სულ 2—3 წლის განმავლობაში საკუთრებაზე დადებული გადასახადებით. სწრაფი გასტუმრების გამო, მისი აზრით, სახელმწიფოს კრედიტორთა ხელში აღმოჩნდება უამრავი თანხები, მრეწველებსა და მიწათმფლობელებს, რომელთაც დიდი გადასახადები გადახდებოდ, გაუჩნდებათ ფულის დიდი მოთხოვნილება. ამას დააკმაყოფილებენ კრედიტორები, რომელთაც ბევრი ფული მიიღეს და, ამგვარად, ნაცვლად სახელმწიფო კრედიტის ურთიერთობისა, გაიშლება კერძო კრედიტის ურთიერთობა. ყოველივე ამით, ამბობს რიკარდო, ერთი დაკვრით დავაღწევთ თავს იმ საშინელ ჭირს, რომელიც ხალხის შესაციწროვებლად გამოუგონიათ.

მერკანტილისტური და ფიზიოკრატული შეხედულებები სახელმწიფო კრედიტის შესახებ ემყარება მათ სხვადასხვა ამოსავალ პოზიციას სიმდიდრის გაგების საკითხში.

მერკანტილისტები კაპიტალს ახასიათებდნენ როგორც ფულს. გამომჩეკ ფულს; გადახდის საშუალების ფუნქციიდან გამომდინარეობს მერკანტილისტთა ლოზუნგი — „სავაჭრო ბალანსი".

მერკანტილისტებს პროდუქტის ფასის გარდამეტი, მისი წარმოების ხარჯებთან შედარებით, გამოყავდათ გაცვლიდან, იქიდან, რომ პროდუქტები მის ღირებულებაზე უფრო მაღლა იყიდება.

ამიტომ მერკანტილისტებმა ვერ შეძლეს კრედიტის, კერძოდ სახელმწიფო კრედიტის მეცნიერული ანალიზი.

[1] Давид Рикардо. Соч., т. II, М. 1955, стр. 263.

ფიზიოკრატებმა, რომელთაც სიმდიდრის წყაროდ აღიარეს მიწათმოქმედებითი და მეცხოველეობითი შრომა. წინ წასწიეს მეცნიერული ეკონომიკური კვლევა. მართალია, ფიზიოკრატებმა ვერ ახსნეს ზედმეტი ღირებულების საიდუმლოება, მაგრამ მისი არსებობა მათთვის ნათელი იყო. მათი აზრით, მხოლოდ მიწათმოქმედებითი შრომა იყო მწარმოებლური, რადგან მხოლოდ მას შეეძლო მიეცა ზედმეტი ღირებულება. აქედან გამომდინარეობდა მათი არასწორი შეხედულება, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომის გარდა, ყველა სხვა შრომა არამწარმოებლურია. ფიზიოკრატების გაგებით, ზედმეტი ღირებულება არსებობს მხოლოდ და მხოლოდ მიწის რენტის სახით[1].

ამ საფუძველზე ისინი არამწარმოებლურად თვლიდნენ სახელმწიფო ვალებს. რომელთაც, მათი აზრით, არ შეეძლოთ შეექმნათ ზედმეტი ღირებულება. პირიქით, სახელმწიფო ვალები ამცირებდნენ იმ ფონდს, რომელიც მიწათმოქმედებაში გამოიყენებოდა. მწარმოებლური გამოყენებისათვის დანიშნულ ფონდს ამცირებდა სახელმწიფოს მიერ სესხის არა მარტო აღება, არამედ, რამდენადაც მას სახელმწიფო არამწარმოებლურად იყენებდა — ვალის სარგებლის გადახდა და თვით ვალის დაფარვაც.

როგორც აღნიშნული იყო, ინგლისურმა კლასიკურმა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გაიზიარა ფიზიოკრატების შეხედულება სახელმწიფო კრედიტის შესახებ. მაგრამ რამდენადაც სმიტმა და რიკარდომ სიმდიდრის წყაროდ ცნეს არა მარტო სოფლის მეურნეობრივი შრომა, არამედ შრომა საერთოდ, ამდენად მწარმოებლური ხასიათი მიენიჭა არა მარტო მიწათმოქმედებას, არამედ სხვა დარგებისათვის დანიშნულ ფონდებსაც. სმიტისა და რიკარდოს აზრით, სახელმწიფო ვალები ამცირებდნენ საერთოდ საზოგადოებრივი პროდუქტის მწარმოებლურ ფონდს. სახელმწიფო ვალები წარმოადგენდნენ ერის პროდუქტის ნაწილს, რომელსაც სახელმწიფო არამწარმოებლურად იყენებდა.

რამდენადაც საკითხი ეხება სახელმწიფო სესხების როლს აღწარმოების პროცესში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესის ანალიზში სმიტი, როგორც მარქსი შენიშნავს, უკან წავიდა და ფიზიოკრატიულ შეცდომებში გადავარდა. მანაც აღიარა, რომ ფერმერის კაპიტალს მოჰყავს მოძრაობაში პროდუქტიული შრომის უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე სხვა რომელიმე კაპიტალს. სმიტი „...ნაბიჯს დგამს წინ სიტყვა „კაპიტალის" ხმარებაში; ამ ცნებას იგი აზოგა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 244, 693.

დებს, დამოუკიდებელს ხდის მას „სამწათმოქმედო" გამოყენების სფეროსაგან, იმ განსაკუთრებული ყურადღებისაგან. რაც დამახასიათებელია ფიზიოკრატებისათვის: მაგრამ იგი ნაბიჯს უკან დგამს, როცა „ძირითადსა" და „საბრუნავ" კაპიტალს შორის არსებულ განსხვავებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს და ამ აზრს მტკიცედ იცავს" [1].

ბ) წვრილბურჟუაზიული რომანტიკოსი — სისმონდი

სისმონდი მტკიცედ ილაშქრებს სახელმწიფო კრედიტის წინააღმდეგ. მისი აზრით, არც ერთი გამოგონება არ იყო ასე დამღუპველი ადამიანთათვის, როგორც სახელმწიფო კრედიტის გამოგონება.

სისმონდის აზრით, ვალის ყველა ფორმა მავნეა, მაგრამ განსაკუთრებით დამღუპველია უწყვეტი რენტების ფორმა, ვინაიდან შორეული თაობაც პასუხისმგებელი ხდება მთავრობის ცოდვებისათვის, რომელმაც გაფლანგა უამრავი კაპიტალი.

სისმონდის მიხედვით, სახელმწიფო ვალი მომავლის განსხვისებაა. სახელმწიფო სესხებით მომავალი წარმოების შედეგები იფლანგება. სისმონდის შეხედულება ემყარება ა. სმიტის არასწორ დებულებას, რომლის მიხედვით მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება შედგება ორი ნაწილისაგან: სამუშაო ხელფასისა და ზედმეტი ღირებულებისაგან. შემდეგ, ახსნის ნაცვლად, სისმონდი ზოგიერთ მოვლენას აქებს, ზოგს აძაგებს. ამ უკანასკნელთა შორის აქცევს იგი სახელმწიფო სესხსაც.

დ) ვულგარიზატორები

სახელმწიფო კრედიტის შესახებ თავისი შეხედულება აქვთ წამოყენებული ვულგარიზატორებსაც, რომლებიც გარეგნულ, მოჩვენებითი ურთიერთობის სფეროში ტრიალებენ და, როგორც კ. მარქსი ამბობს, ცდილობენ „ტლანქი მოვლენები" „ბურჟუაზიულ საშინაო მოთხოვნილებებს" შეუფარდონ. მათთვის დამახასიათებელია აგრეთვე ზოგიერთი თავის დროზე მართებული დებულების გამეორება ისეთ დროს, როდესაც ის ითვლება „ბანალურად, ჩამორჩენილად, მცდარად" [2]. აქვე აღსანიშნავია, რომ ვულგარიზატორთა ერთი ნაწილი — ჯონ სტიუარტ მილი, ჟან ბატისტ სე — ასაბუთებენ თავისებური ფორმით სახელმწიფო ვალების არამწარმოებლურ ბა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. II, 1957, გვ. 453—454.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1954. გვ. 107; ტ. III. ნ. 2. 1959. გვ. 404.

სიათს, მეორე ნაწილი — მალთუსი და სოციალ-პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლები (ლორენც შტეინი, ა. ვაგნერი), აგრეთვე მათი წინამორბედი გერმანელი ეკონომისტები — ნებენიუსი და დიტცელი, პირიქით, სახელმწიფო სესხების მწარმოებლურობას ასაბუთებენ.

ჯონ სტიუარტ მილი საერთოდ მავნედ თვლის სესხს, რომელიც კაპიტალს აცლის მწარმოებლურ დანიშნულებას, მაგრამ, თუ თავისუფალი კაპიტალია სესხად აღებული, მაშინ ის მავნე არ არის. მავნე არ არის სესხი ისეთი ხარჯების აუცილებლობით გამოწვეული, რომელსაც მომავალი თაობისათვის სარგებლობა მოაქვს. სესხი სასარგებლოა ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც გადამეტებული დაბეგვრა ქვეყნის ეკონომიკურ ძალებს ემუქრება და როდესაც კაპიტალის პროცენტი მინიმუმს აღწევს, რაც ხელს უშლის დაზოგვას. მას მავნედ არ მიაჩნია აგრეთვე მთავრობის სესხი, რომელიც ნაციონალური კაპიტალის ნაჭარბიდან ან ისეთი დაგროვებიდან არის აღებული; ეს არ მოხდებოდა, რომ საზღვარგარეთ გასვლას არ ჰქონოდა ადგილი. ის მათი ხარჯვის დროსაც შესაძლებელია სასარგებლო იყოს მუშათა კლასისათვის, თუ ის თანხები, რომლებიც სხვა შემთხვევაში უცხო ქვეყანაში უნდა წასულიყო შრომის შესაძენად, ჯარისკაცთა და მატროსების დასაქირავებლად იქნება გამოყენებული.

ჯონ სტიუარტ მილი ამართლებს უცხოური კაპიტალებიდან აღებულ სესხს. რაც შეეხება საშინაო სესხებს, აქ გამართლებულად მიაჩნია სესხის აღება იმგვარი კაპიტალიდან, რომელიც თავისუფალია, წარმოებისათვის ზედმეტია ანდა არამწარმოებლურად იქნებოდა დახარჯული ომის მეურნეობის მიერ. ყველა სხვა შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს გადასახადებს. მილი არ ეთანხმება რიკარდოს მოსაზრებას ვალების სწრაფად დაფარვის საკითხში. იგი მხარს უჭერს ვალების დაფარვას ბიუჯეტური ნაშთიდან და სახელმწიფო მიწებისა და სხვა ქონებათა გაყიდვით, ესეც იმ შემთხვევაში, თუ ვალების შენარჩუნება სასარგებლო არ არის საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით[1].

როგორც ვხედავთ, ჯონ სტიუარტ მილი ყველა შემთხვევაში არ უარყოფს სახელმწიფო სესხების სასარგებლო ხასიათს. ამასთანავე, ბურჟუაზიულ კლასთა ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობს დაამტკიცოს სახელმწიფო სესხის სარგებლობა მუშათა კლასისათვის.

---

[1] Дж. Ст. Милль. Основания политической экономии, перев. Е. И. Остроградского, 1896, стр. 769—770, 772, 774.

ცნობილი ვულგარიზატორი ჟ ა ნ ბ ა ტ ი ს ტ ს ე სახელმწიფო კრედიტის წინააღმდეგი იყო, რამდენადაც იგი კაპიტალს მწარმოებლურ დანიშნულებას უკარგავს[1].

სეს მიხედვით, სახელმწიფო კრედიტი აადვილებს ომების წარმოებას. მაგარმ თუ კრედიტი გამოყენებულია მეურნეობრივი საქმიანობისათვის, მაგალითად, რკინიგზების მშენებლობისათვის, ის სასარგებლოა, ხოლო თუ სესხად აღებულ კაპიტალს ასეთი დანიშნულება არა აქვს, მაშინ ჯობს იგი მიწაში იყოს ჩამარხული, რადგან ხალხს მასზე სარგებლის გადახდა მაინც აღარ დასჭირდება. მისი აზრით, გაუმართლებელია მავნე სახელმწიფოებრივი კრედიტისათვის მეფეების მიერ განძის შეგროვება, რადგან მთავრობის ხელში კაპიტალების დაგროვება მაცდურია: მას შეუძლია იგი ბოროტად გამოიყენოს.

სე უარყოფდა დამატებითი ფონდების სისტემას და მომბრე იყო ღიდი სამხედრო გადასახადებისა. მისი შეხედულება სახელმწიფო კრედიტზე ემყარება მის გაგებას შრომის მწარმოებლურობისა და არამწარმოებლურობის შესახებ. არამწარმოებლური ხარჯებისა და არამწარმოებლური შრომის განმარტებაში სე უერთდებოდა სმიტის დამხმარე განმარტებას და ამ უსწორო განმარტებათა საფუძველზე აყალიბებდა იგი სახელმწიფო სესხის აღებას.

მ ა ლ თ უ ს ი ს აზრით, სესხის სარგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელს უწყობს სიმდიდრის უფრო თანაბარ განაწილებას. უქმად მდებარე კაპიტალები სარგებლიანად გამოყენებული ხდება. საქონელზე მოთხოვნა იზრდება და იქმნება რანტიეთა ჯანსაღი კლასი („საშუალი კლასი").

ამასთანავე იგი აღნიშნავს ზიანს, რომელიც შესაძლებელია სესხს მოჰყვეს გადამეტებული დავალიანების შემთხვევაში. მალთუსი სწრაფი დაფარვის და დეფლაციის მომხრე არ იყო, რადგან ის, მისი აზრით, ვალების ტვირთს შედარებით ზრდის[2].

როგორც მარქსი შენიშნავს, მალთუსი იცავდა მრეწველი ბურჟუაზიის ინტერესებს, რამდენადაც ის ემთხვეოდა მიწათმფლობელთა და არისტოკრატიის ინტერესებს. სხვანაირად, მალთუსი ხალხის პროლეტარიატის წინააღმდეგი იყო. იქ, სადაც არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, მალთუსი არისტოკრატიის მომხრე იყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ამ ნიადაგზე იცავდა ის „არამწარმოებლურ მუშებს", ფუფუნებას და

[1] J. B. Say, Traité d'économie politique, 1819, II, 395.

[2] Мальтус, Опыт о законе народонаселения, т. II, 1868, С.-Пб, стр. 84—85.

სხვ [1]. ამავე საფუძვლით იყო გაპირობებული რეაქციონერ მალთუსის მიერ სახელმწიფო ვალების დაცვა.

ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთმა მიმდინარეობამ სოციალურ-პოლიტიკურის სახელწოდებით დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა სახელმწიფო სესხებს: ეს მოხდა გერმანიაში.

როგორც ცნობილია, გერმანია დაგვიანებით გამოვიდა კაპიტალისტური განვითარების სარბიელზე. კერძო კაპიტალს გერმანიაში ძალიან დიდი დრო დასჭირდებოდა, რომ საკონკურენციო ბრძოლაში მსოფლიო ბაზრებზე გამკლავებოდა ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის კაპიტალს. დიდი დრო იყო საჭირო გერმანიისათვის, რომ აშშ და ინგლისის მსგავსად, კერძო კაპიტალს დაეგროვებინა იმდენი სიმდიდრე, რომ შესძლებოდა ხელი მოეკიდა სახალხო მეურნეობის ისეთი დარგისათვის, როგორიცაა, მაგალითად, რკინიგზის მშენებლობა და სხვ. ამიტომ გერმანიაში სახელმწიფომ გადაწყვიტა თვითონ მოეკიდა ხელი ისეთი დიდი დარგებისათვის, რომლებიც მოითხოვდნენ კაპიტალების გაერთიანებას. კაპიტალის გაერთიანების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა სახელმწიფო კრედიტი.

სოციალურ-პოლიტიკურმა მიმდინარეობამ ამ ვითარებას შესაბამისი თეორიული დასაბუთება მისცა. საკითხის ამ მიმართულებით დამუშავებაში ნიადაგი შეამზადეს გერმანელმა ფინანსისტებმა ნებენიუსმა და დიტცელმა.

ფ რ ი დ რ ი ხ ნ ე ბ ე ნ ი უ ს მ ა მთლიანი თეორია ჩამოაყალიბა კრედიტის შესახებ. მან ამ საკითხს მიუძღვნა სპეციალური შრომა სათაურით „საჯარო კრედიტის ბუნებისა და მიზეზების შესახებ". ნებენიუსი ერთმანეთისგან გაარჩევს მწარმოებლურ და არამწარმოებლურ ხარჯებს, რომელთაც საფუძვლად უდევს სმიტის გაგება მწარმოებლური და არამწარმოებლური ცნებისა. ნებენიუსი ამართლებს იმ ვალებს, რომლებიც აღებულია მწარმოებლური დანიშნულებისათვის, ამასთან ერთად იკვლევს სესხის მავნე გავლენას, რომელსაც იგი ახდენს წარმოებაზე კაპიტალის შემცირებით, მოთხოვნის გადიდებით არამწარმოებლური შრომის სხვადასხვა სახეებზე და ღარიბ კლასებზე დამატებითი საგადასახადო ტვირთის დაკისრებით [2].

---

[1] К. М а р к с, Теории прибавочной стоимости, т. II, ч. I, 1936 г. стр. 204.

[2] F r i e d r i c h N e b e n i u s, Über die Natur und die Ursachen des öffentlichen Kredits, 1829, S. 659.

ნებენიუსის აზრით, სახელმწიფო კრედიტის სარგებლიანობის ერთ-ერთი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელ ბეგარას ხანგრძლივ დროზე ანაწილებს. სახელმწიფო სესხი არ არღვევს მომავალი თაობის უფლებებს, როდესაც სახელმწიფო სესხი ცვლის იმ კაპიტალს, რომელიც სახელმწიფოს უნდა წაეღო ერთბაშად გადასახადების სახით, ვინაიდან მომავალი თაობისათვის სესხით კაპიტალის განსხვისებას მნიშვნელობა არა აქვს.

კ. დ ი ტ ც ე ლ მ ა თავის შრომაში სახელმწიფო კრედიტი აღიარა კაპიტალის მწარმოებლურ მოთავსებად. მატერიალურ ფასეულობათა შემქმნელად, იდეურ კაპიტალად[1]. მისი აზრით, სახელმწიფო კრედიტი ზრდის ნაციონალური კაპიტალის მწარმოებლურობას და აუმჯობესებს ინდივიდუალური მეურნეობის მდგომარეობას. სახელმწიფო სესხების საშუალებით ცალკეულ მეურნეობათა კრედიტები ნებაყოფლობით გადადიან საზოგადოებრივი მეურნეობის განკარგულებაში იმ რწმენით, რომ იქ უფრო მწარმოებლურ გამოყენებაში აღმოჩნდებიან. მისი აზრით, სახელმწიფო კრედიტის საშუალებით შეიქმნა დიდი რკინიგზები. საზღვაო გზები, დიდი საწარმონი.

რაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო კრედიტი, სახელმწიფო მას უფრო იცავს. სახელმწიფო სესხი ამტკიცებს პოლიტიკურ ცხოვრებას, ზრდის წარმოებას, ხელს უწყობს და ახალისებს დაზოგვას. დიტცელი ამბობს: „ხალხი მით უფრო მდიდარია, მისი მეურნეობა მით უფრო ყვავის და წინ მიდის, რაც უფრო მეტ წილს შეადგენენ სახელმწიფო ხარჯებში სახელმწიფო ვალის პროცენტები“[2]. დიტცელი სახელმწიფო სესხებს წარმოადგენდა როგორც თავისუფალი ნამეტის გამოყენებას.

დიტცელმა სახელმწიფო კრედიტის მნიშვნელობა დაასაბუთა მწარმოებლური და სასარგებლო შრომის სმიტისებური გაგების უარყოფით. მან აღიარა, რომ სახელმწიფოს შეუძლია ქმნიდეს არამატერიალურ ფასეულობას. მისი აზრით, სახელმწიფოს შეუძლია შეუქმნას მოქალაქეობრივი თავისუფლება გარკვეულ კლასს და ამდენად თავისი კეთილი ქმედობა რიგ თაობებზე გაავრცელოს. ამით გამართლებულია სახელმწიფოს მიერ დიდი ხარჯების გაღება და მის დასაფარავად სესხის აღება.

დიტცელი ფიქრობს, რომ სახელმწიფო კრედიტის გარიგების

---

[1] **Dietzel**, System der Staatsanleihen im Zusammenhang der Volkswirtschaft betrachtet, Heidelberg, 1855, S. 200.

[2] იქვე, გვ. 200.

ობიექტი არის ქონება და არა ფული, რადგან ნასესხები ფული სახელმწიფო ყიდულობს სხვადასხვა საგანს, მაშასადამე, ფული კვლავ უბრუნდება მოსახლეობას, მაგრამ სახელმწიფო რიგ შემთხვევებში სესხით ისტუმრებს უცხო სახელმწიფოთა დავალიანებას, რაც საგნების შეძენასთან კავშირში არ არის, ანდა საგნებს ყიდულობს საგარეო ბაზარზე, აქ ფული აღარ უბრუნდება მოსახლეობას.

სახელმწიფო კრედიტის თეორია ვრცლად ჩამოაყალიბა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა ლ ო რ ე ნ ც შ ტ ე ი ნ მ ა, რომლის აზრით, ფინანსურმა მეცნიერებამ უნდა გააქარწყლოს აქამდე არსებული შეხედულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო კრედიტი საზოგადოებისათვის მავნე მოვლენაა, ბოროტებაა ან ფინანსური მმართველობის შეცდომაა. შტეინი წერს: „ამიტომ ის არც ბედნიერებაა და არც უბედურება, ის უმაღლესი სახელმწიფო მეურნეობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია"[1] სახელმწიფო ვალი ეკონომიკური პროგრესის საფუძველია. გასესხებულ კაპიტალს მსესხებლის ხელში უფრო მეტი ფასეულობა აქვს, ვიდრე გამსესხებლისაში.

ლორენც შტეინის მიხედვით, სახელმწიფო ვალი ისე დიდად არის დაკავშირებული სახელმწიფო მეურნეობის თანამედროვე წყობასთან, რომ სახელმწიფო, რომელსაც ვალი არა აქვს, ან ძალიან ცოტას აკეთებს მომავლისათვის, ან ძალიან ბევრს თხოვს თანამედროვეობას. შტეინი იმ აზრისაა, რომ, თუ სესხი აღებულია მუდმივი კაპიტალის შესაქმნელად, მაშინ სახელმწიფოსათვის აუცილებელი არ არის ვალების გადახდა[2].

შტეინი ყურადღებას აქცევს ფინანსური ურთიერთობის კლასობრივ ხასიათს. მისი აზრით, უფრო ძლიერი საზოგადოებრივი კლასები ბატონობენ ნაკლებად ძლიერებზე. ამ სისტემის მიხედვით, კლასების უთანასწორობა ემყარება ქონებრივ უთანასწორო განაწილებას, რაც დაცულია და ვითარდება სახელმწიფოს ცხოვრებაში, სადაც სახელმწიფო კრედიტი ჩხრიალა მონეტებზე ახურდავებს სამშობლოს სიყვარულს. სახელმწიფო კრედიტორები დაინტერესებული არიან სახელმწიფომ სესხი მწარმოებლურად გამოიყენოს, რაც გაზრდის ნაციონალურ შემოსავალსა და ხალხის გადამხდელუნარიანობას. სახელმწიფო კრედიტორები კონსერვატორები ხდებიან, მათ სახელმწიფო წყობილების ყოველგვარი ცვლილების ეშინიათ, რომელსაც შეუძლია მათი ვალები გააუქმოს.

---

[1] L o r e n z v o n S t e i n, Lehrbuch der Finanzwissenschaft, 4. Aufl. 3. der Staatskredit II Band, Drittes Hauptstück, S. 347.

[2] იქვე, გვ. 465.

სახელმწიფო კრედიტორთა მთავარი ინტერესია, რომ ფინანსთა მინისტრი მათ მხარეზე იყოს; მათ უერთმანეთოდ გაძლება არ შეუძლიათ[1]. შტეინის წინააღმდეგობრივი შეხედულებებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო საზოგადოების გარეშე პოზიციას ვერ დაიჭერს, მაგრამ მეორე მხრივ იმასაც აღნიშნავს, რომ მონარქია ზეკლასობრივი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია საზოგადოება დაიცვას ყოველგვარი რევოლუციისაგან. ლორენც შტეინის შეხედულებები სახელმწიფო კრედიტების შესახებ გამოხატავენ გერმანიის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ბურჟუაზიის მოთხოვნილებებს.

სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების მეორე დიდი წარმომადგენელი ად. ვ ა გ ნ ე რ ი ც სასარგებლო მოვლენად თვლიდა სახელმწიფო კრედიტს; თუ კაპიტალს მწარმოებლური დანიშნულება ეძლევა, მწარმოებლური დანახარჯებისათვის გამოიყენება, სახელმწიფო მეურნეობას ავითარებს, მოსახლეობის კულტურულ დონეს ამაღლებს. მას სახელმწიფო კრედიტი სასარგებლოდ მიაჩნია იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი მოხერხებული ომებისათვის გამოიყენება.

ამგვარად, ვაგნერი სახელმწიფო კრედიტს გამართლებას აძლევდა დანახარჯთა მიზანდასახულობის მიხედვით, ამასთანავე მან გამოიკვლია ვალებისა და გადასახადების გავლენა სახალხო მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობაზე.

მცდარ, რეაქციულ ბურჟუაზიულ პოზიციებზე დამყარებით ად. ვაგნერსა და მთელ ამ მიმართულებას არ შეეძლო სახელმწიფო კრედიტის არსის სწორი ახსნა მოეცა. კაპიტალიზმის პირობებში სახელმწიფო კრედიტი ამ უკანასკნელთ შესაძლებლობას აძლევს წინასწარ მიითვისოს გადასახადების ნაწილი. იქ სახელმწიფო საკრედიტო სისტემა გაუკუღმართებულია. კაპიტალისტური სახელმწიფო აღებულ სესხს არამწარმოებლურად იყენებს. ამგვარად, ეს სესხი, რაშიც ობლიგაციებია გაცემული, დიდი ხანია უკვე დახარჯულია სახელმწიფოს მიერ. კაპიტალი უკვე მოსპობილია, მაგრამ ეს სესხები, მოწმობები, კაპიტალის დუბლიკატები, ობლიგაციები მფლობელებისათვის ფუნქციონირებენ როგორც კაპიტალი. ამ ობლიგაციებს ასეთ ძალას ანიჭებს ის, რომ მფლობელს შეუძლია ისინი კვლავ გადააქციოს კაპიტალად მათი გაყიდვის საშუალებით[2].

---

[1] Lorenz von Stein. Lehrbuch der Finanzwissenschaft 4. Aufl. 3. der Staatskredit, II Band, Drittes Hauptstück. S. 247. მეორე ნაწილი, მე-3 განყოფილება.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნ. 2, 1959 წ., გვ. 22—23.

სახელმწიფო სესხის მიზეზთა შორის აღსანიშნავია ბიუჯეტური დეფიციტების ზრდა, სამოქალაქო ომი, ინტერვენტთა, სასახლის არისტოკრატიის მოთხოვნილებათა ზრდა.

ცნობილია ისიც, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ისტორიაში სახელმწიფო კრედიტი გამოყენებული იყო რევოლუციურ მოძრაობათა ჩასახშობადაც.

2. მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფო კრედიტის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა

მონოპოლისტური პერიოდის ბურჟუაზიული ეკონომისტები სახელმწიფო კრედიტს სახავენ როგორც საუკეთესო საშუალებას დიდი სამხედრო ხარჯების დასაფარავად, ეკონომიკური კრიზისებისა და უმუშევრობის მოსასპობად. ისინი სახელმწიფო კრედიტს დიდ საზოგადოებრივად სასარგებლო თვისებებს აწერენ, სახელდობრ, რომ ის მუდმივია, რომ მოვალე სახელმწიფო მას იძულებით ვერ გადაახდევინებს და სხვ.

ა) სახელმწიფო ვალების მომავალ თაობაზე გადაკისრების სამართლიანობის კონცეფცია (ედვინ სელიგმანი)

ამერიკელ ეკონომისტს სელიგმანს სამართლიანად მიაჩნია ომისათვის აღებული სახელმწიფო ვალების მომავალ თაობაზე გადაკისრება, რადგან, მისი აზრით, ომი კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ წარმოებულია დემოკრატიის დასაცავად. ის წერს: „ვღებულობთ რა მხედველობაში მოცემული ომის განსაკუთრებულობებს (ლაპარაკია პირველ მსოფლიო ომზე — ვ. ჩ.), რამდენადაც ეს ომი იყო დემოკრატიის დაცვის ომი, იგულისხმება, სამართლიანი იქნება მომავალ ათწლედს დაეკისროს ვალების შენახვის ერთი წილი, რადგან მაშინ ისარგებლებენ უშიშროების კეთილმოქმედებით... სრულიად სამართლიანი იქნება დიდი ომის სიმძიმის ტვირთის ნაწილი დავაკისროთ თანამედროვეობის გადამხდელებს, ხოლო დანარჩენი გადავიტანოთ შემდგომ წელთა გადამხდელებზე“ [1]. როგორც ვხედავთ, სელიგმანის აზრით, იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ წარმოებული ომები მსოფლიოს გადასანაწილებლად თურმე დემოკრატიის დაცვის მიზნით წარმოებს. ამის ხარჯების გადაკისრება მომავალ თაობაზე ვალების გზით, მისი აზრით, სამართლიანია იმიტომ, რომ მომავალი თაობა უშიშროებით ისარგებლებს. ყველა-

---

[1] Проф. Э. Селигман, Очерки по теории обложения, 1924, стр. 16—17.

სათვის ცნობილია, რა უშიშროებითაც ისარგებლეს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტური სახელმწიფოს მშრომელებმა.

ბ) სახელმწიფო ვალებით ეკონომიკის რეგულირების კონცეფცია

XX ს. 30-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში შემუშავდა ზევულგარული თეორიები სახელმწიფო კრედიტის შესახებ.

ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს ინგლისელი ეკონომისტის ჯონ მეინარდ კეინსის თეორია, რომელიც ბურჟუაზიულ სამყაროს მოევლინა 1936 წელს.

კეინსი კრიზისების მოსასპობად და „სრული დასაქმებისათვის" მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას სამეურნეო საქმიანობაში. ის ფიქრობს, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოს შეუძლია ეკონომიკის რეგულირება და მწარმოებლური ძალების განვითარებისათვის ხელისშეწყობა ფინანსური ბერკეტების საშუალებით. ერთ-ერთ ასეთ ფინანსურ ღონისძიებას, მისი აზრით, წარმოადგენს სახელმწიფო კრედიტი. ის გვაძლევს სახელმწიფო სესხის აპოლოგიას. მან თითქოს უნდა გააჯანსაღოს კაპიტალიზმი, მოსპოს უმუშევრობა და სხვ.

„...პროგრესულად მზარდი უმუშევრობა სახელმწიფოს ჩვეულებრივად აიძულებს დახმარება აღმოუჩინოს ნასესხები ფულის ანგარიშით. ...ფასების შემცირება გაზრდის სახელმწიფო ვალის რეალურ ტვირთს, აქედან საგადასახადო დაბეგვრის ტვირთსაც. რაც აგრეთვე, ალბათ მეტად არახელსაყრელი აღმოჩნდება დარწმუნებულობის მდგომარეობისათვის საქმიან სამყაროში"[1].

კეინსი თავის შრომაში ამტკიცებს სახელმწიფო ვალის თითქმის მუდმივობას, რანტიეს ხანგრძლივ არსებობას. იგი წერს: „რანტიეს მშვიდობიანი, როგორც არაფუნქციონირებელი კაპიტალისტის არსებობა არა თუ უეცარი იქნება, არამედ, პირიქით, იქნება თანდათანი და ხანგრძლივი განვითარება იმ პროცესისა, რაც ჩვენ ვნახეთ ამას წინათ დიდ ბრიტანეთში და რისთვისაც საჭირო არ არის რევოლუცია"[2].

კეინსი საყვედურს გამოთქვამს კლასიკური ეკონომიის მიმართ, რომელიც სახელმწიფო სესხებს მიიჩნევდა არამწარმოებლურად და

---

[1] Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, 1949 г., стр. 244, 255.

[2] იქვე, გვ. 363.

თავის მხრივ ამტკიცებს, რომ პირამიდების აგებას, მიწისძვრას, ომებსაც კი შეუძლიათ გაზარდონ სიმდიდრე. მიწის თხრა ოქროს მოსაპოვებლად არაფერს არ უმატებს ნამდვილ სიმდიდრეს, პირიქით, დამატებით შრომასაც მოითხოვს, მიუხედავად ამისა, მიჩნეულია ამ საკითხის საუკეთესო გადაწყვეტად. „ისევე როგორც ომი ერთადერთი ფორმაა დიდი ხარჯებისა უზარმაზარი სესხის ანგარიშით, რომლებსაც სახელმწიფო მოღვაწენი გამართლებულად თვლიან, ასევე ოქროს ამოღებაც წარმოადგენს ერთადერთ საბაბს მიწაში ორმოების ამოსათხრელად, რომელიც ბანკირების მიერ განიხილება როგორც ჯანსაღი ფინანსური საწარმო"[1].

მართალია, კაპიტალისტურ სახელმწიფოს შეუძლია სახელმწიფო სესხის საშუალებით მოახდინოს ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება, გავლენა იქონიოს შინაგანი ბაზრის, სხვანაირად, შინაგანი გადამხდელუნარიანი მოთხოვნის გაფართოებაზეც; შეუძლია სახელმწიფოს სესხის საშუალებით აკუმულაცია გაუკეთოს წარმოებიდან გამოთავისუფლებულ სახსრებს და ის გაუშვას ბრუნვაში, მაგრამ სახელმწიფო სესხის გადიდება ხომ გულისხმობს გადასახადების გადიდებასაც, რამდენადაც ამ უკანასკნელით იფარება საბოლოო ანგარიშში სესხები. საგადასახადო ტვირთის ზრდა აუარესებს მშრომელთა მდგომარეობას, ზრდის მათ ექსპლოატაციას. სახელმწიფოს ჩარევას სამეურნეო ცხოვრებაში არ შეუძლია გააუქმოს კაპიტალისტური დაგროვების კანონის მოქმედება, არ შეუძლია მოხსნას შედარებით გადამეტმოსახლეობა, უმუშევრობა. სახელმწიფო სესხებიც საბოლოოდ ხელს უწყობენ მოსახლეობის შედარებით გადამეტებულობას და უმუშევრობას. პირიქით, სახელმწიფო სესხების გადიდება ზრდის რანტიეთა კლასს და კაპიტალიზმის პარაზიტიზმს.

კეინსი მოითხოვს, რომ მთავრობის ბრძნულმა პოლიტიკამ შეამციროს პროცენტის ნორმა; მაშინ ინვესტიციები გაიზრდება, უმუშევრობა შემცირდება და კაპიტალიზმის მრავალი უარყოფითი მხარე გაქრება[2]. მაგრამ პროცენტის ნორმის შემცირება ვერ შეელის საქმეს, რადგან მისი შემცირება თავისთავადაც ხდება კაპიტალისტურ ურთიერთობაში, მაგრამ კაპიტალიზმი არ ჯანსაღდება. ნამდვილად მაღალი პროცენტი კი არ უშლის ხელს ინვესტიციებს, არამედ თვით ეს უკანასკნელი აპირობებს სასესხო კაპიტალის სიჭარბეს.

ვულგარიზატორი კეინსი კაპიტალიზმის სახელმწიფო კრედიტის

[1] Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, 1949 г., стр. 124—125.

[2] იქვე, გვ. 312—313, 363.

პარაზიტულ ხასიათს აფერადებს იმგვარად, რომ მას აწერს დიდ გამაჯანსაღებელ მნიშვნელობას სახალხო მეურნეობისათვის.

კაპიტალიზმის კრიზისიდან გამოსავალს მიმოქცევისა და კრედიტის დარგში ეძიებენ კეინსიანელები მოულტონი და ჰარისი.

საერთაშორისო ფინანსური საკითხების ბრუკინგის ინსტიტუტის დირექტორი მოულტონი სახელმწიფო კრედიტს დიდ ცხოველმყოფელ ძალას ანიჭებს. მისი აზრით, ბიუჯეტის საშუალებით სახელმწიფო სესხის თანხები უნდა მოხმარდეს ქვეყნის კაპიტალისტურ გაჯანსაღებას. მოულტონი წერს, რომ „სახელმწიფო დავალიანება უფრო აქტივია ერისა, ვიდრე პასივი". ამასთანავე დანაკლისი ხარჯების დასაფარავად „სახელმწიფოს აუვავების საფუძველს წარმოადგენს".

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჰარისი უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ „სრული დასაქმება" არც არის მიზანშეწონილი. უმუშევრობა აუცილებლად საჭიროა, უმუშევრობის არსებობისას მუშები უფრო დამყოლი და თვინიერი არიან. ამასთანავე უმუშევრები რეზერვს წარმოადგენენ ომის შემთხვევაში [1].

ჰარისი სახელმწიფოს სესხს სცნობს როგორც ერთ-ერთ ფინანსურ ბერკეტს, რომელსაც შეუძლია მარეგულირებელი როლი შეასრულოს კაპიტალისტური მეურნეობის ვითარებაში.

ამერიკელი ეკონომისტი ჰანსენი სახელმწიფო კრედიტის საკითხში სავსებით იზიარებს მე-19 საუკუნის დასაწყისის ვულგარიზატორ ლოდერდელისა და მალთუსის შეხედულებებს [2]. ჰანსენი მოცემულ საკითხში არჩევს ლოდერდელისა და მალთუსის შეხედულებებს და აკეთებს დასკვნას, რომ მიუხედავად ზოგიერთი განსხვავებისა, მათი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა და ჰანსენს ისინი სწორად მიაჩნია. ჰანსენს მოაქვს ციტატი მალთუსიდან, სადაც ის ამბობს, რომ მძიმე „გულისგაცრუებანი უწევს მათ, ვინც ფიქრობს, რომ (სახელმწიფო ვალის) საგრძნობი შემცირების ან მისი სწრაფი ლიკვიდაციის საშუალებით ჩვენ შევძლებთ გავმდიდრდეთ და სამუშაო მივცეთ ყველა ჩვენს მშრომელ კლასს" [3].

ჰანსენი აღნიშნავს, რომ კანადის მთავრობამ განიხილა ომის შემდგომი ვალი და გადაწყვიტა შექმნას ბიუჯეტური დეფიციტი,

---

[1] Seymour Harris, The Economics of Mobilization and Inflation. New York, 1951, p. 33.

[2] Эл. Хансен, Экономические циклы и национальный доход, М., 1959, стр. 303—329.

[3] T. R. Malhtus, Principles of Politikal Economy, p. 426—427.

გაზარდოს ნაციონალური ვალი, „თუ ამას მოითხოვს მისი პოლიტიკა დასაქმებისა და შემოსავლის დარგში“ [1].

ვულგარიზატორი ჰანსენი და სხვ. ცდილობენ დაასაბუთონ სახელმწიფო კრედიტის სასარგებლო როლი კაპიტალისტურ საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთველობის წინააღმდეგ. კაპიტალისტური საწარმონი სამხედრო დანიშნულების შეკვეთებს ღებულობენ და მასთან დაკავშირებით დიდ შემოსავალსაც.

ბ) სახელმწიფო ვალის მმართველობის მეთოდებით ეკონომიკის რეგულირების თეორიები

ომის შემდგომმა კონიუნქტურამ აუცილებელი გახადა ინფლაციის შეჩერება. საჭირო შეიქნა გადაესინჯათ კეინსის შეხედულება დეფიციტური დაფინანსების შესახებ. ამ ნიადაგზე ჩამოყალიბდა სახელმწიფო კრედიტის თეორიები, რომლებიც ერთმანეთთან ათავსებენ კეინსიანურსა და ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკურ კონცეფციებს. ეს თეორიები ჩელაღებით არ უარყოფენ დეფიციტური დაფინანსების გამოყენებას ანტიკრიზისული პოლიტიკის საწარმოებლად, მაგრამ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ახალი სახელმწიფო ვალდებულებათა ემისიის პირობების (დაფარვის ვადის, სარგებლის განაკვეთის) მანევრირებას. ამ კონცეფციებს ეკონომიკის რეგულირების საშუალებად მიაჩნიათ სახელმწიფო ვალის მმართველობა, რასაც, მათი აზრით, კეინსი მეორეხარისხოვან ყურადღებას აქცევდა. კეინსის თეორიამ ვერ გადაჭრა ომის შემდგომი ინფლაციის პრობლემები.

ნეოლიბერალური შეხედულების მრავალმა წარმომადგენელმა გაილაშქრა დეფიციტური დაფინანსების წინააღმდეგ [2]

ზოგიერთის აზრით, სახელმწიფო სესხის მმართველობის მთავარი ამოცანაა საწარმოს საქმიანობის რყევადობის სტაბილიზაცია, ზოგიერთები კიდევ აყენებენ მოსაზრებას, რომლის თანახმად ციკლური ამაღლების წლებში ვადაგასულ ვალდებულებათა ნაცვლად სახელმწიფომ უნდა გამოუშვას გრძელვადიანი ობლიგაციები.

„რეცესის“ დადგომისას სახელმწიფო კრედიტის მმართველობას პოლიტიკა უნდა შეიცვალოს. სახელმწიფომ უნდა შეისყიდოს გრძელვადიანი ვალდებულებები და გაავრცელოს მოკლევადიანი. ამის შედეგი იქნება საკრედიტო რესურსების გადიდება და სესხზე საბაზრო პროცენტის შენცირება, რაც ხელს შეუწყობს კერძო კა-

---

[1] T. R. Malhtus, Principles of Politikal Economy, p. 641.

[2] იხ. Die Bedeutung der staatlichen Finanzpolitik für die Konjunkturstabilisierung, Berlin, 1957.

კიტალდაბანდებათა ზრდას. ეკონომიკის რეგულირების საშუალებად აქ წამოყენებულია პროცენტული განაკვეთების ამა თუ იმ სტრუქტურის უზრუნველყოფა. ასეთი შეხედულების არიან რ. კანი, ჯ. ტობინი, რომელთა აზრით, სახელმწიფო ვალი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინფლაციის შემაკავებელ საშუალებად.

ასევე სახელმწიფო ვალის მართვის თავისებურ მეთოდს წარმოადგენს ჩ. ებოტის შეხედულება, რომლის მიხედვით უნდა ხდებოდეს სახელმწიფო სესხზე ხელის მომწერთა შემადგენლობის რეგულირება.

ო. პლაიდერერი აღნიშნავს, რომ ინფლაციასთან ბრძოლა საჭირბოროტო საკითხად ხდება. სახელმწიფომ ბანკებს უნდა შეუზღუდოს სახელმწიფო ვალდებულებათა გაყიდვა[1].

ინფლაციონისტური კონცეფციის მომხრენი არიან დ. ბიუკენენი, გ. ოლივერი და სხვ. ისინი მოითხოვენ, რომ ხაზინამ თავისი სესხები მოათავსოს საემისიო და კომერციულ ბანკებში. ბიუკენენი ამბობს, რომ ყველაზე უკეთესია ფულის სესხება უპროცენტოდ, — ეს არის ქაღალდის ფულის მოჭრა. ოლივერის აზრით, ყველაზე უკეთესია სესხზე ხელისმოწერის მინდობა-გადაცემა ბანკისათვის.

ფ. ბლოკ-ლენედა პ. დე ვოგიუ-ს აზრით[2], სახელმწიფომ ემისია უნდა გამოიყენოს როგორც ფულადი ბაზრის რეგულირების საშუალება. ფულადი კაპიტალების ბაზრის რეგულირება შესაძლებელია სახელმწიფო სესხის პროცენტის გადასახდელების მმართველობით.

ეს ახალი „თეორიებიც“ იმავე შეცდომას შეიცავენ. ისინი ერთმანეთისაგან სთიშავენ სახელმწიფო ფინანსების განვითარებასა და კრედიტისა და ფულის მიმოქცევის სფეროში მიმდინარე პროცესებს. იმპერიალიზმის ეპოქაში კონტროლი სახელმწიფო სესხზე ერთი მუჭა ფინანსური კაპიტალის მაგნატების ხელშია. ბურჟუაზიული ფინანსისტები თავიანთი აპოლოგეტური თეორიებით ასაბუთებენ მშრომელთა საცხოვრებელ საშუალებებზე შემოვლილი თავდასხმების გზებს. ისინი ამართლებენ ხალხთა მასების წინააღმდეგ მიმართულ მონოპოლისტთა ფინანსურ პოლიტიკას.

---

[1] C. Abbot, Federal Debt. Structure and Impact New York. 1953 p. 20; O. Pleiderer, Was kann die Finanzpolitik zur Geldwertstabilität beitragen? „Jahrbüchern für Nationalökonomie und Statistik“, 1967, H. 2—5; S. 291.

[2] J. Buchanan, Public Principles of Public Debt, Homewood, 1958, p. 131. F. Bloch-Laine, P. de Vogüé, Le Tresor public et le mouvement général des Fonds. Paris, 1960, pp. 351—353.

თავი მერვე

ქაღალდის ფულის ემისიის შემოსავალი

1. ქაღალდის ფულის ემისია

სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ქაღალდის ფულის ემისია. სახელმწიფო ემისიას მიმართავს, როდესაც ბიუჯეტის გადიდებული ხარჯების დასაფარავად აღარ ყოფნის გადასახადები და სესხები. სახელმწიფოს ბიუჯეტური დეფიციტები აქვს ომების დროს და მშვიდობიან პირობებშიც კრიზისების გამო.

ემისია ეწოდება ფულისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვებას მიმოქცევაში. ფულის ემისია გულისხმობს ბანკნოტების ან ქაღალდის ფულის გამოშვებას. ბანკნოტებს უშვებენ ბანკები, ქაღალდის ფულს—ხაზინა.

ბანკნოტები საკრედიტო ფულია, მაგრამ უზრუნველყოფის დაკარგვის შემთხვევაში იგი ქაღალდის ფულად იქცევა, რაც ხშირი შემთხვევა არის კრიზისების, განსაკუთრებით კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში. მათ უზრუნველყოფას წარმოადგენს სახაზინო თამასუქები და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

ქაღალდის ფული ეწოდება სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ქაღალდის ფულის ნიშანს, რომელიც ლითონის ფულის ადგილს იჭერს და გადახდის კანონიერ საშუალებად ითვლება.

ქაღალდის ფული ღირებულების ნიშანია, რომელიც სრულფასოვან ფულს ცვლის მიმოქცევის ფუნქციაში. სახელმწიფო თავს ვალდებულად არ ცნობს ქაღალდის ნიშნები ოქროზე გადაახურდაოს და მათ ანიჭებს სავალდებულო მიღების ძალას. ამგვარად, ქაღალდის ფული გამოდის გადახდის კანონიერ საშუალებად. იმისათვის, რომ ფულმა მიმოქცევის ფუნქცია შეასრულოს, არ მოეთხოვება, რომ მას საკუთარი ღირებულება ჰქონდეს, რომ ის სრულფასოვანი იყოს.

ლითონის ფული ტრიალში სწრაფად ცვდება. ლითონის მონეტური არსებობა სცილდება მის ღირებულებითს სუბსტანციას. ამიტომ

ოქროს მაგივრობა შეუძლია გასწიოს ღირებულებას შედარებით მოკლებულმა ნიშნებმა. ასეთია, მაგალითად, ქაღალდის ფულის ნიშნები. შედარებით ღირებულებას მოკლებული ნივთი ან ნაკლებად ფასეული ლითონი, მაგალითად, სპილენძის ფულის სახით მიმოიქცეოდა შვეიცარიაში, შოტლანდიაში, ძველი რომის რესპუბლიკაშიც. ქაღალდის ფული წარმოდგება ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების ფუნქციიდან. ის არის ოქროს წარმომადგენელი, რომელიც მიმოქცევაში ოქროს ცვლის ქაღალდის სიმბოლოებით. „ქაღალდის ფული მხოლოდ იმდენად არის ღირებულების ნიშანი, რამდენადაც იგი წარმომადგენელია ოქროს რაოდენობისა. რომელიც როგორც ყველა სხვა საქონლის რაოდენობა. ღირებულების რაოდენობაც არის“ (კ. მარქსი). ქაღალდის ფული სახელმწიფოებრივი იძულებით ღებულობს ობიექტურად საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ლითონური ფული მიმოქცევის ფუნქციაში ქაღალდის ფულის სახით იძენს წმინდა ფუნქციურ არსებობას.

ოქროს ფული ტრიალის პროცესში თავის საკუთარ სიმბოლოდ იქცევა ჯერ გადალესილი მონეტის სახით, შემდეგ დამხმარე ლითონური მონეტისა და დასასრულ—ღირებულებას მოკლებული ნივთის, ქაღალდის სახით.

სახელმწიფოს მონოპოლიზებული აქვს ემისიის უფლება, რაც წარმოადგენს იურიდიულ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს ქაღალდის ფულისა და ბანკნოტების გამოშვებას მიმოქცევაში. ის ანიჭებს გარკვეულ ორგანოს განსაზღვრული ოდენობის ფულის გამოშვების უფლებას მიმოქცევაში.

სახელმწიფოს უფლება აქვს შემოიღოს ქაღალდის ფულის ნიშნების იძულებითი კურსი ნომინალის მიხედვით. იძულებითი კურსის შემოღების პირობებში ქაღალდის ფულის ნიშნების მიღება სავალდებულოა ყველასათვის. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში, როდესაც ოქროს მარაგი დაშრეტილია და საგადამხდელო ბალანსი პასიური, კაპიტალისტური სახელმწიფო აწესებს ქაღალდის ფულის იძულებით კურსს, რაც განსაკუთრებით აუცილებელი ხდება ომების დროს.

ის გარემოება, რომ სახელმწიფო ქაღალდის ფულს უშვებს იძულებითი კურსით, და, ამგვარად, თავისი ბეჭდის დასმით ქაღალდს თითქოს ოქროდ აქცევს, არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკურ კანონს ძალა ეკარგება. სახელმწიფოს ძლიერება აქ მხოლოდ ფიქციაა, რადგან მიმოქცევის გარეშე ამ ქაღალდებს ყოველგვარი ღირებულება ეკარგებათ. რა ოდენობის ქაღალდის ფულსა და რა სახელწოდების ერთეულებს გამოუშვებს, ეს სახელმწიფოზეა დამოკიდებული, მაგ-

რამ მიმოქცევაში შესვლის შემდეგ იგი ემორჩილება არა სახელმწიფოს, არამედ მიმოქცევის იმანენტურ კანონებს. მარქსი აღნიშნავს, რომ ოქრო მიმოიქცევა იმიტომ, რომ ღირებულება აქვს, ქაღალდს კი ღირებულება იმიტომ აქვს, რომ მიმოიქცევა. ამიტომ ქაღალდის ფულის ღირებულება იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ოდენობით იმყოფება მიმოქცევაში.

თუ ქაღალდის ფულის რაოდენობა შეესაბამება მიმოქცევისათვის აუცილებელი ლითონის ფულის რაოდენობას, ის ლითონის ფულის წარმომადგენელია. ხოლო თუ იგი გამოშვებულია მიმოქცევის მოთხოვნილებებს გადამეტებული რაოდენობით — უფასურდება. მართალია, ქაღალდის ფულის გაუფასურება ყოველთვის არ არის გამოწვეული იმით, რომ მიმოქცევაში გამოშვებულია ჭარბი ქაღალდის ნიშნები, მაგრამ მის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენს ბიუჯეტური დეფიციტის დაფარვა, ქაღალდის ფულის სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ გამოყენება.

ქაღალდის ფულისა და ბანკის ბილეთების გამოშვება დამყარებულია საემისიო უზრუნველყოფაზე.

2. საემისიო უზრუნველყოფა

კაპიტალისტურ ქვეყნებში ბანკნოტების საემისიო უზრუნველყოფა შედგება ოქროს მარაგის, კომერციული თამასუქების, ხაზინის თამასუქებისა და სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისაგან. ოქროს სტანდარტის მოხსნის შემდეგ ოქროზე ბანკნოტების დახურდავება შეწყვეტილია, ამიტომ ოქროს მარაგი მხოლოდ ფორმალურად ითვლება უზრუნველყოფად.

თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში ემისიის უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით, რომელთაც კაპიტალისტური სახელმწიფო გამოსცემს არა წარმოებისა და საქონელბრუნვის ზრდის შესაბამისად, არამედ სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად. ეს, რასაკვირველია, ზრდის ინფლაციას და თავის მხრივ ხელს უწყობს ფულადი სისტემის მოშლას.

საემისიოდ გამოყენებული ხაზინის თამასუქები წარმოადგენენ ხაზინის მოკლევადიან ვალდებულებებს. კაპიტალისტური სახელმწიფოები ხაზინის თამასუქებს გამოსცემენ ხოლმე პერიოდულად ბიუჯეტური დეფიციტის დასაფარავად. ყველაზე მეტად ხაზინის თამასუქები გავრცელებული იყო ინგლისში 1877 წლიდან და აშშ-ში 1929 წლიდან. ხაზინის თამასუქებს კაპიტალისტური სახელმწიფო, როგორც წესი, გამოსცემს სამი თვით.

ხაზინის თამასუქები ყველაზე მოკლევადიანი სახელმწიფო ქაღალდებია. მათზე დაწესებულია შედარებით დაბალი პროცენტი. მათ გამოშვებასა და დაფარვას ხაზინის დავალებით რეგულარულად აწარმოებენ საემისიო ბანკები. ხაზინის თამასუქები გამოშვებულია მსხვილ კუპიურებად აშშ-ში — 1 ათასი დოლარიდან 1 მილ. დოლარამდე, ინგლისში — 5 ათას გ. სტ. 100 ათას გ. სტერლინგამდე. ბანკნოტების უზრუნველყოფა ხაზინის თამასუქებით ფიქტიური ხასიათისაა. ხაზინის თამასუქებს უშვებენ სამხედრო ხარჯების დასაფარავად და სხვა არამწარმოებლური ხარჯებისათვის.

ხაზინის თამასუქები არ გამოხატავს საქონელბრუნვის ნამდვილ მოთხოვნას ფულზე. ამიტომ მათი დაგროვება ზრდის ინფლაციას. ხაზინის თამასუქები მოემსახურებიან მონოპოლისტებს, რომლებიც ახერხებენ მსხვილი კაპიტალების დაცვას, აიძულებენ სახელმწიფოს მაღალი პროცენტები გაიღონ. ინგლისისა და აშშ სახელმწიფო ვალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხაზინის თამასუქები.

3. ქაღალდის ფული როგორც სახელმწიფო იძულებითი სესხი და გადასახადი

თავისი ეკონომიკურ-ფინანსური მნიშვნელობით ქაღალდის ფული არის უპროცენტო იძულებითი სესხი, რომელიც აღებულია დაფარვის განუსაზღვრელი ვადით. ვ. ი. ლენინი წერდა: „...ქაღალდის ფულის გამოშვება იძულებითი სესხის უცუდესი სახეა, რომ იგი ყველაზე მეტად სწორედ მუშების, მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის მდგომარეობას აუარესებს, რომ იგი ფინანსური უთავბოლობის მთავარ ბოროტებას წარმოადგენს"[1].

ქაღალდის ფული არის იძულებითი სესხის სახე, სანამ იგი არ გაუფასურებულა. გაუფასურების შემთხვევაში ქაღალდის ფული იქცევა გადასახადად, შენიღბული სახის გადასახადად. წვრილი და საშუალო შრომითი შემოსავლებისათვის ის იქცევა არაპირდაპირი დაბეგვრის უცუდეს სახედ.

ქაღალდის ფულის ემისია ემყარება ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების ფუნქციას. ქაღალდის ფულის ემისიას აწარმოებს სახელმწიფო ხაზინა და საემისიო ბანკი. ამ ბანკის მიერ გამოშვებული ბანკნოტები არ ხურდავდება.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ქაღალდის ფულის ფასეულობის შესანარჩუნებლად ქაღალდის ფულს ხშირად აძლევენ გადასახადურ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოდ მას. თხზ. ტ. 25, 1952, გვ. 430.

უზრუნველყოფას, რაც გარკვეულ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ ქაღალდის ფულით შეიძლება გადასახადების გადახდა, აგრეთვე ფოსტასთან, სახაზინო რკინიგზებთან და სხვ. ანგარიშსწორებისათვის მისი გამოყენება.

ქაღალდის ფული სახელმწიფოს შეუძლია ფართოდ გამოიყენოს ფინანსური მიზნით, რადგან იგი სახელმწიფოს ადვილად და ერთბაშად აძლევს დიდ სახსრებს. მაგრამ ქაღალდის ფულის ფინანსური მიზნით გამოყენება ამავე დროს საფრთხილოც არის, რადგან იწვევს ქაღალდის ფულის კურსის რყევას, ლითონური ფულის შინა მიმოქცევიდან საზღვარგარეთ გასვლას.

კაპიტალისტური სახელმწიფოების ბიუჯეტებში ემისია შენიღბულია, მაგრამ მიმოქცევაში ქაღალდის ფულის რაოდენობის გადიდება და მით გაპირობებული ფასების ზრდა თავისთავად მეტყველებს ქაღალდის ფულის ემისიის სიდიდეზე.

ქაღალდის ფულის ემისიას თავისი საზღვარი აქვს; ხშირად ეს ემისია მისულია ისეთ დონემდე, რომ ქაღალდის ფულის ნიშნების დამზადებაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები აღემატება ამ ემისიისგან მიღებულ შემოსავალს.

ქაღალდის ფულის ემისია გამოიყენება მონოპოლიების ინტერესებისათვის, რომელთაც ინფლაციის შედეგების მთელი სიმძიმე მშრომელებზე გადააქვთ. კაპიტალისტური სახელმწიფო, ნაცვლად იმისა, რომ მაღალშემოსავლიანი კაპიტალისტები დაბეგროს, ინფლაციას იყენებს რეალური ხელფასის შესამცირებლად. იმპერიალიზმის პირობებში ინფლაციამ მიიღო სპეციფიკური ხასიათი. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი ყველა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ გამოიყენა. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში ინფლაცია ქრონიკულ მოვლენად იქცა.

4. საემისიო მოგება და საემისიო გადასახადი

ქაღალდის ფულის ემისია წარმოადგენს ნაციონალური შემოსავლის გადანაწილებას. იგი სახელმწიფოს და კაპიტალისტებს აძლევს დამატებით შემოსავალს, რასაც ფასების ზრდის გამო კარგავენ მშრომელები. ცნობილია, რომ ხელფასის ზრდა ყოველთვის ჩამორჩება საქონლის ფასების ზრდას. რეალური ხელფასის შემცირება ზრდის ზედმეტი ღირებულების ნორმას.

კაპიტალისტთა დამატებითი შემოსავალი ამ შემთხვევაში მიიღება როგორც საემისიო მოგება, რომელსაც ღებულობენ კაპიტალისტური ბანკები და ფინანსური კომპანიები ფასიანი ქაღალდების ემი-

სიის შედეგად. სააქციო საზოგადოებანი თავისი აქციების გასაღებას ანდობენ ბანკებს; სახელმწიფოც ბანკებს ანდობს სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გავრცელებას. საემისიო მოგება წარმოდგება იქიდან, რომ ბანკები აქციონერული საზოგადოებიდან აქციებს შეისყიდიან უფრო დაბალი კურსით, ვიდრე თვითონ ყიდიან მათ, ასევე სახელმწიფოსაგან ობლიგაციებსაც იძენენ მათი რეალური ღირებულებისა და საბაზრო კურსზე უფრო დაბალ ფასებში. ამგვარად, ბანკების საემისიო მოგება წარმოადგენს სხვაობას ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებასა და მათ გამოსაშვებ კურსს შორის. იგი ფინანსური ოლიგარქიის მაღალი მოგების ერთი ნაწილია.

ფულის გაუფასურებით გამოწვეული ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება ერთგვარად წარმოადგენს შენიღბული ფორმის გადასახადს. მას ეწოდება საემისიო გადასახადი, რაც ნიშნავს მშრომელთა მასების დანაკარგს ფულის ინფლაციის შედეგად. მაგრამ ტერმინი საემისიო გადასახადი იხმარება აგრეთვე მეორე აზრითაც. ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში შემოღებულია საემისიო გადასახადი, რომლითაც ოქროს სტანდარტის პირობებში იბეგრება საბანკო ბილეთების ოქროთი დაუფარავი ემისია. ეს გადასახადი არის პროპორციული და არის პროგრესიულიც.

გადასახადები, სახელმწიფო სესხები და ქაღალდის ფულის ინფლაცია მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან. როდესაც სახელმწიფოებს არ ჰყოფნით გადასახადები, მიმართავენ სახელმწიფო სესხებს, მაგრამ სესხები საბოლოოდ გადასახადებით იფარება. როდესაც აღარ ყოფნით გადასახადები და სესხები, მიმართავენ ქაღალდის ფულის ჭარბ ემისიას, რაც იწვევს ინფლაციას და, მაშასადამე, ქაღალდის ფულის ემისიაც გადასახადებამდე დაიყვანება.

6. ქაღალდის ფულის ინფლაცია

ქაღალდის ფულის დიდი ოდენობით გამოშვება, როდესაც ის ავსებს მიმოქცევის არხებს, იწოდება ინფლაციად. ფულის ყოველგვარი გაუფასურება ინფლაცია არ არის. ამიტომ ფულის გაუფასურება და ინფლაცია არ არის იდენტური ცნებები. ინფლაციად ითვლება ფულის ისეთი გაუფასურება, რომელიც გამოწვეულია ფულადი მიმოქცევის კანონის მოქმედების დარღვევით.

ინფლაცია შესაძლებელია მოხდეს მიმოქცევაში ფულის სტაბილური რაოდენობის დროსაც. თუ შემცირდა წარმოება და საქონელბრუნვა, იგივე ფულის მასა ჭარბი აღმოჩნდება არსებულ მოთხოვნასთან შეფარდებით.

უმეტეს შემთხვევაში ბურჟუაზიული სახელმწიფო ინფლაციას იყენებს ბიუჯეტური დეფიციტის დასაფარავად. იგი ნაციონალური შემოსავლის ამოღების იოლი საშუალებაა, რადგან ამოღებას შენიღბული ხასიათი აქვს. ინფლაცია არის ნაციონალური შემოსავლის უკანდაუბრუნებელი და აუნაზღაურებელი ამოღება. როდესაც სახელმწიფო ფინანსური საჭიროებისათვის იყენებს ქაღალდის ფულის ემისიას, ცხადია, მას უშვებს ისეთი რაოდენობით, რაც აღემატება მიმოქცევაში ფულის საჭირო რაოდენობას. ეს იწვევს ფულადი მიმოქცევის კანონის დარღვევას და ამის შედეგად ქაღალდის ფულის გაუფასურებას ოქროსა და საქონელთან შედარებით.

საქონლის ფასები იზრდება, ფულის მსყიდველობითი ძალა მცირდება. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა ოქროზე ლ ა ჟ ი, რაც ნიშნავს ოქროს საბაზრო ფასის გადიდებას ქაღალდის ფულის ნიშნების რაოდენობასთან შეფარდებით. ლაჟს ანგარიშობენ პროცენტობით. ამავე პირობებით წარმოიშობა ქაღალდის ფულზე დ ი ზ ა ჟ ი ო, რაც საერთოდ წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების, ფულის ნიშნების კურსის საბირჟო გადახრას შემცირებისაკენ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით.

ინფლაციას მოსდევს უცხოური ვალუტის კურსის გადიდება.

ვინაიდან ინფლაცია იწვევს საქონელთა ფასის ზრდას და ამ უკანასკნელს შესაფერისად ვერ მისდევს ხელფასის ზრდა, ამიტომ იგი დიდი სიმძიმით აწვება მშრომელ მოსახლეობას და წვრილ ბურჟუაზიას. წვრილ საქონლისმწარმოებელთა შრომის პროდუქტების ფასიც უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის პროდუქციისა, ამიტომ წვრილ საქონლისმწარმოებელთა რეალური შემოსავალი კლებულობს. ინფლაცია მოსამსახურეებისა და პენსიონერების რეალურ შემოსავალსაც ამცირებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინფლაცია გახდა საყოველთაო მოვლენა ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოსათვის, იმათთვისაც კი, რომელთაც დიდი ოქრო-ვალუტური მარაგი შექმნეს. როგორც აღნიშნული იყო, ის იწვევს ფასების გადიდებას, ფულის გაუფასურებას. ასე მაგალითად: 1963 წელთან შედარებით, 1970 წლისათვის ფასები გაიზარდა იაპონიაში 45%-ით, დიდ ბრიტანეთში — 37%-ით, საფრანგეთში — 30%-ით, იტალიაში — 27%-ით, აშშ-ში — 25%-ით, გფრ-ში — 21%-ით.

განარჩევენ მ ც ო ც ა ვ ი ნ ფ ლ ა ც ი ა ს და ჰ ე ნ ე ბ ი თ ს ი ნ ფ ლ ა ც ი ა ს. მცოცავი ინფლაცია ეწოდება ქაღალდის ფულის ისეთ გაუფასურებას, რომელიც ნელა, შედარებით შეუმჩნევლად

მიმდინარეობს. ჭეშმარიტი ინფლაცია ეწოდება მძაფრი ტემპით მიმდინარე გაუფასურებას.

ბურჟუაზიული ეკონომისტები მდგომარეობის მიხედვით აფასებენ ორივე სახის ინფლაციას. მაგრამ ისინი უფრო მეტად მცოცავ ინფლაციას უჭერენ მხარს, რომელიც კაპიტალისტებს შესაძლებლობას აძლევს შედარებით შეუმჩნევლად გაზარდონ საქონლის ფასები და თავიანთი მოგება მშრომელთა რეალური შემოსავლის შემცირების ანგარიშით.

ინფლაცია შესაძლებელს ხდის გატარდეს ვალუტური დემპინგი, რაც ნიშნავს საქონლის ექსპორტს და იაფად გასაღებას მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის ფასებთან შედარებით. იგი ემყარება თავისი ქვეყნის გაუფასურებულ ვალუტას. ვალუტურ დემპინგს მოაქვს დამატებითი მოგება, როდესაც ვალუტის საგარეო გაუფასურება აღემატება შინა გაუფასურებას. ექსპორტიორი საქონლის ფასში ღებულობს უცხოურ ვალუტას, რასაც ცვლის თავისი ნაციონალური ვალუტის უფრო მეტ რაოდენობაში. ამით ის შინა ბაზარზე უფრო მეტ საქონელსა და მუშაძალას ყიდულობს წარმოების გასაფართოებლად. ვალუტური დემპინგი წარმოიშობა მუშების რეალური ხელფასის შემცირებით. ეს ექსპორტიორებს შესაძლებლობას აძლევს შეავიწროვონ კონკურენტები მსოფლიო ბაზარზე. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში ვალუტური დემპინგი გახდა მონოპოლისტთა შორის საკონკურენციო ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი.

ინფლაცია ხელს უწყობს და აფართოებს ბირჟისა და ბანკების სპეკულაციას.

ინფლაციას კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის მოაქვს უარყოფითი შედეგებიც, განსაკუთრებით ეს ეხება ჭენებით ინფლაციას. ის იწვევს კაპიტალისტური მეურნეობის ქაოსს და ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა წინააღმდეგობათა გამწვავებას, აფერხებს კაპიტალისტურ აღწარმოებას. ქაღალდის ფული თავის ფუნქციებს ვეღარ ასრულებს და ამდენად მიმოქცევის პროცესს ვეღარ ემსახურება. ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია ფულად ფორმაში კაპიტალისტებისათვის არახელსაყრელი ხდება.

ინფლაცია უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალზეც. მართალია, ქაღალდის ფულის ემისია შემოსავალს აძლევს ბიუჯეტს, მაგრამ ფულის გაუფასურების გამო მცირდება გადასახადებისა და სახელმწიფო სესხიდან მიღებული შემოსავლის რეალური სიდიდე და, მაშასადამე, ბიუჯეტის რეალური შემოსავალი. ინფლაცია უარყოფითად მოქმედებს კრედიტზეც.

კაპიტალიზმის საერთო-ეკონომიკურ კრიზისს თან ერთვის მძიმე ფინანსურ-ვალუტური კრიზისი. 1967 წლის ნოემბერში ინგლისის მთავრობა იძულებული შეიქნა გამოეცხადებინა თავისი ვალუტის — გირვანქა სტერლინგის დევალვაცია, რაც იმაში გამოიხატა, რომ ინგლისის მთავრობამ შეამცირა თავისი ფულის ერთეულის ოქროშემცველობა და დაბლა დასწია ქაღალდის ფულის კურსი ოქროს ან უცხოურ ვალუტასთან შედარებით. დევალვაცია შეადგენდა 14,3%. ამგვარად, ინგლისის გირვანქა სტერლინგის სავალუტო კურსი განისაზღვრა 2,40 ამერიკული დოლარით, იყო 2,80 ამერ. დოლარი.

რამ გამოიწვია ინგლისის მთავრობის მიერ თავისი ფულის გაუფასურების ეს ოფიციალური აღიარება? იგი გამოიწვია ინგლისის საგადამხდელო ბალანსის ქრონიკულმა დეფიციტურობამ, რაც გაპირობებული იყო მისი სავაჭრო ბალანსის პასიურობით. ინგლისს უკანასკნელ წლებში უფრო მეტი შემოაქვს უცხოური საქონელი, ვიდრე გაზიდავს თავის საქონელს. ამ ნიადაგზე იგი უფრო მეტს გასცემს ოქროს ან უცხოურ ვალუტას, ვიდრე ღებულობს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისმა დაკარგა მდიდარი კოლონიები. იგი გახდა ქვეყანა, რომელიც მოიხმარს დიდი ოდენობის საცხოვრებელ საშუალებებს და მათ დიდ ნაწილს ყიდულობს საზღვარგარეთ შედარებით უფრო მაღალ ფასებში, ვიდრე მას იძენდა თავის კოლონიებში. ამასთანავე იძენს შეერთებული შტატებიდან სამხედრო საჭურველს. ყოველივე ეს ზრდის საგადამხდელო ბალანსის საგასავლო ნაწილს. მეორე მხრივ, კოლონიების დაკარგვით ინგლისმა დაკარგა შესაძლებლობა თავისი საქონლის დიდი ნაწილის გასაღებისა მაღალ ფასებში. ამასთანავე მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა კონკურენცია აშშ-ს, იაპონიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. „საერთო ბაზარმაც“ შეავიწროვა ინგლისი და თითქმის ხელიდან გამოაცალა დასავლეთ ევროპის ბაზარი. ამას ემატება ისიც, რომ თავის დიდ ნაწილში ინგლისის მრეწველობამ ვერ მოახერხა მოდერნიზება, რომ სამრეწველო საქონლის უფრო დაბალი ფასებით გამოდიოდეს მსოფლიო ბაზარზე. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების ერთი ნაწილი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა შეერთებულ შტატებს, ვიდრე ინგლისს. თვით ინგლისელი კაპიტალისტების ერთმა ნაწილმაც დაიწყო თავისი კაპიტალების სხვა ქვეყნებში გაზიდვა, ნაცვლად თავისი ქვეყნის მრეწველობაში მოთავსებისა. ყოველივე ამის გამო შემცირდა ინგლისის საგადამხდელო ბალანსის შემოსავლის ნაწილი და იგი დეფიციტურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ინგლისი დადგა ასეთი დილემის წინაშე: ან უნდა აეღო სესხი, რაც ნიშნავს ყოველწლიურად სარგებლის გადახდას და ამ ოდენობით საგადამხდელო ბალანსის საგასავლო ნაწილის ყოველწლიურად ზრდას (სესხი მას ისედაც ბევრი ჰქონდა აღებული და ამით კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული უნდა გამხდარიყო კრედიტორი-საგან), ან უნდა მოეხდინა დევალვაცია და როგორმე შეენარჩუნებინა თავისი ვალუტის საერთაშორისო პოზიციები.

ინგლისის მიერ თავისი ვალუტის დევალვაცია გასცილდა ინგლი სის ნაციონალურ ინტერესებს და ცვლილებები შეიტანა კაპიტალისტური სამყაროს ფულად საკრედიტო და საგადამხდელო ბალანსის სისტემაში ზოგმა ქვეყანამ — ირლანდიამ, მალტამ, ესპანეთმა, ისრაელმა — მაშინვე მოახდინა დევალვაცია. რაც შეეხება აშშ, საფრანგეთს, იაპონიას და ზოგიერთ სხვას, მათ თავისი ვალუტის კურსი არ შეცვალეს, მაგრამ შეემზადნენ საბრძოლველად იმ შედეგებთან, რაც მოელოდათ ამ დევალვაციასთან დაკავშირებით.

ინგლისის მთავრობამ, გარდა სტერლინგის დევალვაციისა, გაზარდა საბანკო დისკონტიც ნახევარი პროცენტით (4-დან 4,5 პროცენტამდე).

ინგლისის მთავრობა ვარაუდობდა მხოლოდ სტერლინგის დევალვაციას, მაგრამ შექმნილმა სიტუაციამ მიიყვანა იქამდე, რომ თანახმა გახდა აეღო სესხიც.

ეს დევალვაცია თუ, ერთი მხრივ, ერთგვარი გამოსავალი იყო ინგლისისათვის, მეორე მხრივ, მან გაზარდა ქვეყნების შიგნით საცალო ფასები, გააუარესა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები, შეამცირა სოციალური უზრუნველყოფა და სხვ.

ფულადი კრიზისები კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოადგენენ ეკონომიკური კრიზისების გამოვლინებას ფულად-საკრედიტო სფეროში, რომელთა საერთო მიზეზი კაპიტალისტური მეურნეობის ძირითადი წინააღმდეგობანია.

სტერლინგის დევალვაციით გამოწვეული შედეგები საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ფულად სისტემებს არ შეეხებია. სსრკ სახელმწიფო ბანკმა სტერლინგისა და მანეთის პარიტეტი განსაზღვრა ასე: 1 გირვ. სტერლინგი უდრის 2 მან. და 16 კაპიკს.

ამ მხრივ საყურადღებო იყო ამერიკის შეერთებული შტატების ვალუტის — დოლარის კრიზისიც, რომელიც 1971 წელს მაისში გამოვლინდა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მისი გამოვლინების პირველი ადგილი იყო გფრ, რომელიც ერთბაშად მოიცვა დიდმა პანიკამ. იქ შეიტანა ამერიკული დოლარის ისეთი დიდი ნაკადი, რომ გფრ-ის ფედე-

რალური ბანკი იძულებული შეიქნა ფრანკფურტ-მაინის, ჰამბურგის, დიუსელდორფის ვალუტურ ბირჟებზე შეესყიდა 1,2 მილიარდზე მეტი დოლარი. იგივე განმეორდა მეორე და მესამე დღეს. სამ დღეში შესყიდულ იქნა 5 მილიარდი დოლარი.

ამის შემდეგ დასავლეთ გერმანიის ფედერალურმა ბანკმა შეწყვიტა ამერიკული დოლარების შესყიდვა. რამდენიმე წუთში ეს ცნობილი გახდა ვენაში და ავსტრიის ნაციონალურმა ბანკმაც განკარგულება მისცა თავისი ქვეყნის ყველა საკრედიტო დაწესებულებას შეეწყვიტა განუსაზღვრელი დროით დასავლეთის ყველა ქვეყნის ვალუტის შესყიდვა, გარდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა.

შეწყვიტა დოლარზე გადაცვლა ჰოლანდიამაც. ასევე მოიქცა შვეიცარიის ნაციონალური ბანკი, რომელმაც გამოაცხადა, რომ ის ნყვეტს დოლარის მხარდაჭერას ვალუტის ბაზარზე. დროებით შეაჩერა აგრეთვე ამერიკულ დოლარებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია ბელგიის ნაციონალურმა ბანკმა.

დაეცა ამერიკული დოლარის კურსი ვენესუელაში, სადაც ბანკების მიერ დოლარების შესყიდვა განახევრდა.

იაპონიის ბანკმა შეამცირა ბანკის პროცენტის სადისკონტო განაკვეთი 5,7 პროცენტიდან 5,5 პროცენტამდე და შეწყვიტა დოლართან დაკავშირებული ოპერაციები.

ამან გამოიწვია დიდი არევ-დარევა საფონდო ბირჟებზე. ოქროს შესყიდვის ციებ-ცხელებამ მოიცვა პარიზის, ლონდონის, ციურიხისა და სხვ. ბირჟები: ოქროს ფასმა იმატა, უნცია ოქრო გახდა 40 დოლარი, ე. ი. 5 დოლარით მეტი, ვიდრე იყო მისი ოფიციალური კურსი.

„ტაიმსის" რედაქტორმა თქვა: „ეს არის დასავლეთში ყველაზე მწვავე ვალუტური კრიზისი ამ მრავალი წლის მანძილზე, რომელიც შესაძლებელია გადაიზარდოს მძიმე პოლიტიკურ კრიზისში".

„დეილი მირორის" მიმომხილველმა რობერტ ხედმა დაწერა: „ვიეტნამში ომის მფლანგველმა წლებმა და პრეზიდენტ ნიქსონის ინფლაციურმა პოლიტიკამ რწმენა შეურყია დასავლეთის სამყაროს ოდესღაც ყოვლისშემძლე დოლარს".

ბელგიის გაზეთი „პეპლი" წერდა: „დოლარი ავად არის და განუკურნებლად არის ავად. შესაძლებელია ვალუტის ექსპერტებმა მოახერხონ მისცენ მორფის ახალი დოზა, მაგრამ ვალუტური კრიზისი— ეს უფრო ღრმა ავადმყოფობის გამოვლინებაა, რომლითაც დაავადებულია პირველ რიგში აშშ ეკონომიკა და კაპიტალისტურ სამყაროს მასთან ბრძოლის რადიკალური საშუალებები არ გააჩნია" და სხვ.

ამან გამოიწვია დიდი შეშფოთება დასავლეთის სამყაროს მთავრობებს შორის.

ავსტრიის ნაციონალური ბანკის გენერალურმა საბჭომ და მთავრობამ გაერთიანებული თათბირი ჩაატარეს ავსტრიის შილინგის დაცვის ღონისძიებათა გამოსამუშავებლად.

შვეიცარიის მთავრობამ თავის სხდომაზე გაარჩია საკითხი საერთაშორისო ვალუტის ბაზრებზე დაძაბული მდგომარეობის შესახებ

საფრანგეთის მთავრობის 13 მაისის სხდომის მსჯელობის საგანი იყო კვლავ ფინანსურ-ვალუტური კრიზისით შექმნილი მდგომარეობა და საფრანგეთის დაცვა გაუფასურებული დოლარებისაგან.

გფრ-ში ვალუტურ-ფინანსური კრიზისის საკითხებთან დაკავშირებით შედგა ბუნდესტაგის ეკონომიკური კომიტეტისა და მმართველი კოალიციის ხელმძღვანელების თათბირი. მეურნეობის მინისტრმა ითათბირა ფინანსური და მრეწველი წრეების წარმომადგენლებთან. ამ საკითხს დასავლეთ გერმანიის კაბინეტმა სპეციალური სხდომა მიუძღვნა.

გფრ-ის კონიუნქტურულ-ეკონომიკურმა ინსტიტუტმა მოითხოვა, რომ მთავრობამ გააუქმოს მარკის სავალდებულო მინიმალური გაცვლის კურსი დოლარზე და შემოიღოს თავისუფალი გაცვლა. ეს კურსი ყოველდღიურად ცვალებადი იქნება ვალუტის ბირჟაზე მიწოდებამოთხოვნის შესაბამისად. ეს ნიშნავს გერმანიის მარკის ფაქტიურ რევალვაციას, მარკის მსყიდველობითი ძალის გადიდებას. მის გაძვირებას.

გფრ-მ მიმართა პოლიტიკურ საშუალებას — ფედერალურმა ბანკმა შეწყვიტა ამერიკული დოლარების შესყიდვა და შემოიღო თავისუფალი გაცვლა დოლარზე. იგივე შემოიღო ჰოლანდიამ, ავსტრიამ და შვეიცარიამ. დააწესეს ავსტრიის შილინგისა და შვეიცარიის ფრანკის რევალვაცია.

გფრ-ის კანცლერმა განაცხადა, რომ მთავრობა ზომებს ღებულობს ქვეყნის შიგნით ინფლაციის შესაჩერებლად. ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია კრედიტების შეკვეცა მშენებლობაზე და ამით მიმოქცევაში მყოფი ქაღალდის ფულის შემცირება.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დასავლეთ გერმანიის ფინანსისტები მხარს უჭერდნენ დოლარს.

საფრანგეთმაც არ შეცვალა თავისი დამოკიდებულება დოლარისადმი. ის იმედოვნებს დაემყაროს ვალუტურ გაცვლაზე კონტროლის თავის დაცვითს სისტემას.

ლონდონის ბირჟაზე არ მომხდარა ის, რაც კონტინენტური ევროპის სახელმწიფოთა ბირჟაზე მოხდა, ამის მიზეზი იყო ის, რომ ინგლისის გირვანქა სტერლინგის პოზიცია არც ისე მტკიცე იყო, რომ

ვალუტის სპეკულანტები დაინტერესებულიყვნენ. ლონდონის ბირჟაზე გაგრძელდა ინვალუტური ოპერაციები.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა განუცხადა დასავლეთ სახელმწიფოებს, რომ „აუცილებელი არ არის და არც მოხდება რაიმე ცვლილება ვალუტის პარიტეტის არსებულ სტრუქტურაში.“

ამგვარად, აშშ ცდილობს შეინარჩუნოს დასავლეთის სამყაროს მთავარი ვალუტის დოლარის წინანდელი კურსი.

აშშ-ის მთავრობამ არ მიიღო სენატში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერის — მაიკ მენსფილდის წინადადება დასავლეთ ევროპაში მყოფი ამერიკული ჯარის სანახევროდ შემცირების შესახებ იმ საბუთით, რომ აშშ-ის ჯარების არსებულ დონეს ევროპის კონტინენტისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვსო.

შვეიცარიის ეკონომისტების გაანგარიშებით, შვეიცარიის ფრანკის რევალვაცია შვეიცარიას მოუტანს 10 მილიარდი ფრანკის ზარალს. შემცირდება უცხოელი ტურისტების ჩამოსვლა შვეიცარიაში, აგრეთვე — სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი შვეიცარიიდან.

გფრ-ის მიერ თავისუფალი მერყეევი კურსის შემოღების შემდეგ ვალუტურ ბირჟებზე დოლარი გაიაფდა და მასში, ნაცვლად 3,66 მარკისა, აძლევენ 3,50 მარკას.

ევროპის ვალუტის ბაზრებზე დაიწყო დიდი ოდენობის ამერიკული დოლარების ოქროდ გადაქცევა. ორი კვირის განმავლობაში ოქროზე გაცვლილ იქნა 422 მილიონი ამერიკული დოლარი. ამის შედეგად ამერიკული ოქროს მარაგი ძალზე შემცირდა.

დასავლეთ გერმანიის მარკის თავისუფლად მერყეევი კურსის შემოღებისა და შვეიცარული ფრანკის რევალვაციის გამო არგენტინამ დაკარგა 49 მილიონი დოლარი. მისი ვალი შეადგენდა 2,5 მილიარდ დოლარს, აქედან 200 მილიონი მას უნდა გადაეხადა გფრ-ისა და შვეიცარიის ვალუტებით.

„საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნების მინისტრების სპეციალურ თათბირზე ბრიუსელში გამომჟღავნდა ღრმა განხეთქილება. აქ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გზა გადაუღობა ევროპის ეკონომიკური და ვალუტური კავშირის შექმნას. მათ მიიღეს დროებითი ღონისძიებები კრიზისიდან გამოსასვლელად.

„საერთო ბაზრის“ მონაწილეები გაიყო ორ ჯგუფად: ერთი — გფრ, ბელგია და ჰოლანდია, რომელთაც შემოიღეს თავიანთ ვალუტაზე თავისუფალი გაცვლის კურსი, მეორე — იტალია, საფრანგეთი, რომლებმაც შეინარჩუნეს სასტიკი კონტროლი ვალუტურ ოპერაციებზე. „საერთო ბაზრის გარეშე სახელმწიფოებმა, ანუ მესამე ჯგუფ-

მა—შვეიცარიამ და ავსტრიამ მოახდინეს შვეიცარული ფრანკისა და ავსტრიის შილინგის რევალვაცია.

„საერთო ბაზრის" მონაწილეები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამერიკული დოლარი ვერ გამოდგება ძირითად საანგარიშო ერთეულად საერთაშორისო ფინანსურ ოპერაციებში.

'გფრ-ისა და ჰოლანდიის გადაწყვეტილება, თავიანთი ვალუტის თავისუფლად მერყეევი კურსის შემოღების შესახებ ევროპის საბჭოს ასამბლეის ეკონომიკური კომისიის 12 მაისის სხდომაზე შეფასდა როგორც უკან გადადგმული ნაბიჯი ევროპის ეკონომიკური თანაერთობის—ეკონომიკური და ვალუტური კავშირის შექმნის გზაზე.

„საერთო ბაზრის" ჩანაფიქრი, —შეექმნათ ერთიანი ევროპული ვალუტა უკვე საეჭვო გახდა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების სისტემა, რომელსაც დიდი სიძნელეებით ქმნიდნენ, დამყარებული იყო დოლართან ურთიერთობაში და ესეც ჩიხში მოემწყვდა.

ბრიუსელის გადაწყვეტილებებს არ შეეძლოთ დოლარის კრიზისის შეჩერება.

„საერთო ბაზრის" მონაწილეთა გადაწყვეტილებები ‹ხოლოდ პალიატივური ღონისძიებები იყო, რომლებიც დოლარს ვერ იხსნიდნენ კრიზისისაგან. ეს იყო დროებითი ღონისძიებები და არა გამოსავალი კრიზისიდან. ნამდვილი მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს დოლარის გაუფასურება, კვლავ დარჩა. შექმნილი ვითარების ასეთი მიზეზია აშშ საგადამხდელო ბალანსის მუდმივი დეფიციტი, ძლიერი ინფლაცია და ოქროს მარაგის უკმარისობა. საგადამხდელო ბალანსის დეფიციტმა 1971 წლის პირველ კვარტალში მიაღწია 5,5 მილიარდ დოლარს.

აშშ აღმოჩნდა დავალიანებული ევროპის ბანკების წინაშე 50 მილიარდი დოლარის ოდენობით. მას შეეძლო ოქროთი დაეფარა მხოლოდ მეოთხედი. საგადამხდელო ბალანსის დეფიციტურობის გამო დოლარი „გარბის" შეერთებული შტატებიდან. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოში დოლარის გაზიდვა ერთგვარად უმსუბუქებდა მდგომარეობას შეერთებულ შტატებს. ამით ის ნაწილობრივ სხვებს აკისრებდა დოლარის ინფლაციის შედეგებს. შეერთებულმა შტატებმა ყველა ზომა მიიღო ინფლაციის შესაჩერებლად — უმუშევრობაც კი გაზარდა შეგნებულად. საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის გავლენიანი ასოციაციის პრეზიდენტმა დანელიანმა წამოაყენა პროექტი, რომლის მიხედვით უნდა შეიქმნას საეთაშორისო სავალუტო ფონდი შეერთებული შტატების საზღვარგარეთული სამხედრო ხარჯების დასაფარავად. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ყოველწლიურად 1, 5 მილიარდი დოლარი უნდა შეიტანონ ამ ფონდში.

ამასთანავე წამოაყენეს მოთხოვნა, რომ გფრ-მ მის ტერიტორიაზე მყოფი ამერიკული ჯარების შესანახად საჭირო ხარჯების ნახევარი თვითონ იკისროს.

მაგრამ ყოველივე ეს საქმეს ვერ უშველიდა იმიტომ, რომ აშშ-ს დიდი ვალდებულება აქვს აღებული ქვეყნის გარეთ, მას დიდი ხარჯების გაღება უხდება ვიეტნამის ომის გამო, და საერთოდ თავისი ქვეყნის ტერიტორიის გარეთ გაყვანილი ჯარების შესანახად, რომელთა რაოდენობა მილიონს აღემატება. ამასთანავე, წლების მანძილზე აფინანსებს თავის საზღვარგარეთულ დაბანდებებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დეფიციტურია მონოპოლიების სასარგებლოდ.

ამის გამო აშშ რამდენიმე წელიწადია, რაც ძალიან ცდილობს, მაგრამ თავი ვერ დააღწია ეკონომიკურ კრიზისს, რასაც თან ერთვის ფინანსურ-ვალუტური კრიზისიც.

ამ ნიადაგზე იქმნება საერთაშორისო ვალუტური ურთიერთობის კრიზისი, ვალუტურ ურთიერთობათა სისტემის მოშლა, რაც დამახასიათებელია კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდისათვის. იგი გამოხატავს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის გაძლიერებას ვალუტის სფეროში, ვალუტის გაუფასურების მუდმივ ტენდენციას.

ამ კრიზისს ახასიათებს ამერიკული კაპიტალის გაძლიერებული გაზიდვა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და სუსტად განვითარებულ ქვეყნებში აშშ ბატონობის განმტკიცების მიზნით.

დოლარი, რომელიც დასავლეთისათვის რეზერვული ვალუტაა, დიდი ხანია კრიზისის მდგომარეობაშია. სპეკულანტები დოლარებს მილიონობით ცვლიან უფრო სანდო ვალუტაზე — ამ შემთხვევაში დასავლეთ გერმანიის მარკაზე. დასავლეთ გერმანიის ფედერალური ბანკი ვალდებული იყო შეესყიდა ყოველგვარი ოდენობით ამერიკული დოლარი.

ამის შედეგად დასავლეთ გერმანიის ფედერალურ ბანკს ანგარიშზე აღმოაჩნდა 64 მილიარდზე მეტი მარკა. ამ თანხის ორი მესამედი ამერიკული დოლარით იყო წარმოდგენილი. საერთოდ იქ დაგროვდა უცხოური ვალუტა 75 მილიარდზე მეტი.

გფრ შეუდგა ღონისძიებების გამომუშავებას ინფლაციის იმპორტის წინააღმდეგ, ფასების შესაჩერებლად და სხვ. ამ შემთხვევაში ძირითადი ღონისძიება იქნებოდა ამერიკული დოლარის ოფიციალური დევალვაცია, მაგრამ შეერთებულმა შტატებმა ეს არ გააკეთეს. მეორე, გფრ-ის მარკის რევალვაცია, რაც კიდევაც შემოიღო გფრ-მ არაპირდაპირად მარკის თავისუფლად მერყეევი კურსის დაწესებით,

შეერთებულ შტატებს არ აშინებდა, ვინაიდან ის, მართალია, ერთ-ხანს დასავლეთ გერმანიას ერთგვარად იხსნიდა ვალუტური გაჭირვებიდან, მაგრამ გაუძნელებდა საქონლის ექსპორტს და გააადვილებდა ამერიკული საქონლის იმპორტს. პროტექციონისტულად განწყობილი შეერთებული შტატები ცდილობს შემცირდეს გერმანიის რიგი საქონლის შეზიდვა შეერთებულ შტატებში, თვითონ კი თანდათანობით იაფად ყიდულობს დასავლეთ ევროპის საწარმოებს გაუფასურებული დოლარებით.

შეერთებული შტატები ვარაუდობს, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ვერც ეკონომიკურად და ვერც პოლიტიკურად ვერ გაილაშქრებენ დოლარის წინააღმდეგ, ისე რომ ოვიოონაც არ დაზარალდნენ.

გფრ-მ რამდენჯერმე იხსნა გაუფასურებული დოლარი. ასე მოხდა თუნდაც 1969 წლის ბოლოს, როდესაც მოხდა მარკის რევალვაცია, რამაც ზიანი მიაყენა დასავლეთ გერმანიას მით, რომ გააძნელა მისი ექსპორტი საგარეო ბაზრებზე.

გფრ-ის ფედერალური ბანკი 1971 წლის მარტშიც დაეხმარა დოლარს. შეამცირა კრედიტის პროცენტი, რომ შეენელებინა დოლარის გამდინარება.

გფრ რეგულარულად აძლევს მილიარდებს შეერთებულ შტატებს გფრ-ში მყოფი ამერიკული ჯარების შესანახი ხარჯების გათანაბრებისათვის და სხვ.

ასეთ ვალუტურ სიტუაციას შეუძლია ძალიან ცუდი შედეგები მოუტანოს როგორც გფრ-ს, ისე კაპიტალისტური სამყაროს სახელმწიფოებს. მას შეუძლია გამოიწვიოს ეკონომიკური დეპრესია, უმუშევრობა, ფასების ზრდა და პოლიტიკური გართულებებიც.

ვინაიდან იმპერიალიზმის პირობებში მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინააღმდეგობები შიგნით და გარეთ გარდაუვალია, ამიტომ არ არსებობს კრიზისიდან თავის დახსნის ნამდვილი საშუალებები.

ჭაღალდის ფულის ემისიის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა

ბურჟუაზიული ეკონომისტები ამახინჯებენ ინფლაციის არსს. ისინი ინფლაციას აიგივებენ საქონლის ფასების გადიდებასთან. ეს შეხედულება სწორი არ არის, ვინაიდან საქონლის ფასების გადიდება ყოველთვის არ არის ინფლაცია. მიმოქცევაში ოქროს არსებობის დროსაც შესაძლებელია ფასების გადიდება ან იმის გამო, რომ ოქ-

როს ღირებულება შემცირდა, ან იმის გამო, რომ საქონელზე მოთხოვნამ მიწოდებას გადაამეტა. მაგრამ ეს ინფლაცია არ არის. აქ საქონლის ფასების გადიდება არ არის გამოწვეული ფულის მასის სიჭარბით მიმოქცევაში.

ბურჟუაზიული ეკონომისტები ასევე ამახინჯებენ ინფლაციის წარმოშობის მიზეზებს. ზოგიერთი მათგანი ფულადი ხელფასის გადიდებას თვლის ინფლაციის მიზეზად. მათი აზრით, ხელფასის გადიდება ავტომატურად იწვევს საქონლის ფასების გადიდებას. ეს უკანასკნელი კი — ხელფასის გადიდებას. ამის შემდეგ ხელფასის გადიდება კვლავ ზრდის საქონლის ფასებს და ა. შ.

ამ შეხედულებას ეწოდება ხელფასისა და ფასების ინფლაციური სპირალის კონცეფცია. ამ კონცეფციის უსუსურობას ამჟღავნებს ის, რომ იგი ემყარება წარმოების ხარჯების თეორიას. ამ შეხედულების თანახმად, საქონლის ფასები რეგულირდება ხელფასით. ნამდვილად საქონლის ღირებულებას განსაზღვრავს არა წარმოების ხარჯები, არამედ მასში განივსებული საშუალო საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა. საქონლის ღირებულება არ იცვლება ხელფასის გადიდებით ან შემცირებით. ხელფასის გადიდება შეამცირებს მოგებას და — პირიქით. ხელფასის გადიდება ან მატება ფასებს არ ცვლის. საქონელთა წარმოების მონოპოლიურ დარგებში საქონელზე შემოღებულია მონოპოლიური ფასები, რაც მათ მფლობელებს ანიჭებს მონოპოლიურ მოგებას, მაგრამ ამ დარგებში ამის გამო მუშის გასაყიდ საქონელზე — სამუშაო ძალაზე არ არის მონოპოლიური ფასი. ფასების ზრდას არა აქვს პირდაპირი დამოკიდებულება ხელფასის ზრდასთან. ხელფასი წარმოების ხარჯების მხოლოდ ნაწილია. მისი ხვედრითი წონა კაპიტალისტური ქვეყნების დამუშავებითი მრეწველობის საქონელთა ფასში მეოთხედს არ აღემატება. ხელფასი რომ გაიზარდოს ორი პროცენტით, კაპიტალისტისათვის საკმარისია საქონლის ფასი გაზარდოს მეოთხედი პროცენტით.

ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი ინფლაციის მიზეზად თვლის საქონელზე დიდი მოთხოვნის წაყენებას. ჭარბი მოთხოვნა მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევს გაზარდონ ფასები. მათ რომ ამის შესაძლებლობა წავართვათ, საჭიროა გადამხდელუნარიანი მოთხოვნის შემცირება. ამის მიღწევა ადვილია უმუშევრობის გადიდებით. უმუშევრები შეამცირებენ მოთხოვნას, მოთხოვნის შემცირება შეამცირებს საქონლის ფასების ზრდას და ამგვარად შეჩერდება ინფლაციაც.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებად მიიჩნიათ უმუშევრობა. მაგრამ ცხოვრებამ

დაამტკიცა, რომ ეს შეხედულებაც ყალბია. მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მიუხედავად დიდი უმუშევრობისა, საქონლის ფასები და ინფლაცია მაინც იზრდება.

ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი ინფლაციის მიზეზად თვლის ფულადი მექანიზმის მანკიერებას. ისინი ფიქრობენ ინფლაციის მოსპობას მიმოქცევის სფეროს მოწესრიგებით. მართალია, ქაღალდის ფულის ოქროზე გადახურდავების გაუქმება ხელს უწყობს ინფლაციას, მაგრამ ცნობილია, რომ ინფლაცია არსებობს ოქროს სტანდარტის პირობებშიც. ინფლაციის მთავარი მიზეზი არის წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის. ომები და კრიზისები კაპიტალისტურ სახელმწიფოებს აიძულებენ გამოიყენონ ქაღალდის ფულის ჭარბი ემისია, რაც იწვევს ინფლაციის ზრდას.

ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი ინფლაციას აწერს მეტად კეთილმოქმედ ძალას, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის აყვავებას, ვინაიდან ინფლაცია მუდამ უზრუნველყოფს მაღალ მოთხოვნას, რაც ქვეყნის მუდმივი აყვავების საწინდარია, განსაკუთრებით ეკონომიკის მილიტარიზაციის პირობებში. ეს შეხედულებაც ყალბია, რადგან ეს გამოცოცხლებაც ყალბი, გარეგნული, მოჩვენებითია. სახელმწიფოებრივი დიდი ასიგნობანი დასაწყისში მართლაც ზრდის ტემპებს, იგი მამულტიპლიცირებელი ხდება. სამხედრო დარგებში დაბანდებული ყოველი დოლარი ორმაგად ან სამმაგად აფართოებს წარმოების მოცულობას. მაგრამ სამხედრო წარმოება არის ნაციონალური შემოსავლის არამწარმოებლური მოხმარება, რაც საბოლოოდ იმით მთავრდება, რომ მცირდება პროდუქციის გამოშვების ტემპები. მეორე მხრივ, ეკონომიკის მილიტარიზაცია მოითხოვს დიდ სახსრებს, რისთვისაც სახელმწიფო იყენებს ისევ გაძლიერებულ ემისიას, რაც მთავრდება ინფლაციის ზრდით და წარმოების შემცირებით. ამგვარად, დასაწყისში აღნიშნული გამოცოცხლება მალე ქრება და ინფლაცია კვლავ იწვევს კრიზისებსა და ფართო მასების გაღატაკებას.

თავი მეცხრე

სახელმწიფო საწარმონი და ქონებანი

I. სახელმწიფო საწარმოთა წარმოშობის მიზეზები კაპიტალიზმის პირობებში

1. სახელმწიფო ქონებათა შემოსავალი

სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა საკითხს ფინანსური მეცნიერება იხილავს არა მარტო სახელმწიფო ხაზინის თვალსაზრისით, არამედ მისი საერთო მეურნეობრივი მნიშვნელობის მიხედვითაც. შესაძლებელია, ესა თუ ის საწარმო ან ქონება სახელმწიფოს პირდაპირ შემოსავალს არ აძლევდეს, მაგრამ სახელმწიფო მას მაინც ინარჩუნებდეს თავის ხელში პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სამხედრო ან სხვა რაიმე მოსაზრებებით.

ფეოდალური სახელმწიფოს შემოსავლის მთავარ სახეს წარმოადგენდა დომენები. ბურჟუაზიული წარმოების წესისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ სახელმწიფო შემოსავლის მთავარ დარგად იქცა გადასახადები და დომენების, ანუ სახელმწიფო ქონების შემოსავლის ხვედრითი წილი საბიუჯეტო შემოსავალში საგრძნობლად შემცირდა. ასე მაგალითად, ინგლისში XX ს. 60-იანი წლებისათვის სამეფო მიწების წლიური შემოსავალი 1 მილ. გირ. სტერლინგს ძლივს აღემატებოდა.

დომენების მმართველობას სახელმწიფო წარმართავს ძირითადად ორგვარი წესით:

1. სახელმწიფო საკუთარი მმართველობა. სახელმწიფო თვითონ ეწევა მეურნეობას საკუთარი ხარჯით. მეურნეობის საწარმოებლად დანიშნული ჰყავს თანამდებობის პირები, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს. ისინი სახელმწიფოს უზრუნველყოფენ მინიმალური შემოსავლით. მინიმუმს აღმატებული შემოსავლიდან სახელმწიფო მათ აძლევს მოგების ნაწილს.

2. იჯარის სისტემა. სახელმწიფო დომენებს გასცემს იჯარით. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს დროებითი და სამემკვიდრო. დროებითი იჯარის დროს სახელმწიფო ღებულობს ჩვეულებრივ საიჯარო ქირას. სამემკვიდრო იჯარის დროს სახელმწიფო. ამის გარდა, დათმობისათვის იღებს აგრეთვე ერთგზის განსაკუთრებულ გადასახდელს.

პირველი სისტემის დროს სახელმწიფო შემოსავალი შედგება მოგებისა და რენტისაგან. მოგება განისაზღვრება სამიწათმოქმედო კაპიტალის სიდიდით, ზოგჯერ — მონოპოლიური ფასებით. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მდგომარეობა წააგავს იმ კაპიტალისტისას, რომელსაც საკუთარი მიწა აქვს და აღარ უხდება მიწის მესაკუთრისათვის რენტის გადახდა; ეს რენტა მასვე რჩება.

შემოსავალთა მიღების მეორე სისტემის დროს სახელმწიფო შემოსავალი წარმოდგება რენტის სახით. სახელმწიფო ამ შემთხვევაში შემოსავალს ღებულობს როგორც ნაკვეთის მესაკუთრე. ასეთი შესაძლებელია იყოს მიწის ყოველი ნაკვეთი, რომელსაც კაპიტალისტურ ურთიერთობაში მოაქვს ორგვარი სახის რენტა.

ასეთი ნაკვეთები შესაძლებელია იყოს სამრეწველო შენობები, რკინიგზები, საქონლის საწყობები, დოკები და საცხოვრებელი შენობები, მაღაროები, ქვასატეხები, სათევზაო ადგილები და სხვ.

კ. მარქსის აზრით, საშენი ნაკვეთების რენტა არის გადასახადი მიწაზე ცხოვრების უფლებისათვის. მარქსი წერს, რომ სადაც არსებობს რენტა, იქ დიფერენციული რენტაც რჩება. სადაც შესაძლებელია ბუნებრივი ძალების მონოპოლია, იქ მათი გამომყენებელი უზრუნველყოფს მრეწველობისათვის გარკვეულ დამატებით მოგებას. ეს შეეხება ჩანჩქერებს, მდიდარ მაღაროებს, თევზით მდიდარ წყლებს, კარგი ადგილმდებარეობის სამშენებლო მიწის ნაკვეთებს და სხვ. ბუნების ამ საგნების მესაკუთრე, ამ შემთხვევაში სახელმწიფო, მოქმედ კაპიტალს გამოსტაცებს დამატებით მოგებას. ეს მოხდება რენტის სახით.

საშენი ნაკვეთების რენტას ახასიათებს უპირატესი გავლენა, რასაც დიფერენციულ რენტაზე ახდენს ადგილმდებარეობა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახებისა და საშენი ნაკვეთებისათვის დიდ ქალაქებში.

აქ მესაკუთრის მთელი აქტიურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ექსპლოატაციას უწევს საზოგადოებრივი განვითარების პროგრესს. ეს განსაკუთრებით შეეხება მაღაროებს. მესაკუთრე ამ პროგრესს, რომლისგანაც ის შემოსავალს ღებულობს, თავის მხრივ არაფრით ხელს არ უწყობს და არც არავითარ რისკს არ ეწევა, როგორც.

მაგალითად, მრეწველი კაპიტალისტი. მას ახასიათებს აგრეთვე მონოპოლიური ფასის მნიშვნელობაც. სიღატაკე მდიდარი წყარო ხდება სახლის რენტისათვის. მიწის საკუთრება არაჩვეულებრივ ძალად იქცევა, როდესაც იგი მრეწველურ კაპიტალთან ერთადერთი პირის ხელში ერთიანდება. „საზოგადოების ერთი ნაწილი ამ შემთხვევაში მეორე ნაწილისაგან გარკვეულ ხარკს მოითხოვს მიწაზე ცხოვრების უფლებისათვის, როგორც საერთოდ მიწის საკუთრება გულისხმობს მესაკუთრის უფლებას — ექსპლოატაციის საგანი გახადოს დედამიწა, მიწის წიაღი, ჰაერი და ამით ყველაფერი ის, რაც სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის აუცილებელია“[1]. საშენ რენტას, ერთი მხრივ, მაღლა სწევს მოსახლეობის ზრდა და ამასთან დაკავშირებული მოთხოვნილებების ზრდა საცხოვრებელ ბინაზე. მეორე მხრივ, რენტას მაღლა სწევს ძირითადი კაპიტალის განვითარება, რომელიც მიწასთან არის შეერთებული ან მას ემყარება. ეს ეხება სამრეწველო შენობებს, რკინიგზებს, საქონლის საწყობებს, საფაბრიკო შენობებს, დოკებსა და სხვ. აქ არ შეიძლება სახლის ქირა შეეურიოთ რენტას, რამდენადაც სახლის ქირა სახლზე დახარჯული კაპიტალის სარგებელსა და ამორტიზაციას წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით ჩანს მაშინ, როდესაც მიწის მესაკუთრე და მშენებელი სპეკულანტი სხვადასხვა პირებია.

ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ მიწის ექსპლოატაცია, აღწარმოების ან მომპოვებელი მრეწველობისათვის, და სივრცე, რომელიც ყოველი წარმოების აუცილებელი ელემენტია. მიწის საკუთრება ორივე შემთხვევაში ხარჯს მოითხოვს: „მოთხოვნა სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე მაღლა სწევს მიწის, როგორც სივრცისა და საფუძვლის ღირებულებას, მაშინ როდესაც ამით იმავე დროს იზრდება მოთხოვნა დედამიწის იმ ელემენტებზე, რომელნიც სამშენებლო მასალის როლს ასრულებენ“[2].

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სწრაფად მზარდ ქალაქებში, სადაც მშენებლობა ფაბრიკული წესით მიმდინარეობს, სამშენებლო სპეკულაციის საგანია მიწის რენტა და არა სახლი.

მაღაროების რენტა იმავე წესით განისაზღვრება, როგორც სამიწათმოქმედო რენტა, მაგრამ არსებობს ზოგიერთი მაღაროს, რომელსაც რენტა არ მოაქვს. ასეთ მაღაროს მესაკუთრე არავის არ აძლევს დასამუშავებლად და ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ ამუშავებს.

წიაღის შემოსავალი მიიღება ძვირფასი ლითონების: ოქროს,

---

[1] კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. III. ნ. 2. გვ. 388. 1959.

[2] იქვე. გვ. 388—389.

ვერცხლის. სპილენძის, ტყვიის, რკინის მაღნის. ქვანახშირისა და სხვ. დამუშავების ნიადაგზე.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკა იცნობს ამ შემთხვევაში პრაქტიკას: ერთ შემთხვევაში მიწის ზედაპირის მფლობელს. მიწის მესაკუთრეს ეკუთვნის წიაღი და ის იყენებს მას ისე, როგორც ეპრიანება. ამას ეწოდება აქცესია. მეორე შემთხვევაში ერთმანეთისაგან განცალკევებულია მიწის ზედაპირისა და წიაღის საკუთრების უფლება და ამ უკანასკნელს ესაკუთრება სახელმწიფო. ეს უკანასკნელი ან თვითონ ამუშავებს მას, ან ამის უფლებას იჯარის წესით სხვას აძლევს. ამას ეწოდება რეგალია.

ცნობილია აგრეთვე სამთო თავისუფლება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველას ეძლევა უფლება ეძიოს წიაღისეული და სადაც აღმოაჩენს, უფლება აქვს ხელი მოჰკიდოს მის დამუშავებას. ამას ადგილი ჰქონდა ბურჟუაზიული განვითარების დაბალ საფეხურზე.

როდესაც სახელმწიფო წიაღს თვითონ ამუშავებს, მაშინ ის ღებულობს რენტასა და სამრეწველო მოგებას, იჯარის შემთხვევაში — მხოლოდ რენტას. მაგრამ წიაღის დამუშავებისას ადგილი აქვს ერთგვარ თავისებურებასაც.

ცნობილია ტყის დიდი მნიშვნელობა ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში. ტყე მნიშვნელოვანია როგორც სათბობი, როგორც საშენი მასალა, როგორც მასალა ქაღალდის წარმოებისათვის, სანადიროდ და მეურნეობის სხვა დარგებისათვის. ტყე მნიშვნელოვანია კლიმატისა და მდინარეების რეჟიმის დასამყარებლად.

კაპიტალიზმის პირობებში ტყე არის სახელმწიფოც და კერძოც. სახელმწიფო რეგლამენტირებას უწევს კერძო ტყეებსაც.

წარმოების გრძელი დრო ტყის გაშენებაში არახელსაყრელ დარგად ხდის ამ უკანასკნელს კერძო წარმოებისათვის.

ხის წარმოებაში ბუნების ძალა დამოუკიდებლად მოქმედებს, ბუნებრივი განახლებისათვის არ მოითხოვს ადამიანის ძალას ან კაპიტალს, ან ამ უკანასკნელის გამოყენება ბუნების ძალის მოქმედებასთან შედარებით უმნიშვნელოა. ტყის გაშენება უფრო დიდ ფართობს მოითხოვს, ვიდრე პურის კულტურა, თუმცა ტყის გაშენება შეიძლება ისეთ ადგილებზეც, სადაც პური არ მოვა. აქ აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ტყის წარმოება მოითხოვს გრძელ პერიოდს ისე, რომ კერძო მეურნეობისათვის არაეფექტურია, სცილდება ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ფარგლებს. ამ წარმოებას ნაყოფი მოაქვს ხანგრძლივი დროის შემდეგ. სრული შედეგი კი კაპიტალის მოძრაობის თვალსაზრისით — 150 წლის შემდეგ. ამასთანავე, როგორც კირხოფი ანგარიშობს, ყოველთვის უნდა არსებობდეს

ცოცხალი ხის ისეთი მარაგი, რომელიც 10—14-ჯერ აღემატება ყოველწლიურ სარგებლობას. ყოველივე ამის გამო ტყის გაშენება არახელსაყრელია კაპიტალისტური მეურნეობისათვის.

ტყის მესაკუთრის შემოსავალი რენტაა. ტყის მეურნეობაში კაპიტალი დაბალი ორგანული შემადგენლობისაა, ამიტომ იგი დამატებით მოგებას იძლევა.

სახელმწიფო საკუთრების პირობებში რენტა გადასახადის ძალას ღებულობს.

2. სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი

სახელმწიფო საწარმოები წარმოიშვა კაპიტალის პირვანდელი დაგროვების ეპოქაში. XVI—XVIII საუკუნეებში ახლად ჩასახულ კაპიტალისტურ წარმოებას ესაჭიროებოდა სახელმწიფოს დახმარება.

განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე კაპიტალისტური სახელმწიფო იძულებული ხდება წარმოების ხელმძღვანელობა იკისროს. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ნათქვამია, რომ ბურჟუაზიამ თავისი კლასობრივი ბატონობის ხანაში შექმნა „მასობრივი და კოლოსალური მწარმოებლური ძალები“, დაიმორჩილა ბუნების ძალები, გამოიყენა ქიმია მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში, შექმნა მანქანები, გემები, რკინიგზები, ელექტრონის ტელეგრაფი, გამოიყენა მდინარეები ნაოსნობისათვის[1] და სხვ.

ეს გაზრდილი მწარმოებლური ძალები ბრძოლას იწყებენ თავიანთი თვისების, როგორც კაპიტალის წინააღმდეგ. იქმნება აუცილებლობა აღიარებულ იქნეს ამ მწარმოებლურ ძალთა საზოგადოებრივი ბუნება. ხდება მწარმოებლური ძალების დიდი მასების განსაზოგადოება, რომლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სააქციო საზოგადოება. ზოგიერთი დიდი საწარმოს არსებობა განსაკუთრებით მიმოსვლის დარგში არ შეიძლება სააქციო საზოგადოების გარეშე. განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ამ საქმეს სააქციო საზოგადოებაც ვერ შველის, მაშინ მას ხელს ჰკიდებს კაპიტალისტური საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი სახელმწიფო. იგი კისრულობს ხელმძღვანელობას და იძულებული ხდება სახელმწიფო საკუთრებად გადააქციოს კავშირგაბმულობისა და მიმოსვლის დიდი საშუალებები. როგორიც არის ფოსტა, ტელეგრაფი, რკინიგზა.

„ქვეყნიერება ჯერ კიდევ ურკინიგზებოდ იქმნებოდა, —წერდა მარქსი, — იგი რომ იძულებული ყოფილიყო იმ დრომდე მოეცადა,

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი. 1933, გვ. 24—25.

ვიდრე დაგროვება ზოგიერთ ცალკეულ კაპიტალს იმდენად გაადიდებდა, რომ რკინიგზების მშენებლობას შეაძლებინებდა. ცენტრალიზაციამ, პირიქით, აქციონერულ საზოგადოებათა საშუალებით ამას, ასე ვთქვათ, ხელის ერთი დაქნევით მიაღწია“ [1].

„კაპიტალის“ მეორე ტომში მარქსს დასაბუთებული აქვს, რომ ხანგრძლივ საწარმოებს, როგორიცაა რკინიგზის აგება, არხების გაყვანა, დოკების მოწყობა, დიდი საქალაქო მშენებლობა და სხვ. აწყობენ სააქციო საზოგადოებანი [2].

კაპიტალისტური საწარმოების განუვითარებელ საფეხურზე ისეთი საწარმონი, რომელნიც სამუშაო პერიოდსა და კაპიტალის დიდი დროით დახარჯვას მოითხოვენ, მაგალითად, გზები, არხები და სხვ., არ წარიმართებიან კაპიტალისტურად; მათ აკეთებენ თემები ან სახელმწიფო [3].

ამგვარად, სახელმწიფო ეკონომიკურად იძულებული ხდება იკისროს წარმოების ზოგიერთი დარგის ხელმძღვანელობა.

საწარმოთა გასახელმწიფოებრივება კაპიტალიზმის პირობებში გამოწვეულია სხვადასხვა პოლიტიკური და ფინანსური მოსაზრებითაც.

კერძო კაპიტალისტის ეკონომიკურ მოსაზრებებს აპირობებს მოგება. ამიტომ ის საწარმოებს აგებს იქ და იმ დარგში, სადაც დიდ მოგებას მოელის; რკინიგზებს, მაგალითად, გაიყვანს იმ მიმართულებით, რომელიც დიდ მოგებას უქადის. მაგრამ სამხედრო-სტრატეგიული და ადმინისტრაციული თვალსაზრისით კაპიტალისტურ სახელმწიფოს რკინიგზები ესაჭიროება სხვა მიმართულებითაც. ეს ეკონომიკურად გაუმართლებელია, მაგრამ გამართლებულია პოლიტიკურად. კერძო მწარმოებელი, ამ მიმართულებით რკინიგზების გაყვანის სურვილიც რომ ჰქონდეს, ამგვარ საქმეს მაინც ვერ წამოიწყებდა, ვინაიდან მისთვის მოგება შემოსავლის ერთადერთი წყაროა. კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად სახეს კი წარმოადგენს გადასახადები, რაც მას შესაძლებლობას აძლევს რიგ შემთხვევებში წარმართოს არარენტაბელური მეურნეობაც.

ამასთანავე საყურადღებოა ფისკალური მოსაზრებაც. ეს გასახელმწიფოებრივებული დარგები შემოსავალსაც აძლევენ სახელმწიფოს.

მეორე მსოფლიო ომამდე კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო საწარმოს სახეებს წარმოადგენდა: ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 791.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. II, 1957, გვ. 548—549.

[3] იქვე, გვ. 290—291.

სამხედრო საწარმოთა ნაწილი, ხოლო ზოგ ქვეყანაში — რკინიგზები, ცენტრალური საემისიო ბანკები, შემნახველი სალაროები და ზოგიერთი კომერციული ბანკი.

ა) ფოსტა

ცნობილია ფოსტის დიდი მნიშვნელობა ადამიანთა სოციალური და მეურნეობრივი ცხოვრების განვითარებაში. ფოსტა ძველი დროიდანვეა ცნობილი. ძველ ეგვიპტესა და შემდეგ რომში წარმოებდა წერილების წესიერად გადაცემა.

შუა საუკუნეებში ფოსტის აწყობა და განვითარება დაკავშირებული იყო ამქრული ცხოვრებისა და მრეწველობის განვითარებასთან.

კაპიტალიზმის პირობებში ფოსტა ყველგან სახელმწიფოს ხელშია. თავდაპირველად ფოსტის ტარიფი კავშირში იყო მანძილთან. საფასურს ახდევინებდნენ სიგრძის ერთეულების (კილომეტრი, ვერსი) რიცხვის მიხედვით. შემდეგ ეს შეიცვალა და დაწესდა ერთი საფასური ყოველგვარი მანძილისათვის. საფოსტო მარკების შემოღებამ გაამარტივა საფასურის გადახდევინება. იგი პირველად შემოიღეს 1840 წელს და არსებობს დღესაც.

ბ) ტელეგრაფი

ტელეგრაფის პირვანდელ ფორმას წარმოადგენდა სიგნალის ტელეგრაფი, რაც ცნობილი იყო ძველ ხალხებში. შემდეგ განვითარდა ოპტიკური ტელეგრაფი და დასასრულ — ელექტრონის ტელეგრაფი. საერთაშორისო ტელეგრაფების განვითარებამ გამოიწვია საერთაშორისო კონგრესები.

ტელეგრაფი სახელმწიფოს ხელშია და მჭიდროდაა დაკავშირებული რკინიგზებს მშენებლობასთან. ელექტრონის ტელეგრაფმა, როგორც მარქსი ამბობს, „მთელი ევროპა ერთ უზარმაზარ სავაჭრო ბირჟად აქცია“.

გ) ტელეფონი

ტელეფონი ურთიერთობის დიდად მოხერხებული და სასარგებლო საშუალებაა. მრეწველობისა და ქალაქური ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით ტელეფონის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

ტელეფონი დასაწყისში კერძო კომპანიების ხელში იყო. კაპიტალიზმის პირობებში ტელეფონი ახლაც დიდ ნაწილში კერძოთა ხელ-

შია. მაგალითად, ინგლისში, აშშ-ში და სხვ. ქალაქებში მათ მუნიციპალიტეტები ფლობენ.

კაპიტალისტურმა წარმოებამ, რომელიც ემყარება საქონლის ფართო წარმოებას და საქონლის დასრულებას, მისი ბაზარზე გატანით, გამოიწვია მიმოსვლა-მიმოზიდვისა და ცნობათა გადაცემის სწრაფი განვითარება. ტრანსპორტმა და კავშირგაბმულობამ პირველად შექმნეს მსოფლიო ბაზარი. „კაპიტალის" III ტომის მე-2 ნაწილის სქოლიოში ენგელსი წერს: „მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა კოლოსალურმა ზრდამ—საოკეანო გემები, რკინიგზები, ელექტრონის ტელეგრაფი, სუეცის არხი— პირველად შექმნა ნამდვილად მსოფლიო ბაზარი"[1].

დ) რკინიგზები

ადამიანთა შორის ფართო ურთიერთობა შესაძლებელია იმ ბუნებრივ დაბრკოლებათა გადალახვით, რომლებიც აღმართულია მათ წინაშე მთების, მდინარეების, ზღვებისა და სხვ. სახით.

ბუნებრივად წარმოიშვა ხმელეთისა და წყლის საგზაო ურთიერთობანი. ჯერ განვითარდა ხმელეთისა და მდინარის გზები, შემდეგ ზღვისა. წყლის გზა იძლევა მუქთ მამოძრავებელ ძალას. ეს არის მდინარება და ქარი.

დროთა ვითარებაში ადამიანებმა შეძლეს გრუნტირებული შარაგზების გაყვანა, მდინარეების გამართვა და ნავსადგურების მოწყობა. მაგრამ წყლის გზებზე მამოძრავებელ ძალად დიდხანს რჩებოდა მდინარება, ქარი და ადამიანის ძალა, ხოლო ხმელეთის გზებზე — ადამიანისა და ცხოველის ძალა. XVIII საუკუნის მიწურულში ორთქლის მანქანის აღმოჩენამ, XIX საუკუნის დასაწყისში ორთქლმავლისა და შემდეგ ლოკომოტივის აღმოჩენამ ერთბაშად შეცვალეს მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებათა განვითარება. ორთქლის რკინიგზების შემოღებამ და საჰაერო მიმოსვლამ კოლოსალური გადატრიალება გამოიწვიეს გზათა მიმოსვლის განვითარებაში.

როგორც ცნობილია, ტრანსპორტის მრეწველობა წარმოადგენს „...წარმოების დამოუკიდებელ დარგს და ამიტომ მწარმოებლური კაპიტალის დაბანდების განსაკუთრებულ სფეროს. მეორე მხრივ, იგი განსხვავდება იმით, რომ გვეელინება წარმოების პროცესის გაგრძელებად მიმოქცევის პროცესის ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი და მიმოქცევის პროცესისათვის"[2].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი. ტ. III, ნ. 2, 1959, გვ. 37.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი. II, 1957, გვ. 187.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარება კაპიტალისტური წარმოების პროგრესთან ერთად საქოხელთა მოცემული რაოდენობისათვის ამოკლებს მიმოქცევის დროს, მაგრამ მათი განვითარებით წარმოშობილი პირობები იწვევენ შორეული ბაზრისათვის, მსოფლიო ბაზრისათვის წარმოებას. ამასთან დაკავშირებით იზრდება საქონელთა მასა, რომელიც შორეულ ბაზრებზე მოედინება. ეს იწვევს აბსოლუტურად და შედარებითად კაპიტალის იმ ნაწილის გადიდებას, რომელიც ასე თუ ისე ხანგრძლივი ვადით რჩება საქონლური კაპიტალის სტადიაში. ამასთან ერთად იზრდება საზოგადოებრივი სიმდიდრის ის ნაწილიც, რომელიც ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებად არის გამოყენებული; ეს ნაწილი მათ ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შეადგენს.

რკინიგზებმა და ორთქლის გემებმა გააადვილეს მიმოსვლა და გაცვლა.

გაუმჯობესებული სამიმოსვლო გზები ამოკლებენ მიმოქცევის დროს. ამიტომ გზატკეცილები დაჩრდილა რკინიგზებმა, არარეგულარული იალქნიანი გემები — სწრაფად, რეგულარულად მავალმა იალქნიანმა გემებმა. დედამიწა დაიფარა ტელეგრაფის მავთულებით. „სუეცის არხმა, — წერს მარქსი, — პირველად გაუღო ნამდვილად გემების მიმოსვლას აღმოსავლეთი აზია და ავსტრალია... კრიზისების ორივე მთავარი კერა, ამერიკა და ინდოეთი, ტრანსპორტის საშუალებებში მომხდარი ამ გადატრიალების გამო 70—90%-ით მიუახლოვდა ევროპის სამრეწველო ქვეყნებს... იმავე ოდენობით შემოკლდა ბრუნვის დრო მთელი მსოფლიო ვაჭრობისათვის და მასში მონაწილე კაპიტალის ქმედითუნარიანობა ორჯერ ან სამჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა"[1].

მარქსი რკინიგზას უწოდებს „შენობის დაგვირგვინებას", რადგანაც ეს სამიმოსვლო საშუალება ოკეანურ ნაოსნობასა და ტელეგრაფთან ერთად შეეფარდა წარმოების ახალ ურთიერთობას, ამასთანავე საფუძვლად დაედო საკრედიტო განვითარებას და სააქციო და საბანკო დაწესებულებათა აღორძინებას. რკინიგზებმა გააძლიერა კაპიტალის კონცენტრაცია, გააფართოვა სასესხო კაპიტალის კოსმოპოლიტური მოქმედება. ამან გაზარდა ფინანსური ვერაგობა და შექმნა ურთიერთდაავალიანების დახლართული ქსელი. კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა რკინიგზების მშენებლობას დიდი დახმარება აღმოუჩინეს, მათ აფინანსებდნენ სახელმწიფო ხაზინის ანგარიშით. შეერთებულ შტატებში სარკინიგზო კომპანიებს სახელმწიფომ მამულები

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნ. 1, 1959, გვ. 90—91.

და ტყეებიც აჩუქა, რის გამო კომპანიები დიდ მიწათმფლობელებად გადაიქცნენ. საფრანგეთში ლუი ფილიპემ შემოიღო თავისებური სისტემა. ის რკინიგზებს აძლევდა ფინანსური არისტოკრატების მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელთაც ანიჭებდა ყოველგვარ პრივილეგიებს. ლუი ბონაპარტე რკინიგზის კონცესიებით ვაჭრობდა. იგი უხვად აფინანსებდა რკინიგზის კომპანიებს, ზოგიერთებს სახელმწიფო არხებიც აჩუქა.

ზოგიერთ სახელმწიფოში, — მაგალითად, ავსტრიაში და, განსაკუთრებით, იტალიაში რკინიგზებმა გამოიწვიეს სახელმწიფო დავალიანების უჩვეულო ზრდა და გადასახადის ტვირთი აუტანელი გახადეს.

რკინიგზამ დიდად შეუწყო ხელი საგარეო ვაჭრობის განვითარებას. რკინიგზებმა გააძლიერეს სიღატაკე იმ ქვეყნებში, საიდანაც ნედლეული გამოიზიდება. სიღატაკეს აძლიერებს სახელმწიფო სესხის ზრდა და მისგან დამოკიდებული გადასახადის ტვირთის გადიდება. ამასთან აღსანიშნავია, „...რომ იმ დროიდან, როცა შესაძლებელი გახდა ადგილობრივი წარმოების ყველა პროდუქტის კოსმოპოლიტურ ოქროდ გადაქცევა, ფართო გასაღების არარსებობის გამო წ ი ნ ა თ ი ა ფ ი მრავალი პროდუქტი, როგორც, მაგალითად, ხილი, ღვინო, თევზი, ფრინველი და სხვა გ ა ძ ვ ი რ დ ა და, ამრიგად, ამოვარდა სახალხო მოხმარებიდან. ამავე დროს, მეორე მხრივ, თ ვ ი თ წ ა რ მ ო ე ბ ა ც—მხედველობაში მაქვს პროდუქციის ზოგიერთი ს ა ხ ე ო ბ ა—ასევე შეიცვალა იმისდა მიხედვით, თუ რ ა მ დ ე ნ ა დ გ ა მ ო ს ა დ ე გ ი ი ყ ო ე ს პ რ ო დ უ ქ ც ი ა გ ა ტ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს, მაშინ როცა წინათ იგი ეთვისებოდა უმთავრესად ადგილობრივ მოხმარებას. ასე მაგალითად, შლეზვიგ-ჰოლშტაინში სამიწათმოქმედო ფართობები საძოვრად აქციეს, რადგან პირუტყვის გაზიდვა უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა, მაგრამ ამავე დროს მიწათმოქმედი მოსახლეობა განდევნილ იქნა. ყველა ეს ცვლილება მართლაც ძალზე ხელსაყრელი აღმოჩნდა მხსვილ მესაკუთრეთა, მევახშეთა, ვაჭართა, სარკინიგზო კომპანიათა, ბანკირთა და სხვათათვის, მაგრამ ძალზედ სავალალო ნამდვილი მწარმოებლებისათვის“[1].

კ. მარქსი ხაზს უსვამს მჭიდრო კავშირს, რომელიც არსებობს რკინიგზებსა და სახელმწიფო სესხს შორის. ფინანსური მაგნატები

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ნ. ფ. დანიელსონს პეტერბურგში. ლონდონი, 10 აპრილი, 1879 წ. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიწერ-მოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან, 1955, გვ. 136—137.

ხშირად აფართოებდნენ რკინიგზის ქსელს ახალი სესხის მიღების მიზნით.

რკინიგზის მშენებლობას შეუძლია დროებით სასესხო კაპიტალის გადიდება მით, რომ ნამდვილ გამოყენებამდე აქციონერების მიერ შეტანილ თანხებს განსაზღვრული ვადით ბანკირებს გადასცემენ.

სარკინიგზო მშენებლობის ციებ-ცხელების პერიოდში სავაჭრო კაპიტალის ნაწილიც კი დაბანდებულ იქნა რკინიგზებში. სესხს იღებდნენ მაღალი პროცენტული განაკვეთებით ბანკებიდან, დამზღვევი საზოგადოებებიდან, კერძო პირებიდან.

ტრანსპორტისა და ცნობათა გადაცემის საშუალებებს კ. მარქსი სახავს წარმოების პროცესის საერთო პირობებად და აღნიშნავს, რომ მრეწველობისა და მიწათმოქმედების წარმოების წესში მომხდარმა რევოლუციამ გამოიწვია რევოლუცია ცნობათა გადაცემისა და ტრანსპორტის საშუალებებში. რკინიგზების მშენებლობამ მოითხოვა რკინის დიდი მასების დამუშავება, გამოჭედვა, შედუღება, დაჭრა, დახვრეტა და ჩამოყალიბება. ამისათვის საჭირო იყო დიდი მანქანები, რომელთა შექმნა მანუფაქტურული წესით შეუძლებელი იქნებოდა.

რკინიგზებისა და ტელეგრაფის განვითარებამ ხელი შეუწყო მოკლევადიან შეკვეთებს.

ძირითადი კაპიტალის ცალკე ელემენტების სიცოცხლის ვადა სარკინიგზო მშენებლობაში სხვადასხვანაირია. ამიტომ მათი გადაბრუნების დროც სხვადასხვანაირია.

კ. მარქსი აკრიტიკებს იმთავითვე დამკვიდრებულ აზრს, თითქოს რკინიგზის გაცვეთა უმნიშვნელოა და თითქმის მუდმივი, რომ კარგი რელსები 100-150 წელიწადს ძლებს. ნამდვილად, რკინიგზაზე სხვადასხვა საგნებს სხვადასხვა ხანგრძლივობა აქვთ. ამიტომ ავანსად გაღებული კაპიტალის გადაბრუნების დროც სხვადასხვანაირია. ყველაზე ადრე ცვთება სარელსო გზა და ტრანსპორტის მასალა

ვ. ი. ლენინს თავის შრომებში ნაჩვენები აქვს რკინიგზების არა მარტო ფისკალური მნიშვნელობა, არამედ მათი როლიც სახალხო მეურნეობაში, ბაზრის საკითხში, ქვეყნის კოლონიზაციაში. ლენინს შესწავლილი აქვს რკინიგზების მშენებლობა მეფის რუსეთში და მათი გავლენა პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე. „პროდუქტი ჯერ ვოლგის მხარეში მიჰქონდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც რკინიგზები გაიყვანეს, ის მიაქვთ სატახტო ქალაქებში“.[1]

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტ. 3, გვ. 350.

რკინიგზები ხელს უწყობენ ფასების ერთგვარ ნიველირებას წარმოებასა და მოხმარების ადგილებში.

„რკინიგზები — კაპიტალისტური მრეწველობის უმთავრესი დარგების, ქვანახშირისა და რკინის წარმოებათა შედეგია, მსოფლიო ვაჭრობისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცივილიზაციის განვითარების შედეგი — და ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაჩვენებელი. თუ როგორ არის დაკავშირებული რკინიგზები მსხვილ წარმოებასთან, მონოპოლიებთან, სინდიკატებთან, კარტელებთან, ტრესტებთან, ბანკებთან და ფინანსურ ოლიგარქიასთან, ეს ნაჩვენებია ამ წიგნის წინა თავებში. რკინიგზის ქსელის განაწილება, ამ განაწილების უთანაბრობა, რკინიგზის ქსელის განვითარების უთანაბრობა — ეს არის შედეგი თანამედროვე, მონოპოლისტური კაპიტალიზმისა მსოფლიო მასშტაბით და ეს შედეგი გვიჩვენებს იმპერიალისტური ომების აბსოლუტურ აუცილებლობას, **ამნაირ** სამეურნეო საფუძველზე, **სანამ** არსებობს წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება.

რკინიგზების მშენებლობა თითქოს უბრალო, ბუნებრივი, დემოკრატიული, კულტურული, ცივილიზატორული წამოწყებაა: ასეთია იგი ბურჟუაზიული პროფესორების თვალში, რომლებიც სასყიდელს იღებენ კაპიტალისტური მონობის შელამაზებისათვის, და წვრილ-ბურჟუაზიული ფილისტერების თვალშიც. ნამდვილად კი კაპიტალისტურმა ძაფებმა, რომლებიც ათასგვარი ქსელით აკავშირებენ ამ წამოწყებებს წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებასთან საერთოდ, ეს მშენებლობა გადააქციეს იმ იარაღად, რომლითაც ჩაგრავენ **მილიარდ** ადამიანს (კოლონიები პლუს ნახევრადკოლონიები), ე. ი. დედამიწის ნახევარზე მეტ მოსახლეობას დამოკიდებულ ქვეყნებში და კაპიტალის დაქირავებულ მონებს „ცივილიზებულ“ ქვეყნებში“ [1].

ისე დიდად არის დაკავშირებული ფინანსური კაპიტალი მშენებლობასთან, რომ ლენინს ფინანსური კაპიტალის ზრდის სხვადასხვა სისწრაფის დასახასიათებლად მოაქვს რკინიგზის სტატისტიკა, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ შეიცვალა რკინიგზათა სიგრძე ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველა კოლონიაში, აზიისა და ამერიკის დამოუკიდებელ და ნახევრად დამოკიდებულ სახელმწიფოებში. 1913 წელი შედარებულია 1890 წელთან. მონაცემები ადასტურებენ, რომ რკინიგზები ყველაზე სწრაფად ვითარდება კოლონიებში და აზიისა და ამერიკის დამოუკიდებელ (და ნახევრად დამოკიდებულ)

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, 1951, გვ. 234—235.

სახელმწიფოებში. მას განაგებს 4—5 უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოს ფინანსური კაპიტალი. აქ გაყვანილია 200.000 კილომეტრი ახალი რკინიგზა, რისთვისაც დაბანდებულ იქნა 40 მილიარდ მარკაზე მეტი.

ვ. ი. ლენინი დაასკვნის, რომ კაპიტალიზმი ყველაზე სწრაფად იზრდება კოლონიებისა და ოკეანისიქითა ქვეყნებში; ამასთან ერთად ჩნდება ახალი იმპერიალისტური სახელმწიფოები, მაგალითისათვის დასახელებული აქვს იაპონია.

მის მიერ მოტანილი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ლენინს ნაჩვენები აქვს, რომ რკინიგზების მთელი რაოდენობის დაახლოებით 80% თავმოყრილია 5 უდიდეს სახელმწიფოში. ესენია შეერთებული შტატები, ბრიტანეთის იმპერია, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი. ამასთანავე ნაჩვენებია ფინანსური კაპიტალის კონცენტრაციის თავისებურება. ინგლისელ და ფრანგ მილიონერებს ეკუთვნის ამერიკის, რუსეთის და სხვა რკინიგზების უამრავი აქცია და ობლიგაცია.

რკინიგზების მშენებლობამ განსაკუთრებულად შეუწყო ხელი ქვანახშირისა და რკინის წარმოების განვითარებას. ამ მხრივადაც უთანაბრობას აქვს ადგილი. 1892 წელს თუჯის გამოდნობაში ინგლისი იდგა წინ გერმანიასთან შედარებით, გერმანია ადნობდა 4,9 მილიონ ტონას, ინგლისი 6,8 მილიონ ტონას, 1912 წელს გერმანიამ დიდი უპირატესობით გაუსწრო ინგლისს—17,6 მილ. ტონა 9,0 მილ. ტონის წინააღმდეგ[1].

იმპერიალიზმის ეპოქაში კერძო საწარმოების გვერდით იქმნება სახელმწიფო მონოპოლიები და აგრეთვე შერეული ტიპის საწარმოები, რომლებშიც გაერთიანებული არიან კერძო და სახელმწიფო კაპიტალები. ლენინმა გვიჩვენა, თუ ფინანსური კაპიტალის ეპოქაში, „როგორ ეხლართებიან ერთმანეთს ერთ მთელად კერძო და სახელმწიფო მონოპოლიები“[2]. მან კლასიკურ ფორმაში გვიჩვენა ბანკების შეერთება, შეზრდა მრეწველობასთან, ბანკების მონოპოლიების შექმნა, კაპიტალის საკუთრების გამოყოფა წარმოებრივი კაპიტალისაგან, რანტიეს გამოცალკევება, რანტიეს და ფინანსური ოლიგარქიის გაბატონება და რანტიე სახელმწიფოების შექმნა.

რუსეთში რკინიგზის მშენებლობა გაცხოველდა 1853—1856 წლე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 345—347.

[2] იქვე. გვ. 315.

ბის ყირიმის ომის შემდეგ. უგზოობამაც ერთ-ერთი როლი შეასრულა ამ დამარცხებაში. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მიმდინარეობს რკინიგზების ინტენსიური მშენებლობა.

მთავრობა რკინიგზის მშენებლობაში გასაქანს აძლევდა კერძო კაპიტალს, განსაკუთრებით — უცხო კაპიტალს. დიდი შეღავათების გამო კერძო კაპიტალი დიდ მოგებას ღებულობდა ამ საქმიდან. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ეხმარებოდა კერძო კაპიტალს და ამასთანავე ამ უკანასკნელს შესაძლებლობას აძლევდა კიდევ უფრო მტაცებლური ექსპლოატაცია გაეწია აგებულ ხაზებზე. მთავრობა კერძო კაპიტალს ზარალს უნაზღაურებდა, აგრეთვე აძლევდა მოგების გარანტირებულ მინიმუმს 5% აქციონერულ კაპიტალზე.

XIX ს. 70-იანი წლების ეკონომიურმა კრიზისმა, 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა მთავრობა იძულებული გახადა შეეცვალა სარკინიგზო პოლიტიკა—დაიწყო რკინიგზების გამოსყიდვა იმ დასაბუთებით, რომ ხაზინა უფრო მომჭირნეობით წარმართავდა სარკინიგზო საქმეს. ფაქტიურად ეს ნაკარნახევი იყო კერძო კაპიტალის ინტერესებით. კერძო კაპიტალი ცდილობდა ამ ხანგრძლივ სარეწაოში დაბანდებული კაპიტალი გამოენთავისუფლებინა და ის გადაეტანა მისთვის უფრო რენტაბელურ დარგში. 1881--1891 წლებში ხაზინამ გამოისყიდა 7.200 ვერსი რკინიგზა და ააგო 7.000 ვერსი ახალი რკინიგზა ხაზინის ხარჯზე [1].

სახელმწიფო საწარმოებში მუშათა ექსპლოატაციას იგივე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი აქვს, რაც კერძო კაპიტალისტურ საწარმოებში, მაგრამ ეს ექსპლოატაცია ხარისხობრივად განსხვავდება. მუშათა ექსპლოატაცია სახელმწიფო საწარმოებში უფრო მწვავეა, ვიდრე კერძო საწარმოებში. შრომის პირობები პირველში უფრო მძიმეა და ხელფასი უფრო ნაკლები, ვიდრე მეორეში. აქ სახელმწიფო დამატებით ექსპლოატაციას უწევს. კაპიტალიზმის პირობებში რკინიგზებზე ექსპლოატაციის კანონიერი საზღვარი არ არსებობს.

II. სახელმწიფო საწარმოები კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში

1. სახელმწიფო მონოპოლიების განვითარება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში

სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავალი კაპიტალიზმის განვითარების დაბალ საფეხურზე, პროტექციონისტული სისტემის

---

[1] В. П. Дьяченко, Финансы и кредит СССР, 1940, стр. 47.

პირობებში, უფრო მეტი იყო გადასახადურ წყაროებთან შედარებით. შემდგომ კი თავისუფალი მეწარმეობის პირობებში სახელმწიფომ საწარმოები და ქონების დიდი ნაწილი კერძო ინიციატივას გადასცა. ამის გამო კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებში შემცირდა ამ დარგის შემოსავალი და გაიზარდა გადასახადური შემოსავალი.

მონოპოლისტური და განსაკუთრებით სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში ზეპროტექციონისტული სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებით იმპერიალისტური სახელმწიფოს ხელში მაღალი გადასახადური სისტემის შენარჩუნებასთან ერთად კვლავ გაიზარდა სახელმწიფო საწარმოთა რიცხვი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაცია; აგრეთვე სახელმწიფომ შეისყიდა კერძო მეწარმეთა აქციები. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფომ თავის საკუთრებად აქცია ელექტროსადგურები, ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის მრეწველობა. ატომური მრეწველობა მთლიანად სახელმწიფო სახსრებით არის შექმნილი.

იმპერიალიზმის ეპოქაში უჩვეულოდ იზრდება წარმოების კაპიტალისტური განსაზოგადოება, დიდი მასშტაბით ხდება კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. ამასთან დაკავშირებით იზრდება ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ ცხოვრებაში. მონოპოლიები სულ უფრო მეტად უმორჩილებენ თავიანთ მიზნებს სახელმწიფო აპარატს. სახელმწიფო სხვადასხვა მარეგულირებელ ღონისძიებებს მიმართავს და ახდენს ეკონომიკის ცალკეულ დარგთა გასახელმწიფოებრივებას.

სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი წარმოადგენს წარმოების კაპიტალისტური განსაზოგადოების უმაღლეს საფეხურს. აქ ერთმანეთთან არის გადახლართული კერძო და სახელმწიფო მონოპოლიები, მონოპოლისტურ კაპიტალს გამოყენებული აქვს სახელმწიფო აპარატი ეკონომიკაში ჩარევის მიზნით, რომ უზრუნველყოს თავისთვის მონოპოლიურად მაღალი მოგების მიღება.

მონოპოლიები სახელმწიფო აპარატს იმორჩილებენ მოხელეთა აპარატის მოსყიდვით, ამასთანავე იზრდება სახელმწიფო საკუთრება, სახელმწიფო მოხმარება, კონტროლი და რეგულირება. ბურჟუაზიული სახელმწიფო ხელს ჰკიდებს ცალკეულ საწარმოებს, მეურნეობის დარგებს, სამეურნეო ფუნქციებს, მაგრამ ქვეყნად მაინც რჩება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ბატონობა.

სახელმწიფო საწარმოები იქმნება ერთი მხრივ იმგვარად, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე აშენებენ საწარმოებს, არსენალებს,

რკინიგზებს და სხვ. სახელმწიფო საწარმოების წარმოშობის მეორე გზას წარმოადგენს ნაციონალიზაცია, ცალკეულ საწარმოთა სახელმწიფოსათვის გადაცემა უხვი კომპენსაციით და სხვ.

სახელმწიფო ხელისუფლება ხელს უწყობს კაპიტალის კონცენტრაციას; ომის დროს წარმოების იძულებით კონცენტრაციასაც ეწევა. ვინაიდან სახელმწიფოს ხელში თავმოყრილია უზარმაზარი თანხები, იგი დიდ ზეგავლენას ახდენს სამეურნეო კონიუნქტურაზე. დიდ მოთხოვნას აცხადებს მოწყობილობასა და საამშენებლო მასალებზე და ამით ამდიდრებს მონოპოლისტებს. ამდენად შეუძლიათ კონიუნქტურის ერთგვარი გამოცოცხლება.

ამ საფუძველზე ბურჟუაზიული ეკონომისტები ფიქრობენ, რომ სახელმწიფოს შეუძლია გეგმური ხელმძღვანელობა გაუწიოს მეურნეობას. ნამდვილად ეს არ შეიძლება იმიტომ, რომ საფუძვლად ისევ კერძო კაპიტალისტური საკუთრება რჩება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია: „კაპიტალისტური მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ცდებს არ შეუძლიათ მოსპონ წარმოების კონკურენცია და ანარქია, არ შეუძლიათ უზრუნველყონ მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება საზოგადოებრივი მასშტაბით, ვინაიდან წარმოების საფუძვლად რჩება კაპიტალისტური საკუთრება და დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია. ბურჟუაზიული თეორიები „უკრიზისო“ და „გეგმური“ კაპიტალიზმის შესახებ გაცამტვერებულია თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების მთელი მსვლელობით“ [1].

სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი ამწვავებს წინააღმდეგობებს ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს შორის და იწვევს უკანასკნელთა შემჭიდროებას ქვეყნის გარდასაქმნელად. ვ. ი. ლენინი წერდა: „...სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალიზმის უაღრესად სრული მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი მომზადებაა, მისი კ ა რ ი ბ ჭ ე ა, ისტორიული კიბის ის საფეხურია, რომელს შუა და სოციალიზმად წოდებულ საფეხურს შუა ა რ ა ვ ი თ ა რ ი შ უ ა თ ა ნ ა ს ა ფ ე ხ უ რ ი არ არის“ [2]

ბურჟუაზიული სახელმწიფო ამა თუ იმ ზომით ყოველთვის ერეოდა სამეურნეო ცხოვრებაში, მაგრამ მონოპოლისტური კაპიტალიზმის სტადიაში მან გააძლიერა ეს ჩარევა. განსაკუთრებით კი სახელმწი-

---

[1] Материалы XXIII съезда КПСС, стр. 338.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას, თხზ., ტ. 25, 1952. გვ. 438.

ფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში. მსოფლიო ომებმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა დააჩქარეს მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადაზრდა სახელმწიფო მონოპოლისტურ კაპიტალიზმში. კაპიტალიზმის პირობებში გადამწყვეტ როლს ასრულებენ უმსხვილესი კორპორაციები. იმპერიალისტური სახელმწიფოს მთავრობა მონოპოლისტური კაპიტალის საქმეთა კომიტეტია.

თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფო ეწევა რთულ ეკონომიკურ საქმიანობას, რაც ემსახურება მონოპოლისტთა ინტერესების დაცვას. ამ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია მდგომარეობს მონოპოლიების მიერ მის გამოყენებაში კაპიტალისტურ მეურნეობაზე ზემოქმედებისათვის.

საწარმოთა გასახელმწიფოებრიობა იწვევს სახელმწიფო სექტორის ზრდას. ამ ნიადაგზე იზრდება კაპიტალისტური მონოპოლიის სპეციფიკური ფორმა, წარმოების განმკარგულებელი ხდება მონოპოლისტთა ჯგუფი. მაგრამ ეს საწარმოები არ უპირისპირდება კერძო კაპიტალისტურ საწარმოებს. ისინი იმპერიალისტური სახელმწიფოების საკუთრებას შეადგენენ, მაგრამ სახალხო საკუთრებას — არა. საწარმოთა გასახელმწიფოებრიობა შეთავსებულია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებასთან.

სახელმწიფო საკუთრება და სამეურნეო ცხოვრების სახელმწიფოებრივი რეგულირება სხვადასხვა ცნებაა. სახელმწიფო საკუთრების ზრდა ხელს უწყობს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გაფართოებას. სახელმწიფო საკუთრება წარმოადგენს კერძო მეურნეობაზე არაპირდაპირი ზემოქმედების დამატებით საშუალებას მონოპოლიების სასარგებლოდ.

იმპერიალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო საკუთრების ზრდა კაპიტალიზმის მთავარი წინააღმდეგობის, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის წინააღმდეგობის შედეგია.

საწარმოთა გასახელმწიფოებრიობას სხვადასხვა იმპერიალისტურ ქვეყანაში თავისი სპეციფიკა აქვს.

ქვეყნის ეკონომიკაში საწარმოთა ხვედრითი წონის შესახებ ლაპარაკობს სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მრეწველობისა და ვაჭრობის სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულია ქვეყნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 12—25%-მდე.

2. სახელმწიფო საწარმოთა მმართველობის სისტემა და მათი ურთიერთობა ბიუჯეტთან

იმპერიალისტურ ქვეყნებში არსებობს სახელმწიფო-კაპიტალისტური საკუთრების ორი სახე: ერთი — ავტონომიური სახელმწიფო-კაპიტალისტური საწარმოები, რომლებიც მთლიანად ეკუთვნიან სახელმწიფოს, მეორე — შერეული სახელმწიფო-კერძო კაპიტალისტური საწარმოები. აქ საკუთრების ნაწილი სახელმწიფოსია. ძირითადი ფორმა სახელმწიფო-კაპიტალისტური საწარმოა; ის წარმოადგენს თავისთავადურ იურიდიულ პირს.

ინგლისში სახელმწიფო-კაპიტალისტურ საწარმოს უწოდებენ public corporation—საჯარო კორპორაციებს, შეერთებულ შტატებში—gowerment corporation—მთავრობის კორპორაციებს, საფრანგეთში—entreprise publique—საჯარო საწარმოებს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — öffentliche Anstalt — საჯარო საწარმოებს[1].

პირველი სახის სახელმწიფო-კაპიტალისტური საკუთრება შედგება ორი ჯგუფისაგან: ბიუჯეტურ დაფინანსებაზე მყოფი საწარმოებისა და სახელმწიფო კორპორაციებისაგან.

სახელმწიფო საწარმოთა პირველ ჯგუფს ეკუთვნის ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, სამხედრო საწარმონი, რკინიგზები, ფისკალური მონოპოლიები, ზარაფხანა, რიგი სავაჭრო საწარმოებისა, სასტუმროები, რესტორნები, სამეფო დოკები ინგლისში და სხვ. ესენი ისტორიულად ძველი სახელმწიფო საწარმონია, რომელნიც იმთავითვე კაპიტალისტური სახელმწიფოს ხელში იყო და სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე იმყოფებიან. მათ განაგებენ უშუალოდ მინისტრები ღა უწყებები. ამასთან ერთად სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს მიწების, ტყეებისა და წიაღის ნაწილი, რომლებზეც სახელმწიფომ შეინარჩუნა საკუთრების უფლება. მათი მოგება შესაბამის ბიუჯეტში ჩაირიცხება.

ეს საწარმოები არ არიან თავისთავადური საწარმოები, ისინი არ განკარგავენ სახსრებს, არ იხდიან გადასახადებს და ამორტიზაციის ანარიცხებს. ისინი ადგენენ ბიუჯეტურ ნუსხებს, რომლებიც დაერთვის სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტებს. ასეთი საწარმოების ურთიერთობა ბიუჯეტთან წარიმართება ბრუტო ბიუჯეტის ან ნეტო ბიუჯეტის პრინციპით. ბრუტო ბიუჯეტის დროს ბიუჯეტში შეიტანე-

---

[1] С. Л. Зивс, Сущность и основные организационно-правовые формы воздействия империалист. государства на экономику (Империалист. госуд. и капит. хозяйство, გვ. 57).

ბა მათი მთლიანი შემოსავალი და გასავალი. ნეტო ბიუჯეტის დროს ბიუჯეტის შემოსავალში ან გასავალში შეიტანება შესაფერისი სალდო. ასეთი საწარმოები თავისთავადური საწარმოებია. ისინი ავტონომიური უფლებებით სარგებლობენ და სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტში შეიტანება მხოლოდ მათი ფინანსური შედეგი. დღევანდელ პირობებში უფრო გავრცელებულია ნეტო პრინციპი, რომელიც მთავრობას შესაძლებლობას აძლევს უფრო თავისუფლად განაგებდეს საწარმოს სახსრებს.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე წარმოიშვა სახელმწიფო კორპორაციები. ესენი არიან სახელმწიფო საწარმონი, მაგრამ მათი საქმიანობა წარიმართება კერძო-კაპიტალისტურ საწარმოთა პრინციპის მიხედვით. სახელმწიფო კორპორაციების საქმიანობა მოწესრიგებულია წესდებით, ეს კორპორაციები არსდება სპეციალური პარლამენტური აქტით. ამ საწარმოებს აქვთ წარმოებრივი და ფინანსური თავისთავადობა და კომერციული ანგარიშიანობის პრინციპით საქმიანობენ. სახელმწიფო კორპორაციები ადგენენ ბალანსებს, რომლის სალდო ბიუჯეტში არ აისახება. სახელმწიფო კორპორაციები არის აშშ-ში, ინგლისში, იტალიაში და სხვ. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის ელექტროენერგიის, რკინიგზების, გაზის, ქვანახშირისა და სხვ. საწარმოები. მათ საკუთარ სახსრებს წარმოადგენს მოგება და ამორტიზაციის ანარიცხები. ამით ფარავენ ისინი თავიანთ ხარჯებს. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ფასების პოლიტიკაზე. რაც უფრო დაბალია სახელმწიფო საწარმოთა პროდუქციის ფასი, მით უფრო ნაკლებია სახელმწიფო საწარმოთა საკუთარი სახსრების წილი. ამგვარად, ისინი თვითდაფინანსებაზე იმყოფებიან. როდესაც სახსრები არ ყოფნის სახელმწიფო კორპორაციებს, ისინი სესხს იღებენ ბიუჯეტიდან. ბიუჯეტთან მათი ურთიერთობა გამოიხატება სესხის მიღებასა და გადასახადების გადახდაში. ისინი იხდიან საშემოსავლო გადასახადს და მოგების გადასახადს. სახელმწიფო კორპორაციებს შეერთებულ შტატებში გადასახადებს არ ახდევინებენ. სახელმწიფო კორპორაციის პროდუქციაზე დაწესებული დაბალი ფასების საშუალებით ხდება ამ საწარმოებში შექმნილი ზედმეტი ღირებულების გადანაწილება კერძო მონოპოლიების სასარგებლოდ.

შერეული საკუთრების საწარმოები წარმოიშვა XIX საუკუნის შუახანებში და განსაკუთრებით განვითარდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში.

შერეული საკუთრების საწარმოები იქმნება შემდეგნაირად:
1. როდესაც სახელმწიფო აარსებს ახალ საწარმოს, იმთავითვე და-

გეგმილი აქვს კერძო კაპიტალის მოზიდვაც, 2. სახელმწიფოს მიერ დაარსებულ საწარმოებში შედიან მონოპოლისტები და კაპიტალის ერთი ნაწილის მესაკუთრენი ხდებიან, 3. სახელმწიფო ყიდულობს აქციების დიდ ნაწილს, დანარჩენის მფლობელებად რჩებიან კერძო მონოპოლისტები.

სახელმწიფო, როგორც მესაკუთრე, იცავს კაპიტალისტური კოლექტიურობის ინტერესებს. ომის შემდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოიშვა ბევრი შერეული საკუთრების საწარმო. სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებს კაპიტალდაბანდებათა საერთო ჯამში უჭირავს ინგლისში 47%, საფრანგეთში — 39,8%, გფრ-ში — 35%.

მონოპოლიები სხვანაირად იყენებენ სახელმწიფო საკუთრებას. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებითი ფორმა. სახელმწიფო საკუთრების საწარმოებს იჯარით გადასცემენ მსხვილ მონოპოლიებს, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი სახელმწიფოს ეკუთვნის და ფორმალურად მის საკუთრებად ითვლება, მაგრამ ფაქტიურად მონოპოლიების განკარგულებაში და სარგებლობაშია, მოგებას ისინი ღებულობენ. ეს განსაკუთრებით გამოწვეულია ეკონომიკის მილიტარიზაციით.

მოგება, რომელსაც სახელმწიფო ღებულობს როგორც აქციონერი, რჩება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება მოცემული საწარმოს გასაფართოებლად. შერეული საკუთრების საწარმოები ხარჯებს ფარავენ თვითდაფინანსებით. ხარჯების ერთ მესამედს ფარავენ ბანკის კრედიტით შეღავათიან პირობებში. მათ უფლება აქვთ გამოუშვან დამატებითი აქციები. ეს საწარმოები იხდიან იმავე გადასახადებს, რასაც აქციონერული საწარმოები.

აქვე აღსანიშნავია სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. სახელმწიფო ქონებას საკუთრებად აძლევენ კერძო მონოპოლიებს: ახდენენ სახელმწიფო საკუთრების დენაციონალიზაციას; აწარმოებენ სახელმწიფო საკუთრების მიყიდვას. სახელმწიფო, როცა ყიდულობს მონოპოლიებიდან, აძლევს მათ მაღალ განაკვეთებს, ხოლო როცა მიჰყიდის მათ, ახდევინებს დაბალ განაკვეთებს. საწარმოთა ნაციონალიზაცია და დენაციონალიზაცია ორივე შემთხვევაში მონოპოლიების სასარგებლოდ ხდება. სახელმწიფო ქონების გაყიდვა ხშირად წარმოდგენილი აქვთ როგორც კაპიტალის „დემოკრატიზაციის“ ღონისძიება. აშშ-ში სახელმწიფო ხშირად სპეციალურად აგებს ბიუჯეტის ანგარიშით საწარმოებს, რომელთაც შემდეგში შეღავათიან ფასებში მონოპოლიებზე ყიდის.

კაპიტალის კონცენტრაციის ახალ საფეხურს წარმოადგენს ზემონოპოლიები, რომლებიც მსოფლიო ხასიათს ღებულობს და რომელთაც საერთაშორისო კომპანიებს ან ტრანსნაციონალურ კომპანიებს უწოდებენ.

ამ საერთაშორისო კომპანიების დამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მსოფლიო ბაზრებზე გადიან მწარმოებლური კაპიტალის ექსპორტით. ამ ზემონოპოლიებს საზღვარგარეთულ ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებში შექმნილი აქვთ გამსაღებელ ორგანიზაციათა ფართო ქსელი. ამასთანავე ისინი გასაღების ადგილზევე აწარმოებენ საქონელს. ამისათვის იყენებენ უცხოურ მუშაძალას, იქაურ ხელსაყრელ ადგილობრივ პირობებს, ადვილად ნთქავენ სუსტად განვითარებულ ადგილობრივ საწარმოებს და თავისი ქვეყნის ბაზარს მსოფლიო ბაზრის ნაწილად აქცევენ.

ექსპერტთა გაანგარიშებით, საერთაშორისო მონოპოლიები ყოველწლიურად აწარმოებენ 240 მილიარდი დოლარის პროდუქციას. 1968 წლისათვის მათი პროდუქცია აღემატებოდა ინგლისისა და გფრ-ის ნაციონალურ პროდუქტს ერთად აღებულს. მათი პროდუქციის მოცულობა ყოველ წელს იზრდება. ამ ზემონოპოლიებს ფართო საერთაშორისო კავშირები აქვთ. ასე მაგალითად, „ინტერნეშნლ ტელეფონ ენდ ტელეგრაფი“ კონტროლს უწევს 60 ქვეყნის საწარმოებს.

ამ საერთაშორისო გაერთიანებებში გაბატონებულია ამერიკული კომპანიები, რომელთაც საერთაშორისო კომპანიების აქტივის 55 პროცენტი უჭირავთ. 1968 წლისათვის მათ გამოუშვეს 130 მილიონი დოლარის პროდუქცია, რაც 3,5 აღემატებოდა საქონლის ექსპორტს ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

ასეთი დიდი საერთაშორისო გიგანტებია აშშ-ის მონოპოლიები: „ჯენერალ მოტორსი“, „ფორდ მოტორსი“, „ჯენერალ ელექტრიკ“, „ინტერნეშნლ ბიზნეს მაშინა“, „კრაისლერი“, „ინტერნეშნლ ტელეფონ ენდ ტელეგრაფი“ და სხვ.

თანამედროვე საერთაშორისო მონოპოლიების დამახასიათებელია ომამდელი პერიოდის მონოპოლიებთან შედარებით ის, რომ ესენი არიან სამრეწველო გიგანტები და არა ნედლეულის კარტელები.

4. მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო საწარმოები კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში

ა) აშშ

აშშ სახელმწიფო საწარმოების განვითარება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ყველა ახალ საწარმოთა ორი მესამედი სახელმწიფოს ხარჯით აშენდა. ომის დროს სახელმწიფომ ააგო 3000-მდე საწარმო. ამ საწარმოთა 80%-ს განაგებდა მსხვილი ამერიკული კორპორაციები. მსხვილი კორპორაციები გამდიდრდნენ არა მარტო ამ საწარმოთა მშენებლობაზე, არამედ იმითაც, რომ შემდეგში ისინი მუქთად ჩაიგდეს ხელში სახელმწიფოსაგან გამოსყიდვით.

ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ში ირიცხება 13 კორპორაცია, რომლებიც მთლიანად სახელმწიფოს ეკუთვნის. და 26 კორპორაცია ფუნქციონირებს სახელმწიფო კაპიტალის წილობრივი მონაწილეობით. სადაზღვევო და საბანკო-საკრედიტო დაწესებულებები წარმოადგენენ საწარმოთა მთელ სისტემას.

აქ მეორე მსოფლიო ომის დროს დამუშავებით მრეწველობაში ახალ საწარმოთა ასაგებად დაიხარჯა 26 მილიარდი დოლარი, აქედან 17,5 მილიარდი დოლარი დახარჯა სახელმწიფომ [1].

1948 წელს აშშ-ში ნაციონალური სიმდიდრის 27% სახელმწიფო საკუთრება იყო. მიუხედავად ამისა, კერძო კაპიტალი იმდენად ძლიერია, რომ 63 მსხვილ აქციონერულ კომპანიას შეუძლია შეისყიდოს აშშ-ის მთელი სახელმწიფო საკუთრება [2]. 1957 წლისათვის სახელმწიფო საკუთრების ღირებულება შეადგენდა 250 მილიარდ დოლარს. მაგრამ სახელმწიფო საკუთრების ზრდა არ ცვლის მისი საბალხო მეურნეობის კაპიტალისტურ ხასიათს.

დიდად გაიზარდა აშშ სამხედრო დანიშნულების სახელმწიფო საწარმოები, განსაკუთრებით ატომური წარმოებისა.

გარდა აღნიშნულისა, აშშ სახელმწიფო საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის დიდი ჰიდროსადგურები, აეროდრომები, ნავსადგურები, საკრედიტო დაწესებულება. მაგალითად, აშშ ექსპორტ-იმპორტის ბანკი, რკინიგზების ნაწილი და სხვა საწარმოთა დიდი უმრავლესობა დეფიციტურია.

ათ უმსხვილეს საერთაშორისო სამრეწველო გიგანტიდან ექვსი

---

[1] Дж. Блор, Х. Хауптон и М. Роуз, Экономическая конференция и вторая мировая война, М., 1948, стр. 60.

[2] M. Dimock, Business and Govenrment, New York, 1949, p. 352.

ამშ ეკუთვნის, რომელთა დამუშავებითს მრეწველობაში დასაქმებულია 2 მილიონ მუშაზე მეტი.

ბ) ინგლისი

ინგლისში სახელმწიფო საწარმოებს წარმოადგენს ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, რკინიგზა, ქვანახშირის მრეწველობა, ელექტროენერგეტიკული და გზის მრეწველობა, ატომის საწარმონი, სამხედრო ქარხნები, ინგლისის ცენტრალური საემისიო ბანკი და სხვ.

სახელმწიფო საწარმოები ინგლისში დიდი ხნიდან არსებობს. მაგრამ მძლავრი განვითარება დაიწყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის მზადებისა და მიმდინარეობის პროცესში. საწარმოებს აგებდნენ მონოპოლიები სახელმწიფო ანგარიშით, რომლებიც გამდიდრდნენ ამ მშენებლობაზე.

ომისშემდგომ პერიოდში სახელმწიფო საწარმოთა რიცხვი გააფართოვა მრეწველობის ზოგიერთმა ნაციონალიზებულმა დარგმა, ინგლისის ბანკის ნაციონალიზაციამ და ატომური წარმოების გამართვამ სახელმწიფოს ანგარიშით.

1945—1948 წლებში მოხდა სახალხო მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების ნაციონალიზაცია, როგორიცაა: ტელეგრაფის, საზღვარგარეთთან რადიოკავშირის, ელექტროენერგეტიკისა და გაზის მრეწველობის, ინგლისის ცენტრალური საემისიო ბანკის, რკინიგზების, არხების, ლონდონის სამგზავრო ტრანსპორტისა და სხვ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო დაეხმარა კერძო მონოპოლისტებს, საწარმოები შეისყიდა მათგან მაღალ ფასებში. ნაციონალიზებულ საწარმოებს კვლავაც მართავენ კაპიტალისტები. ნაციონალიზებული საწარმოები ამჟამადაც საჭიროებენ ბიუჯეტურ დახმარებას.

ინგლისში ქვეყნის მრეწველურ საწარმოთა 20% სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს.

ათი უმსხვილესი საერთაშორისო სამრეწველო გიგანტიდან ორი ეკუთვნის ინგლისს.

გ) საფრანგეთი

საფრანგეთში სახელმწიფო საწარმოთა რიცხვი გაიზარდა განსაკუთრებით კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში. 1945—47 წლებში საფრანგეთში ჩატარდა ნაციონალიზაცია გაზის, ქვანახშირის, ელექტროენერგეტიკის დარგების, ზღვისა და საჰაერო ტრანს-

პორტის, ავიამრეწველობის, საფრანგეთის ცენტრალური საემისიო ბანკის, დეპოზიტის ბანკების: „ლიონის კრედიტი“, „სოსიეტე ჟენერალი“, „ნაციონალური სადისკონტო კანტორა“, „ნაციონალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი“, აგრეთვე დაზღვევის კომპანიებს: „ასიურანს ჟენერალი“, „იუნიონი“, „იურძენი“, „ნასიონალი“ და სხვ.

ამ დარგების ხელმძღვანელობა დაეკისრა სპეციალურ ელექტროენერგიის მმართველობას „ელექტრისტე დე ფრანსს“, რომელიც საფრანგეთის მთელი ელექტროენერგიის 80% აწარმოებს. გაზის მმართველობას ეწოდება „გაზ დე ფრანს“, რომლის წილად მოდის მთელი საფრანგეთის გაზის წარმოების 95%. ქვანახშირის საწარმოთა მმართველობას ეწოდება „შარბონაჟ დე ფრანს“ და ქვეყნის მთელი ქვანახშირის ამოღების 98% მის ხელშია.

საერთოდ, ქვეყნის საწარმოთა 35%-ზე მეტი სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს.

რიგი დარგის საწარმოთა ნაციონალიზაცია მთავრობას ძვირად დაუჯდა. სახელმწიფომ ყოფილ მფლობელებს საწარმოთა ჩამორთმევა დიდი კომპენსაციით აუნაზღაურა. ამასთანავე სახელმწიფოს დიდი სახსრები დაუჯდა მათი თანამედროვე ტექნიკით გამართვა. ეს დარგები საფრანგეთში ძირითადად დეფიციტურია და მათ აფინანსებს სახელმწიფო.

დ) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა მოწყობას თავისი ისტორია აქვს. გერმანია გვიან დადგა კაპიტალისტური განვითარების გზაზე. მას არ შეეძლო ეცადა კერძო კაპიტალისათვის, სანამ ის ისე არ მოღონიერდებოდა, რომ ხელი მოეკიდა სახალხო მეურნეობის მსხვილი დარგებისათვის. ამიტომ საჭირო იყო სახელმწიფოს ეკისრა სახელმწიფო საწარმოების გამართვა. გერმანიამ ჯერ კიდევ ბისმარკის დროს შეისყიდა კერძო რკინიგზები. შემდეგში სახელმწიფო საწარმოები თანდათან ფართოვდებოდა. გერმანიის სახელმწიფოს სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობის სფერო მოიცავდა კავშირგაბმულობას, მიმოსვლა-მიმოზიდვას, არსენალებს, ნავსაშენებს, დოკებს, ელექტროსადგურებს, ქვანახშირის მაღაროებს, კალაქვის მადნებს, მეტალურგიის კომბინატებს და კომუნალური მომსახურების საწარმოებს. მძლავრი ელექტროსადგურები სახელმწიფომ ააგო.

სახელმწიფო საწარმოთა უმრავლესობა, რომელიც დღეს გაარნია დასავლეთ გერმანიას, უკვე ჰქონდა მეორე მსოფლიო ომამდე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფო საწარმოთა ხვედრითი წონა გაიზარდა. გფრ-ს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში აქვს 5500-მდე საწარმო სახელმწიფო მონაწილეობის სხვადასხვა ფორმით, რომელთა კაპიტალი 25 მილიარდ მარკას აღემატება. სახელმწიფომ ააგო დიდი სამხედრო საწარმოები.

გერმანიაში რკინიგზებისა და მრეწველური საწარმოების დიდი ნაწილი სახელმწიფოს ხელშია.

XX ს. 30-იან წლებამდე სახელმწიფოს ეკუთვნოდა კონცერნი „გაერთიანებული სამრეწველო აქციონერული საზოგადოება", ის აერთიანებდა კალის, სინთეტიკური სელიტრის, ქვანახშირის, რკინის მადნის წარმოებას. ძვირფასი ლითონების, ალუმინის წარმოებას, მარილის დამუშავებას. გაჩნდა აგრეთვე ახალი სახელმწიფო საწარმოები ქვანახშირ-ქიმიური ქარხნების, სინთეტიკური კაუჩუკის, ავტომობილის კონცერნი „ფოლკსვაგენი", მძიმე მანქანათმშენებლობის კომბინატი „რეინმეტალბორზიგ" და სხვ.

მსხვილი საერთაშორისო სამრეწველო გიგანტების ათეულიდან ერთ-ერთი არის ავტომობილის კონცერნი „ფოლკსვაგენი", რომლის გასაღების მოცულობამ 1968 წელს შეადგინა 3536 მილიონი დოლარი.

გფრ არის დიდი სახელმწიფო მესაკუთრე და მეწარმე. მაგრამ სახელმწიფო საკუთრების ფისკალური ეფექტი უმნიშვნელოა. ასე მაგალითად, მისი წილი საერთო ბიუჯეტურ შემოსავალში 1966 წელს 1% არ აღემატებოდა. უმეტესი წილი სახელმწიფო საკუთრების დარგებისა წამგებიანია და მოითხოვს ბიუჯეტურ დახმარებას.

სახელმწიფო საწარმოთა მთავარ ფორმას გფრ-ში წარმოადგენს: სახელმწიფო საწარმოები მეურნეობაში, პირადი უნია მონოპოლიებსა და სახელმწიფო საწარმოებს შორის, სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი მეურნეობრივ რეგულირებაში და მონაწილეობა საერთაშორისო სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ ორგანიზაციებში.

ფედერალური მთავრობის საწარმოთა უმრავლესობა გაერთიანებულია დიდ სახელმწიფოებრივ კონცერნებში. ასეთებია:

1. გაერთიანებულ სამრეწველო საწარმოთა აქციონერული საზოგადოება—„ფიაგ" (ფედერეინიგტე ინდუსტრიუნტერნემუნგენ აგ). იგი აერთიანებს 47 კომპანიას. მისი კაპიტალი შეადგენს 200 მილიონ მარკას და მთლიანად ფედერალური მთავრობის ხელშია.

2. გაერთიანებული ელექტრონისა და სამთო აქციონერული სა-

ზოგადოება (ფება) შედგება სამი მსხვილი საწარმოსაგან, ერთიანებს 83 კომპანიას, რომელთა დაბანდება შეადგენს 3,5 მილიარდ მარკას.

3. სამთო და მეტალურგიული ქარხნების აქციონერული საზოგადოება (აგბხ), რომლის აქციონერული კაპიტალი შეადგენს 400 მილიონ მარკას. ის წარმოიშვა ომის შემდეგ.

4. სამთო საზოგადოება („საარბერგვერკე აგ"). ეს კონცერნი დაარსებულია 1957 წ. 1 ოქტომბერს. მისი აქციონერული კაპიტალის 74% ფედერალური მთავრობის ხელშია, 26% — საარის ოლქის მთავრობის ხელში.

5. მრეწველურ საწარმოთა მმართველობის საზოგადოება (იფგ) სამხედრო დანიშნულების კონცერნია.

6. მდინარის ტრანსპორტის აქციონერული საზოგადოება, რომლის აქციონერული კაპიტალი შეადგენს 20 მილ. მარკას[1].

ე) იაპონია

იაპონიაშიც სახელმწიფო საწარმოებს იმთავითვე ექცეოდა დიდი ყურადღება. იაპონიაც იმ სახელმწიფოთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც გვიან გამოვიდნენ კაპიტალისტური განვითარების სარბიელზე. იაპონიამ ფართოდ გაშალა სახელმწიფო საწარმოთა მშენებლობა. აქ სახელმწიფო ადრიდანვე დაეპატრონა ფოსტას, ტელეგრაფს, რადიოს, რკინიგზებს, მეტალურგიულ ქარხნებს და სხვ. იაპონიაში სახელმწიფო რკინიგზები შეადგენს მთელი სარკინიგზო ხაზის ორ მესამედს. უდიდესი მეტალურგიული კომბინატი „იავატა" სახელმწიფო საკუთრებაა. სახელმწიფო წინათაც აგებდა დიდი ტონაჟის გემებს და სხვ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიამ ინტენსიურად დაიწყო სახელმწიფო საწარმოთა მშენებლობა.

ომის შემდგომ იაპონიის ეკონომიკა სწრაფად განვითარდა. დამუშავებითი მრეწველობა 1964 წლისათვის გაიზარდა 30,6%-მდე. სწრაფი ტემპებით განვითარდა მანქანათმშენებლობა, ნავთობის ქიმია, შავი მეტალურგია, დიდი ტემპით — მსუბუქი მანქანების წარმოება, რომლის პროდუქცია შეადგენს 60% წლიურად, რადიომიმღებისა და ტელევიზორებისა — 39% და 40%.

უკანასკნელ ათწლედში საზოგადოებრივი პროდუქტის 30%

---

[1] Л. Манер, Государственные предприятия в монополистическом хозяйства ФРГ, 1961, стр. 71—79.

მოხმარდა კაპიტალდაბანდებებს, განსაკუთრებით ელექტროენერგეტიკის, ნავთობის, ქიმიის, ავტომობილის მრეწველობის, შავი მეტალურგიის დარგებში. იაპონიაში მთელი მიწის ერთი მეოთხედი ეკუთვნის სახელმწიფოს, რომლის 92% დაფარულია ტყითა და უშენი ადგილებით.

სახელმწიფო მშენებლობას უჭირავს 42347 ათასი კვ. მეტრი. 1963 წელს სახელმწიფოს ეკუთვნოდა 5818 გემი, 1747 თვითმფრინავი, 1162,4 მილიარდი იენი ინვესტიციები და აქციები.

სახელმწიფო საწარმოებიდან აღსანიშნავია: სახელმწიფო რკინიგზების იაპონიის კორპორაცია, სახელმწიფო მონოპოლიის იაპონიის კორპორაცია და იაპონიის ტელეფონ-ტელეგრაფის კორპორაცია. მასვე ეკუთვნის რვა საკრედიტო კორპორაცია.

საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ინსტიტუტების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი და სხვ) ინვესტიციები 1963 წელს შეადგენდა 212,4 მილიარდ იენს.

იაპონიაში არის ცხრა სპეციალური და 39 გამოყოფილი კორპორაცია.

ბიუჯეტში ფიქსირებულ სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავალს მცირე ხვედრითი წონა აქვს. ცენტრალურ ბიუჯეტში 1964/65 წლებში ის შეადგენდა 1.3%, ხოლო 1963/64 წლების ადგილობრივ ბიუჯეტებში — 2,2%[1].

III. სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა

a) მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა

1. მერკანტილიზმი

განვითარების დაბალ საფეხურზე კაპიტალიზმი ჯერ კიდევ მომაგრებული არ იყო და საჭიროებდა სახელმწიფოს მზრუნველობას, სახელმწიფოს ჩარევას სამეურნეო ცხოვრებაში. ამიტომ მერკანტილისტური პოლიტიკა გამოიხატებოდა სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივ რეგლამენტაციაში. სახელმწიფო ერეოდა სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობაში და მას გარკვეულ მიმართულებას აძ-

---

[1] А. И. Динкевич, Государственные финансы послевоенной Японии, М., 1967, стр. 149—153.

ლევდა შემოსაზიდი და გასაზიდი ბაჟების ან აკრძალვით, ან პრემიების დაწესებით და სხვ. ამ გზას ადგნენ XVI—XVIII საუკუნის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. სახელმწიფო შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონება, დომენები და ზოგიერთი სახის სავაჭრო და სამრეწველო საწარმოები, აგრეთვე გადასახადები. მაგრამ გადასახადებს ადრინდელი ხანის სახელმწიფო შემოსავალში მაინც მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდა.

ადრინდელი მერკანტილისტები დიდხანს ამუშავებდნენ საკითხს დომენებისა და რეგალიების შესახებ[1]. მე-16 საუკუნის მწერალი გ. ობრეხტი რჩევას იძლეოდა სახელმწიფოს გამოეყენებინა რეგალიები, შეექმნა სათადარიგო ხაზინა რაიმე საჭიროებისათვის.

კასპარ კლოკი გვაძლევს შეფასებათა აღწერას კადასტრის საშუალებით და დომენების განსხვისების წინააღმდეგია.

მერკანტილისტ დიომიდე კარაფას აზრით, სახელმწიფო შემოსავლის მთავარი წყარო უნდა იყოს დომენები. ასევე ბოდენიც დომენებს თვლის სახელმწიფო შემოსავლის მთავარსა და ამავე დროს უწყვეტ წყაროდ. ადრინდელ ხანაში, როგორც ცნობილია, სახელმწიფო იყო დიდი მემამულე და ბოდენიც ასაბუთებდა დომენების განუსხვისებლობას.

ამავე პოზიციაზე დგას მელხიორ ფონ ოსა (1506—1577), რომელიც სახელმწიფო შემოსავალთა შორის ყველაზე უფრო საიმედო შემოსავლიან წყაროდ თვლის დომენებს და მეფეს ურჩევს მას მოჭირნედ მოეკიდოს.

ლუდვიგ სეკენდორფს (1626—1692) დომენების ექსპლოატაციის საუკეთესო ფორმად მიაჩნდა სახელმწიფოს მიერ მათი იჯარით გაცემა და მოითხოვდა მოხელეთა შტატის შემცირებას. იგი გამოხა-

---

[1] აზრი სახელმწიფო ქონების, როგორც სახელმწიფო შემოსავლის, შესახებ მეტად ძველია. იგი ცნობილი იყო მონათმფლობელური საზოგადოებრივი ფორმაციის სახელმწიფოს პირობებშიც.

ქსენოფონტე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო ქონებას, როგორც სახელმწიფოს შემოსავლის წყაროს. ის სახელმწიფოს ურჩევდა გაექირავებინა გემები, აგრეთვე აეგო სასტუმროები, მაღაზიები, საქონელთა საწყობები და გაექირავებინა: შეესყიდა (ტყვეები) მონები გაქირავების მიზნით (Ксенофонт. Полное собрание сочинений в пяти частях. Перев. Г. А. Янчевецкого, ч. 1—5. М., 1887; Проф. Осокин, Об организации финансового управления в Афинах (Известия Казанского университета, 1853 г., кн. 4).

ფეოდალიზმის ფორმაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი სახელმწიფო შემოსავალს ყოფდა ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ შემოსავლად. სახელმწიფო შემოსავლის ჩვეულებრივ წყაროდ მიაჩნდა სახელმწიფო ქონება, დომენები.

ტავდა სავაჭრო კაპიტალის განწყობილებას, რომელიც თავს შევიწროებულად თვლიდა აბსოლუტურ სახელმწიფოში.

იუსტი, რომლის წიგნი გამოვიდა 1755 წელს, მეორე — 1766 წელს. იცავდა დომენებს და გამოხატავდა განათლებული აბსოლუტიზმის მისწრაფებებს.

ზონენფელსი (1733—1818) სახელმწიფოს ჩვეულებრივი შემოსავლის წყაროდ თვლიდა გადასახადებს და დომენებისა და რეგალიების როლი მიაჩნდა დაქვეითებულად. ზონენფელსი ფიქრობდა, რომ დომენებით სახელმწიფო ზარალობს და უმჯობესია იგი კერძოთა ხელში იყოს, ვიდრე სახელმწიფოს მფლობელობაშიო.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლა

კაპიტალისტური საზოგადოებრივი სისტემის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მერკანტილისტური პოლიტიკა, სახელმწიფოს მიერ სამეურნეო ცხოვრების რეგლამენტირება შემაფერხებელი აღმოჩნდა. ბურჟუაზიამ თანდათანობით იწყო სამეურნეო საქმეებში სახელმწიფოს ჩაურევლობის მოთხოვნილების წამოყენება. როგორც აღნიშნული გვქონდა, ჯერ კიდევ გვიანი დროის მერკანტილისტები — იუსტი და ზონენფელსი აღარ ანიჭებდნენ უპირატესობას სახელმწიფო ქონებას, შესაძლებლად მიაჩნდათ დომენების განსხვისება და სახელმწიფო შემოსავლის მთავარ წყაროდ გადასახადებს აღიარებდნენ. ასეთ მიდრეკილებას კიდევ უფრო მეტად ააშკარავებენ ფიზიოკრატიის წინამორბედნი და თვით ფიზიოკრატები.

სამრეწველო კაპიტალიზმის უფრო მძლავრი განვითარება მოითხოვდა ვაჭრობისა და მრეწველობის განთავისუფლებას მერკანტილისტური შეზღუდვებისაგან. ჯერ კიდევ ნორსმა და იუმმა იქადაგეს ფრიტრედერული იდეები, რომლებიც უფრო გაშლილად და საფუძვლიანად განავითარა ინგლისურმა კლასიკურმა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ. იგი დადგა ეკონომიკური ლიბერალიზმის პოზიციაზე, რომლის თანახმად საჭირო არ იყო სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში. ამის შემდეგ ეკონომიკური აზრი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო შემოსავალში დომენებს და სახელმწიფოს მიერ დომენების განსხვისება სასარგებლოდ მიაჩნია.

ადამ სმიტი გადაჭრით წინააღმდეგია იმისა, რომ სახელმწიფომ შეინარჩუნოს დომენები. მისი აზრით, სახელმწიფოს არ შეუძლია იყოს კარგი მეურნე და იგი დომენებს ისე კარგად ვერ მოუვლის, როგორც კერძო მეპატრონე. იგი წერს: „პირველი შეხედვით თუმცა

ისე წარმოგვიდგება, რომ თითქოს ცივილიზებულ მონარქიებში სახაზინო მიწებიდან ხაზინის მიერ მიღებული შემოსავალი არაფერი არ უღირს ცალკეულ პირებს, მაგრამ სინამდვილეში საზოგადოებას გაცილებით უფრო ძვირი უღირს, ვიდრე ყოველი სხვა თანაბარი ზომის სახაზინო შემოსავალი. ყველა შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლოა შეიცვალოს ეს შემოსავალი ასეთივე ზომის სხვა რომელიმე სახაზინო შემოსავლით და მიწები განაწილდეს მოსახლეობას შორის, რაც უთუოდ ჯობია განხორციელდეს საჯარო ვაჭრობით“ [1].

კენე და სმიტი სახელმწიფო შემოსავლის მთავარ წყაროდ და აგრეთვე ნაციონალური შემოსავლის განაწილება-გადანაწილების მნიშვნელოვან საშუალებად აღიარებდნენ გადასახადებს. ამიტომ მათ ფინანსური კატეგორიებიდან განსაკუთრებით დაამუშავეს გადასახადები.

3. სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება

მე-19 საუკუნის დასაწყისში თავისი სამეურნეო ცხოვრების განვითარებით გერმანია ჩამორჩებოდა ინგლისსა და საფრანგეთს. ის ჯერ კიდევ შეადგენდა დაქუცმაცებულ, გაუერთიანებელ სახელმწიფოს. გერმანიის ბურჟუაზია იძულებული იყო ებრძოლა ამ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. ეს იდეები ამა თუ იმ ზომით სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების ჩამოყალიბებამდე გამოხატა ისტორიული სკოლის წინამორბედმა ფრიდრიხ ლისტმა (1789—1846). მისი მთავარი ნაშრომია „პოლიტიკური ეკონომიის ნაციონალური სისტემა“. მან მოითხოვა მრეწველობის განვითარება, პროტექციონიზმი (მფარველობითი ბაჟები) და სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში. ამგვარად, ლისტმა გაილაშქრა კლასიკური სკოლის იდეის—ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის წინააღმდეგ და მოითხოვა ერის გაერთიანება, მისი სამრეწველო განვითარება, სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში და სახელმწიფო საწარმოთა შექმნა. ასეთი საწარმოებია რკინიგზები, ფოსტა, ტელეფონი, ტელეგრაფი და სხვ., რომელთაც სახელმწიფო ან თვითონ აწყობს, ან თავის მფლობელობაში იღებს. სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების ფინანსისტები აყენებდნენ საკითხს არა მარტო სახელმწიფოს მიერ დომენების განუსხვისებლობის, არამედ სახელმწიფოს მიერ საწარმოთა მოწყობისა და მოწყობილთა ხელში აღების შესახებ.

---

[1] Адам Смитт, Исследование о природе и причинах богатства народов, т. II, 1935, стр. 340—341.

ამ მიმართულების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ადოლფ ვაგნერი, ლუი ბრენტანო, გუსტავ შმოლერი და სხვ.

ადოლფ ვაგნერმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის ფარგლების საკითხს. ად. ვაგნერის მიმართულების დასახასიათებლად საყურადღებოა მისი შრომები: Grundlegung der politischen Ökonomie, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება და აგრეთვე ოთხტომიანი Finanzwissenshaft.

ად. ვაგნერი არ იყო მომხრე მთელი სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებისა, ყველა საწარმოს სახელმწიფოზე გადაცემისა. მისი აზრით, არსებობს საწარმოები, სადაც აუცილებლად საჭიროა მეწარმის ხელი. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად იზრდება სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში. ეს უკანასკნელი სასარგებლოა, მისი აზრით, როდესაც სახელმწიფო საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, სადაც კერძო ინიციატივა თავის ეფექტს ვერ ამჟღავნებს, სადაც საჭიროა საქმეში ერთიანობა და სადაც საწარმო თავს ვერ ამართლებს ეკონომიკურად.

ად. ვაგნერი იყო სახელმწიფო მონოპოლიების დამცველი გერმანელი შოვინისტი და რეაქციონერი. ის ამავე დროს ემხრობოდა მუნიციპალურ სოციალიზმს, კომუნალურ მეურნეობათა სახელმწიფოზე გადაცემას.

4. მუნიციპალური სოციალიზმი

მე-19 საუკუნის დასასრულს გაძლიერდა კომუნალურ საწარმოთა საკითხების დამუშავება. დიდი ქალაქების ზრდა და განვითარება იწვევდა იმას, რომ ქალაქის საწარმოთა ორგანიზაცია თვით ქალაქებს მოეწყოთ. თავდაპირველად ასეთი ნაბიჯები გადადგმულ იქნა ინგლისში.

1897 წ. გამოვიდა ლინდემანის შრომა[1] კ. გუგოს ფსევდონიმით. სადაც გადმოცემულია იმ დროისათვის ახალი მიმდინარეობანი ინგლისის საქალაქო თვითმმართველობაში.

იმავე ხანებში გამოვიდა ამერიკელი ჟურნალისტის ალბერტ შოუს შრომა[2], რომელიც იძლევა მუნიციპალური მეწარმეობის სურათს.

---

[1] Stadte Verwaltung und Municipal-Sozialismus in England, 1897.
[2] Albert Shaw, Municipal Government in Great Britain.

მუნიციპალური სოციალიზმის წინააღმდეგ გამოვიდნენ ლორდ ავებური, ლეონარდ დარვინი და პორტერი[1].

მუნიციპალიზაციას ემხრობოდნენ მეიერი, ჰოვი და ბიტა[2]

მუნიციპალური სოციალიზმი წარმოადგენს ბურჟუაზიულ მიმდინარეობას, ის ფიქრობს, რომ მუნიციპალური მმართველობის ფუნქციების გაფართოებით შესაძლებელია კაპიტალიზმი შეცვალოს სოციალიზმმა: შესაძლებელია კაპიტალიზმი მშვიდობიანი გზით გადაიზარდოს სოციალიზმში ცალკეული თვითმმართველი თემის ფარგლებში, ისე რომ ბურჟუაზიული ბატონობის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები რჩებოდეს. ეს მიმდინარეობა ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის 80—90-იან წლებში. მისი წარმომადგენლები იყვნენ ოპორტუნისტები მუშათა მოძრაობაში: ინგლისში — ფაბიანელები, საფრანგეთში — პოსიბილისტები, გერმანიაში — ე. ბერნშტეინის მომხრეები, რუსეთში — ეკონომისტები და შემდეგ მენშევიკები.

მუნიციპალური სოციალიზმის მომხრეები მუშებს მოუწოდებდნენ ებრძოლათ წვრილი რეფორმებისათვის, რომლებიც ეხებოდა ადგილობრივ თვითმმართველობებს. მუნიციპალიტეტებს.

მუნიციპალური სოციალისტების „...ძირითადი პრინციპებია, — წერდა ენგელსი, — შიში რევოლუციის წინაშე“[3].

ჯერ კიდევ ენგელსმა მოგვცა იმგვარი შეხედულების კრიტიკა, რომელიც სოციალისტურს უწოდებდა კაპიტალიზმის პირობებში სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის გასახელმწიფოებრივებას. მუნიციპალური სოციალიზმის საფუძვლიანი კრიტიკა მოგვცა შემდეგში ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში“.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ დასავლეთ ევროპაში არსებობს ოპორტუნისტული მიმართულება „მუნიციპალური სოციალიზმი“, რომელიც მოითხოვს მუნიციპალიტეტების საკუთრების გაფართოებას. იგი წერდა: „დასავლეთ ევროპის მუნიციპალური სოციალიზმის მეშჩანური გმირების მეშჩანური ილუზიები უკვე ერთბაშად იჩენენ თავს. დავიწყებულია ბურჟუაზიის ბატონობაც. დავიწყებულია ისიც, რომ მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობის დიდ პროცენტს

---

[1] Lord Avebury, Municipal and National Frading; Leonard Darvin, Municipal Ownership; R. Porter, The Dangers of Municipal Ownership.

[2] H. Meyer, Municipal Ownership in Great Britain: Howe, The British City; E. Bitis. Municipal monopolies.

[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 29, стр. 185.

პროლეტარიატი შეადგენს, შესაძლებელი ხდება მუნიციპალური მმართველობის ნამცეცებიდან მცირე რამის შენარჩუნება მშრომელთა სასარგებლოდ!... „მუნიციპალურ-სოციალისტური“ იდეის მთავარი სიყალბე არის ოცნება „...სოციალურ მშვიდობაზე, კლასთა მორიგებაზე“ [1].

ბურჟუაზიული სახელმწიფოს საწარმოებსა და ქონებას კაპიტალისტური ხასიათი აქვს. სახელმწიფო საწარმოთა სოციალ-ეკონომიკური ბუნება დახასიათებული აქვს მარქსს კრიტიკულ შენიშვნებში ა. ვაგნერის წიგნზე. გასახელმწიფოებრივება კაპიტალიზმის პირობებში საწარმოებს არ უკარგავს საქონლურ-კაპიტალისტურ ხასიათს. „ნამდვილი სისულელე იქნებოდა, თუ იმაზე დაფუძნებით, რომ საქონელი წარმოგვიდგება ჩვენ ერთი მხრით სახმარ ღირებულებად, ანუ დოვლათად და მეორე მხრივ „ღირებულებად“ — მივაბათ ამ საქონლის ანალიზს ყოველგვარი ბანალური მსჯელობა სახმარ ღირებულებათა ან დოვლათთა შესახებ, რომლებიც არ ეკუთვნიან საქონელთა სამყაროს სფეროს, როგორიცაა „სახელმწიფოს დოვლათი“, „სათემო დოვლათი“ და სხვ. როგორც ამას ჩადიან ვაგნერი და საზოგადოდ გერმანელი პროფესორები, ანდა „ჯანმრთელობის“, როგორც დოვლათის შესახებ და ა. შ. იქ, სადაც თვით სახელმწიფო კაპიტალისტურ მწარმოებელს წარმოადგენს, მაგალითად მადნეულობის, ტყეების და სხვ... ექსპლოატაციის დროს, მისი პროდუქტი „საქონელია“ და ამიტომ მას ყოველი სხვა საქონლის სპეციფიკური ხასიათი გააჩნია“ [2].

ენგელსი „ანტი-დიურინგში“ შენიშნავს, რომ საწარმოთა გასახელმწიფოებრიობა თავისთავად ჯერ კიდევ სოციალიზმს არ ნიშნავს. სახელმწიფო მონოპოლიები, სამხედრო საწარმოები და სხვ. არ წარმოადგენენ სოციალისტურ ღონისძიებებს. ენგელსი წერდა: „...ბოლო დროს, რაც ბისმარკი გასახელმწიფოებრივებას გამოუდგა, გაჩნდა ერთგვარი ყალბი სოციალიზმი, რომელიც აქა-იქ თავის ნება-სურვილით ლაქიობის თავისებურ სახედ გადაგვარდა, რომელიც ყოველ გასახელმწიფოებრივებას, თვით ბისმარკის მიერ მოხდენილსაც, პირდაპირ სოციალისტურ ღონისძიებად აცხადებს. თამბაქოს სახელმწიფოებრივი მონოპოლია რომ სოციალისტური ღონისძიება ყოფილიყო, ნაპოლეონსა და მეტერნიხს სოციალიზმის ფუძემდებელთა რიცხვში შეიტანდნენ. როცა ბელგიის სახელმწიფომ ყოველდღიური პოლიტიკური და ფინანსური მოსაზრებებით მთავარი სარკინიგზო

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, 1950, გვ. 448—449.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კრიტიკული შენიშვნები ად. ვაგნერის წიგნზე, 1933, გვ. 23.

ხაზები თვით ააგო, როცა ბისმარკმა ყოველი ეკონომიური აუცილებლობის კარნახის გარეშე პრუსიის მთავარი სარკინიგზო ხაზები სახელმწიფო საკუთრებად აქცია. უბრალოდ იმისათვის, რათა ისინი ომის შემთხვევაში უკეთ მოეწესრიგებინა და გამოეყენებინა, რათა: რკინიგზის მოხელეები მთავრობის ხმის მიმცემ პირუტყვთა ჯოგად ექცია და, უმთავრესად, რათა ახალი პარლამენტისაგან დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო გაეჩინა. — ეს ყოველივე სრულიადაც სოციალისტურ ნაბიჯებს არ წარმოადგენდა არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ,—არც შეგნებულად და არც შეუგნებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალისტურ დაწესებულებებად უნდა გვეცნო სამეფო საზღვაო სავაჭრო საზოგადოება, სამეფო ფაიფურის მანუფაქტურა და თვით ასეულის სამკერვალოები"[1].

სახელმწიფო საწარმოებში მუშათა ექსპლოატაციას იგივე სოციალ-ეკონომიკური ხასიათი აქვს, რაც კერძო კაპიტალისტურ საწარმოებში, მაგრამ ხარისხში ეს ექსპლოატაცია განსხვავდება. მუშათა ექსპლოატაცია სახელმწიფო საწარმოებში უფრო მწვავეა, ვიდრე კერძო საწარმოებში, შრომის პირობები პირველში უფრო მძიმეა და ხელფასი უფრო ნაკლები, ვიდრე მეორეში. აქ მუშებს სახელმწიფო დამატებით ექსპლოატაციას უწევს.

6) მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა

1. ჯონ მეინარდ კეინსი და კეინსიანელები

სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის მთავარი მქადაგებელი არის ინგლისელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი, რომელმაც მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ამ საკითხს; მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი ბურჟუაზიულ ეკონომისტთა წრეში ნაშრომით, რომელსაც ეწოდება „დასაქმების, სარგებლისა და ფულის საერთო თეორია". კეინსი მიზნად ისახავს კაპიტალიზმის გაჯანსაღებას სახელმწიფო რეგულირების საშუალებით. ის მოითხოვს, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოს აპარატი მონოპოლიებს ემსახურებოდეს და ეკონომიკური ცხოვრების რეგულირებას ახდენდეს მონოპოლიების სასარგებლოდ.

ამერიკელი კეინსიანელები აირესი, ჩეიზი, მოულტონი და სხვ. აღიარებენ, რომ თავისუფალ მეწარმეობას თავისი დიდი ნაკლი აქვს.

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952. გვ. 330—331.

მისი გამოსწორება შეიძლება მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების გზით, ყველა რისკი და ხარკი უნდა დაეკისროს ბიუჯეტს.

ისინი ბურჟუაზიული სახელმწიფოს არსის მცდარი პოზიციებიდან ასაბუთებენ თავიანთ აპოლოგეტურ შეხედულებებს.

უკანასკნელ ხანებში ბურჟუაზიულ ეკონომისტებს კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ საწარმოთა გასახელმწიფოებრივება არ მიაჩნიათ კაპიტალიზმისათვის საშიშ და კერძო საკუთრების პრინციპებთან შეუთავსებელ მოვლენად.

ამერიკელი პ. სეიდმენი წერს: „საჯარო საწარმონი გამოყენებული იქნება განსაკუთრებით კერძო მეწარმეთა წასახალისებლად, დასახმარებლად და გასაძლიერებლად და არა მათ შესაცვლელად“ [1].

ფრანგი აკადემიკოსის ჟ. რიპერის აზრით, არ უნდა ჩაითვალოს დაუშვებლად სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგთა ნაციონალიზაცია „განსაზღვრულ პირობებში და განსაზღვრული მოცულობით“, ვინაიდან „ნაციონალიზებული საწარმო კაპიტალისტურ საწარმოდ რჩება“, ამასთანავე ისიც „კანონზომიერია, რომ ყოველგვარი შეზღუდვა მქონეელთა საკარგებლოდ მიდის“ [2].

ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი საწარმოთა ნაციონალიზაციას განიხილავს როგორც დროებით საშუალებას კაპიტალიზმის გასაჯანსაღებლად. მაგალითად, ფრანგი ეკონომისტი ჟ. მაიე კითხულობს, რომ საწარმოთა ნაციონალიზაცია. რომელიც გამოყენებული იყო მერყეევი ეკონომიკური კონიუნქტურით, წონასწორობის აღდგენის შემდეგ ისევ უნდა დარჩეს სახელმწიფო საწარმოებად თუ რეპრივატიზებული უნდა იქნეს? [3].

ასევე ერთგვარად ეჭვს გამოთქვამს ფრანგი ეკონომისტი ჟ. შარდონე საწარმოთა გასახელმწიფოებრივების მიზანშეწონილობაში. ის ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნებოდა სახელმწიფოს დაეწესებია ამ საწარმოებზე კონტროლი და მისი ეფექტურობა ფინანსური პოლიტიკით ყოფილიყო უზრუნველყოფილი, ვიდრე ის უშუალოდ სახელმწიფო მმართველობაში გადასულიყო [4].

ბურჟუაზიული ეკონომისტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ხდება „კაპიტალიზმის თვითლიკვიდაცია“. ასეთია, მაგალითად, შუმპეტერი.

---

[1] H. Seidman, The Government corporation in the United States. „Public Administration“, 1959 p. vol. XXXVII, p. 104.

[2] G. Ripert, Aspects juridiques du capitalisme moderne, 1946, p. 255'

[3] J. Maillet, Aspect historique des nationalisations française, (Le fonctionnement des entreprises nationalisées en France, P.. 1956. p. 28).

[4] J. Chardonnet, L'économie française, t. II, p. 381.

ასეთი აზრი მას გადმოცემული აქვს თავის შრომაში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია". ის ამბობს, რომ „მალე ჩაესვენება კერძო მეწარმეული საქმიანობა". „ტექნიკური პროგრესი სპეციალისტთა ჯგუფის საქმედ გადაიქცევა, რომლებიც ორგანიზებულად მუშაობენ. ეკონომიკური ზრდა კარგავს კავშირს ცალკეული მუშების საქმიანობასთან და სულ უფრო გაპირობებული ხდება წარმოების ავტომატიზაციით. ცალკეულ ინდივიდთა მუშაობა იცვლება სახელმწიფოებრივი ხასიათის სპეციალური დაწესებულებებისა და კომისიების მიერ[1]".

შუმპეტერი არაფერს ლაპარაკობს შრომის კაპიტალისტური ექსპლოატაციის შესახებ. სინამდვილე და ცხოვრება არ ადასტურებს კაპიტალიზმის თვითლიკვიდაციას.

ამ თეორიას ემხრობა ჟ. ფურასტიე თავის ნაშრომში „XX საუკუნის დიდი იმედი" (1949 წ.). ფურასტიე ფიქრობს, რომ ტექნიკური პროგრესი კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებშიაც „ძირფესვიანად შეცვლის ტრადიციულ წარმოებას და მოხმარებას"[2]. აქ ის გულისხმობს კაპიტალისტურ წარმოებას და მოხმარებას.

ეს ეკონომისტები მხედველობის გარეშე ტოვებენ იმას, რომ სოციალისტური საკუთრება შესაძლებელია დამყარდეს მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით, რომ კაპიტალიზმის თვითლიკვიდაციაზე ლაპარაკი მხოლოდ თვალთმაქცობაა.

2. ნეოლიბერალიზმი

წარმოების საშუალებებზე სახელმწიფოებრივი საკუთრება წარმოადგენს სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ერთ-ერთ, შეიძლება ითქვას, დამთავრებულ ფორმას. მონოპოლისტური კაპიტალიზმის იდეოლოგებს სურთ შექმნან ილუზია, რომ მათ ახალი ტიპის სამეურნეო სისტემა აქვთ, რომელიც განსხვავდება ფაშისტური იძულებითი მეურნეობისაგან. მათი აზრით, ეს არის „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა". ერჰარდის განმარტებით: „ამ საბაზრო მეურნეობის არსი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ სამეურნეო პროცესი, ე. ი. საქონელთა და შემოსავალთა წარმოება-განაწი-

---

[1] J. Schumpeter, Capitalism. Socialism and Democracy, N. Y., 1942. p.p. 126. 220.

[2] J. Fourastie, Le Grand espoir du XX siècle. P. 1949, p. 1; Критика современных буржуазных реформистских и ревизионистских экономических теорий, Под ред. проф. Н. А. Цаголова, 1960, стр. 473—474.

ლების რეგულირება ხდება არა უფროსობის იძულებით, არამედ თავისთავად არსებული სამეურნეო-პოლიტიკური წესრიგის პირობებში თავისუფალი ფასების ფუნქციისა და თავისუფალი შეჯიბრის მამოძრავებლის საშუალებით" [1].

ნეოლიბერალიზმს, რომელსაც ემხრობოდა მრავალი გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, სინამდვილეში არ შეუქმნია არავითარი ახალი სამეურნეო სისტემა, უარი არ უთქვამს სახელმწიფოებრივ მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე. მან შეცვალა სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მხოლოდ სამხედრო ფორმა, შექმნა პოლიტიკური დასაყრდენი წვრილბურჟუაზიისა და საშუალო არამონოპოლისტურ მეწარმეთა წრეში, ხელი შეუწყო მეურნეობაში სახელმწიფო ჩარევის ისეთ ფორმებს, რომლებიც უფრო შეესაბამებოდა არსებულ კონკრეტულ პირობებს. მას განვითარებაში ხელს უშლიდა ზოგიერთი სამხედრო-მეურნეობრივი ფორმა სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმისა და ამიტომ მას დაუპირისპირა „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის" პრინციპი. ამასთანავე ყოველივე ამით მას სურდა დაემტკიცებინა დასავლეთ გერმანიის მეურნეობის უპირატესობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტურ მეურნეობასთან შედარებით.

გერმანელ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა მტკიცების მიუხედავად, დასავლეთი გერმანიის მეურნეობრივი სისტემა სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ერთ-ერთი ფორმაა, სადაც არსებობს მშრომელთა დიდი ექსპლოატაცია და მონოპოლისტთა მიერ დიდი მოგების მიღება სახელმწიფოს დახმარებით.

3. რეფორმისტები

რეფორმისტები და რევიზიონისტები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო თითქოს იქცევა კლასობრივად ნეიტრალურ ინსტრუმენტად. ისინი ამას ასაბუთებენ სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა გამოვლინებით. მათი აზრით, მარქსიზმ-ლენინიზმი თითქოს უარყოფს თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს. ეს მათი დიდი შეცდომაა. მარქსიზმ-ლენინიზმი ბურჟუაზიულ სახელმწიფოს როლს კი არ უარ-

---

[1] Bulletin des Presse- und Informationsamtes der Bundesregierung, № 8, Bonn, 1956; Л. Майер, Государственные предприятия... 1961, стр. 45—46.

ყოფს, არამედ იმას აღიარებს, რომ რასაც სახელმწიფო აკეთებს, მონოპოლიების სასარგებლოდ აკეთებს.

ავსტრიის სოციალისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აზრით, კაპიტალისტური საკუთრების განსაზოგადოებრიობას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს; ისინი მას თვლიან უფრო კონიუნქტურული მიზანშეწონილობის საკითხად.

ავსტრიის სოციალისტური ორგანო წერს: „ჩვენი კონცეფცია სოციალიზმისა არ ნიშნავს მეწარმეული საქმიანობის აღმოფხვრას, არამედ განსაზოგადოებული და კერძო ეკონომიკის თანაარსებობის მდგომარეობას“ [1].

ინგლისის „სოციალისტური კავშირის“ წევრთა მიერ შედგენილ საპროგრამო დოკუმენტში „მეოცე საუკუნის სოციალიზმი“ ნათქვამია, რომ უკუგდებულ უნდა იქნეს „საერთო საზოგადოებრივი საკუთრების საშუალებით გარდაქმნათა“ იდეა და აღიარებულ იქნეს „შერეული ეკონომიკა, ნაწილობრივ კერძო, ნაწილობრივ საზოგადოებრივი“ [2].

ამგვარად, რეფორმისტების წარმოდგენით თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკა შერეული ეკონომიკაა, რომ კაპიტალიზმი ძლევს წინააღმდეგობებს და თანდათანობით სოციალიზმად იქცევა.

ამ პოზიციაზე დგას კროსლენდი. მისი აზრით, ინგლისის ეკონომიკა შერეული ეკონომიკაა, რომელიც 75%-ით კაპიტალისტურია, ხოლო 25%-ით სოციალისტური [3]. ის ასაბუთებს, რომ აქ კაპიტალიზმი თანდათანობით გარდაქმნაშია და ამიტომ აღარ წარმოადგენს კაპიტალისტურს. აქ წარმოების საშუალებებზე აქტიური საკუთრება იცვლება აქციების პასიური მფლობელობით, კონტროლი სხვის ხელში გადადის და სახელმწიფო მნიშვნელოვანი ეკონომიკური როლის შესრულებას იწყებს.

ასეთსავე თვალსაზრისზე დგას ჯონ სტრეჩი, რომელიც წერს: „თანამედროვე კაპიტალიზმი მანამდე განვითარდება, სანამ არ მიაღწევს იმ წერტილს, რომლის შემდეგ აღარ შეიძლება ეწოდებოდეს კაპიტალიზმი“ [4].

ამავე პოზიციიდან კოული სოციალიზმის ელემენტებს ხედავს სა-

---

[1] Der Programmentwurf und die österreichische Wirtschaft—„Die Zukunft“, 1958, Heft 2, S. 49.

[2] Twentieth Century, Socialism, The Economy of Tomorrow by socialist Union, L, 1956, p. 146.

[3] C. Crosland, The Future of Socialism, L; 1956.

[4] J. Strachey, Contemporary Capitalism, L; 1956, p. 208.

ხელმწიფო და მუნიციპალური საწარმოებია არაებობაში და ბრიტანეთის სამომხმარებლო კოოპერაციაში.

კ. ჩერნეცი ამბობს, რომ „ძველი კაპიტალიზმი მკვდარია. კაპიტალისტური საზოგადოება მთლიანად შეიცვალა, ის ძირფესვიანად გარდაიქმნა, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, რომ კაპიტალისტურისშემდგომი საზოგადოება სოციალისტური იქნება თუ არა, იმაზეა დამოკიდებული, ისტორიული განვითარების მსვლელობაში ადამიანები რა ზომით გახდებიან აქტიური და შეგნებული“ [1].

რეფორმისტები სოციალიზმის განსახორციელებელ საშუალებებად ან სოციალიზაციად თვლიან რეფორმებს; საწარმოთა გასახელმწიფოებრიობა კაპიტალიზმის პირობებში მიაჩნიათ სოციალიზმად. ეს შეცდომაა. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში სახელმწიფოს კონტროლს უწევენ მონოპოლიები. გასახელმწიფოებრივება არ ნიშნავს სოციალიზმს, თუნდაც იმიტომ, რომ ხშირად ამას აკეთებს კაპიტალისტური სახელმწიფო იმისათვის, რომ გადაარჩინოს მონოპოლიები გაკოტრებას და სხვ. გასახელმწიფოებრივების შემდეგაც ისევ კაპიტალიზმი რჩება ექსპლოატაციით, კერძო საკუთრებით, მონოპოლიებით, კლასობრივი წინააღმდეგობით და სხვ. რა მიზეზებითაც არ უნდა იყოს გამოწვეული ეს გასახელმწიფოებრივება, ის ყოველთვის კაპიტალისტთა კლასის, კოლექტიური კაპიტალისტის ინტერესებს იცავს.

ყოველგვარი გასახელმწიფოებრივება რომ სოციალიზმად მიაჩნიათ რეფორმისტებს, ეს იმითაც აიხსნება, რომ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი, როგორც ლენინი აღნიშნავდა, წარმოადგენს სოციალიზმის სრულ მატერიალურ მომზადებას. მაგრამ რეფორმისტებს მხედველობის გარეშე რჩებათ ის, რომ სოციალიზმის განსახორციელებლად აუცილებელია რევოლუცია.

ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „...ყველაზე გავრცელებულ შეცდომას წარმოადგენს ის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მტკიცება, თითქოს მონოპოლისტური ან სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი უკვე აღარ იყოს კაპიტალიზმი, უკვე შეიძლებოდეს ეწოდოს მას „სახელმწიფოებრივი სოციალიზმი“ და სხვა ამგვარი“ [2].

ბენედიქტე კაუცკი, რენერი, ლეიბორისტები ალამაზებენ და ამახინჯებენ იმ ცვლილებებს, რომლებიც ხდება კაპიტალიზმის პირობებში. ისინი აიგივებენ კაპიტალიზმისა და სოციალიზმს, თანაარსე-

---

[1] K. Crernetz, Vor der Entscheidung, S. 42—43.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სახელმწიფო და რევოლუცია, თხზ., ტ. 25. 1952. გვ. 548

ბობას კაპიტალიზმისა და ფეოდალიზმის თანაარსებობასთან. ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი, მართალია, სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკური ფორმაციებია. მაგრამ ორივე ეკუთვნის კლასობრივ ანტაგონისტურ ფორმაციებს. სულ სხვაა კაპიტალიზმი და სოციალიზმი, რომელთა წარმოებრივი ურთიერთობანი ძირფესვიანად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რეფორმისტებს სწორად არ აქვთ გაგებული კაპიტალიზმის განვითარების ტენდენცია და კაპიტალიზმის კავშირი სოციალიზმთან. კაპიტალისტური და სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობანი საერთოდ შეუთავსებელია.

4. თანამედროვე რევიზიონისტები

თანამედროვე რევიზიონიზმი თავისი შინაარსით რეფორმიზმისაგან არ განსხვავდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ფორმალურ განმასხვავებელ ნიშანს. ისინი ცდილობენ მიჩქმალონ კაპიტალისტური წინააღმდეგობანი და პროლეტარიატი ჩამოაშორონ რევოლუციურ ბრძოლას. რევიზიონისტები წარმოებრივ ურთიერთობათა განმარტებაში მხედველობის გარეშე ტოვებენ კლასებს და მას განმარტავენ როგორც ურთიერთობას ცალკეულ პირებსა და ჯგუფებს შორის. ისინი მხედველობის გარეშე ტოვებენ წარმოებრივ ურთიერთობათა განმსაზღვრელ მომენტს — წარმოების საშუალებებზე საკუთრების ხასიათს [1].

მათი აზრით, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის შესაცვლელად საჭირო არ არის რევოლუცია. კაპიტალისტური კერძო საკუთრების სოციალისტურად შესაცვლელად საკმარისია შევცვალოთ წარმოების მმართველობა და პროდუქტთა განაწილების ფორმები. სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მიმართ აღნიშნავენ, რომ იქ სახელმწიფო ხელისუფლება თანდათან დამოუკიდებელი ხდება. სახელმწიფო კაპიტალისტური საკუთრების ზრდა სახელმწიფოს უქმნის თავისთავად ეკონომიკურ ბაზას და საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის შესაძლებლობას ანიჭებს.

ფრანგი რევიზიონისტი ლ. ლორუა ამბობს, რომ აშშ და დასავლეთ ევროპაში საზოგადოებრივი სტრუქტურა ისეა შეცვლილი, რომ იქ პროლეტარიატი აღარ არის და, მაშასადამე, იქ არც „პროლეტარიატის დიქტატურა“ შეიძლება. ამიტომ მუშათა კლასისათვის ის მოითხოვს ეკონომიკურ დემოკრატიას.

---

[1] З. Н. Беляева, В. А. Бударин. Критика современных буржуазных, реформистских и ревизионистских экономических теорий. М., 1962, стр 70.

რევიზიონისტ პ. რემბერის აზრით, დღევანდელ ხანაში „...ეკონომიკას განაგებს არა კაპიტალიზმი, არამედ სახელმწიფო“ [1].

რევიზიონისტები აღიარებენ სახელმწიფო საწარმოთა საერთოსახალხო ხასიათს; მათი აზრით, ეს საწარმოები მიზნად არ ისახავენ კაპიტალისტური მოგების მიღებას. მაგრამ, თუ დავაკვირდებით ფაქტებს, დავინახავთ, რომ ეს საწარმოები წარმოების ხარჯებზე უფრო დაბალ ფასებში ყიდიან ქვანახშირს კერძოთათვის, რასაც ბიუჯეტის ანგარიშით ფარავენ. ამგვარად, კერძო კაპიტალისტური საწარმოები ბიუჯეტის ხარჯზე დიდ შემოსავალს ღებულობენ [2].

რევიზიონისტი ჟ. მოკი იძლევა „დაგეგმვის“ რევიზიონისტული ვარიანტის პრინციპებს. მისი აზრით, მეურნეობის დაგეგმვისათვის აუცილებელი არ არის მთლად ერთიანად ნაციონალიზებულ იქნეს მეურნეობა, სტიქიის დასაძლევად, გარდა გაერთიანებისა, არსებობს კიდევ სხვა ძალებიც. კრიზისების მიზეზია არა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, არამედ „დაგეგმვის“ ცუდი ორგანიზაცია [3].

ამერიკელი რევიზიონისტები ქადაგებენ ამერიკული ეკონომიკის განსაკუთრებულობას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ის წარმოადგენს „განსაკუთრებულ დემოკრატიულ“ კაპიტალიზმს, რომელიც თავისუფალ კონკურენციაზეა დამყარებული. ამით ამერიკელი რევიზიონისტები არ ცნობენ ამერიკის კაპიტალიზმს როგორც სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს.

ამერიკელი რევიზიონისტი ბრაუდერი მხარს უჭერს „ნეოკაპიტალიზმის“ ბურჟუაზიულ თეორიას. ბრაუდერი აღიარებს ამერიკის მრეწველობის განვითარების განსაკუთრებულ გზას და მუშებისა და მეწარმეების ჰარმონიულ განვითარებას. ბრაუდერის რევიზიონისტული ჯგუფი განადგურებულ იქნა; შემდეგ თავი წამოყო მეორე რევიზიონისტულმა ჯგუფმა დ. გეიტსის ხელმძღვანელობით. მათი აზრით, კაპიტალიზმის მოსასპობად არ არის აუცილებელი პროლეტარიატის დიქტატურა; კაპიტალიზმი უკრიზისებოდ მიმდინარეობს. იქ არავითარ მონოპოლიების ბატონობას არ აქვს ადგილი და სოციალიზმი მშვიდობიანად შეიძლება შეეზარდოს კაპიტალიზმს.

რევიზიონისტებს გადმოღებული აქვთ კეინსიანელთა შეხედულე-

---

[1] Revue socialisto, 1955, № 88, p. 99.

[2] А. И. Покровский, Французская буржуазная политическая экономия, 1961, გვ. 177.

[3] J Moch, Reflections sur la planification socialisto, Revue socialiste, 1959, N. 125.

ბა „საყოველთაო კეთილდღეობის“ სახელმწიფოზე; მათ ეს სახელმწიფო მიაჩნიათ შუა სტადიად მონოპოლისტურ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის.

ეს თანამედროვე რევიზიონისტები უარყოფენ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად დებულებებს მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების შესახებ [1].

ამნაირად, ბურჟუაზიული ეკონომისტები, რეფორმისტები და რევიზიონისტები ცდილობენ შეალამაზონ კაპიტალიზმი. ისინი სახელმწიფო აპარატისა და მონოპოლიების შეზრდის პროცესს გამოხატავენ როგორც სახელმწიფოსადმი მონოპოლიების დამორჩილების პროცესს. იმპერიალისტური სახელმწიფო მათ წარმოდგენილი აქვთ როგორც ზეკლასობრივი ძალა. ნამდვილად კი ეკონომიკაში გაბატონებული მონოპოლიები იქვემდებარებენ სახელმწიფო აპარატს.

ბურჟუაზიული ეკონომისტები და ოპორტუნისტები სახელმწიფო საწარმოებს იმპერიალიზმის სტადიაში სახავენ როგორც „სოციალიზმზე გადასვლას“, ნამდვილად კი მას სოციალიზმთან არაფერი საერთო არა აქვს, ვინაიდან ბურჟუაზიული სახელმწიფოს საკუთრება ეს არის კაპიტალისტური საკუთრების ნაირსახეობა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ამ საკუთრების მფლობელია არა ცალკეული კაპიტალისტი, არამედ ბურჟუაზიული სახელმწიფო. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საწარმოების მმართველობის ორგანოები შედგება მსხვილი მონოპოლიების წარმომადგენლებისაგან.

მონოპოლიებს საერთოდ დიდი სარგებლობა აქვთ ამ სახელმწიფო საწარმოებისაგან, მათ მშენებლობაზე ხელს ითბობენ. სახელმწიფო ხშირად იჯარით აძლევს მათ მსხვილ ფირმებს მეტად ხელსაყრელ პირობებში. იმპერიალიზმის დროს გავრცელებულია რეპრივატიზაცია, ანუ სახელმწიფო საწარმოთა კერძოთათვის გადაცემა მუქთად.

5. სახელმწიფოებრივი პროგრამირების ბურჟუაზიული კონცეფციები

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავება აუცილებლობით აფართოებს ეკონომიკის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური რეგულირების მასშტაბს.

სახელმწიფოებრივი პროგრამირება კაპიტალიზმის პირობებში ნიშნავს ეკონომიკური ზრდის ნაციონალური პროგრამის გამომუშა-

---

[1] Критика экономических теорий предшественников современного ревизионизма, под редак. Ф. Я. Полянского, 1960, გვ. 429—430.

ვებას. აქ ერთმანეთთან შეხამებულია ეკონომიკური პროგნოზირება და გრძელვადიანი მიზნობრივი რეგულირება.

პირველი მაკროეკონომიკური პროგრამა დამუშავდა ინგლისში 1965 წელს. გფრ-ის პროგრამირება დაიწყო 60-იან წლებში. საფრანგეთმა განახორციელა 5 საშუალოვადიანი პროგრამირება. ეკონომიკური პროგრამირება განვითარდა იაპონიაშიც, სადაც მიღებულ იქნა 17 საერთო ნაციონალური პროგრამა. აშშ-ში მაკროეკონომიკურ პროგნოზებს არ ადგენენ. აქ გამოყენებულია ეკონომიკის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური რეგულირების სისტემა, ადგენენ გრძელვადიან პროგნოზებს და სხვ.

ამ ნიადაგზე ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული კონცეფციები დაგროვების პროგრამირების ეკონომიკური საზღვრების შესახებ.

ცნობილია დაგროვების სახელმწიფოებრივი პროგრამირების ბურჟუაზიული კონცეფციები: ნეოკეინსელთა, დირიჟისტების, მეამარცხენე კეინსელების, „ნეოკლასიკური" სინთეზის წარმომადგენელთა და სხვ.

მიუხედავად დიდი ურთიერთკრიტიკისა და პროგრამირების განმარტებებში მოჩვენებითი სხვაობებისა, მათ შორის პრინციპული განსხვავება არ არის.

ეს კონცეფციები არ იკვლევენ თანამედროვე კაპიტალიზმის წარმოებრივ ურთიერთობათა განსაკუთრებულობებს, არ იკვლევენ იმას, თუ რამ გახადა აუცილებელი სახელმწიფოებრივი პროგრამირება. ისინი ემყარებიან მონოპოლისტური ბურჟუაზიის პოლიტიკურ მიზნებს, მონოპოლისტთა ცნობიერებაში ეკონომიკურ მოვლენათა დამახინჯებულ გამოხატულებას.

სახელმწიფოებრივი პროგრამირება კაპიტალიზმის პირობებში არის მონოპოლიათა ცდა ერთი ცენტრიდან აწარმოებდეს წარმოების რეგულირებას. მათი მოდელები დამახინჯებულად გამოხატავენ ეკონომიკური პროცესების უწყვეტობას, გვერდს უვლიან სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს; მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება მათ შეცვლილი აქვთ ფუნქციონალური დამოკიდებულებით.

კაპიტალისტურ პროგრამირებაში ძალიან ხშირია გარდუვალი კონფლიქტები. ერთმანეთს ეჯახება სახელმწიფოებრივ პროგრამებში ასახული მიზნები და კერძო მეწარმეთა ინტერესები.

კაპიტალისტური პროგრამირების განვითარება დაკავშირებულია მისი ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმთან. ეკონომიკური პროგრამირების დაფინანსების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფოებრივი დაკრედიტება, სუბსიდიები, პირდაპირი სახელმ-

წიფოებრივი ხარჯები. მონოპოლიები დიდ სახსრებს არ აბანდებენ ფუნდამენტალურ მეცნიერულ გამოკვლევებში, ვინაიდან მისგან შედეგების მიღება შორეული საქმეა. თანაც მთელი კლასის ინტერესს ემსახურება და მას სახელმწიფო კისრულობს. ამიტომ არსებითად იცვლება სახელმწიფოს ტრადიციული პოლიტიკა ხარჯების მიმართ.

პროგრამირების ასპექტში დიდი როლი დაიჭირა აგრეთვე საგადასახადო რეგულირებამ, საგადასახადო მექანიზმის სხვადასხვა ბერკეტებმა. ერთ-ერთ მნიშვნელოვანს წარმოადგენს გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე[1], რომელიც გამოყენებულია როგორც სახელმწიფოებრივი წახალისების საშუალება კაპიტალების დაგროვებისა და კონცენტრაციისათვის. ეს გადასახადი დაბეგვრისაგან ათავისუფლებს არა მარტო მატერიალურ, არამედ კაპიტალურ დანახარჯებსაც. ამ გადასახადს იხდის ყველა მეწარმე, ხოლო კომპანიები მას უკანვე იბრუნებენ და ამის ზევით პრემიებსაც ღებულობენ.

მართალია, ეკონომიკური პროგრამირება ერთგვარად არბილებს ციკლის გავლენას და რიგ შემთხვევებში ადიდებს კიდეც ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მაგრამ კაპიტალისტურ წარმოებაში ვერ სპობს ციკლურობას, ინფლაციას, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურობას და სხვ[2].

---

[1] (value added tax).

[2] G. Denton and others, Economic Planning and Policies in Britain, France and Germany, London, 1969, p. p. 214, 404—406.

М. Гуревичов, Бесплодность буржуазных концепций государственного программирования (Экономические науки № 10, 1970 г.); В. Апсенова, Г. Шпилько, Экономическое программирование и современный капитализм («Вопросы экономики», № 3, 1971 г.).

თავი მეათე

კაპიტალისტური სახელმწიფო ბიუჯეტი და ბიუჯეტური წყობილება

I. კაპიტალისტური სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური არსი

1. ბიუჯეტის კატეგორიის წარმოშობა, ცნება და მეთოდოლოგია

დიდი ხანი არ არის, რაც ბურჟუაზიულმა ფინანსურმა მეცნიერებამ ხელი მოჰკიდა სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის განწერის შესწავლას. მე-19 საუკუნემდე სიტყვა „ბიუჯეტი" ოფიციალურ აქტებში და ფინანსურ მეცნიერებაში არ იხმარებოდა. ამის შემდეგ კი მან ფართო გავრცელება მოიპოვა.

სიტყვა „ბიუჯეტი", როგორც ეს მეტ-ნაკლები ვარიაციით განმარტებულია ფინანსური მეცნიერების სახელმძღვანელოებში, წარმომდგარია ძველი ფრანგული სიტყვიდან — bougette pochette, რაც ნიშნავდა ტყავის ქისას. იგი გადაიღეს ინგლისელებმა, გადააკეთეს ინგლისურ სიტყვად budjet, რომელიც ნიშნავს ტომარს, და შეიცავს ანგარიშებს. ინგლისელებმა ამ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს. როდესაც პარლამენტის სესიაზე მთავრობა თემთა პალატას ფულად დახმარებას სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს, რომელშიც სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხის კანონპროექტი იდო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის, ანუ ფულადი ქისის გახსნას. ბიუჯეტს უწოდებდნენ თვით ხაზინის კანცლერის სიტყვასაც, წარმოთქმულს თემთა პალატაში სახელმწიფო განწერის დამტკიცების შესახებ. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ეს სიტყვა ისევ საფრანგეთს დაუბრუნდა, მაგრამ უკვე თანამედროვე მნიშვნელობით, რაც გულისხმობს მომავალ და მიმდინარე წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის რიცხვობრივად გამოსახულ ვარაუდს.

ბიუჯეტი არის სახელმწიფო ხარჯთა და შემოსავალთა კატეგორიების სისტემა, რაც წარმოადგენს კონკრეტულობას, განსაზღვ-

რათა მდიდარ ერთობლიობას. ამიტომ ბიუჯეტის გადმოცემა დაწყებულ უნდა იქნეს მისი შემადგენელი ელემენტების გადმოცემით.

ერთი შეხედვით, თითქოს უფრო სწორი იქნებოდა სახელმწიფო ფინანსების კატეგორიების გადმოცემა დაგვეწყო რეალური და კონკრეტული წინაპირობიდან — ბიუჯეტიდან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების ყველა ურთიერთობის მდიდარ ერთობლიობას. მაგრამ უფრო ახლო განხილვა გვარწმუნებს, რომ ეს გზა მცდარია. ბიუჯეტი ქაოსური წარმოდგენაა მთელის შესახებ, თუ ჩვენ არ ვიცნობთ იმ ელემენტებს, რომლებისგანაც იგი შედგება, თუ ჩვენ, მაგალითად, მხედველობის გარეშე ვტოვებთ სახელმწიფო შემოსავალს: სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავალს, სახელმწიფო კრედიტს, გადასახადებსა და სახელმწიფო ხარჯებს.

მარქსის განმარტებით, კაპიტალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი არის სახელმწიფოს საალბათო შემოსავალ-გასავლის ნუსხა, რომელიც გასული წლის ბალანსზეა დამყარებული. მარქსი წერს: „თითოეულმა იცის, რომ ბიუჯეტი სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფოს მიმდინარე წლის საალბათო შემოსავალთა და გასავალთა ნუსხა. რომელიც დამყარებულია ფინანსურ გამოცდილებაზე, ე. ი. გასული წლის ბალანსზე“ [1].

კაპიტალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი არის კაპიტალისტთა და მემამულეთა კლასობრივი ბატონობის იარაღი. ბიუჯეტის ეკონომიკური არსი დამატებით ექსპლოატაციაში გამოიხატება. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტი იწვევს ნაციონალური შემოსავლის გადანაწილებას ექსპლოატაციის გაძლიერების მიზნით. კაპიტალისტთა კლასი ბიუჯეტის საშუალებით ინახავს თავის პოლიტიკურ ორგანიზაციას, სახელმწიფოს.

ბიუჯეტი ხელს უწყობს კაპიტალისტური სახელმწიფოს განმტკიცებას. ბიუჯეტის საშუალებით წარმოებს გაბატონებულ კლასთა დაფინანსება, მათი ინტერესებით შეპირობებულ ღონისძიებათა გატარება.

ბიუჯეტის გასავლისა და შემოსავლის ნაწილში მოცემული ყოველი რიცხვი გამოხატავს სოციალურ ურთიერთობას, რაც მშრომელთა კლასის დამატებით ჩაგვრაში გამოიხატება.

ეს აზრი დასაბუთებულია მარქსის მიერ ინგლისის, პრუსიისა და საფრანგეთის ბიუჯეტების განხილვით და ლენინის მიერ მეფის რუსეთის ბიუჯეტის განხილვით. მარქსი წერდა: „...დიზრაელმა, რო-

---

[1] K. Marx, F. Engels, Werke, Bd. 9, S. 75. 1960 (თარგმანი მოტანილია ვ. ჩანტლაძის მიერ შედგენილი ქრესტომათიიდან: „ფინანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში“, 1965, გვ. 344).

მელმაც თავის წინა საარჩევნო სიტყვებში უარი თქვა პურის კანონების აღდგენაზე, განიზრახა ლენდლორდებისათვის ანაზღაურება მიეცა საგადასახადო რეფორმით, რაც შესაძლებლობას მისცემდა ფერმერ-მოიჯარეებს წინანდელი, პროტექციონიზმის დროს არსებული საიჯარო ქირა ეხადათ. იმით, რომ ასლანდელი საგადასახადო ტვირთის ნაწილისაგან ფერმერებს ათავისუფლებს და მას ხალხის მასებს აკისრებს, დიზრაელი ფიქრობს, რომ მან გასაჭირში მყოფი ლენდლორდებისათვის გამონახა გაცილებით უფრო ეფექტიანი საშუალება, ვიდრე მფარველობითი ბაჟების ძველი არასაიმედო სისტემა იყო, რომელიც ნიშნავდა უშუალოდ მასების კუჭის ნიშანში ამოღებას. ბ-ნ დიზრაელის ეშმაკური გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ მათი ჯიბე სპეკულაციის საგანი გამხდარიყო" [1].

ასევე მარქსი აანალიზებდა გლადსტონის ბიუჯეტს და ამჟღავნებდა მის კლასობრივ ბუნებას; გლადსტონის საფინანსო პროექტის შესახებ ამბობდა, რომ იგი შედგენილია მევახშეების, საბირჟო მაკლერებისა და ვაჭრების სასარგებლოდ.

ვ. ი. ლენინი განიხილავდა მეფის რუსეთის ბიუჯეტებს და ააშკარავებდა მათ კაპიტალისტურ-მემამულურ ბუნებას. თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტები მათი ფულადი ერთეულის ათეული და ასეული მილიარდებით განისაზღვრება და ნაციონალური შემოსავლის საკმარისად დიდ ნაწილს ნთქავს. ამასთანავე ბიუჯეტი წარმოადგენს მთელი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის (კერძოდ ნაციონალური შემოსავლის) და ნაციონალური სიმდიდრის განაწილება-გადანაწილების საშუალებას. ფულადი თანხების ორმხრივი მოძრაობით ბიუჯეტი ეხება არა მარტო სახალხო მეურნეობას, არამედ მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას მის მრავალფეროვან გამოვლინებაში.

ამიტომ დიდ ყურადღებას იპყრობს საკითხი, თუ საზოგადოების რომელ ფენას რა ზომით აწვება ეს თანხები. როგორ და ვის სასარგებლოდ იხარჯება იგი; აგრეთვე საკითხი — ვის აქვს მისი დამტკიცების ან მასზე უარის თქმის უფლება.

II. ბიუჯეტის აგების პრინციპები და საბიუჯეტო პერიოდი

ბიუჯეტის აგების პრინციპებად ცნობილია: ბიუჯეტის სისრულე, ერთიანობა, რეალობა და საჯაროობა.

---

[1] K. Marx. F. Engels, Werke. Bd. 8. S. 47. 1960 (თარგმანი მოტანილია ქრესტომათიიდან „ფინანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში", 1965, გვ. 345—346).

ეს პრინციპები წამოაყენა ბურჟუაზიამ მაშინ, როდესაც ხელისუფლება სხვა კლასს ეკუთვნოდა და თვითონ ცდილობდა კონტროლი დაეწესებინა სახელმწიფო ფინანსებზე. მაგრამ შემდეგ, როდესაც თვითონ ჩაიგდო ხელისუფლება, ეს პრინციპები მხოლოდ მასების თვალის ასახვევად გამოიყენა.

1. ბ ი უ ჯ ე ტ ი ს ს ი ს რ უ ლ ე იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტში შეტანილ უნდა იქნეს ყველა ხარჯი და შემოსავალი. ხარჯი და შემოსავალი ბიუჯეტში წარმოდგენილი უნდა იყოს სრული თანხებით. ყველაზე უკეთ ბიუჯეტის სისრულეს გამოხატავს ბიუჯეტი ბრუტო. ნეტო ბიუჯეტი არ იძლევა სრულ წარმოდგენას დაბეგვრის სიმძიმის შესახებ.

აბსოლუტურ მონარქიას ჰქონდა ბიუჯეტი ნეტო. აქ ნაჩვენები იყო მხოლოდ წმინდა შემოსავალი. მფლანგველობის შეზღუდვისა და კონტროლის დაწესების მიზნით ბურჟუაზიამ მოითხოვა ბრუტო ბიუჯეტი.

2. ბ ი უ ჯ ე ტ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა. ბიუჯეტის ერთიანობა გულისხმობს, რომ მთელი საბიუჯეტო ა-სალა ერთ დოკუმენტშია თავმოყრილი. მაშასადამე, შედგენილ უნდა იქნეს ერთი ბიუჯეტი და არა რამდენიმე. ბიუჯეტში შეტანილი უნდა იყოს ყველა გათვალისწინებული ხარჯი და შემოსავალი.

ბიუჯეტის ერთიანობა აადვილებს კონტროლს სახელმწიფო სახსრების გამოყენებაზე. ამ მიზნით მოითხოვდა მას ბურჟუაზია, როდესაც ძალაუფლებისათვის იბრძოდა. ამიტომ აღარ ახორციელებს მას დღევანდელ პირობებში.

3. ბ ი უ ჯ ე ტ ი ს რ ე ა ლ ო ბ ა. ეს პრინციპი გულისხმობს ბიუჯეტის სისწორის მოთხოვნას. მის თანახმად ბიუჯეტში შეტანილი შემოსავალ-გასავალი უნდა იყოს მართალი, ზუსტი და თვალსაჩინო. ბურჟუაზიამ გაბატონების შემდეგ ეს პრინციპიც ისევე უკუაგდო, როგორც ზემოხსენებული სხვა პრინციპები.

4. ბ ი უ ჯ ე ტ ი ს ს ა ჯ ა რ ო ო ბ ა. ბიუჯეტის საჯაროობის პრინციპი მოითხოვს იმას, რომ ბიუჯეტი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს. ბიუჯეტი უნდა ქვეყნდებოდეს.

ამასაც ბურჟუაზია მაშინ მოითხოვდა, როდესაც ფეოდალური მონარქიის სასახლეთა ფუფუნებასა და მფლანგველობას ებრძოდა. ბიუჯეტის საჯაროობა მოითხოვა აგრეთვე კრედიტის მოპოვების საქიროებამ.

ყველა ამ პრინციპს უხეშად არღვევენ იმპერიალიზმის ეპოქის პირობებში. სახელმწიფო საწარმოები და ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებები ადგენენ დამოუკიდებელ ბიუჯეტებს. საფრან-

გეთში გავრცელდა დამოუკიდებელი, ავტონომიური და მიერთებული ბიუჯეტები. იაპონიაშიც მრავალი ანგარიში და ნუსხაა გამოყოფილი ბიუჯეტიდან.

ჩვეულებრივი ბიუჯეტების გვერდით გავრცელდა აგრეთვე არაჩვეულებრივი ბიუჯეტები. ჩვეულებრივ ბიუჯეტებში ხარჯები იფარება გადასახადებით, არაჩვეულებრივ ბიუჯეტებში — სესხებით, ფულის ემისიით და არაჩვეულებრივი გადასახადებით.

ინგლისში გამოცალკევებული ბიუჯეტებისათვის აქვთ ტერმინები: ბიუჯეტის ბალანსის მიღმა, ბიუჯეტის ფარგლებს მიღმა. მასში ათავსებენ, მაგალითად, ფოსტის ექსპლოატაციის ხარჯებს, რომლებიც მისი შემოსავლით იფარება, სახელმწიფო სესხებსა და ხარჯებს, რისთვისაც იგი არის დანიშნული.

აშშ-ში წესად იქცა ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება ნაწილ-ნაწილ, რაც აადვილებს დიდი სამხედრო ხარჯების გატარებას.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში სახელმწიფო ხარჯების უჩვეულო ზრდა, ეკონომიკის მილიტარიზაცია იწვევს ზემოხსენებულ ბიუჯეტურ პრინციპებზე უარის თქმას.

5. ს ა ბ ი უ ჯ ე ტ ო პ ე რ ი ო დ ი. კანონის ძალით ბიუჯეტი მოქმედებს დროის გარკვეულ მონაკვეთში. დროის ამ მონაკვეთს ეწოდება საბიუჯეტო პერიოდი. საბიუჯეტო პერიოდი კაპიტალიზმის ადრინდელ ხანაში ზოგიერთ სახელმწიფოში მოიცავდა 2, 3 და 4 წელიწადს. მაშინ პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა. შემდეგ ყველა სახელმწიფოში დამკვიდრდა ერთწლიანი ბიუჯეტი.

საბიუჯეტო პერიოდის დასაწყისი და დასასრული სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ასე მაგალითად, საბიუჯეტო პერიოდი კალენდარულ წელს ემთხვევა საფრანგეთში, ავსტრიაში, უნგრეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში: იწყება 1 მარტს და თავდება 28 თებერვალს — თურქეთში: იწყება 1 აპრილს და თავდება 31 მარტს—ინგლისში, იაპონიაში, გერმანიაში, დანიასა და ინდოეთში: იწყება 1 ივლისიდან და თავდება 31 ივნისს—აშშ-სა და იტალიაში.

ზოგიერთ სახელმწიფოში დაწესებულია ბიუჯეტის დამოავრების „შეღავათიანი ვადები". ე. ი. საბიუჯეტო პერიოდთან ერთად არსებობს მეორე ცნება „საანგარიშო პერიოდი". ეს არის ბიუჯეტის ფაქტიური აღსრულების პერიოდი. ამისთვის დაწესებულია 2 კვირის გადაცილება. მაგრამ ზოგან ის გაცილებით უფრო მეტ ხანს — რამდენიმე თვეს მოიცავს.

III. ბიუჯეტის ბალანსი, დეფიციტი და გარდამეტი

1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტს ჩვეულებრივად ადგენენ ბალანსის სახით, შემოსავალსა და ხარჯებს შორის დაცულია წონასწორობა. მაგრამ ყოველივე ეს ხდება ფორმალურად. საქმე ისაა, რომ ბიუჯეტი ბალანსური იყოს აღსრულების პროცესში და აღსრულების შემდეგ, რაც კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პირობებში ძნელად განსახორციელებელია და იმპერიალიზმის ეპოქაში კი ბიუჯეტი ქრონიკულ დეფიციტს განიცდის.

ბიუჯეტის ბალანსის დარღვევა შემოსავლის გადამეტებით ხარჯებზე იძლევა გარდამეტს და ბალანსის დარღვევა ხარჯების გადამეტებით შემოსავალზე იძლევა დეფიციტს.

კ. მარქსი წერდა: „ყოველ ბიუჯეტში მთავარი საკითხია შეფარდება შემოსავალსა და ხარჯებს შორის, ბალანსი გარდამეტის ან დეფიციტის ფორმით, რომელიც საერთო პირობებს ახასიათებს და იწვევს ქვეყნის დაბეგვრის ან შემსუბუქებას ან გადიდებას“ [1].

2. დეფიციტი

დეფიციტი შეიძლება იყოს საკასო და მატერიალური. საკასო დეფიციტია მაშინ, როდესაც შემოსულობა იგვიანებს, მაგრამ ბიუჯეტს შემოსავალი აქვს, რომელიც მისაღებია. ნამდვილი დეფიციტია მაშინ, როდესაც შემოსავალი გასავალს ვერ ფარავს იმიტომ კი არა, რომ დროში ხდება მათი დაცილება, რომ შემოსულობა იგვიანებს, არამედ იმიტომ, რომ ბიუჯეტს შემოსავალი აღარ აქვს, რაც მისაღები იყო მიღებულია, ანდა გარკვეულია, რომ ვეღარ მიიღებს.

ამ მატერიალურ დეფიციტს უწოდებენ საბიუჯეტო ხასიათის დეფიციტს, როდესაც დეფიციტი ბიუჯეტში იმთავითვე გათვალისწინებულია, და ფაქტიური ხასიათის დეფიციტს, როდესაც იგი აღსრულების პროცესში აშკარავდება.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტის დეფიციტს განსაკუთრებით იწვევს სამხედრო ხარჯების უჩვეულო ზრდა. იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტები ქრონიკულ დეფიციტს განიცდიან.

---

[1] K. Marx, F. Engels, Werke, Bd. 9. S. 58—59, 1960. თარგმანი მოტანილია ვ. ჩანტლაძის მიერ შედგენილი ქრესტომათიიდან: ფინანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში“, 1965, გვ. 369.

3. გარდამეტი

გარდამეტი არის ილუზორული და ნამდვილი. ილუზორული გარდამეტი, როდესაც ბიუჯეტის შემდგენელი ხელოვნურად ქმნის გარდამეტს. ის ახდენს შეგნებულად მოსალოდნელ შემოსავალთა შეკუმშვას ან ხარჯთა გადიდებას, ან ერთსაც და მეორესაც ერთდროულად. ნამდვილი გარდამეტი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება ფართოვდება, ნაციონალური შემოსავალი იზრდება. მაგრამ ვინაიდან კაპიტალიზმის პირობებში, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, ეს მოვლენები იშვიათია ან თუ რაიმე ზომით ვლინდება, სახელმწიფო ხარჯების ზრდა მას უფრო მეტი პროპორციით უსწრებს წინ, ამიტომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებს ნამდვილი გარდამეტები არა აქვთ, პირიქით, ნამდვილი დეფიციტები აქვთ.

მარქსს გაკრიტიკებული აქვს ბოდელშვინგის, დიზრაელისა და გლადსტონის ბიუჯეტები და უჩვენებს იმ სიყალბეს, რასაც ჩადიოდნენ გერმანიისა და ინგლისის ფინანსთა ეს მინისტრები გაყალბებული გარდამეტისა და დეფიციტის გამოყვანით. მარქსი ბოდელშვინგის შესახებ წერს: მან შეადგინა ყალბი ბიუჯეტი, ნაკლები შემოსავალი იყო და ნაკლებიც დაიხარჯაო. ბატონ ფ-ნ ბოდელშვინგის საფინანსო განწერა და ალბათ მის წინამორბედთა და მისი მემკვიდრის მრავალი განწერა 1848 წლამდე ამგვარად ფალსიფიცირებულია. „უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში მინისტრთა: ალვენსლებენის, ბოდელშვინგის, ფლოტველისა და დეესბერგის მმართველობის დროს, უ კ ა ნ ო ნ ო დ გაფლანგულია სახელმწიფო ხაზინიდან, ე. ი ხალხის ქონებიდან, ღარიბთა მონაგარიდან თითქმის ა ს ო ც დ ა თ ე ქ ვ ს მ ე ტ ი მ ი ლ ი ო ნ ი ტ ა ლ ე რ ი“ [1].

მარქსი ააშკარავებს კაპიტალისტური სახელმწიფოების ფინანსთა მინისტრების ჯამბაზობას, რომელთაც შემოსავალთა და გასავალთა ნაშთები ერთი წლიდან მეორეში გადაქონდათ ყალბი აქტივის მისაღებად.

ვ. ი. ლენინი გვაძლევს შესანიშნავ ანალიზს მეფის რუსეთის ფინანსთა მინისტრის ვიტეს ბიუჯეტისას თავის სტატიაში „სახელმწიფო განწერის გამო“. აქ ნაჩვენებია ვიტეს თვალთმაქცობა, გარდამეტიანი ბიუჯეტის გამოყვანა. დეფიციტის დაფარვის უებარი საშუალებანი, დეფიციტის მიჩქმალვა. ვალების უფრო ნაკლებად

---

[1] K. Marx. F. Engels. Werke. Bd. 6. 1959. S. 292—293. თარგმანი—ხსენებული ქრესტომათიიდან. გვ. 376.

გამოჩენა. ვიდრე ქონებისა. განწერის შემოსავალთა ხელოვნური შემცირება „თავისუფალი ნაღდის“ ფიქტიური გადიდებისათვის.

ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს მეფის მინისტრის განცხადებას, რომ რუსეთში ყველაფერი რიგზეა, რომ „ფინანსები სავსებით კარგ მდგომარეობაშია“, „ბიუჯეტში წონასწორობა დაცულია ურყევად“, „რკინიგზის საქმე წარმატებით ვითარდება“ და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება ხდება. სახელმწიფოს არ აქვს დეფიციტი, ვალი ნაკლებია, ვიდრე ქონება. ლენინი აქვე უჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა მეფის რუსეთში ხაზინის ძარცვა რკინიგზების გაყვანის დროს [1].

ბიუჯეტის გასაბალანსებლად კაპიტალისტური სახელმწიფოები იყენებენ შემდეგ მეთოდებს: პირველი — ხარჯების შემოკლება. ამას ნამდვილად შეუძლია ბიუჯეტის გაბალანსება და გადასახადების შემცირება, რაც პირველ რიგში სასარგებლოა მშრომელებისათვის. მაგრამ ამის განხორციელება თანამედროვე კაპიტალიზმის სინამდვილეში შეუძლებელია, ვინაიდან ის, პირველ ყოვლისა, ეხება სამხედრო ხარჯებს, რომლებიც ყოველდღიურად იზრდება. მის შემოკლებაზე ფიქრი მხოლოდ ფიქციაა. მეორე მეთოდია გადასახადების გადიდება. ამ გზითაც შეიძლება ბიუჯეტის გაბალანსება, მაგრამ იგი დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან, ვინაიდან გადასახადების გადიდებასაც თავისი საზღვარი აქვს. გარდა ამისა, გადასახადების გადიდება ზრდის მშრომელთა საგადასახადო ტვირთს და მასების მღელვარებას. ამიტომ უფრო ადვილად მიმართავენ მესამე მეთოდს — სახელმწიფო სესხების აღებასა და მეოთხე — ქაღალდის ფულის ემისიას. ამ მესამე და მეოთხე მეთოდების უარყოფითი მხარეები გარჩეულია წინა თავებში.

IV. ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალთა კლასიფიკაცია და კრედიტების სპეციალიზაცია

ბიუჯეტური კლასიფიკაცია ეწოდება შემოსავალთა და გასავალთა გარკვეული სახით დაჯგუფებას. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პირობებში მიღებული ბიუჯეტური შემოსავალ-გასავლის კლასიფიკაცია ხელს უშლის და აძნელებს ბიუჯეტის შინაარსის გარკვევას. ნამდვილად კი ბიუჯეტური კლასიფიკაცია უნდა არკვევდეს წყაროებს. საიდანაც სახელმწიფო შემოსავალს ღებულობს და იმ მიზნებს, რისთვისაც სახსრები იხარჯება. მაგრამ ვინაიდან გაბატონებულ კლა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 410—417.

სებს არ სურთ მასები ერკვეოდნენ ბიუჯეტის წყაროებსა და მიზნებში, ამიტომ ბიუჯეტური კლასიფიკაცია ყველა ქვეყანაში განზრახ გართულებულია.

1. უწყებრივი ანუ მინისტერიალური კლასიფიკაცია

უწყებრივი, ანუ მინისტერიალური კლასიფიკაცია იმაში მდგომარეობს, რომ ბიუჯეტში ხარჯები მოცემულია უწყებების, ანუ სამინისტროების მიხედვით. ასეთი კლასიფიკაცია არ გვიჩვენებს ამ ხარჯების ნამდვილ სიდიდეს, ვინაიდან ერთი და იმავე სახეობის ხარჯებს ხშირად ეწევა სხვადასხვა სამინისტრო, ამიტომ ასეთი კლასიფიკაციის დროს ეს სახსრები სხვადასხვა სამინისტროების მიხედვით დაქსაქსულად იქნება ნაჩვენები, რაც ხელს უწყობს ფალსიფიცირებას. კაპიტალისტური სახელმწიფოები მალავენ საიდუმლო სამხედრო ხარჯებს. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობა იყენებს უწყებრივ კლასიფიკაციას.

2. საგნობრივი კლასიფიკაცია

ამ კლასიფიკაციით ხარჯები ბიუჯეტში ნაჩვენებია დანიშნულების მიხედვით. ამგვარ კლასიფიკაციას ვხვდებით ინგლისის ბიუჯეტში, მაგრამ მთლიანად ის აქაც არ არის გატარებული.

შემოსავლის დარგშიც გამოყენებულია იგივე უწყებრივი და საგნობრივი კლასიფიკაცია. იტალიაში, მაგალითად, შემოსავალი ბიუჯეტში დაჯგუფებულია სამინისტროების მიხედვით ინგლისში. ბიუჯეტის შემოსავალი ნაჩვენებია შემოსულობათა ცალკე სახეების მიხედვით. კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ არც ერთ და არც მეორეგვარ ბიუჯეტურ კლასიფიკაციას არ შეუძლია გვიჩვენოს შემოსავლის ეკონომიკური წყარო.

3. შერეული კლასიფიკაცია

შერეული კლასიფიკაცია ეწოდება ისეთ კლასიფიკაციას, როდესაც სახელმწიფო ხარჯები ბიუჯეტის კრებსში მოცემულია საგნობრივად და შემდეგ ცალკეულ უწყებათა ნუსხებად ნაწილდება. შერეული კლასიფიკაცია ეწოდება ისეთ დალაგებასაც, როდესაც ბიუჯეტის საბოლოო კრებსი შედგენილია სამინისტროების მიხედვით, ხოლო თითოეული სამინისტროს ფარგლებში ხარჯები განაწილებულია საგნობრივად.

ყველა კაპიტალისტური სახელმწიფო იყენებს ბიუჯეტის შერეულ კლასიფიკაციას, მაგრამ მას სჭირდება უწყებრივი და საგნობრივი კლასიფიკაციებიც.

4. კრედიტების სპეციალიზაცია

ბიუჯეტის დამტკიცების დროს ბიუჯეტური სახსრების განსაზღვრულ თანხას განსაზღვრული დანიშნულება ენიჭება. ამას ეწოდება კრედიტების სპეციალიზაცია. კრედიტების სპეციალიზაცია ბურჟუაზიას სჭირდება აღმასრულებელი ხელისუფლების საკონტროლოდ. რაც უფრო სპეციალიზებულია ბიუჯეტი, მით უფრო შეზღუდულია მთავრობის თავისთავადურობა. ბიუჯეტურ ქვედანაყოფთა რიცხვი ზოგიერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში მეტისმეტად დიდია, 100-დან — 4000-მდე აღწევს.

იმპერიალიზმის ეპოქის პირობებში სპეციალიზაციას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით სამხედრო ხარჯების დარგში. სამხედრო უწყებას ინგლისში უფლება აქვს ერთ მუხლში მიღებული ეკონომია მეორეში გამოიყენოს, მას შეუძლია საახსრები გახარჯოს ბიუჯეტის დამტკიცებამდეც.

V. ბიუჯეტური პროცესი

ბიუჯეტური პროცესი შეიცავს ბიუჯეტის შედგენას, განხილვას, დამტკიცებასა და აღსრულებას. ამავე პროცესში შედის აგრეთვე აღსრულებული ბიუჯეტის ანგარიშგების დამტკიცებაც. ბიუჯეტური პროცესი ზოგიერთ სახელმწიფოში 3 წელიწადს გრძელდება.

1. ბიუჯეტის შედგენა

ბიუჯეტს ადგენს აღმასრულებელი ხელისუფლება. სხვადასხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოში მეტნაკლებად არის შეზღუდული აღმასრულებელი ხელისუფლება ბიუჯეტის შედგენაში. ბიუჯეტის შედგენაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ მთელი მთავრობა — ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობაც ღებულობს მონაწილეობას.

ძირითადად მუშაობა მიმდინარეობს ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობით. მოთხოვნათა აღრიცხვა ჩვეულებრივად იწყება ქვევიდან. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები განაცხადებს საახსრების მოთხოვნის შესახებ წარუდგენენ ზემდგომ ორგანოებს და

ეს უკანასკნელნი — სამინისტროებს. თითოეული სამინისტრო აერთიანებს ასეთ მოთხოვნებს და წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს. ფინანსთა სამინისტრო გააერთიანებს და საერთო ჯამს გამოუყვანს მთლიან სახელმწიფო ხარჯს. ვინაიდან ფინანსთა სამინისტრომ ხარჯები შემოსავალთან შესაბამისობაში უნდა დააყენოს, ამიტომ იძულებულია ხშირად შეამოკლოს ხარჯები. თითოეული უწყება ემყარება თავის მოთხოვნას; მან არ იცის რამდენს მოითხოვს სხვა ან რას შეადგენს საერთო ჯამი მთელი სახელმწიფოსათვის, დაფარავს თუ არა ხარჯებს შემოსავალი. ფინანსთა მინისტრი სხვა მინისტრებთან შეთანხმებით ამოკლებს სახელმწიფო ხარჯებს ამა თუ იმ უწყებისათვის. სახელმწიფო ხარჯების ერთ ნაწილს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში აწესებენ საკმარისი განსაზღვრულობით, როგორიც არის, მაგალითად, ცივილური ფურცელი (ე. ი. ხარჯები სასახლისა და სამეფო საგვარეულოს წევრთა შესანახად), სახელმწიფო ვალის პროცენტები, მოხელეთა ჯამაგირები.

არც ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის შედგენაა ადვილი. ძალიან ცოტაა ისეთი მუხლები კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებში, რომელთა შემოსულობა ცოტად თუ ბევრად განსაზღვრული იყოს. დიდი ნაწილი საალბათოა, რასაც აპირობებს კაპიტალისტური წარმოების ანარქიული ხასიათი.

2. ბიუჯეტური გაანგარიშების ძირითადი მეთოდები

ცნობილია კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტების გაანგარიშების რამდენიმე მეთოდი: ავტომატური, მაჟორაციის ან მინორაციის და უშუალო შეფასების.

ავტომატური მეთოდი ისტორიულად წინ უსწრებს სხვა მეთოდებს. სახელმწიფო შემოსავალთა და გასავალთა ავტომატური გაანგარიშების მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ იგი უკანასკნელი წლის ბიუჯეტის შესრულების ფაქტიურ შედეგებს მომავალი წლის საალბათო შემოსავლად სახავს. ეს არის სახელმწიფო შემოსავალთა და გასავალთა გაანგარიშების მექანიკური ხერხი. ეს ხერხი იმ მოსაზრებას ემყარება, რომ მომავალში მოვლენები იმგვარადვე გამეორდება, როგორც წარსულში. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების წინააღმდეგობრივი ბუნება და ამ წინააღმდეგობათა განვითარება ადასტურებს. ამგვარი მოსაზრებების უსუსურობას და ასეთი შედგენის მუდმივ შეცდომებს პრაქტიკაში.

შემოსავალთა და გასავალთა გაანგარიშების მეორეგვარი ხერხი

არის მაჟორაცია ან, სხვანაირად, წამატებების ხერხი. ეს მეთოდი ითვალისწინებს, მაგალითად, რამდენიმე წლის შემოსავალთა ზრდას და მას უმატებს უკანასკნელი წლის ფაქტიური შესრულების რიცხვს. თუ უკანასკნელი წლების განმავლობაში შემოსავალი კლებულობდა, მაშინ მიიღებოდა უარყოფითი კოეფიციენტი, რომელსაც აკლებენ უკანასკნელი წლის ფაქტიურ შესრულებას. ამას უწოდებენ მინორაციის ხერხს.

როგორც ვხედავთ, ამ ხერხს ზოგიერთი უპირატესობა აქვს ავტომატურ ხერხთან შედარებით, რამდენადაც მხედველობაში არის მიღებული მოვლენის მოძრაობა რამდენიმე წლის მანძილზე მაინც, მაგრამ არსებითად ეს ხერხი სახეშეცვლილი ავტომატური ხერხია. იგი ემყარება მოვლენათა ცვალებადობის ერთფეროვნებასა და ერთგვაროვნებას: გულისხმობს მოვლენათა თანაბარ განვითარებას მატების ან კლების მიხედვით და მხედველობის გარეშე რჩება მოვლენის ზომა-რაოდენობის საზღვრები, თვისების შეცვლა.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტების აღსრულების პრაქტიკა ადასტურებს ამგვარად გაანგარიშებული ბიუჯეტების უსუსურობას. საკმარისი ხდება სულ მცირეოდენი ცვლილებები კაპიტალისტური ქვეყნების ცხოვრებაში, რომ ბიუჯეტი და სინამდვილე ერთმანეთს შორდება.

უშუალო შეფასების მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ ბიუჯეტის შედგენისას სახელმწიფო შემოსავალთა და გასავალთა მუხლების ან საერთოდ მთელი ბიუჯეტის საალბათო ზრდას ან კლებას უშუალოდ აფასებენ. მაგრამ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პრაქტიკაში გამოყენებული ეს მეთოდიც უდღეურია, ვინაიდან კაპიტალისტური განვითარების პირობები, მისი მოუწესრიგებელი, არაგეგმური ხასიათი არ იძლევა მოსალოდნელ სახელმწიფო შემოსავალთა და გასავალთა სწორად გათვალისწინების შესაძლებლობას.

სახელმწიფო შემოსავალთა და გასავალთა შემცირება ან გადიდება ატარებს ხელოვნურ ხასიათს. როგორც ზემოთ ვნახეთ, მას მიმართავენ ბურჟუაზიული სახელმწიფოების ფინანსთა მინისტრები ბიუჯეტის ფალსიფიცირების მიზნით, ხელოვნური გარდამეტების მისაღებად, დეფიციტების დასაფარავად და სხვ.

3. ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება

ბიუჯეტის დამტკიცებამდე ხდება მისი განხილვა. ამ მიზნით ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტს გადასცემს განსახილველად მინისტრთა კაბინეტს. მინისტრთა კაბინეტი განიხილავს, შეათანხმებს სხვადა-

სხვა სამინისტროების დავას ფინანსთა სამინისტროსთან. თუ ასეთს ადგილი აქვს, და მოწონების შემდეგ გადასცემს პარლამენტს.

პარლამენტარულ ქვეყნებში ბიუჯეტს განიხილავს საბიუჯეტო კომისია და მოახსენებს პარლამენტის პლენუმს. ორპალატიანი პარლამენტარული სისტემის დროს ბიუჯეტს ამტკიცებს ორივე პალატა. ამის შემდეგ გადაეცემა საბოლოო დასამტკიცებლად მეფეს ან პრეზიდენტს, რომელთა ხელის მოწერის შემდეგ ბიუჯეტი ქვეყდება.

ბიუჯეტის დამტკიცების უფლება მნიშვნელოვანი უფლებაა, ვინაიდან აღმსრულებელი ხელისუფლება უსახსრებოდ ვერაფერს გააკეთებს. ამიტომ ბიუჯეტის დამტკიცების უფლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბურჟუაზიისათვის იმხანად, როდესაც ხელისუფლებისათვის იბრძოდა; ეს ერთგვარად კონტროლის საშუალება იყო. დღეანდელ პირობებში პარლამენტების უფლება ბიუჯეტის დამტკიცებისა მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა. თვით პარლამენტებიც კლასობრივი ბატონობის ორგანოებია. წარმომადგენლობითი დაწესებულებები, ლენინის აზრით, ქმნიან მთავრობაზე კაპიტალის გავლენის თავისებურ ფორმებს.

მართალია, პარლამენტებში არის ერთგვარი ბრძოლა დაჯგუფებებს შორის, მაგრამ ეს დაჯგუფებანი არაპრინციპული ბრძოლის ხასიათს ატარებენ, გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავენ, იმპერიალიზმის პირობებში — მონოპოლისტური კაპიტალისას.

აღმასრულებელი ხელისუფლების წინააღმდეგ ბიუჯეტური პარლამენტების იარაღს წარმოადგენდა ბიუჯეტის დამტკიცებაზე უარის თქმა და საბიუჯეტო ინიციატივა. პირველი გულისხმობს ბიუჯეტის დამტკიცებაზე სრულ ან ნაწილობრივ უარის თქმას, რაც ნიშნავდა იმას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება უსახსრებოდ დარჩებოდა. საბიუჯეტო ინიციატივა ნიშნავს წარმომადგენლობითი დაწესებულებების უფლებას წამოაყენონ თავისთავადური წინადადებები სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ან საშემოსავლო ნაწილის შესაცვლელად. ასეთი წინადადებით შესაძლებელია გამოვიდნენ წარმომადგენლობითი დაწესებულებების ცალკეული წევრებიც.

საქმე ისაა, რომ ბიუჯეტზე უარის თქმისა და საბიუჯეტო ინიციატივის უფლებებით სარგებლობა რამდენადმე ხდებოდა კაპიტალიზმის განვითარების ადრინდელ ხანაში.

„...შუა საუკუნეების საზოგადოებაში გადასახადები, — წერს მარქსი, — იყო ერთადერთი ამომავალ ბურჟუაზიულ საზოგადოებასა და გაბატონებულ ფეოდალურ სახელმწიფოს შორის, კავშირი, რომლითაც სახელმწიფო იძულებული იყო მის მიმართ დათმობაზე წასულიყო. მისი განვითარებისათვის დაეთმო და მის მოთხოვნილე-

ბებს შეგუებოდა. თანამედროვე სახელმწიფოებში გადასახადზე თანხმობისა და უარის თქმის უფლება გარდაიქმნა ბურჟუაზიული საზოგადოების კონტროლად მისი საერთო ინტერესების მმართველობის კომიტეტზე, ე. ი. მთავრობაზე.

გადასახადის გადახდაზე ნაწილობრივად უარის თქმა ამიტომ წარმოადგენს ყოველი კონსტიტუციური მექანიზმის განუყოფელ ნაწილს. გადასახადის გადახდაზე უარის თქმის ამ სახეს ადგილი აქვს ყოველთვის, როცა ბიუჯეტი უარყოფილია. მიმდინარე ბიუჯეტი მხოლოდ განსაზღვრული ვადით მტკიცდება; პალატები, გარდა ამისა, თუ მისი სხდომები გაიადებულია. ძალიან მოკლე ხნით შეწყვეტის შემდეგ ისევ უნდა იქნენ მოწვეული. ამიტომ გვირგვინოსანის დამოუკიდებლობა შეუძლებელია. ბიუჯეტის უარყოფა ნიშნავს გადასახადების გადახდაზე გადაკრით უარის თქმას. სანამ ახალი პალატა უმრავლესობას არ შეუქმნის სამინისტროს ან გვირგვინოსანი არ დაასახელებს სამინისტროს ახალი პალატის სულისკვეთებით. ბიუჯეტის უარყოფა არის, ამგვარად, გადასახადის გადახდაზე უარის თქმა საპარლამენტო ფორმით. მოცემულ კონფლიქტში ეს ფორმა მიღებული იყო. ვინაიდან კონსტიტუცია ჯერ კიდევ არ არსებობდა. მხოლოდ უნდა შექმნილიყო.

მაგრამ გადასახადის გადახდაზე უარის თქმა, რომელიც არა მხოლოდ ახალ ბიუჯეტს უარყოფს, არამედ თვით მიმდინარე გადასახადების გადახდასაც კრძალავს,არც ეს არის გაუგონარი რამ, ის ძალიან ხშირი იყო შუა საუკუნეებში“ [1].

მაგრამ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ხანაში ბიუჯეტზე უარის თქმისა და საბიუჯეტო ინიციატივის უფლებებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და დიდი ხანია, რაც კაპიტალიზმის ფინანსურ პრაქტიკას აღარ ახსოვს რაიმე მნიშვნელოვანი კონფლიქტი ამ საკითხში. ბიუჯეტები მტკიცდება მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესების შესაბამისად.

4. ბიუჯეტის აღსრულება

დამტკიცების შემდეგ ბიუჯეტი შედის აღსრულების სფეროში. ბიუჯეტის აღსრულება ნიშნავს ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა შემოსავლის აკრეფას, მათ თავმოყრას ერთიან სახელმწიფო სალაროში და სახსრების გამოყენებას დანიშნულებისამებრ, სხვანაირად საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ხარჯების გაწევას.

[1] K. Marx, F. Engels, Werke, Bd. 6, 1959, S. 254—255. (თარგმანი მოტანილია ხსენებული ქრესტომათიიდან, გვ. 131—132).

აღმასრულებელი ხელისუფლება კრეფს ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრებს. გადასახადების აკრეფა დაკისრებული აქვს ფინანსურ უწყებას: ფინანსთა სამინისტროს და ხაზინას. სახელმწიფო შემოსავლის აკრეფაში მონაწილეობენ სხვა ორგანოებიც, მაგალითად — მისაგებელის აკრეფაში ან სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავლის აკრეფაში.

შემდეგ ეს აკრეფილი სახსრები სადღაც უნდა ინახებოდეს, საიდანაც მერე შეიძლება მათი გაცემა საჭიროებისამებრ. ამისათვის მოწყობილია ხაზინები. უკანასკნელ დროში ამ ფუნქციას ასრულებენ ბანკებიც.

6. საკასო ორგანიზაცია

თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში საკასო ორგანიზაცია კასის ერთიანობის პრინციპზეა აგებული.

კაპიტალიზმამდელ პერიოდში და კაპიტალიზმის ადრინდელ პერიოდში საკასო ორგანიზაცია დეცენტრალისტური იყო. ქვეყნის ტერიტორიაზე გაფანტული მრავალი სალარო აგროვებდა სახსრებს და ეწეოდა ხარჯებსაც. მხოლოდ ნაშთი გადაიგზავნებოდა საერთო სალაროში. ამ პირობებში სახელმწიფომ არ იცოდა რამდენი ფული ჰქონდა საერთოდ ამა თუ იმ მომენტში, ძნელი იყო კონტროლი. ფინანსური ურთიერთობის კაპიტალისტურმა განვითარებამ მოითხოვა ცენტრალისტური სალარო.

საკასო ორგანიზაციის განვითარებაში მაღალ საფეხურს წარმოადგენს ბანკის გამოყენება სახელმწიფო სახსრების შესაგროვებლად. ფულის დაცვა-შენახვასა და გადაზიდვას ადვილად ახორციელებს ბანკი, მას საამისო აპარატი აწყობილი აქვს და რადგან საკუთარ ფულს ინახავს, შეუძლია ადვილად შეინახოს სახელმწიფო სახსრებიც. ვინაიდან ბანკს განყოფილებები აქვს მთელ ტერიტორიაზე, ამიტომ ფულის გადაგზავნაც თავიდან აცილებულია. გარდა ამისა, სახელმწიფო სახსრები გამოყენებამდე ხაზინაში უქმად ძევს, ბანკის საშუალებით კი მათი კაპიტალად გამოყენება ხდება.

ამგვარად, ბანკი ხდება სახელმწიფოს მოლარედ. ბანკში სახელმწიფო სახსრები შერეულია ბანკის სახსრებთან. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, ინგლისში ამ ოპერაციებს ბანკი უსაფასუროდ ეწევა, სამაგიეროდ ის სარგებლობს სახელმწიფო სახსრებით უპროცენტოდ.

მონოპოლისტური კაპიტალი იმორჩილებს სახელმწიფო აპარატს, და სახელმწიფო სახსრების კაპიტალიზაციასაც ახდენს მაქსიმალური მოგების გასაფართოებლად.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის აღსრულება ხდება ფინანსური უწყების სალაროების ან ბანკების საშუალებით, რომლებიც ბიუჯეტში დამტკიცებული თანხების ფარგლებში ის, რაც გათვალისწინებულია ამა თუ იმ უწყებისათვის, მათ მიეცემათ ასიგნობების ან ჩეკების სახით. ინგლისში ყველა შემოსავალი თავს იყრის ინგლისის ბანკში. მთავარი გადამხდელის მონაცემების მიხედვით შეიძლება იმის გარკვევა, თუ როგორ აღსრულდა ბიუჯეტი.

აშშ ბიუჯეტის აღსრულებას ხელმძღვანელობს ფედერალური სარეზერვო სისტემა, ის არის ცენტრალური საემისიო ბანკი. ამ ბანკს მთელ ქვეყანაში გაშლილი აქვს ფართო ქსელი.

კრედიტების განმკარგულებლად ითვლებიან ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელები. მეორეხარისხოვანი განმკარგულებლები ეწოდება იმ პირებს, რომლებსაც პირველნი მიანდობენ კრედიტების განკარგვას.

მეფის რუსეთში იყო სახაზინო სისტემა. მთავარი ხაზინა იყო პეტერბურგში, ხოლო საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში — საგუბერნიო და სამაზრო ხაზინები. საგუბერნიო ხაზინები აწარმოებდნენ შემოსავალ-გასავლის ოპერაციებს, სამაზრო ხაზინები კი ძირითადად შემოსავლის მიღებას ეწეოდნენ და განსაკუთრებულ შემთხვევაში, საგუბერნიო ხაზინის ნებართვით, ხარჯების გაღებასაც. ბიუჯეტის საკასო ოპერაციების აღსრულებას ეწეოდა სახელმწიფო ბანკიც.

VI. ვ. ი. ლენინი სახელმწიფო სათათბიროს ბიუჯეტური უფლებების შესახებ

ვ. ი. ლენინს თავის სტატიაში „დებატებისათვის სათათბიროს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოების შესახებ“ გამოვლინებული აქვს, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო უფლებები არა აქვს, რაც დასტურდება იმით, რომ ბიუჯეტის უარყოფა კანონით არ აჩერებს ბიუჯეტის აღსრულებას. აქ ლაპარაკია იმ კანონზე, რომელიც მეფის მთავრობამ გამოსცა დეკემბრის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. ეს კანონი დასცინოდა ხალხს შავრაზმულად. მეფის მთავრობას ამაგრებდა საერთაშორისო ბურჟუაზია, რომელიც მსოფლიო კაპიტალით ეხმარებოდა მას სესხების სახით.

სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების პროცესთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი „მოითხოვს, რომ მთლიანად აღებული ბიუჯეტისათვის ხმის მიცემა პრინციპულად დაუშვებლად“ იქნეს მიჩნეული. ხმის მიცემა უნდა მოხდეს ბიუჯეტის ცალკეული მუხლების წინააღმდეგ, ვინაიდან კლასობრივი სახელმწიფოს ბიუჯეტის ცალკეული მუხლე-

ბის სასარგებლოდ ხმის მიცემა აკანონებს მასების ჩაგვრას, ასევე ხმა უნდა მიეცეს „ეგრეთწოდებული რეფორმების წინააღმდეგ და ეგრეთწოდებულ კულტურულ საჭიროებათა ხარჯების მუხლების წინააღმდეგ" [1].

სტატიაში „გარიგების საფუძვლები" ვ. ი. ლენინი გვიჩვენებს, თუ რამდენად სჭირდება მეფის მთავრობას ბიუჯეტის დასამტკიცებლად სათათბირო. მთავრობა სათათბიროს ემუქრება გარეკვით, ძალას ატანს. რომ დაიყოლიოს ბიუჯეტის დამტკიცებაზე. ბიუჯეტის დაუმტკიცებლად მთავრობა კრედიტს ვერ მიიღებს. ამიტომ იგი ცდილობს სათათბიროს გამოსტაცოს დათმობა გარეკვის მუქარით [2].

სათათბიროს უფლებებს ბიუჯეტის დამტკიცებაში ვ. ი. ლენინმა მიუძღვნა სპეციალური სტატია „სათათბირო და ბიუჯეტის დამტკიცება". მასში აღნიშნულია, რომ სათათბიროს მიერ ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. კანონის მიხედვით სათათბიროს უმნიშვნელო უფლებები აქვს და მთავრობას მისი დასტური არ ესაჭიროება. მაგრამ ფაქტიურად მთავრობა მაინც არის დამოკიდებული სათათბიროზე ბიუჯეტის დამტკიცების საკითხში. მთავრობას საქმეს უძნელებს უფულობა, რის გამო სესხი აუცილებელია. მაგრამ იგი სესხს ვერ მიიღებს ან მიღება ძალიან გაუძნელდება, თუ არ ექნა სათათბიროს პირდაპირი ან არაპირდაპირი თანხმობა. ამის გარეშე ბანკირები ვერ გაბედავდნენ სესხი მიეცათ რუსეთისათვის. ევროპის ფართო ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ მასას შესაძლებლობა არ აქვს შეამოწმოს რუსეთის ფინანსური გადამხდელუნარიანობა. სათათბიროს შეეძლო გამოეაშკარავებინა მეფის ფინანსური მდგომარეობა და მაშინ თვითმპყრობელობა ევროპის ფინანსურ დახმარებას ვეღარ მიიღებდა. მაგრამ სათათბიროში წარმოდგენილმა პარტიებმა ეს არ გააკეთეს, მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა ცნეს ასეთი ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა. „ოღონდ საჭირო იყო დეკლარაციაში დამატებული ყოფილიყო სოციალისტური თვალსაზრისის გამოთქმა კლასობრივი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბიუჯეტზე" [3].

მეფის რუსეთის ბიუჯეტის კლასობრივი ბუნება ვ. ი. ლენინს ნაჩვენები აქვს აგრეთვე სტატიაში „მემამულური მიწათმოწყობა" [4]

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. პრაქტიკული მითითებანი სათათბირო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ ბიუჯეტისათვის ხმის მიცემის საკითხზე, თხზ., ტ. 15, 1950, გვ. 396.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 12. 1950. გვ. 287- -288.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 372

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 19, 1951, გვ. 102.

მას თავის ნაშრომში „გუგული აქებს მამალსა“ განხილული აქვს ორი მიმდინარეობის აზრი „გარეკონ სათათბირო თუ ჯერ-ჯერობით დასტოვონ“. მაღალი წრის პირველი მიმდინარეობა ‘მიზანშეწონილად თვლის სათათბიროს დატოვებას. მეორე მიმდინარეობა — მმართველი დიდკაცობა მოითხოვს აუჩქარებლობას: ის მოითხოვს, რომ ჯერ დამტკიცდეს ბიუჯეტი, რაც სესხის მიღებას გააადვილებს: ის მოითხოვს აგრეთვე გარეკვის მუქარის დატოვებას. კადეტების დაშინებას, რომ აიძულოს მათ მარჯვნივ გადახრა[1].

ბიუჯეტის ანალიზით ვ. ი. ლენინი ასაბუთებდა, რომ მეფის რუსეთი პოლიტიკური და ფინანსური გაკოტრების პირასაა მისული და აყენებდა კითხვას, თუ რამდენ ხანს იარსებებს ისე, რომ თავისი პოლიტიკური და ფინანსური ბიუჯეტის ჭუჭრუტანებს ფარავდეს ხალხის ორგანიზმის ცოცხალი სხეულის ტყავით[2].

VII. ფინანსური კონტროლი

ფინანსური კონტროლის ხასიათი დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი ფორმაციისა და სახელმწიფო მმართველობის ფორმაზე. ბურჟუაზიამ ფინანსური კონტროლი გამოიყენა იმისათვის, რომ შეეზღუდა აბსოლუტიზმის პირობებში ფეოდალური არისტოკრატიის მფლანგველობა და სახელმწიფო სახსრებისათვის შეძლებისდაგვარად მიეცა დანიშნულება, რომელიც ხელს შეუწყობდა ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებას. ბურჟუაზიამ გამოიყენა ფინანსური კონტროლი იმისათვის, რომ, როგორც მარქსი წერს: „იაფად მოეწყო თავისი მთავრობა“. რაც შეეხება თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებს, იქ ფინანსური კონტროლი გამოყენებულია იმისათვის, რომ მიჩქმალოს ფინანსური ოლიგარქიის მიერ სახელმწიფო აპარატის დამორჩილება, ფინანსური ოლიგარქიის ბატონობა სახელმწიფო ფინანსების დარგში. კაპიტალისტურ ქვეყნებში, ერთი მხრივ, ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ ფინანსური კონტროლი არის დამოუკიდებელი, ობიექტური, რომ ფინანსური კონტროლის ორგანოები განსაკუთრებულ, მინისტრებისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, მეორე მხრივ, ფინანსურ კონტროლს არ შეუძლია პასუხისგებაში მისცეს ცალკეული მინისტრები ან კრედიტის მთავარი განმკარგულებლები.

ორგანიზაციულ-ტექნიკური თვალსაზრისით სახელმწიფო კონტროლის ამოცანა მდგომარეობს საკასო ტრიალის შემოწმებაში —

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 12, გვ. 377—378.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. გაკოტრების ნიშნები, ტ. 6, 1956, გვ. 91.

რამდენად სწორად და კანონების შესაბამისად ხდება ის ტრიალი. ამავე დროს ეწევა მმართველობის კონტროლს, რაც გამოიხატება ფინანსური საქმიანობის ყველა მხარის არსებითს შემოწმებაში.

არსებობს ორგვარი სახელმწიფო კონტროლი: წინასწარი და შემდგომი. წინასწარი კონტროლი ამოწმებს ბიუჯეტურ სახსრებს ხარჯების გაწევამდე, არკვევს თუ რამდენად კანონიერია ხარჯი, რამდენად შეესაბამება ბიუჯეტით გათვალისწინებულ მიზნებს, ხარჯების მიზანშეწონილობას და მის გამოსადეგობას.

შემდგომი კონტროლი ხარჯებს ამოწმებს მას შემდეგ, რაც ის უკვე გაწეულია. ამ შემთხვევაში კონტროლი წარმოებს გამამართლებელი საბუთების გასინჯვით. ფორმის მიხედვით კონტროლი არის დოკუმენტური და ფაქტიური. დოკუმენტური კონტროლი ამოწმებს გაწეულ ხარჯთა გამამართლებელ დოკუმენტებს. ფაქტიური კონტროლი ფაქტიურად ამოწმებს სახელმწიფო სახსრებით შეძენილ მასალას და სხვ.

აშშ-ში ფედერალური ბიუჯეტის აღსრულებას კონტროლს უწევს მთავარი საკონტროლო სამმართველო. მის სათავეში დგას მთავარი კონტროლიორი და მისი მოადგილე, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს 15 წლის ვადით. შტატებს თავიანთი კონტროლიორები ჰყავთ.

ინგლისში ფინანსური კონტროლი ხასიათდება ფორმალურად მთავრობისაგან დამოუკიდებლობით. საკონტროლო უწყებას ხელმძღვანელობს კონტროლიორ-რევიზორი და მისი თანაშემწე. მათ ირჩევს პარლამენტი ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. მიუხედავად ამისა, კონტროლიორ-რევიზორი მაინც არის დამოკიდებული ფინანსთა მინისტრისაგან. არავითარი ბიუჯეტური ხარჯის გაწევა არ შეიძლება, თუ წინასწარ მოწონებული არ არის კონტროლიორ-რევიზორის მიერ.

საფრანგეთში ფინანსურ კონტროლს ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანოები. ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოა საანგარიშო პალატა, რომელიც სასამართლო ორგანოს წარმოადგენს. მის ხელმძღვანელობას ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

VIII. ფედერალურ სახელმწიფოთა ბიუჯეტური წყობილება

ფედერაცია არის სახელმწიფო მმართველობის ისეთი ფორმა, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სახელმწიფო და შექმნილია ერთი საკავშირო სახელმწიფო. ფედერაციაში შემავალ სახელმ-

ნიფოებს რიგ საკითხებში შენარჩუნებული აქვთ დამოუკიდებლობა. ისინი ქმნიან ერთიან საკავშირო სახელმწიფო ორგანოებს, საკავშირო არმიასა და სხვ. საკავშირო კანონები სავალდებულოა ფედერაციაში შემავალ ყველა სახელმწიფოსათვის. მაგრამ ამ სახელმწიფოებს აქვთ თავისი საკანონმდებლო ორგანოები, მთავრობა, სასამართლო და სხვ.

ფედერაციული სახელმწიფოებია: აშშ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ავსტრალია, კანადა, ავსტრია, მექსიკა, არგენტინა, ვენესუელა, ახალი ზელანდია, პაკისტანი, შვეიცარია და სხვ.

ფედერალურ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს სხვანაირი ბიუჯეტური წყობა აქვთ. ბიუჯეტი აქვს ფედერალურ სახელმწიფოს, ფედერაციაში შემავალ სახელმწიფოებს ან შტატებს და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს, რომლებიც იმყოფებიან ცალკეული სახელმწიფოების შემადგენლობაში. კაპიტალისტურ ფედერაციულ სახელმწიფოებს არა აქვთ ერთიანი ბიუჯეტი, რომელიც ყველა ამ ბიუჯეტს მოიცავს. კონსტიტუცია განსაზღვრავს ცენტრალური მთავრობის უფლებებსა და მოვალეობებს, ფედერალური მთავრობის ხარჯებს და შემოსავლის წყაროებს. ფედერალური მთავრობა და ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოები ცალ-ცალკე დამოუკიდებლად ადგენენ თავიანთ ბიუჯეტებს. რომელთაც ამტკიცებენ მათი საკანონმდებლო ორგანოები. ყველა ამ ბიუჯეტის კლასობრივი არსი ერთნაირია.

კაპიტალიზმი მიისწრაფვის მსხვილი კაპიტალისტური გაერთიანებისაკენ და ცენტრალიზაციისაკენ. ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ცენტრალიზმს ახასიათებს ნაციონალური უმცირესობის ჩაგვრა, იმპერიალისტური ძალადობა. მას ახასიათებს ბიუროკრატიზმი და თვითნებობა. ვინაიდან კაპიტალისტური წინააღმდეგობანი ვითარდება სახელმწიფოს შიგნით და სახელმწიფოებს შორისაც, ამიტომ ფედერალური მთავრობა აუცილებლობით იმორჩილებს ფედერაციაში შემავალ წევრებს და თავის კომპეტენციაში იღებს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას, დიპლომატიურ ურთიერთობას, ფულის მიმოქცევის რეგულირებას და სხვ.

ფედერალური მთავრობისა და ფედერაციაში შემავალ სახელმწიფოთა მთავრობების ინტერესთა ურთიერთობა მათ ბიუჯეტებში ასახულია ფედარაციის ინტერესების პრიორიტეტით. საგადასახადო საქმესაც ხელმძღვანელობს ფედერალური მთავრობა.

რაც შეეხება კლასობრივ ბუნებას, ფედერალურ მთავრობათა და ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოების ბიუჯეტები ერთნაირად გამოხატავენ ნაციონალური შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწი-

ლებას დამატებითი ექსპლოატაციის გაძლიერების, მაქსიმალურ მოგებათა მიღების უზრუნველყოფის მიზნით.

დასაწყისში ფედერალური მთავრობის ხარჯები იფარებოდა ფედერაციაში შემავალ წევრ-სახელმწიფოთა შენატანებით, „მატრიკულარული შენატანებით".

დროთა ვითარებაში ფედერალური მთავრობის ხარჯები თანდათან გაიზარდა, რასაც აღარ ჰყოფნიდა არსებული შემოსავლის წყაროები. ფედერალურმა მთავრობამ აიღო არაპირდაპირი გადასახადების შემოსავალი, პირდაპირი გადასახდებისა და წვრილმანი გადასახადების შემოსავალი დატოვებულია ფედერაციის წევრ-სახელმწიფოების კომპეტენციაში.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში კაპიტალისტური ფედერაციული სახელმწიფოები უნიტარული სახელმწიფოების ხასიათს ღებულობენ. აშშ-ში ხდება ცენტრალიზაცია და უნიფიკაცია და შტატების სუვერენული უფლებების შეზღუდვა.

IX. ბიუჯეტის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა

a) მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის ბურჟუაზიული თეორიები

1. ბიუჯეტის საანგარიშო ოპერაციის კონცეფცია

ზოგიერთი ბურჟუაზიული ფინანსისტის აზრით, ბიუჯეტი მეტად მარტივი ცნებაა: ამიტომ იგი თავისთავად ცხადია. ასე მაგალითად, ნიტის აზრით, ბიუჯეტის ცნება „...თავისთავად სრულიად ცხადი». ბიუჯეტი სხვა არ არის რა, თუ არა ნავარაუდევ შემოსავალთა და სახელმწიფოს ან ადმინისტრაციული დაწესებულებებისათვის ნებადართულ ხარჯთა დოკუმენტალურად დამოწმებული განწერა. ეს არის აქტი, რომელიც შეიცავს სახელმწიფო შემოსავალთა და ხარჯთა წინასწარ მოწონებას" [1].

ასეთსავე აზრს გამოთქვამენ გ. ზაიდლერი და ვ. ა. ლებედევიც, რომელთა თანახმად ბიუჯეტის ცნება მეტად მარტივია და სიძნელეებს არ შეიცავს [2].

ამგვარად, ასე გაუბრალოებულად აქვს წარმოდგენილი ზოგიერთ ბურჟუაზიულ ფინანსისტს ბიუჯეტის ცნება და მასთან მოცემული კატეგორიის კვლევისა და გადმოცემის მეთოდოლოგიაც. ბურჟუა-

---

[1] Фр. Нитти, Основные начала финансовой науки, 1904, стр. 553.

[2] В. А. Лебедев, Финансовое право, III, 1893, стр. 547; G. Seidler. Budget und Budgetrecht, 1885, S. 34.

ბიულ ფინანსისტთა უდიდეს ნაწილს არც აქვს დაყენებული მსჯელობის საგნად მოცემული საკითხის მეთოდოლოგიური მხარე. ბურჟუაზიულ ფინანსისტთა დიდი ნაწილი, მიიჩნევს რა ბიუჯეტს მარტივ ცნებად, ფინანსურ კატეგორიათა შესწავლას იწყებს ბიუჯეტის კატეგორიის გადმოცემით. ისინი ჯერ განიხილავენ ბიუჯეტს და შემდეგ მის შემადგენელ ელემენტებს.

ბურჟუაზიულ ფინანსისტთა ამ ჯგუფს ეკუთვნიან: ბელა ფოლდესი [1], კარლ ტიშკა [2], ვალტერ ლოტცი [3], იერლ როლფი, ჯორჯ ბრიეკი [4] და სხვ.

ნამდვილად. სხვა ფინანსურ კატეგორიებთან შედარებით ბიუჯეტი წარმოადგენს უფრო კონკრეტულ კატეგორიას, მდიდარ ერთობლიობათა გამოხატულებას, რთულ ცნებას.

ბიუჯეტი ერთ მთლიან სისტემაში აერთიანებს სახელმწიფო გასავლისა და შემოსავლის ყველა კატეგორიას. ცხადია, ამიტომ მისი შესწავლა შესაძლებელია მას შემდეგ, რაც უკვე გადმოცემულია ბიუჯეტის შემადგენელი ელემენტები.

ბურჟუაზიულ ფინანსისტთა ერთი ნაწილი ბიუჯეტს განმარტავს როგორც საანგარიშო ხასიათის ოპერაციას. ამგვარ სახელწოდებას აძლევენ მას ბურჟუაზიული ფინანსისტი გასტონ ჟეზი და საბჭოთა ფინანსისტები: ორლოვსკი, ა. ალექსანდროვი და ნ. ლიუბიმოვი.

ბურჟუაზიულ ფინანსისტთა ის ნაწილი, რომელიც ბიუჯეტს განმარტავს როგორც საანგარიშო ხასიათის ოპერაციას, მრავალრიცხოვანია. ამ ჯგუფს ეკუთვნის ეებერგი, შ. ჰეკელი, ლერუა ბოლიე, ლეონსეი, რუსი ფინანსისტებიდან — ილოვაისკი, ლებედევი და სხვ. ისინი კმაყოფილდებიან განმარტებით, რომლის მიხედვით, ბიუჯეტი არის სახელმწიფო შემოსავალ-გასავალთა განწერა.

გერმანელი ფინანსისტი თეოდორ კარლ ეებერგის აზრით, სახელმწიფოებრივი განწერა, ანუ ეგრეთ წოდებული ბიუჯეტი ან ნუსხა შეიცავს მომავალ ხარჯებსა და საალბათო მოსალოდნელ შემოსავალთა თანხას, რომელიც შედგენილია უმაღლესი ფინანსური უწყების მიერ და ფინანსური, ანუ მეურნეობრივი კანონის სახეს ღებულობს შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის [5].

---

[1] Béla Földes, Finanzwissenschaft, Jena, 1927.

[2] Carl von Tiszka, Grundzüge der Finanzwissenschaft. Jena, 1928.

[3] Dr. Walter Lotz, Finanzwissenschaft, Tübingen. 1929.

[4] Earl R. Rolph, George F. Break, Public Finance, New York, 1961.

[5] K. Th. Eheberg, Finanzwissenschaft, 1909, S. 425—427.

ამგვარად, ეებერგი, გარდა იმისა, რომ აიგივებს ბიუჯეტსა და განწერას. ბიუჯეტს განმარტავს მხოლოდ გარეგნულობის მიხედვით, რომ ის მომავალ ხარჯებსა და საალბათო მოსალოდნელ შემოსავალს შეიცავს; სახელმწიფოს გარკვეული ორგანოს მიერ შედგენილია და გარკვეული ორგანოს მიერ დამტკიცებული.

მეორე გერმანელი ფინანსისტის მ. ჰეკელის აზრით, „ბიუჯეტი არის მომავლისათვის, დროის განსაზღვრული პერიოდისათვის სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი კავშირის ნავარაუდევ შემოსავალთა და ხარჯთა ციფრობრივი გამოხატულება და შეფასება“ [1].

როგორც ვხედავთ, ჰეკელის მიხედვითაც ბიუჯეტი განიმარტება უბრალოდ, როგორც სახელმწიფოს შემოსავალთა და გასავალთა ციფრობრივი გამოხატულება. მაგრამ რა სოციალური ურთიერთობა იმალება ამ შემოსავალ-გასავალთა ციფრობრივ გამოხატულებაში, ეს მას არ აინტერესებს. ის კმაყოფილდება მხოლოდ გარეგნულობის, გამოვლინების აღნიშვნით.

ჰეკელს, ეებერგისაგან განსხვავებით, ბიუჯეტის განმარტებაში დამატებული აქვს სახელმწიფო ხარჯთა და შემოსავალთა შეფასება, მაგრამ ეს შეფასებაც ბიუჯეტის ტექნიკური მხრით არის წარმოდგენილი. ბიუჯეტის ამგვარი განმარტება, ცხადია, არ არკვევს რომელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სახელმწიფოს ეხება ეგი.

ფრანგ ფინანსისტ ლერუა ბოლიეს განმარტებით, „ბიუჯეტი არის წინასწარი ნუსხა, რომელიც მოიცავს დროის განსაზღვრული პერიოდისათვის ხარჯთა და შემოსავალთა გათვალისწინებას. ეს არის შედარებითი ცხრილი, რომელშიც ნაანგარიშევი და ერთმანეთს დაპირისპირებულია მისაღები შემოსავალი და გასაწევი ხარჯები“ [2].

ბიუჯეტის ამ განმარტებაშიც მოცემულია ბიუჯეტის იგივე ტექნიკური ნიშნები, გარეგნული მომენტები, სახელდობრ, რომ ბიუჯეტი შემოსავალ-გასავალთა გაანგარიშებაა, შემოსავალ-გასავლის ცხრილია და სხვ.

მეორე ფრანგი ფინანსისტის, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის ლეონ სეის განმარტებით ბიუჯეტი არის ხელშეკრულება მარწმუნებელთა, ე. ი. გადამხდელთა და რწმუნებელთა, ე. ი. მმართველებს შორის. იგი წერს: „ბიუჯეტი არის ხალხის მიერ თავიანთ რწმუნე-

---

[1] M. V. Heckel, Das Budget, 1898, S. 1.

[2] Paul Leroy-Beaulieu, Traité de la science des Finances, 1888, Tome second, p. 2.

ბულებზე გაცემული ბრძანება განკარგოს სახელმწიფო ფინანსები წინასწარ სასტიკად განსაზღვრულ პირობებში“ [1]

ეს განმარტება სწორი არ არის. სახელმწიფოსა და ნამდვილ გადამხდელებს შორის არავითარი ხელშეკრულება არ ფორმდება. ყველა დადგენილება და კანონი ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის შესახებ ცალმხრივია. სახელმწიფო არასდროს არ უთანხმდება გადამხდელებს, სურთ თუ არა მათ გადასახადების გადახდა ან რამდენისა და რა დროს. გადასახადთა ძირითად გადამხდელს კაპიტალიზმის პირობებში წარმოადგენს მუშათა კლასი, რომელთანაც ბურჟუაზიული სახელმწიფო არავითარ ხელშეკრულებას არ დებს და რომელსაც იგი არაფერში არ უთანხმდება. ასეთი განმარტება იმ შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო ზეკლასობრივი ორგანიზაცია არის.

რუსი ფინანსისტის ხოდსკის განმარტებით: „სახელმწიფო ბიუჯეტი, ანუ განწერა ეწოდება სახელმწიფო ხარჯთა და მათ დასათარავად ნავარაუდევ შემოსავალთა ნუსხას, რომელსაც ადგენს ფინანსური მმართველობა დროის განსაზღვრული პერიოდისათვის, რაც განხილულია საკანონმდებლო დაწესებულებაში და დამტკიცებულია უმაღლესი ხელისუფლების მიერ“ [2].

როგორც ვხედავთ, ბიუჯეტის ეს განმარტებაც გარეგნულ ნიშნებზეა დამყარებული. ეს კრიტიკა გულისხმობს არა იმას, რომ ბიუჯეტის განმარტებაში მნიშვნელობა არა აქვს ბიუჯეტის გარეგნულ ნიშნებს, ბიუჯეტის ტექნიკურ მხარეს, არამედ იმას, რომ ბიუჯეტის განმარტება უნდა მოიცავდეს, პირველ ყოვლისა, მის არსს და არა მხოლოდ გამოვლინებას. განმარტებაში მოცემული უნდა იყოს ბიუჯეტის სოციალური არსი.

კ. მარქსის განსაზღვრით, კაპიტალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი გაბატონებული კლასის ბატონობის იარაღია. ბიუჯეტის ეკონომიკური არსი დამატებით ექსპლოატაციას გამოსახავს, რაც კაპიტალიზმის პირობებში ხორციელდება ნაციონალური შეძოსავლის განაწილება-გადანაწილებით. კაპიტალისტთა კლასი ბიუჯეტის საშუალებით უზრუნველყოფს თავის პოლიტიკურ ორგანიზაციის—სახელმწიფოს შენახვასა და განმტკიცებას.

კაპიტალისტური სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით აფინანსებს გაბატონებულ კლასებს და იმ ღონისძიებებს, რომლებიც მათ ინტერესებს ემსახურება.

---

[1] L. Say, Les finances de la France, T. 1, p. 1.

[2] Л. В. Ходский, Основы госуд. хозяйства, 1901, стр. 415.

კაპიტალისტური სახელმწიფო ცდილობს ბიუჯეტი გამოიყენოს კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა შესარბილებლად. კოლონიური პოლიტიკის გასატარებლად, ნედლეულის ბაზებისა და ბაზრების დასაპყრობად. კაპიტალისტური სახელმწიფო ამავე დროს ცდილობს ბიუჯეტის კლასობრივი ბუნება მიჩქმალოს. ინგლისის ფინანსთა მინისტრის დიზრაელის შესახებ კ. მარქსი წერდა:

„დიზრაელმა უკვე დიდი ხანია იდუმალი წესით გვამცნო თავისი ბიუჯეტის შესახებ. შეპირდა რა სამყაროს, არც მეტი — არც ნაკლები, ქვეყნის მერვე სასწაულს, მის ბიუჯეტს უნდა „ბოლო მოეღო ინტერესთა ბრძოლისათვის და მოესპო კლასების გამანადგურებელი ომი". „დაეკმაყოფილებინა ყველანი, არ მიეყენებინა არავისთვის ზარალი", „გაეერთიანებინა სხვადასხვა ინტერესები ერთ აყვავებულ მთლიანობად", „პირველად შეექმნა ჰარმონია ჩვენს სავაჭრო და ფინანსურ სისტემებს შორის ისეთი ახალი პრინციპების წამოყენებით", „რომლებიც ომომავლის ბურუსში მოჩანან"[1].

გლადსტონის საფინანსო პროექტის შესახებ მარქსი წერდა: „ის არის მხოლოდ უბადრუკი ცდა თავი აარიდოს საკამათოდ დასმულ საკითხს, — უბრალო საშუალებაა დააკმაყოფილოს მაკლერები და ვაჭრები და გააიაფოს და გააადვილოს მათი საქმეები. დღეს ჩვენ ვნახავთ, რომ ბიუჯეტი არის კლასობრივი ბიუჯეტი, ბურჟუაზიის ბიუჯეტი დაწერილი არისტოკრატიის კალმით[2].

ვ. ლენინი ანალიზს უკეთებს მეფის რუსეთის ბიუჯეტებს და ააშკარავებს მათ კაპიტალისტურ-მემამულურ ბუნებას (იხ. ვიტეს დროის ბიუჯეტების განხილვა).

ამგვარად, ბურჟუაზიული ფინანსისტები ბიუჯეტს განსაზღვრავენ გარეგნული ნიშნების მიხედვით; მის თვისობრივ მხარეს, სოციალურ შინაარსს, კლასობრივ ბუნებას ნიღაბს აფარებენ. ისინი გვერდს უვლიან ბიუჯეტის არსის განსაზღვრას, სახელდობრ იმას, რომ ბიუჯეტი კაპიტალიზმის პირობებში კლასობრივი ჩაგვრის. კლასობრივი ბატონობის იარაღია, რომ მასში აისახება ფართო მასების დამატებითი ექსპლოატაცია ძირითადი ექსპლოატაციის ურთიერთობათა განმტკიცების ხელისშეწყობისათვის და ძირითადი ექსპლოატაციის შევსებისა და გაფართოებისათვის.

---

[1] K. Marx, F. Engels, Werke, Bd. 8. S. 472. (თარგმანი მოტანილია ზემოხსენებული ქრესტომათიიდან, გვ. 345—346).

[2] K. Marx, F. Engels, Werke, Bd. 9, S. 62.

ბურჟუაზიულ ფინანსისტთა მეორე ნაწილი ბიუჯეტს განმარტავს როგორც კანონს, როგორც საკანონმდებლო აქტს. ამ ფინანსისტები ბიუჯეტის არსად მიაჩნიათ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის განწესრის კანონმდებლობითი ხასიათი. მათი შეხედულებით, ბიუჯეტის ცნების განმსაზღვრელი მომენტი ის არის, რომ იგი განხილული და დამტკიცებულია ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ და რომ ამიტომ ბიუჯეტს კანონის ხასიათი აქვს.

ამ შეხედულებას იცავენ ლორენც შტეინი, კარლ უმპფენბახი, რენე შტურმი, ვიტე, გასტონ ჟეზი, იელინეკი და სხვ.

გერმანელი ფინანსისტი ლორენც შტეინი წერს, რომ ბიუჯეტი არის „კანონი სახელმწიფო მეურნეობის შესახებ, ამასთანავე ეს ის კანონი არ არის, რომელიც საერთოდ განსაზღვრავს სახელმწიფო ფინანსების მეურნეობრივ ურთიერთობებს, არამედ ის კანონია, რომელიც ფორმალურად თავს უყრის მთლიანობაში სახელმწიფო შემოსავალს, სახელმწიფო მმართველობის ყველა ხარჯს და ა. შ. თავისი შინაარსით წარმოადგენს ფულად ოდენობებში გამოხატულ ყველა ხარჯის დამოკიდებულებას შემოსავლისაგან, რაც მას საკანონმდებლო ხელისუფლების გამგებლობის საგნად აქცევს და, დასასრულ, სახელმწიფოს მეთაურის სანქციით — სახელმწიფო მეურნეობის კანონად“ [1].

ლორენც შტეინის განმარტებაში არ არის მოცემული ბიუჯეტის ცნების არსებითი ნიშანი, რაზეც ჩვენ ლაპარაკი გვქონდა წინა ნაწილში. ამ განმარტებაში წინა პლანზე წამოწეულია ბიუჯეტის ის მხარე, რომელიც სანქციას აძლევს სახელმწიფო შემოსავალსა და გასავალს, ე. ი. აქტი, რაც ბიუჯეტურ კანონად ვლინდება. ეს, რასაკვირველია, ბიუჯეტის ცნებისათვის არსებითი არ არის. ბიუჯეტი პირველ ყოვლისა უნდა განიმარტოს როგორც ეკონომიკური კატეგორია, რომელიც დაკავშირებულია კანონთანაც, როგორც გარკვეულ იურიდიულ ნორმასთან. კანონთან დაკავშირებულია და კანონის ხასიათს ღებულობს მრავალი მოვლენა, მაგრამ ყველა ხომ ბიუჯეტი არ არის. ამიტომ ბიუჯეტის განმარტებისას მოცემული უნდა იყოს, პირველ ყოვლისა, ის, რაც ძირითადია ბიუჯეტისათვის.

ბიუჯეტის განმარტებაში აქტის, კანონის მნიშვნელობა განსაკუთრებულად წინ წამოწია ფრანგმა ფინანსისტმა რენე შტურმა, რომელიც ბიუჯეტის განმარტებას იწყებს ბიუჯეტის სხვადასხვა გან-

---

[1] Lorenz von Stein, Lehrbuch der Finanzwissenschaft, Erster Baud, Leipzig, 1885, S. 200.

მარტებათა ჩამოთვლით. ის ასახელებს 1862 წლის 31 მაისის დეკრეტს (მუხ. 5), ძველი „პოლიტიკური ეკონომიის ლექსიკონს“, „პოლიტიკური ეკონომიის ახალ ლექსიკონს“ და ჟან ბატისტ სეის. შტურმის მიხედვით, „სახელმწიფო ბიუჯეტი არის აქტი, რომელიც შეიცავს სახელმწიფო შემოსავალთა და გასავალთა წინასწარ მოწონებას“ [1] ამ განმარტებაში ხაზგასმულია, რომ ბიუჯეტი არის ხელისუფლების მიერ წინასწარ მოწონებული აქტი.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ბიუჯეტი არ არის აქტი, რომელიც სახელმწიფო შემოსავალსა და გასავალს ადასტურებს; ბიუჯეტური კანონი სხვაა და ბიუჯეტი — სხვა.

ფინანსისტთა ამავე ჯგუფს ეკუთვნის რუსი მონარქისტი ფინანსთა მინისტრი ვიტე, რომელიც წერს:

„დღეს ბიუჯეტი წარმოადგენს ფინანსურ კანონს, რომლის მიხედვით უნდა ხდებოდეს მართვა სახელმწიფო მეურნეობისა დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. ამ მხრივ ბიუჯეტს ეკუთვნის ფინანსური გეგმის არა მარტო ტექნიკური მნიშვნელობა, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც. თუ საერთოდ კანონები აწესებენ მთავრობის ხელისუფლების საზღვრებს, მისი საქმიანობის მიზნებსა და ფორმებს, ბიუჯეტი განსაზღვრავს მატერიალურ სახსართა ოდენობას, რომელთა ფარგლებშიც მას შეუძლია ეს მიზნები განახორციელოს, და, მაშასადამე, მთავრობის საქმიანობის იმ ნორმირების აუცილებელ დამატებას წარმოადგენს, რაც კანონით წესდება“ [2].

როგორც ვხედავთ, ვიტეს განმარტებაშიც იგივე აზრია გატარებული, რაც ზემოთ განხილულ ავტორებს აქვთ მოცემული.

ვიტეს აზრი იმის შესახებ, რომ ბიუჯეტში უნდა დავინახოთ არა მარტო ტექნიკური, არამედ განსაკუთრებით პოლიტიკური მხარე, ვრცლად აქვს განვითარებული ცნობილ ფრანგ ფინანსისტს გასტონ ჟეზს, რომლის მიხედვით ბიუჯეტი არსებითად „პოლიტიკური მნიშვნელობის აქტია“ [3]. ის უსაყვედურებს შტურმს, ლერუა ბოლიეს, ლეონ სეის, რომ ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ ბიუჯეტის პოლიტიკურ მხარეს და, გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ბიუჯეტს განმარტავდნენ როგორც საანგარიშო ხასიათის ოპერაციას. ეს უკანასკნელი შეხედულება მას მიაჩნია მოძველებულად, რასაც შეუძლია ბიუჯეტის ყველა თეორია დაამახინჯოს. გასტონ ჟეზის აზრით,

---

[1] Рене Штурм, Бюджет, 1907, стр. 3.

[2] С. Ю. Витте, Конспект лекций о народном и государственном хозяйстве, 1912, стр. 438—439.

[3] Гастон Жез, Общая теория бюджета, 1930, стр. 3.

მართალია, ბიუჯეტი საანგარიშო ხასიათის ოპერაცია არის, მაგრამ იგი ბიუჯეტის არსი არ არის. გასტონ ჟეზი წერს: „დღეს ბიუჯეტი, პირველ ყოვლისა, არის ცხოვრებაში რაიმე პოლიტიკური პროგრამის გატარების საშუალება: იგი მთავრობის აქტია par excelance“ [1]. პოლიტიკური პარტიები თავიანთ პროგრამებსა და დებულებებს ერთმანეთს უპირისპირებენ და მთავრობა, რომელიც სახელმწიფოს სათავეში დგას, თავისი პარტიის პროგრამას ატარებს, რაც თავის გამოხატულებას პოვებს სახელმწიფო ხარჯთა ამა თუ იმ სახის გადიდებასა თუ შემცირებაში; მეორე მხრივ, რამდენადაც ეს ხარჯები შემოსავლით უნდა დაიფაროს, აქაც სერიოზულ საკითხს წარმოადგენს საგადასახადო ტვირთის განაწილება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. ყოველივე ამის გამო, ასკვნის გასტონ ჟეზი, ბიუჯეტის პოლიტიკური ხასიათის უარყოფა პირდაპირ შეუძლებელიაო.

მიუხედავად იმისა, რომ გასტონ ჟეზი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს ბიუჯეტის პოლიტიკურ მხარეს, საკითხი მას ბოლომდე არ მიჰყავს. ბიუჯეტი მას მაინც არ აქვს წარმოდგენილი როგორც კლასთა ბრძოლის იარაღი.

ასეთსავე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბიუჯეტის ამ მხარეს პროფ. იელინეკი. გასტონ ჟეზი და იელინეკი არსებითად პარლამენტარულ სახელმწიფოთა ბიუჯეტებზე ლაპარაკობენ და ამდენად წინ წამოწეული აქვთ ბიუჯეტის პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც თავისთავად სწორი არ არის, პოლიტიკური მნიშვნელობა არაპარლამენტარულ სახელმწიფოთა ბიუჯეტებსაც აქვთ.

ფინანსისტთა ამ ჯგუფის შეხედულება მართალი არ არის. ისინი ფინანსურ პოლიტიკას, რომელსაც ასახავს ბიუჯეტი, განიხილავენ როგორც თავისთავადს, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისაგან დამოუკიდებელს.

3. ბიუჯეტი როგორც კაპიტალისტური სახელმწიფო მეურნეობის გეგმა (ფინანსური გეგმა)

ბურჟუაზიულ ფინანსისტთა ერთი ნაწილი ბიუჯეტს განმარტავს როგორც ფინანსურ გეგმას, როგორც სახელმწიფო მეურნეობის გეგმას. ამ თვალსაზრისზე დგანან ად. ვაგნერი, ვალტერ ლოტკი, ოზეროვი და სხვ.

რუსი ფინანსისტის ოზეროვის აზრით: „ბიუჯეტში იგულისხმება სახელმწიფო მეურნეობის გამგებლობის გეგმა დროის მოცემული პერიოდისათვის.

---

[1] Гастон Жез, Общая теория бюджета, 1930, стр. 3.

განწერაში (роспись) იგულისხმება მეურნეობის გამგებლობის გეგმის ციფრობრივი გამოხატულება დროის მოცემული პერიოდისათვის, რომელიც განხილულია საკანონმდებლო დაწესებულების, ხოლო დამტკიცებულია საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ" [1].

ოზეროვი იმოწმებს ვაგნერს და ასკვნის, რომ განწერა ბიუჯეტის ნაწილია, რომ „ამ აზრით განწერა მხოლოდ საბიუჯეტო კანონის დამატებაა მოცემული კონკრეტული შემთხვევისადმი. ბიუჯეტი განსაზღვრავს ფინანსური გეგმის შედგენისა და დამტკიცების საერთო ნორმებს, ხოლო განწერა ნიშნავს თვით ფინანსურ გეგმას დროის მოცემული პერიოდისათვის. განწერა შეადგენს სახელმწიფო მეურნეობის გამგებლობის გეგმის ციფრობრივ კერძო გამოხატულებას" [2].

ად. ვაგნერის განმარტებით, ბიუჯეტს, გარდა გეგმური ხასიათისა, აქვს საალბათო ფულადი რიცხობრივი გამოხატულება, რაც ბალანსზეა დამყარებული. იგი წერს: „ნუსხა, ანუ განწერა არის საზოგადოებრივი კავშირის მეურნეობაში საალბათო შემოსულობათა და გაცემათა — შემოსავალთა და გასავალთა ფულადი რიცხობრივი გამოხატულება. ცოტად თუ ბევრად განსაზღვრული სისტემატური მიმოხილვა მომავალი პერიოდისათვის — წლისათვის, რომელიც დამყარებულია ამ ციფრთა ორი წესრიგის ბალანსზე" [3].

იმავე აზრს გამოთქვამს გერმანელი ფინანსისტი ვალტერ ლოტცი, რომლის თანახმად სიტყვა „ბიუჯეტი", ანუ განწერა დღეს იხმარება ორგვარი აზრით:

1. შემოსავალთა და გასავალთა ნუსხა მეურნეობრივი პერიოდისათვის, ამჟამად რეგულარულად ერთი წლისათვის (განწერის პროექტი ანუ ბიუჯეტის პროექტი. სახელმწიფო მეურნეობრივი გეგმა);

2. დამთავრებული სამეურნეო პერიოდისათვის ნამდვილად მიღებული შემოსავლისა და გაწეული ხარჯების მიმოხილვა (ფაქტიური განწერა ან ფაქტიური ბიუჯეტი, სახელმწიფო მეურნეობრივი ანგარიშგება) [4].

ვალტერ ლოტცს გარჩეული აქვს ბიუჯეტის პოლიტიკური მნიშვნელობაც [5].

რუსი ფინანსისტი ს. ფ. ვებერიც ბიუჯეტს განმარტავს როგორც

---

[1] И. З. Озеров, Основы финансовой науки, вып. II, 1910, стр. 4.

[2] იქვე, გვ. 5.

[3] A. Wagner, Finanzwissenschaft, 1883, Bd. I, § 102.

[4] Walther Lotz, Finanzwissenschaft, 1929, S. 100.

[5] იქვე, გვ. 107—115.

გეგმას, იგი წერს, რომ ბიუჯეტი და სახელმწიფო შემოსავალთა და გასავალთა განწერა ერთი და იგივეა. რუსული ტერმინოლოგიით, ბიუჯეტი არის სახელმწიფო შემოსავალთა და გასავალთა განწერა. მისი აზრით: „სახელმწიფო ბიუჯეტში იგულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდისათვის სახელმწიფოს მომავალ ხარჯთა და მათ დასაფარავად მოსალოდნელ შემოსავალთა საკანონმდებლო წესით დამტკიცებული საერთო სავარაუდო გაანგარიშება მიღებულ ფულად ერთეულში მათი ბალანსურ მდგომარეობაში მოყვანით. ამგვარად, ბიუჯეტი არის დროის მოცემული მონაკვეთისათვის სახელმწიფო მეურნეობის საერთო გეგმის ფინანსური გამოხატულება“ [1].

იმ ბურჟუაზიულ ფინანსისტთა ჯგუფის შეხედულებაც, რომელნიც კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტს განმარტავენ როგორც გეგმას. მცდარზე მცდარია. მათი განმარტებებისათვისაც დამახასიათებელია ბიუჯეტის განსაზღვრა ტექნიკურ-ორგანიზაციული მხრით და არა — სოციალ-ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. ბურჟუაზიული განმარტებანი ჩქმალავენ ბიუჯეტის კლასობრივ ბუნებას. ისინი ნიღაბს აფარებენ იმას, რომ ბიუჯეტი კაპიტალიზმის პირობებში ემსახურება კაპიტალისტთა კლასის ინტერესებს, იწვევს ნაციონალური შემოსავლის განაწილება-გადანაწილებას დამატებითი ექსპლოატაციის გაფართოების მიზნით, იცავს კაპიტალისტურ საზოგადოებრივ წესრიგს, უზრუნველყოფს პირობებს მოგებათა მისაღებად, ატარებს აგრესიულ ხასიათსა და აფინანსებს იმპერიალისტურ ომებს.

ბიუჯეტის ბურჟუაზიული განმარტებანი ჩქმალავენ კაპიტალისტური წარმოების ანარქიულ, სტიქიურ ბუნებას, რამდენადაც ბიუჯეტში ხედავენ სახელმწიფო მეურნეობის გეგმას, მათ არ სურთ შეიცნონ, რომ ბიუჯეტის შედგენა და აღსრულება დაქვემდებარებულია კაპიტალიზმის სტიქიურ, არაგეგმურ კანონებს. კაპიტალიზმის პირობებში აღმოცენებული და კაპიტალისტური წარმოებრივი ურთიერთობით შეპირობებული კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია—სახელმწიფო და მისი მეურნეობა არ შეიძლება იყოს გეგმური, რადგან თვით მისი ბაზისი არაგეგმურია, ანარქიულია. აქაც ბურჟუაზიული თეორიები კავშირშია „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ თეორიებთან, რომლებიც, ნაცვლად ახსნისა, ჩქმალავენ სინამდვილეს — კაპიტალისტური სახელმწიფოს ექსპლოატაციურსა და ისტორიულად გარდამავალ ბუნებას.

---

[1] С. Ф. Вебер, Бюджет. Финансовая энциклопедия, 1927, стр. 173.

6) მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბიუჯეტის ბურჟუაზიული თეორიები

4. ბიუჯეტის ეკლექტიკური თეორიები

იმპერიალისტური ეპოქის ბურჟუაზიულ ფინანსისტთა ერთი ჯგუფი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ აყალიბებს ეკლექტიკურ თეორიებს, რომელთა მიხედვით კაპიტალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი აკმაყოფილებს კოლექტიურ მოთხოვნილებებს და წარმოადგენს ფინანსურ გეგმას.

ამ თეორიების თანახმად, თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში ხდება შემოსავალთა გათანაბრება და სამართლიანი განაწილება. აქ საზოგადოების ყველა წევრს თანაბარი შესაძლებლობა ეძლევა ქონება დააგროვოს და შემოსავალი მიიღოს. აქ მუშები აქციების შეძენით საწარმოების თანამფლობელები ხდებიან და კლასობრივ ინტერესთა კოლიზია ისპობა. ეს ფინანსისტები იზიარებენ იმ ეკონომისტთა შეხედულებებს, რომლებიც თანამედროვე კაპიტალიზმს აცხადებენ „სახალხო კაპიტალიზმად", „დემოკრატიულ კაპიტალიზმად". ამგვარად, ისინი მომაკვდავ კაპიტალიზმს პროგრესიულ კაპიტალიზმად სახავენ. ამ ნიადაგზე ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომელიც მონოპოლისტთა და ფინანსური ოლიგარქიის ბატონობის გამტარებელი ორგანიზაციაა, მათ გამოცხადებული აქვთ ზეკლასობრივ ორგანოდ, ხალხის კოლექტიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ან კოლექტიურ მოთხოვნათა შემქმნელ იარაღად, „სახალხო სახელმწიფოდ". ამიტომ, მათი აზრით, სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს კოლექტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას, რომელიც მთელ ხალხს მოემსახურება. ამასთანავე, ვინაიდან ამ „სახალხო სახელმწიფოს" ეკისრება სტიქიურობის დაძლევა და კრიზისების გადალახვა, ამიტომ, მათი შეხედულებით, სახელმწიფო ბიუჯეტს ნამდვილი გეგმის ხასიათი აქვს.

ამ მხრივ შესაძლებელია დავასახელოთ ვულგარიზატორი ფინანსისტი ტიშკა, რომელიც წერს, რომ ნუსხაში, ანუ განწერაში „...გულისხმობენ არა მარტო ბიუჯეტური გეგმის განლაგებას მომავალი სამეურნეო პერიოდისათვის, არამედ ნამდვილად მოპოვებული შემოსავლისა და ფაქტიურად გაწეული ხარჯების მიმოხილვასაც დამთავრებული სამეურნეო პერიოდისათვის. პირველ შემთხვევაში ლაპარაკობენ ბიუჯეტის პროექტზე, ანუ განწერის პროექტზე. რატომღაც დღეს ხშირად იხმარება სიტყვა ნუსხა (Veranschlag) ან მეურ-

ნეობრივი გეგმა (Haushaltsplan)...“ [1]. ამგვარად, სახელმწიფო შემოსავალ-გასავალთა გაბალანსებული ნუსხა არის გეგმა.

მეორე ფინანსისტი ბელა ფოლდესი ბიუჯეტს უწოდებს სახელმწიფო მეურნეობრივ გეგმას, განწერას. ის წერს: „ფინანსური მეცნიერების თვალსაზრისით, ბიუჯეტი ნიშნავს დროის განსაზღვრული პერიოდისათვის, ჩვეულებრივად ერთი წლისათვის მტკიცე სახელმწიფოებრივ გეგმას ან საამისო შემცველ კანონს“ [2].

ამ მხრივ საინტერესოა უახლესი დროის ამერიკელი ფინანსისტების იერლ როლფისა და ჯორჯ ბრიეკის განმარტება ბიუჯეტისა. მათი აზრით, დგება მთავრობის ხარჯთა და შემოსავალთა ყოვლის მომცველი სისტემატური რეესტრი, რაც წარმოადგენს ბიუჯეტურ დოკუმენტს, გეგმას, რომელიც გამოსახავს მთავრობის საქმიანობის ნებისმიერი ქმედითი ძალის გაშლილ პროგრამას [3].

როგორც ვხედავთ, ამ უკანასკნელი დროის ფინანსისტთა შეხედულებაც ბიუჯეტზე არ განსხვავდება ტიშკასა და ფოლდესის შეხედულებებისაგან.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქის ფინანსისტები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ბიუჯეტი უმთავრესად არის ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედების ბერკეტი. ბიუჯეტის საშუალებით შესაძლებელია საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრების დაგეგმვა. ბრიტანელი ეკონომისტის ილერსიკის აზრით, ბიუჯეტი გეგმიანი მეურნეობის კარის გასაღებია.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტზე, როგორც გეგმიანობის იარაღზე, დიდ იმედებს ამყარებენ იმპერიალიზმის ეპოქის პოლიტიკური მოღვაწეები, ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის და ამტკიცებს, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევა ქვეყნის ეკონომიკაში მას მოწესრიგებულ ხასიათს არ აძლევს, პირიქით, წარმოების ანარქიას ამწვავებს. სახელმწიფოს არ ძალუძს კაპიტალისტური წარმოების წესის ობიექტური კანონების შეცვლა, ანარქიის მოხსნა, კრიზისების თავიდან აცილება.

5. ბიუჯეტის საშუალებით კაპიტალისტური ეკონომიკის რეგულირების თეორია

მეორე მსოფლიო ომამდე სახელმწიფო ბიუჯეტის ხვედრითი წონა კაპიტალისტური ქვეყნების ნაციონალურ შემოსავალში შეადგენ-

---

[1] Tyszka, Grundzüge der Finanzwissenschaft, 1923. S. 50.

[2] Béla Földes, Finanzwissenschaft, 1927, Jena, S. 38.

[3] Earl R. Rolph, George F. Break. Public Finance, New York, 1961, p. 11.

და ერთი მეხუთედიდან ერთ მეოთხედამდე, სამოციან წლებში — მესამედს. ხოლო თანდათან კიდევ უფრო იზრდება. ამიტომ ბიუჯეტი ეკუთვნის ეკონომიკის სახელმწიფო სექტორს. სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებში ბიუჯეტის, როგორც მეურნეობაზე ზემოქმედების ბერკეტის როლი იმდენად გაიზარდა, რომ მისი ეკონომიკური შინაარსი უფრო მეტის მომცველია, ვიდრე ამას გამოხატავს სახსრების დროებით მფლობელობა და გადანაწილების ფუნქცია.

სახელმწიფო თანდათან უფრო მეტ მონაწილეობას ღებულობს კაპიტალდაბანდებებში. ამასთანავე გაიზარდა მისი როლი პროდუქტის რეალიზაციასა და მოხმარებაში. სახელმწიფომ მონოპოლიებს შეუქმნა გარანტირებული ბაზარი. ყოველივე ამის გამო სახელმწიფოს შეუძლია გააფართოვოს ან შეკუმშოს მოთხოვნა ინვესტიციურ და სამომხმარებლო საქონელზე. ამით სახელმწიფო ცვლის გადამხდელუნარიანი მოთხოვნინ ხასიათს, რასაც ხშირად შეუძლია გამოიწვიოს ახალი გადამხდელუნარიანი მოთხოვნა. ეკონომიკური კრიზისის პირობებში სახელმწიფოს გადამხდელუნარიან მოთხოვნას შეუძლია გამოიწვიოს უმოქმედო მწარმოებლური სიმძლავრეების გამოყენება და უმუშევრობის შემცირება.

მაგრამ ყოველი ამგვარი რეგულირება მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში იწვევს მწარმოებლურ ძალთა ცალმხრივ განვითარებას, რასაც არ შეუძლია დაღუპვისაგან იხსნას კაპიტალიზმი.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში კაპიტალისტები იძულებული არიან თავიანთი მოგების ნაწილი სახელმწიფოს გადასცენ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისათვის, რადგან ამის გარეშე ისინი ვერ შეძლებენ გაზარდონ საკუთარ საწარმოთა ეფექტური ფუნქციონირება. გარდა ამისა, მშრომელთა კლასის დაწოლის გამო სახელმწიფო აიძულებს კაპიტალისტებს მათი მოგების ერთი ნაწილი მათივე ინტერესებისათვის ბიუჯეტს გადასცენ ხალხის სოციალურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინსმა წამოაყენა შეხედულება, რომლის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით შესაძლებელია კაპიტალისტური ეკონომიკის რეგულირება. მისი აზრით, სახელმწიფოს შეუძლია სამხედრო შეკვეთებზე და სხვადასხვა „საზოგადოებრივ სამუშაოებზე“ ხარჯების გადიდებით შექმნას კაპიტალიზმის სტაბილიზაცია, მოსპოს უმუშევრობა და კრიზისები. იგი ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მოუწოდებს ფინანსური და საკრედიტო ღონისძიებებით აქტიურად იმოქმედოს კაპიტალისტებისა და მუშების ფსიქოლოგიაზე და ჩაუნერგოს მათ კაპიტალისტური წყობის სიმტკიცის რწმენა.

ამგვარად, კეინსის თეორიით, იმპერიალიზმის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ პოლიტიკას, ბიუჯეტს როგორც ფინანსურ გეგმას, როგორც კაპიტალიზმის მარეგულირებელ საშუალებას.

როგორია, მოკლედ, კეინსის თეორიის ძირითადი მომენტები, საიდანაც ეს დასკვნებია გამოტანილი?

მას, თავის შრომაში „დასაქმების, სარგებლის და ფულის საერთო თეორია" განხილული აქვს ისეთი კატეგორიები, როგორიცაა: დასაქმება, მიწოდება, მოთხოვნა, შემოსავალი, დაზოგვა, ინვესტირება. ის, ისევე როგორც ბევრი სხვა ბურჟუაზიული ეკონომისტი, აღიარებს, რომ ფასებში, რომლებიც მყარდება მიწოდებისა და მოთხოვნის საფუძველზე, გამოხატულია კაპიტალისტური საზოგადოების წევრთა წარმოებრივი და მოხმარებითი შეგრძნება, მაგრამ კეინსი უარყოფს ამ შეგრძნების ავტომატური წონასწორობის პრინციპს. ის ფიქრობს, რომ დარღვეული წონასწორობის ცალკეული ელემენტები თავისთავად ვერ მოსწორდება. ამიტომ უარყოფს კაპიტალისტური წარმოებისა და მიმოქცევის ავტომატურ თვითრეგულირებას და მოითხოვს კაპიტალისტური სახელმწიფოს როლის გაძლიერებას კაპიტალისტური ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისათვის.

კეინსი აღნიშნავს, რომ თანამედროვე პირობებში ჩნდება „ეფექტური მოთხოვნის" უკმარისობა. დასაქმების დონე დამოკიდებულია პროდუქციის ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნისაგან. მთავარი მაინც, მისი აზრით, ერთობლივი მოთხოვნაა, რომელიც დასაქმების დონისა და შემოსავლის ოდენობის ერთადერთი განმსაზღვრელია. ერთობლივი მოთხოვნა ჯამია „ორი სიდიდისა — იმისა, რაც დასაქმების მოცემული დონის პირობებში მოხმარებაზე იხარჯება და იმისა, რაც ინვესტირებაზე მიდის" [1]. მისი აზრით, პირად მოხმარებაზე საზოგადოების მიერ დახარჯული თანხის სიდიდე დამოკიდებულია ნაციონალური შემოსავლის სიდიდეზე. ერთობლივი მოთხოვნის არასაკმარისობა ხელს უშლის წარმოების ზრდას.

დასაქმება გაიზრდება ინვესტიციების ზრდასთან ერთად [2]. ინვესტიციების გადიდება გამოიწვევს შემოსავლის ორკეცად გადიდებას და ამ ნიადაგზე დასაქმებასაც.

წარმოების ზრდა და დასაქმება წარმოების საშუალებათა წარმოების დარგში შესაბამისად გაზრდის წარმოებასა და დასაქმებას სა-

---

[1] Дж. М. Кейнс. Общая теория занятости, процента и денег, 1949, стр. 83.

[2] იქვე, გვ. 26.

მომხმარებლო საშუალებათა წარმოების დარგშიც. კეინსი საკითხს განიხილავს მხოლოდ რაოდენობრივი მხრით და ვერ ამჩნევს კანონზომიერებებს, რომლებიც ექვემდებარება ცვალებადობას — კაპიტალის მოძრაობას მუდმივი კაპიტალის შეფარდებაში. მისთვის მიუწვდომელი რჩება მუდმივი კაპიტალის უფრო სწრაფი ზრდა ცვალებადთან შედარებით და კაპიტალის ორგანული შემადგენლობით გამოწვეული მოთხოვნის შემცირება სამუშაო ძალაზე.

კაპიტალიზმის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორიაში მთავარი ადგილი უჭირავს კაპიტალურ დაბანდებებს, მისი სიდიდეც განისაზღვრება მოგებისა და პროცენტის ნორმებით. აქაც კეინსს მხედველობის გარეშე რჩება, რომ მოგება და პროცენტი ერთმანეთს არ უპირისპირდებიან როგორც დამოუკიდებელი ოდენობები და რომ მოგება საზღვრავს პროცენტს.

კეინსის რეალიზაციის თეორია მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში ინვესტიციების სტიმულირების გზით, რაც, მისი აზრით, მოხსნის წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორის. მაგრამ მას ავიწყდება, რომ ინვესტიციების სტიმულირება, წარმოების გაფართოებით აფართოებს დისპროპორციასაც წარმოებასა და მოხმარებას შორის. კეინსი ცდება აგრეთვე იმ მხრივაც, რომ ის ახდენს მატერიალურ დოვლათთა წარმოების ანალიზს და ავრცელებს კაპიტალისტურ წარმოებაზე. ამიტომ მისი შემეცნების გარეშე რჩება კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მის რეგულირებას სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფოს ჩარევა კაპიტალიზმის სამეურნეო ცხოვრებაში არ სპობს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებსა და მის მანკიერ მხარეებს. კეინსის ვულგარულ-აპოლოგეტური თეორია არსებითად მიზნად ისახავს კაპიტალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი გამოიყენოს მონოპოლიების ინტერესების სასარგებლოდ, მშრომელთა ექსპლოატაციის გასაძლიერებლად.

აპოლოგეტმა სტიუარტ ჩეიზმა, რომელმაც თავისი შეხედულება ჩამოაყალიბა კეინსის გავლენით, თანამედროვე კაპიტალიზმს უწოდა „შერეული ეკონომიკა". იგი თანამედროვე კაპიტალისტურ ეკონომიკას სახავს როგორც ახალ თვისებას, რომლის მიხედვით ეკონომიკას კაპიტალისტური ხასიათი აღარ აქვს. აქ, ჩეიზის აზრით, ხდება სახელმწიფო და კერძო მეურნეობის გადახლართვა, იქმნება მეურნეობის სრულიად ახალი ტიპი—სახელმწიფოებრივ-კერძო მეურნეობა. რომლის პირობებში დაძლეულია სტიქიურობა და მეურნეობა მოწესრიგებულ ხასიათს ღებულობს.

ჩეიზმა თავის შრომაში განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო უმუშევრობას, რასაც იგი თვლის თანამედროვე საზოგადოების კი-

ბოდ[1] და საპიროდ მიაჩნია მის წინააღმდეგ ზომების მიღება. ჩეიზის აზრით, ძველი ეკონომისტები ვერ ხედავდნენ კრიზისებისა და უმუშევრობის ნამდვილ მიზეზს და ფიქრობდნენ, რომ ამის მიზეზი რეგულირების სტიქიური მექანიზმია. ჩეიზის მიხედვით, მიზეზი უნდა ვეძიოთ არა ეკონომიკაში, არამედ ადამიანთა ფსიქოლოგიაში. ამიტომ მას კრიზისის მიზეზად მიაჩნია ტრადიციული წარმოდგენები ბაზრის, ფულის, კრედიტის შესახებ, რომლებიც „laisser faire" თეორიას ემყარებოდნენ და ფიქრობდნენ, რომ რეგულირება ხდება ავტომატურად. ჩეიზი მოითხოვს კაპიტალისტური სტიქიის მოწესრიგებას ბურჟუაზიული სახელმწიფოს საშუალებით. ამის მაგალითს გვაძლევს, მისი აზრით, ომის პერიოდი, როდესაც ყველაფერი მოწესრიგებული იყო სახელმწიფოს მიერ. „ამერიკის ეკონომიკა თანდათან უახლოვდება იმას, რომ გეგმიანი გახდეს მთლიანად"[2]. შერეული ეკონომიკის პირობებში კერძო მეწარმის თავისუფალი მოქმედების პრინციპი და სახელმწიფო რეგულირების პრინციპი ერთმანეთშია შერეული.

კრიზისებისა და უმუშევრობის მიზეზად ჩეიზს მიაჩნია არასაკმარისი მოხმარება. სახელმწიფომ ყოველგვარი ფორმით უნდა შეუწყოს ხელი მოხმარების გაფართოებას, ამისათვის უნდა გამოიყენოს სამხედრო მოხმარებაც. ჩეიზი წერს: „ეკონომისტთა უმრავლესობა ასლა იმ აზრისაა, რომ შესაძლებელია კრიზისებისა და მასობრივ ქრონიკული უმუშევრობის თავიდან აცილება, თუ ვინმე იმდენს დახარჯავს, რომ ყველა მიიღებს სამუშაოს, სულ ერთია, ეს იქნება ხარჯები სასიკვდილო იარაღის წარმოებაზე, დიდი ტბების ამოშრობაზე, კათედრალური ტაძრის აგებასა თუ ასაკგადასულთა პენსიებზე — ოღონდ იმდენი დაიხარჯოს, რომ ნამდვილად მიეცეს სამუშაო ყველა შრომისუნარიან ადამიანს"[3]. ჩეიზი ომში ხედავს მოთხოვნილების გადიდების გზას. იგი წერს: „ომის გაკვეთილებიდან ბუნებრივი გამოსავალია, რომ ომისშემდგომი კრიზისის ყოველგვარი საფრთხე შესაძლებელია თავიდან აცილებულ იქნეს საზოგადოებრივ სამუშაოებზე სახელმწიფო ხარჯების საშუალებით"[4]. ამნაირად, ჩეიზი კაპიტალიზმის გადარჩენას ამყარებს სახელმწიფო ბიუჯეტზე. მაგრამ ყოველივე ეს ხომ საბოლოოდ ნიშნავს საგადასახადო სიმძიმის მშრომელებზე დაკისრებას, ანუ, საბოლოოდ, მათი გადამხდელუნარიანი მოთხოვნის შემცირებას.

---

[1] Stuart Chase, Goals for America, New York, p. 11.

[2] იქვე. გვ. 32.

[3] იქვე. გვ. 100.

[4] იქვე.

ამერიკელი კეინსიანელი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ე. ჰანსენი მოითხოვს სამხედრო ასიგნობების გადიდებას[1]. ის სახელმწიფოს ურჩევს არ შეამოკლოს სამხედრო მრეწველობა, ხელი შეუწყოს ამერიკის ექსპორტს სხვა ქვეყნებისათვის კრედიტების მიწოდებით[2]. ის აღიარებს ექსპორტის აუცილებლობას ამერიკის კაპიტალისათვის და ასაბუთებს, რომ უამრავ კაპიტალს, რომელიც ქვეყნის შიგნით ვერ გამოიყენება, უნდა მიეცეს გასავალი სხვა ქვეყნებში. ამ ქვეყნებს უნდა მიეცეს კრედიტი სავალდებულო პირობით, რომ შეიძენენ ამერიკულ საქონელს.

ჰანსენი წერს, რომ დასაქმების სრული უზრუნველყოფისათვის სახელმწიფომ რაიმე უნდა გააკეთოს არა მარტო იმიტომ, რომ გააბალანსოს ციკლი, არამედ იმიტომაც, რომ გაზარდოს ეფექტური მოთხოვნის საერთო მოცულობა. წარმოებრივი სიძლიერის სრული გამოყენება აუცილებლობით მოითხოვს დიდ სახელმწიფოებრივ ხარჯებს.

ჰანსენის მიზანია კეინსის „რეგულირებადი კაპიტალიზმის" თეორიის საფუძველზე გამოძებნოს საშუალებები განადგურებული ციკლური კრიზისების მოსასპობად. ჰანსენი დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს ეკონომიკური ზრდის პროცესში. მას ციკლური კრიზისების მოსპობის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიაჩნია ბიუჯეტური ხარჯები.

ჰანსენის აზრით, „სახელმწიფო ხარჯები და კერძო ავტონომიური ინვესტიციები წარმოადგენენ ნაციონალური შემოსავლის გაფართოებისა და შემოკლების ყველაზე მნიშვნელოვან და დინამიკურ ფაქტორებს[3].

ჰანსენი შემოსავალზე სახელმწიფო ხარჯების ზეგავლენის ფორმების მიხედვით არჩევს სახელმწიფო ხარჯებს, რომლებიც სესხებით იფარება, და სახელმწიფო ხარჯებს, რომლებიც გადასახადებით იფარება.

ჰანსენის კონცეფციის მცდარობა მდგომარეობს იმაში, რომ გადასახადების ანგარიშით დაფარული სახელმწიფო ხარჯები თითქოს იწვევს ნაციონალური შემოსავლის ზრდას, ისევე როგორც ეს შესაძლებელია წარმოების გაფართოებით. როდესაც სახელმწიფო საზოგა-

---

[1] Alvin Hansen, Fiscal Policy and Business Cycles, 1941.

[2] Alvin Hansen, Economic Policy and Full Employment.

[3] Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, 1959, стр. 268.

დოებრივ სამუშაოებს აწყობს ან მომსახურებას ეწევა გადასახადების ანგარიშით. ამით სახელმწიფო „დამატებით“ შემოსავალს კი არ იხდის, არამედ პირველადი შემოსაველის გადანაწილებას ახდენს. გადასახადების გზით აკრეფილი ეს გადანაწილებული შემოსავალი არ წარმოადგენს „შემოსავალთა ნაკადის დამატებას“, ვინაიდან სახელმწიფომ იგი უკვე გამოაკლო პირველად შემოსავალს მანამ, სანამ ჭაბუშებსა და მოსამსახურეებს გადაუხდიდა. ამის გამო სახელმწიფო მონოპოლისტურ განაწილებას, რომელიც ასე თუ ისე გავლენას ახდენს ციკლის მსვლელობაზე, კრიზისების მოსპობა არ შეუძლია.

ამგვარად, ყოვლად უსაფუძვლოა ჰანსენის ვულგარული ანტიკრიზისული თეორია ბიუჯეტისა. შეუძლებელია კაპიტალიზმმა სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით თავიდან აიცილოს კრიზისები.

ჰანსენის აზრით, სრულებით არ არის საჭირო ბიუჯეტის ყოველწლიური გაბალანსება. ბიუჯეტი შესაძლებელია ბალანსდებოდეს სამრეწველო ციკლის პერიოდში. ამიტომ, მისი აზრით, სახელმწიფო ბარჯების ეკონომია და ბიუჯეტური წონასწორობა აუცილებელი არ არის.

ჰანსენის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ეს თეორია დაკავშირებულია სამხედრო ეკონომიკის თეორიასთან და იგი ამართლებს გამალებულ შეიარაღებას.

ბიუჯეტური უწონასწორობის, ანუ ციკლური ბიუჯეტის თეორიას აყენებს აგრეთვე ფრანგი ეკონომისტი ეკ. ლაუფენბურგერი. მისი აზრით, მეურნეობრივი გამოცოცხლების პერიოდში ბიუჯეტს უჩნდება ნაჭარბი, ხოლო კრიზისის პერიოდში — დანაკლისი. ამიტომ ლაუფენბურგერი სახელმწიფოს ურჩევს სახსრები დააგროვოს გამოცოცხლების პერიოდში და გამოიყენოს კრიზისის პერიოდში. ამგვარად, ბიუჯეტის ყოველწლიური უწონასწორობა საშიში არ არის. ბიუჯეტის გაბალანსება შესაძლებელია ციკლის მთელი პერიოდისათვის. ლაუფენბურგერი წერს: „ციკლური ბიუჯეტი ცდილობს წონასწორობის ცნება გამოიტანოს სამოქალაქო წლის მეტად ვიწრო ჩარჩოებიდან და გადაიტანოს იგი ეკონომიკური ციკლის უფრო ფართო პერიოდზე“ [1].

ეს თეორია, რომელიც ბიუჯეტურ დეფიციტს თვლის ნორმალურ მოვლენად, „ნორმალურ ფინანსურ პოლიტიკად“, ემსახურება მონოპოლისტთა კლასის ინტერესებს, ომის გამჩაღებლებს. იგი ამავე დროს ჩქმალავს კაპიტალიზმის მანკიერ მხარეებს, რადგან, როგორც

---

[1] Henry Laufenburger, Du Traité d'économie et de législation financière, Ed. 3, 1948, p. 184, 221.

უკვე აღვნიშნეთ, ბიუჯეტი უნდა დგებოდეს ბალანსის სახით, შემოსავალს და ხარჯებს შორის დაცული უნდა იყოს წონასწორობა. მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში ყოველივე ეს ხდება ფორმალურად. არსებითია, რომ ბიუჯეტი ბალანსური იყოს აღსრულების პროცესში და აღსრულების შემდეგ, რაც კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პირობებში ძნელად განსახორციელებელია; ამიტომაც იმპერიალიზმის ეპოქაში ბიუჯეტები ქრონიკული დეფიციტის ვითარებაში მიმდინარეობენ.

კ. მარქსი წერდა, რომ თითოეულ ბიუჯეტში ძირითად საკითხს წარმოადგენს მისი საშემოსავლო და საგასავლო ნაწილების შეფარდება, ხოლო ბალანსი გარდამეტისა ან დეფიციტის სახით საზღვრავს საერთო მდგომარეობას და აპირობებს ქვეყნის დაბეგვრის გაძლიერებას ან შესუსტებას [1].

დეფიციტური ბიუჯეტის მომხრედ გამოდის კოლუმბიის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი ჯონ მორის კლარკი. კლარკის მიერ წარმოდგენილ ციკლის თეორიაში მთავარი ადგილი უჭირავს საზოგადოების ფულადი შემოსავლის საკითხს. მისი მტკიცებით, შემოსავალი და ღირებულება იქმნება მიმოქცევის სფეროში. საზოგადოებრივ შემოსავალს საზოგადოებრივი ხარჯები აპირობებს, ამიტომ ის დიდ ყურადღებას უთმობს ამ უკანასკნელს; ვინაიდან ინდივიდები თავისუფლად განაგებენ თავიანთ შემოსავალს, მათ შეუძლიათ ნებისმიერად გაზარდონ ან შეამცირონ ხარჯები, რაც იწვევს რხევადობას საზოგადოებრივ ხარჯებში; ამას თან ერთვის კრედიტის მოქმედებაც და იქმნება ციკლური რხევადობა. კლარკი კრიზისს ხსნის გაუბრალოებულად. მისი აზრით, იგი წარმოდგება იქიდან, რომ გაყიდვა არ შეივსება ყიდვით, რადგან ინდივიდს შეუძლია იმდენი დახარჯოს, რამდენიც სურს. კლარკი გამოვლინებას მიიჩნევს არსად და ამიტომ გვერდს უვლის კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, რომელთა საფუძველზეც იქმნება კრიზისები.

კლარკი ფიქრობს, რომ „იდეალური ბალანსი", ე. ი. კერძო სამომხმარებლო ხარჯებსა და კერძო კაპიტალურ დანახარჯებს შორის თანაფარდობა, ავტომატურად არ შეიქმნება. საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა. „თუ კერძო ხარჯები საკმარისი არ არის — მაშინ ყველაზე ცხადსა და მარტივ მეთოდს წარმოადგენს დანაკლისის შევსება სახელმწიფო ხარჯების გადიდებით [2].

კლარკი განიხილავს ბიუჯეტური დაფინანსების ორ სახეობას —

---

[1] K. Marx, F. Engels, Werke, Bd. 9, S. 58.
[2] J. M. Clark, Guideposts in Time of Change, p. 105.

— გადასახადებსა და სესხებს. მისი აზრით, გადასახადები მიყვანილი უნდა იქნეს საზღვრამდე, მაგრამ პოტენციურ ინვესტორს არ უნდა დააწვეს მძიმე ტვირთად, რადგან შემცირდება ერთობლივი ხარჯები.

როდესაც გადასახადები საზღვრამდე მივა, ბიუჯეტური ხარჯების გასადიდებლად გამოყენებულ უნდა იქნეს სახელმწიფო სესხები. კლარკი იმედოვნებს, რომ გაიზრდება ნაციონალური შემოსავალი, რაც სახელმწიფო ვალის გადიდების შესაძლებლობას შექმნის და, ამ-გვარად, სახელმწიფოს საშუალებით მიღწეულ იქნება იდეალური ბალანსი. აქ კლარკის თეორია ბიუჯეტური დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის შესახებ მოჯადოებულ წრეში ტრიალებს. იდეალური ბალანსის შესანარჩუნებლად საჭიროა ყოველწლიურად გაიზარდოს ბიუჯეტში დეფიციტი და სახელმწიფო ვალი. მაგრამ იგი ივიწყებს, რომ სახელმწიფო სესხები გადასახადებით (ფარება ღ, მაშასადამე, გადასახადების გადიდებას მოითხოვს. გადასახადების გადიდება მშრომელთა ექსპლოატაციას ზრდის და საერთო მოხმარებას ამცირებს, ერთობლივ ხარჯებს კუმშავს. ამიტომ ამ გზით შეუძლებელია უმუშევრობის შემცირება და კრიზისების მოსპობა.

ასევე უსუსურია ინგლისელი ეკონომისტის ჰაროდის თეორია, რომლის მიხედვით რხევადობის ტენდენციებისადმი დაპირისპირების უნარიანობა თვით წარმოების ზრდიდან გამომდინარეობს. ეკონომიკის რეგულირებისათვის, „წარმოების ზრდისათვის საჭიროა კრედიტის გაიაფება და სახელმწიფო ხარჯების გადიდება[1]. ეს ვულგარული შეხედულებაც ბიუჯეტს მიიჩნევს კრიზისების გადასალახავ საშუალებად, როგორც ციკლურ ბიუჯეტს, რომელიც სახელმწიფო ხარჯების გადიდებით ზრდის ერთობლივ ხარჯებს და აფართოებს წარმოებას. აქ წარმოება თვითონ ქმნის თავის ბაზარს კაპიტალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე.

ამერიკელმა ეკონომისტმა ჯეიმს მაქსვილმა თავის შრომაში[2] გამოთქვა შეხედულება, რომლის მიხედვით ნაციონალურ შემოსავალში დეპრესიის პერიოდში უფრო მეტი უნდა იყოს სახელმწიფო შემოსავლის წილი, ხოლო ამაღლების პერიოდში უნდა იზრდებოდეს კერძო შემოსავლის წილი.

მისი აზრით, ნაციონალურ შემოსავალში სახელმწიფო შემოსავ-

---

[1] R. F. Harrod, Economic Essays. p. 275—276.

[2] James A. Maxwell, Fiscal Policy, Its Techniques and institutional Seting. New York. 1955, p. 10[illegible].

ლის წილის ზრდა ასრულებს სტაბილიზატორის როლს. ბიუჯეტს შეუძლია თავიდან ააცილოს სახელმწიფოს კაპიტალიზმის ციკლის ყველა უკუღმართობა. იგი ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ემყარება საგადასახადო მექანიზმს.

პირობითი ციფრები, რომლებიც მოაქვს მაკსვილს, მეტისმეტად განყენებულია და რეალურ სინამდვილეს მოწყვეტილი. ყოვლად დაუსაბუთებელია ის აზრი, რომ ეკონომიკის მილიტარიზაცია კაპიტალიზმს იხსნის კრიზისებისაგან, რადგან იგი თვითონ ახდენს დიდ გავლენას ციკლსა და კრიზისებზე.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შემუშავებული უკანასკნელი დროის კონცეფციები

ა) ბიუჯეტის ციკლური მოსწორების თეორია

ჯონ კეინსის თეორიაზე დამყარებით შეიმუშავეს ბიუჯეტის ციკლური მოსწორების (zyklischen Budgetausgleich, cyclical Budgeting, budget ciclique)[1] კონცეფცია. ამ უკანასკნელის თანახმად, ბიუჯეტური პოლიტიკა უნდა ემსახუროს ძირითადად არა ფისკალურ მიზნებს, არამედ უნდა იკისროს საერთოდ ეკონომიკური ფუნქცია: უნდა შეამციროს კონიუნქტურული რყევადობა და გაზარდოს დასაქმების დონე. ამასთანავე საჭირო არ არის ბიუჯეტის ყოველწლიური მოსწორება. ბიუჯეტის მოსწორება უნდა ხდებოდეს განსაზღვრულ პერიოდში და არა ყოველწლიურად. ამგვარად, ამ კონცეფციის მომხრენი ციკლის ფარგლებში მაინც მოითხოვენ ბიუჯეტის გაბალანსებას.

ბ) მაკომპენსირებელი ბიუჯეტის თეორია

მაკომპენსირებელი ბიუჯეტის (Kompensatorisches Budget, compensatory budgeting)[2] თეორია, ამ შეხედულების თანახმად, ემყარება წმინდა დეფიციტურ დაფინანსებას.

თანამედროვე გაფართოებული კაპიტალისტური აღწარმოება მოითხოვს მუდმივ დეფიციტს. ასე რომ, ბიუჯეტის მოსწორება აუცილებელი არ არის არც ციკლის ფარგლებში. საესებით ზედმეტია ბიუჯეტური გაბალანსება. წონასწორობა უნდა იქნეს მიღწეული არა

---

[1] F. Neumark, Grundzüge der Lehren vom zyklischen, kompensatorischen und stabilisierenden Budgetausgleich (Handbuch der Finanzwissenschaft, Erst. Band, 1952, S. 637).

[2] იქვე, გვ. 638.

ბიუჯეტის, არამედ მთელი მეურნეობის მასშტაბით. კერძო მეურნეობის ეფექტური მოთხოვნის უკმარისობისას სახელმწიფომ უნდა გააკეთოს კომპენსირება დეფიციტური ბიუჯეტის დაფინანსებით, რაც აუცილებლობით დაკავშირებულია თანამედროვე პერიოდის ქრონიკულ სტრუქტურულ კრიზისთან.

ბ) მასტაბილიზებელი ბიუჯეტური პოლიტიკა

მასტაბილიზებელი ბიუჯეტური პოლიტიკის (stabilisierende Budgetpolitik, stabilizing buudget policy)[1] კონცეფცია უარყოფს მაკომპენსირებელი ბიუჯეტის შეხედულებას და ბიუჯეტის ციკლური მოსწორების თეორიას ათანხმებს ბიუჯეტის სავალდებულო დაფარვის „კლასიკურ" თეორიასთან. ეს შეხედულება ემყარება მასტაბილიზებელი მოქმედების ავტომატიზმს. ამ კონცეფციის წარმომადგენელთა აზრით, მაღალი კონიუნქტურის პირობებში მტკიცე პროგრესული განაკვეთებით მიღებული გადასახადური შემოსავალი ქმნის შესაძლებლობას დაიფაროს სახელმწიფო ვალი, რომელიც აღებულია ბიუჯეტური დეფიციტის პირობებში.

სამივე ეს თეორია უსაფუძვლოა, მეცნიერულად გაუმართლებელი, რადგან მხედველობის გარეშე ტოვებს კაპიტალისტური წარმოების წესის ობიექტურ კანონზომიერებებს, არ ითვალისწინებს იმას, რომ სახელმწიფო ფინანსებს არ შეუძლია დაძლიოს წინააღმდეგობანი წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კაპიტალისტურ ფორმას შორის.

ამგვარად, თანამედროვე ეკონომისტთა შეხედულებები ბიუჯეტის შესახებ დაკავშირებულია იმ ღონისძიებებთან, რომლებსაც ისინი იმუშავებენ მოკვდავი კაპიტალიზმის გადასარჩენად ან მისი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. კაპიტალისტური წინააღმდეგობებით გამოწვეული კრიზისებისა და უმუშევრობის მოსასპობად ისინი აყენებენ კოლექტიური მოთხოვნის გაზრდას, რაც შესაძლებელია მიღწეულ იქნეს უმუშევართა დასაქმებით. ამისათვის უნდა ეწყობოდეს საზოგადოებრივი სამუშაოები სახელმწიფოს ხარჯზე იმის მიუხედავად, თუ რა სახის და რამდენად საზოგადოებრივად სასარგებლო იქნება იგი; უნდა იზრდებოდეს ბიუჯეტური ხარჯები. ამით არის გაპირობებული კაპიტალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტის როლი და სხვადასხვა შეხედულებათა შემუშავება სახელმწიფო ბიუჯეტზე, როგორც საშუალებაზე, რომლითაც ბურჟუაზიულ სა-

[1] იქვე, გვ. 639.

ხელმწიფოს შეუძლია სამეურნეო ცხოვრებაში ჩარევა კაპიტალიზმის რეგულირებისათვის, მისი სტიქიურობის მოსაწესრიგებლად, მისთვის გეგმიანი ხასიათის მისაცემად. ბიუჯეტის ეს ვულგარული თეორიები გამოხატავენ კაპიტალიზმის აპოლოგეტიკას; ისინი ცდილობენ მიჩქმალონ კაპიტალისტური წინააღმდეგობანი, გაამართლონ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მილიტარისტული ზრახვები, გამალებული შეიარაღების ხარჯები, მონოპოლისტთა მაღალი მოგება და ფართო მასების ექსპლოატაციის გაძლიერება.

თავი მეთერთმეტე

ადგილობრივი ფინანსები

I. ადგილობრივი ფინანსების არსი

1. ადგილობრივი ფინანსების ცნება

სახელმწიფოსთან ერთად არსებობს აგრეთვე ისეთი კავშირები, რომლებიც სახელმწიფოზე მაღლა დგანან. ეს არის კავშირები, რომლებიც აერთიანებენ სახელმწიფოებს რთულ სახელმწიფოებად, ფედერაციულ სახელმწიფოებად და სხვ. მეორე მხრივ არსებობს ისეთი კავშირები, რომლებიც სახელმწიფოზე დაბლა დგანან ან შუალედურ კოლექტიურ ორგანოებს წარმოადგენენ, მაგალითად, თემი, პროვინცია, დეპარტამენტი, საგრაფო ქალაქი, მაზრა, რაიონი და სხვ.

ასეთი კავშირები აერთიანებენ მცხოვრებლებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, როგორიც არის ტერიტორია, მატერიალური ინტერესების ერთიანობა, წოდებრივი ან კორპორაციული ინტერესები და სხვ.

ადგილობრივი ფინანსები მოიცავს მეორეგვარი კავშირების ფინანსებს.

ადგილობრივი ფინანსების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტები. ადგილობრივი ფინანსები შეიცავს აგრეთვე სხვადასხვა ფონდებსაც, რომლებიც იქმნება და იხარჯება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კონტროლით. ასეთებია: დაზღვევის ფონდები, საპენსიო ფონდები, ურთიერთდახმარების სხვადასხვა ფონდები. ეს ფონდები შექმნილია მშრომელთა და მეწარმეთა შენატანებით.

სახელმწიფოსთან შედარებით თემები უფრო ადრინდელი საზოგადოებრივი არსებობის ფორმაა. ისინი ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციისათვის შესაფერისი ფორმით არსებობდნენ კაპიტალიზმამდელ სახელმწიფოებშიც როგორც ადგილობრივი მმართველობის აპარატი. დღეს ყველა სახელმწიფოში არსებობს სხვადასხვა სახის

კავშირები. რომელთა რიცხვი მრავლდება. მათი პოლიტიკური და მეურნეობრივი მნიშვნელობა სწრაფად იზრდება, საქმიანობა ფართოვდება და მრავალმხრივი ხდება. ამ კავშირებს დაეკისრა მრავალი ფუნქცია, ისეთიც კი, როგორიც არის პოლიცია, სასამართლო და სხვ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ადგილობრივი ფინანსების საკითხების შესწავლა დაიწყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ადგილობრივი ფინანსების საკითხები გერმანიაში თავის შრომებში წამოაყენეს ფაუშერმა[1] და რუდოლფ გნეისტმა[2]. უპფენბახმა[3] პირველმა დააყენა საკითხი გაფართოებულიყო ფინანსური მეცნიერების საგანი ადგილობრივი ფინანსებით და თავისი ფინანსური მეცნიერების კურსში შეიტანა ადგილობრივი ფინანსები. შემდეგ ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს მას ად. ვაგნერმა[4], ლორენც ფონ შტეინმა[5] და სხვ. მათი აზრით, ფინანსური მეცნიერების საგანი მოიცავს ადგილობრივ ფინანსებსაც.

ლორენც ფონ შტეინმა თავის სახელმძღვანელოს დაუმატა სპეციალური განყოფილება ადგილობრივი ფინანსების შესახებ.

ად. ვაგნერმა მოითხოვა, რომ თუ დღევანდლამდე ფინანსური მეცნიერება სწავლობდა სახელმწიფოს ფინანსურ მეურნეობას, ამიერიდან მან უნდა შეისწავლოს ყველა იძულებითი მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების — თემების, მაზრების და პროვინციების ფინანსები. ამის შემდეგ ბურჟუაზიული ფინანსისტების დიდი ნაწილი ფინანსური მეცნიერების შესწავლის საგანს არ შემოფარგლავს მხოლოდ სახელმწიფო მეურნეობით და მასში შეაქვს საჯარო კორპორაციების. კავშირების, თემების, ოლქების, პროვინციებისა და მოკავშირე სახელმწიფოების ფინანსები.

ვ. ი. ლენინის აზრით, კაპიტალიზმის პირობებში, თვითმმართველობაც ისევე ბურჟუაზიულია, როგორც სახელმწიფოებრივი წყობილება და მასშიც ისევე ვლინდება კლასთა ბრძოლა, როგორც დასავლეთ ევროპის მუნიციპალიტეტებში.

ვ. ი. ლენინის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ხარჯები კაპიტალისტური სახელმწიფოსათვის მეორეხარისხოვანი საგანია,... ადგილობრივი თვითმმართველობათა ხარჯების დიდი პროცენტი მეორეხარისხოვანი ხარჯების დიდი წილია... ადგილობრივ

[1] Vauscher, Vierteljahrschrift für Volkswirtschaft; მისივე, Staats- und Gemeindebudget.

[2] R. Gneist, Geschichte und heutige Gestalt englischen Kommunalverfassung oder Selfgovernment. 1863.

[3] Umpfenbach, Lehrbuch der Finanzwissenschaft, 1860.

[4] A. Wagner, Die Kommunalsteuerfrage, 1877.

[5] Lorenz Stein, Lehrbuch der Finanzwissenschaft, 1885.

თვითმმართველობათა უწყების ჩარჩოებს და მათ ფინანსურ უფლებამოსილებას განსაზღვრავს იგივე ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება და განსაზღვრავს ისე, რომ არმიისა და სხვათა საჭიროებაზე იღებს დიდ თანხებს, „კულტურისათვის“ კი გროშებს იძლევა. სავალდებულოა თუ არა ასეთი განაწილება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში? სავალდებულოა, რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბურჟუაზია ვერ იბატონებდა, რომ თავისი როგორც კლასის ბატონობის უზრუნველსაყოფად დიდ თანხებს არ ხარჯავდეს. ხოლო „კულტურისათვის“ კი გროშებს არ ტოვებდეს [1].

ერობებს მეფის თვითმპყრობელობა ზღუდავდა. ასე მაგალითად, 1866 წლის 21 ნოემბრის კანონმა შეზღუდა ერობათა უფლება შეეწერათ გადასახადები სავაჭრო და სამრეწველო საწარმოებისათვის [2].

საერობო მოსაკრებლები მეფის რუსეთში მეტად არათანაბარზომიერი იყო. ამ არათანაბარზომიერების მთელი სიმძიმე აწვა გლეხებსა და მუშებს და არა — მრეწველებს. გლეხები იხდიდნენ 45 ნახევარმილიონ მანეთს, მემამულეები — 24 ნახევარმილიონ მანეთს [3].

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ადგილობრივი ფინანსები ისევე არაგეგმურია, როგორც სახელმწიფო ფინანსები. ერთი მხრივ, ადგილობრივი ბიუჯეტები სახელმწიფო ბიუჯეტებიდან გამოყოფილია. მეორე მხრივ, კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლია დიდი დამოუკიდებლობა მიანიჭოს ადგილობრივ თვითმმართველობას.

ადგილობრივი ფინანსები მჭიდრო დამოკიდებულებაშია ადგილობრივი კავშირის, გაერთიანების გვარეობასთან, სხვანაირად იმასთან, თუ რას წარმოადგენს ეს კავშირი — ერობას, მრევლს, სოფლის საზოგადოებას თუ ქალაქს. თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებულობა გააჩნია, რაც ერთგვარად აპირობებს მათი ფინანსების ხასიათს.

2. ცალკეულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ადგილობრივი ფინანსების ორგანიზაცია

ა) ამერიკის შეერთებული შტატების ადგილობრივი ფინანსები

აშშ არის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც შედგება 50 შტატისაგან.

---

[1] ვ. ლენინი, ს.-დ. აგრარული პროგრამა რუსეთის პირველ რევოლუციაში, თხზ., ტ. 13, 1950, გვ. 425.

[2] ვ. ი. ლენინი, ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის პანიბალები, თხზ., ტ. 5, 1956, გვ. 44.

[3] ვ. ი. ლენინი, ვაჭრული ანგარიშები, თხზ., ტ. 19, გვ. 46.

შტატები იყოფა საგრაფოებად, საქალაქო თვითმმართველობებად, ტაუნშიპებად და ტაუნებად.

შტატებს აქვთ საკუთარი კანონმდებლობა, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. მათ ასევე შესაფერისი უფლებები აქვთ ფინანსების დარგშიც. შტატებს აქვთ თავიანთი ფინანსური აპარატი. ფინანსურ საქმიანობას ახორციელებს ფინანსური დეპარტამენტი. შტატებს შეუძლიათ ცენტრალურ ორგანოებთან შეუთანხმებლად შემოიღონ ან გააუქმონ გადასახადები, აიღონ სესხი ან გამოიყენონ თავიანთი სახსრები.

თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ საგრაფოს საბჭოები, ქალაქებში — საბჭოები და მერები, ტაუნშიპებში და ტაუნებში — საბჭოები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შტატებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებს აფინანსებენ შემოსავალთა საკუთარი სახსრებით, ფედერალური ბიუჯეტისა და შესაბამისი შტატის ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

შტატის გადასახადური შემოსავლის ძირითადი წყარო არის არაპირდაპირი გადასახადები. ადგილობრივი ორგანოებისა კი — პირდაპირი გადასახადები. მისი შემოსავალია აგრეთვე საზოგადოებრივი საკუთრების გაყიდვის ან ექსპლოატაციის შემოსავალი.

ადგილობრივი ბიუჯეტების არაგადასახადურ წყაროებს ძირითადად წარმოადგენს კომუნალური საწარმოებისა და ენერგეტიკის მეურნეობის შემოსავალი.

ფედერალური სუბსიდიების დიდ ნაწილს ღებულობენ შტატები და აძლევენ ადგილობრივ ორგანოებს. ვალი უფრო მეტი აქვთ ადგილობრივ ორგანოებს, ვიდრე შტატებს.

საგრაფოების, ტაუნშიპების, ტაუნების და სასკოლო ოკრუგების ადგილობრივი ბიუჯეტების მთავარი გადასახადური წყარო არის ქონების გადასახადი. ეს მტკიცე შემოსავალს აძლევს მათ, ვინაიდან უძრავი ქონება ნაკლებად მობილურია და გადამალვაც ძნელია.

ადგილობრივი ორგანოები იღებენ აგრეთვე მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადს.

შტატებში გავრცელდა მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადები.

გარდა ამისა, შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტები ღებულობენ დახმარებას ფედერალური სახელმწიფოსაგან სუბსიდიების სახით.

შტატები და ადგილობრივი ორგანოები სუბსიდიებს და ანა-

რიცხებს ღებულობენ ფედერალური ორგანოებისაგან. ასეთსავე ფინანსურ დახმარებას ღებულობენ ადგილობრივი ორგანოები შტატებისაგან.

შტატებსა და ადგილობრივ ორგანოებს სესხის გამოშვება შეუძლიათ მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოებთან შეთანხმებით.

ბ) ინგლისის ადგილობრივი ფინანსები

ინგლისში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები იყო: მრევლი, კავშირი, ოლქი, საგრაფო, ქალაქი და სპეციალური მიზნით შექმნილი კავშირი. ადგილობრივი ორგანოები იყო სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოებიც; მათი დამოკიდებულება ცენტრალური მმართველობისაგან თანდათან იზრდებოდა. ცენტრალური მმართველობა ნიშნავდა ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს. ადგილობრივი ორგანოები ასრულებდნენ ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებსაც, ინახავდნენ პოლიციას, სასამართლოს და სამხედრო თავდაცვასაც ეწეოდნენ.

დღეს ინგლისი ან როგორც სხვანაირად უწოდებენ — დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მხრივ დაყოფილია შემდეგნაირად: 1) ინგლისი და უელსი, 2) შოტლანდია, 3) ჩრდილოეთი ირლანდია, 4) კუნძული მენი და ნორმანდიის კუნძულები. დიდი ბრიტანეთის ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 87%; ეს არის ინგლისი და უელსი. თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულს თავისი სისტემა აქვს. ინგლისი და უელსი გაყოფილია 62 ადმინისტრაციულ საგრაფოდ და 83 საგრაფო-საქალაქო ტერიტორიად.

საგრაფო-საქალაქო ტერიტორია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული. ის ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას. მას სათავეში უდგას მუნიციპალიტეტი — საგრაფო-საქალაქო ტერიტორიის საბჭო.

საგრაფოებს განაგებს საგრაფოების არჩევითი საბჭოები. საგრაფო შედგება საგრაფოს ოკრუგებისაგან. ეს არის მუნიციპალური ქალაქები, საქალაქო ოკრუგები და სასოფლო ოკრუგები.

ინგლისსა და უელსში არის 318 მუნიციპალური ქალაქი, 562 საქალაქო ოკრუგი, 475 სასოფლო ოკრუგი და 11 100 მრევლი.

ლონდონის საგრაფოში არის განსაკუთრებული რაიონი სიტი (ეს არის ქვეყნის ფინანსური ცენტრი) და 28 მუნიციპალური რაიონი.

რამდენადმე განსხვავდება შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ადმინისტრაციული მოწყობილობა.

ინგლისში ადგილობრივი მნიშვნელობის პირველი გადასახადი იყო გადასახადი ღარიბთა სასარგებლოდ. მას ახდევინებდნენ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნდათ გადახდის ხილული უნარიანობა. გადახდევინების უმთავრესი საფუძველი იყო მიწა, სახლი ან სხვა რაიმე ქონება. გადასახადს ჰქონდა მიზნობრივი ხასიათი — ღარიბთა დახმარება. შემდეგ შემოიღეს გადასახადები: საგზაო, სასკოლო, საავადმყოფოს შესანახად და აგრეთვე ადგილობრივი პოლიციის, განათების, წვიმის თხრილებისა და სხვ. ზოგიერთი ეს გადასახადი შეუერთეს ღარიბთა სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადს. ინგლისის ადგილობრივი დაბეგვრის სისტემის დამახასიათებელი იყო მიზნობრივი გადასახადები.

დღეს ადგილობრივი ორგანოების შემოსავალია სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების გადასახადები, სესხი, აგრეთვე საბინაო მეურნეობის ექსპლოატაციიდან მიღებული შემოსულობა.

გარდა ამისა, სახელმწიფო ადგილობრივ ფინანსებს ეხმარება სუბვენციისა და დოტაციის სახით. თუ დახმარებას განსაზღვრული დანიშნულება აქვს, უწოდებენ სუბვენციას; თუ დახმარება განსაზღვრული მიზნის გარეშეა, უწოდებენ დოტაციას.

ბ) საფრანგეთის ადგილობრივი ფინანსები

ადგილობრივი ფინანსების ორგანიზაციის ფ რ ა ნ გ უ ლ ი ტ ი პ ი ს დამახასიათებელია ის, რომ იქ მმართველობის დიდი ცენტრალიზაციაა და ადგილობრივი ფინანსები საერთო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სრულ დამოკიდებულებაშია.

თვითმმართველობის ორგანოები კრეფდნენ სახელმწიფო გადასახადების ზევით დამატებით გადასახადებს. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ განსაკუთრებული გადასახადი ოკტროა — საშიშკრო გადასახადი. ამ გადასახადს ახდევინებდნენ მოხმარების თემში ან ქალაქში პროდუქტების შემოზიდვაზე.

დღეს მთელი ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი დაყოფილია 90 დეპარტამენტად და 37983 კომუნად. კომუნებს აქვთ თავიანთი თვითმმართველობის ორგანოები. დეპარტამენტს სათავეში უდგას მთავრობის მიერ დანიშნული პრეფექტი და მოსახლეობის მიერ არჩეული დეპარტამენტის საბჭო. დეპარტამენტის ბიუჯეტს ადგენს მთავრობის მოხელე, ამტკიცებს მთავრობა.

ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას ზედამხედველობასა და კონტროლს უწევენ პრეფექტები.

დ) ადგილობრივი ფინანსების ორგანიზაცია გერმანიაში

გერმანიაში ადგილობრივი ორგანოები იყო სოფლისა და ქალაქის თემები, ხოლო შუალედური ორგანოები — სახელმწიფოსა და თემებს შორის პროვინციები და ოლქები (Kreise).

ქალაქებს განაგებდნენ ბურგომისტრები და არჩევითი მმართველობა — მაგისტრატი. იგი იყო აღმასრულებელი ორგანო. სოფლის თემებს განაგებდნენ არჩეულ პირთა მმართველობები.

პრუსიული სისტემა ადგილობრივ თვითმმართველობას ანიჭებდა დამოუკიდებლობას. 1893 წლის კანონით მათ გადაეცა საადგილმამულო, სახლის და რეწვის გადასახადები. თემებმა უფლება მიიღეს გაეკეთებინათ ხოლმე წამატება თავის სასარგებლოდ საერთო საშემოსავლო გადასახადზე. ხანდახან გადასახადს პირისპირს უმატებდნენ. მათ შემოიღეს აგრეთვე ღირებულების ზრდის გადასახადები ქალაქად. ადგილობრივ თვითმმართველობის შემოსავალს შეადგენდა კომუნალური საწარმოების შემოსავალი. თემები სარგებლობდნენ მონოპოლიური უფლებებით და დიდ მოგებას ღებულობდნენ.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1949 წლის კონსტიტუციით რესპუბლიკა გაყოფილია 10 ქვეყნად (Land), რომელთაგან თითოეულს თავისი კონსტიტუცია და თავისი პარლამენტი აქვს. ადმინისტრაციული ერთეულებია აგრეთვე ჰანზის ქალაქები და თემები.

ეს გარემოება გფრ-ის ადგილობრივ ფინანსებს მკვეთრად განასხვავებს ინგლისისა და საფრანგეთის ადგილობრივი ფინანსებისაგან.

ძირეული თვითმმართველობის ორგანოს აქ წარმოადგენს თემის (Gemeinde) მმართველობა, რომელსაც ირჩევენ თემის მცხოვრებლები. მას სათავეში უდგას ბურგომისტრი.

ე) ადგილობრივი მეურნეობის ორგანოები რევოლუციამდელ რუსეთში

რევოლუციამდელ რუსეთში ადგილობრივი მეურნეობის მთავარი ორგანოები იყო ერობა და ქალაქები, ადმინისტრაციულ ერთეულებს კი წარმოადგენდნენ გუბერნია, მაზრა, ქალაქი, ვოლოსტი და სოფლის საზოგადოება. გუბერნია შემოღებული იყო 1708 წლიდან და ითვლებოდა ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულად. მაზრა მეორეხარისხოვან ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, იგი შემოღებული იყო 1775 წლიდან. 1721 წლიდან გუბერნიებს გამოეყო ქალაქები და დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულებად იქც-

ნენ. 1861 წლიდან სახელმწიფო გლეხების მმართველობის მიზნით მეფის რუსეთში შემოიღეს ვოლოსტი და სოფლის საზოგადოება.

3) რევოლუციამდელი საქართველოს ადგილობრივი ფინანსები

რევოლუციამდელ საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ არსებობდა იგივე ადმინისტრაციული დანაწილება და იგივე ადგილობრივი ორგანოები, გარდა ერობისა.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში საერობო ფინანსები არ არსებობდა. იგი საქართველოში შემოღებულია რუსეთთან შეერთების შემდეგ. მეფის რუსეთში ეკატერინე II-ის დროიდან 1802 წლამდე უცვლელად დარჩა საერობო პოლიციის, საერობო სასამართლოსა და საერობო ბეგარის არსებული სისტემა. 1802 წელს დაარსებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიენდო საერობო ბეგარის გამგებლობა. ამ დროიდან გამოცემულ იქნა რამდენიმე კანონი და დადგენილება საერობო ბეგარის მოსაწესრიგებლად. მაგრამ რეფორმამდელი პერიოდის საერობო ბეგარა საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1851 წლის წესდებით. ეს უკანასკნელი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იგი ძირითადად იმავე სახით მოქმედებდა რეფორმის მერმინდელ პერიოდშიც მეფის რუსეთის არასაერობო გუბერნიებში, ე. ი. საქართველოშიც.

1864 წლიდან მეფის რუსეთის 34 გუბერნიაში შემოღებულ იქნა საერობო დაწესებულებები, რომლებიც წარმოადგენდნენ არჩევითს დაწესებულებებს და კანონით განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედებდნენ [1], როგორც „თვითმმართველობის“ ორგანოები. ეს იყო თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული კლასობრივი ინსტიტუტი. ამის შესახებ ლენინი წერდა: „...ერობას იმთავითვე არგუნა ბედმა რუსეთის სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ურმის მეხუთე თვალი ყოფილიყო, ისეთი თვალი, რომელსაც ბიუროკრატია მხოლოდ იმდენად ითმენდა, რამდენადაც მისი ყოვლისშემძლეობა არ ირღვეოდა, ხოლო მოსახლეობისაგან არჩეული დეპუტატების როლი განისაზღვრებოდა მარტოოდენ პრაქტიკით, იმ ამოცანათა უბრალო ტექნიკური ასრულებით, რომლებიც იმავე მოხელეებმა დასახეს“ [2]

მეფის რუსეთში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

---

[1] С. Ю. Витте, Конспект лекций о народном и государственном хозяйстве, 1912, стр. 554.

[2] ვ. ი. ლენინი, ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები, ტ. 5, 1949 წ., გვ. 42—43.

იყო: გუბერნიის საერობო კრება და გუბერნიის საერობო გამგეობა. გუბერნიის საერობო კრებას თავმჯდომარეობდა თავადაზნაურობის წინამძღოლი, ხოლო საერობო გამგეობის თავმჯდომარისა და ორი წევრის მოქმედებას ხელმძღვანელობდა გუბერნატორი. „ერობებს არ გააჩნდათ თავიანთი აღმასრულებელი ორგანოები, მათ უნდა ემოქმედნათ პოლიციის საშუალებით“ [1]. ეს გარკვეულად ამცღავნებს ამ ინსტიტუტის თვითმმართველობის ბუნებას.

ცარიზმმა თავისი არსებობის მთელ მანძილზე ამგვარი ინსტიტუტიც ვერ გაიმეტა საქართველოსათვის; საქართველო დარჩა მეფის რუსეთის არასაერობო გუბერნიებს შორის. ამგვარად, ერობა მეფის რუსეთის საქართველოში შემოღებული არ ყოფილა: თუმცა საერობო პოლიცია (земская полиция) და საერობო ბეგარა (земская повинность) აქ შემოღებულ იქნა რუსეთთან შეერთებისთანავე.

ადგილობრივი ფინანსების განვითარება სახელმწიფოებრივი მმართველობის დეცენტრალიზაციის და თვითმმართველობის პრინციპიდან მომდინარეობს.

საზოგადოებრივი მმართველობა დეცენტრალიზებულია, მაგრამ მმართველობის დეცენტრალიზაცია თავისთავად არ ნიშნავს საზოგადოებრივ მმართველობას, ვინაიდან დეცენტრალიზებული შესაძლებელია იყოს მთავრობის მმართველობაც, მეორე მხრივ, შესაძლებელია საზოგადოებრივი მმართველობაც იყოს ცენტრალიზებული.

ადგილობრივი ფინანსებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ადგილობრივი და სახელმწიფოებრივი ორგანოების ფუნქციებისა და ურთიერთობის საკითხი.

8. ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯები

ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩვეულებრივად ითვალისწინებენ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალურ საწარმოთა, სოციალური უზრუნველყოფის, საგზაო და აგრეთვე ადგილობრივი პოლიციის შენახვის ხარჯებს. რიგ შემთხვევებში ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილია სამხედრო ხარჯებიც (მაგალითად, წვევამდელთა პუნქტების ხარჯები, მათთვის ბინის მიცემა, გამოკვება და სხვ.).

ადგილობრივი ორგანოები ან ეწევიან ისეთ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ ემსახურება ადგილობრივ ინტერესებს ან ისეთ ხარჯებს,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის პანიბალები. ტ. 5, 1949 წ.

რომლებსაც აქვთ საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი. მაგრამ ერთია თუ მეორე, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებსაც ისეთივე კლასობრივი ხასიათი აქვს, როგორც სახელმწიფოებრივი ბიუჯეტისას. ისინი ერთიმეორის საქმეს აგრძელებენ.

4. ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალი

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის წყაროებია კომუნალურ საწარმოთა (წყალსადენი, კანალიზაცია, ტრამვაი-ტროლეიბუსები, ელექტროსადგურები, სასაკლაოები, სკოლები, საავადმყოფოები და სხვ.) შემოსავალი.

ადგილობრივ ბიუჯეტებში დიდი ხვედრიწონა აქვს გადასახადურ წყაროებს. ადგილობრივ ორგანოებს სახელმწიფო უფლებას აძლევს შემოიღოს ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები კანონით დაწესებული გადასახადების სიიდან. მაგალითად: გადასახადები ანაგებიანი და არანაგებიანი მიწის ნაკვეთებზე, ბაზრებზე ვაჭრობის მოსაკრებლები, ავტომობილებზე, ველოსიპედებზე, შინაურ პირუტყვზე და საოჯახო ნივთებზე შეწერილი გადასახადები და სხვ.

სახსრების უკმარისობის შემთხვევაში სახელმწიფო ადგილობრივ ორგანოებს აძლევს ანარიცხებს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან ან ანიჭებს უფლებას საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს წამატება გაუკეთონ თავიანთ სასარგებლოდ.

სახსრების უკმარისობის შემთხვევაში ადგილობრივ ორგანოებს სახელმწიფო ხშირად უფლებას აძლევს აიღონ სესხი. სახელმწიფო ხელისუფლება მათ აძლევს აგრეთვე სუბსიდიებს. ამ დახმარებას დოტაციის ხასიათი აქვს, როდესაც ის ეძლევა ბიუჯეტური დეფიციტის დასაფარავად. როდესაც სუბსიდია ეძლევა განსაზღვრული მიზნით, მაშინ მას სუბვენციის ხასიათი აქვს, მაგალითად, გზების რემონტისათვის, ელექტროსადგურების ასაგებად და სხვ. თუ მიზანი არ განახორციელა, ადგილობრივმა ორგანომ სუბვენცია უკანვე უნდა დააბრუნოს.

5. ადგილობრივი ფინანსები იმპერიალიზმის ეპოქაში

იმპერიალიზმის პირობებში ადგილობრივი ფინანსების როლი თანდათან მცირდება. ამის მიზეზია ის, რომ მონოპოლიების ბატონობა, ფინანსური ოლიგარქია თანდათან იმორჩილებს სახელმწიფო აპარატს და იქვემდებარებს სახელმწიფო ფინანსებს. ფართოვდება ცენტრალისტური მმართველობა. ყოველივე ამან შეცვალა ადგი-

ლობრივი ფინანსების შინაარსი. ქვეყნის მილიტარიზაციამ და სამხედრო ხარჯების უჩვეულო გადიდებამ გაზარდა ეგრეთ წოდებული პირველხარისხოვანი ხარჯები. მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის პირობებში ადგილობრივი ფინანსები იყო ადგილობრივი ბურჟუაზიის იარაღი. მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებამ ადგილობრივი ფინანსები მონოპოლიების ბატონობას დაუმორჩილა. მთავრობამ დაიწყო ადგილობრივი ფინანსების მოცულობის, წყაროების, დანიშნულებისა და მიმართულების განსაზღვრა. სახელმწიფო მმართველობამ თავისი ფუნქციების ნაწილი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს გადააკისრა. ადგილობრივ ბიუჯეტებში ამასთან დაკავშირებით გაიზარდა პოლიციის, საპატიმროს და, ასე გასინჯეთ, არმიის შენახვის ხარჯებიც კი. ამის შემდეგ ძნელი გახდა ეკონომიკური ზღვარის გავლება სახელმწიფო და ადგილობრივ ფინანსებს შორის.

ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალში გაიზარდა გადასახადების ხვედრითი წონა, მათ შორის არაპირდაპირი გადასახადებისა. ადგილობრივ ორგანოებს უფლება მიეცათ შემოიღონ თავიანთი აქციზები ან წამატებები გაუკეთონ სახელმწიფო აქციზებს.

ამის შემდეგ ადგილობრივი ფინანსების ცნება პირობით ხასიათს ღებულობს. მისი განსხვავება სახელმწიფო ფინანსებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივ ბიუჯეტებს ადგენენ და აღასრულებენ ადგილობრივი ორგანოები.

ადგილობრივი ფინანსების როლი შემცირდა პირველი მსოფლიო ომის დროს. მეორე მსოფლიო ომმა, რომელმაც უფრო მეტი ცენტრალიზაცია შექმნა, კიდევ უფრო შეამცირა ადგილობრივი ფინანსების ხვედრითი წონა. ამის მიზეზია, როგორც აღნიშნული იყო, სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმისა და სახელმწიფო ფინანსების ცენტრალიზაციის ტენდენციები.

II. ადგილობრივი ფინანსების ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა

1. ადგილობრივი თვითმმართველობის საზოგადოებრივი თეორიები

ა) თემის ბუნებრივი სამართლის თეორია

ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა ბურჟუაზიული თეორია ჩამოყალიბებულია ერთი ძირითადი საკითხის — კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ცენტრისა და ადგილობრივი ორგანოების

ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარშემო. ეს თეორიები ჯგუფდება ორ ძირითად მიმართულებად — თვითმმართველობის საზოგადოებრივ თეორიებად და თვითმმართველობის სახელმწიფოებრივ თეორიებად.

თემის ბუნებრივი სამართლის თეორია პირველად ჩამოყალიბდა საფრანგეთში ბურჟუაზიულ რევოლუციამდე. მე-18 საუკუნის ნახევრიდან იწყება საფრანგეთში სახელმწიფოს კრიტიკა რუსოს მეთაურობით, რომელიც ქადაგებდა ბუნებრივ-სამართლებრივ ინდივიდუალიზმს. იმ ხანად სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი შეხედულება თვითმმართველობაში გულისხმობდა თემის თავისთავადურ მეურნეობას.

ფეოდალიზმის დროს სახელმწიფოებრივი მმართველობა თავმოყრილი იყო მონარქისა და მისი მოხელეების ხელში. ბურჟუაზიის მისწრაფება — გამოეგლიჯა ფეოდალთა ხელიდან მმართველობა გამოიხატა სახელმწიფოებრივი მმართველობისადმი საზოგადოებრივი თვითმმართველობის დაპირისპირებაში. ამისათვის გამოყენებულ იქნა თემის ბუნებრივი სამართლის თეორია. ბურჟუაზიული მკვლევრები ბუნებრივ სამართალს თვლიდნენ სამართლიან სამართლად, რომელიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობდა და წარმოშობილი იყო ადამიანის ბუნებიდან. „...მასშტაბს, რომლითაც იზომება ის, რაც მიეკუთვნება ბუნებრივ სამართალს და რაც არ მიეკუთვნება მას. — წერს ენგელსი — წარმოადგენს სწორედ თვით სამართლის ყველაზე აბსტრაქტული გამოხატულება: *სამართლიანობა*"... „ეს სამართლიანობა კი ყოველთვის წარმოადგენს არსებულ ეკონომიურ ურთიერთობათა მხოლოდ იდეოლოგიზებულ, ცამდე აყვანილ გამოხატულებას, ხან მათი კონსერვატიული, ხან მათი რევოლუციური მხრივ"[1]. ეს ბუნებრივი სამართალი ბურჟუაზიამ თავის დროზე გამოიყენა იარაღად ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ბუნებრივ სამართალს ქადაგებდნენ მე-17 საუკუნის ინგლისში ჯონ ლოკი, ჯონ მილტონი და ჯონ ლილბერნი, მე-18 საუკუნის საფრანგეთში — ჟან ჟაკ რუსო, კ. ა. ჰელვეციი, პ. ა. ჰოლბახი.

ფრანგული ლიტერატურის, განსაკუთრებით ვოლტერის გავლენით გაბატონებულმა კლასმა (ეს ეხება ბურჟუაზიას) შეითვისა სკეპტიკური შეხედულებები ეკლესიის, სახელმწიფო ეკლესიის წინააღმდეგ.

დავით იუმი, რომელიც თავისი პოლიტიკური შეხედულებებით

---

[1] კ. მარქსი. ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტ. I. 1963. გვ. 727.

ტორის პარტიის მომხრე იყო და ყოველგვარ დემოკრატიულ მოძრაობას ეწინააღმდეგებოდა, ამ დროიდან იწყებს სკეპტიკურ აზროვნებას.

რუსომ თავის ლოგიკურ დასკვნებამდე განავითარა ბუნებრივ-სამართლებრივი შეხედულება სახელმწიფოზე, რომელიც მოწონებული იყო ლოკის მიერ.

ფიზიოკრატები (მაგ., ტიურგო) ქადაგებდნენ ეკონომიკის თავისუფლებას, რაც გამოხატულია ცნობილი ფორმულით „laisser-faire". ისინი ამტკიცებდნენ, რომ აუცილებელია სახელმწიფომ გაათავისუფლოს ინდივიდუუმის ეკონომიკური ძალები, რომლებიც აქამდე შებოჭილი იყოო.

საფრანგეთის ბურჟუაზია ბუნებრივი სამართლით ასაბუთებდა თავისუფლებას. თანასწორობას, საკუთრებას; ამით ასაბუთებდა ის ფეოდალური ურთიერთობის უარყოფას და თავისუფალ ვაჭრობას.

ეკონომიკური თავისუფლების იდეის განვითარებას ხელი შეუწყო ინგლისური კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სკოლამ, კერძოდ ა. სმიტმა. ის მოითხოვდა სახელმწიფოს შესახებ გაბატონებული შეხედულების შეცვლას.

ინგლისის სახელმწიფოებრივი მმართველობის რეფორმის მომხრედ გამოვიდა ფილოსოფოსი რადიკალების ჯგუფი: ერემია ბენტამი, ჯემს მილი, ჯონ სტიუარტ მილი, დავით რიკარდო და სხვ.

ბენტამმა დაასაბუთა დემოკრატიის აუცილებლობა, რომლის თანახმად უმაღლესი ხელისუფლება უნდა გადავიდეს საზოგადოების წარმომადგენელთა ხელში.

ბენტამის კრიტიკა შეეხო არისტოკრატიულ პარლამენტარულ ხელისუფლებას, ცნობილ „Selfgovernment"-ის და ღარიბთა მზრუნველობის პრობლემას. ის იყო იძულებითი შრომის პრინციპის დამცველი პირველი თეორეტიკოსი, რომლის შეხედულებები პრაქტიკაში ღარიბთა მზრუნველობაში ვლინდებოდა. მისი აზრით, საზოგადოებრივ ხარჯზე უნდა შენახულიყვნენ მხოლოდ არაშრომისუნარიანნი, ისიც სამუშაო სახლებში მოთავსებით. მან წამოაყენა წინადადება ამისათვის აეგოთ მუშათა სახლები, საპატიმროები და სხვ. იგი ერთმანეთისაგან ლოგიკურად ასხვავებს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას და ცენტრალიზაციის იდეის მომხრედ გამოდის. მან წარმომადგენლობითი დემოკრატიზაციის იდეა ადგილობრივ ორგანოებზედაც გაავრცელა.

ჯონ სტიუარტ მილმა თავის შრომებში, განსაკუთრებით „წარმომადგენლობით მმართველობაში" [1], რომელიც გამოვიდა 1861

[1] J. S. Mill. Representative Government. 1861.

წელს, დაასაბუთა ლიბერალური პარტიის რეფორმები. მისი დებულებები სახელმძღვანელოდ იქცა ინგლისის დემოკრატიისათვის.

მილმა დააყენა ძირითადი საკითხი — სად არის საზღვარი ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას შორის. ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ რაგინდ არ გააფართოვო ადგილობრივი მმართველობის ფარგლები, მაინც რჩება ცენტრალურ ხელისუფლებას ბევრი უფლებამოსილება, რომლებიც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი ორგანოების მიერ.

მისი აზრით, მმართველობა უნდა განხორციელდეს წარმომადგენლობითი პრინციპით ადგილობრივი პარლამენტების საშუალებით. ადგილობრივ მმართველობაზეც უნდა გავრცელდეს საყოველთაო საარჩევნო უფლება. ყოველ ადგილობრივ ერთეულს უნდა ჰყავდეს თავისთავადურად არჩეული ორგანო. მაგრამ ეს ადმინისტრაციული კორპორაციები თვითონ კი არ უნდა ასრულებდნენ მმართველობის სამუშაოებს, არამედ — დაქირავებული პირები. ისინი, როგორც პარლამენტი, მიმართულებას უნდა აძლევდნენ და კონტროლს უწევდნენ ადგილობრივ ორგანოებს. დაქვემდებარებული თანამდებობრივი პირები ისევე უნდა ინიშნებოდნენ, როგორც ცენტრალური ხელისუფლების თანამდებობრივი პირები.

ადგილობრივი ორგანოები, ერთი მხრივ, ითვალისწინებენ თემის სპეციფიკურ ადგილობრივ საჭიროებებს, მეორე მხრივ — ისეთ ამოცანებს, რომლებიც მთელი სახელმწიფოს ინტერესს შეადგენს—სასამართლო, საპატიმრო, პოლიცია. ეს უნდა განეხორციელებინა ცენტრალურ ხელისუფლებას, მაგრამ ამასაც ანდობს ადგილობრივ მმართველობას და საჭირო არის ცენტრალური ზედამხედველობა. ცენტრალური ორგანოების კონტროლი საჭირო არის წმინდა კომუნალური ინტერესების გატარების დროსაც, რადგან მათაც დიდი სახალხომეურნეობრივი და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ. ვინ უკეთ შეასრულებს ამ საქმეებს? მილის აზრით, ადგილობრივი პარლამენტების ცოდნა უფრო დაბალია, ვიდრე საიმპერიო პარლამენტისა. მეორე, ადგილობრივი პარლამენტები უფრო ნაკლებად გავლენიანი არიან, კრიტიკაც ნაკლებად შეუძლიათ და მათი მოსყიდვაც უფრო ადვილია, ვიდრე საიმპერიო პარლამენტისა. სამაგიეროდ ადგილობრივი საკითხები, კონკრეტული შემთხვევები ადგილობრივმა ორგანოებმა უფრო კარგად იციან და უფრო დაინტერესებულნი არიან მათ სწორად გადაწყვეტაში. ამიტომ მმართველობის დეტალები ადგილობრივ მმართველობას უნდა მიენდოს და ცენტრალურმა ხელისუფლებამ საერთო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს.

ხელისუფლება ლოკალიზებული უნდა იყოს. ხოლო ცოდნა რომ უფრო სასარგებლო გახდეს — ცენტრალიზებული უნდა იყოს.

მილის აზრით, ცენტრალიზებული მმართველობის უფლებამოსილების გადიდების არ უნდა გვეშინოდეს. რომ თითქოს ერი ვეღარ შეძლებს განახორციელოს პოლიტიკური აღზრდა, რომელსაც იძლევა თავისუფალი ადგილობრივი მმართველობა. ყველაზე ცუდი სკოლა ის არის, სადაც უვიცობას ფართო გასაქანი აქვს. უმასწავლებლოდ არ არის სკოლები, მაგრამ მასწავლებლობა იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლეთა ამოცანებს მასწავლებელი ხსნიდეს მათ მაგიერ[1]. ასე ფარგლავდა ჯონ სტიუარტ მილი ცენტრალიზაციას[2].

ბუნებრივი სამართლით ასაბუთებდა ბურჟუაზია თავისუფლებას თემებისათვის. თემის ბუნებრივი სამართლის თეორიის მიხედვით თემები ისევე ტოლფასოვანი ორგანოებია, როგორც სახელმწიფო, იმ განსხვავებით, რომ თემებს უფრო მეტი ხნის ისტორია აქვთ. ეს თეორია იყენებდა საუკუნეების თემების ისტორიას. როგორც ცნობილია, საშუალო საუკუნეებში ქალაქები ებრძოდნენ ფეოდალურ სახელმწიფოს. მაშინ მათ მხარს უჭერდა ახალფეხადგმული ბურჟუაზია. მაგრამ გამარჯვების შემდეგ როგორ დაიცვა ბურჟუაზიამ მათი უფლებები, ეს ჩანს მის მიერ შემუშავებული კონსტიტუციიდან, რომელმაც, როგორც კენოვი აღნიშნავს, ამ თემის ბუნებრივ სამართალზე დამყარებული თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო გახადა სამგვარი ცენზი: 1) ამომრჩეველი უნდა ყოფილიყო 25 წლის ასაკისა. 2) უნდა ჰქონოდა ერთი წლის ბინადრობის სტაჟი და 3) უნდა ყოფილიყო გადასახადის გადამხდელი არა ნაკლები სამი დღის ხელფასისა. იმისათვის კი რომ აერჩიათ, უნდა ყოფილიყო გადამხდელი არანაკლები ათი დღის ხელფასისა[3].

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში მუშაობა მშრომელთათვის გამორიცხული იყო, ვინაიდან თანამდებობანი იყო უსაფასურო, ითვლებოდა საპატიო თანამდებობებად. ამიტომ იქ მუშაობა შეეძლოთ მხოლოდ შეძლებულთ. ასე განხორციელდა პრაქტიკაში თემის ბუნებრივი სამართლის თეორია. ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ბურჟუაზიას აღარ სჭირდებოდა ეს

---

[1] J. S. Mill, Considerations on Representative Gowernment, 1863 p. 267—286.

[2] Иосиф Редлих, Английское управление, т. I, 1907, стр. 236—237.

[3] Кунов, Борьба классов и партий в Великой французской революции, гл. III.

თეორია და დაიწყეს კიდეც მისი კრიტიკა, როგორც ვნახეთ, ი. ბენ-ტამმა და ო. კონტმა.

ამგვარად, ბურჟუაზიამ ფეოდალიზმთან ბრძოლაში გამოიყენა დეცენტრალიზაციის თეორია, მაგრამ მერე ისე მოაწყო დეცენტრალისტური მმართველობა, რომ მშრომელ კლასებს დეცენტრალიზაცია მის წინააღმდეგ ვერ გამოეყენებინათ.

თემის ბუნებრივი სამართლის თეორია გამოიყენეს ბელგიაში მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, გერმანიაში — მე-19 საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონის ცენტრალიზმის წინააღმდეგ.

ბ) თავისუფალი თემის თეორია

თავისუფალი თემის თეორია წარმოიშვა გერმანიაში, რომელიც შექმნა ბურჟუაზიამ ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ბურჟუაზიას უნდოდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მისთვის მხარი დაეჭირა მუშებსა და გლეხებს.

თავისუფალი თემის თეორია თემს სცნობს იმგვარ გაერთიანებად, რომელიც სახელმწიფოზე ადრე წარმოიშვა. ამასთანავე თემი სახელმწიფოსაგან სრულიად დამოუკიდებელია. თავისუფალი თემის თეორიამ ჩამოაყალიბა დეცენტრალიზმის მწყობრი სისტემა და დაუპირისპირდა ფეოდალური თუ ნახევრადფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალიზმს, თვითმმართველობა დაუპირისპირდა ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს. ეს თეორია თემის საქმეებს ყოფდა ორად: საკუთარ საქმეებად და სახელმწიფოს მიერ მინდობილ საქმეებად, მაგრამ დიდი გარკვეულობა მაინც ვერ შეიტანეს საკითხში: რა ითვლებოდა თემის საკუთარ საქმეებად და რა — სახელმწიფოსაგან მინდობილ საქმეებად. თემი ამით ერთგვარად ღებულობდა ავტონომიას ადგილობრივი მმართველობის ზოგიერთ საკითხში. ძირითადად, მეურნეობრივ საკითხში. მას ერთგვარად მშრომელი მასების შიში ჰქონდა, რამდენადაც გაბატონებულ კლასებს მოემსახურებოდა.

გ) მეურნეობრივი თვითმმართველობის თეორია

მეურნეობრივი თვითმმართველობის თეორია, რომელიც შემუშავდა გერმანიაში, ქადაგებს მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიული კლასების მშვიდობიან თანამშრომლობას. ეს თეორია განავითარეს გერმანელმა იურისტებმა. ამ თეორიის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა განაგებდეს ადგილობრივი ხასიათის სამეურნეო საქმეებს, სახელმწიფო საქმეებს კი უნდა განაგებდეს სა-

ხელმწიფო ორგანოები, რომლებიც ბურჟუაზიის ხელშია. ისინი სახელმწიფოს განიხილავდნენ როგორც რთულ ორგანიზმს, რომლის გარკვეულ ნაწილებს შეადგენდნენ ადგილობრივი ორგანოები. ამ უკანასკნელთ თავიანთი საკუთარი ორგანული ინტერესები აქვთ, რომლებშიც არ უნდა ჩაერიოს ცენტრალური ხელისუფლება. ეს თეორია საერთოდ ბურჟუაზიის ინტერესთა მთლიანობის დაცვის მიზნით იცავდა წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს.

რუსეთში[1] ამ თეორიის პირველი მქადაგებელი იყო ერობის მოღვაწე პროფესორი ლეშკოვი. რუსეთის პირობების შესაბამისად თვითმმართველობის საზოგადოებრივ-მეურნეობრივი თეორია დაასაბუთა ა. ვასილჩიკოვმა თავის შრომაში თვითმმართველობის შესახებ[2]. იგი ადგილობრივი ორგანოების საზოგადოებრივ საქმეებს გამოყოფს სახელმწიფო ორგანოებისაგან.

ამ თეორიის მიმდევრებიდან აღსანიშნავი არიან პროფ. ბორის ჩიჩერინი. გრადოვსკი და კორკუნოვი.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიები

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული თეორია

ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიები შეიქმნა მე-19 საუკუნის შუა წლებში; ისინი ამტკიცებენ, რომ თვითმმართველობის ორგანოები იგივე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებია. თვითმმართველობის ორგანოებს არავითარი თვითმყოფადობა არა აქვთ, მათ მთლიანად აწესრიგებს სახელმწიფო ხელისუფლება.

ეს თეორია ბიუროკრატიული ცენტრალიზაციის გაფართოების მიზნით აიგივებს ადგილობრივ თვითმმართველობას სახელმწიფოს მმართველობასთან.

გერმანიის „სოციალური პოლიტიკის კავშირი“ ამ თეორიის მომხრე იყო. ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიულ თეორიას იზიარებდნენ ადოლფ ვაგნერი და ლორენც ფონ შტეინი. ეს თეორია განავითარა გნეისტმაც, რომელმაც ჩამოაყალიბა „Selfgovernment“-ის მთლიანი თეორია და აქედან გამოიყვანა „თვითმმართველობის“,

---

[1] რუსეთში თვითმმართველობის საკითხების შესწავლას სამართლის მცოდნენი შეუდგნენ რეფორმის შემდგომ. ამიტომ აქ პირველი ორი თეორია ინტერესს მოკლებული იყო, რამდენადაც ფეოდალიზმთან ბურჟუაზიის ბრძოლის საკითხი გადაჭრილად მიაჩნდათ.

[2] А. Васильчиков, О самоуправлении, т. I, II, III, 1870—72.

როგორც სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი პოსტულატის, საერთო თეორია[1]. გნეისტმა თავის შრომებში[2] მოგვცა „Selfgovernment"-ის შემდეგი განმარტება: „ოლქებისა და თემების შინაგანი მმართველობა ქვეყნის კანონების მიხედვით პირად საპატიო თანამდებობათა საშუალებით და კომუნალურ საადგილმამულო გადასახადებიდან შეგროვებული სახსრებით ხორციელდება"[3].

ეს „Selfgovernment", გნეისტის მიხედვით, არის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სისტემა; ეს არის სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება, რაც დავალებული აქვს კომუნალურ კავშირებს. ადგილობრივ ორგანოებს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ახასიათებს ის, რომ მათ ხელშია მომრიგებელი სასამართლოები და პოლიცია. ადგილობრივი მმართველობა ითვლება სახელმწიფოებრივი მმართველობის დანამატად. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ეს სისტემა იცვლება ინგლისის განვითარებასთან ერთად, Selfgovernment-ის გვერდით გამოდის მეურნეობრივი თვითმმართველობა.

ფეოდალური საზოგადოების მსგავსად, ბურჟუაზიული შეხედულებაც თემს განიხილავს როგორც საკუთარ იარაღს თავის საქმეებზე საზრუნავად და არა — როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზმის წევრს. Selfgovernment-ი ღებულობს სულ სხვა სახეს. ის გამოდის არა როგორც სახელმწიფოებრივი დაპირისპირება საზოგადოებისადმი; პირიქით, თვითმმართველობაში გულისხმობენ ინტერესთა ადგილობრივ დაჯგუფებას.

თვითმმართველობაში შედის „არა ადგილებზე მოქმედი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფუნქციები, არამედ კავშირის ეკონომიკური ინტერესები, პირველ ყოვლისა, საკუთარი ქონების მმართველობა, შემდეგ ღარიბთა მზრუნველობა, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, გზების მმართველობა. პირიქით, Selfgovernment-ის ნამდვილი ობიექტებია: ნაფიცთა ვალდებულებანი, უშიშროებისა და კეთილმყოფობის პოლიცია და სხვ. საზოგადოება ამას თავისი თვითმმართველობის საგნად არ თვლის"[4].

გნეისტი ეწინააღმდეგება ჯონ სტიუარტ მილს, რომელიც, მისი აზრით, გამოდის არა სახელმწიფოდან, არამედ საზოგადოებიდან.

---

[1] И. Редлих, Английское местное самоуправление, т. II, 1908, стр. 345.

[2] R. Gneist, Selfgovernment, 1871; Englische Verfassungsgeschichte, 1882 და სხვ.

[3] იქვე, Selfgovernment, S. 882.

[4] იქვე, გვ. 940—942.

საზოგადოება კი სახელმწიფოში ხედავს თავისი ინტერესების განსორციელებას. ამ ინტერესებისათვის ეწყობა თავისუფალ კავშირთა ორგანიზაცია და არჩევნები საყოველთაო ხმის მიცემის საფუძველზე. მილის სოციალური ფილოსოფია გნეისტს საუსებით გამოუსადეგრად მიაჩნია სახელმწიფოზე ნამდვილი მორალური შეხედულების დასასაბუთებლად. საზოგადოებას არავითარი სხვა ფორმა არა აქვს საერთო ნებისყოფის გამოსავლინებლად, გარდა არჩევნებისა. ასე მოქმედებდნენ აქციონერული საზოგადოებანი, ეკონომიკური ან ქველმოქმედი მიზნებისათვის შექმნილი სხვადასხვა ორგანიზაციების ფორმები, რომლებიც ირჩევენ ნდობით აღჭურვილ პირებს, გამგეობებს, დირექტორებს. ყოველივე ამისათვის საზოგადოებას ერთი სქემა აქვს. ერთი და იმავე ნიმუშის მიხედვით დგება აქციონერული საზოგადოება და საოლქო გამგეობა, საეკლესიო თემი, მუშათა კავშირი და პარლამენტი. „მიწოდება-მოთხოვნის შედეგად მოიძებნება ერთგული სასულიერო პირი, ახალგაზრდობის კეთილსინდისიერი, მიუკერძოებელი მოსამართლე, ფინანსების კეთილსინდისიერი სამშობლოს მაღალი იდეისათვის მამაცი დამცველი და თავდადებული. ყოველივე ეს მოხერხდება ინტერესთა კოლიზიის გამო, მხოლოდ საჭიროა თავისუფალი შრომა“ [1].

თვითმმართველობის იურიდიული თეორია გულისხმობს თემის თავისთავადურ მმართველობას, რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული ინტერესები. იურიდიული თეორიის მიხედვით, თვითმმართველობის განსაკუთრებული თვისება საჯარო იურიდიული პირის უფლებებშია. იურიდიული პირის უფლება ჩვეულებრივად შეადგენს განკუთვნილი ქონების განკარგვის საშუალებას. დაწესებულება, როგორც იურიდიული პირი, სარგებლობს მეურნეობრივი თავისთავადობით. ეს ქმნის დეცენტრალიზაციის მატერიალურ საფუძველს.

იურიდიული თეორიები ძირითადად ყურადღებას აქცევენ ტერიტორიულ საჯარო-უფლებრივ გაერთიანებათა იურიდიულ ბუნებას, მათ უფლებრივ მდგომარეობას სახელმწიფოებრივ მმართველობაში. ეს არის უკვე განვითარებული ბურჟუაზიის თეორია, რომელიც ითვალისწინებს მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლასაც, რათა ისინი არ დაეპატრონონ ადგილობრივ ორგანოებს.

რუსეთში მეორე მიმდინარეობა — თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიების იურიდიული მიმდინარეობა — შექმნეს

---

[1] R. Gneist, Selfgovernment, 1871; Englische Verfassungsgeschichte, 1882, S. 723.

1880 წლებში გრადოვსკიმ და კორკუნოვმა. ეს იყო დრო, როდესაც რუსეთის ბურჟუაზია ცდილობდა სათავეში ჩასდგომოდა ადგილობრივ თვითმმართველობას.

კადეტი პროფესორები — ლაზარევსკი, ნოლდე, გესენი, გრონსკი და სხვ. აცხადებდნენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არის სახელმწიფოებრივი თვითმმართველობა. ამავე დროს ისინი აღიარებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობას ცენტრალური ხელისუფლებისაგან. ამავე დროს პრაქტიკაში ცენტრი თავის დამოკიდებულებაში ამწყვდევდა თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს გუბერნიის კომისრებითა და ფინანსებით.

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თეორია

თვითმმართველობის პოლიტიკური თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელია გნეისტი. ეს თეორია უფრო მეტად გამოხატავს თავადაზნაურთა იდეოლოგიას, რომელიც ცდილობდა ადგილებზე მაინც შეენარჩუნებინა ხელისუფლება, რომელიც ცენტრში დაკარგა. ამ თეორიის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველობაში სახელმწიფოს ადგილობრივ ორგანოებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. ესენი არიან საპატიო პირები, რომლებიც უსაზღაუროდ ასრულებენ მოვალეობას. ეს თეორია შეესატყვისებოდა ინგლისელ ლენდლორდთა და გერმანელ იუნკერთა ინტერესებს.

ო. მაიერის აზრით, თვითმმართველობაში თანამდებობრივ ფუნქციებს ასრულებენ როგორც არაძირითადს, დამატებითს.

რუსეთში 900-იანი წლებიდან განვითარდა თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორია, რომელიც ემსახურებოდა მიწათმფლობელებსა და ბურჟუაზიას.

თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი პოლიტიკური თეორიის წარმომადგენლად რუსეთში XIX ს. 70-იან წლებში გამოდის პროფესორი ბეზობრაზოვი[1], რომელიც ამტკიცებდა, რომ საერობო მმართველობა ისეთივე სახელმწიფოებრივი მმართველობაა, როგორიც ბიუროკრატიული პირადი მმართველობაო. ესენი ერთი და იგივე ხელისუფლების სხვადასხვა ფორმებია. ბეზობრაზოვი და სხვა რეაქციონერი პუბლიცისტები მოითხოვდნენ რეფორმებს, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველობა უფრო მეტ შესაბამისობაში უნდა მოეყვანა ცენტრალიზებულ სახელმწიფოებრივ მმართველობასთან.

---

[1] Проф. И. Безобразов, Земские учреждения и самоуправление. (მოთავსებულია ჟურნალში „Русский Вестник").

ვასილჩიკოვისა და ბეზობრაზოვის შრომების გამოყენებით დაწერა შრომა რეაქციონერმა ვიტემ[1]. იგი დგას თვითმმართველობის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თეორიის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით არის განხილული ეს საკითხი მის შრომაში, რომელიც წარმოადგენს ლექციების კონსპექტს, სადაც ადგილობრივ ფინანსებს და ადგილობრივ თვითმმართველობას დათმობილი აქვს ორი ლექცია[2].

3. ადგილობრივი დაბეგვრის ბურჟუაზიული თეორიები

ა) გაცვლის ანუ ურთიერთმომსახურების თეორია (ფაუშერი)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიაში ადგილობრივი დაბეგვრის პრინციპის საკითხში ფაუშერმა თავის შრომებში წამოაყენა[3] გაცვლის თეორია. იგი იყო ფრიტრედერების მომხრე. მისი აზრით, ადგილობრივი კავშირები ყიდიან თავიანთ მომსახურებას, რაშიც ღებულობენ განსაზღვრულ გასამრჯელოს. ის, როგორც თავისუფალი ვაჭრობის მომხრე, ფიქრობდა, რომ მომსახურებასა და გასამრჯელოს შორის თანაბრობა ხორციელდება თავისუფალი გაცვლის პირობებში. ვაჭართა და მრეწველთა ჯგუფები უპირისპირდებოდნენ ფეოდალურ სახელმწიფოს და მოითხოვდნენ ადგილობრივი კავშირების უფლებებისა და მათ განკარგულებაში მყოფი სახსრების გაფართოებას.

ურთიერთმომსახურების თეორიის მიხედვით ადგილობრივი ფინანსების სისტემა უნდა ემყარებოდეს ურთიერთმომსახურების პრინციპს, ხოლო სახელმწიფო მეურნეობა — გადამბდელუნარიანობის პრინციპს. ამ ორი პრინციპის ერთმანეთისაგან სასტიკი გამიჯვნა შეუძლებელია. აქ მხედველობაში მიიღება ის, თუ რომელი პრინციპის საწყისები ჭარბობს.

ამ თეორიული საწყისების ზუსტი გატარება ხშირად იწვევს დაუმსახურებელ გამორჩენას ერთთათვის და დანაკარგებს — მეორეთათვის. ასე მაგალითად, ქონება-შემოსავლის გადასახადის დროს შესაძლებელია მოხდეს ქონების ფასეულობის შემცირება. ასე მაგალითად, თემის საერთო ხარჯებს გზების საშენებლად. ქუჩების გა-

---

[1] С. Ю. Витте, Самодержавие и земство.

[2] С. Ю. Витте, Конспект лекции о народном и государственном хозяйстве, СПб, 1912 г., стр. 545—568.

[3] Vauscher, Vierteljahrschrift für Volkswirtschaft; მისივე, Staats- und Gemeindebudget.

საყვანად და სხვ. შეუძლიათ ხელსაყრელი პირობები შეუქმნან ზოგიერთ უძრავ ქონებას მათი ფასეულობისა და შემოსავლიანობის გადიდების მხრივ. ამიტომ ზოგიერთთა აზრით, უფრო მიზანშეწონილია ადგილობრივი დაბეგვრა წარმოებდეს უდიდესი დაინტერესებულობის პრინციპის მიხედვით.

არის აგრეთვე შეხედულება, რომელიც სწორედ იმ მოსაზრებაზე დამყარებით, რომ თემების საქმიანობა, სახელმწიფოსაგან განსხვავებით, უმთავრესად ეკონომიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ არის მიმართული, ამტკიცებს. რომ მომსახურებანი, რომლებსაც ისინი ცალკეულ მოქალაქეებს უწევენ, განზომილებადია, შეფასებას ექვემდებარება. ამასთანავე ისინი უფრო ახლოდგანან გადამხდელებთან, ვიდრე სახელმწიფო, როდესაც ის ადგილობრივ საჭიროებებს აკმაყოფილებს. ამიტომ ამ შეხედულების მიხედვით, ადგილობრივ დაბეგვრაში უფრო მეტი ზომით გამოიყენება მომსახურებისა და ანაზღაურების პრინციპი, ვიდრე სახელმწიფოებრივ დაბეგვრაში [1].

ამავე შეხედულების თანახმად, მომსახურებისა და ანაზღაურების პრინციპს უფრო მეტად შეესაბამება რეალური გადასახადები — მიწის, სახლის, სარეწაო, ვიდრე შემოსავლის გადასახადი, რომელიც ითვალისწინებს გადამხდელუნარიანობას. ამიტომ შემოსავლისა და ქონების გადასახადები უნდა დარჩეს სახელმწიფოს, რეალური გადასახადები კი ადგილობრივ დაბეგვრას გადაეცეს.

ბ) გადამხდელუნარიანობის პრინციპის თეორია (ნიტი)

ფრანჩესკო ნიტის აზრით, სწორი არ არის, რომ ადგილობრივ დაბეგვრას საზომად დაედოს მომსახურებათა გაცვლა. ადგილობრივი დაბეგვრა დამყარებული უნდა იქნეს მოქალაქეთა გადამხდელუნარიანობაზე. ნიტის აზრით, განსხვავება სახელმწიფოსა და თემს შორის იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს არსებითად აქვს პოლიტიკური ფუნქციები, თემს კი უპირატესად — მეურნეობრივი. თემის წარმოშობაც გაპირობებულია ეკონომიკური მიზეზებით. თანამედროვე ვითარებაში თემი სოციალურ ფუნქციებსაც ასრულებს მაგრამ უპირატესად მაინც ეკონომიკური ფუნქციებით საქმიანობს. სწორედ ამიტომ მიუღებელია მომსახურებათა გაცვლის თეორია. ყო-

---

[1] В. Твердохлебов, Местные финансы, 1919, стр. 78.

ველ სახელმწიფოს თავისი წყობა აქვს და ადგილობრივი ფინანსები მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოებრივ ფინანსებთან.[1]

გ) თეორია გადამხდელების ადგილებთან დაკავშირების ხასიათის შესახებ (კონილინი)

კონილინი თავის შეხედულებას ამყარებს იმაზე, თუ რამდენად არის დაკავშირებული გადამხდელი ადგილობრივ ორგანოსთან. გადამხდელი შესაძლებელია დროებით ან შემთხვევით იყოს ქალაქში, ან იქ ცხოვრობდეს მუდმივად, ან ამ ქალაქში ჰქონდეს საწარმო ან ქონება.

ის გადამხდელები, რომლებიც დროებით არიან ქალაქში, უნდა იხდიდნენ მცირედ გადასახადებს მოხმარებაზე. ქალაქს უნდა ჰქონდეს მოხმარება დაბეგრილი გადასახადებით, რომ დაბეგვრაში მოაქციოს ის პირებიც, რომლებიც ქალაქთან ფაქტიურად დაკავშირებული არ არიან, მაგრამ ქალაქის სიკეთით სარგებლობენ. ის პირები, რომლებიც ქალაქში მუდმივად ცხოვრობენ და მუდმივი შემოსავლის წყარო აქვთ პირადი შრომით — მოხელეები, მუშები — უნდა იხდიდნენ საშემოსავლო გადასახადს.

სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა ან უძრაობათა მეპატრონეები უნდა იხდიდნენ რეალურ გადასახადებს.

ტვერდოხლებოვი ამას შენიშვნას უკეთებს, რომ ასეთი დაბეგვრის სისტემა შესაფერისია იტალიისათვის, სადაც ბევრი უცხოელია, რომლებიც არ იხდიან არც შემოსავლის გადასახადებს და არც რეალურ გადასახადებს.

დ) განზომილებადი და არაგანზომილებადი ხარჯების თეორია (გენზელი)

გენზელი ადგილობრივი კავშირების ყველა ხარჯს ყოფს საერთოსახელმწიფოებრივ და ადგილობრივი მნიშვნელობის ხარჯებად. ადგილობრივი მნიშვნელობის ხარჯებს თავის მხრივ ყოფს ორად: ისეთ ხარჯებად, რომელთა სარგებლობის გაზომვა შეიძლება, და ისეთ ხარჯებად, რომლებიც არ განიზომებიან.

ხარჯთა პირველი კატეგორიის (რომელსაც ის აკუთვნებს სახალხო განათლებას, სანიტარიას და ნაწილობრივ კეთილმოწყობას) დასაფარავად მიზანშეწონილად მიაჩნია შემოსავლის გადასახადი, მაგ-

---

[1] Ф. Нитти, Основные начала финансовой науки, М., 1904, стр. 591—592.

რამ მისი განაწილების უთანაბრობის გამო ის წინადადებას აყენებს, რომ მას ახდევინებდეს სახელმწიფო. აქედან უნდა შედგეს ეკვალიზაციური ფონდი, საიდანაც ადგილობრივი კავშირები მიიღებდნენ შემწეობას.

ხარჯთა მეორე კატეგორია, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს გარკვეული პირებისათვის, უნდა დაიფაროს რეალური გადასახადებით.

ხარჯთა მესამე კატეგორია, რომლის სარგებლობის გაზომვა შესაძლებელია, უნდა დაიფაროს მისაგებლებით და სპეციალური მოსაკრებლებით [1].

ამ თეორიის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ პრაქტიკაში ძნელია საზღვრის გატარება ადგილობრივ და სახელმწიფოებრივ ხარჯებს შორის და, მეორე, ადგილობრივი ხარჯების დაყოფა ისეთებად, რომელთა მომსახურების გაზომვა შეიძლება და რომელთა — არა.

ე) „მისაგებლის" პრინციპის თეორია (ტვერდოხლებოვი)

ვ. ტვერდოხლებოვის აზრით, ეს შეხედულება სწორი არ არის, ვინაიდან ადგილობრივი კავშირების ამოცანების უმრავლესობა არ უპასუხებს ამ მოთხოვნებს და მოემსახურება საერთო ინტერესებს. ტვერდოხლებოვის აზრით, სპეციალური სარგებლობა უკეთესად გაითვალისწინება სპეციალური მოსაკრებლებით და მისაგებლებით. არავითარი შესაბამისობა არ არსებობს მიწისა და სახლის გადასახადებს შორის, რომლებსაც მიწათმფლობელნი ერობას უხდიან ან სახლის პატრონნი ქალაქს უხდიან, და იმ სპეციალურ სარგებლობას შორის, რასაც გადამხდელი ერობის ან ქალაქის საქმიანობისაგან ღებულობს. მათ შორის არავითარი პროპორციულობა არ არის. ერთი მხრივ, რეალური გადასახადები უფრო შეესაბამება, ვიდრე საშემოსავლო გადასახადი ადგილობრივ გადამხდელთა სარგებლობას: ისინი ეკისრება საერთო შემოსავალს — ვალები არ აკლდება. მაგრამ ვინაიდან ქონების ფასეულობის ზრდასა, რაც მიიღება ერობის საგზაო ან სხვა ღონისძიებათა შედეგად, და საერთო შემოსავალს შორის, რაც ობიექტთა რეალური გადასახადებია, არის დიდი პროპორციულობა, ვიდრე ქონების ფასეულობის მატებასა და ძლიერად დავალიანებულ მიწათმფლობელის წმინდა შემოსავალს შორის, ამიტომ ნაწილობრივ მართალია, რომ ვალების უქონლობა რეალურ გადასა-

---

[1] Гензель, Новейшие течения в коммунальном обложении, 1909, стр. 58—60.

ხადებში მათ რამდენადმე აახლოებს სპეციალურ სარგებლობასთან, რომელსაც უძრავი ქონების მოცემული მფლობელი ღებულობს. რეალური გადასახადები, ტვერდოხლებოვის აზრით, როგორც გადასახადები საშუალო შემოსავალზე, ქონების ნამდვილ შემოსავლიანობას არ შეესაბამება და მემამულე, რომლის შემოსავალი ძლიერ გაიზარდა რკინიგზის გაყვანის ან ადგილობრივი კავშირების რაიმე სხვა ღონისძიების გამო, სრულებით შეუსაბამო გადასახადს იხდის ამ სარგებლობასთან შედარებით, რომელსაც ის ღებულობს.

ამგვარად, ტვერდოხლებოვის აზრით, უმჯობესია სპეციალური მოსაკრებლები და მისაგებლები [1].

3) კომბინირებული დაბეგვრის პრინციპის თეორია

ზოგიერთების აზრით, ადგილობრივი ფინანსები შეუძლებელია აგებულ იქნეს ერთი რომელიმე პრინციპის საფუძველზე. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია კომბინირებული პრინციპი — ურთიერთმომსახურებისა და გადამხდელუნარიანობის პრინციპების კომბინირება. ამ შეხედულების მიხედვით, უმჯობესია ადგილობრივ ფინანსებში ხარჯზე დაკისრებული გადასახადები — ბინის გადასახადისა და სამომხმარებლო საგნების დაბეგვრის სახით. დაბეგვრის არათანაბარზომიერების შესანელებლად უნდა დაწესდეს პროგრესული ან რეგრესული გრადაციები ერთი შემთხვევისათვის და შესაბამისად შეირჩეს ხარჯის საგნები მეორე შემთხვევისათვის.

აქ მთავარია ის, რომ რა პრინციპის საფუძველზედაც არ უნდა მოხდეს ადგილობრივი დაბეგვრა, ის წარმოადგენს გაგრძელებასა და შევსებას საერთო-სახელმწიფოებრივი დაბეგვრისა და, მაშასადამე, გამოხატავს იმავე ექსპლოატაციას, რასაც სახელმწიფოებრივი დაბეგვრა კაპიტალიზმის პირობებში.

4. მუნიციპალური სოციალიზმი

დიდი ქალაქების ზრდა-განვითარებამ გამოიწვია კომუნალურ საწარმოთა გაფართოება-განვითარება. ქალაქის საწარმოთა ორგანიზაციის საკითხმა მიიქცია დიდი ყურადღება. ამასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი ამ საწარმოთა თვით ქალაქების მიერ მოწყობის შესახებ. ამ ნიადაგზე შემუშავდა ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მიმ-

---

[1] В. Твердохлебов, Местные финансы. 1919, стр. 78—79.

დინარეობა, რომელიც ფიქრობდა მუნიციპალური მმართველობის ფუნქციების გაფართოებით კაპიტალიზმის შეცვლას სოციალიზმად.

იმის გარდა, რაც ამის შესახებ უკვე ნათქვამი გვაქვს მეცხრე თავში — სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავლის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკის გადმოცემისას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მუნიციპალური სოციალიზმი ოცნებობს მოარიგოს კლასები. ამ თეორიის წინააღმდეგ ვ. ი. ლენინი წერდა: რადგან კაპიტალისტური განვითარება მიდის ცენტრალიზაციისაკენ, ცენტრალურ ბურჟუაზიულ ხელისუფლებას ისეთ ძალას ანიჭებს, რომელსაც „ოლქები" ვერასოდეს ვერ გაუმკლავდებიან. საქმე ის არის, რომ ერთსა და იმავე კლასს ჰქონდეს პოლიტიკური ძალაუფლება ცენტრშიც და ადგილზეც, რათა იქაც და აქაც სავსებით თანამიმდევრად გატარდეს სრულიად ერთნაირი დემოკრატიზმი. ადგილობრივ თვითმმართველობათა კულტურული ხარჯების დიდი პროცენტი მეორეხარისხოვანი ხარჯების დიდი წილია... ადგილობრივ თვითმმართველობათა უწყების ჩარჩოებს და მათ ფინანსურ უფლებამოსილებას განსაზღვრავს იგივე ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება და განსაზღვრავს ისე, რომ არმიისა და სხვათა საჭიროებებზე იღებს დიდ თანხებს, „კულტურისათვის" კი გროშებს იძლევა... ბურჟუაზია ვერ იბატონებდა, რომ თავისი როგორც კლასის, ბატონობის უზრუნველსაყოფად დიდ თანხას არ ხარჯავდეს, ხოლო კულტურული ხარჯებისათვის გროშებს არ ტოვებდეს" [1].

მუნიციპალურ სოციალიზმს ყურადღება სახელმწიფო წყობილების ძირითადი საკითხებიდან გადააქვს ადგილობრივი თვითმმართველობის წვრილ საკითხებზე. აქ საკითხი ეხება არა ბურჟუაზიის ბატონობის მთავარი იარაღის საკითხს, „არამედ იმ ნამცეცების ხარჯვას, რასაც მდიდარი ბურჟუაზია გადმოყრის „მოსახლეობის საჭიროებისათვის". თვითონ ბურჟუაზია თანხმდება ასეთი თანხების გაღებაზე სახალხო ჯანმრთელობისათვის. მას უნდა ჰყავდეს კვალიფიციური მუშები მაღალი ტექნიკის შესაფერისად. ასევე უნდა იზრუნოს ქალაქებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისათვის, ვინაიდან გადამდები ეპიდემიები ბურჟუაზიას აშინებს.

ამ შეხედულებას ლენინი უწოდებს მეშჩანურ ოპორტუნიზმს. ამ შეხედულებას მხედველობის გარეშე რჩება ის გარემოება, რომ ბურჟუაზია არასდროს არ დაუშვებს ვინმე შეეხოს მისი ბატონობის საფუძვლებს. მუნიციპალური სოციალიზმი მისთვის საშიში არ არის,

---

[1] ვ. ი. ლენინი, ს.-დ. აგრარული პროგრამა რუსეთის პირველ რევოლუციაში, თხზ., ტ. 13, 1950, გვ. 425.

რამდენადაც იგი „ვრცელდება მხოლოდ ხარჯების იმ ადგილობრივ, ვიწრო სფეროზე. რასაც თვითონ ბურჟუაზია იძლევა „მოსახლეობის" განკარგულებაში.

ვ. ი. ლენინს ამ ნაშრომში გამოაშკარავებული და გაკრიტიკებული აქვს დასავლეთ ევროპის ფინანსისტების — პოსიბილისტებისა და ბერნშტეინელების მეშჩანური ოპორტუნიზმი. მათი შეხედულება გადმოიღეს რუსეთის მუნიციპალიზატორებმა, რომელთა დახასიათებასაც იძლევა ლენინი. იგი წერს: „მუნიციპალური სოციალიზმი" არის სოციალიზმი ადგილობრივი მართვა-გამგეობის საკითხებში. ის რაც ადგილობრივი ინტერესების ფარგლებს, სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფუნქციის ფარგლებს სცილდება, ე. ი. ყველაფერი, რაც მმართველი კლასების შემოსავლის ძირითად წყაროებს და მათი ბატონობის უზრუნველყოფის ძირითად საშუალებებს ეხება. ყველაფერი რაც ეხება სახელმწიფო მართვა-გამგეობას, არამედ სახელმწიფო წყობილებას, ყოველივე ეს ამით სცილდება „მუნიციპალური სოციალიზმის" სფეროს" [1]. ასი ათასები — სამხედრო საჭიროებისათვის, გროშები — პროლეტარიატის საჭიროებისათვის [2].

მონოპოლისტური კაპიტალიზმის დასაწყისში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში და რუსეთშიც კვლავ განაახლეს ბუნებრივი სამართლის თეორია. ბუნებრივი სამართლის თეორიით ამართლებდნენ საზოგადოებრივ უთანასწორობას და კერძო საკუთრებას. ეს სამართალი ღმერთიდან მომდინარეობს და სამარადისოა. ბუნებრივი სამართლის თეორიით იცავენ კაპიტალისტურ წყობას და ექსპლოატაციას. ისინი მოითხოვენ ადამიანის ბუნებრივი სამართლის დაცვას, რომელიც თითქოს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელია.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში ხდება ადგილობრივი ორგანოების ხელისუფლების ცენტრალიზაცია, მისი სულ უფრო მეტად სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დამორჩილება ფაქტიურადაც და იურიდიულადაც. ამას აქვს პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები. მუშათა კლასის მზარდ გავლენასთან ბრძოლა აიძულებს ბურჟუაზიას იზრუნოს სახელმწიფო აპარატის ცენტრალიზაციისათვის. მეორე მხრივ, კომუნალური მეურნეობის სფეროში იქმნება მსხვილი მეურნეობრივი გაერთიანებები — ტრესტები, შერეული

---

[1] ვ. ი. ლენინი. ს.-დ. აგრარული პროგრამა რუსეთის პირველ რევოლუციაში, თხზ., ტ. 13, 1950, გვ. 450—451.

[2] ვ. ი. ლენინი, ს.-დ. აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში, თხზ., ტ. 15, 1950, გვ. 201.

ორგანიზაციები ელექტროენერგიის, ქალაქის ტრანსპორტისა და სხვათა დარგში. ეს მოითხოვს მთელ რიგ ამოცანათა თავისებურ გადაწყვეტას. ამიტომ ადგილობრივი ორგანოები კარგავენ თვითმმართველობითს დამოკიდებულებას და ფინანსური კაპიტალის ცენტრებისაგან ეკონომიკურად დამოკიდებული ხდებიან.

იმპერიალიზმის პირობებში ძლიერდება საბიუჯეტო საქმის ცენტრალიზაცია და თანდათან იზღუდება ადგილობრივი ორგანოების უფლებები. ლენინი ამბობდა:

„კაპიტალიზმის მიერ საწარმოო ძალთა ფართოდ და სწრაფად განვითარება მოითხოვს დიდ, სახელმწიფოებრივად შეკავშირებულ და გაერთიანებულ ტერიტორიებს, და მხოლოდ ასეთ ტერიტორიებზე, მოსპობს რა ყოველგვარ ძველ, შუასაუკუნეობრივ, წოდებრივ, ვიწრო-ადგილობრივ, წვრილ ეროვნულ სარწმუნოებრივ და სხვ. ზღუდეებს, შესძლებს შეკავშირებას ბურჟუაზიის კლასი, — და მასთან ერთად მისი აუცილებელი ანტიპოდიც—პროლეტარების კლასი"[1].

თვითმმართველობის ორგანოები ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის აპარატია.

ამიტომ, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ფინანსები მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში წარმოადგენს მშრომელთა გადამეტებული ექსპლოატაციის მიჩქმალვის ერთ-ერთ საშუალებას. ადგილობრივი ფინანსების, ე. ი. საქალაქო ხარჯთა და შემოსავალთა და საერობო ხარჯთა, გამოსაღებთა და ბეგარათა სახელმწიფო ფინანსებისაგან გამოცალკევება და რიგ შემთხვევებში ფორმალური ავტონომია მთავრობას უადვილებს დამალოს ხარჯთა არაწარმოებლური ხასიათი და გამოსაღებთა და ბეგარათა დიდი ტვირთი, რომლის მოსახლეობაზე დაკისრება თითქოს ადგილობრივი „თვითმმართველობის" ორგანოების კომპეტენციაში შედიოდა და არა ცენტრალური ხელისუფლებისა. ამით ეს უკანასკნელი ახერხებს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგინოს შემცირებული სახით. მაგრამ ამ ორ დარგს — სახელმწიფო და ადგილობრივ ფინანსებს შორის იმპერიალიზმის პირობებში პრინციპული განსხვავება არ არსებობს. ადგილობრივი „თვითმმართველობის" ორგანოები წარმოადგენდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. მასების დაჩაგვრაში ისინი ფუნქციებს ინაწილებენ და ერთმანეთის საქმეს აგრძელებენ. ამიტომ იმპერიალიზმის ფინანსების ბურჟუაზიული თეორიები ეხება როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ფინანსებს.

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხებზე, თხზ., ტ. 20, 1951, გვ. 38.

თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე

ევროპის ეკონომიკური თანაერთობის (საერთო ბაზრის) ფინანსური პრობლემები. განიარაღება და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები

I. ევროპის ეკონომიკური თანაერთობის (საერთო ბაზრის) ფინანსური პრობლემები

1. ეკონომიკური ინტეგრაცია

ეკონომიკური რეგულირების საერთაშორისო ფორმებს შორის აღსანიშნავია ეკონომიკური ინტეგრაცია.

ინტეგრაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს აღდგენას, ნაწილების მთელად გაერთიანებას.

ეკონომიკური ინტეგრაცია ნიშნავს რიგ ქვეყნების გაერთიანებას მეურნეობრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე.

ინტეგრაციის დაბალ ფორმას წარმოადგენს ქვეყნების გაერთიანება თავისუფალი ვაჭრობის ნიადაგზე. სხვა მხრივ სარგებლობენ სრული დამოუკიდებლობით საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. მას უწოდებენ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ზ ო ნ ა ს.

არის მეორე, შედარებით უფრო მაღალი ფორმა — ს ა ბ ა ჟ ო კ ა ვ შ ი რ ი. აქ არა მარტო საგარეო ვაჭრობის შეზღუდვაა მოხსნილი, არამედ წარმოებს საერთო-საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა.

ეკონომიკური ინტეგრაციის უფრო განვითარებულ ფორმას წარმოადგენს ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი კ ა ვ შ ი რ ი, რომელიც გულისხმობს არა მარტო საბაჟო კავშირს, არამედ საერთო-საშინაო ეკონომიკურ პოლიტიკასაც. აქ მოქმედებენ ზენაციონალური ეკონომიკური ორგანოები. ზენაციონალური რეგულირება ეხება როგორც გაცვლის, ისე წარმოების სფეროს. ამისათვის გამოიყენება გაერთიანებაში შემავალი ყველა ქვეყნის საერთო-საგადასახადო პოლიტიკა და საერთო-ბიუჯეტური ბერკეტები. ეკონომიკური კავშირის პირობებში სახელმწიფო ინარჩუნებს თავის განკარგულებაში რიგ ეკონო-

მიკურ ბერკეტებს. მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტს. ინტეგრაციის მომხრენი კაპიტალისტური ქვეყნების ინტეგრაციის უმაღლეს ფორმად თვლიან პოლიტიკურ ინტეგრაციას. ეს არის გაერთიანების ისეთი ფორმა, როდესაც სახელმწიფოები ფაქტიურად ერთ სახელმწიფოდ ერთიანდებიან.

კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის დიდი წინააღმდეგობის გამო ინტეგრაცია მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის მასშტაბით შეუძლებელია. ის შეუძლებელია ყველა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის მასშტაბითაც კი.

პრაქტიკაში განვითარდა რეგიონალური ეკონომიკური დაჯგუფებანი.

ვ. ი. ლენინი თავის დროზე წერდა: რა თქმა უნდა, შესაძლებელია დროებითი შეთანხმებანი კაპიტალისტებს შორის და სახელმწიფოებს შორის. ამ აზრით შესაძლებელია ევროპის შეერთებული შტატებიც, როგორც ევროპის კაპიტალისტების შეთანხმება... რაზე? მხოლოდ იმაზე, როგორმე ერთად დათრგუნონ სოციალიზმი ევროპაში, ერთად დაიცვან ნაძარცვი კოლონიები...[1]".

ამა თუ იმ ზომით ეს დღევანდელ ვითარებასაც ეხება, რამდენადაც დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის ხასიათი არ შეცვლილა.

2. საერთაშორისო მონოპოლიების ახალი ტიპი

საერთაშორისო მონოპოლიების ახალ ტიპს წარმოადგენს შერეული საერთაშორისო მონოპოლიები, რომლებშიც კერძოსთან ერთად დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოს კაპიტალიც. ამის საილუსტრაციოდ შესაძლებელია დავასახელოთ ევროპაში ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებთან დაკავშირებით წარმოშობილი „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება", „ევრატომი" და სხვ.

„ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება" არის ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის საერთაშორისო სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური ორგანიზაცია. ის აერთიანებს გფრ, საფრანგეთს, ბელგიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგს, იტალიას. ეს გაერთიანება დაარსებულია 1952 წელს 50 წლის ვადით.

გაერთიანების მონაწილეთა შორის ვაჭრობაში შექმნილია ქვანახშირის, რკინის მადნისა და ლითონის პროდუქციის საერთო ბაზარი.

---

[1] ვ. ი. ლენინი, ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ, თხზ., ტ. 21, 1951, გვ. 416 — 417.

ყველა ბაჟი და რაოდენობრივი შეზღუდვა მოხსნილია. იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც გაერთიანებაში არ შედიან, შემოღებულია ერთიანი ბაჟები.

გაერთიანების სახსრები შედგება მონაწილე ქვეყნების ქვანახშირისა და მეტალურგიის კომპანიებზე შეწერილი გადასახადებისგან. სესხებისგან და საჩუქრებისგან. სახსრების დიდი ნაწილი იხარჯება მსხვილი კომპანიებისათვის კრედიტების მიწოდებაზე კაპიტალდაბანდებისათვის.

გაერთიანების მმართველობის სისტემა ევროპული ეკონომიკური თანაერთობის (საერთო ბაზრის) სისტემისა და ევრატომის ანალოგიურია. ამ სამი ორგანიზაციისათვის საერთოა ასამბლეა („ევროპის პარლამენტი"), მინისტრთა საბჭო, ევროპის თანაერთობის კომისია (ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო), სასამართლო (არბიტრაჟი).

„ევრატომი" არის ატომური ენერგიის ევროპის თანაერთობა რომის ხელშეკრულების თანახმად, დაარსებული 1958 წელს. აერთიანებს საფრანგეთს, გფრ-ს, იტალიას, ბელგიას, ნიდერლანდებს და ლუქსემბურგს.

ატომური ენერგიის დარგში მონაწილე სახელმწიფოთა საქმიანობის კოორდინაციის მიზნით „ევრატომი" მიზნად ისახავს საკვლევ სამუშაოთა ორგანიზაციას, ტექნიკური ინფორმაციის გაცვლას, კაპიტალდაბანდებათა წახალისებას, ნედლეულით მომარაგებას, საერთო ბაზრის შექმნას, ევაჭრობაში ბაჟების გაუქმებას მონაწილეთა შორის და მათ უნიფიკაციას მესამე ქვეყნებთან ევაჭრობაში კაპიტალების, მუშაძალის, სპეციალისტებისა და სხვა თავისუფალ გადასვლა-გადმოსვლას.

„ევრატომს" შეთანხმებები აქვს აშშ-თან, რომლისაგანაც ღებულობს ნედლეულს.

ეს მონოპოლიები ინაწილებენ ბაზრებს, ქმნიან სხვადასხვა ორგანიზაციებს, აქვთ შეთანხმებები მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გაყიდვის შესახებ. ამ საერთაშორისო მონოპოლიებს აქვთ ერთი ცენტრი, რომელიც აკოორდინირებს კაპიტალისტური მსოფლიოს სხვადასხვა რაიონებში მოსაქმე მათ ქვემდებარე საწარმოებს.

საერთაშორისო მონოპოლიები ობიექტურად ხელს უწყობენ საერთაშორისო კავშირების განვითარებას, მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გავრცელებას. მაგრამ მათ მოაქვთ ბევრი მავნეობა. ისინი თავიანთი ქვეყნის კრიზისების უარყოფით შედეგებს ინაზღაურებენ სხვა ქვეყნების ხელსაყრელი კონიუნქტურით, იპყრობენ მათ ადგილობრივ ფინანსურ ბაზრებს. ამგვარი წარმოების სა-

ერთაშორისო კონცენტრაცია კიდევ უფრო ამწვავებს კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობებს.

იმპერიალისტური ინტეგრაციის საფუძველზე დასავლეთ ევროპაში შექმნილია ორი ეკონომიკური დაჯგუფება: 1. ევროპის ეკონომიკური თანაერთობა და 2. თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია.

ბ. ევროპის ეკონომიკური თანაერთობა

ევროპის ეკონომიკური თანაერთობა ან, როგორც სხვანაირად უწოდებენ, „საერთო ბაზარი" არის საერთაშორისო სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური გაერთიანება, რომელიც არსებობს 1958 წლის 1 იანვრიდან. „საერთო ბაზრის" ხელშეკრულება დაიდო რომში. მას ხელი მოაწერა უქვსმა ქვეყანამ: გფრ-მ, საფრანგეთმა, იტალიამ, ბელგიამ, ნიდერლანდიამ და ლუქსემბურგმა. ის ითვალისწინებს გარდამავალ პერიოდში 12—15 წლის განმავლობაში შექმნას საქონლის, კაპიტალისა და მუშაძალის საერთო ბაზარი. უნდა დაწესდეს ექვს ქვეყანაში კონკურენციისა და გადასახადების ერთნაირი პირობები, საერთო პოლიტიკა სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ვალუტისა და ფინანსების დარგში, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაში. ხელშეკრულება ითვალისწინებს აგრეთვე საერთო პოლიტიკას სოციალურ და ზოგიერთ სხვა საკითხებშიც.

ეს გეგმები ნაწილობრივ განხორციელებულია. საერთო ბაზრის მონაწილეთა შორის გაუქმებულია საბაჟოები და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონელთა უმრავლესობის იმპორტისა და ექსპორტის რაოდენობრივი შეზღუდვა. საერთო ბაზრის არამონაწილე ქვეყნების სამრეწველო საქონელთა იმპორტზე დაწესებულია ერთიანი ბაჟები 1957 წლამდე არსებული ნაციონალური ბაჟების საშუალო არითმეტიკულის ოდენობით. სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ბაჟები ძირითადად შეცვლილია კომპენსაციური მოსაკრებლებით — ეს არის სხვაობა შინაგანსა და მსოფლიო ფასებს შორის. საერთო ბაზრის ფარგლებში შემოღებულია ერთიანი საბაზრო ფასები სასოფლო-სამეურნეო საქონელთა უდიდეს ნაწილზე და საერთო აგრარული პოლიტიკის დაფინანსების თანაზიარი სისტემა.

ხელშეკრულების მრავალი სხვა დადგენილება უმთავრესად არ არის განხორციელებული მონაწილეთა შორის რთული და წინააღმდეგობრივი ურთიერთობისა და მსოფლიო ბაზრის პირობების გამო. ეს თანაერთობა კარჩაკეტილ დაჯგუფებას წარმოადგენს. მისი საქმი-

ანობა მიმართულია არა მარტო კაპიტალისტური კონკურენციის წინააღმდეგ, არამედ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგაც.

საერთო ბაზარში, რომელსაც ჰყავს ექვსი სრულუფლებიანი მონაწილე, შეთანხმების საფუძველზე შედის აგრეთვე შეზღუდული ფორმის მონაწილეობა „ასოციაციის" სახით. საერთო ბაზართან ასოციაცია აქვს 20 სახელმწიფოს კავშირს. ესენი არიან საბერძნეთი, თურქეთი და აფრიკის 18 სახელმწიფო. ასოციაციის რეჟიმი ავტომატურად ვრცელდება საფრანგეთის ზღვისიქითურ დეპარტამენტებზე, ზღვისიქითურ ტერიტორიებზე და ნიდერლანდების კოლონიებზე. ასოციაციის ფარგლებში მოხსნილია საბაჟო გადასახადები და რაოდენობრივი შეზღუდვა ვაჭრობაში. ასოციაციაში გაერთიანებულ სახელმწიფოებს შეუძლიათ სავაჭრო ხელშეკრულებები დადონ მესამე ქვეყნებთანაც საერთო ბაზრის დაინტერესებულ წევრებთან კონსულტაციის შემდეგ.

ამათთვის დაარსებულია განვითარების ევროპული ფონდი.

საერთო ბაზრის უმაღლესი ორგანო ნომინალურად არის ასამბლეა — „ევროპის პარლამენტი". ის შედგება წევრ-ქვეყნების პარლამენტების წარმომადგენლებისაგან. მათ გადაწყვეტილებებს რეკომენდაციის ხასიათი აქვს. „საერთო ბაზრის" ძირითად ორგანოს წარმოადგენს საბჭო, რომელიც შედგება ყველა ქვეყნის სამინისტროების წარმომადგენლებისაგან — თითო ქვეყნიდან თითო; გფრ-ს, საფრანგეთსა და იტალიას საბჭოში აქვთ ოთხ-ოთხი ხმა, ბელგიასა და ნიდერლანდებს ორ-ორი, ლუქსემბურგს — ერთი. საბჭოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვან საკითხებში მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, დანარჩენ საკითხებში საჭიროა უბრალო ან კვალიფიციური უმრავლესობა.

საერთო ბაზრის მთავარი აღმასრულებელი ორგანოა კომისია, რომელიც შედგება 14 წევრისაგან. იგი წარმართავს თანაერთობის მთელ მუშაობას, თვალყურს ადევნებს ხელშეკრულებისა და გადაწყვეტილებათა შესრულებას.

საბჭოსა და კომისიის დადგენილება სავალდებულოა თანაერთობაში შემავალი ყველა ქვეყნისათვის. საერთო ბაზარს აქვს არბიტრაჟის ორგანო — სასამართლო. საერთო ბაზართან არსებობს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რომელიც შედგება მონაწილე ქვეყნების საქმიანი წრეებისა და პროფკავშირთა წარმომადგენლებისაგან. მას კონსულტატური ხასიათი აქვს.

თანაერთობის ფარგლებში დაარსებულია ევროპის საინვესტიციო ბანკი ჩამორჩენილი რაიონების განვითარების დასაფინანსებლად, რომელიც სპეციალურ სესხებს გასცემს.

ასამბლეა, საბჭო და სასამართლო ერთდროულად არიან ევროპის თანაერთობის ორგანოები ატომის ენერგიის, ქვანახშირისა და ფოლადის ევროპულ გაერთიანებაში.

საერთო ბაზრის შტაბ-სადგომი არის ბრიუსელში.

4. თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაცია

მეორე ეკონომიკურ დაჯგუფებას ევროპაში წარმოადგენს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ე ვ რ ო პ ი ს ა ს ო ც ი ა ც ი ა. იგი შექმნილია ინგლისის მიერ საერთო ბაზრის დაჯგუფების დასაპირისპირებლად და წარმოადგენს საეაკრო ბლოკს. ასოციაცია დაარსდა 1960 წელს. მასში შედის შვიდი სახელმწიფო: ავსტრია, ინგლისი, დანია, ნორვეგია, პორტუგალია, შვეიცარია და შვეცია. 1961 წელს მას შეუერთდა ფინეთი როგორც ასოცირებული წევრი.

ასოციაციის მონაწილეთა შორის მოხსნილია საბაჟოები და ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვა ყველა სამრეწველო და ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო საქონელზე. კონვენცია კრძალავს საქონელთა დაბეგვრას შინაგანი გადიდებული გადასახადებით, რომელიც შემოიზიდება ასოციაციაში შემავალი სახელმწიფოებიდან.

ასოციაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს საბჭო, რომელიც შედგება მინისტრების ან დელეგაციათა მუდმივი მეთაურებისაგან.

„საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის საკითხი მრავალჯერ დაისვა. ბრიტანეთის კონსერვატორები ამას დიდად ეცადნენ, მაგრამ ვერ განახორციელეს. ინგლისელებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ „საერთო ბაზართან“ შეერთება ახალი სიძნელეებით ემუქრება ქვეყნის ფინანსებს, ეკონომიკას. არც „საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნებმა არ იციან რას მოუტანს „საერთო ბაზარს“ ინგლისის შეერთება. ეცადნენ, რომ გფრ-ს ერთგვარი დაწოლა მოეხდინა საფრანგეთზე, რომელმაც რამდენჯერმე შეუშალა ხელი ინგლისის მიღებას „საერთო ბაზარში“. ინგლისის პრემიერმა აგრძნობინა მათ, რომ, თუ ინგლისი არ იქნება მიღებული „საერთო ბაზარში“, ნაწყენი დარჩება შეერთებული შტატები. მეორეც, არ უნდა დაივიწყონ ინგლისის მეგობრობა „საბჭოთა საშიშროების“ წინააღმდეგ. მაგრამ ინგლისს ვერ უშველა ამ არგუმენტებმა და ის დღესაც არ არის „საერთო ბაზრის“ წევრი.

1970 წლიდან მოყოლებული „საერთო ბაზარში“ შესვლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სკანდინავიის ქვეყნებიც: ნორვეგია, დანია, შვეცია. მაგრამ ესეც კრახით დამთავრდა, ამ გაერთიანებაში შესვლა დიდ საფრთხეს უმზადებს ნორვეგიის სოფ-

ლის მეურნეობას და მეთევზეობას. ნორვეგიის საზოგადოებრიობა „საერთო ბაზართან“ გაერთიანების წინააღმდეგია.

სასარგებლო არ იქნება „საერთო ბაზარში“ შესვლა არც დანიისა და შვეციისათვის, თუმცა ამაზე ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ. დანიაში ჭარბობს წვრილი და საშუალო საწარმონი, რომელთაც „საერთო ბაზარში“ შესვლის შემდეგ მოელის შთანთქმა მონოპოლიების მიერ. ამიტომ ისინი, ცხადია, ამის მომხრე არ არიან. შვეცია ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობის მომხრეა. ინტეგრაციის განვითარება „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში. განსაკუთრებით ვალუტურ-ეკონომიკური კავშირის შექმნა, პოლიტიკური გაერთიანების ტენდენცია შვეციას აფიქრებინებს გამორიცხოს შესაძლებლობა ამ კავშირში შესვლისა.

საზოგადოებრიობა, რომელსაც არ სურს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრობა, წინააღმდეგია იმ ქვეყნების მონოპოლიური გაერთიანებებისა, რომლებიც მოითხოვენ „საერთო ბაზარში“ შესვლას.

ევროპის ეკონომიკურმა თანაერთობამ აწარმოვა მოლაპარაკება აშშ თანაბარი პარტნიორობის პოზიციის შესახებ. ამის უფლებას მას ანიჭებდა ის, რომ „საერთო ბაზარი“ დიდი სავაჭრო პარტნიორია მსოფლიოში. მისი ექსპორტ-იმპორტი ორჯერ აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტ-იმპორტს.

აშშ-მა მოითხოვა, რომ „საერთო ბაზარი“ ამერიკის ექსპორტისათვის ღია და უფრო მისადგომი უნდა ყოფილიყო, ვიდრე წინათ. ეს ქვეყანა, რომელსაც წინათ ეშინოდა საბაჟო პრეფერენციების რეგიონალური სისტემისა, ახლა ფიქრობს, რომ სატარიფო დაბეგვრის თანასწორობა ოპტიმალურ პირობებს ქმნის მისი კომერციული ექსპანსიისათვის საზღვარგარეთ. ის არ კმაყოფილდება „ატლანტიკური სივრცით“ (ამერიკა და ევროპა) და ცდილობს ჩაითრიოს იაპონია და ავსტრალიაც. ამგვარად, ევროპა აღმოჩნდება ამ დიდ კავშირში, რომლის ცენტრი იქნება შეერთებული შტატები. ევროპა, ცხადია, ამ ტრანსოკეანის სივრცეში დაკარგავს ავტონომიას და თავის ეკონომიკურ ინდივიდუალობას.

ევროპის ეკონომიკური თანაერთობის (ეეთ) ტიპის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ გაერთიანებათა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები ემსახურება მოცემული ქვეყნების მონოპოლიების პოზიციების განმტკიცებას სხვა ქვეყნის მონოპოლიებთან საბრძოლველად. თანაერთობის ბაზრებზე უპირატესობა აქვთ მონაწილე ქვეყნების მონოპოლიებს. დასავლეთ ევროპაში ინტეგრაციული პროცესები განსაკუთრებით გამოწვეულია დიდი წინააღმდეგობით,

რომელიც შეიქმნა, ეროი მხრივ, წარმოების ინტერნაციონალიზაციის ზრდისა და, მეორე მხრივ, ცალკეული ბურჟუაზიული სახელმწიფოების არსებობით, რომელთა შორის კონკურენცია მწვავდება ინტერნაციონალური და ნაციონალური წარმოების ინტერესთა შეჯახების ნიადაგზე. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მცირე ტერიტორია შემზღუდველია მწარმოებლურ ძალთა გაშლისათვის განვითარების დღეანდელ საფეხურზე. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტეგრაცია გამოწვეულია აგრეთვე იმითაც, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმის პოზიციები შესუსტებულია მეორე მსოფლიო ომის შედეგად. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს სურთ ინტეგრაციით გაამაგრონ პოზიციები ამერიკის კაპიტალის წინააღმდეგ.

დასავლეთ გერმანიის პოლიტიკოსების აზრით, ექვსეულთა „საერთო ბაზარს" შეუძლია ისეთივე როლი შეასრულოს „ევროპის შეერთებული შტატების" შექმნაში, როგორიც გერმანიის სახელმწიფოთა საბაჟო კავშირმა შეასრულა ერთიანი გერმანიის შექმნაში.

ი. ვაინერი თავის შრომაში „საბაჟო კავშირის შესახებ" ორად ყოფს საბაჟო კავშირის შექმნის შემდეგ ვაჭრობაში მოსალოდნელ ცვლილებებს: 1. ახალი სავაჭრო კავშირების შექმნა კავშირის შიგნით, რომელსაც შეუძლია უფრო ძვირად ღირებული პროდუქციის იმპორტი შეცვალოს მესამე ქვეყნებიდან იმპორტით და 2. შეუძლია გამოიწვიოს ძველი სავაჭრო კავშირების შეცვლა, როდესაც არსებული იმპორტი კავშირის არამონაწილე ქვეყნიდან შეიცვლება იმპორტით კავშირის წევრ-ქვეყნიდან. ახალი კავშირების შექმნა მართლა გაზრდის სიმდიდრეს, თუ ძვირადღირებული წარმოება შეიცვლება უფრო ეკონომიურით. ძველი სავაჭრო კავშირების შეცვლა, პირიქით, შეამცირებს სიმდიდრეს, ვინაიდან წინათ, როდესაც ყველასთვის არ იყო ერთიანი ტარიფი, იმპორტიორი უფრო იაფფასიან საქონელს ყიდულობდა არაკავშირის წევრ-ქვეყნებიდან.

საერთოდ, საბაჟო ბარიერების მოხსნა „საერთო ბაზრის" შიგნით ხელს უწყობს წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაძლიერებას კავშირში შემავალ ქვეყნებს შორის, რაც მწარმოებლურ ძალთა განვითარების ერთ-ერთი ფაქტორია.

მეორე მხრივ, ევროპის ეკონომიკური თანაერთობის საბაჟო პოლიტიკა იწვევს წინააღმდეგობათა გამწვავებას მსოფლიო ბაზარზე.

არაპირდაპირი პროტექციონიზმის განვითარება თანაერთობაშია. ინტეგრაცია არ სპობს წინააღმდეგობებს ეკონომიკურ დაჯგუფებაში შემავალ ქვეყნებს შორის. მათი ნაციონალური მეურნეობა არ ითქვიფება თანაერთობაში. ამ ქვეყნების არათანაბარზომიერი ეკონომიკური განვითარება ამწვავებს წინააღმდეგობებს მათ შორის.

თითოეული ცდილობს შეინარჩუნოს პოლიტიკური ხელისუფლება თავის შინაგან ბაზარზე.

1944 წლის ბრესტონ-ვუნდსკის შეთანხმებათა შესაბამისად ამერიკული დოლარი კაპიტალისტური სამყაროს ფინანსური ბაზრისათვის დღევანდლამდე ოქროს თანაბრად საბაზისო ვალუტად რჩება. ეს გამოიწვია იმან, რომ მეორე მსოფლიო ომმა დიდად დააზარალა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და იაპონია, ხოლო აშშ პირიქით — გამდიდრდა ამ ომში.

შემდგომში, როდესაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და იაპონია მოღონიერდნენ, აშშ კი ჩაება გახანგრძლივებულ ომში და ეწევა გამალებულ შეიარღებას, დოლარის სიმტკიცე შეირყა. დოლარი, მართალია, ფორმალურად ისევ ოქროსთან არის გათანაბრებული, მაგრამ ის ოქროზე უკვე აღარ იცვლება. მისი ფაქტიური ღირებულება გაცილებით დაბალია.

აშშ სამხედრო ხარჯები დიდდება, ამასთან დაკავშირებით ბიუჯეტური დეფიციტები მილიარდობით იზრდება, რაც თავის გამოხატულებას პოვებს საგარეო ეკონომიკურ და ფინანსურ ურთიერთობაში. აშშ საგადამხდელო ბალანსი გახდა ქრონიკულად დეფიციტური. ამის გამო კაპიტალისტური ქვეყნები ბრესტონ-ვუნდსკის შეთანხმების საფუძველზე ინაწილებენ ზარალს, რასაც იწვევს დოლარის გაუფასურება. აშშ-ში საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი დაგროვდა და 30 მილიარდ დოლარს აღემატება, ოქროს მარაგი კი შემცირდა. ამიტომ მათ გადაწყვიტეს ინფლაციის შედეგები სხვას გადააკისრონ.

1970 წლის დეკემბრის დასაწყისში გფრ ფედერალური ბანკი იძულებული შეიქნა შეეძინა 4 მილიარდი მარკის დოლარები. საერთოდ დასავლეთის ბანკები ვალდებული არიან შეიძინონ საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე გამოსული დოლარების 10 პროცენტი.

ვინაიდან ეშინიათ ასეთი ვალუტის დაგროვება, ფინანსისტებმა შექმნეს ე. წ. „ევროდოლარის" ბაზარი. ეს არის დასავლეთ ევროპაში კაპიტალების შინაგანი ბაზარი, რომელიც ფინანსდება დიდ ნაწილში იმ დოლარების ანგარიშით, რომლებიც კერძოთა ხელში იმყოფება. ამ ბაზარზე ხდება ამერიკული დოლარების კოტირება. რომელთა ოქროდ გადაქცევა შეუძლებელია. სარეზერვო ვალუტად შენახვა სარისკოა. ამ წყაროდან აძლევენ სესხს ამერიკულ კორპორაციებს. ინგლისელი ეკონომისტების გამოანგარიშებით დასავლეთ ევროპაში ამერიკის კაპიტალდაბანდებათა 90% ევროპის წყაროებით ხდება.

აშშ მონოპოლიებმა ხელთ ჩაიგდეს ინგლისში ნავთის გადამუშავების, ავტომობილის, ფარმაცევტული მრეწველობის ნახევარი. დასავლეთ ევროპაში ისინი კონტროლს უწევენ საანგარიშო-გამომთვლელი მანქანების წარმოების 80%-ს, ნახევრად გამტარების — 50%-ს, სამომხმარებლო საქონლის — 15%-ს [1].

აშშ ფარგლებს გარეთ გასულია 15 მილიარდზე მეტი დოლარი, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფოები ინახავენ როგორც რეზერვს და აგრეთვე 40 მილიარდი „ევროდოლარი". აშშ ოქროს მარაგი არ აღემატება 12 მილიარდს.

„საერთო ბაზრის" მონაწილენი მწვავედ განიცდიან იმ საფრთხეს, რომელიც მათ მოელის. ამიტომ დაიბადა მეორე სავალუტო პოლუსის შექმნის აზრი, რომელიც გაათავისუფლებდა მათ დოლარისაგან.

ევროპის ასეთი ვალუტური ინდივიდუალობის შექმნა მოითხოვს „საერთო ბაზარს", მონაწილე ქვეყნების ნაციონალური სუვერენიტეტის გაუქმებას. უნდა შეიქმნას ზედნაციონალური ხელისუფლება— ევროპის შეერთებული შტატების ხელისუფლება. ეს აისახა ვერნერის ჯგუფის გეგმაში, რომელიც მოითხოვს ეკონომიკურ და ვალუტურ კავშირს.

„საერთო ბაზრის" დასრულებისათვის გამოიმუშავება რთული შეთანხმება ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკის დაფინანსების შესახებ.

„საერთო ბაზრის" გასაფართოებლად დაიწყეს მოლაპარაკება ინგლისთან და თავისუფალი ვაჭრობის ზონის წევრებთან, რომ ისინიც შევიდნენ ევროპის ეკონომიკურ თანაერთობაში.

მესამე მოთხოვნა არის ამ თანაერთობის გაღრმავება, რაც უნდა მოხდეს ეკონომიკური და ვალუტური კავშირის შექმნით. ეს იქნება პოლიტიკური კავშირის განვითარების ფერმენტი.

ვალუტური კავშირი ევროპის ეკონომიკური კავშირის შიგნით გულისხმობს ვალუტის სრულ არაშექცევად კონვერტირებას. ნაციონალური ფულადი ნიშნები შესაძლებელია დარჩეს, მაგრამ პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მოსაზრებები მოითხოვენ ერთიანი ვალუტის შექმნას. ამისათვის ევროპის ეკონომიკურ თანაერთობას დასჭირდებოდა ორი ორგანო: ცენტრი, რომელიც მიიღებდა გადაწყვეტილებებს ეკონომიკური პოლიტიკის დარგში და სისტემა, რომელიც გააერთიანებდა ცენტრალურ ბანკებს.

ეკონომიკური და ვალუტური კავშირის შექმნა მოითხოვს პოლიტიკურ გაერთიანებას, კავშირში შემავალ სახელმწიფოთა ეკონო-

---

[1] «Правда», № 36, 15.II, 1971.

მიკურ და ბიუჯეტურ თანამშრომლობას. ასეთი ორგანო იქნება რეალური, თუ მას ექნება იძულებითი ხასიათი, თუ ექნება ნაციონალურ ეკონომიკასა და ნაციონალურ ბიუჯეტზე თანაერთობის კონტროლის უფლება.

მოითხოვენ შეიქმნას რაღაც ზედნაციონალური ორგანო ევროპის შეერთებული შტატების მსგავსად, რომლის სატახტო ქალაქი იქნება ბრიუსელი. ამის პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელი ხდება. ეს ხელს აძლევს აშშ-ს, მაგრამ არა დასავლეთ ევროპის ნაციონალურ სახელმწიფოებს.

„საერთო ბაზრის" ქვეყნებს შორის არის ფინანსური წინააღმდეგობანი გადასახადების უნიფიკაციის, ბიუჯეტების მოცულობათა ნიველირების, ბიუჯეტურ ხარჯთა სხვადასხვა მუხლების შეფარდებათა გათანაბრებისა და სხვ. საკითხებში.

ასოცირებული ქვეყნებისათვის დაწესებული ფონდი არის ევროპის ეკონომიკური თანაერთობის მონოპოლიათა განმტკიცების საშუალება. ამ მოკავშირე ქვეყნების სახელმწიფო კრედიტი გამოყენებულია განვითარებადი ქვეყნების საექსპლოატაციოდ.

ევროპის ეკონომიკური თანაერთობის ფინანსური პოლიტიკა ამძიმებს „საერთო ბაზრის" მონაწილე ქვეყნების მშრომელთა მდგომარეობას. ეკონომისტები ანგარიშობენ, რომ მშრომელთა ოჯახი „ექვსეულთა" სახელმწიფოებში კვებისათვის თავისი ბიუჯეტის გაცილებით მეტ წილს ხარჯავს, ვიდრე ათი წლის წინათ. ამასთანავე, ამგვარი გაერთიანება კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის დაქვემდებარებისა და ექსპლოატაციის გარეშე.

II. განიარაღება და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები

1. ეკონომიკის მილიტარიზაცია

ეკონომიკის მილიტარიზაცია სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი აძლიერებს მილიტარიზმს. ქვეყნის ეკონომიკა, კულტურა, მთავრობა სულ უფრო მეტად ექვემდებარება, ეგუება ტოტალურს, შეზღუდულს ან ცივ ომებს, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით განუწყვეტლივ წარმოებს. ამიტომ სამხედრო უწყება გადაიქცა ყველაზე დიდ, მძლავრ და მნი-

შვნელოვან დაწესებულებად. ის მთავრობის საქმიანობის ყველაზე უფრო ძვირადღირებული დარგი გახდა. ამას აძლიერებს ომის მუდმივი საფრთხე და მოსალოდნელობა. დღეს სახელმწიფოს ყველა ღონისძიება სამხედრო თვალსაზრისით განიხილება. აშშ არც ერთი პოლიტიკური საკითხი არ შეისწავლება სამხედრო ხელმძღვანელობის გარეშე. სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარზე მეტს სამხედრო ხელმძღვანელობა უწევს კონტროლს. მას აქვს უძლიერესი ორგანიზაცია, დიდი სამხედრო აპარატი. მცირეოდენთა ხელში თავმოყრილია უდიდესი ხელისუფლება. ისინი მრეწველობას აძლევენ ისეთ შეკვეთებს, რომელთაც შეუძლია ახალი სამრეწველო უბნები შექმნან ან წინანდელებს მნიშვნელობა დაუკარგონ.

სამხედრო ხარჯები გავლენას ახდენენ ეკონომიკასა და კაპიტალისტური აღწარმოების პროცესზე. აშშ, როგორც ამერიკელი ფიზიკოსი რალფ ლეპი აღნიშნავდა, იარაღის კულტურის ქვეყნად იქცა. ამერიკის მთელი ეკონომიკა დამოკიდებულია იარაღის წარმოებაზე. შექმნილია სამხედრო-სამრეწველო აპარატის უზარმაზარი კორპორაციები, რომლებიც დაწოლას ახდენენ მთავრობაზე, კონგრესზე, პენტაგონზე. მთავრობის უზარმაზარი ფონდები იხარჯება ქვეყნის ყველა უნივერსიტეტში — სამხედრო გამოკვლევების დაფინანსებაზე. არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს ჩაბმული სამხედრო წარმოებაში იმდენი ადამიანი და მატერიალური რესურსი, რამდენიც აშშ-ს. თავისუფალი მეწარმეობის ქვეყანა იარაღების წარმოებამ გადააქცია ისეთ ქვეყნად, სადაც ქვეყნის კეთილდღეობა იარაღების დაგროვებასა და სამხედრო ტექნიკის განვითარებაზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში აშშ-მა შეიარაღებაზე დახარჯა ერთ ტრილიონ დოლარზე მეტი[1].

უზარმაზარ სამხედრო ორგანიზაციას და დიდ სამხედრო მრეწველობას ყოვლისშემძლე გავლენა აქვს ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და ხალხის სულიერ კულტურაზე. ის ერთგვარად აპირობებს საზოგადოებრივ სტრუქტურასაც. ცხადია, ეკონომიკის მილიტარიზაცია ღრმა ზეგავლენას ახდენს კაპიტალისტური აღწარმოების მთელ მსვლელობაზე. ის ზეგავლენას ახდენს აღწარმოების ნივთობრივ პროპორციასა და აგრეთვე რეალიზაციის პირობებზე. მილიტარიზაცია თავის მხრივ ხელს უწყობს სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური ფორმების განვითარებას.

შეიარაღებით „აყვავების" დოქტრინამ განიცადა კრახი, რომელ-

---

[1] სატერდეი ივნინგ პოსტ. 15 ივნისი 1968 წ. (США: от «Великого» к большому... 1969, стр. 426).

ეც ამტკიცებდა, რომ სამხედრო სამრეწველო კომპლექსი ეს ისეთი ძალაა, რომელიც აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე დიდ გავლენას მოახდენსო. ნამდვილად აშშ-ის ეკონომიკა ვითარდებოდა ცალმხრივად. სამხედრო ტექნიკას კი ავითარებდა, მაგრამ სამოქალაქოს — მხოლოდ ნაწილობრივ; სავაჭრო გემების მშენებლობის ტექნიკა ჩამორჩა და მსოფლიო გემთმშენებლობაში წამყვანი ადგილი აღარ უჭირავს. აშშ დაზგების მოდერნიზაციაშიც უკანასკნელ ადგილზე გადავიდა სხვა ზოგიერთ სამრეწველო ქვეყანასთან შედარებით. რიგ ქალაქებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჩამორჩა და სხვ. მილიტარიზმი ხელს უწყობს ქვეყნის მწარმოებლური ძალების განიავებას.

უზარმაზარი სამხედრო მანქანის შექმნით და „იარაღის ყღარუნით" ამერიკელი მილიტარისტები ფიქრობდნენ მსოფლიოს დაშინებას. სინამდვილეში კი გამომჟღავნდა იმპერიალიზმის მხოლოდ ლპობა და მისი ისტორიული განწირულობა.

2. სამხედრო ხარჯების ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

აშშ-ის სამხედრო ხარჯები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდი მასშტაბით გაიზარდა. ჟურნალი „ნიუ რიპაბლიკი" 1968 წლის 28 სექტემბერს წერდა, რომ „ფედერალური ბიუჯეტის 60%-ზე მეტი მოდის თავდაცვის, კოსმოსის გამოკვლევისა და საერთაშორისო საქმეებზე. ამას თუ დავუმატებთ სარგებლის გადახდას (ძირითადად სესხების, რომლებიც გამოშვებულია გასული „ცხელი" და „ცივი" ომების წლებში), აგრეთვე ვეტერანებისათვის დახმარებებს, მაშინ აღმოჩნდება, რომ აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის 77% იხარჯება ყველა სახის — წარსულ, ახლანდელ და მომავალ ომებზე" [1].

აშშ-ის შეიარაღებული ძალები პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ სამ ქვეყანაში, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში — 39 ქვეყანაში, ახლა კი 64 ქვეყანაში.

კაპიტალებისა და ტექნიკური პერსონალის სამხედრო დარგში თავმოყრის გამო აშშ-ის მრეწველობამ დაკარგა თავისი კონკურენტუნარიანობა არა მარტო მსოფლიო ვაჭრობაში, არამედ შიგნითაც.

---

[1] США: от «Великого» к больному..., стр. 428.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აშშ-ის სამხედრო ხარჯები გაიზარდა მილიონ დოლარობით:

1950 წ.	13 018	1966 წ.	56 785
1953 წ.	50 442	1967 წ.	70 081
1960 წ.	45 908	1968 წ.	80 516
1965 წ.	49 578	1969 წ.	80 999

აქ გათვალისწინებულია ხარჯები შეიარაღებული ძალების პერსონალის შესანახად და სამხედრო ტექნიკის შესაძენად. ამ ხარჯებში არ არის შეტანილი აეროკოსმოსურ და სამხედრო მრეწველობასთან დაკავშირებული გამოკვლევების ხარჯები.

დღეს აშშ-ის შეიარაღებულ ძალთა რაოდენობა 3,5 მილიონს აღემატება [1].

აშშ-ის მრავალი კორპორაცია დასპეციალებულია მხოლოდ იარაღის წარმოებაში. მათი მოგება დამოკიდებულია თავდაცვის სამინისტროს მსხვილ დაკვეთებზე. ისეთი დიდი გაერთიანებანი, როგორიც არიან „ნოსტ ამერიკენ-როკუელ", „ჯენერალ დაინემიკს" ან „მაგდონელ დუგლას" მთლიანად მთავრობის შეკვეთებზე მუშაობენ იარაღების საწარმოებლად. სამხედრო მოსამსახურენი, ქვეყნის მუშაძალის 10%-ზე მეტი, საცხოვრებელ საშუალებებს ღებულობენ თავდაცვის ხარჯების ანგარიშით.

ლ. ჯონსონის პრეზიდენტობის დროს ტეხასის სამხედრო შეკვეთები გაიზარდა 460%-ით.

პირველი მსოფლიო ომის დროს შეერთებული შტატების მონოპოლიებმა მიიღეს მოგება 46 მილიარდი დოლარი, მეორე მსოფლიო ომის დროს — 123 მილიარდი დოლარი.

1965 წელს, 1961 წელთან შედარებით, ამერიკის კორპორაციების მოგება გაიზარდა 67%-ით ისე, რომ 1965 წელს მიაღწია 44,5 მილიარდ დოლარს. „ჯენერალ მოტორსმა" 1965 წელს წმინდა მოგება მიიღო 2 მილიარდი დოლარი, ავიაციის კომპანიამ „ლოკხად ეირკრაფტმა" 1961—1968 წლებში 10,6 მილიარდი დოლარის შეკვეთები მიიღო. „ლოკხიდში" მუშაობს 92 ათასი მუშა-მოსამსახურე. „ჯენერალ დაინემიკს"-მა მიიღო 8,8 მილიარდი დოლარის შეკვეთა. „მაგდონელ დუგლასის" საავიაციო კომპანია პენტაგონზე ყიდის 75% პროდუქციას. აქვე აღსანიშნავია: „იუნაიტედ ეირკრაფტ კორ-

---

[1] Historical Statistic of the United States. 1960, p. 763, Statistical Abstract of the United States, 1967, p. 262; 1968, p. 257. США: от „Великого" к большому..., стр. 429.

პერეიშნ“, „ნორტ ამერიკენ-როკუელ“, „ამერიკენ ტელეფონ ენდ ტელეგრაფ კომპანი“ და ავიაკომპანია „ბოინგი“. დიდ სამხედრო შეკვეთებს ღებულობენ ავტომობილების გიგანტები — „ფორდ მოტორ კომპანი“, „ჯენერალ მოტორსი“ და „კრაისლერი“. აშშ-ის 25 ათასი კერძო სამრეწველო საწარმო მუშაობს პენტაგონისათვის.

აშშ-ის მთავრობაში გაიზარდა ეკონომიკის მესვეურების როლი. სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ხდება კორპორაციების, სამხედროებისა და პოლიტიკური აპარატის ხელისუფლების შერწყმა.

1966 წელს შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს 200 მილიარდი დოლარის საკუთრება ჰქონდა. პენტაგონის კონტროლის ქვეშ არის ქვეყნის გარეთ 31 მილიონი აკრი მიწა. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და არმიის შეიარაღების ღირებულება შეფასებულია 87 მილიარდ დოლარად. საავიაციო მრეწველობის მოელი პროდუქციის 90%-ს ნთქავს პენტაგონი [1].

პენტაგონის სამსახურშია 4,5 მილიონი ქალი და კაცი. იგი განაგებს აშშ სიმდიდრის თითქმის 10%-ს. თავდაცვის სამინისტრო ყოველწლიურად ხარჯავს 70 მილიარდ დოლარს. აქედან დაახლოებით ნახევარი ყოველწლიურად შეკვეთებად ნაწილდება. 1967 წელს პენტაგონმა კერძო მრეწველობას შეუკვეთა 40 მილიარდამდე დოლარის პროდუქცია. ამ კერძო საწარმოებში ჩაბმულია 3 მილიონზე მეტი მუშა-მოსამსახურე.

მეტად საყურადღებო ფაქტია, რომ აშშ-ის ოთხმოცდამეათე მოწვევის წარმომადგენელთა პალატის 435 წევრიდან 360 იყო ისეთი რაიონების წარმომადგენლები, სადაც არის სამხედრო შეკვეთების შემსრულებელი კერძო ფირმები [2].

მრეწველობის სამხედრო დარგებს კაპიტალისტური სახელმწიფოს მთავრობები დიდ დახმარებას უწევენ. მათ ანიჭებენ საგადასახადო შეღავათებს, უმცირებენ გადასახადებს, აძარაგებენ ნედლეულით და სხვ.

3. სამხედრო ხარჯების დაფინანსების წყაროები და მეთოდები

კაპიტალიზმის პირობებში სამხედრო ხარჯების დაფინანსების წყაროებია, პირველ რიგში, გადასახადები, რომელთა ტვირთი უჩვეულო სიმძიმით აწვება ძირითადად მშრომელ მოსახლეობას. რო-

---

[1] Clark R. Mollenhoff, The Pentagon, N. Y., 1967, p. 10.
[2] США: от «Великого» к большому..., стр. 96—97, 100—101.

დესაც გადასახადები უკიდურესად გადიდებულია და მისი ამა თუ იმ მომენტში კიდევ უფრო გაზრდა შეუძლებელია ისე, რომ მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება და აღშფოთება არ გამოიწვიოს, სახელმწიფო მიმართავს სესხების აღებას, რომლებიც საბოლოო რიგში ისევ გადასახადებით იფარება და გადასახადურ სიმძიმეს აძლიერებს. როდესაც სესხების აღებაც გაძნელებულია, სახელმწიფო მიმართავს ქაღალდის ფულის გადიდებულ ემისიას და ინფლაცია ხდება სამხედრო ხარჯების დაფარვის წყაროდ. ეს ინფლაციაც სხვას არას წარმოადგენს, თუ არა ისევ შენიღბულ გადასახადს.

4. განიარაღების შესაძლებლობა და მისი შედეგების გავლენა კაპიტალისტური ქვეყნების ფინანსებზე

როგორც აღნიშნული იყო, მილიტარიზმის ხარჯები იწვევს ბიუჯეტურ დეფიციტებს, სახელმწიფო ვალის გადიდებას, საგადასახადო ტვირთის ზრდას, მასობრივ სიღარიბეს და სხვ. კაპიტალისტური სახელმწიფოების სამხედრო ხარჯები წელიწადში 150 მილიარდ დოლარს აღწევს. ატომური პოტენციალის გადიდებაზე ყოველწლიურად დახარჯული სახსრებით შეიძლებოდა აგებულიყო 4864 დაწყებითი სკოლა, 201 477 სახლი ან საავადმყოფო ასი ათასი საწოლით. ერთი თანამედროვე თვითმფრინავის ღირებულება ააგებდა 13 სკოლას ან 570 საცხოვრებელ სახლს. მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო მიზნებისათვის დახარჯულია ტრილიონ დოლარზე მეტი. ეს ციფრი კვლავ გაუგონრად იზრდება.

სამხედრო სამზადისი ნთქავს ადამიანთა უზარმაზარ შრომას. 20 მილიონი კაცი ეწევა სამხედრო სამსახურს. 80 მილიონი კაცია ჩაბმული სამხედრო ეკონომიკაში. მასთან აქ გამოყენებულია მაღალი კვალიფიკაციის პირები. აშშ-ის სამეცნიერო-საკვლევო ძალების 50% ომს ემსახურება.

ერთი გამანადგურებლის აგების ღირებულება დააპურებდა 20 მილიონ კაცს, ერთი ბომბდამშენის ღირებულება ააგებდა და გამართავდა 37 სკოლას. თითოეული ბალისტიკური რაკეტის ღირებულება ააგებდა 70 მრავალსართულიან სახლს. რაკეტული იარაღით აღჭურვილი ერთი კრეისერი იმდენივე ჯდება, რაც 16000 ბინის აგება.

ამერიკელი სენატორის ტაიდინგსის გამოანგარიშებით, მეორე მსოფლიო ომზე დახარჯული ფულით შეიძლებოდა მთელი მსოფლიოს ყველა ოჯახისთვის აგებულიყო ხუთოთახიანი კარგად მოწყო-

ბილი ახალი და აგრეთვე ყოველ 5-ათასკაციან ქალაქში აგებულიყო საავადმყოფო და შენახულიყო 10 წელიწადს [1].

ის ადამიანთა და მატერიალური რესურსები, რაც ომს მიაქეს, ომშეიდობიანი მიზნებისათვის რომ გამოგვეყენებინა, 25 წელიწადში გაორკეცდებოდა მსოფლიოს მოსახლეობის სიმდიდრე.

ამერიკელი ეკონომისტების კ. მარზანისა და ვ. პერლოს გამოანგარიშებით, განიარაღების შემთხვევაში შეერთებულ შტატებს შეეძლო გაეზარდა სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი, მოესპო ამერიკული ჯურღმულები [2].

ინგლისის მთავრობას სანახევროდ რომ შეემცირებინა სამხედრო ხარჯები, შეეძლო აეგო 400 ათასი სახლი, 500 კარგად გაწყობილი დაშუებითი და საშუალო სკოლა, თითოეული 600 მოწაფით, 160 კარგად გამართული საავადმყოფო, თითოეული 200 საწოლით, და 40 საავადმყოფო, თითოეული 500 ადგილით, 18 უნივერსიტეტი, თითოეული 5 ათასი სტუდენტით. საყოველთაო განიარაღების შემთხვევაში გამოთავისუფლებული სახსრების ერთი მეხუთედიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ 25 წლის განმავლობაში განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა ამაღლებულიყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მდგომარეობამდე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ზოგიერთი ბურჟუაზიული მოაზროვნე ამტკიცებს თერმობირთვული ომის სტრატეგიულ და ეკონომიკურ უპირატესობას.

ამერიკელი მეცნიერი — ატომის დარგის მუშაკი ედვარდ ტელერი, ავსტრალიელი პროფესორი ე. ტიტერტოხი და სხვ. ამბობენ, რომ ატომური ომი უფრო იაფი ჯდება. ამისათვის მათ აწარმოეს იმის გამოანგარიშება, თუ რა დაჯდება ერთი ჯარისკაცის მოკვლა ატომური და წყალბადის იარაღით და რა ჯდებოდა იგი წარსულში. მათი ანგარიშით იულიუს კეისარის დროს ერთი მებრძოლი ჯარისკაცის მოკვლაზე იხარჯებოდა საშუალოდ 75 ცენტი, ნაპოლეონის ომების დროს — 3 ათასი დოლარი, პირველი მსოფლიო ომის დროს — 21 ათასი დოლარი, მეორე მსოფლიო ომის დროს — 50 ათასი დოლარი. ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ატომური იარაღით მოკვლა ერთი ჯარისკაცისა დაჯდება უფრო იაფი, ვიდრე იულიუს კეისრის დროს. უფრო პროგრესული ტიპის რეაქტორების გამოყენებით ერთი ქალის, კაცის ან ბავშვის მოკვლა დაჯდა 2,5 პენსი.

---

[1] Финансы капит. государств, под рук. Н. А. Падейского, стр. 364—365.

[2] Марзани, В. Перло, Доллары и проблема разоружения, 1961, стр. 174.

„იაფი" ფერმობირთვული ომის კონცეფციის მომხრენი მართალი არ არიან. ისინი ანგარიშობენ ხარჯებს ერთ ჯარისკაცზე და მხედველობის გარეშე ტოვებენ იმ მილიონ ადამიანებს, რომლებიც ატომური ბომბების ცეცხლში დაიღუპება და იმ მილიარდიან ნაციონალურ სიმდიდრეს და მწარმოებლურ ძალებს, რომლებიც განადგურდება. ისინი თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ხარჯებს უდარებენ წარსული ომების ხარჯებს, სადაც სამხედრო ტექნიკა ძირითადად სპობდა მხოლოდ ჯარისკაცებს და არა საერთოდ მოსახლეობას და ნაციონალურ სიმდიდრეს ანადგურებდა ნაწილობრივ და არა საერთოდ. მხედველობის გარეშე აქვთ დატოვებული ის გარემოებაც, რომ ომის მზადებისათვის ამ ოცი წლის მანძილზე დახარჯეს თანხა, რომელიც 15-ჯერ აღემატება ინგლისისა და საფრანგეთის ნაციონალურ შემოსავალს [1]. ისინი მხედველობის გარეშე ტოვებენ იმასაც, რომ სამხედრო ტექნიკის ღირებულება შეიცავს აგრეთვე მაღალკვალიფიციურ ადამიანთა შრომის — მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და სხვ. ხარჯებს.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ შემტევი იარაღი ავითარებს თავდაცვით იარაღებსაც, რომლებიც არა ნაკლები ჯდება, თუ მეტი არა.

ეს ბურჟუაზიული თეორია ამართლებს შეიარაღებას, იწვევს საზოგადოებრივი შეგნების დეზორიენტაციას. ნამდვილად სამხედრო ტექნიკა და მისი ხარჯები, როგორც უკვე ვნახეთ, გამალებულად იზრდება და არნახულ სიდიდეს აღწევს.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები გადაჭრით გამოდიან გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის კპ XXIV ყრილობისათვის წარდგენილ ცკ ანგარიშგებითს მოხსენებაში მოტანილია მშვიდობის პროგრამა, რომელიც მოითხოვს სამხედრო ხარჯების შემცირებას, თერმობირთვული შეიარაღების მოხსნას და საერთოდ საყოველთაო განიარაღებას.

საზღვარგარეთული კომუნისტური პარტიები მოითხოვენ მასობრივი განადგურების იარაღების გამოცდის აკრძალვას და არსებული სამხედრო მარაგის განადგურებას, ყველა ქვეყნის ტერიტორიიდან ამერიკული ჯარის გაყვანას. საერთოდ მილიტარიზაციის ხარჯების შემცირებას და სულ მოხსნასაც.

ისინი მოითხოვენ მშრომელებისათვის საცხოვრებელ საშუალებათა გადიდებას ხელფასის მომატების, სამუშაო დღის შემოკლების,

---

[1] Полковник И. Гришанко, О теории «дешевой» войны («Новое время» № 22 от 28 мая 1971 г.).

საცხოვრებელ საშუალებებზე ფასების შემცირებისა და პენსიების ზრდის ხარჯზე.

კომუნისტური პარტიები მოითხოვენ ფასების შემცირებას, განათლების, მოსახლეობის ჯანმრთელობის კერების, ბინათმშენებლობის გაფართოებას და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის განვითარებას.

ისინი მოითხოვენ სახელმწიფო ვალების ანულირებას, პირველ აუცილებელ საგნებზე აქციზების მოხსნას; ნამდვილი პროგრესული საშემოსავლო გადასახადის შემოღებას და საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების ნაციონალიზაციას შეზღუდული ანაზღაურებით.

კომუნისტური პარტიები მოითხოვენ ამერიკული აგრესიის დაუყოვნებლივ შეწყვეტას ვიეტნამში, სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას და მშვიდობიანობის უზრუნველყოფას მთელ მსოფლიოში [1].

---

[1] გარდა ცალკეული თავებისათვის სქოლიოში მითითებული ლიტერატურისა, გამოიყენეთ აგრეთვე საერთოდ: 1) Н. Н. Любимов, Финансы капиталистических государств, 1956 г.; 2) Авторский коллектив под руководством Н. А. Падейского. Финансы капиталистических государств, 1967 г. და 3) ვ. ჩანტლაძე, ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები, 1966.

შინაარსი

შესავალი 3

ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები 3

I. ფინანსური კატეგორიების ადგილი კ. მარქსის ეკონომიკურ სისტემაში 3

II. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსების არსი. ფინანსური მეცნიერების საგანი 9

III. ფინანსური მეცნიერების ამოცანები 23

IV. კაპიტალისტური სახელმწიფო ფინანსების საგნის ბურჟუაზიულ განსაზღვრათა კრიტიკა 25

1. მერკანტილიზმი 25
2. ფიზიოკრატები (ფრანგული ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომია) 27
3. ინგლისური კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია 28
4. ეუნლგარიზატორი ეკონომისტები 29
5. ისტორიული სკოლა 31
6. კათედერ-სოციალიზმი 33
7. „საზღვრითი სარგებლიანობის" თეორიები 35
8. კოლექტიურ მოთხოვნილებათა თეორია 41
9. სოციალური მიმართულება 43
10. ფინანსური ტექნიკა როგორც ფინანსური მეცნიერების საგანი. 46
11. „სრული დასაქმების" თეორია 47
12. ნეოლიბერალიზმი 51
13. „ეკონომიკური ზრდის" თეორია 52
14. „ტექნოლოგიური" თეორიები 53
15. „მმართველთა რევოლუციის" ბურჟუაზიული თეორია 55
16. „სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების" თეორია 57

თავი პირველი. კაპიტალისტური სახელმწიფო ფინანსების ისტორიული განვითარება 59

I. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები მონოპოლისტურამდელი სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში 59

1. ფინანსების როლი თავდაპირველ დაგროვებაში 59
2. სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის ფინანსების დამახასიათებელი ნიშნები 66

II. კაპიტალისტური სახელმწიფოს ფინანსები იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაში 71

1. კაპიტალისტური სახელმწიფოს ფინანსები იმპერიალიზმის ეპოქაში 71
2. ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფინანსები კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში 76

ა) ფინანსები საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე 76

ბ) ფინანსები კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე 85

გ) ფინანსები კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე 88

თავი მეორე. კაპიტალისტური სახელმწიფოს ხარჯთა სისტემა 94

I. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ხარჯების არსი 94

II. სახელმწიფო ხარჯთა შემადგენლობა 100

1. სამხედრო ხარჯები 100
2. მმართველობის სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის შენახვის ხარჯები 103
3. ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის ხარჯები 107
4. სახელმწიფო კრედიტის სისტემის ხარჯები 112
5. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები 113
ა) განათლების ხარჯები 113
ბ) ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები 116
გ) სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა 118
III. სახელმწიფო ხარჯების ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა 120
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავალთა სისტემა 140
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. კაპიტალისტური გადასახადის არსი 149
1. გადასახადის ცნება 149
2. გადასახადების გადაკისრება 152
3. გადასახადი და ხელფასი 153
4. გადასახადი და მოგება 155
5. გადასახადი და რენტა 156
6. წვრილი ბურჟუაზია და გადასახადები 165
7. გადასახადების როლი აღწარმოების პროცესში 168
8. საგადასახადო რეფორმების მნიშვნელობა კაპიტალიზმის პირობებსა და გარდამავალ პერიოდში 171
9. გადასახადები მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში 173
10. გადასახადის ელემენტები 174
11. გადასახადის განაკვეთების აგების მეთოდები 177
12. გადასახადების გადახდევინების წესი 181
თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე. გადასახადის სახეები 185
1. გადასახადების კლასიფიკაცია 185
2. პირდაპირი გადასახადები 187
ა) პირდაპირი რეალური გადასახადები 188
ბ) პირდაპირი პირადი გადასახადები 191
3. არაპირდაპირი გადასახადები 194
ა) სააქციზო დაბეგვრის ფორმათა განვითარება 196
ბ) სახელმწიფო ფისკალური მონოპოლიები 197
გ) ბაჟები 198
4. მისაგებლები და მოსაკრებლები 201
თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე. გადასახადთა ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა 203
I. მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის გადასახადთა ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა 203
1. მერკანტილისტური შეხედულება 203
2. ფიზიოკრატიის წინამორბედთა შეხედულება 208
3. ფიზიოკრატული შეხედულება 210
4. ინგლისური კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია 216
ა) ადამ სმიტი 216
ბ) დავით რიკარდო 219
5. ადრინდელი ვულგარული ეკონომისტები 225
6. სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება 227

7. გადასახადთა წვრილბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა 230
ა) ეკონომიური რომანტიზმი 231
ბ) გაცვლის თეორია 233
გ) დახლევის თეორია 237
დ) წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის თეორია 241
ე) ნაროდნიკული თეორია 244
II. მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადასახადთა ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა 248
1. წვრილბურჟუაზიული თეორიები 248
ა) რევიზიონიზმის თეორია. ედ. ბერნშტეინი 248
ბ) „ცენტრიზმის" თეორია 250
გ) ავსტრიული მარქსიზმის თეორია 251
დ) გადასახადი როგორც ზედმეტი ღირებულება. ბოგდანოვი, ეოლფსონი 253
ე) მეწარმე სახელმწიფოს, გადამხდელთა კავშირების, სინდიკატებისა და მოგებაში სახელმწიფოს მონაწილეობის თეორიები 255
ვ) ჯონ მეინარდ კეინსის თეორია ოპორტუნიზმის სამსახურში 258
2. გადასახადებით აღწარმოების რეგულირების თეორია 260
3. გადასახადების ანტიკრიზისული თეორია 268
4. სახელმწიფოს მომსახურების საფასურის თეორია 264
5. გადასახადების ინტეგრაციის თეორია 265
6. გადასახადების ანტიინფლაციური თეორია 265
7. გადასახადებით შრომის ინტენსივობის გადიდების თეორია 266
თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე. სახელმწიფო კრედიტი 269
I. სახელმწიფო კრედიტის არსი 269
II. სესხის სახეები 277
III. სახელმწიფო სესხის გაერცელებისა და დაფარვის ხერხები 281
1. სესხების რეალიზაცია 281
2. სახელმწიფო ვალების მმართველობა 233
3. სახელმწიფო სესხის დაფარვა 293
IV. შემნახველი სალაროები და სახელმწიფო კრედიტი 296
V. საერთაშორისო სახელმწიფო კრედიტი 289
VI. სახელმწიფო კრედიტის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა 291
1. მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის სახელმწიფო კრედიტის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა 291
ა) მერკანტილიზმი 291
ბ) კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია 294
გ) წვრილბურჟუაზიული რომანტიკოსი—სისმონდი 301
დ) ვულგარიზატორები 301
2. მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფო კრედიტის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა 308
ა) სასელმწიფო ვალების მომავალ თაობაზე გადაკისრების სამართლიანობის კონცეფცია (ედვინ სელიგმანი) 308
ბ) სახელმწიფო ვალებით ეკონომიკის რეგულირების კონცეფცია 309
გ) სახელმწიფო ვალის მმართველობის მეთოდებით ეკონომიკის რეგულირების თეორიები 312

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე. ქაღალდის ფულის ემისიის შემოსავალი 314
1. ქაღალდის ფულის ემისია 314
2. საემისიო უზრუნველყოფა 316
3. ქაღალდის ფული როგორც სახელმწიფო იძულებითი სესხი და გადასახადი 317
4. საემისიო მოგება და საემისიო გადასახადი 318
5. ქაღალდის ფულის ინფლაცია 319
6. 1967—1971 წლების ფინანსურ-ვალუტური კრიზისი 322
7. ქაღალდის ფულის ემისიის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა 329
თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე. **სახელმწიფო საწარმონი და ქონებანი** 332
I. სახელმწიფო საწარმოთა წარმოშობის მიზეზები კაპიტალიზმის პირობებში 332
1. სახელმწიფო ქონებათა შემოსავალი 332
2. სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი 336
ა) ფოსტა 338
ბ) ტელეგრაფი 338
გ) ტელეფონი 338
დ) რკინიგზები 339
II. სახელმწიფო საწარმოები კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში . 345
1. სახელმწიფო მონოპოლიების განვითარება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში 345
2. სახელმწიფო საწარმოთა მმართველობის სისტემა და მათი ურთიერთობა ბიუჯეტთან 349
3. საერთაშორისო კომპანიები 352
4. მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო საწარმოები კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში 353
ა) აშშ 353
ბ) ინგლისი 354
გ) საფრანგეთი . 354
დ) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 355
ე) იაპონია 357
III. სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა . . . 358
ა) მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა 358
1. მერკანტილიზმი 358
2. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლა 360
3. სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება 361
4. მუნიციპალური სოციალიზმი . 362
ბ) მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა . 365
1. ჯონ მეინარდ კეინსი და კეინსიანელები 365
2. ნეოლიბერალიზმი 367
3. რეფორმისტები . 368
4. თანამედროვე რევიზიონისტები 371
5. სახელმწიფოებრივი პროგრამირების ბურჟუაზიული კონცეფციები 373

თავი მეათე. კაპიტალისტური სახელმწიფო ბიუჯეტი და ბიუჯეტური წყობილება 376
I. კაპიტალისტური სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური არსი 376
1. ბიუჯეტის კატეგორიების წარმოშობა, ცნება და მეთოდოლოგია 376
II. ბიუჯეტის აგების პრინციპები და საბიუჯეტო პერიოდი 378
III. ბიუჯეტის ბალანსი, დეფიციტი და გარდამეტი 381
1. ბიუჯეტის ბალანსი 381
2. დეფიციტი 381
3. გარდამეტი 382
IV. ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალთა კლასიფიკაცია და კრედიტების სპეციალიზაცია 383
1. უწყებრივი, ანუ მინისტერიალური კლასიფიკაცია 384
2. საგნობრივი კლასიფიკაცია 384
3. შერეული კლასიფიკაცია 384
4. კრედიტების სპეციალიზაცია 385
V. ბიუჯეტური პროცესი 385
1. ბიუჯეტის შედგენა 395
2. ბიუჯეტური გაანგარიშების ძირითადი მეთოდები 386
3. ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება 387
4. ბიუჯეტის აღსრულება 389
5. საკასო ორგანიზაცია . . . 390
VI. ვ. ი. ლენინი სახელმწიფო სათათბიროს ბიუჯეტური უფლებების შესახებ 391
VII. ფინანსური კონტროლი . 393
VIII. ფედერალურ სახელმწიფოთა ბიუჯეტური წყობილება 394
IX. ბიუჯეტის ბურჟუაზიულ თეორიათა კრიტიკა 396
ა) მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის ბურჟუაზიული თეორიები 396
1. ბიუჯეტის საანგარიშო ოპერაციის კონცეფცია 396
2. ბიუჯეტის ნორმატიული თეორია 401
3. ბიუჯეტი როგორც კაპიტალისტური სახელმწიფო მეურნეობის გეგმა (ფინანსური გეგმა) 403
ბ) მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბიუჯეტის ბურჟუაზიული თეორიები 406
4. ბიუჯეტის ეკლექტიკური თეორიები 406
5. ბიუჯეტის საშუალებით კაპიტალისტური ეკონომიკის რეგულირების თეორია 407
6. ბიუჯეტური უწონასწორობის ანუ ციკლური ბიუჯეტის თეორია 412
7. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შემუშავებული უკანასკნელი დროის კონცეფციები 416
ა) ბიუჯეტის ციკლური მოსწორების თეორია 416
ბ) მაკომპენსირებელი ბიუჯეტის თეორია 416
გ) მასტაბილიზებელი ბიუჯეტური პოლიტიკა 417
თავი მეთერთმეტე. ადგილობრივი ფინანსები 419
1. ადგილობრივი ფინანსების არსი 419
1. ადგილობრივი ფინანსების ცნება 419

2. ცალკეულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ადგილობრივი ფინანსების ორგანიზაცია 421
ა) აშშ ადგილობრივი ფინანსები 421
ბ) ინგლისის ადგილობრივი ფინანსები 423
გ) საფრანგეთის ადგილობრივი ფინანსები 424
დ) ადგილობრივი ფინანსების ორგანიზაცია გერმანიაში 425
ე) ადგილობრივი მეურნეობის ორგანოები რეფორმამდელ რუსეთში 425
ვ) რეფორმამდელი საქართველოს ადგილობრივი ფინანსები 426
3. ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯები 427
4. ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალი 428
5. ადგილობრივი ფინანსები იმპერიალიზმის ეპოქაში 428
II. ადგილობრივი ფინანსების ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა 429
1. ადგილობრივი თვითმმართველობის საზოგადოებრივი თეორიები 429
ა) თემის ბუნებრივი სამართლის თეორია 429
ბ) თავისუფალი თემის თეორია 434
გ) მეურნეობრივი თვითმმართველობის თეორია 434
2. ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიები 435
ა) ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული თეორია 435
ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თეორია 438
3. ადგილობრივი დაბეგვრის ბურჟუაზიული თეორიები 439
ა) გაცვლის ანუ ურთიერთმომსახურების თეორია (ფაუშერი) 439
ბ) გადამხდელუნარიანობის პრინციპის თეორია (ნიტი) 440
გ) თეორია გადამხდელების ადგილებთან დაკავშირების ხასიათის შესახებ (კონილინი) 441
დ) განზომილებადი და არაგანზომილებადი ხარჯების თეორია (გენზელი) 441
ე) „მისაგებლის“ პრინციპის თეორია (ტეერდოხლებოვი) 442
ვ) კომბინირებული დაბეგვრის პრინციპის თეორია 443
4. მუნიციპალური სოციალიზმი 443
თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე. ევროპის ეკონომიკური თანაერთობის (საერთო ბაზრის) ფინანსური პრობლემები. განიარაღება და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები 447
I. ევროპის ეკონომიკური თანაერთობის (საერთო ბაზრის) ფინანსური პრობლემები 447
1. ეკონომიკური ინტეგრაცია 447
2. საერთაშორისო მონოპოლიების ახალი ტიპი 448
3. ევროპის ეკონომიკური თანაერთობა 450
4. თავისუფალი ევაპრობის ევროპის ასოციაცია 452
II. განიარაღება და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები 457
1. ეკონომიკის მილიტარიზაცია 457
2. სამხედრო ხარჯების ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 459
3. სამხედრო ხარჯების დაფინანსების წყაროები და მეთოდები 461
4. განიარაღების შესაძლებლობა და მისი შედეგების გავლენა კაპიტალისტური ქვეყნების ფინანსებზე 462

Василий Георгиевич Чантладзе

ФИНАНСЫ
КАПИТАЛИСТИЧЕСКИХ ГОСУДАРСТВ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1972

რედაქტორი ვ. ლებანიძე
გამომცემლობის რედაქტორი ლ. კობიაშვილი
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი მ. ჯანელიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VIII-72.
ქაღალდის ფორმატი 60×90 1/16
ნაბეჭდი თაბახი 29,75
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 26,4
ფასი 83 კაპ.
შეკვეთა 1316, უე 05584 ტირაჟი 2 000

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ., 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ., 1
Типография Тбилисского университета
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი ზემოდან	სტრიქონი ქვემოდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
7		7	Traitéde	Traité de
7		5	Beaulicu	Beaulieu
7		2	shirras	Shirras
30		4	d'économie	d'économie
35	7		რაც მას	რაც სახელმწიფოს
35	10		უმაღლესი ფორმა.	უმაღლეს ფორმას.
91		6	1969	1966
98		5	finarcial	financial
138	20		ანგარიშებით,	ანგარიშით,
174	4		37, 8 618	37,8; 618
198	8		გერმანიაში	გუბერნიაში
198	9		49	40
209		1	lonering	lowering
212		14	1 მილიარდი, ანუ 144 მილიონი	1 მილიარდი 144 მილიონი
264		2	Business	Business
270	18		ბანკოკრატია"	ბანკოკრატია" [1]
367		5	J. Sehumpeter	J. Schumpeter
405	1		გეგმას,	გეგმას.
415		16	გადიდება [1].	გადიდება" [1].
467	12		გადასახადის	გადასახადების

თსუ სტ. შ. 1472, ტ. 2000. 1972 წ.